63.3(2г)
ა 871

სახელმძღვანელოს ავტორები არიან: პროფესორი **ნ. ასათიანი** (შესავალი, §§ 1 — 8, 20 — 28), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **მ. ლორთქიფანიძე** (§§ 9 — 19), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **შ. მესხია** და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ვ. გუჩუა** (§§ 29 — 36; ეს ნაწილი დატოვებულია ძველი სახელმძღვანელოდან, გადაამუშავა **ვ. გუჩუამ**); §§ 1 — 8 დაიწერა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ **გ. მელიქიშვილის** კონსულტაციით; დამატებითი საკითხავი ლიტერატურის სია და ძირითადი ქრონოლოგიური ფაქტების ცხრილი დაურთო **ნ. ასათიანმა**. რუკები №№ 5 — 25 მომზადებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების (ხელმძღვანელი საქ. მეცნ. აკად. წ/კ **დ. მუხხელიშვილი**) მიერ. ავტორები: **დ. ბერძენიშვილი, ჯ. გვასალია, თ. თოდრია, ა. თორდია, დ. მუსხელიშვილი, ი. სიხარულიძე, ზ. ცინცაძე.** ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა ეკუთვნის ისტ. მეცნ. დოქტორს **თ. ბერაძეს.**

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი:

ისტორიის მეცნ. დოქტორი, პროფ. **შ. ხანთაძე**

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კელევითი ინსტიტუტის ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მეთოდიკის სექტორის გამგე, ისტ. მეცნ. კანდიდატი დოც. **ი. მახარაძე**

თბილისის 154-ე საშ. სკოლის დირექტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი **ნ. ჭკუასელი**

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მეთოდკაბინეტის მეთოდისტი, დამსახურებული მასწავლებელი **ა. ალახანია**

ისტ. მეცნ. კანდიდატი **ა. ბოგვერაძე**

ისტ. მეცნ. კანდიდატი **ქ. ჩხატარაიშვილი**

მხატვრები: **შოთა ნიორაძე,**
რომან მახარაძე

4306020600 — 077
А————————————51 — 90
М — 602(08) — 90

© ნ. ასათიანი, ვ. გუჩუა, მ. ლორთქიფანიძე, შ. მესხია

ISBN 5 — 505 — 00762 — 7

„მხოლოდ წარსულის ცოდნით
დაუცავს ყოველ ერს თავისი
ეროვნება, თავისი არსებობა,
თავისი ვინაობა“...

ილია

შ ე ს ა ვ ა ლ ი

1. რას სწავლობს საქართველოს ისტორია. ქართველმა ხალხმა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე უაღრესად რთული და ძნელი გზა განვლო. რამდენი მსხვერპლი იქნა გაღებული, რამდენი სისხლი და ოფლი დაიღვარა, რამდენი სიცოცხლე შეეწირა იმას, რომ ჩვენ დღეს მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომით გვეცხოვრა, რომ ქართველ ხალხს თავისი ეროვნული სახითა და მაღალი ეროვნული კულტურით დღევანდლობამდე მოეღწია. ბევრი იყო დაბრკოლება, მარცხი თუ სიძნელე ამ გზაზე, მაგრამ იყო გამარჯვების ზეიმიც, ეროვნული ძალების სრულად გაფურჩქვნის შესაძლებლობაც, როდესაც ქართველმა ხალხმა წარმოაჩინა თავისი უშრეტი ენერგია და დიდი ნიჭი.

ისევე როგორც ყველა ხალხის, ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრებაც კაცობრიობის განვითარების ერთიანი კანონზომიერებით იცვლებოდა. მან თანმიმდევრულად განვლო თითქმის ყველა საფეხური, რაც მსოფლიო ისტორიაშია ცნობილი, მაგრამ განსხვავებული პირობების გამო ესა თუ ის ისტორიული ეტაპი საქართველოში თავისებური სახით წარმოდგებოდა. განვითარების ამ თავისებურებებს, მის მიზეზებს სწავლობს და იკვლევს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა. ამისი ცოდნა გვეხმარება დღევანდელობის სრულყოფილად გაგებაში, მომავლის გზების სწორად დაანახვაში. დღეს საქართველო დიდი გარდაქმნების ეტაპზეა და რადგანაც ჩვენ ვემზადებით გავხდეთ ჩვენი სამშობლოს ღირსეული მოქალაქენი, ჩავდგეთ ძმავლის მშენებელთა და შემოქმედთა რიგებში, პირველ ყოვლისა, **კარგად უნდა ვიცოდეთ ჩვენი მშობლიური რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის განვითარების გზა, მისი ტკივილები და სიხარული, უნდა ვგრძნობდეთ დიდ ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას როგორც მომავლის, ისე წარსულის წინაშე.**

ქართველი ხალხის წარსული კი აღსავსეა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის სწორუპოვარი მაგალითებით, აღსავსეა ქვეყნის ნათელი მომავლისათვის თავდადების ბრწყინვალე ფაქტებით. ჩვენი თანამედროვეობა, ჩვენი ხალხი ყოველთვის დიდ პატივს მიაგებდა და მიაგებს წარსულის გმირებს, ჩვენი ეროვნული კულტურის შემოქმედთ, ქართველი მშრომელი კაცის მარჯვენას, რომელ-

საც ყოველთვის მოულლელად ხელთ ეპყრა სახნისი თუ საპრეთელი, ქმნიდა დოვლათსა და აშენებდა ქალაქებს, აღნობდა ლითონს, გამოჰყავდა ვაზისა და ხორბლის უნიკალური ჯიშები, აგებდა ტაძრებსა და სასახლეებს, ქვეყნის თავდაცვით სიმაგრეებს და უდრტვინველად სწირავდა თავს თავისი ქვეყნის უცხო დამპყრობთაგან გადარჩენის საქმეს.

2. საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები. როგორც ყველა ხალხის, ისე ქართველი ხალხის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, რომელშიც მას საუკუნეების განმავლობაში უხდებოდა ცხოვრება. საქართველო ორი დიდი კონტინენტის — ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობს. მისი მიწა ატარებს იმ დიდი ცვლილებების კვალს, რასაც ჩვენი პლანეტა მილიონობით წლების განმავლობაში განიცდიდა.

ერთ დროს კავკასიის მთელი ტერიტორია ზღვით იყო დაფარული. სხვადასხვა გეოლოგიური მოვლენების შედეგად ხმელეთი რამდენჯერმე ამოიზიდა, იყო მძლავრი ვულკანური ამოფრქვევები, შემდეგ მიწის ზედაპირი კვლავ ქვევით იწევდა და ტერიტორიის დიდ ნაწილს ისევ ზღვა იპერდა. ამ 28 — 30 მილიონი წლის წინ მთათა წარმომქმნელმა ძალამ კვლავ ხმელეთი ამოსწია, კასპიის ზღვა მოწყდა შავ ზღვას და მათ შორის კავკასიის ყელი გაჩნდა. ამ დროიდან იწყება საქართველოს ტერიტორიის თანამედროვე რელიეფის ჩამოყალიბება. დაახლოებით 1 მილიონი წლის წინ საქართველოს ბუნებრივმა პირობებმა თითქმის ისეთივე სახე მიიღო, როგორიც ამჟამად არის. ადრე შედარებით უფრო თბილი ჰავა იყო, მაგრამ როგორც ევროპაში, ისე აქაც დროდადრო ადგილი ჰქონდა გ ა მ ყ ი ნ ვ ა რ ე ბ ებ ს, როდესაც მაღალი მთიანი ადგილებიდან, კერძოდ, კავკასიონის ქედიდან ბარისაკენ მოემართებოდა მყინვართა უზარმაზარი მასები, რასაც მოჰყვებოდა აცივება და ბუნებრივი პირობების შეცვლა. ჩვენში გამყინვარება ისეთი მასშტაბის მაინც არ ყოფილა, როგორც ალპებში ან ჩრდილოეთ ევროპაში. საბოლოოდ, რამდენიმე ათეული ათასი წლის წინ ჩამოყალიბდა საქართველოს ის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, რომელშიაც ამჟამად უხდება ადამიანს ცხოვრება.

საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიას თქვენ ცალკე საგნად სწავლობთ და უფრო ვრცლად შეისწავლით ამ საკითხებს, ასევე შეისწავლით საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედვით მის ბუნებრივ პირობებს, ამიტომ ამჯერად მხოლოდ ზოგადი მიმოხილვით დავკმაყოფილდეთ..

საქართველოს ჩრდილოეთის ბუნებრივ საზღვარს მუდმივი მყინვარებითა და მაღალი მწვერვალებით გვირგვინმოსილი კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი ს ცადაზიდული ქედი წარმოადგენს, სამხრეთით კი საკმაოდ ვრცლადაა გაშლილი მ ც ი რ ე კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი ს მ თ ი ა ნ ე თ ი. თვითონ კავკასიონიდან სამხრეთისკენ რამდენიმე შედარებით მცირე სიმაღლის ქედი ეშვება, რომელთაგან ლ ი ხ ი ს, ანუ ს უ რ ა მ ი ს ქ ე დ ი საქართველოს ორ ნაწილად: დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად ჰყოფს. ამ მთების მაღლობებზე შესანიშნავი საზაფხულო საძოვრებია, უფრო ქვემოთ, მთის კალთები ხშირი ტყითაა დაფარული. მთაგორიანი ადგილები თანდათან ზეგნებსა და დაბლობებში გადადის. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მთათა მასივებს შორის მოქცეულია საქართველოს ბარი. დასავლეთით კ ო ლ ხ ე თ ი ს ბ ა რ ი სამკუთხედის ფორმისაა, რომლის ფუძე შა-

ვი ზღვისკენაა მიქცეული. მისი ყველაზე დაბალი ადგილი — კოლხეთის დაბლობი ძველად გაუვალი ჭაობით იყო დაფარული. მთების მიმართულებით კოლხეთის დაბლობი თანდათან მაღლდება და ზეგანში გადადის. ეს ადგილები განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო დასასახლებლად და მეურნეობის წარმოებისთვის. აღმოსავლეთ საქართველოს ბარი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ესაა — შ ი დ ა ქ ა რ თ ლ ი ს, ქ ვ ე მ ო ქ ა რ თ ლ ი-ს ა და კ ა ხ ე თ ი ს ბ ა რ ი. აქაც ეს დაბლობი ადგილები მაღლობებსა და ზეგნებში გადადის. აქ ჰავა დასავლეთ საქართველოსთან შედარებით მშრალია, ამიტომ სოფლის მეურნეობისთვის ხელოვნურ მორწყვას დიდი მნიშვნელობა აქვს. საერთოდ საქართველოს ჰავა, ისევე როგორც მისი რელიეფი, მრავალფეროვნებით ხასიათდება. მაღალმთიან ადგილებში ჰავა მკაცრია, დაბლობში კი იგი თანდათან რბილდება. ზეგნებსა და დაბლობებში ძირითადად ზომიერი ჰავა ბატონობს, თუმცა ადგილ-ადგილ აქაც დიდად განსხვავებული ვლიმატური რაიონებია. მაგალითად, შავიზღვისპირეთში ჰავა ნესტიანი და სუბტროპიკულია, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ზოგან რბილი და ზომიერად მშრალია, მაგრამ მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში უდაბნოს ცხელი სუნთქვაც აღწევს.

საქართველო უხვად ირწყვება დიდი და მცირე მდინარეებით. ისინი სათავეს იღებენ როგორც კავკასიონის მთავარ ქედზე და მის განშტოებებზე, ისე სამხრეთის მთიანეთში. საქართველოს მდინარეები ათეულობით ხევებს ქმნიან და შემდეგ ერთვიან ან უფრო დიდ მდინარეებს, მაგალითად: მ ტ კ ვ ა რ ს, რ ი ო ნ ს, ჭ ო რ ო ხ ს, ა ლ ა-ზ ა ნ ს და სხვ., ან უშუალოდ ზღვას უერთდებიან. ეს დიდი მდინარეები ძველ დროში სანაოსნოდაც იყო გამოყენებული.



საქართველო მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით: მადნეულით, სათბობით, საშენი მასალით. მადნეულიდან აღსანიშნავია სპილენძისა და რკინის საბადოები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქ მეტალურგიის ადრევე წარმოქმნისა და განვითარებისათვის. საქართველოში ასევე ბევრია ქვის ისეთი ჯიშები, რომელთაგანაც განსაკუთრებით მოხერხებული იყო უმარტივესი იარაღის დამზადება (კაჟი, ობსიდიანი და სხვ.).

საერთოდ, საქართველოს ბუნებრივი პირობები უაღრესად ხელსაყრელი იყო აქ ადამიანის ძველთაგანვე დასახლებისა და მისი მრავალფეროვანი სამეურნეო საქმიანობისთვის.

8. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება. საქართველოს ისტორიის შესწავლისას ჩვენ შევხვდებით ისტორიულ-გეოგრაფიულ სახელწოდებებს, რომლებსაც საქართველოს ესა თუ ის კუთხე ან მხარე ატარებდა. ისტორიული მოვლენების სწორი და თვალნათელი წარმოდგენისათვის უნდა ვიცოდეთ ამ მხარეების (ანუ ქართული „ქვეყნების") ადგილმდებარეობა და ისტორიული საზღვრები. დროდადრო მათი სახელწოდებები იცვლებოდა, საზღვრები უფრო ვრცელი ხდებოდა, ფართოვდებოდა; ზოგჯერ კი პირიქით, მცირდებოდა, — „ქვეყანა" უფრო პატარა კუთხეებად იყოფოდა.

საქართველოს ცენტრალური მხარეა ქ ა რ თ ლ ი. მისი სახელწოდებიდან მომდინარეობს ქ ა რ თ ვ ე ლ ი და ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო. ქართლი შედგებოდა ცალკეული ნაწილებისაგან — შიდა, ქვემო და ზემო ქართლისაგან. შიდა ქ ა რ თ ლ ს დასავლეთით ლიხის ქედი საზღვრავდა, ჩრდილოეთით — კავკასიონის მთავარი ქედი, აღმოსავლეთით — მდ. არაგვი, სამხრეთით — თრიალეთის ქედი. ქ ვ ე მ ო ქ ა რ თ ლ ი კი თრიალეთის ქედის სამხრეთით მდებარეობდა და მდინარეების — ალგეთისა და ხრამის ხეობებს მოიცავდა. იგი დასავლეთით ჯავახეთის, ხოლო სამხრეთით ბამბაკი-ერევნის ქედით იყო შემოსაზღვრული. ზ ე მ ო ქ ა რ თ ლ ი, ანუ მ ე ს ხ ე თ ი აერთიანებდა მდ. მტკვრის შემოგარენს, მდინარის სათავიდან ტაშისკარამდე და ჭოროხის აუზს — სათავიდან აჭარისწყლის ხეობამდე. მტკვრის ზემო წელზე მდებარეობს: ს ა მ ც ხ ე, ჯ ა ვ ა ხ ე თ ი, ა რ ტ ა ა ნ ი, ე რ უ შ ე თ ი და კ ო ლ ა, ხოლო ჭოროხის ზემო წელზე — კ ლ ა რ ჯ ე თ ი, შ ა ვ შ ე თ ი, ტ ა ო, ო ლ თ ი ს ი და ს პ ე რ ი. XIII — XIV საუკუნეებიდან ქართველები მესხეთს სამცხე-საათაბაგოსაც უწოდებდნენ. საუკუნეთა მანძილზე საქართველოს საზღვრებში შემოდიოდა ბ ა ს ი ა ნ ი ს მხარეც (მდ. არაქსის ხეობის მიმდებარე ადგილები).

ქართლს აღმოსავლეთით კ ა ხ ე თ-ჰ ე რ ე თ ი ესაზღვრება. ადრე კახეთი მდ. ივრისა და ალაზნის ზემო წელს მოიცავდა, ჰერეთი კი ამ მდინარეების შუა და ქვემო წელს. XV საუკუნიდან ეს ორი ქვეყანა ერთიანად კ ა ხ ე თ ა დ იწოდება. იგი ქართლისაგან მდ. არაგვით იყო გამოყოფილი. შემდეგ საზღვარი თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით გადიოდა მდ. მტკვრამდე. სამხრეთის საზღვრებიც ძირითადად მდ. მტკვარს მიჰყვებოდა. აღმოსავლეთით კი კახეთის საზღვარი ხშირად იცვლებოდა. დღევანდელი აზერბაიჯანის სსრ-ს ბელაქნის, ზაქათალასა და კახის რაიონები ისტორიული კახეთის ფარგლებში შემოდიოდა, მაგრამ XVII — XVIII საუკუნეების ძნელ-



თბილისი — საქართველოს სსრ დედაქალაქი.

ბედობის დროს აქ ჩამოსაბლდნენ დაღესტნელი მთიელები და ეს ძირძველი ქართული მხარე (გვიანდელი „საინგილო“) მოსწყდა დედა სამშობლოს.

დასავლეთ საქართველო უძველეს ხანაში ეგრისად მოიხსენიება. XI — XIII სს.-ში საქართველოს ამ მხარეს იმერეთი დაერქვა. თანდათანობით იმერეთი დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილს ეწოდა, რომელიც ლიხის ქედსა და მდ. ცხენისწყალს, რაჭის ქედსა და მესხეთის ქედს შორის იყო მოქცეული. ცხენისწყლის

დასავლეთით ანაკოფიამდე ოდიში, ანუ სამეგრელო მდებარეობდა. ანაკოფიის (დღევანდელი ახალი ათონის) ჩრდილო-დასავლეთი კი აფხაზეთს ეკავა. XVIII ს. დასაწყისში აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარმა მდ. ენგურამდე გადმოიწია.

სამხრეთით, მდ. რიონსა, მესხეთის ქედსა და შავ ზღვას შორის, გურია მდებარეობს. უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით კი აჭარა და ლაზეთი, ანუ ჭანეთი.

დასავლეთ საქართველოს მთიანეთი სვანეთს, ლეჩხუმსა და რაჭას უკავია. თავდაპირველად რაჭა და ლეჩხუმი ერთ ქვეყნად იყო გაერთიანებული და თაკვერი ერქვა.

შიდა ქართლის მთიანი ნაწილის — კავკასიონის მიუვალ ხეობებში განფენილი იყო დვალეთი, მთიულეთი და ხევი, ხოლო კახეთის მთიანეთის ხეობებში — თუშ-ფშავ-ხევსურეთი. ფშავ-ხევსურეთი ადრე ფხოვის სახელით იყო ცნობილი.

XVIII ს. დიდი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი ისტორიის მნიშვნელობის შესახებ

„მატიანე[1] განარჩევს კეთილსა და ბოროტსა, მატიანე აღამაღლებს კეთილის ქმნულებასა და ჰგმობს უკეთურთ ქმნულებასა, მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა და არა სცბის[2] და მოწმობს სხვათა და სხვათა, მატიანე განამხნობს და ერთგულ ჰყოფს ქვეყნისად, მატიანე აცნობს ნათესავთ შთამომავლობასა და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის და მოყვარულ ჰყოფს მოყვასსა მოყვასისა მიმართ“.



ილია ჭავჭავაძე:

„დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და წარწყმედისაც. წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა.

რომელია სიმაგრე ჩვენი ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის ხოლმე მარტო ისტორია. და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენი ცხოვრების სათავე, ჩვენი ცხოვრების საძირკველი და თუ ეს ასეა, რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?“

ივანე ჯავახიშვილი:

„საჭიროა ხალხმა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია... უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“.

---

[1] ვახუშტი ბაგრატიონი აქ „მატიანეს“ ხმარობს ისტორიის მნიშვნელობით.
[2] „არა სცბის“ — სინამდვილეს არ აყალბებს.

I თავი

პირველყოფილი-თემური წყობილება საქართველოში

§ 1. წინაგვაროვნული საზოგადოება და გვაროვნული საზოგადოების ადრეული ეტაპი (ქვის ხანა)

1. უძველესი ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე. კავკასიაში ადამიანი დაახლოებით მ ი ლ ი ო ნ ი წლის წინათ დასახლდა. პირველყოფილი ადამიანი მეტისმეტად სუსტი იყო ბუნებასთან ბრძოლაში. მას შეეძლო დაემზადებინა და გამოეყენებინა უაღრესად პრიმიტიული იარაღი, როგორიც იყო უბრალოდ წაწვეტებული ქვა, ჯოხი, ძვლის ნატეხი და სხვა. შემდეგ თანდათან, ხანგრძლივი გამოცდილების მიღების შედეგად იგი აუმჯობესებდა ამ იარაღებს, უფრო მრავალფეროვანს ხდიდა მათ. ქვის ხელცულთან ერთად იგი უკვე ამზადებდა ქვის დანებს, საფხეკებს, წვეტანებს და სხვა. იმ ხანას, როდესაც ადამიანი ასეთი მარტივად დამუშავებული იარაღით სარგებლობდა, ძ ვ ე ლ ი ქ ვ ი ს ხ ა ნ ა, ანუ პ ა ლ ე ო ლ ი თ ი[1] ეწოდება. მეცნიერები პალეოლითის ხანას სამ პერიოდად ყოფენ: ადრეულ, ანუ ქვედა პალეოლითად, შუა და გვიან, ანუ ზედა პალეოლითად.



ქვედა პალეოლითის ქვის ხელცული წონას მღვიმიდან.

ქვის იარაღის გაუმჯობესება თავდაპირველად ძალიან ნელა ხდებოდა. ამიტომ ქვედა პალეოლითის ხანა ყველაზე უფრო ხანგრძლივი პერიოდია კაცობრიობის ისტორიაში. იგი იწყება ადამიანის წარმოქმნიდან[2] და გრძელდება დაახლოებით ამ 30 ათასი წლის წინა დრომდე.

ადრეული პალეოლითის ადამიანს, რომელიც ჯოხითა და ტლან-

---

[1] ტერმინი პ ა ლ ე ო ლ ი თ ი წარმოდგება ორი ბერძნული სიტყვისაგან: პალაიოს — ძველი და ლითოს — ქვა.

[2] ახალი გამოკვლევებით მეცნიერები თვლიან, რომ ადამიანი დაახლოებით 2 მილიონი წლის წინათ წარმოიშვა.

ქად დამუშავებული ქვის უმარტივესი იარაღებით იყო აღჭურვილი, მარტოს, სხვა ადამიანებთან კავშირის გარეშე, არ შეეძლო არსებობა. ამიტომ ადამიანი იმთავითვე სხვა ადამიანებთან ერთად, ჯგუფურად ცხოვრობდა. 20—30 კაცისაგან შემდგარი პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფები დაეხეტებოდნენ ტყე-ღრეში, ერთად მოიპოვებდნენ საკვებს და ერთადვე იცავდნენ თავს მტაცებელი ცხოველებისაგან.

შუა პალეოლითის ხანის ქვის წვეტანა.

საქართველოს ტერიტორიაზე ბევრგანაა აღმოჩენილი პირველყოფილი ადამიანის ცხოვრების ნაკვალევი. ყველაზე ძველი იარაღები აღმოჩენილია ნაქალაქარ დმანისის ტერიტორიაზე, აგრეთვე ტბა ფარავნის მახლობლად ჭიქიახის მთაზე, ქ. სოხუმის მახლობლად მთა იაშთხვაზე. ქვედა და შუა პალეოლითის იარაღები აღმოჩენილია სხვა ადგილებშიც. მაგალითად, სოფ. რუხთან (ზუგდიდის რაიონი), კაცხში (საქორია, ჭიათურის რაიონი), ლაშებალთაში (ზნაურის რაიონი), ჯავახეთის ზეგანზე, შიდა ქართლში, კახეთში და სხვ. აღსანიშნავია, რომ ქვედა და შუა პალეოლითის ძეგლები აღმოჩენილია არა მხოლოდ დაბლობ რაიონებში, არამედ საკმაოდ მაღალ ადგილებშიც. მაგალითად, მდ. ჯეჯორას და ყვირილას სათავეებთან მდებარე კუდაროსა და წონას მღვიმეებში. ამ ხანის ადამიანის მთავარი საქმიანობა იყო ნადირობა და საკვებად გამოსადეგი მცენარეული ნაყოფის; ანდა ძირხვენა ბოლქვების შეგროვება.

ადამიანთა გაერთიანება ჯგუფებად ჯერ კიდევ არ იყო მყარი. ეს ჯგუფები ხშირად იშლებოდა და ისევ ერთიანდებოდა. ამ დროის ადამიანმა უკვე იცოდა ცეცხლის გამოყენება. ბანაკში თუ მღვიმეში დანთებული ცეცხლი კიდევ უფრო აახლოებდა ერთმანეთთან პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფის წევრებს. იარაღის გაუმჯობესებით და ცეცხლის გამოყენებით პირველყოფილი ადამიანი უფრო ადვილად იცავდა თავს მტაცებელი ცხოველებისაგან, მეტი წარმატებით ნადირობდა და სისტემატურად იკვებებოდა ხორცეულით. ხორცეულს იგი უკვე ცეცხლზე წვავდა. ეს კიდევ უფრო უწყობდა ხელს მის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. იარაღის წინასწარგანზრახული დამზადება, სხვა ადამიანებთან ერთად ცხოვრება და შრომა მას უვითარებდა ცნობიერებასა და მეტყველებას.

2. გვაროვნული საზოგადოების წარმოშობა. ასეული ათასობით წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილებით და შრომითი ჩვე-

შუა პალეოლითის ხანის იარაღები: ქვის წვეტანები, შუბის პირები, სახოკი და რქის სახვრეტი

ვების გამომუშავებით ადამიანი სულ უფრო და უფრო სრულყოფდა თავის იარაღს. კაჟისა და ობსიდიანისაგან იგი უფრო მრავალფეროვან იარაღს: დანებს, საფხეკებს, საჭრისებს თუ სახვრეტებს ამზადებდა. ასევე უკეთესად ამუშავებდა ძვალსა და რქას. ბოლოს, ქვის პირიან შუბთან ერთად ადამიანმა მშვილდ-ისარიც გამოიგონა.

ქვის იარაღის ასეთი გაუმჯობესების ხანას არქეოლოგები ძველი ქვის ხანის (პალეოლითის) ზედა საფეხურად გამოჰყოფენ. ეს პერიოდი დაიწყო დაახლოებით **35000 წლის წინ.** იარაღის გაუმჯობესებამ და გამრავალფეროვნებამ ადამიანი უფრო ძლიერი გახადა ბუნებასთან ბრძოლაში, ხელი შეუწყო შეგროვებითი მეურნეობის, ნადირობისა და თევზჭერის განვითარებას. ადამიანთა ჯოგები უფრო ხანგრძლივად სახლდებოდა ერთ ადგილზე. ამასთანავე, იმ დროს დაწყებული გამყინვარების შედეგად საქართველოში საგრძნობლად აცივდა. ადამიანი იძულებული იყო ტყავისგან დამზადებული ტანსაცმელი გამოეყენებინა. იგი მაღალმთიან ადგილებში ვეღარ ცხოვრობდა და დაბლობში ჩამოდიოდა. იმ პირობებში ღია ცისქვეშ ცხოვრებაც ძნელი გახდა და პალეოლითელმა ადამიანმა ბუნებრივ მღვიმეებს, ეხებს, ფარდულებს შეაფარა თავი. მღვიმეების დაკავება მას ხშირად ბრძოლით უხდებოდა, რადგან იქ უკვე ცხოვრობდნენ დღეისათვის გადაშენებული, საშიში და ძლიერი მტაცებელი ცხოველები: გამოქვაბულის დათვი, ვეფხვი, ჯიქი და სხვ.

ასეთი მღვიმეები და ნაბინარები საქართველოში ბევრგანაა მიკვლეული. მაგალითად, ხარაგოულის რაიონში, მდ. ჩხერიმელას ხეობაში, მაღალი კლდის ფერდობზე მდებარეობს მღვიმე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა დ ე ვ ი ს ხ ვ რ ე ლ ს უწოდებს. აქ ცნობილმა არქეოლოგმა გიორგი ნიორაძემ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ზედა პალეოლითის ხანის ადამიანის დიდძალ ქვის იარაღს მიაკვლია. როგორც გაირკვა, აქ ხანგრძლივად უცხოვრია პირველყოფილ ადამიანს. მიწის ქვეშ იყო მოქცეული არა მხოლოდ ქვის იარაღი, არამედ ამ უძველესი ადამიანის მიერ ნადირობისას დახოცილი ცხოველების ძვლები, მის მიერ დამზადებული სხვადასხვა ნივთი. უფრო მეტი არქეოლოგიური მასალა (ქვის იარაღი, ძვლები და სხვ.) აღმოჩნდა ს ა კ ა ჟ ი ა ს მღვიმეში (თერჯოლის რაიონი), ასევე ს ა გ ვ ა რ ჯ ი ლ ე ს მღვიმეში. ბევრ ასეთ მღვიმეს მიაკვლიეს და შეისწავლეს არქეოლოგებმა მ დ. ჯ რ უ ჭ უ ლ ა ს (ქიათურის რაიონი) ხეობაში. მღვიმეებს გარდა ამ პერიოდის ადამიანის მიერ აგებული მიწურების ნაშთი და ნასადგომები მიკვლეულია მდ. ენგურის პირას და სხვ.

დიდი ცვლილება განიცადა ადამიანთა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ. ხანგრძლივად ერთ ადგილზე დასახლებამ, კოლექტივის წევრებს შორის შრომის განაწილების აუცილებლობამ, ხელი შეუწყო ადამიანთა შორის ახლო ურთიერთობისა და კავშირის განმტკიცებას, ადამიანთა უფრო მყარი ჯგუფების შექმნას. თანდათან ასეთ ჯგუფებში მხოლოდ ერთმანეთის სისხლით მონათესავე ადამიანები იყრიან თავს. მაშინდელი ადამიანის ცნობიერებით



ზედა პალეოლითის ხანის კაჟისა და ობსიდიანისგან დამზადებული დანები, საჭრისები, საფხეკები, ძვლისა და რქისაგან დამზადებული სახერეტები და სხვა იარაღი.


ქვედა და შუა პალეოლითი
ზედა პალეოლითი და მეზოლითი
ნეოლითი
კისტრიკი
იაშხა
ოლიმი
ოფრამინა
ქუდარო
ნინა
ურეკული
ლაშებალთა
ზ. ალვანი
ზიარი
ნოფი
ახალქალაქი
ეძანი
ბ. ფარეკანი
ბ. ფარეკანი
ბ. ფარეკ

თემი ერთ ხევში იყო განსახლებული. რამოდენიმე მეზობელი თემის გაერთიანება უკვე ტომს შეადგენდა. **ტომში შემავალი თემებისა და გვარების ზნე-ჩვეულება, რელიგიური წარმოდგენა, სალაპარაკო ენა ძირითადად ერთნაირი იყო.**

8. პირველყოფილი ადამიანის რწმენა-წარმოდგენები. რელიგიის გაჩენა. ადამიანის ცნობიერების განვითარების შედეგად ჩნდება პირველყოფილი რ ე ლ ი გ ი ა — ადამიანთა წარმოდგენები მის გარემომცველ სამყაროზე. პირველყოფილი ადამიანი ამჩნევდა, რომ ზოგი ბუნებრივი მოვლენა მისთვის სასარგებლო იყო, ზოგი კი, პირიქით, საზიანო. მისი წარმოდგენით გარემომცველი ბუნება დასახლებული იყო კეთილი და ბოროტი ძალებით, ანუ სულებით. ადამიანი ცდილობდა მათზე ზემოქმედება მოეხდინა: კეთილი სულისათვის პატივი ეცა და ბოროტი სული ან შეეშინებინა ან მისი გული როგორმე მოეგო. პირველყოფილი ადამიანი თაყვანს სცემდა ბუნების მოვლენებს, ფრინველებს, ცხოველებს, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მის ცხოვრებაში.

ამ დროიდანაა შემორჩენილი პირველყოფილი ხელოვნების ნიმუშებიც. ადამიანი მეტისმეტად პრიმიტიულად ხატავდა, ძერწავდა, აქანდაკებდა მის გარემომცველ საგნებს თუ ცხოველებს. ამას იგი გარკვეულ რელიგიურ მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ აკეთებდა სილამაზის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც. ამ დროის ადამიანი ამზადებდა სამკაულს, მოსართავებს, მარტივი ორნამენტებით ამკობდა თავის ნივთებს და სხვ.



ზღვის ლოკოკინების ნიჟარებისგან დამზადებული პირველყოფილი ადამიანის სამკაული (ყელსაბამი), რომელიც მაგიური დანიშნულებისაც იყო.

4. შუა ქვის ხანა (მეზოლითი). პალეოლითის ეპოქას მოსდევს შუა ქვის ხანა, ანუ მ ე ზ ო ლ ი თ ი, რომელიც დაიწყო დაახლოებით 12 ათასი წლის წინ და გაგრძელდა 4 ათასწლეულს. ამ პერიოდში თანდათან ყალიბდება თანამედროვე კლიმატური პირობები, მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო. იარაღებს შორის წამყვანი ადგილი უკავია გეომეტრიული მოყვანილობის ქვის მცირე ნაკეთობებს: სამკუთხედებს, ტრაპეციებს, სეგმენტებს, რომლებიც რთული იარაღების შემადგენელი ნაწილია. ვარაუდობენ, რომ სატყორცნი და სამეურნეო დანიშნულების იარაღის პირებს ხის ან ძვლის ტარზე ამაგრებდნენ და სანადიროდ და ველური სახით არსებული მარცვლეული მცენარეული საკვების მოსაპოვებლად იყენებდნენ.

5. ახალი ქვის ხანა (ნეოლითი). დაახლოებით 8 — 6 ათასი წლის წინათ დიდი გარდატეხა მოხდა ქვის დამუშავების ტექნიკაში. ადამიანმა ისწავლა ქვის იარაღის გაპრიალება, ხერხვა, გახვრეტა. ასეთი იარაღი გაცილებით უფრო მოსახერხებელი იყო სანადიროდ



ნეოლითის ხანის ქვის ცულები.

და სამუშაოდ. ასე ახლებურად დამუშავებული იარაღის მიხედვით ამ ხანას ა ხ ა ლ ი ქ ვ ი ს ხ ა ნ ა, ანუ ნ ე ო ლ ი თ ი[1] ეწოდება. დიდი ძვრები მოხდა მეურნეობაშიც. თუ აქამდე ადამიანი მხოლოდ შემგროვებელი და მონადირე იყო, ნეოლითში მან დაიწყო საკვებად გამოსადეგი მცენარეულის ხელოვნურად გაშენება, ცხოველების მოშინაურება და მოვლა-გამრავლება, ე.ი. საფუძველი ჩაუყარა მარტივ მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას — ადამიანი გახდა მწარმოებელი. ეს იმდენად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო მეურნეობის განვითარებაში, რომ მას მეცნიერები „ნ ე ო ლ ი - თ უ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს“ უწოდებენ. ახალი ქვის ხანაშივე საფუძველი ჩაეყარა მარტივ ხელოსნობას: ადამიანმა ისწავლა მეთუნეობა (თიხისგან ჭურჭლის დამზადება და გამოწვა), რთვა, ქსოვა, კალათების მოწვნა და სხვ. ნეოლითის ბოლოსათვის უკვე ყალიბდებიან ბინადარი (ერთ ადგილზე მყარად, მუდმივად მცხოვრები) ადრესამიწათმოქმედო დასახლებანი. მოსახლეობა უკვე ძირითადად მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდა.

თიხისგან დამზადებული ქალის ქანდაკება.

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასია ითვლება მთელი რიგი კულტურული სამიწათმოქმედო მცენარეების მოშენების უძველეს კერად. მაგალითად, დადგენილია, რომ მთელს მსოფლიოში არსად მოიპოვება ხორბლეულის იმდენი უძველესი ჯიში, რამდენიც დღევანდელ საქართველოსა და სომხეთში. საქართველოშივეა შემორჩენილი ისეთი უძველესი ჯიშის ხორბლეული, როგორიც არის მახა და ზანდური. ეს ჯიშები გარდამავალი საფეხურია ველურ პურეულ მცენარეებსა და ხორბლეულის თანამედროვე კულტურულ ჯიშებს შორის. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ პურეული მცენარეების მოშენების და მიწათმოქმედების დაწყების უძველესი კერა სწორედ აქ, საქართველოსა და მის აღმოსავლეთ ტერიტორიაზეც ივარაუდება.

ხელით ნაძერწი თიხის ქოთანი კოპისებური შვერილებით.

საქართველოს ტერიტორიაზე ნეოლითური ძეგლების უმეტესობა ცნობილია დასავლეთ საქართველოდან. ნეოლითური დასახლებანი განლაგებული იყო ძირითადად მაღალ, მდინარისეულ ტერასებზე, ბუნებრივ ბორცვებზე, წყალგამყოფ ზეგნებზე და სხვაგან. ნეოლითური ხანის არქეოლოგიური ძეგლები აღმოჩნდა ხ უ - ც უ ბ ა ნ შ ი, ქ ო ბ უ ლ ე თ შ ი (აჭარა), ა ნ ა ს ე უ ლ შ ი, გ უ რ ი ა ნ თ ა შ ი (გურია), ასევე კ ი ს ტ რ ი კ შ ი (აფხაზეთი), ქუთაისის მახლობლად (თ ე თ რ ა მ ი წ ა), ზ ე მ ო ა ლ ვ ა ნ შ ი (კახეთი, ახმეტის რაიონი) და სხვა ადგილებში.

---

[1] ნ ე ო ს — ბერძნულად ახალი, ლ ი თ ო ს — ქვა.

კითხვები და დავალებები

1. როდის დასახლდა პირველყოფილი ადამიანი კავკასიაში? 2. სად არის აღმოჩენილი უძველესი ადამიანის ნაკვალევი საქართველოში? 3. რა მნიშვნელობა ჰქონდა პირველყოფილი ადამიანისათვის ცეცხლის გამოყენებას? 4. როდის და როგორ წარმოიქმნა გვაროვნული საზოგადოება? 5. რატომ ჰქონდა თავდაპირველად ქალს გვარში უპირატესობა მოპოვებული და ამის დასამტკიცებლად რა ფაქტები გაგვაჩნია? 6. რატომ და როგორ გაჩნდა რელიგია? 7. რა არის ტომი და რა ნიშნებით ხასიათდება იგი? 8. რა გარდატეხა მოხდა ადამიანის მეურნეობაში ნეოლითის დროს? 9. შეადარეთ ქვემოთ მოტანილი ქვის ხანის სხვადასხვა ეპოქის: ქვედა პალეოლითის, ზედა პალეოლითისა და ნეოლითის ხანის ქვის იარაღი. 10. რა ცვლილებები განიცადა ქვის იარაღმა? 11. . ახსენით, რა მნიშვნელობა ჰქონდა ქვის იარაღის გაუმჯობესებას ადამიანის ცხოვრებაში?



§ 2. ქართველი ტომები და ტომთა კავშირები ენეოლითსა და ბრინჯაოს ხანაში

1. ენეოლითი. ადრესამიწათმოქმედო მეურნეობის, მესაქონლეობისა და ხელოსნობის განვითარება. დაახლოებით 6 — 7 ათასი წლის წინათ საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანმა იარაღის დასამზადებლად ქვასთან ერთად ლითონის გამოყენებაც დაიწყო. როგორც ჩანს, ადამიანმა შემთხვევით მიაგნო თვითნაბად სპილენძს და მის თვისებებს გაეცნო. ქვისგან განსხვავებით, რომლის მხოლოდ გათლა, გახეხვა ან გახვრეტა ხერხდებოდა, სპილენძის გამოქედვა შეიძლებოდა. გამოქედვით მისგან უფრო მოსახერხებელი სამეურნეო და სანადირო იარაღი მზადდებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე სპილენძის მადანი ბევრგან იყო, რომლის ძარღვები ხშირად თვით დედამიწის ზედაპირზეც ამოდიოდა. ქართველთა წინაპარ ტომებს გარკვეული დამსახურება მიუძღვით ლითონის მეტალურ-



ძელისაგან დამზადებული იარაღები (ენეოლითური ხანის საწყისი).

გიის დაწყების, ათვისებისა და განვითარების საქმეში, თვითნაბადი სახით ბუნებაში მოიპოვება ოქროც. ეს ლითონიც ადვილი დასამუშავებელია, მაგრამ იგი გაცილებით უფრო იშვიათია. ძირითი შესანიშნავი სილამაზისა და ბრწყინვალების გამო ადამიანმა ადრევე დაიწყო ოქროსგან სამკაულებისა და სხვა ნივთების დამზადება.

ლითონის ათვისების ამ ადრეულ ეტაპზე ძირითადი სამეურნეო იარაღი კვლავ ქვისგან, აგრეთვე ძვლისგან და ხისგან მზადდებოდა. ქვის დამუშავების ტექნიკა ამ დროს უმაღლეს დონეზეა, ქვის იარაღი მაინც რჩებოდა ადამიანის ძირითად საწარმოო საშუალებად. ამიტომ ამ ახალ ხანას ს პ ი ლ ე ნ ძ - ქ ვ ი ს, ანუ ე ნ ე ო ლ ი თ ი ს[1] ხ ა ნ ა ს უწოდებენ.

ენეოლითის ხანა გამოირჩევა ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შესამჩნევი დაწინაურებით. მიწათმოქმედებაში ზოგან შეინიშნება ხელოვნური მორწყვაც. მიწის დასამუშავებლად უკვე იწყებენ მეტისმეტად პრიმიტიული (მაგალითად, ირმის რქისგან დამზადებული) სახნავი იარაღის გამოყენებას. ამ სიახლეების შედეგად მეურნეობა უფრო შემოსავლიანი ხდება.



ირმის რქა, რომელსაც ალბათ სახვნელ იარაღად იყენებდნენ.

ამ დროის ადამიანი საცხოვრებლად უკვე იშვიათად იყენებს გამოქვაბულებს. ბუნებრივი გამრავლების გამო იგი იქ ვე-

[1] ე ნ ე ო ს — ლათინურად სპილენძს ნიშნავს, ლ ი თ ო ს — ბერძნულად ქვაა.

ენეოლითის ხანის ნამოსახლარი, გათხრების შემდეგ.

ენეოლითის ხანის საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქცია.

ღარ ეტევა და თვითონ აშენებს საცხოვრებელ სახლებს. სახლები იყო ალიზით ნაგები მცირე ზომის წრიული და ოვალური ფორმის, სხვადასხვა სათავსებით. ამ საცხოვრებლის შიგნით ან მის გვერდით თიხის კერიებში მუდმივად ენთო ცეცხლი. ასეთი საცხოვრებლები არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე (შულავერის გორა, იმირის გორა და სხვ.).

რამდენიმე ათეული ასეთი სახლი ერთ დასახლებას ქმნიდა, რომელიც ძირითადად მომაღლო ადგილებზე, ბორცვებსა და გორაკებზე იყო განლაგებული. ამ გორაკებს ზოგჯერ თავდაცვისთვის გამიზნული თხრილი ან ქვის ყორე ჰქონდა შემოვლებული. გამრავლებული მოსახლეობა საცხოვრებლად გადადიოდა მახლობლად მდებარე სხვა გორაკებზე. რამდენიმე ასეთი დასახლებული გორა დასახლებათა გარკვეულ ჯგუფს ქმნიდა, რომელიც გვაროვნულ-ტომობრივ ერთეულს წარმოადგენდა. ამ დასახლებათა ჯგუფის ცენტრად ხშირად ის თავდაპირველი გორა რჩებოდა, საიდანაც დაიწყეს განსახლება. აქვე იყო მათი მთავარი სალოცავი, თავდასაცავი გამაგრებული ადგილი, აქვე იკრიბებოდნენ თემის უხუცესები სათათბიროდ და სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტად. სამიწათმოქმედო მეურნეობა ახლომდებარე მიწებზე იყო გაშლილი, საქონელსაც ახლომახლო საძოვრებზე აძოვებდნენ. მწყემსებად ძირითადად მამაკაცები იყვნენ.

საქონლის მომრავლებამ, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ლითონის იარაღის ცალკეული თემის თუ გვარის ხელში დაგროვებამ მათ შორის საომარი შეჯახებები გაახშირა. სწორედ ამის გამო გახდა აუცილებელი დასახლებული ადგილების გამაგრება. საომარი შეჯახებები და კონფლიქტები გამოწვეული იყო უფრო მოსახერხებელი საცხოვრებელი ადგილების, პროდუქტე-



ენეოლითის ხანის ძელისა და ირმის რქისგან დამზადებული იარაღები: თოხისპირები, კვირისთავები, სადგისები, ისრისპირები.

ბის, საქონლის თუ ლითონის იარაღის ხელში ჩაგდების მცდელობით. საომარ შეჯახებებში უმთავრესად მამაკაცები მონაწილეობდნენ. ლითონსაც ისინი მოიპოვებდნენ და ამუშავებდნენ. ასე, რომ, მამაკაცის როლი გვარის ცხოვრებაში დღითი დღე იზრდებოდა. ამან გამოიწვია გვარის და ტომის მმართველობაში მამაკაცის წინ წამოწევა. **დედამთავრულმა გვარმა (მატრიარქატმა) ადგილი დაუთმო მამამთავრულ გვარს (პატრიარქატს).**

2. ქართველი ტომები ბრინჯაოს ხანაში. ჩვ. წ-აღ-მდე IV — III ათასწლეულის მიჯნაზე ქართველთა წინაპარმა ტომებმა უკვე ისწავლეს იარაღის მასალად ბრინჯაოს გამოყენება. ბრინჯაოს ღებულობდნენ ცეცხლზე გამდნარ სპილენძში სხვადასხვა ნივთიერების (კალის, დარიშხანის, ანთიმონის) შერევით. ამით ლითონი უფრო მაგარი ხდებოდა. გამდნარ ბრინჯაოს ყალიბებში ასხამდნენ და ასეთი გზით საჭირო ფორმის იარაღს იღებდნენ. სამეურნეო და საბრძოლო იარაღის გაუმჯობესება სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. ამის მიხედვით ბრინჯაოს ხანას მეცნიერები სამ პერიოდად ყოფენ: ადრე, შუა და გვიან ბრინჯაოს ხანად.

ჩვ. წ -აღ-მდე IV ათასწლეულის ბოლოს და III ათასწლეულის I ნახევარში საქართველოში ჩამოყალიბდა ადრეული ბრინჯაოს საკმაოდ მაღალი კულტურა, რაც მეცნიერებაში მტკვარ-არაქ-



ბრინჯაოს ცულები და ჩამოსასხმელი ყალიბები.

სის კულტურის სახელით არის ცნობილი. ეს კულტურა ფართოდ გავრცელდა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელს წინა აზიაში. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან კი ახალი, უფრო დაწინაურებული ცხოვრება ჩანს, დაწინაურდა მესაქონლეობა (განსაკუთრებით მეცხვარეობა), განვითარდა მეტალურგია და ხელოსნობა.

ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში ჯერ კიდევ არ არიან ერთმანეთისადმი დაპირისპირებული (ანტაგონისტური) კლასები, გვარისა თუ ტომის წევრები თანასწორუფლებიანები არიან. მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა, როგორიც იყო, ომისა და ზავის საკითხი, ბელადის არჩევა, მძიმე დანაშაულისათვის სასჯელის გამოტანა და სხვ., საერთო-სახალხო კრებაზე ხდებოდა. ყველა მამაკაცი გამოდიოდა საბრძოლველად და საერთო ღონისძიებების განსახორციელებლად. ასეთი საერთო ღონისძიება იყო, მაგალითად, გარდაცვლილი ბელადისათვის დიდი ყორღანული სამარხის აგება.

სამხედრო შეჯახებების გახშირების გამო ერთობლივი თავდაცვის ანდა სხვა ტომებზე უპირატესობის მოპოვების მიზნით, ცალკეული ტომები ერთიანდებოდნენ ტომთა კავშირებად. ასეთი ტომთა კავშირები თავდაპირველად არ იყო ხანგრძლივი და მყარი. ტომები მხოლოდ მაშინ შეკავშირდებოდნენ ხოლმე როდესაც განზრახული იყო დიდი ლაშქრობის მოწყობა ან საგარეო მტრის შემოსევის საფრთხე შეიქმნებოდა. ამის შემდეგ კი ეს კავშირი ისევ იშლებოდა.

არქეოლოგიური მასალა საქართველოს ტერიტორიაზე უკვე შუა ბრინჯაოს ხანაში ტომთა დიდი კავშირების არსებობას ადასტუ-



ოქროსგან დამზადებული ლომის სკულპტურული გამოსახულება ალაზნის ველიდან (ჩვ. წ -აღ-მდე III ათასწლეულის ბოლო).



ყორღანის ხედი და გეგმა.

რებს. მაგალითად, თ რ ი ა ლ ე თ ი ს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ აღმოჩნდა ტომთა ასეთი დიდი კავშირების ბელადების მდიდრული სამარხები. ბელადებს მაშინ დიდ ყორღანებში მარხავდნენ, რომლის აგებაშიც ადამიანთა დიდი კოლექტივი, კავშირში შემავალი ყველა ტომი მონაწილეობდა. ეს ყორღანები გრანდიოზულ მიწაყრილებს წარმოადგენდა. ზოგის სიმაღლე 10—15 მეტრს აღწევდა, ხოლო ფართობი თითქმის მთელ ჰექტარს მოიცავდა. გარდაცვლილი ბელადის გვამს წვავდნენ, ხის ოთხთვალა ეტლზე ათავსებდნენ და ხის ან ქვის დარბაზულ ნაგებობაში დგამდნენ. მას თან ატანდნენ ძვირფას ნივთებს, ჭურჭელს, იარაღს. ამ ნაგებობას ქვაყრილით ან მიწაყრილით ფარავდნენ. თრიალეთის ერთ-ერთ ასეთ ყორღანში აღმოჩნდა ძვირფასი ფე-



ხის ოთხთვალა ეტლის ნაშთი თრიალეთის ყორღანიდან.

რადი ქვებით შემკული ოქროს თასი, რომელიც ოქრომჭედლობის მაღალი ხელოვნებითაა დამზადებული. აქვე აღმოჩნდა ვერცხლის სარწყული ზედ გამოსახული ცხოველებითა და ნადირობის სცენით. განსაკუთრებით საინტერესოა ვერცხლის სასმისი, რომლის ზედაპირზეც რაღაც რელიგიური ცერემონიალია გამოსახული. ეს ყორღანული სამარხი უსათუოდ დიდი ძალაუფლების მქონე ბელადს ეკუთვნოდა.

ჩვ. წ-აღ-მდე II ათასწლეულის მეორე ხახევარი უკვე გვიანი ბრინჯაოს ხახაა. ამ დროს საქაროველოს ტერიტორიაზე ორი დი-



ვერცხლის თასი რიტუალური სცენის გამოსახულებით და ოქროს თასი. ძვირფასი ქვებით შემკული. თრიალეთის ყორღანიდან.

დი კულტურული წრეა ჩამოყალიბებული: დასავლურ-ქართული, რომელიც კოლხური კულტურის სახელითაა ცნობილი და აღმოსავლურ-ქართული. ასეთი ერთგვაროვანი კულტურული წრეების არსებობა აქ მცხოვრები ტომების ერთმანეთთან დაახლოება-შეკავშირებას მოწმობს.

3. ადრეკლასობრივი ურთიერთობის ჩასახვა ქართველ ტომებში. ჩვ. წ-აღ-მდე II ათასწლეულის მანძილზე ბრინჯაოს იარაღის შემდგომი განვითარება და სრულყოფა იწვევდა მეურნეობის სწრაფ დაწინაურებას. გაუმჯობესებული იარაღები უკვე ცალკეული პირების თუ ოჯახების საკუთრებაშია. ასევე საოჯახო საკუთრებაშია საცხოვრებელი სახლი, პირუტყვი. ცალკეული ოჯახები გვაროვნული თემებიდან გამოიყოფიან და თავიანთ მეურნეობას თვითონვე უძღვებიან. ზოგი ოჯახი თავის გვარსაც წყდება და სხვა გვარის ტერიტორიაზე სახლდება. ასე იშლებოდა გვაროვნული თემი. მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერი იყო თემური ცხოვრებისა და მეურნეობის ერთობლივად წარმოების ტრადიციები. მიწის დიდი ნაწილიც საერთო-თემურ მფლობელობაში იყო დარჩენილი. ამიტომ თემური მიწისმფლობელობა, ისევე როგორც საუკუნეების გან-





ритუალური დანიშნულების ცულები და შუბისპირი ჯოლხეთიდან.

ბოიხჯაოს სამარი იარაღები აღმოსავლეთ საქართველოდან (ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო).

მავლობაში გამომუშავებულ ადათ-წესებზე დამყარებული თემური მმართველობა, კიდევ დიდხანს არსებობდა. განსხვავება ის იყო, რომ ამჯერად თემებში მხოლოდ ერთი გვარის ან ერთმანეთის ახლო მონათესავე ოჯახები კი აღარ იყვნენ გაერთიანებულნი, არამედ სხვა გვარის ოჯახებიც. ასე თანდათან შეცვალა გვაროვნული თემი ახალი ტიპის თემმა, რომელსაც ს ა მ ე ზ ო ბ ლ ო თ ე მ ი ეწოდება.

კერძო საოჯახო მეურნეობის და კერძო საკუთრების განვითარება იმას იწვევდა, რომ ცალკეულ ოჯახებს მეტი სიმდიდრე დაუგროვდათ, ვიდრე სხვა მეთემეებს. ამავე დროს ტომის არჩეული ხელმძღვანელი პირები, რომლებიც ძირითადად ასეთი დაწინაურებული ოჯახებიდან იყვნენ გამოსულნი, ცდილობდნენ სამუდამოდ დაუფლებოდნენ და მემკვიდრეობითაც გადაეცათ თავიანთი ხელისუფლება. მათ მხარს უჭერდნენ მათი უახლოესი მეომარი-რაზმელები. ისინი სარგებლობდნენ თავიანთი მდგომარეობით და მიწის საუკეთესო ნაკვეთებს ისაკუთრებდნენ. ბრძოლის დროს ხელში ჩაგდებული ნადავლის დიდ ნაწილსაც ისინი ეუფლებოდნენ და კიდევ უფრო მდიდრდებოდნენ. ასევე მდიდრდებოდნენ

მეომრის ბრინჯაოს ქანდაკება მელაანიდან (კახეთი, ჩვ. წ.-აღ-მდე I ათასწლეულის I ნახევარი).

მაშინდელი რელიგიის მსახურნიც — ქურუმები, რომლებიც ამა თუ იმ სალოცავისთვის შეწირულ სიმდიდრეს და მიწას თვითონ ეუფლებოდნენ და თავის სასარგებლოდ იყენებდნენ. ტომის ბელადები ხშირად უმაღლესი ქურუმებიც იყვნენ. ეს კიდევ უფრო ზრდიდა მათ ძალაუფლებასა და ავტორიტეტს. ომიდან წამოყვანილ ტყვეებს აღარ ხოცავდნენ, როგორც წინათ, არამედ მ ო ნ ე ბ ა დ აქცევდნენ და მეურნეობაში იყენებდნენ. ტყვე-მონებს დიდი რაოდენობით სწირავდნენ სალოცავებს და ესენიც ფაქტობრივად ქურუმების მფლობელობაში ექცეოდნენ.

თემიდან გამოყოფილი ასეთი დაწინაურებული დიდკაცობა თანდათან ცალკე კლასად ჩამოყალიბდა, რომელიც ჩაგრავდა და ექსპლოატაციას უწევდა არა მარტო მონებს, არამედ თავისუფალ მეთემეთა დიდ ნაწილსაც.

პირველყოფილი საზოგადოების გათიშვა სხვა გზითაც ხდებოდა. უფრო ძლიერი და დაწინაურებული ტომი ძალით იმორჩილებდა სხვა უფრო სუსტ ტომს. ამ დამორჩილებული ტომის მეთემენი იძულებულნი იყვნენ გაბატონებული ტომის სასარგებლოდ გაეღოთ გადასახადი და მისი ბრძანებით ლაშქრობაში გამოსულიყვნენ ასე რომ **ტომთა გაერთიანებები და კავშირები თანდათან ბატონობა-მორჩილების პრინციპით იქმნებოდა და ეწყობოდა.** ასეთი კავშირები უფრო მყარი და ხანგრძლივი იყო. ასე თანდათან იშლება პირველყოფილი თემურ-გვაროვნული წყობილება და ყალიბდება ადრეკლასობრივი საზოგადოება.

კითხვები და დავალებები

1. რომელი ლითონი გამოიყენა პირველად ადამიანმა და რატომ? რას ეწოდება ენეოლითი? 2. როგორი იყო ენეოლითის ხანის ადამიანთა დასახლებანი? 3. რა იწვევდა საომარ შეჯახებებს ტომებს შორის? 4. რა ვიცით მტკვარ-არაქსის კულტურის შესახებ? თრიალეთის კულტურის შესახებ? 5. რომელი კულტურული წრეები ჩამოყალიბდა საქართველოს ტერიტორიაზე გვიან ბრინჯაოს ხანაში? 6. როდის და როგორ ხდება ადრეკლასობრივი ურთიერთობის ჩასახვა ქართველ ტომებში?

II თ ა ვ ი

ადრეკლასობრივი სახელმწიფოები საქართველოს ტერიტორიაზე

§ 8. ქართველ ტომთა უძველესი ადრეკლასობრივი სახელმწიფოები

1. დიაოხი. ქართველ ტომებსა და ტომთა კავშირებს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ ძველი აღმოსავლეთის კულტურულ ხალხებთან. ჩვ. წ–აღ-მდე II ათასწლეულის მანძილზე ქართველი ტომების უშუალო მეზობლები სამხრეთით იყვნენ უძველესი ცივილიზაციის მქონე ხალხები: ხეთები, მითანელები, უფრო გვიან ასურელები, ურარტელები. ქართველი ტომების შესახებ აიოველი ცხობები ამ ხალხების ლურსმულ წარწერებში ჩნდება, საიდანაც ვგებულობთ, რომ ჯერ კიდევ ჩვ. წ-აღ-მდე XII ს. დასაწყისში ქართველი ტომების ნაწილი (მაგ. მესხები, ანუ მუშქები და სხვ.) ამიერკავკასიიდან შორს, წინააზიაში გაჭრილან და იქ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ აქაური ქვეყნების ცხოვრებაში. იყო ბრძოლები, შეჯახებები, მაგრამ იყო მშვიდობიანი თანაცხოვრებაც, რომლის დროსაც წინა აზიის ხალხები და ქართველი ტომები ეცნობოდნენ და ითვისებდნენ ერთმანეთის კულტურული შემოქმედებისა და ცივილიზაციის მიღწევებს.

საქართველოს ისტორიული ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ჩვ. წ-აღ-მდე II ათასწლეულის ბოლოსათვის ძველაღმოსავლური წყაროები ასახელებენ ქართველ ტომთა დიდ გაერთიანებას, რომელსაც ასურულ წარწერებში **დ ა ი ა ე ხ ი**, ხოლო ურარტულ წყაროებში **დ ი ა ო ხ ი** ეწოდებოდა. უფრო გვიან ძველი ბერძნები ამ ადგილების მცხოვრებლებს **ტ ა ო ხ ე ბ ს** ეძახდნენ. ეს სახელი შემორჩა ერთ-ერთ აქაურ ძველ ქართულ პროვინციას — **ტ ა ო ს**.

დიაოხის გაერთიანება სათავეში ედგა ტომთა დიდ კავშირს, რომელიც მედგრად იბრძოდა ასურელი მეფეების აგრესიის წინააღმდეგ. ასურეთის მეფეებმა არაერთხელ დალაშქრეს დიაოხის,

ლურსმული (ურარტული) დამწერლობის ნიმუში.

აგრეთვე მისი მოკავშირეების მიწა-წყალი. დამპყრობლებმა აქედან წაიღეს დიდძალი ნადავლი, გარეკეს ათასობით საქონელი და დატყვევებული ადამიანები, მაგრამ დიაოხის სრული განადგურება მათ მაინც ვერ შეძლეს. დიაოხი იბრძოდა ურარტუს ძლიერ **სახელმწიფოსთანაც, რომელიც მის სამხრეთით ჩვ. წ-აღ-მდე IX საუკუნიდან ჩამოყალიბდა.** ურარტუს მეფეებმა მენუამ და არგიშთი I (ჩვ. წ-აღ-მდე IX — VIII სს.) რამდენჯერმე ილაშქრეს დიაოხის მეფე უტუფურსის წინააღმდეგ. თავდაპირველად იგი დაამარცხეს და დიდი ხარკიც დაადეს, მაგრამ მალე დიაოხის ქვეყანა კვლავ აჯანყდა და ურარტუს მეფე არგიშთი I ხელახალი ლაშქრობა მოუხდა უტუფურსის დასამორჩილებლად. აღსანიშნავია, რომ **ურარტულ წარწერებში დიაოხს „ძლევამოსილი (ძლიერი) ქვეყანა“ ეწოდება.** ამ წარწერებიდანვე ჩანს, რომ დიაოხი ,მდიდარი და განვითარებული ქვეყანა იყო, რომელსაც მეფე განაგებდა, **დიაოხი უკვე სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა.**

ურარტელთა შემოსევებმა დიდად დაასუსტა დიაოხი. ურარტელებმა მას წაართვეს სამხრეთი რაიონები, ხოლო ქვეყანას



საომარი ეტლის ბრინჯაოს მოდელი (წითელწყაროს რაიონი, ჩვ. წ-აღ-მდე VIII—VII სს.).



მხედრისა და საომარი ეტლის გამოსახულება ურარტუს მეფის არგიშთი მენუას ძის მუზარადზე.

მძიმე ხარკი დააკისრეს. დიაოხი ურარტუს მეფეს უხდიდა ათასობით პირუტყვსა და ცხენს, დიდძალ სპილენძს, ოქროსა და ვერცხლს (იხ. დოკ. 1), მაგრამ ურარტუმ დიაოხის ძთლიანი დაპყრობა ვერ შეძლო. მას უკანასკნელი ლახვარი ჩასცა ჩრდილოელმა მეზობელმა კოლხამ.

2. კოლხა. კოლხა მეორე დიდი ქართული გაერთიანება იყო, რომელიც შავი ზღვისპირეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოყალიბდა. იგი არსებობდა ჩვ. წ–აღ-მდე XI — VIII საუკუნეებში. მის სათავეშიც მეფე იდგა, რომელიც თავის სამეფოს მოხელეების (მეფის ნაცვლების) საშუალებით განაგებდა. აქ იყო არაერთი სამეფო ქალაქი, რაც ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაწინაურებას მოწმობს. **კოლხა ადრეკლასობრივი სახელმწიფო იყო.** მის დაწინაურებულ მდგომარეობას კარგად ასახავს ცნობილი მითი არგონავტების შესახებ.

ძველი ქვეყნების ისტორიიდან თქვენ გახსოვთ, რომ ძველ საბერძნეთში ფართოდ იყო გავრცელებული მითი ა რ გ ო ნ ა ვ ტ ე ბ ზ ე, რომელშიც აისახა ძველი ბერძნების წარმოდგენა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქართველ ტომთა ამ გაერთიანების შესახებ, რომელსაც ისინი კოლხეთის სამეფოს ეძახდნენ. ამ მითის მიხედვით კოლხეთი უძლიერესი სახელმწიფო იყო, რომლის სათავეშიც მეფე ა ი ე ტ ი იდგა. აიეტს დიდებული სასახლე ჰქონდა ქვის მაღალი სვეტებითა და სპილენძის ქონგურებით დამშვენებული. სასახლეში დაუშრეტელი შადრევნები ჩქეფდა, რომლიდანაც წყალთან ერთად რძე და სურნელოვანი ზეთი იღვრებოდა. აიეტს, მზის ღმერთის ჰელიოსის შვილს, ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთმა ჰეფესტომ გამოუჭედა სპილენძისფეხებიანი ცეცხლის მფრქვეველი ხარები. მანვე გაუკეთა მაგარი ფოლადის გუთანი. აიეტთანვე ინახებოდა ოქროს საწმისი — ვერძის ოქროს

3. საქართველო და მეზობელი ბერიგორიები ძვ. წ. II-ათასწლეულსა
და I ათასწლეულის I ნახევარში



მატყლიანი ტყავი. აი, ამ აიეტთან ოქროს საწმისის წასაღებად საბერძნეთიდან გამოემგზავრნენ სახელგანთქმული გმირები ი ა ზ ო ნ ი ს მეთაურობით. მათ ხომალდს ა რ გ ო ერქვა, ამიტომ ამ ექსპედიციის მონაწილეებს არგონავტები დაარქვეს[1].

ტიმ სევერინის მიერ აღდგენილი არგონავტების ხომალდი შავ ზღვაში.

არგონავტებმა ძნელი, ხიფათიანი მგზავრობის შემდეგ მიაღწიეს კოლხეთის ნაპირს და წარუდგნენ მეფე აიეტს. კოლხეთის მეფემ იაზონს აღუთქვა ოქროს საწმისის მიცემა, თუ ის შეძლებდა აიეტის სპილენძისჩლიქებიანი ცეცხლისმფრქვეველი ხარების უღელში შებმას, შემდეგ ფოლადის სახნისიანი გუთნით მინდორს მოხნავდა და ხნულში ურჩხულის კბილებს დათესავდა, ბოლოს ამ კბილებიდან აღმოცენებულ სპილენძისჯავშნიან მეომრებს დახოცავდა. ყოველივე ამას თვითონ აიეტი ადვილად აკეთებდა, ხოლო იაზონი ვერ შეასრულებდა მას კოლხთა მეფის გრძნეული ქალიშვილი მედეა რომ არ დახმარებოდა. ბერძენი ღმერთების ნებით

[1] ამ მცირე ხნის წინ არგონავტების მარშრუტი გაიმეორა ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ტიმ სევერინმა. ამით მან დამტკიცა მაშინდელი ტექნიკური პირობებით ასეთი მოგზაურობის სრული შესაძლებლობა.

მედეას თავდავიწყებით შეუყვარდა იაზონი და ასწავლა მას, თუ როგორ შეესრულებინა ეს მძიმე დავალება. შემდეგ მედეა დაეხმარა იაზონს ოქროს საწმისის მოტაცებაშიც.

ამ მითში ლეგენდარულ ამბებთან ერთად ისტორიული სინამდვილეც არის ასახული. მაგალითად, ბერძნებმა ამ თქმულებაში გადმოსცეს კოლხეთის მაღალი მეტალურგიული და სამიწათმოქმედო კულტურა, ქვეყნის პოლიტიკური სიძლიერე და სხვ. ფოლადის სახნისიანი გუთანი აქ შემთხვევით როდია ნახსენები. ჩვ. წ-აღ-



იასონი და მედეა იტაცებენ ოქროს საწმისს. ნახატი ბერძნულ ლარნაკზე.

მდე II ათასწლეულის ბოლოდან საქართველოში უკვე იცნობენ რკინას, რომლის დანერგვასა და ათვისებაში ქართველ ტომებს, კერძოდ შავი ზღვის სამხრეთ მთიანეთში მცხოვრებ ხ ა ლ ი ბ ე ბ ს[1], გარკვეული დამსახურება მიუძღვით.

ქართველი ტომების დიდ დამსახურებას მეტალურგიის დანერგვა-განვითარ ბის საქმეძი გარკვეულად ასახავს მითი პრომეთეს შესახებ, რომელიც ძალიან აგსკს უძველეს ქართულ თქმულებას ამირანზე. პრომეთემ ზევსს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს მისცა. ამ ცეცხლით ადამიანებმა ლითონის გამოდნობა შეძლეს. პრომეთეს თქმულების საქართველოსთან კავშირს ისიც ამტკიცებს, რომ ეს ადამიანებისათვის მნიშვნელოვანი გმირი ზევსმა საბოლოოდ საქართველოში, კავკასიონის მთაზე მიაჯაჭვა.

8. დიაოხისა და კოლხას განადგურება. ჩვ. წ-აღ-მდე I ათასწლეულის პირველ ნახევარში დიდი ცვლილებები განიცადეს დიაოხიმ და კოლხამ. ჯერ იყო და კოლხასთან გამუდმებული შეჯახებებით და ბრძოლებით დასუსტებულმა დიაოხიმ ველარ გაუძ-

[1] ხალიბების სახელიდანაა ნაწარმოები ფოლადის ბერძნული სახელწოდება „ხალიფს“, რაც ხალიბურ ლითონს ნიშნავს.

4. კიმერიელთა და სკვითების შემოსევები ამიერკავკასიაში



ლო ურარტუს შემოტევას და ჩვ. წ-აღ-მდე VIII ს. შუა ხანებში არსებობა შეწყვიტა. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი მოექცა კოლხას შემადგენლობაში, ხოლო ნაწილი კი ურარტუმ დაიკავა. ამის შემდეგ ერთმანეთს გაუმეზობლდნენ ურარტუ და კოლხა და

ახლა მათ შორის დაიწყო ბრძოლა. მარტო ურარტუს მეფე ს ა ო - დ ურ II ორგზის ილაშქრა კოლხეთში (ჩვ. წ-აღ-მდე 750—741 წწ.). ამ ბრძოლებმა დიდად დაასუსტა კოლხეთი. ჩვ. წ–აღ-მდე VIII ს. უკახასკნელ მეოთხედში კოლხეთის სამეფო გაანადგურეს ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილმა მომთაბარე ტომებმა, კ ი მ ე რ ი ე ლ ე ბ მ ა. კიმერიელების ცხენოსანთა ლაშქარმა და ურდოებმა გრიგალივით გადაუარა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას და ბოლო მოუღო კოლხას სამეფოს არსებობას. კიმერიელებმა თავზარდაძცემი ძთაბეჭდილება მოახდინეს მთელ მაშინდელ წინა აზიაზე. ქართველი ხალხის მეტყველებაში დღესაც მათი სახელი დაუმარცხებლის, გმირის მნიშვნელობისაა. სიტყვა „გმირი“ წარმოდგება კიმერიელთა სახელწოდებიდან „გიმირ“.

ბრინჯაოს კოლხური ცულები (ჩვ. წ-აღ-მდე I ათასწლეულის დასაწყისი).

ჩვ. წ–აღ-მდე VIII ს. ბოლოს, ამჯერად კასპიის ზღვის სანაპიროს გამოვლით ამიერკავკასიაში და შემდეგ წინა აზიაში შემოიჭრა მეომარი ტომების ახალი დიდი ტალღა, რომელსაც სათავეში ს კ ვ ი თ ე ბ ი ედგნენ. სკვითებმა აქაურ მოსახლეობას საშინელი ნგრევა და განადგურება დაატეხეს თავს.

დიდი ცვლილებები მოხდა საქართველოს სამხრეთითაც. **ჩვ. წ–აღ-მდე 590 წ. ურარტუს სამეფო გაანადგურეს მიდიელებმა, რომლებთან ერთადაც ურარტუს წინააღმდეგ იბრძოდნენ სკვითები და ამიერკავკასიის ხალხები.** ურარტუს მოსახლეობის ნაწილი ჩრდილოეთით გადასახლდა და ქართველი ტომების ჰეგემონობის ქვეშ მოექცა. ისინი თანდათან გაითქვიფნენ ქართველებში და ქართველი ხალხის კულტურასა და მეტყველებაში ბევრი საგულისხმო ელემენტი შემოიტანეს. მაგალითად, ქართულში დღეს დამკვიდრებულია გამოთქმები — ყირამალა, თავდაყირა, ყირაზე გადასვლა და სხვ. „ყირა“ ქართულად არაფერს ნიშნავს, ურარტულში კი იგი მიწას აღნიშნავდა. აშკარაა, ამ გამოთქმებში ურარტული სიტყვაა ნახმარი: ყირა (მიწა)მა(ო)ლა, თავდა (თავით) ყირა (მიწისაკენ) და ა. შ. ურაოტელებმა ქართველთა ყოფასა და მეტყველებაში შეძოიტანეს მათი ძოსავლიანობის ღვთაების „არალეს“ კულტი და სახელი. დღემდე ქართულ სამეურნეო სიმღერებში ამ ღვთაების სახელი და მისდამი მიმართვა ისმის. მაგალითად, ცნობილი ქართული სიმღერა „ოროველა“, რომელსაც გუთნისდედა მღეროდა პირველი ხნულის გაყვანის დროს, იწყება მოწოდებით ღვთაება არალესადმი: „არი არალი, არალე-ე-ე!“ „არი“ ურარტულად ნიშნავს მოგვეცი, ე.ი. ამ სიმღერაში გუთნისდედა ევედრება მოსავლიანობის ღვთაება არალეს, რომ მოგვეცი კარგი მოსავალიო, ღვთაებავ არალე და ა.შ. ანდა სიმღერა „კა-



ურარტუს მეფე მენუას წარწერის ფრაგმენტი.

ლოსპირული," რომელიც ასევე არალესადმი ძიძართვიფ იწყება („არალო-ო და"!) და შემდეგ მხიარულ ცეკვაში გადადის, რაც ღვთაებისადმი მადლობას და უხვი მოსავლის აღების ზეიმს განასახიერებს. სხვა სიმღერებში არალეს ეწოდება „ივრი არალე", „თარი არალე", რაც ნიშნავს ურარტულად „მეუფეო არალე", „დიდო არალე" და ა.შ.

ურარტუს სამეფოს განადგურების შემდეგ მისი ტერიტორიის მთელი რიგი რაიონები დაიკავეს სომეხი ტომების გაერთიანებებმა, რომლებიც აქამდე ურარტუს დასავლეთ პერიფერიებზე მოსახლეობდნენ. ამ რაიონებში მცხოვრები ურარტელების დიდი ნაწილი სომხებში გაითქვიფა. ამის შემდეგ ქართველების უშუალო მეზობლები სამხრეთით სომხები გახდნენ.

ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხი*. ქართველი ხალხი, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ხალხი, ხანგრძლივი და რთული ისტორიული პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა. ამ პროცესისადმი თვალის გადევნება შეიძლება ტომებისა და ტომთა კავშირების წარმოქმნის დროიდან. ქართველი ხალხის შემადგენლობაში შეეიდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მოსახლე სხვადასხვა ტომი, რომელთა ნაწილი ერთმანეთის მონათესავე და საერთო წარმომავლობისა იყო, ხოლო ნაწილი სხვადასხვა დროს მოსული და შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობაში შერწყმული. კავკასიის უძველესი მოსახლეობა, ქართველთა წინაპარი ტომები გარკვეულ სიახლოვეს ამყარებდნენ წინა აზიის უძველეს კულტურულ ხალხებთან (შუმერებთან, პროტოხეთებთან, ხურიტებთან და სხვ.). ამის მიზეზი უნდა იყოს როგორც შესაძლებელი გენეტიკური ნათესაობა, ისე ამ ხალხებთან ხანგრძლივი ურთიერთობა-კონტაქტები. ასეთივე კონტაქტები დასტურდება უძველეს ინდოევროპულ ტომებთანაც. ამ საკითხების დასაზუსტებლად ამჟამად სერიოზულად მუშაობენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები: ლინგვისტები, არქეოლოგები, ეთნოგრაფები, ანთროპოლოგები, ხელოვნების ისტორიკოსები და სხვ.

საერთო წარმომავლობის ქართველი ტომებიდან დღეს შეიძლება დავასახელოთ ქ ა რ თ ე ბ ი, მ ე გ რ ე ლ - ჭ ა ნ ე ბ ი და ს ვ ა ნ ე ბ ი. ერთი საერთო ძირიდან მომდინარე ეს ტომები გარკვეულ დროს და გარკვეულ პირობებში (ბუნებრივი გამრავლება-განსახლების, ისტორიულად განსხვავებული პირობებისა და სხვა მიზეზების გამო ერთმანეთს ჩამოშორდნენ და ცალ-ცალკე განვითარდნენ, აშიტომ მათი საერთო ძირიდან მომდინარე ენებიც ერთმანეთს დაშორდა.

საერთო ქართველური ფუძე-ენიდან (წინარექართველურიდან) ყველაზე ადრე (ჩვ. წ–ან-მდე II ათასწლეულის დასაწყისში) გამოიყო სვანური. უფრო გვიან ერთმანეთს გაეთიშა და ცალ-ცალკე განვითარდა ქართული და მეგრულ-ჭანური ენები. ამ ენებმა სხვა ენების გავლენაც განიცადეს. ამრიგად, ასეთი განცალკევებული განვითარებისა და სხვა ენების გავლენის შედეგად ეს ქართველური ენები ერთმანეთს დაშორდა და დამოუკიდებელ სალაპარაკო ენებად ჩამოყალიბდა.

ქართლის ძველი სამეფოს (ცენტრით მცხეთაში) წარმოქმნის დროიდან (ჩვ. წ–ან-მდე IV — III სს.) მის ფარგლებში მოექცა დასავლეთ საქართველოს

---

* დასწავლა არ არის საკალდებულო

მნიშვნელოვანი ნაწილიც, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს მოსახლეობის ერთმანეთთან კვლავ დაახლოებას და ერთ ხალხად ჩამოყალიბებას. ამ პროცესში პოლიტიკურ-კულტურული ჰეგემონობა ქართლს ეკუთვნოდა, ამიტომ საერთო ენის ფუნქციას ქართული ასრულებდა.

კითხვები და დავალებები

1. რა ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ ტომებს წინა აზიის უძველეს ხალხებთან? 2. რატომ და როდის განადგურდა დიაოხი? 3. რა ისტორიული ღირებულება აქვს თქმულებას აოგოხავტების შესახებ? 4. რა ურთიერთობა და კავშირი ჰქონდათ ქართველ ტომებს ურარტუს მოსახლეობასთან? 5. შეადარეთ ერთმანეთს ქართული თქმულება ამირანის შესახებ ბერძნულ მითს პრომეთეზე. 6. დააკვირდით, კიდევ რომელ ქართულ ხალხურ სიმღერებში ისმის არალეს სახელი?

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

1. დიაოხი და კოლხა ჩვ. წ–აღ-მდე VIII ს. ლურსმულ წარწერებში

ა) ურარტუს მეფე არგიშთი I დიაოხიში ლაშქრობის შესახებ

(ფრჩხილებში ჩასმულია ამხსნელი სიტყვები)

„... ქალაქი ზუა, დიაოხის ქვეყნის სამეფო ქალაქი, მე დავწვი... დიაოხის მეფე დავიმორჩილე, შევიწყალე იგი ხარკის გადახდის პირობით: აი, რა ხარკი მისცა დიაოხიელმა არგიშთის: 41 მინა[1] სუფთა ოქრო, 37 მინა ვერცხლი, (ამდენი[2]) ათიათასი მინა სპილენძი, ათასი საჯდომი ცხენი, სამასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. აი, როგორი ხარკი დავადე მე დიაოხის ქვეყანას, რათა მას ეს ყოველწლიურად ეძლიო: (ამდენი) მინა სუფთა ოქრო, ათი ათასი მინა სპილენძი, (ამდენი) ხარი, ასი ძროხა, ხუთასი ცხვარი, 300 საჯდომი ცხენი... მეფეები, რომლებიც დიაოხიელი მეფის დასახმარებლად მოვიდნენ, მე გავანადგურე“.

ბ) ურარტუს მეფე სარდურ II კოლხაში ლაშქრობის შესახებ

„სარდური ამბობს: გავემართე სალაშქროდ კოლხას ქვეყნის წინააღმდეგ... ქალაქი ილდამუსა, სამეფო ქალაქი, კოლხას ქვეყნის მეფისა, ბრძოლით დავიპყარი, მისი მოსახლეობა გადავბუგე. კოლხას (მეფის) ნაცვლები, რომელნიც კი იქ იყვნენ, გავეცალეტ. რკინის ბეჭედი გავაკეთებინე, წარწერა დავდგი ქალაქ ილდამუსაში. ციხესიმაგრეები, ქალაქები დავწვი და დავანგრიე, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები და ქალები გავრეკე“.

---

[1] მ ი ნ ა — წონის ერთეული, უდრიდა 505 გრამს.

[2] ტექსტში რაოდენობის აღმნიშვნელი ციფრები არ იკითხება.

კითხვები

1. რა ცნობებს გვაწვდის მოტანილი წარწერები დიაოხსა და კოლხაში ლითონის დამუშავებისა და მესაქონლეობის განვითარების შესახებ? 2. ამ დოკუმენტების მიხედვით რა შეიძლება ითქვას დიაოხისა და კოლხას სახელმწიფო წყობაზე?

2. ნაწყვეტები ჩვ. წ-აღ-მდე III საუკუნის ბერძენი პოეტის აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკიდან"

„არგონავტების მფარველმა ქალღმერთმა ჰერამ ეთერში სქელი ნისლი დააყენა და იაზონი თავის მხლებლებით შემურა, რათა აიეტის სასახლისაკენ მიმავალი ვაჟკაცები კოლხთა ურიცხვ ტომს არ დაენახა. როცა იაზონი და მისი მხლებლები აიეტის სასახლესთან მივიდნენ, ჰერამ მყისვე გაფანტა ნისლი. ვაჟკაცები სასახლის შესასვლელთან გაჩერდნენ. ისიი გააოცა მეფის სასახლის გალავანმა, ფართო ჭიშკრებმა და სვეტებმა, რომლებიც მწკრივად იყო აღმართული კედლების გარშემო. სასახლის თავზე, სპილენძის ქონგურებზე, ქვის კოშკი იდგა. იაზონმა და მისმა მხლებლებმა დაუბრკოლებლივ დააბიჯეს ფეხი სასახლის ჭიშკრის ზღურბლს, რომელთანაც მაღლა აღმართული, მწვანე ფოთლებით შემოსილი ვაზები გაშლილიყვნენ. ვაზების ქვეშ ოთხი დაუშრეტელი შადრევანი მოჩუხჩუხებდა. ეს წყაროები ჰეფესტომ[1] ამოაჩქეფა მიწის გულიდან. ერთი რძის შადრევანი იყო, მეორე ღვინისა, მესამედან სურნელოვანი ზეთი მორაკრაკებდა, მეოთხე კი ამოღარული ლოდიდან წყალს მოაქუხებდა, რომელიც პლეიადების[2] ჩასვლის დროს თბებოდა, ხოლო მათი ამოსვლის ჟამს ყინულივით ცივი და ანკარა ხდებოდა. აი, ასეთი ღვთაებრივი საქმეები გააკეთა დახელოვნებულმა ჰეფესტომ კუტაიელი[3] აიეტის სასახლეში. გარდა ამისა, ჰეფესტომ აიეტს გამოუქედა სპილენძისფეხებიანი ხარები, რომელთაც სპილენძისავე ხახები ჰქონდათ, საიდანაც ცეცხლის საზარელი ალი ამოსდიოდათ. მანვე გაუკეთა მთლიანი გუთანი მაგარი ფოლადისაგან... სასახლის ეზოში უზარმაზარი შენობა იდგა, რომელსაც მრავალი ორმაგი კარი და მოსასვენებელი ოთახი ჰქონდა. კარები და ოთახები ერთ საუცხოო ტალანში გამოდიოდა. ამ შენობის მარჯვნივ და მარცხნივ ორი უფრო მაღალი შენობა იდგა. ერთ-ერთ მათგანში აიეტი ცხოვრობდა თავისი ცოლით, მეორეში კი აიეტის ვაჟი აფსირტე... სასახლის დანარჩენი ოთახები ეკავათ აიეტის ორ ასულს, ქალკიოპეს და მედეას და მოახლე ქალებს...

მეორე დილით, როცა მზემ თავისი ნათელი კავკასიონის თოვლიან მწვერვალებს მოჰფინა, ძლევამოსილმა აიეტმა მკერდზე მაგარი აბჯარი შემოიკრა... კოლხეთის მეფემ ამის შემდეგ ოკეანიდან აღმომავალი მზის

---

[1] ჰ ე ფ ე ს ტ ო — ძველი ბერძნების წარმოდგენით, ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთი.

[2] პ ლ ე ი ა დ ე ბ ი — შვიდი მნათობის თანავარსკვლავედი, პლეიადების ჩასვლა ზამთრის დაწყებას მოასწავებს, ამოსვლა კი — ზაფხულისას.

[3] კ უ ტ ა ი ა — აქედან მომდინარეობს ქუთაისის სახელწოდება.

შუქივით მოელვარე ოთხბიბილოვანი ოქროს ძუზარადი ჩამოიცვა თავზე და ხელთ იპყრო ტყავის მრავალი ფენით შემოგარსული ფარი და ისეთი უზარმაზარი შუბი, რომელსაც ძლევამოსილ ჰერაკლეს გარდა, ვერც ერთი გმირი ვერ გამოიყენებდა. მრისხანე აიეტს სასახლის ეზოში ფეხმარდი ცხენებით შებმულ ეტლზე ელოდებოდა მისი ძე... აიეტი ეტლში ჩაჯდა, სადავეები ხელთ აიღო და ქალაქიდან ფართო შარაზე გავიდა, რათა იაზონის მიერ მძიმე დავალების შესრულებას დასწრებოდა. მეფე აიეტს უკან ურიცხვი ხალხი გამოედევნა. კოლხთა ძლევამოსილი წინამძღოლი... მიჰქროდა თავისი ეტლით არესის ველისაკენ".

დავალება და კითხვა

1. აღწერეთ კოლხეთის მეფის აიეტის სასახლე მოტანილი ნაწყვეტის მიხედვით. 2 კოლხეთის შესახებ კიდევ რა ცნობებს ძიაქცევდით თქვენს ყურადღებას აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკიდან"?

§ 4. ეგრისისა და ქართლის სამეფოების წარმოქმნა

5

1. ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს წარმოქმნა. კიმერიელთა გამანადგურებელმა შემოსევამ დიდი ზიანი მიაყენა დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობას. მცხოვრებთა ნაწილი ამოწყდა, ნაწილი აიყარა და გადასახლდა. ამით ისარგებლეს მთიელმა ტომებმა და იწყეს კოლხეთის ბარში მასობრივად ჩამოსახლება. ეს ტომები ჯერ კიდევ პირველყოფილი-თემური წყობილების საფეხურზე იდგნენ. მოიშალა მეურნეობა. ყოველივე ამის გამო დაეცა ძველი კოლხას სამეფო. მაგრამ ასეთი ხელის ძეძძლელი პიროიების მიუხედავად საზოგადოების წინსვლა მაინც არ შეჩერებულა. მალე აღდგა ადგილობრივი სახელმწიფოებრიობა და ქვეყანა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოს შესახებ დიდმნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ძველი ბერძნები. ბერძნებმა ჩვ. წ.-აღმდე VI საუკუნიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არაერთი ახალ'ძეხი დააარსეს. ასეთი იყო, მაგალითად, ფ ა ზ ი ს ი (ქ. ფოთის მახლობლად), დ ი ო ს კ უ რ ი ა (ქ. სოხუმის მახლობლად), გ ი ე ნ ო ს ი (ქ. ოჩამჩირე). სსრ კავშირის ისტორიის კურსიდან თქვენ იცით, რომ ბერძნებმა ასეთივე ახალშენები დააარსეს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც (პანტიკაპეიონი, ოლვია, ხერსონესი და სხვ.). აქ ეს ბერძნული ახალშენები ადგილობრივ

---

[1] ჰ ე რ ა კ ლ ე — ძველ ბერძენთა უდიდესი მითოლოგიური გმირი.

5 საქართველო ძვ.წ.VI – III ს ს-ში


ქალაქი
ციხე
დედაქალაქი
ეგრისის სამეფოს საზღვრები ძვ.წ. VI–V ს ს-ში
ქართლის სამეფოს საზღვრები
ეგრისი
ბიზანტია
ფიზიკა
ფასისი
(ფაზისი)
(ფაზისი)
(ფაზისი)





ოქროს სამაჯური და დიადემა ვანიდან (ჩვ. წ-აღ-მდე V ს.).

ზეთი, ღვინო). საქართველოდან გაჰქონდათ სელი და სელის ნაწარმი, ბეწვეული, ტყავი, გემის საშენი ხე-ტყე, აგრეთვე ხის ძვირფასი ჯიშები, მაგალითად — ბზა. გაჰქონდათ ოქრო, რკინა და სხვა ლითონები, გაჰყავდათ მონებიც.

ბერძენი ავტორების ცნობებით კოლხეთი ამ დროს საკმაოდ დაწინაურებული ქვეყანა იყო. აქ განვითარებული ყოფილა მარცვლეულის მეურნეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა. ტრადიციულად მაღალ დონეზე იდგა ბრინჯაოს და რკინის მეტალურგია, ძვირფასი ლითონების დამუშავება. ყოველივე ამას თვალნათლივ ადასტურებს არქეოლოგიური მასალაც.

დას. საქართველოს ტერიტორიაზე ბერძნულ ახალშენებს გარდა არაერთი ადგილობრივი ქალაქური ტიპის დასახლება იყო. არქეოლოგებმა დღევანდელი დაბა ვ ა ხ ი ს, საძტრედიის რაიონის სოფ. დ ა ბ ლ ა გ ო მ ი ს და საირხეს (საჩხერესთან) ტერიტორიაზე გათხარეს ამდროინდელი ნაქალაქარები. აქვე აღმოჩნდა ბრწყინვალე არქეოლოგიური მასალა. კოლხეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი იყო ბერძნულ წყაროებში მითითებული კ უ ტ ა ი ა, ანუ დღევანდელი ქუთაისი და ბევრი სხვა ქალაქი. ეს ქალაქები უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს წარმოადგენდნენ.

ჩვ. წ-აღ-მდე VI საუკუნიდან დას. საქართველოში მიმოქცევაში იყო ადგილობრივ მოჭრილი ვერცხლის ფული, რომელსაც მეცნიერები „კ ო ლ ხ უ რ თ ე თ რ ს[1]“ უწოდებენ. ფულის მოჭრა აქ განვითარებული სახელმწიფოს არსებობას ადასტურებს.

კოლხური თეთრის ნიმუშები. ვერცხლის ტეტრადრაგმა და დიდრაქმა (ჩვ. წ-აღ-მდე VI ს.).

კოლხეთის სამეფოს ქართულად ეგრისი ეწოდებოდა. კოლხასთან შედარებით იგი უფრო განვითარებული, მაგრამ მაინც ადრეკლასობრივი სახელმწიფო იყო. ე.ი. აქ ჯერ კიდევ ძლიერი იყო თემური წყობილების გადძოხაშთები. საზოგადოების ზედაფენა, ექსპლოატაციას უწევდა რიგით მეთემეებს — თავისუფალ ან ნახევრადთავისუფალ მიწათმოქმედებს და მონებს.

---

[1] თ ე თ რ ი ძველ ქართულად ვერცხლსაც ნიშნავდა.

ეგრისის (კოლხეთის) სამეფო საკმაოდ ძლიერი იყო. მისი უშუალოდ დაპყრობა ვერ შეძლო ძლევამოსილმა აქემენიოლორმა ირანმა. ეგრისი მას მხოლოდ „ხებაყოფლობით“ ძღვენს „უგზავნიდა“: 5 წელიწადში ერთხელ 100 ბიჭსა და 100 გოგოს. ელინისტური ხანის[1] დასაწყისში ეგრისი ერთგვარად დასუსტებული ჩანს. მის სათავეში უკვე მეფის მაგივრად ერისთავი დგას, რაც ადგილობრივი ხელისუფლების დაკნინებას მოწმობს.

2. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა. ქართლის, ანუ იბერიის სამეფოს წარმოქმნა საკმაოდ რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ქართველ ტომთა უძველესი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების (დიაოხი და სხვ.) განადგურების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ტომი ჩამოსახლდა. მაგალითად, ჩვ. წ-აღ-მდე VI საუკუნის ბოლოს მცირე აზიიდან ძესხური ტომების ნაკადი ძეძოიქრა. მათი სახელი აქაურმა ადგილებმა შემოინახა, მაგალითად მესხეთი, სამცხე (სამესხე), თვით მცხეთაც მესხთა ქალაქს ნიშნავს. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოზე თავის გავლენის გავრცელებას ცდილობდნენ სელევკიდები[2], პართია, პონტოს სამეფო. ეს ბრძოლები გარკვეულად აისახა გადმოცემაში, რომელიც დაცულია უძველეს ქართულ საისტორიო თხზულებების კრებულ „ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი“.

ამ გადმოცემის მიხედვით როდესაც ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა კ ე დ ო ნ ე ლ მ ა დაიპყრო ირანი და წინა აზია, საქართველოშიც მოვიდნენ დამპყრობლები და ქვეყანა დაიკავეს[3]. მათ მოკლეს მცხეთის მამასახლისი და ქვეყნის მმართველად თავიანთი სარდალი ა ზ ო დატოვეს.

აზო მკაცრი მმართველი გამოდგა. მისი ბრძანებით მოთხარეს და დაანგრიეს აქაური ციხეები, დამპყრობლები ხოცავდნენ ქართლის ყველა მცხოვრებს, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო. ქართლის მოსახლეობა დიდ უბედურებაში ჩავარდა.

---

[1] ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობის (ჩვ. წ -აღ -მდე 334—323 წწ.) შემდეგ აქ ფართოდ გავრცელდა ბერძნულ-ელინური კულტურა და საზოგადოებრივი წყობილება. ამ ხანას ელინისტური ხანა ეწოდება.

[2] ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ წინა აზიაში წარმოიქმნა სირიის ძლიერი სახელმწიფო სელევკიდების დინასტიით სათავეში. მას შემდეგ გამოეყო მთელი რიგი სახელმწიფოები, მათ შორის პართია, პონტოს სამეფო და სხვ.

[3] დადგენილია, რომ ალექსანდრე მაკედონელს თვითონ საქართველოში არ ულაშქრია, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომელიმე მისი სარდლის ლაშქრობა.



ოქროს სასაფეთქლე საკიდები ცხენების გამოსახულებით ახალგორიდან (ჩვ. წ-ან-მდე. VI ს.). მარჯვნივ, ზემოთ — ვერცხლის საბეჭდავი ყანჩაეთიდან, ქვემოთ—ოქროს საბეჭდავი ახალგორიდან.

გავიდა ათასი ხანი. ბოლოს გამოჩნდა ჭაბუკი ფ ა რ ნ ა ვ ა ზ ი, მცხეთის მამასახლისის ძმისშვილი, რომელიც ჯერ კიდევ 3 წლის ბავშვი ჭართოში დაშპყრობთა შიშოსვის დროიდან დედაძისს კავკასიონის მთებში გადაემალა და ახლა უკვე სრულწლოვანი და დავაჟკაცებული დაბრუნებულიყო მცხეთაში. იგი შესანიშნავი მოისარი და მონადირე იყო. ერთხელ ნადირობისას ირემი მოკლა, მაგრამ შემოაღამდა და გაუავდრდა. მან თავი შეაფარა ერთ გამოქვაბულს, სადაც მოულოდნელად დიდძალ სიმდიდრეს მიაგნო. ფარნავაზი და მისი ოჯახის წევრები ხუთი ღამის განმავლობაში ფარულად ეზიდებოდნენ ამ სიმდიდრეს.

ფარნავაზი დაუკავშირდა დასავლეთ საქართველოს ერისთავს ქ უ ჯ ი ს და მასთან ერთად გადაწყვიტა აჯანყება აზოს წინააღმდეგ. ამ სიმდიდრით შეიძინეს საომარი იარაღი, დაიხმარეს კავკასიის მთიელები (ოვსნი, ლეკნი) და სასტიკ ბრძოლებში დაამარცხეს დამპყრობლები. აზოს ჯარის ნაწილი ქართველების მხარეზე გადმოვიდა, ხოლო თვითონ აზო ბრძოლაში მოკლეს.

სამშობლოს განთავისუფლების შემდეგ ფარნავაზმა თავი ქართლის მეფედ გამოაცხადა. მან თავისი და ცოლად მიათხოვა ქუ-

არმაზის ციხის კედლის ნაშთები.

ჯის და თან იგი ეგრისის მმართველად დასვა. მეფე ფარნავაზმა ერისთავები, ე. ი. ადგილობრივი მმართველები, დააყენა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში (სულ რვა). შიდა ქართლი ცალკე საგანმგებლო ერთეულად გამოყო და მის სათავეში სპასპეტი (მთავარსარდალი) ჩააყენა.

ფარნავაზმა კვლავ ააშენა მცხეთის ზღუდე და სხვა ციხე-ქალაქები. მან ქართველთა მთავარ ღვთაებად არმაზის ღვთაება გამოაცხადა, რომლის კერპიც (ქანდაკება) მცხეთის პირდაპირ მაღალ მთაზე აღმართა. აქვე ააშენა დიდი ციხე, რომელსაც არმაზის ციხე ეწოდებოდა. ფარნავაზსავე მიაწერს ეს ლეგენდა ქართული ენის გავრცელებას და ქართული მწიგნობრობის (დამწერლობის) შექმნას.

ამ ლეგენდაში ბევრია ზღაპრული, მაგრამ იგი მაინც სინამდვილის გარკვეულ ანარეკლს წარმოადგენს. სხვა მონაცემებითაც მტკიცდება, რომ **ქართლის სამეფო მართლაც ჩვ. წ-აღ-მდე IV—III საუკუნეების მიჯნაზე წარმოიქმნა და მის სათავეში იდგა ფარნავაზიანთა სამეფო დინასტია.** ასევე, სავსებით რეალური უნდა იყოს ის ღონისძიებანი, რაც ამ ლეგენდის მიხედვით, ფარნავაზმა გაატარა: ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობა (7 საერისთაოდ და ერთ სასპასპეტოდ დაყოფა), ერთიანი სახელმწიფო რელიგიის შექმნა და სხვა.

არმაზის ციხის ზღუდის ნაშთები.

II. ქართლის სამეფო ჩვ. წ-აღ-მდე III ს-ში. ქართლის, ანუ როგორც მას ძველი ბერძნები უწოდებდნენ — იბერიის სამეფომ ჩვ. წ-აღ-მდე III საუკუნეში დიდ სიძლიერეს მიაღწია. ამ დროს მისი საზღვრები სამხრეთით მდ. არაქსამდე აღწევდა, ჩრდილოეთით კი კავკასიონის ქედს მიჰყვებოდა. მისი პოლიტიკური გავლენა კავკასიის მთიელებზეც ვრცელდებოდა. ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა დასავლეთ საქართველოც. ამით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა კიდევ უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს და დაჩქარდა მათი ერთ ხალხად ჩამოყალიბების პროცესი.

ქართლის ამ ძველი სამეფოს საშინაო მდგომარეობის და საზოგადოებრივი აგებულების შესახებ ცხოებს ბეოძეხი გეოგოაფი სტრაბონი გვაწვდის. მისი აღწერით „იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაცა და დაბებითაც, ისე რომ აქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი“. ქვეყანა აქტიურ აღებ-მიცემობას ეწეოდა და დიდ როლს ასრულებდა ძველი საბერძნეთის აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის საქმეში. აქ გადიოდა სავაჭრო გზა (რიონი, მტკვარი, კასპიის ზღვა), რომლითაც ბერძნები შორეულ ინდოეთს უკავშირდებოდნენ.

ქართლის სათავეში მეფე იდგა. უმაღლესი თანამდებობანი მეფის საგვარეულოს წარმომადგენლებს ეკავათ. სამეფო გვარს ემსახურებოდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენა დამოკიდებული მეთემეებისა, რომლებსაც „სამეფო მონები" ეწოდებოდათ. გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ ქურუმებსაც. მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ჯერ კიდევ თავისუფალი მეთემენი შეადგენდნენ. მონები შედარებით მცირე რაოდენობით ჰყავდათ და ძირითადად იყენებდნენ დიდ მშენებლობებზე, არხებისა და გზების გაყვანისას, მენიჩბეებად გემებზე და სხვა მძიმე სამუშაოებზე. ამრიგად, ქართლის სამეფოს საზოგადოებაც კლასიკურ მონათმფლობელურ ქვეყნებთან შედარებით განუვითარებელი, ადრეკლასობრივი ხასიათის იყო.

კითხვები და დავალებები

1. რატომ ვერ განვითარდნენ დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დაარსებული ბერძნული ახალშენები? 2. როგორი სახელმწიფო იყო ძველი ეგრისის სამეფო? 3. რა პირობებში წარმოიქმნა ქართლის, ანუ იბერიის სამეფო? 4. რა ღონისძიებები გაატარა ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა? 5. მოძებნეთ რუკაზე ეგრისისა და ქართლის უძველესი ქალაქების ადგილ-სამყოფელი. 6. მოაწყვეთ ექსკურსია თქვენი რაიონის მხარეთმცოდნეობის ან ქალაქის ისტორიულ მუზეუმში. დაინტერესდით, რა მასალებია დაცული და გამოფენილი ეგრისისა და ქართლის სამეფოების არსებობის პერიოდიდან.

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

1. ძველი ქართული საისტორიო თხზულებების კრებული „ქართლის ცხოვრება" ქართლის პირველი მეფის ფარნავაზის მოღვაწეობის შესახებ

„ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგრისსა ზედა. და განამრავლა ყოველნი მხედარნი (მოლაშქრენი) ქართლოსიანნი[1], განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი (მხედართმთავარი)... ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინა სპასალარნი (სარდლები) და ათასისთავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეუფო (სამეფო) და საერისთავო...

---

[1] ქ ა რ თ ლ ო ს ი ა ნ ნ ი — ქართლოსის — ქართველთა ლეგენდარული მამამთავრის — შთამომაელები.

ამან ფარნავაზ მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ, და ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი მოოხრებულნი (მტერთაგან) ამან აღაშენნა... და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი...

ოცდაშვიდისა წლისა მეფე იქმნა და სამოცდახუთ წელ მეფობდა ნებიერ...

და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა[1] ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ (გარდა) ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული".

2. ძველი ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი[2] — ქართლის (იბერიის) ხამეფოს შესახებ

„ადამიანთა ოთხი გვარი ბოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი გვარია და პირველი, რომლისგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე ამ გვარიდან მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე გვარი არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე, მესამე გვარი არის მხედართა და მიწისმოქმედთა. მეოთხე გვარი არის ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითეულს უხუცესი. ასეთები არიან იბერები და მათი ქვეყანა".

დავალება

დაახასიათეთ ქართლის სახელმწიფოებრივი და სოციალური წყობილება ზემოხსენებული თხზულებებიდან მოტანილი ნაწყვეტების მიხედვით.

§ 6. საქართველო ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე

1. საქართველო პომპეუსის ლაშქრობის წინ. ჩვ. წ-აღ-მდე II საუკუნის დასაწყისიდან აღმოსავლეთისკენ შემოტევა დაიწყო რომის ძლიერმა სახელმწიფომ. რომაელებმა ჩვენს წ-აღ-მდე 190 წელს დაამარცხეს სელევკიდები. ამით ისარგებლეს სომხეთის მმართველებმა და სელევკიდების ბატონობისგან თავი გაითავისუფლეს. სომხეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ორი სომხური სახელმწიფო — დიდი და მცირე არმენია. ამ სახელმწიფოებმა საქართველოს სამხრეთი ტერიტორიის ნაწილიც მიიტაცეს.

საქართველოს დასავლეთიდან გაუმეზობლდა პონტოს სამეფო,

---

[1] ქ ა რ თ ლ ო ს ი — ქართველთა ლეგენდარული წინაპარი.

[2] ს ტ რ ა ბ ო ნ ი — ცხოვრობდა ჩვ. წ-აღ-მდე 64 წლიდან ჩვ. წ-აღ-ის 20 წლამდე.

რომელიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ჩამოყალიბდა. მისი მოსახლეობის დიდ ნაწილს დასავლურ-ქართული ტომები (ლაზები, ჭანები, კოლხები, ხალიბები, მოსინიკები და სხვ.) შეადგენდნენ. პონტოს სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა მ ი თ რ ი დ ა ტ ე VI მეფობის (ჩვ. წ-აღ-მდე 111 — 63 წწ.) დროს, მითრიდატე პონტოელმა დაიპყრო შავი ზღვის ჩრდილო და აღმოსავლეთ სანაპირო, ნათ შორის კოლხეთის ტერიტორიაც. მან სომხეთის მეფე ტ ი გ რ ა ნ I I -სთან ერთად დაიწყო ბრძოლა აღმოსავლეთში რომის შემოტევის წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში ქართლიცა და ალბანეთიც პონტოსა და სომხეთის მოკავშირეები იყვნენ.

მითრიდატე პონტოელი. გამოსახულება მონეტაზე.

რომაელებმა რამდენჯერმე დაამარცხეს მითრიდატე VI და სომხეთში შეიჭრეხ. მალე რომაელების არმიას სათავეში ჩაუდგა ცნობილი სარდალი პომპეუსი, რომელმაც აიძულა სომხეთის მეფე ტიგრან II წინააღმდეგობა შეეწყვიტა და რომაელებს დამორჩილებოდა. ამის შემდეგ ჩვ. წ -აღ-მდე 65 წ. რომაელთა არმია საქართველოსკენ დაიძრა.

2. რომაელთა ლაშქრობა საქართველოში. ქართლში ამ დროს არტაგი მეფობდა. ქართველი მეფე კარგად ხედავდა, რომ ძალები უთანაბრო იყო და მას არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია რომაელთა უძლეველი არმიისათვის, ამიტომ მან პომპეუსს დესპანი მიუგზავნა და ზავი შესთავაზა. პომპეუსმა იფიქრა, რომ ქართლის მეფეს ეს მოლაპარაკება დროის გასაყვანად და ძალების მოსაკრებად უნდოდა. ამიტომ მოლაპარაკება შეწყვიტა და ქართლის შუაგულისაკენ დაიძრა. რომაელთა ჯარი არმაზის ციხეს შემოადგა. არმაზის ციხის მცირერიცხოვანმა გარნიზონმა მათ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. მეფე არტაგი მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და ხიდი დაწვა. პომპეუსის ჯარებმა მტკვრის სამხრეთით მდებარე ტერიტორია დაიკავეს. არტაგმა კვლავ მოლაპარაკებით სცადა ზავის ჩამოგდება, მტკვარზე ხიდი აღადგინა და მტერს სურსათით მომარაგება აღუთქვა. მაგრამ პომპეუსს ქართლის სრული დამორჩილება სურდა. რომაელები გადავიდნენ მტკვრის მარცხენა ნაპირზე და იბერთა ლაშქარს არაგვის ხეობაში შეუტიეს. ბრძოლა ქართველების დამარცხებით დამთავრდა.

რომაელი მეომარი საომარი აღჭურვილობით.

რომაელი ისტორიკოსები აღწერენ თუ რა თავდადებით იბრძოდნენ ქართველი მეომრები. დამარცხების მიუხედავად ისინი აგრძელებდნენ ბრძოლას, ადიოდნენ მაღალ ხეებზე და იქიდან უშენდნენ ისარს მომხდურებს. მამაკაცებთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ ქალებიც. დაჭრილთა შორის, რომლებიც რომაელებმა დაატყვევეს, მრავალი ქალი აღმოჩნდა. ბრძოლის ველზე 9 000 ქართვე-


ქალაქი
ციხე
პომპეუსის ლაშქრობა ძვ.წ.65 წ.
ქართლის სამეფოს საზღვრები I-II ს.ს-ში
(ქუთაისი)
(ეკი)
(ბაბილონი)
(ბაბილონი)
(ბაბილონ

სამჩნევად გაძლიერდა. იგი ფაქტობრივად გათავისუფლდა რომზე დამოკიდებულებისაგან. რომთან ურთიერთობით ქართლი უფრო მეტ სარგებლობას პოულობდა, ვიდრე თვითონ რომი. I საუკუნის 30-იან წლებში სომხეთში გაბატონებას ცდილობდა პართიის გაძლიერებული სამეფო[1]. რომის იმპერატორის თხოვნით სომხეთში ქართლის ჯარი შევიდა და აქ მეფედ დასვეს ქართველი უფლისწული მითრიდატე. პართიის მეფემ დიდი ლაშქარი გამოგზავნა სომხეთიდან ქართველთა გასადევნად, მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში ქართველებმა ისინი დაამარცხეს. პართელთა ლაშქარს თვით მეფის ვაჟი ო რ ო დ ი სარდლობდა. ქართველებმა სათანადო თადარიგი დაიჭირეს. მათ დაიხმარეს მეზობელი ალბანეთის ჯარი, გახსნეს კავკასიონის გადმოსასვლელები და იმიერკავკასიიდან მოკავშირედ ალან-ოსები გადმოიყვანეს. პართელების ძალა ძირითადად ცხენოსანთა ლაშქარში იყო, მაშინ როდესაც ქართველებს ცხენოსან ჯართან ერთად ძლიერი ქვეითი ჯარიც ჰყავდათ. შეტევის დროს იბერიელი მხედრების მიერ ცხენიდან გადმოგდებულ პართელებს შუბებითა და ხმლებით შეიარაღებული ქართველთა ქვეითი მეომრები უღებდნენ ბოლოს. ბრძოლის ქარცეცხლში ერთმანეთს შეხვდნენ თვით ჯარის სარდლებიც — ქართლის მეფის ძე ფ ა რ ს მ ა ნ ი და პართელი უფლისწული ოროდი. ფარსმანმა ხმლის მძლავრი დარტყმით მას მუზარადი გაუპო. ოროდის მცველებმა თავგაჩეხილი უფლისწული სასწრაფოდ გააცალეს ბრძოლის ველს, მაგრამ ცნობამ პართელთა მეფის ძის სასიკვდილოდ დაჭრის შესახებ მათ ლაშქარში დიდი არეულობა გამოიწვია. ქართველებმა კი გულსრულად შეუტიეს მტერს და სასტიკად დაამარცხეს.



ქართველი მეომრის აღჭურვილობის არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ნიმუშები.

ამის შემდეგ ქართველთა ჰოლიტიკური ბატონობა სომხეთში კარგა ხანს გაგრძელდა. რომაელებს ეს არ მოსწონდათ. მათ თვითონ სურდათ სომხეთის დაპყრობა. რომაელების ინტრიგების შედეგად მალე მტრობა ჩამოვარდა ქართლის მეფე ფ ა რ ს მ ა ნ პ ი რ ვ ე ლ ს ა და სომხეთის მეფედ დასმულ მის ძმას მ ი თ რ ი დ ა ტ ს შორის. მართალია ეს ამბები მითრიდატის დაღუპვით დამთავრდა, ქართლის მეფემ სომხეთი მაინც ვერ შეინარჩუნა, რადგან აქ ბატონობას ისეთი უძლიერესი სახელმწიფოები ეცილებოდნენ, როგორიც იყვნენ რომის იმპერია და პართიის სამეფო. ბოლოს, 63 წ. რომსა და პართიას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც სომხეთი ორმაგი დამოკიდებულების ქვეშ ექ-

ფირფიტებზე გამოსახულია ირმებსა და ტახებზე ნადირობა. I ს. აღმოჩენილია დედოფლის გორაზე სოფ. არადეთთან

[1] პართიის სახელმწიფო კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოყალიბდა. დაპყრობითი ომების შედეგად მისი ტერიტორია მდ. ამუდარიიდან ევფრატამდე გადაიჭიმა. მის სათავეში იდგა არშაკიდების დინასტია.



არმაზის ბილინგვა (ორენოვანი წარწერა, II ს.).

იბერიელი დიდკაცის ასფარუკ პიტიახშის ბეჭედი (II ს.).

კეოდა: სომხეთში იმეფებდნენ პართიის სამეფო გვარის, ა რ შ ა კ ი დ ე ბ ი ს წარმომადგენლები, მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი რომის ვასალები იქნებოდნენ. ამის შემდეგ ქართლის სამეფოს აღარ შეეძლო სომხეთზე რაიმე უფლება განეცხადებინა. პართელებმა თავიანთ მხარეზე გადაიყვანეს აქამდე იბერიის გავლენის ქვეშ მყოფი ალბანეთის სამეფოც. ამის მიუხედავად ქართლი მაინც ძლიერ სახელმწიფოდ რჩებოდა და კვლავ აქტიურად მონაწილეობდა წინა აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

II საუკუნის განმავლობაში რომის იმპერატორები ცდილობდნენ ქართლის სამეფოსთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდათ და ხელშეკრულებით გაფორმებული „მეგობრობა და მოკავშირეობა" შეინარჩუნებინათ, მაგრამ ქართლის მეფეებს თავი საკმაოდ დამოუკიდებლად ეჭირათ. მაგალითად, 128 წ. რომის იმპერატორმა ადრიანემ მცირე აზიაში ყოფნის დროს თავისთან მიიწვია აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნის მეფეები და მმართველები. რომის იმპერატორმა ქართლის მეფე ფ ა რ ს მ ა ნ II -ის გულის მოსაგებად მას ძვირფასი საჩუქრები გამოუგზავნა. საჩუქრებს შორის იყო საომარი სპილო და 500 კაციანი რაზმი. ქართლის მეფემ იმპერატორს სამაგიერო საჩუქრები გაუგზავნა: დიდძალი ძვირფასეულობა და ოქროს ქსოვილის მოსასხამები, თვითონ კი მასთან გამოცხადება არ იკადრა. ამით განრისხებულმა რომის იმპერატორმა ბრძანება გასცა ამ მოსასხამებით გლადიატორები შეემოსათ და ისე გამოეშვათ ცირკის არენაზე. მისი საჩუქრების ასე აბუჩად აგდებით განაწყენებულმა ქართლის მეფემ გახსნა დარიალის კარი, გადმოიყვანა ალან-ოსთა მეომარი ტომები და რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებს შეუსია. ამით ქართლის მეფემ აგრძნობინა რომის იმპერატორს თავისი ძლიერება.

რომსა და ქართლს შორის ასეთი დაძაბული ურთიერთობა შედარებით მოწესრიგდა ადრიანეს სიკვდილის შემდეგ. რომის საიმპერატორო ტახტზე ასულმა ახალმა იმპერატორმა ა ნ ტ ო ნ ი ნ ე პ ი უ ს მ ა რომში სტუმრად მიიწვია ქართლის მეფე. ფ ა რ ს მ ა ნ II მრავალრიცხოვანი ამალით ჩავიდა რომში, მოლაპარაკების შემდეგ აქ გაიმართა დიდი ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქართლის მეფემ და მისმა ამალამ. ქართველთა ამ სტუმრობის აღსანიშნავად სპეციალური წარწერა გააკეთეს მარმარილოს დაფაზე, რომელიც რომის ფორუმის მოედანზე იყო გამოფენილი, ხოლო ცხენზე ამხედრებული ფარსმან მეფის ქანდაკება დაიდგა რომის ერთ-ერთ ტაძარში.

4. რომის გაბატონება დასავლეთ საქართველოში. ანიკეტის აჯანყება. გახსნავებული ვითარება იყო დასავლეთ საქართ-

ველოში. რომისთვის ეგრისი უფრო ხელმისაწვდომი იყო, ვიდრე ქართლი: ზღვის საშუალებით რომაელები ეგრისს ადვილად აღწევდნენ. გარდა ამისა, ეგრისში მათ არ ემუქრებოდათ უშუალო საფრთხე პართიის სახელმწიფოსგან. ამიტომ რომაელები აქ შედარებით თავისუფლად მოქმედებდნენ. ეგრისი მათ დაპყრობილ ქვეყნებს მიათვალეს და აქ საკუთარი მმართველები დააყენეს. ქვეყნის მთავარ ქალაქებში რომაელთა ჯარი იდგა. ეგრისის ბინადარი მოსახლეობის მდგომარეობა იმითაც გართულდა, რომ ამ პერიოდში გაძლიერდა მთაში მცხოვრები სხვადასხვა, შედარებით ჩამორჩენილი ტომების თავდასხმები და მასობრივი ჩამოსახლება. ისინი ტყვეებისა და ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით თავს ესხმოდნენ კოლხეთის დასახლებულ პუნქტებს, ქალაქებს. მაგალითად, მათ გაძარცვეს ქ. პ ი ტ ი უ ნ ტ ი, დააცარიელეს დ ი ო ს კ უ რ ი ა და სხვ. რომაელები ამ მეკობრე მთიელებს კი არ ებრძოდნენ, არამედ მათთან საერთო ენის გამონახვას ცდილობდნენ და მათ ამ თავდასხმებისათვის აქეზებდნენ კიდეც, თუნდაც იმიტომ, რომ რომაელ მონათმფლობელებს ტყვე-მონები დიდი რაოდენობით სჭირდებოდათ. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ასეთი განუკითხავი შევიწროების გამო აქ უკმაყოფილება დღითიდღე იზრდებოდა, რაც მალე დიდ აჯანყებაში გადაიზარდა.

არისტარქე ,ოლხელის დრახმა (ჩ. წ-ან-მდე I ს.). არისტარქე პომპეუსის მიერ დასავლეთ საქართველოში დანიშნული მმართველი იყო.

69 წ. შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროს (პონტოს, კოლხეთის) მოსახლეობა აჯანყდა რომის წინააღმდეგ. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ყოფილი მონა ანიკეტი. რომის იმპერატორმა აჯანყების ჩასაქრობად ჯარი გამოგზავნა. რომაელებმა დაამარცხეს ანიკეტი, რომელმაც თავი კოლხეთს (მდ. ხობის ხეობაში) შეაფარა. რომაელებმა იგი მაინც დაატყვევეს და სასტიკად დასაჯეს.

ანიკეტის აჯანყებამ რომს დაანახა, რომ იგი კოლხეთში ვერ გაბატონდებოდა. იბერიის გაძლიერებული სამეფოც დასავლეთ საქართველოს კვლავ შემოერთებას ცდილობდა. ამიტომ რომის საიმპერატორო კარი დათმობაზე წავიდა და იძულებული გახდა ეცნო ადგილობრივი მმართველობა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ოთხი სამთავრო ჩამოყალიბდა: ლ ა ზ ე ბ ი ს, ა ფ შ ი ლ ე ბ ი ს, ა ბ ა ზ გ ე ბ ი ს ა და ს ა ნ ი გ ე ბ ი ს, რომელთა მთავრები რომის ვასალებად ითვლებოდნენ.

კითხვები

1. რომელი სამეფოების მოკავშირე იყო იბერია რომაელების წინააღმდეგ? 2. რომელი ტომები მოსახლეობდნენ პონტოს სამეფოში? 3. გამოითვალეთ რამდენი წლის წინათ შემოესია პომპეუსი საქართველოს? 4. როგორ სარგებლობ-

დნენ რომთან კავშირით ქართლის მეფეები? 5. აღწერეთ ფარსმან მეფის სტუმრობა რომში. 6. ქართლთან შედარებით რა განსხვავებული მდგომარეობაა ეგრისში?

დოკუმენტები

1. რომაელი ისტორიკოსი დიონ კასიოსი (II—III სს.) იბერიაში პომპეუსის ლაშქრობის შესახებ

„იბერები ცხოვრობენ მდ. მტკვრის ორივე ნაპირზე და ემეზობლებიან ერთი მხრით ალბანელებს და მეორე მხრით არმენელებს. (პომპეუსს) მათთან უფრო ადრე მოუხდა შებმა ვიდრე მოელოდა. მათ (იბერიელთა) მეფეს არტაგს ეშინოდა, რომ პომპეუსი მის წინააღმდეგ წამოვიდოდა, ამიტომ მან გაუგზავნა ელჩები მეგობრობის წინადადებით, თვითონ კი ემზადებოდა, რათა მშვიდობაში დარწმუნებულს მოულოდნელად დასხმოდა თავს. მაგრამ პომპეუსმა გაიგო ამის შესახებ და პირველი თვითონ შეიჭრა მის ქვეყანაში, სანამ ის (არტაგი) შეძლებდა მომზადებას და მეტად ძნელგასავალი ვიწროების დაკავებას, პომპეუსმა მოასწრო აკროპოლისამდე (არმაზ-ციხემდე) მისვლა, სანამ არტაგი მის მიახლოებას გაიგებდა... შეშინებულ არტაგს სრულიად არ ჰქონდა დრო მომზადებულიყო ბრძოლისათვის. იგი გადავიდა მდინარეზე და დაწვა ხიდი. ხოლო სიმაგრის დამცველები მისი გაქცევისა და ბრძოლაში დამარცხების გამო, დანებდნენ. პომპეუსმა ამგვარად ხელთ იგდო ვიწროები, ჩააყენა შიგ მცველები, დაიძრა იქიდან და დაიპყრო მდინარის გამოღმა მდებარე მთელი მხარე. როდესაც პომპეუსი უკვე მტკვარზე გადასვლას აპირებდა, არტაგმა გაგზავნა მასთან ელჩები ზავის თხოვნით და დაპირდა ნებაყოფლობით ხიდის აშენებას და სურსათის მიწოდებას. არტაგმა შეასრულა ორივე (პირობა), მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ პომპეუსი მდინარეზე გადმოვიდა, შეშინდა და გაიქცა მდინარე პელორისაკენ (არაგვისაკენ), რომელიც აგრეთვე მის სამეფოში მოედინებოდა. როდესაც პომპეუსმა დაინახა ეს, გაეკიდა მას, დაეწია და დაამარცხა: ვიდრე მისი მშვილდოსნები თავის მოხერხებას გამოიყენებდნენ (პომპეუსი) ეცა მათ და უმალვე უკუაქცია. ამის შემდეგ არტაგი გადავიდა პელორზე (არაგვზე), დაწვა ხიდი და გაიქცა, ხოლო მის მეომართაგან ზოგიერთნი ბრძოლაში დაიღუპნენ, ზოგნი მდინარეზე გადასვლისას. მაგრამ მრავალნი გაიფანტნენ ტყეებში და რამდენიმე დღეს თავს იცავდნენ, ისრებს ისროდნენ ხეებიდან, რომლებიც იქ ძალიან მაღალია, მაგრამ შემდეგ, როდესაც ხეები გაკაფულ იქნა, ისინი დაიღუპნენ...“

დავალება

დიონ კასიოსის აქ მოტანილი ცნობის მიხედვით უფრო სრულად გადმოეცით პომპეუსის იბერიაში შემოჭრის ისტორია.

2. არმაზისხევში (მცხეთა) აღმოჩენილი ბილინგვის (არამეულ-ბერძნული ორენოვანი წარწერის) არამეული[1] ნაწილის ქართული თარგმანი

„მე ვარ სერაფიტა, ფარსმან მეფის მცირე პიტიახშის ზევახის ასული, მეუღლე ფარსმან მეფის ეზოსმოძღვრის აგრიფის ძის იოდმანგანისა — ხსეფარნუგ მეფის მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოძღვრისა. ვაება ვაებისა! ის, ვინც იყო ახალგაზრდა და იმდენად კარგი და მშვენიერი, რომ არავინ იყო მისი მსგავსი სილამაზისა, გარდაიცვალა 21 წლისა".

იგივე შინაარსისაა ბილინგვის ბერძნული ნაწილიც. ქვის ეს სტელა ერთ დროს აღმართული ყოფილა ზევახ პიტიახშის ასულის, უდროოდ გარდაცვლილი სერაფიტას საფლავზე.

დავალება

მოტანილი წარწერის მიხედვით დაადგინეთ რა და რა მოხელეები ჰყავდათ ქართლის მეფეებს.

8. რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი (I — II სს.) ანიკეტის აჯანყების შესახებ

„პონტოში აჯანყდა მონა-ბარბაროსი, რომელიც ოდესღაც სამეფო ფლოტის უფროსი იყო. ეს იყო ანიკეტი, პოლემონის ყოფილი მონა, რომელსაც წინათ დიდი ძალა ჰქონდა და რომელიც გულნაკლული იყო სამეფო რომ პროვინციად აქცია (რომმა)... მან თავის მხარეზე გადაიბირა პონტოს (შავი ზღვის) ნაპირებზე მცხოვრები ხალხები და... საკმაოდ მრავალრიცხოვანი ბრბოთი შეიჭრა ტრაპეზუნდში... აქ განადგურებულ იქნა კოჰორტა, რომელიც წინათ სამეფო დამხმარე რაზმი იყო... ანიკეტმა ცეცხლი წაუკიდა ფლოტსაც და დასცინოდა დაცარიელებულ ზღვას... ამიტომ იყო, რომ ბარბაროსები ამაყად დაცურავდნენ ზღვაზე. სწრაფად ააშენეს ხომალდები, რომელნიც „კამარებად" იწოდებიან. ამ აჯანყებამ მიიპყრო ვესპასიანეს[2] ყურადღება. მან შეარჩია რაზმელები ლეგიონებიდან და მათ უფროსად დაუნიშნა გამოცდილი მხედარი ვირდი გემინი. ეს სარდალი თავს დაესხა დაქსაქსულ მტერს (აჯანყებულებს) და შერეკა ისინი ხომალდებზე... მდინარე ხობის შესართავთან დაეწია ანიკეტს, რომელსაც აქ თავი უშიშრად ეგულებოდა, სედოხეზების[3] მეფის შემწეობის იმედით. ეს მეფე ანიკეტს გადაბირებული ჰყავდა მოკავშირედ ფულითა და საჩუქრებით (მაგრამ მოკავშირემ უღა-

---

[1] არამეული მთელს წინა აზიაში გავრცელებული ენა და დამწერლობა იყო.

[2] რომის იმპერატორი 69 — 79 წლებში.

[3] სედოხეზები — ადგილობრივი სატომო სახელია, დამახინჯებული უცხოელი ავტორის მიერ.

ლატა) — პირობა დასდო, რომ დაღუპავდა ანიკეტს და გასცა ლტოლვილნი. ასე მოეღო ბოლო მონებთან ომს".

კითხვები და დავალება

1. რა მიზანს ისახავდა ანიკეტის აჯანყება? 2. ვინ იყო ანიკეტი? 3. როგორ წარმართა აჯანყება და რატომ დამარცხდა იგი? გაიხსენეთ ძველი ქვეყნების ისტორიიდან მონების რომელი აჯანყებები იცით და შეადარეთ ისინი ანიკეტის აჯანყებას.

§ 6. რელიგია და კულტურა ადრეკლასობრივი ხანის საქართველოში

1. რელიგიური წარმოდგენები. პირველყოფილი-თემური წყობლების ხანაში ცალკეულ ტომებს თუ თემებს თავიანთი მფარველი ღვთაებები ჰყავდათ. აღმერთებდნენ ბუნების ძალებს, საგნებს, მოვლენებს. მაშინდელი ადამიანების წარმოდგენით ეს ღვთაებები აღჭურვილნი იყვნენ ზებუნებრივი ძალითა და თვისებებით: ისინი ამყარებდნენ წესრიგს ბუნებასა და საზოგადოებაში, ჰქონდათ დიდი ფიზიკური და მხედრული ძლიერება, შეეძლოთ ბუნებაში სიცოცხლის განახლება და აღორძინება. მათ პატივსაცემად იმართებოდა რელიგიური რიტუალები და ცერემონიები. ერთ-ერთი ასეთი რიტუალური სცენა გამოსახულია ზემოთ უკვე დასახელებულ თრიალეთის ვერცხლის თასზე. ასეთივე გამოსახულებები მოიპოვება არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ სხვადასხვა ნივთებსა და იარაღებზე. ბევრი ამ რელგიური რიტუალიდან შემორჩენილია ხალხურ ყოფასა და ტრადიციებში. მაგალითად, უკანასკნელ დრომდე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმართებოდა ხოლმე სახალხო წარმოდგენები, დღესასწაულები: ბერიკაობა, ყეენობა, ხატობები, რაც ამ უძველესი რელიგიური რიტუალების სახეშეცვლილ გადმონაშთებს წარმოადგენენ.

უძველესი რელიგიური წარმოდგენები შემორჩენილია ძველ ქართულ ხალხურ მითებსა და ზღაპრებში. გავიხსენოთ, რომ ჩვენი ზღაპრების გმირები ხშირად ჩადიან ქვესკნელში, ადიან ზეცაში, სადაც ხვდებიან და ელაპარაკებიან მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, რომლებსაც ადამიანების თვისებები და გარეგნობა გაჩენიათ. მზე ქალის სახით ჰყავთ წარმოდგენილი, მთვარე — მამაკაცის, ასევე ამინდისა და ღრუბლების ღმერთი ტაროსიც მამაკაცია და სხვ.

ქართველ ტომთა სახელმწიფოებრივი გაერთიანებების წარმოქმნასთან ერთად ხდება მათი რელიგიური წარმოდგენების დაახლოება-შერწყმა, ცალკეულ ღვთაებებს შორის გარკვეული წესრი-





.არმაზის ხეევში პიტიახშთა ნეკროპოლისში აღმოჩენილი ძვირფასი ყელსაბამები. ძველი იბერიის საიუველირო ხელოვნების შესანიშნაი ნიმუშები (II ს. ბოლო).

გისა და იერარქიის (უფროს-უმცროსობის) დამყარება. ქართველების უმაღლეს ღვთაებად მთვარის ღვთაება იქცა. მთვარე მეომარი მამაკაცის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. მის წმინდა ცხოველად ხარი ითვლებოდა, ამიტომ მას ხშირად ხარს შესწირავდნენ ხოლმე. ხარის რქები ნახევარმთვარის ფორმისაა, ამიტომ ძველ საკულტო შენობებში, ასევე ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლებში ხშირად ხარის რქების გამოსახულებებს ანდა თვითონ ხარის თავებს ვხვდებით. ხარის კულტის ასეთი გავრცელება საქართველოში სამიწათმოქმედო მეურნეობის დაწინაურების შედეგი იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული საისტორიო ტრადიციით ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა მთავარ ღვთაებად ა რ მ ა ზ ი გამოაცხადა. ეს იგივე ძველი ქართველების მთვარის ღვთაება იყო, მხოლოდ ამჯერად სხვა ღვთაებების თვისებებითაც აღჭურვეს და სახელიც არმაზი უწოდეს, რაც ხეთურად სწორედ მთვარის ღვთაებას ნიშნავდა. ეს სახელი, ისევე როგორც ბევრი სხვა კულტურული ელემენტი, ამ დროს ქართლში შემოიტანა მცირე აზიიდან მოსულმა მესხურ ტომთა ნაკადმა.

არმაზის ქანდაკება აღმართული იქნა მცხეთის პირდაპირ მაღალ მთაზე, რომელსაც შემდეგ ა რ მ ა ზ ი ს მ თ ა ეწოდა. ეს იყო სპილენძისგან ჩამოსხმული მეომარი მამაკაცი ოქროს აბჯრითა და



უფლისციხის ნაქალაქარი. თეატრონის ნაშთი.

მუზარადით, რომელსაც თვალების მაგივრად ძვირფასი ქვები ჰქონდა ჩასმული და ხელთ ეპყრა მახვილი. მისი დღეობა ზაფხულის ბოლოს ტარდებოდა, რომლის დროსაც ფერადი ქსოვილებითა და ყვავილებით მორთულ მცხეთის ქუჩებში იმართებოდა ხალხმრავალი რიტუალური მსვლელობა. ამ მსვლელობაში მონაწილეობას იღებდა სამეფო ოჯახიც. არმაზის ღვთაებას მსხვერპლად სწირავდნენ ბავშვებს.

არმაზის მთის მოპირდაპირე მთაზე აღმართულ იქნა ზ ა დ ე ნ ი ს კერპიც. არმაზის გვერდით იდგა სხვა ღვთაებების ქანდაკებებიც, რომლებსაც ძველი ქართველები მიიჩნევდნენ სხვადასხვა ძალის განსახიერებად და დიდ თაყვანს სცემდნენ.

2. კულტურა. როგორც დავინახეთ, ქართველ ტომთა უძველეს სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს (დიაოხის, კოლხას და სხვ.) და შემდეგ ეგრისისა და ქართლის სამეფოებს მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები ჰქონდათ როგორც წინა აზიის ქვეყნებთან, ისე საბერძნეთთან და რომთან. ეს ურთიერთობანი აისახებოდა ქვეყნის კულტურულ განვითარებაშიც. ქართველ ხალხს მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის შესაბამისი საკმაოდ მაღალი თვითმყოფადი კულტურა ჰქონდა, მაგრამ იგი კარჩაკეტილი და გარესამყაროსგან მოწყვეტილი როდი იყო, პირიქით, ქართული კულტურა ითვისებდა ყველაფერ საუკეთესოს, რაც მის ახლო, თუ შორეულ მეზობელ ქვეყნებში იქმნებოდა. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით წარმოადგენდა ბუნებრივ ხიდს

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ამიტომ აქ ხდებოდა აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მომდინარე ტრადიციების საინტერესო შერწყმა. ეს გარემოება ძალზე თავისებურ იერს აძლევდა ქართულ კურტურას მთელი მისი არსებობის მანძილზე.

თიხის ქანდაკება. სარკინეთიდან (II ს.).

ძველი ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის მოწმობით მაშინდელ საქართველოში მრავლად იყო ქალაქები, რომლებიც ხუროთმოძღვრული ხელოვნების წესების მიხედვით იყო ნაგები. ასეთი ქალაქები იყო აღმოსავლეთ საქართველოში მ ც ხ ე თ ა არმაზის ციხით, უ რ ბ ნ ი ს ი, უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე. არქეოლოგიურმა გათხრებმა სავსებით დაადასტურა ბერძენი ავტორის ეს ცნობა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე, სადაც სხვადასხვა დანიშნულების ნაკვეთ-ნაგებობებს შორის შემორჩენილია ანტიკური თეატრის შენობაც. მცხეთისა და მისი მიდამოების არქეოლოგიურმა შესწავლამ ადგილობრივი მაღალგანვითარებული კულტურის ბრწყინვალე ნიმუშები გამოავლინა. აქ აღმოჩენილ იქნა ძველი სასახლეებისა და ტაძრების ნაშთები და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ანტიკური ხანის აბანოები. აბანო ამ პერიოდის დიდკაცობისათვის დასვენება-გართობისა და ფიზიკური ვარჯიშის ადგილიც იყო. აბანო რთულ ნაგებობას წარმოადგენდა. იგი რამდენიმე დარბაზისაგან შედგებოდა ცხელი და ცივი წყლის აუზებით, წყლისა და ჰაერის გასაცხელებელი იატაკქვეშა მოწყობილობით. წყალს თიხის მი-



არმაზის ხევში აღმოჩენილი აბანოს ნაშთები. ჩანს მრგვალი აგურით ნაგები კალორიფერის სვეტები, რომლებიც ზემოდან თლილი ფილაქვებით იყო გადახურული. კალორიფერის . სვეტებს შორის ცხელი ჰაერი მოძრაობდა და ათბობდა ზემოთ მოთავსებულ დარბაზს.

მცხეთაში აღმოჩენილი აკლდამა (II ს.).

ლებით აწოდებდნენ. იატაკი მოზაიკით იყო მოხატული, რაც თავისთავად ხელოვნების საუცხოო ნიმუშს წარმოადგენდა. ასეთი აბანოების ნაშთი აღმოჩნდა მცხეთასთან, არმაზის ხევში, ძალისასთან, აგრეთვე დასავლეთ საქართველოში. მცხეთასთან აღმოჩნდა შედარებით კარგად შემონახული სამეფო აკლდამაც, რაც ამ პერიოდის საამშენებლო ხელოვნების მაღალ განვითარებას მოწმობს.

დასავლეთ საქართველოში დაბა ვანის ტერიტორიაზე არქეოლოგებმა გათხარეს და შეისწავლეს ამ პერიოდის ნაქალაქარი, სადაც აღმოჩნდა სხვადასხვა საკულტო და საერო ნაგებობების ნაშთები: მრგვალი ტაძრის ნანგრევები, შვიდსაფეხურიანი საკურთხეველი, ქვით მოკირწყლული ქუჩები, კოშკები და სხვ. აღმოჩნდა აგრეთვე ძველი ნაგებობების დეკორაციულად გაფორმებული სვეტისთავები. აქვე აღმოჩენილ მრავალრიცხოვან ნივთებს შორის გამოირჩევა გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ბრინჯაოს ფიგურა, რომელიც აგვირგვინებს სარიტუალო ჭურჭელს.

ანტიკური პერიოდის ქალაქი იყო ციხე-გოჯიც, რომელსაც ბერძნები არქეოპოლისს, ანუ ძველ ქალაქს უწოდებდნენ. ამ ნაქალაქარის (ნოქალაქევის) გათხრები ამჟამადაც გრძელდება.

ადრეკლასობრივი ხანის ქართული კულტურის მაღალ დონეს მოწმობს ბრინჯაოსა და რკინის შესანიშნავი ნაკეთობანი, საომარი და სამუშაო იარაღების ფორმების სრულყოფა და მხატვრული გაფორმება, მაღალი გემოვნებით დამზადებული სამკაულე-

ვანის ნაქალაქარის კარიბჭე სამლოცველოს ნაშთით (ჩვ. წ-აღ-მდე III—II სს.). ვანის ნაქალაქარში აღმოჩენილი გამარჯვების ქალღმერთის ნიკეს ქანდაკება (ჩვ. წ-აღ-მდე II ს.).



ბი, საოჯახო ნივთები, ოქრომჭედლობისა და ლითონის მხატვრულად დამუშავების ბრწყინვალე ძეგლები, რომლებიც დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

8. დამწერლობის ძეგლები. მეცნიერთა შორის დიდ კამათს იწვევს ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი. საისტორიო ტრადიციით ქართული ანბანი შექმნა ქართლის პირველმა მეფე ფარნავაზმა, მაგრამ ჯერჯერობით ჩვ. წ.-აღ-ის V საუკუნეზე ადრინდელი ქართულად შესრულებული წარწერა აღმოჩენილი არ არის. საქართველოში იხმარებოდა ბერძნული და მთელს მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული არამეული დამწერლობა. ამ ენებზე შესრულებული არაერთი წარწერაა აღმოჩენილი საქართველოში. როგორც ვარაუდობენ, მათ გვერდით უნდა ყოფილიყო გამოყენებული ამ ანბანების საფუძველზე შექმნილი ქართული დამწერლობაც, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ სრულყოფას განიცდიდა. საბოლოოდ მან ჩამოყალიბებული სახე მიიღო ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ.



არმაზის არამეულწარწერიანი სტელა (II ს.) ქართული ასომთავრულის მსგავსი ნიშნებით.

ქვევრის ნატეხი ს. დაბლაგომიდან (ძვ. წ. IV—III სს.). ქართული ასომთავრული „დ"-ონის მსგავსი ნიშნით.

კითხვები

1. რა ცვლილებები განიცადა ქართულმა წარმართულმა რელიგიამ სახელმწიფოს წარმოქმნასთან ერთად? 2. დაასახელეთ ძველი ქართველების მთავარი ღვთაებები. 3. რომელი ძველი ქართული ქალაქებია შესწავლილი არქეოლოგების მიერ? 4. რა ვიცით ქართული დამწერლობის წარმოქმნის შესახებ?

ფეოდალური წყობილება

ა. ადრინდელი ფეოდალიზმი

III თავი

საქართველო ადრეფეოდალური ურთიერთობის ხანაში

§ 7. საქართველო ფეოდალური ურთიერთობის საწყის ეტაპზე

1. ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა და განვითარება საქართველოში. როგორც დავინახეთ, ახ. წ -აღ -ის პირველ საუკუნეებში ქართლის (იბერიის) სამეფო აქტიურად გამოვიდა მსოფლიო ასპარეზზე. მას მჭიდრო პოლიტიკური, კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული მაშინდელი მსოფლიოს ისეთ უძლიერეს და მოწინავე ქვეყნებთან, როგორიც იყო რომი და პართია. ყოველივე ეს აჩქარებდა თვითონ ქართლის მოსახლეობის საზოგადოებრივ განვითარებას. მაგრამ მთავარი იყო ის, რომ ამ პერიოდში სწრაფად ხდება სამუშაო იარაღების გაუმჯობესება, განსაკუთრებით რკინის იარაღის საყოველთაო გავრცელება და დანერგვა, რაც იწვევდა მეურნეობის შემდგომ დაწინაურებას. რკინის სახნისიანი სახვნელით უფრო ადვილად და მეტი რაოდენობით ითვისებდნენ ახალ მიწებს. ამავე დროს, სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიც იყო მებაღეობა-მევენახეობა, სარწყავი მიწათმოქმედება, სელის მოყვანა-დამუშავება, მესაქონლეობა. სამხედრო საქმის განვითარებასთან ერთად განსაკუთრებით ვითარდებოდა მეცხენეობა.

მეურნეობის ასეთი გაფართოება და ახალი დარგების დანერგვა მოითხოვდა ისეთ მუშახელს, რომელიც შრომის შედეგებით და მოსავლიანობის გადიდებით დაინტერესებული იქნებოდა. ვერც

მონა და ვერც თავისუფალი ან ნახევრად თავისუფალი მეთემე ასეთ ინტერესს ვერ იჩენდა. მონას იძულებით ამუშავებდნენ და მოსავლიდან თითქმის არაფერს აძლევდნენ. მეთემე მხოლოდ მეურნეობის მარტივ, მამაპაპურ დარგებს მისდევდა. არაფერი ახლის დანერგვა მას არ სურდა. ამავე დროს იგი მცირე მოსავლით კმაყოფილდებოდა, რაც მხოლოდ მისი და მისი ოჯახის გამოკვებისათვის იქნებოდა საკმარისი.

ქართულ-სასანური ვერცხლის მონეტა, VI ს.

მეურნეობის ახალი დარგების განვითარების შედეგად სწრაფად იშლებოდა თემი, თემური მიწათმფლობელობა კერძო, საოჯახო მიწათმფლობელობით იცვლებოდა. თემიდან გამოყოფილ მეთემეთა მცირე ნაწილი, რომელიც მეურნეობას უფრო უნარიანად წარმართავდა, მდიდრდებოდა, შეძლებული ხდებოდა, დიდი ნაწილი კი სამეფო და სხვა გადასახადების გამოღებას ვერ აუდიოდა და თანდათან ღარიბდებოდა. გაღარიბებული მეთემე იძულებული იყო ის მიწაც გაეყიდა, რაც მას თემის დაშლის შედეგად ჰქონდა შერჩენილი. მის მიწას შეძლებული და დაწინაურებული ყოფილი თანამეთემე ეუფლებოდა. ამ უკანასკნელთა როლი ქვეყნის ცხოვრებაში იზრდებოდა. ახალი ტიპის საომარი იარაღი (რკინის აბჯარი, მით უმეტეს ჯავშანი, რკინის ხმალი, სატევარი და სხვ.) მეტად ძვირი იყო და მისი შეძენა მხოლოდ შეძლებულ პირებს შეეძლოთ. ამიტომ სამეფო ჯარის ძირითადი ნაწილიც ასეთი შეძლებული პირებისაგან კომპლექტდებოდა. ერთგული სამსახურის უზრუნველყოფის მიზნით მეფე მთელ რიგ შეღავათებს ანიჭებდა მათ, ათავისუფლებდა გადასახადებისაგან, ასაჩუქრებდა მიწის ნაკვეთით, რომელზედაც ხშირად დამოკიდებული მეთემენი („სამეფო მონები") ისხდნენ.

ასე იქმნებოდა, ერთი მხრივ, შეძლებულ, პრივილეგირებულ მიწისმფლობელთა ფენა, რომლებსაც წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ე ბ ი, ანუ ა ზ ნ ა უ რ ე ბ ი[1] ეწოდებოდა და, მეორე მხრივ, შეუძლებელ, უქონელ და უუფლებო გ ლ ე ხ თ ა[2] ფენა. უმიწოდ დარჩენილი გლეხი იძულებული ხდებოდა მისულიყო მიწისმფლობელ წარჩინებულთან, ანუ აზნაურთან და მიწა მისგან მიეღო გარკვეული ვალდებულებების პირობით. ასეთი გლეხი აზნაურის

[1] სიტყვა აზნაური ორი ნაწილისაგან შედგება: აზნა — ძველ სპარსულში დაწინაურებულს, წარჩინებულს ნიშნავდა, ური — ჩვეულებრივი ქართული ბოლოსართია, რომელიც თვისებას, წარმომავლობას, ამა თუ იმ ჯგუფისადმი კუთვნილებას აღნიშნავს.

[2] გლეხი ძველ ქართულში ნიშნავდა არაფრის მქონეს, ღარიბ-ღატაკს. დღესაც სიტყვა გლახა, გლახაკი, რაც გლეხის დიალექტურად შეცვლილი ფორმაა, ნიშნავს უუნაროს, ღატაკს, მათხოვარს.

ყ მ ო ბ ა შ ი[1] ექცეოდა. აზნაური მიწას თვითონ აღარ ამუშავებდა და იწყებდა ამ ყმა-გლეხის შრომის ექსპლოატაციას. ამრიგად, **ყოფილ თავისუფალ და დამოკიდებულ მეთემეთა დიდი ნაწილი ყმა-გლეხად იქცეოდა, რომლებსაც აზნაურები ნებაყოფლობით ან ძალით იქვემდებარებდნენ.** შუა საუკუნეების ისტორიიდან თქვენ იცით, რომ ასეთ პირებს დას. ევროპაში ფეოდალები ეწოდებოდათ. მიწისმოქმედი მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ ფეოდალებისადმი დამოკიდებულებაში ექცეოდა.

მონებსაც შრომის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით მათი მეპატრონენი მიწის ნაკვეთებს აძლევდნენ, მოწეული მოსავლის ნაწილს უტოვებდნენ და იმის უფლებასაც რთავდნენ, რომ თავისი ოჯახი ჰყოლოდათ. ესენიც საბოლოოდ ყმა-გლეხის მდგომარეობაში ექცეოდნენ. ამრიგად, ქვეყანაში ფეხს იკიდებდა ფ ე ო დ ა ლ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა.

ეს პროცესი ხანგრძლივი დროის განმავლობაში და მწვავე კლასობრივი ბრძოლების ვითარებაში მიმდინარეობდა. თავისუფალი მეთემენი ადვილად როდი თმობდნენ ძველ უფლებებს და თავდადებით იბრძოდნენ მათი შენარჩუნებისათვის. საბოლოო წარმატება მაინც კარგად შეიარაღებულ და ორგანიზებულ ფეოდალებს რჩებოდათ. თემური მიწათმფლობელობის და წყობილების გადმონაშთები მაინც დიდხანს იყო საქართველოში შემორჩენილი. ამ ხანას ა დ რ ი ნ დ ე ლ ი ფ ე ო დ ა ლ ი ზ მ ი ს ხ ა ნ ა ეწოდება.

სასანიანი პიტიახშის გამოსახულება მცხეთაში აღმოჩნილ ვერცხლის ლარნაკზე.

2. საქართველო III — IV საუკუნეებში. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. III საუკუნიდან ქართლის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ეს გამოწვეული იყო პირველ რიგში იმით, რომ ჩვენი ქვეყნის სამხრეთით პართიის სახელმწიფოს ადგილას ახალი უფრო ძლიერი და აგრესიული ირანის სახელმწიფო ჩამოყალიბდა ს ა ს ა ნ ი ა ნ თ ა დინასტიით სათავეში. სასანიანმა შაჰებმა ქვეყანა ცენტრალიზებულად მოაწყვეს, აღადგინეს ძველი ირანული რელიგია — მ ა ზ დ ე ა ნ ო ბ ა, ახუ ცეცხლთაყვანისმცემლობა და ეხერგიულად დაიწყეს ბრძოლა მეზობელი, პირველ რიგში, ამიერკავკასიის ქვეყნების დასაპყრობად. მათ დაამარცხეს რომის იმპერია, რომელიც ამ დროს სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა და შეუდგნენ აღმოსავლეთიდან მის საბოლოოდ განდევნას.

---

[1] ყ მ ა წარმოდგება სიტყვიდან ყრმა, რაც ახალგაზრდა ვაჟიშვილს ნიშნავდა. ყრმა მამის მორჩილი უნდა ყოფილიყო, ამდენად ყმობა სხვის მორჩილებაში და მფარველობის ქვეშ ყოფნას ნიშნავდა.

IV საუკუნის დასაწყისში რომის სახელმწიფო რელიგიად ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ა იქცა. სასანიდურმა ირანმა რომის საპირისპიროდ კავკასიის ქვეყნებში თავისი რელიგიის — მაზდეანობის ძალით გავრცელება იწყო. ასეთ ვითარებაში ქართველმა პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს ქრისტიანობა მიეღოთ და ამით სასანიდების წინააღმდეგ რომთან კავშირი განემტკიცებინათ.

სტელა—ჯვარი ბოლნისიდან ასომთავრული წარწერით.

ქრისტიანული რელიგია წარმოიქმნა რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში. იგი თავდაპირველად ჩაგრულთა რელიგია იყო, რომელიც თავის მიმდევრებს მოუწოდებდა მოთმინებას, ამქვეყნიური გაჭირვების უდრტვინველად ატანას. ეს რელიგია ქადაგებდა, რომ არ გაეწიათ წინააღმდეგობა ბოროტებისთვის, შეგუებოდნენ გაჭირვებას და სხვ. ეს პრინციპები კარგად შეესაბამებოდა აღმავალი ფეოდალური საზოგადოების ინტერესებს და ამიტომ მალე იგი ფეოდალური კლასის იდეოლოგიად იქცა.

საქართველოში ქრისტიანობა უკვე პირველ საუკუნეში ვრცელდება. IV საუკუნის პირველ ხახევარში კი (დაახლოებით 337 წ.) იგი მიიღო ქართლის მეფე მ ი რ ი ა ნ მ ა და მისმა კარმა. უფრო გვიან ქართულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ შეიმუშავა ოფიციალური ვერსია საქართველოს გაქრისტიანების შესახებ, რომელშიც სინამდვილესთან ერთად ბევრი სასწაულებრივი ამბებიც იყო შეტანილი.



ბოლნისის სიონი (V ს. ბოლო). აღმოსავლეთის ფასადი.

გადმოცემით ქრისტიანობა ქართლში უცხოეთიდან მოსულმა ქალმა ნინო კაბადოკიელმა იქადაგა. მან თავდაპირველად სახელი გაითქვა, როგორც შესანიშნავმა მკურნალმა. ბოლოს მძიმე სენით შეპყრობილი დედოფალი ნანაც მოარჩინა და გააქრისტიანა. ასევე უქადაგა ქრისტიანობა მეფე მირიანსაც, მაგრამ მირიანი არ თანხმდებოდა ამ ახალი რელიგიის მიღებას, ვიდრე სასწაული არ მოხდა. ერთხელ ნადირობის დროს ჩამობნელდა. მეფე მირიანმა და მისმა ამალამ ტყიდან გზა ვერ გაიკვლია. მეფე ბევრს ევედრებოდა თავის მამაპაპეულ ღმერთებს, მაგრამ მხოლოდ მაშინ განათდა, როდესაც მირიანმა ნინოს მიერ ქადაგებულ ქრისტეს მიმართა თხოვნით. ამის შემდეგ ქართლის მეფემ იწამა ნინოს სარწმუნოების ჭეშმარიტება და დაუყოვნებლივ მოინათლა.

ქრისტიანობა ქართლში სწრაფად გავრცელდა, თუმცა ისეთ კუთხეებში, სადაც მოსახლეობა ჯერ კიდევ თემური წყობილებით ცხოვრობდა, მამაპაპეულ რელიგიას ჯიუტად იცავდნენ და მეფის ხელისუფლებას ძალის გამოყენებაც მოუხდა. ასე იყო, მაგალითად, არაგვის ხეობის მოსახლეობაში (იხ. დოკ. 1), კახეთის მთიანეთში და სხვ.

დასავლეთ საქართველოში რომთან უფრო მჭიდრო კავშირისა და გეოგრაფიული სიახლოვის გამო ქრისტიანობა ადრიდანვე გავრცელდა. 325 წ. ქ. ნიკეაში გამართულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსიც. როგორც ჩანს, სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა ეგრისშიც IV საუკუნიდან უნდა ქცეულიყო.

ქრისტიანობის შემოსვლა აჩქარებდა ფეოდალური ურთიერთობის დამკვიდრებას, ამიტომ იგი ამ ეტაპზე უსათუოდ დადე-

მოზაიკური იატაკის ფრაგმენტი ბიჭვინთის ტაძრიდან (V—VI სს.).

ბით როლს ასრულებდა ქვეყნის საზოგადოებრივ განვითარებაში. ამას გარდა, ქრისტიანობა წიგნიერი რელიგია იყო, იგი ხელს უწყობდა ერთიანი ქართული კულტურის, ენისა და ლიტერატურის განვითარებას. ქართულმა დამწერლობამ ამ დროიდან მიიღო უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული, დახვეწილი სახე და იგი ფართოდ გავრცელდა მთელს საქართველოში. ქრისტიანობა დაუნდობლად ებრძოდა ძველ რელიგიას. ამ პერიოდში მოისპო და განადგურდა წინაქრისტიანული, წარმართობისდროინდელი ქართული კულტურის ბევრი ძეგლი, მათ შორის, ალბათ, ძველი დამწერლობის ნიმუშებიც.

8. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ IV ს. ბოლოს და V ს. პირველ ნახევარში. IV ს. ბოლოს და V ს. I ნახევარში ირანის სასანიანი შაჰები იბრძვიან ამიერკავკასიის ქვეყნების დასაპყრობად. თავდაპირველად მათ შეძლეს როგორც სომხეთისა და ალბანეთის, ისე ქართლის დახარკვა. უკვე IV საუკუნის ბოლო წლებში მათი მოხელე პიტიახში ციხე-ქალაქ თ ბ ი ლ ი ს შ ი იჯდა, აქედან აკონტროლებდა ქართლის მეფის მოქმედებას და განაგებდა ხარკის აკრეფის საქმეს. ქართლის მოსახლეობისთვის მძიმე იყო ირანის სასარგებლო სამხედრო ვალდებულებაც. აქ დროდადრო იკრიბებოდა ცხენოსანი ჯარი და იგზავნებოდა შორეულ ლაშქრობებში (მაგალითად, შუა აზიაში, ინდოეთში და სხვ.). დიდი ნაწილი ამ გაწვეულ მოლაშქრეთაგან სამშობლოში ვეღარ ბრუნდებოდა. ამით ირანელი დამპყრობლები ასუსტებდნენ ქართველი ხალხის ძალასა და წინააღმდეგობის უნარს.

428 წ. ირანელებმა გააუქმეს მეფობა სომხეთში და ქვეყანა აუტანელი ჩაგვრის უღელქვეშ მოაქციეს. მალე მეფობა გააუქმეს ალბანეთშიც. ქართლის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მძიმე და კრიტიკული ხდებოდა.

IV — V სს. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა დასავლეთ საქართველოშიც. მის განვითარებაში დიდ როლს ასრულებდა ურთიერთობა რომის სახელმწიფოსთან. IV საუკუნის ბოლოს რომის სახელმწიფო ორ ნაწილად გაიყო: დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიებად. აღმოსავლეთ რომის იმპერია ძირითადად საბერძნეთს და მისგან აღმოსავლეთით მდებარე პროვინციებს მოიცავდა. მისი დედაქალაქი იყო კონსტანტინოპოლი, რომელიც ბოსფორის სრუტეზე მდებარეობდა. მას ადრე ბიზანტიონი ერქვა, ამიტომ ამ იმპერიას ბ ი ზ ა ნ ტ ი ი ს ი მ პ ე რ ი ა ს ა ც უწოდებენ.

ბიზანტიის საიმპერატორო კარი ცდილობდა მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი დას. საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ ადგილობ-

რივი მოსახლეობა შეუნელებლად ებრძოდა დამპყრობლებს.

I — II საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამთავროებს შორის ყველაზე მეტად დაწინაურდა ლაზების სამთავრო, რომელმაც თანდათან დაიმორჩილა მთლიანად დასავლეთ საქართველო და IV ს. დასასრულისათვის ერთიან სამეფოდ ჩამოყალიბდა (იხ. დოკ. 2). ამ სახელმწიფოს ბიზანტიელები ლ ა ზ ი კ ა ს უწოდებდნენ, ხოლო ქართველები ტრადიციულად ე გ რ ი ს ს. მისი დედაქალაქი იყო ც ი ხ ე-გ ო ჯ ი, რომელსაც ბერძნები „ა რ ქ ე ო პ ო ლ ი ს ს", ანუ „ძველ ქალაქს" ეძახდნენ. არქეოლოგიურმა გათხრებმა წარმოაჩინა ამ უძველესი ქალაქის დიდებული ნაგებობანი და თავდაპირველი სახე.



არქეოპოლისის (ციხეგოჯის, დღევანდელი ნოქალაქევი) გალავნის ნაშთი.

ეგრისის მოსახლეობამ ხანგრძლივი ბრძოლით გააძევა სანაპირო ციხეებში ჩაყენებული ბიზანტიელთა გარნიზონები და ფაქტობრივ დამოუკიდებლობას მიაღწია. ბიზანტიელებმა V ს. რამდენიმეჯერ გამოგზავნეს ჯარები, მაგრამ ეგრისელებმა ისინი დაამარცხეს და უკუაქციეს.

კითხვები და დავალება

1. შუა საუკუნეების ისტორიიდან გაიხსენეთ რა ნიშნებით ხასიათდებოდა ფეოდალური წყობილება? 2. როგორ ხდებოდა ფეოდალური წყობილების ჩასახვა საქართველოში? 3. როდის და რა პირობებში გამოცხადდა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად საქართველოში? 4. რა მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანობის მიღებას ქართველი ხალხის შემდგომი სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის? 5. გვიამბეთ ამიერკავკასიის ხალხთა ერთობლივი ბრძოლების შესახებ ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, ეგრისის მოსახლეობის ბრძოლების შესახებ რომაელების წინააღმდეგ.

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

1. ძველი ქართული საისტორიო წყარო (ლეონტი მროველი) ქრისტიანობის გავრცელების შესახებ ქართლის მთის რაიონებში

„წარვიდა წმიდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე და მათ თანა წარატანა[1] მეფემან ერისთავი ერთი. მივიდეს და დადგეს წობენს, და მოუწოდეს მთიულთა, პირუტყვთა სახეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა და გუდამაყრელთა და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი... ხოლო მათ არა ინებეს ნათლისღება. მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართთა მახვილი მათ ზედა და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი.

გარდმოვიდეს მუნით[2] და დადგეს ჟალეთს და უქადაგეს ერწო-თიანელთა. ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ იღეს. ხოლო ფხოელთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს. და სხვანიცა მთიულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა[3] მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლის ღება“.

კითხვები

1. რატომ გაატანა მეფემ ნინოს ერისთავი? 2. რატომ უწოდებს ავტორი მთიელებს „პირუტყვთა სახეთა მათ კაცთა“? 3. რატომ ეწინააღმდეგებოდნენ მთიელები ქრისტიანობის მიღებას? 4. რა ზომას მიმართა მეფემ მთიელთა გასაქრისტიანებლად?

2. ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია ლაზების შესახებ

„ძლიერი და მამაცი ტომია ლაზები და სხვა ძლიერ ტომებზედაც მბრძანებლობენ. ისინი ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით. იმ ტომებს შორის, რომელნიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან. მე არ მეგულება არც ერთი სხვა ასე სახელგანთქმული და განდიდებული თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბითა და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით... ლაზები ზღვაშიც დაცურავენ და ვაჭრობაშიც დიდ სარგებელს პოულობენ. მათ თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონიერი სახე მიუციათ“.

კითხვები და დავალება

1. რა იგულისხმება ავტორის ცნობაში: ლაზები ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით? 2. რა საქმიანობას ეწეოდნენ ლაზები? 3. აღწერეთ ლაზიკის (ეგრისის) სამეურნეო მდგომარეობა ამ ცნობის მიხედვით.

---

[1] წ ა რ ა ტ ა ნ ა — გააყოლა. [2] მ უ ნ ი თ — იქიდან. [3] დ ა უ მ ძ ი მ ა — გაუდიდა.

§ 8. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის V ს. მეორე ნახევარში. მეფე ვახტანგ გორგასალი

1. ირანის სამეფო კარის კავშირი ქართლის დიდაზნაურებთან. IV — V საუკუნეების მანძილზე ქართლის მოსახლეობა კიდევ უფრო დაწინაურდა ფეოდალური ურთიერთობის განვითარების გზაზე. აზნაურთა გამრავლებულ ფენას გამოეყო უფრო გამდიდრებული და დაწინაურებული ნაწილი, რომლებიც დ ი დ ა ზ ნ ა უ რ ე ბ ა დ იწოდებოდნენ. მათ ეკავათ სახელმწიფოს უმაღლესი სამოხელეო და საეკლესიო თანამდებობანი, ფლობდნენ და განაგებდნენ დიდ ტერიტორიებს მათზე მოსახლე ყმა-გლეხებითა და მეთემეებითურთ. ისინი ამ თანამდებობის და საგამგებლო ტერიტორიების მემკვიდრეობით დაუფლებას ცდილობდნენ, რასაც ქართლის მეფის ხელისუფლება გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა. ამის ნიადაგზე მეფესა და დიდაზნაურებს შორის მწვავე კონფლიქტი წარმოიშვა, რაც მალე შეურიგებელ ბრძოლაში გადაიზარდა. ამით კარგად სარგებლობს შაჰის კარი და უკავშირდება ქართლის დიდაზნაურებს, აქეზებს მათ საკუთარი მეფის წინააღმდეგ. ასეთი გზით ირანელი დამპყრობლები ქართლის საბოლოო დამორჩილებას გეგმავდნენ.

სპარსელების მხარეზე გადასული ერთ-ერთი ასეთი დიდაზნაური იყო ქვემო ქართლის განმგებელი პიტიახში ვ ა რ ს ქ ე ნ ი. იგი ირანის შაჰის კარზე მიიწვიეს. იქ მან უარჰყო ქრისტიანობა და მაზდეანობა, ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღო. ირანის შაჰმა მას თავისი ქალიც კი შერთო ცოლად და ქართლში დიდი პატივით გამოისტუმრა. სამშობლოში მის ასეთ საქციელს აღშფოთებით შეხვდნენ. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ვარსქენის პირველმა ცოლმა შ უ შ ა ნ ი კ მ ა, რომელმაც მრავალი წამების მიუხედავად არ უარყო ქრისტიანობა და მტრის სარწმუნოებაზე არ გადავიდა. შუშანიკის ასეთი თავდადება აღწერა მისმა კარის მოძღვარმა ი ა კ ო ბ ც უ რ ტ ა ვ ე ლ მ ა.

ამ დროს ქართლის ეკლესიაც უკვე ფეოდალურად იყო ორგანიზებული. ეკლესია-მონასტრებს დიდი სამფლობელოები გაუჩნდათ ძირითადად შეწირული მიწების სახით, რომლებსაც განაგებდნენ ამ ეკლესია-მონასტრების სათავეში მდგომი საეკლესიო დიდმოხელენი: მთავარეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, მონასტრების წინამძღვრები და სხვ. ეს უმაღლესი საეკლესიო თანამდებობანი ეკავათ ძირითადად დიდაზნაურთა საგვარეულოების წარმომადგენლებს და, გასაგებია, ისინი მსხვილი ფეოდალების ინტერესების დამცველნი და გამტარებლები რომ იყვნენ.

ირანის შაჰის კარმა ქართულ ეკლესიასთან ურთიერთობის

გარკვეული პოლიტიკა გამოიმუშავა. სადაც ამას ახერხებდა, იქ იგი, რა თქმა უნდა, ცდილობდა დაენერგა ცეცხლთაყვანისმცემლობა, მაგრამ სადაც ამ საქმეში წარმატება არ ჰქონდა, იქ მხარს უჭერდა ქრისტიანობის ისეთ მიმდინარეობას, რომელიც ბიზანტიაში უარყოფილი, აკრძალული და დევნილი იყო. ამით შაჰის კარი ცდილობდა ბიზანტიის გავლენისაგან ჩამოეშორებინა აღმოსავლეთის ქვეყნები, რაც მისი დამპყრობლური გეგმების განხორციელებას გააადვილებდა.

ამ პერიოდში ქრისტიანობაში ორი ძირითადი მიმდინარეობა იყო: მ ო ნ ო ფ ი ზ ი ტ ო ბ ა და დ ი ო ფ ი ზ ი ტ ო ბ ა. პირველი აღიარებდა ქრისტეს ერთბუნებიანობას, მის მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას, მეორე კი თვლიდა, რომ ქრისტეს ორი ბუნება ჰქონდა — ღვთაებრივი და ადამიანური. ამ ორ მიმდინარეობას შორის ბიზანტიაში დიდი ბრძოლა წარმოებდა, რომელიც ბოლოს დამთავრდა დიოფიზიტობის გამარჯვებით. ბიზანტიაში მონოფიზიტობა აიკრძალა. ამის შემდეგ ირანმა მხარი დაუჭირა ბიზანტიის საწინააღმდეგო მონოფიზიტურ ქრისტიანობას. ასეთი გზით ირანის პოლიტიკოსები კავშირს ამყარებენ უმაღლეს საეკლესიო პირებთანაც და ისინიც გადაჰყავთ თავის მხარეზე. ასეთი რთული შინაპოლიტიკური ბრძოლების ვითარებაში ადის ქართლის სამეფო ტახტზე მეფე ვ ა ხ ტ ა ნ გ გ ო რ გ ა ს ა ლ ი.

ქვის მოჩუქურთმებული ჯვარი და ქვის სტელა ქართველი დიდებულის გამოსახულებით (ბოლნისი, V ს.).

2. ვახტანგ გორგასალი. ვახტანგ გორგასალი ქართლში მეფობდა V საუკუნის მეორე ნახევარში. იგი სათავეში ედგა ქართველი ხალხის ბრძოლას ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ და ბოლოს ამ ბრძოლაში დაიღუპა კიდეც. ამიტომ იყო, რომ ქართველმა ხალხმა ამ ქვეყნისთვის თავდადებული გმირი მეფის სახელი და სიყვარული დღემდე შემოინახა. მეფე ვახტანგის სახელი ლეგენდებით არის მოსილი და მის შესახებ არაერთი გადმოცემა და თქმულებაა დაცული ხალხში.

ვახტანგი სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილი ავიდა ქართლის ტახტზე. იგი ქართველთა ლაშქართან ერთად ირანში გაიწვიეს და შაჰის ბრძანებით მონაწილეობდა შუა აზიასა და ინდოეთში სხვადასხვა ბრძოლებში. ამ ბრძოლებში მას თავი გამოუჩენია, როგორც უბადლო მეომარსა და მხედართმთავარს. ირანიდან დაბრუნების შემდეგ ვახტანგმა დაიწყო ბრძოლა ქართლში მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის და მოღალატე დიდაზნაურთა თვითნებობის აღსაკვეთად.

ვახტანგმა პირველ რიგში ყურაღდება მიაქცია ქართულ ეკლესიას, რომელშიც, როგორც დავინახეთ, გაბატონებულნი იყვნენ დიდაზნაურები. მეფემ გადააყენა არაერთი ეპისკოპოსი, რომ-



ელიც შეუფერებლად მიაჩნდა და მათ მაგივრად თავისი მომხრე და უფრო ღირსეული პირები დანიშნა. ამ ამბავმა იმდენად აღაშფოთა ქართლის მთავარეპისკოპოსი მ ი ქ ა ე ლ ი, რომ მან წარმოუდგენელი მკრეხელობა ჩაიდინა: შეურაცხყოფა მიაყენა მეფე ვახტანგს და დაწყევლა იგი და მისი ლაშქარი. განრისხებულმა ვახტანგმა მთავარეპისკოპოსი მიქაელი გააძევა საქართველოდან. ამავე დროს ვახტანგმა ბიზანტიისაგან მიიღო ნებართვა, რათა ქართული ეკლესიის სათავეში ჩაეყენებინა კათალიკოსი, რომელიც თვითმწყემსობის, ე. ი. ავტოკეფალიის უფლებით იქნებოდა აღჭურვილი და მხოლოდ საქართველოს მეფეს დაექვემდებარებოდა.

ვახტანგ მეფემ შეუტია საერო ფეოდალებსაც — დიდაზნაუ-

რებს. მან საბაბად გამოიყენა შუშანიკის წამების ამბავი და 482 წელს სპარსელების სამსახურში ჩამდგარი ვარსქენ პიტიახში მოაკვლევინა. ეს იქცა სპარსელების წინააღმდეგ აჯანყების ღაწყების ნიშნად. მეფე ვახტანგი შეუკავშირდა მეზობელ სომხებსა და ალბანელებს და მათთან ერთად აპირებდა გამოსვლას. მას იმედი ჰქონდა, რომ დაიხმარებდა იმიერკავკასიაში მომთაბარე ჰუნთა მეომარ ტომებს. საამისოდ ვახტანგმა გაილაშქრა იმიერკავკასიაში, დაიმორჩილა ალან-ოსები და დაიკავა კავკასიონის ერთ-ერთი მთავარი გადმოსასვლელი კარი — დ ა რ ი ა ლ ი. მაგრამ მისი იმედი ამ მოკავშირეებისაგან დახმარების მიღებისა არ გამართლდა. ჰუნთაგან მხოლოდ 300 მეომრის გადმოყვანა მოხერხდა. სომეხი მსხვილი ფეოდალებიც, ნახარარები, ისევე როგორც ქართველი დიდაზნაურები, სპარსელებთან შეთანხმებას არჩევდნენ და გადამწყვეტ მომენტში საერთო საქმეს ღალატობდნენ.

ანჩისხატის ბაზილიკური ტაძარი თბილისში, VI ს.

თავდაპირველად აჯანყებულებს წარმატებები ჰქონდათ. მათ დაამარცხეს და საქართველოდან გააძევეს სპარსელთა ჯარის ნაწილები, მაგრამ 483 წელს ირანის შაჰმა ახალი დიდძალი ჯარი გამოგზავნა და ვახტანგს მარტო თავისი ძალებით მათთან შებმა არ შეეძლო. ამიტომ აჯანყებულებმა სომხეთის მთებისაკენ დაიხიეს და გამაგრდნენ. იქ ელოდა ქართლის მეფე სომეხთა დამხმარე ძალას. მართლაც ქართველების დასახმარებლად მოვიდა სომეხთა ლაშქარი ცნობილი მხედართმთავრის ვაჰან მამიკონიანის მეთაურობით. ქართველ-სომეხთა შეერთებული ლაშქარი გარდაბნის ველზე დაბანაკდა, სადაც აპირებდნენ მტრის ჯართან შებმას. მაგრამ ბრძოლის წინ ღალატმა იჩინა თავი. ზოგიერთმა სომეხმა ნახარარმა სპარსელთა სარდალს აცნობა, რომ ბრძოლის დროს მის მხარეზე გადავიდოდა. მეორე დღეს, როცა აჯანყებულებმა მტერს შეუტიეს და მოწინააღმდეგის ერთი ფრთა უკუაქციეს კიდეც, მოღალატეებმა ბრძოლის ველი მიატოვეს და ამით მტერს გაუადვილეს გამარჯვება. ვახტანგ მეფე იძულებული გახდა უკან დაეხია და ახალი ბრძოლისათვის მომზადებულიყო.

სიონის გუმბათოვანი ტაძარი თბილისში (VI—VII სს.).

484 წელს ქართლსა და სომხეთში ირანელთა დიდი ჯარი შემოვიდა. მის სარდალს ნაბრძანები ჰქონდა ვახტანგ მეფე ან შეეპყრო, ან მოეკლა. ძალები აშკარად უთანაბრო იყო, ამიტომ ქართლის მეფე იძულებული შეიქნა თავისი მომხრეებითურთ დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. მეფე ფიქრობდა აქ ძალების მოკრებას და ბიზანტიიდან დახმარების მიღებას. რამდენიმე ხნის შემდეგ ვახტანგ გორგასალი ქართლში დაბრუნდა და ირანის წინააღმდეგ აჯანყების ცეცხლი კვლავ დაანთო. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მეფეს ძირითადად უბრალო ხალხი

ციხე-ქალაქ უჯარმის გეგმა.



უჯარმის ციხე-ქალაქი. ზედაციხე. კედლის წყობის ნიმუში სარკმლებითა და თაღოვანი შესასვლელით.

უპერდა მხარს, დიდგვარიანი აზნაურები კი კვლავ მტრის მხარეზე იყვნენ. ეს გარემოება მტერს ბრძოლას უადვილებდა.

უკანასკნელი ბრძოლა ვახტანგ მეფემ სპარსელებს სამგორის ველზე გაუმართა. თავისი სიმამაცითა და გმირული შემართებით იგი მტერს შიშის ზარს სცემდა. სადაც კი გამოჩნდებოდა, სპარსელები ატეხავდნენ ყვირილს „ერიდეთ გორგასალსო" (გორგასალი სპარსულად მგლის თავს ნიშნავს. ვახტანგი ატარებდა მუზარადს, რომელზეც წინ მგლის თავი იყო გამოსახული. ამიტომ შეარქვეს ვახტანგ მეფეს გორგასალი) და თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ. მეფე თავისი მაგალითით ქართველ მეომრებს ამხნევებდა და გამარჯვების რწმენას უნერგავდა, მაგრამ შინაგამცემლებმა მეფე ვახტანგი ბრძოლის დროს მოკლეს. როგორც გადმოგვცემენ, იგი ღალატით მოუკლავს მის ყოფილ მონას, რომელსაც სცოდნია, რომ ვახტანგს ჯაჭვის პერანგი იღლიის ქვეშ გახეული ჰქონდა. როდესაც ბრძოლის დროს მეფემ შემართა ხმლიანი ხელი, მონაყოფილმა მას ისარი სტყორცნა და სასიკვდილოდ დაჭრა. ვახტანგი თანამებრძოლებმა ბრძოლის ველს გააცალეს და მის მიერ აგებულ უჯარმის ციხეში შეაფარეს, სადაც გმირი მეფე ჭრილობისაგან გარდაიცვალა. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული ვახტანგ გორგასალი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში დიდი პატივით დაკრძალეს (იხ. დოკ. 1).

3. თბილისი — ქართლის დედაქალაქი. ვახტანგ გორგასალი ცნობილია დიდი აღმშენებლობითი მოღვაწეობითაც. მან არაერთი ციხე და ქალაქი გააშენა, მაგალითად, მდ. ივრის ხეობაში ციხე-ქალაქი უჯარმა, აღმოსავლეთ კახეთში ჰერემი, ხორნაბუჯი, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არტანუჯის ციხე და სხვ. მის სახელთან არის დაკავშირებული თბილისის გაშენება და მისი დედაქალაქად გადაქცევა.

თბილისი IV საუკუნეში უკვე ცნობილი იყო, როგორც ციხე-ქალაქი. აქ იჯდა სპარსელთა მიერ დასმული მოხელე პიტიახში. მას შემდეგ, რაც ვახტანგმა სპარსელების წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. და ისინი ქართლიდან გააძევა, ყურადღება მიაქცია თბილისს, რომელსაც ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა. ვახტანგმა თბილისში სამეფო სასახლისა და ციხის მშენებლობა დაიწყო. ეს საქმე გააგრძელეს მისმა მემკვიდრეებმა და ანდერძის თანახმად დედაქალაქიც აქ გადმოიტანეს.

ქართველმა ხალხმა შესანიშნავი ლეგენდა შექმნა თბილისის დაარსების შესახებ: ერთხელ ვახტანგ მეფე თბილისის მიდამოებში ნადირობდა. იქ მაშინ ჯერ კიდევ უსიერი ტყე იყო. უცებ ბუჩქიდან ულამაზესი მამალი ხოხობი აფრინდა. მეფემ მას თავისი სანადიროდ გაწვრთნილი ქორი დაადევნა. ჰაერში გაიმართა ბრძოლა ხოხობსა და ქორს შორის. ბოლოს ორივე სადღაც გაუჩინარდა. დიდი ძებნის შემდეგ ნახეს, რომ ბრძოლით დაღლილი ქორიცა და ხოხობიც წყალში ჩავარდნილიყო. წყალი ცხელი იყო და ორივე შიგ ჩაფუფქულიყო. ცხელი წყალი დედამიწიდან ამოდიოდა. მეფეს მოეწონა ეს ადგილი, ბუნებრივი ცხელი წყალი და ბრძანა აქ ქალაქის გაშენება. თბილი წყლე-

თბილისის ძველი ციხის ნაშთები.

ახტანგ გორგასლის ქანდაკება მეტეხის პლატოზე. მოქანდაკე ელ. ამაშუკელი.

ბის გამო ქალაქს თბილისი (ძველი გამოთქმით ტფილისი) ეწოდა. ამ ლეგენდაში ასახულია ვახტანგის დამსახურება თბილისის გაშენებისა და შემდეგ დედაქალაქის აქ გადმოტანის საქმეში. არქეოლოგიური გათხრებით, რომელიც თბილისსა და მის მიდამოებში დღესაც მიმდინარეობს. დადასტურდა, რომ მოსახლეობა აქ უძველესი დროიდან, თვით ენეოლითის ხანიდან არსებობდა.

ვახტანგ გორგასალს ხალხმა დიდებული ლექსიც უძღვნა:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა;
იალბუზზე ფეხი შესდგა,
დიდმა მთებმა შექმნეს დრეკა.

კითხვები და დავალება

1. როგორ დაამყარა ირანის შაჰის კარმა კავშირი ქართლის დიდაზნაურებთან? 2. რატომ მიემხრო ქართლის დიდაზნაურთა ნაწილი ირანის მთავრობას? 3. რით დაიმსახურა ხალხის სიყვარული ვახტანგ გორგასალმა? 4. გაიაზრეთ, რას გულისხმობს ხალხი, როდესაც ლექსში ამბობს, რომ მან „იალბუზზე ფეხი შედგა“?

დოკუმენტები

1. ძველ ქართულ ხელნაწერში დაცული ცნობა ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობისა და დაღუპვის შესახებ

„ამან ვახტანგ აღაშენა ტფილისი და ქალაქი მცხეთა და მუნ მიიცვალა. ამან დაიმორჩილნა ოვსნი და (სხვანი კავკასიანნი), ამან შექმნა კარნი იგი ოვსეთისანი, რომელსა ჩუენ დარიანისად უწოდთ, და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი[1] მაღალნი და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი, და დღენდელად დღემდე არა ხელეწიფების[2] გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და (სხვათა კავკასიანთა), თვინიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა. ამან ვახტანგ მეფემან ფრიად ძლევაი აღადგინა სპარსთა ზედა და ყოველნი წინააღმდგომნი დაიმორჩილნა. რამეთუ იყო საზარელ[3] და გოლიათ და განთქმულ ყოველსა ქუეყანასა და ჰასაკითა[4] უმეტეს ყოველთა კაცთა, რამეთუ ათთორმეტი მტკაველი იყო სიმაღლე მისი. და აწცა რომელ არს აბჯარი და სამოსელი მისი, მისგან უფროის საცნაურ არს... (ვახტანგ) მოიკლა სპარსთა ბრძოლასა შინა მონაყოფილისა ვისგანმე მისისა ზაკვითა[5], და არს საფლავი მისი წინაშე სუეტის ცხოველისა და ზედა საფლავსა მისსა წერილ არს ხატი მისი[6], სწორი ჰასაკისა მისისაი“.

კითხვები და დავალება

1. რა მნიშვნელობა ჰქონდა დარიალის კარის დაპყრობას? 2. ვისი დავალებით მოქმედებდა „მონაყოფილი ვინმე“, რომელმაც ღალატით მოკლა მეფე ვახტანგი? 3. მოტანილი ნაწყვეტის მიხედვით აღწერეთ ვახტანგ გორგასალის გარეგნობა.



ბოლნისის სიონის წარწერის ფრაგმენტი.

2. უძველესი ქართული წარწერა ბოლნისის ტაძარზე

„შეწევნითა წმიდისა სამებისაითა, ოც წლისა პეროზ მეფისა ზე, ვიწყე შენება ამის ეკლესიისაი და თხუთმეტ წლისა შემდგომად განვასრულე. ვინ აქა შინა თავყანისხცეს, ღმერთმან შეიწყალენ. და ვინ ამის მაშენებელსა დავით ეპისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ“

---

[1] კოშკნი. [2] არ შეუძლიათ. [3] მტრისთვის შემზარავი. [4] სიმაღლით. [5] ღალატით. [7] „წერილ არს ხატი მისი“ — ამოკვეთილია მისი გამოსახულება.

კითხვები და დავალება

1. წარწერაში აღნიშნულია, რომ ირანის შაჰის, პეროზის (459 — 484 წწ.) მეფობის ოცი წლის თავზე დავით ეპისკოპოსს დაუწყია და თხუთმეტი წლის შემდეგ დაუმთავრებია ამ ეკლესიის მშენებლობა. გამოიანგარიშეთ რომელ წელს დაუწყიათ და რომელ წელს დაუმთავრებიათ ბოლნისის ეკლესიის მშენებლობა. 2. რომელი წლით შეიძლება დათარიღდეს მოტანილი წარწერა? 3. ვინ იყო ამ დროს ქართლის მეფე და სად იმყოფებოდა იგი?

§ 9. საქართველო VI საუკუნეში

1. მეფობის გაუქმება ქართლში. ირანელთა გაბატონება ქართლში. ვახტანგ გორგასლის დაღუპვის შემდეგ ირანელებმა გააძლიერეს ქართლის შევიწროება. ისინი ქართველებისაგან ქრისტიანული რჯულის შეცვლას და მაზდეიანობაზე გადასვლას მოითხოვდნენ. ამით ირანის შაჰი ქართლის სრულ დაპყრობას ამზადებდა. 523 წ. ქართლის მეფე გ უ რ გ ე ნ მ ა ირანელთა წინააღმდეგ აჯანყება სცადა, მაგრამ მას მხარი არ დაუჭირა დიდაზნაურთა უმრავლესობამ. ვერც ბიზანტიის იმპერიიდან მიიღო დაპირებული დახმარება და მეფე იძულებული გახდა თავისი ოჯახის წევრებითა და ამალით დასავლეთ საქართველოში გადასულიყო (იხ. დოკ. 1). აქ იგი იმედოვნებდა ბიზანტიისაგან დახმარების მიღებას, მაგრამ 532 წ. ბიზანტიამ „საუკუნო ზავი" დადო ირანთან, რომლის ძალითაც მან სცნო ირანელთა ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოზე. გურგენმა ქართლში დაბრუნება ვეღარ შეძლო. ირანელებმა არც სხვა ვინმეს მისცეს გამეფების ნება და ამით ქართლში მეფობა გააუქმეს.

ირანელებმა ქართლში თავიანთი უშუალო მმართველობა და ბატონობა დაამყარეს. ირანის შაჰმა ქვეყნის სათავეში თავისი მოხელე მ ა რ ზ პ ა ნ ი[1] დააყენა, რომელიც თბილისში იჯდა. თბილისში, მცხეთაში, რუსთავში და ქართლის სხვა მნიშვნელოვან ციხე-ქალაქებში ირანული სამხედრო ნაწილები იდგნენ. ამას გარდა დამპყრობლებმა კავკასიონის გადმოსასვლელები დაიკავეს და ახალი ციხე-კოშკებით გაამაგრეს.

მარზპანი ქართლის უზენაესი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალი იყო. რადგან ქართლში მეფობის გაუქმების საქმეში ირანელებს ადგილობრივი დიდაზნაურები დაეხმარნენ, ქვეყნის მართვა-გამგებლობაში ისინიც ჩართეს. ირანელებმა ქართლის დიდაზნაუ-

---

[1] მარზპანი — ძველ სპარსულად ნიშნავდა სანაპირო ოლქის მმართველს, მცველს.

რებს მთელი რიგი პრივილეგიებიც კი მიანიჭეს. მაგალითად, მათ მემკვიდრეობით დაუმტკიცეს საერისთავო-საგამგებლო ტერიტორიები, დანიშნეს მაღალ თანამდებობებზე და სხვ. დამპყრობლებმა ეკლესია-მონასტრებსაც შეღავათები მიანიჭეს. დამპყრობთა უღლის სიმძიმე უმთავრესად მოსახლეობის დაბალ ფენებს, მშრომელ ხალხს დააწვა. მათ ეკისრებოდათ ირანელთა სასარგებლოდ მძიმე ხარკი და სამხედრო ბეგარა.

2. „დიდი ომიანობა" ეგრისში. ქართლში გაბატონების შემდეგ ირანის შაჰმა დასავლეთ საქართველოშიც სცადა ფეხის მოკიდება. ქართლსა და ეგრისს შორის ძველთაგანვე მჭიდრო კავშირი არსებობდა და ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ეგრისი ქართლს ზურგს უმაგრებდა. ეგრისში დამკვიდრებით ირანი ქართლს ამ ზურგს მოუშლიდა, ამასთანავე ზღვაზე გავიდოდა, საიდანაც უკეთ შეუტევდა თავის ისტორიულ მეტოქეს, ბიზანტიას.

ბიზანტიის იმპერიის წინაშე მწვავედ დადგა ეგრისის გამაგრების საკითხი. ბიზანტიამ ეგრისში ჯარი შეიყვანა, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ბიზანტიელთა გარნიზონები ჩადგა შავი ზღვის სანაპირო ციხე-ქალაქებში: ფ ა ზ ი ს შ ი (ფოთი), ს ე ბ ა ს ტ ო პ ო ლ ი ს შ ი (სოხუმი), პ ი ტ ი უ ნ ტ შ ი (ბიჭვინთა). ამას გარდა, სამხრეთ სანაპიროზე, დღევანდელი ციხისძირის ადგილას, მაღალ კლდეზე ააგეს ციხე-ქალაქი პ ე ტ რ ა, სადაც ბიზანტიელთა მთავარი სამხედრო ნაწილები დაბანაკეს. აქვე იყო ბიზანტიელთა სარდლის (სტრატეგოსის) რეზიდენციაც. ბიზანტიელებმა გაამაგრეს ეგრისის დედაქალაქიც — ც ი ხ ე გ ო ჯ ი და ფაქტობრივად მთელი ქვეყანა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს. ბიზანტიელი მოხელეები თვითნებობდნენ, ხალხს ყვლეფდნენ. ეგრისის საგარეო ვაჭრობა მთლიანად ბიზანტიელმა მოხელეებმა ჩაიგდეს ხელში. ქვეყანას სინამდვილეში ბიზანტიელი სტრატეგოსი განაგებდა, ეგრისის მეფეს და წარჩინებულებს არაფერი ეკითხებოდათ. მეფეს მხოლოდ გარეგნულად დაუტოვეს მეფობის ნიშნები. ბიზანტიელთა ბატონობით უკმაყოფილო იყო მოსახლეობის ყველა ფენა (იხ. დოკ. 2). ეგრისელებს მარტო თავისი ძალით არ შეეძლოთ ბიზანტიელთა განდევნა, ამიტომ გადაწყდა დახმარება ირანისთვის ეთხოვათ. ეგრისის მეფე გ უ ბ ა ზ მ ა ელჩები მიავლინა შაჰის კარზე დახმარების სათხოვნელად. შაჰი სიამოვნებით გამოეხმაურა ეგრისელთა თხოვნას.

542 წ. ირანელებმა დიდი ლაშქარი შემოიყვანეს ეგრისში და ამით დაარღვიეს „საუკუნო ზავი" ბიზანტიასთან. ასე დაიწყო ე. წ. „დ ი დ ი ო მ ი ა ნ ო ბ ა" ეგრისში, რომელიც დროდადრო დაზავება-შესვენებებით — თითქმის 20 წელიწადს მიმდინარეობდა. თავდაპირველად, როცა მათ ადგილობრივი მოსახლეობა ეხმარებო-

და.წარმატება ირანელების მხარეს იყო. მალე მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, რადგან გამომჟღავნდა ირანის შაჰის ნამდვილი ზრახვები ეგრისის მიმართ. ირანის შაჰის კარს გადაეწყვიტა ადგილობრივი ქართული მოსახლეობა აეყარა და ეგრისში სპარსი და სხვა მათთვის სანდო ტომები ჩაესახლებინა. ამ ვერაგული გეგმის სისრულეში მოსაყვანად შაჰმა მოღალატის ხელით გუბაზ მეფის მოკვლა განიზრახა. ამ განზრახვის შესრულება სპარსელთა სარდალმა ერთ ლაზ წარჩინებულს, ფარსანსს დაავალა, რომელსაც გუბაზ მეფესთან მტრობა ჰქონდა. ფარსანსმა ასეთი მუხანათური საქმე არ იკადრა. როდესაც სამშობლოს დიდი განსაცდელი ელოდა, მან დაივიწყა პირადი მტრობა და ყველაფერი მეფე გუბაზს აცნობა. გუბაზი მიხვდა თავის შეცდომას. მოსახლეობა, წარჩინებულები დიდად

8. ეგრისი (ლაზიკა) III—VI ს.ს.-ში


ეგრისი
ბიზანტია
ბიზანტია
ეგრისი
ეგრისი
ეგრისი

ეგრისის სამ
ქალაქი ციხ
ქეოპოლისი,
ლი ნოქალაქ

უკმაყოფილონი იყვნენ ირანელთა მოქმედებით და ისევ ბიზანტიასთან დაკავშირება გადაწყვიტეს.

549 წ. ომი ახალი სისასტიკით განახლდა. ასეთი დიდი განსაცდელი იშვიათად უნახავს დასავლეთ საქართველოს. როგორც ბიზანტიის, ისე ირანის მიზანი ეგრისის დაპყრობა-დამონება იყო. ისინი დაუნდობლად აოხრებდნენ ქვეყანას.

ეგრისის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ქართლის ინტერესებსაც ემსახურებოდა, რადგან ერთი იმდროინდელი ისტორიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეგრისში გაბატონება ირანს „დიდ სარგებლობას მოუტანდა. იბერიაც ხომ მომავალში სავსებით მორჩილი იქნებოდა, რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ეს ხალხი, ვისთანაც ისინი აჯანყების შემთხვევაში, თავს გადაირჩენდნენ“.

ბრძოლა ცვალებადი შედეგებით მიმდინარეობდა, ციხე-ქალაქები პეტრა, ქუთაისი, ფაზისი და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები ხელიდან ხელში გადადიოდა. გამარჯვების სასწორი თანდათან ეგრისელებისა და ბიზანტიელებისაკენ იხრებოდა, რაც ეგრისელების დამსახურება უფრო იყო. ეგრისელები გაალმასებით იბრძოდნენ, რადგან საკუთარ სამშობლოს, სახლ-კარს, ცოლ-შვილს იცავდნენ, ადგილობრივ პირობებსაც კარგად იცნობდნენ. „მე არ ვიცი ვაჟკაცებო — მიმართავდა მეფე გუბაზი ეგრისელებს, — საჭიროა თუ არა კიდევ რჩევა-დარიგებით მომართვა თქვენდამი თქვენს აღსაფრთოვანებლად... საფრთხე მოელის ცოლ-შვილს, სამშობლო ქვეყანას და ერთი სიტყვით ყველაფერს, რის გამოც სპარსელებმა ჩვენზე იერიში მოიტანეს... თუ სპარსელები ამ ომში გაიმარჯვებენ, ისინი მარტო იმას არ იკმარებენ, რომ დაგვიმორჩილონ, ან ხარკი დაგვაკისრონ, ან სხვა რაიმე დაისაკუთრონ... ნუ გაქრება ლაზების სახე-

ბარელიეფი ჯვრის ამაღლების გამოსახულებით მცხეთის ჯვრის ტაძრის სამხრეთის შესასვლელის თავზე.

ლი! ძნელი არ არის ვაჟკაცებო სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის, რომელთაც ხშირად გაგვიმარჯვნია მათზე ხელჩართულ ომში“.

გუბაზ მეფემ რამდენიმე დიდი ბრძოლა მოიგო, მაგრამ ბიზანტიელები მეტად უნიათოდ მოქმედებდნენ. ისინი მხოლოდ საკუთარ გამდიდრებასა და გამორჩენაზე ზრუნავდნენ. მეფე გუბაზი არ მალავდა თავის უკმაყოფილებას და იმპერატორსაც ატყობინებდა ამას. თავის გადარჩენის მიზნით ბიზანტიელმა სარდლებმა, ვითომც სპარსელებთან კავშირის გამო, 554 წელს მდინარე ხობისწყლის ნაპირას, გუბაზი ღალატით მოკლეს.

სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი მეფის მუხანათურმა მკვლელობამ ეგრისელთა აღშფოთება გამოიწვია. იმ დროინდელი ისტორიკოსის სიტყვით „როცა ლაზებმა გუბაზი თავისი ჩვეულების მიხედვით დაასაფლავეს, მათ აღარ მიიღეს მონაწილეობა ბრძოლებში, რადგან თავს უკიდურესად შეურაცხყოფილად გრძნობდნენ და ფიქრობდნენ, ჩვენმა სამშობლომ დაკარგა თავისი სახელი და დიდებაო“. ლაზებისაგან მიტოვებულმა ბიზანტიელებმა მარცხი მარცხზე იგემეს სპარსელებისაგან.

სამშობლოს ბედის გადასაწყვეტად ლაზთა წარჩინებულებმა ფარული კრება მოიწვიეს. გუბაზ მეფის მოკვლით აღელვებული ეგრისელები, რომელთა აზრს წარჩინებული ა ი ე ტ ი გამოხატავდა, სპარსელების დახმარებით რომაელთა განდევნას მოითხოვდნენ, მაგრამ მეორე ლაზმა დიდებულმა ფ ა რ ტ ა ძ ე მ ხალხს ვნებათა ღელვის დაცხრომისა და გონიერი მოქმედებისაკენ მოუწოდა. ბიზანტიელთაგან განდგომა ომის ვითარებაში, როდესაც ეგრისი სავსე იყო მათი მეომრებით, საშიში იქნებოდა. ამასთანავე ლაზები თავისი ცხოვრების წესით ბიზანტიელებთან უფრო ახლოს იდგნენ, ვიდრე ირანელებთან, ბიზანტიელებთან სარწმუნოებაც საერთო ჰქონდათ. სპარსელები კი ვერ ურიგდებოდნენ მათ ქრისტიანობას. ფარტაძე ბიზანტიელებთან კავშირის შენარჩუნებას უპერდა მხარს, მხოლოდ იმ პირობით, რომ კეისრისაგან გუბაზის მკვლელთა დასჯა მოეთხოვათ (იხ. დოკ. 3 და 4). კრების მონაწილეთა უმრავლესობამ ეს აზრი გაიზიარა.

ეგრისში ბიზანტიელთათვის მძიმე ვითარება შექმნილიყო და იმპერატორი იძულებული იყო შეესრულებინა ლაზთა მოთხოვნა. მეფედ გუბაზის მემკვიდრე წ ა თ ე აკურთხეს, ხოლო გუბაზის მკვლელი ბიზანტიელი სარდლები საჯაროდ გაასამართლეს და სიკვდილით დასჯეს. იმპერიის ხელისუფლება ამის შემდეგ იძულებული შეიქნა ანგარიში გაეწია ეგრისისათვის და მის საშინაო საქმეებში ჩარევისაგან თავი შეეკავებინა. ამგვარად, ხალხის მიერ გაღებულ დიდ მსხვერპლს უშედეგოდ არ ჩაუვლია.

ომის მსვლელობაში ეგრისის ჩრდილოეთით, მთიან კუთხეებში, ბიზანტიელების წინააღმდეგ რამდენიმე აჯანყება მოხდა. 550 წ. ბიზანტიელებმა დაამარცხეს აჯანყებული ა ბ ა ზ გ ე ბ ი და სასტიკად დაარბიეს მათი მიწა-წყალი, ასევე 555 წ. დიდი ბრძოლის შემდეგ დაამარცხეს მ ი ს ი მ ი ე ლ ე ბ ი ც.

562 წ. ეგრისელებმა და ბიზანტიელებმა საერთო ძალებით საბოლოოდ დაამარცხეს ირანელები და განდევნეს ეგრისიდან.

8. ირანელთა განდევნა ქართლიდან. ერისმთავრობის დაწესება. ირანელთა ეგრისში დამარცხების შემდეგ ქართლში მათ წინააღმდეგ ბრძოლა გააქტიურდა. VI საუკუნის 70-იან წლებში ირანელთა ბატონობით უკმაყოფილო ქართველები, სომხები და კავკასიელი სხვა ხალხები ერთდროულად აღდგნენ მათ წინააღმდეგ. ქართლის ბრძოლას ამჯერად სათავეში დიდაზნაურები ჩაუდგნენ. ირანელთა ბატონობამ ისინიც მეტად შეაწუხა და თანდათან დამპყრობთა წინააღმდეგ განაწყო. როგორც დავინახეთ, ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ დიდაზნაურებმა, ერისთავებმა და მთავრებმა მემკვიდრეობით განიმტკიცეს თავიანთი სამფლობელოები და ახლა ქვეყნის სრული ბატონ-პატრონობა სურდათ. მათ გამოიყენეს ქვეყანაში გაშლილი ირანელთა საწინააღმდეგო სახალხო მოძრაობა და აჯანყების სათავეში მოექცნენ, დაუკავშირდნენ ბიზანტიის იმპერატორს და მასაც პირველ რიგში თავიანთი



ჯვრის ტაძარი მცხეთასთან, აგებული 586—606 წწ. (აღმოსავლეთის ფასადი).

სტეფანოზ ერისმთავრის მონეტა ქართული წარწერით.

ფეოდალური პრივილეგიების დამტკიცება მოსთხოვეს ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის სამაგიეროდ. ასევე, მოსთხოვეს იმპერატორს,დაემტკიცებინა ქართლის უმაღლესი ხელისუფალი, რომელიც მათ მიერ იქნებოდა არჩეული. ქართლის დიდაზნაურებმა, ერისთავებმა და მთავრებმა ასეთ ხელისუფლად აირჩიეს ერთ-ერთი ერისთავთაგანი, ირანის წინააღმდეგ აჯანყების მეთაური გ უ ა რ ამ ი, რომელსაც ერისთავთ-მთავარი, ანუ ე რ ი ს-მ თ ა ვ ა რ ი ეწოდა.

ირანელთა საბოლოო განდევნა 90-იან წლებამდე ვერ მოხერხდა, ამიტომ ქართლის ერისმთავრები თავდაპირველად ირანელთა ფორმალურ მორჩილებაში იყვნენ. 591 წლიდან კი ქართლი განთავისუფლდა ირანელთა ბატონობისაგან და შედარებით მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგა. ამ დროს ქართლის ერისმთავარი იყო ს ტ ე ფ ა ნ ო ზ I, რომელმაც მდ. არაგვისა და მტკვრის შესართავთან, მცხეთის პირდაპირ აღმართულ მაღალ კლდეზე დიდებული ჯვრის ტაძარი ააშენა. ქართული ხუროთმოძღვრების ამ შედეგრში შესანიშნავად განსახიერდა ირანის ბატონობისაგან განთავისუფლებული და ეროვნულ სახელმწიფოდ აღმდგარი ქართლის დიდი შემოქმედებითი ენერგია.

კითხვები

1. როგორ და როდის გაუქმდა მეფობა ქართლში? 2. რას მიაღწიეს აზნაურებმა მეფობის გაუქმებით? 3. რამდენ წელს მიმდინარეობდა „დიდი ომიანობა" ეგრისში? 4. რისთვის იბრძოდა ბიზანტია და ირანი ეგრისში? 5. როდის განთავისუფლდა ქართლი ირანელთა ბატონობისაგან? 6. როგორი იყო ერისმთავრების ხელისუფლება?

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

1. VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი იბერიის (ქართლის) მეფის გურგენის აჯანყების შესახებ

„ისინი (იბერები) ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, ხოლო ძველთაგანვე სპარსელთა მეფის ქვეშევრდომნი გამხდარან. მაშინ კავადს[1] უნდოდა ძალით მოექცია ისინი თავისი სარწმუნოების წესებზე და მათ მეფე გურგენს შეუთვალა სხვა რამეშიაც ისე მოქცეულიყო, როგორც სპარსელებში იყო მიღებული, და მიცვალებულებიც მიწაში კი არ დაემარხა, არამედ ყველა მიცვალებული, ფრინველებისა და ძაღლებისათვის გადაეგდო[2]. ამიტომ გურგენმა მოინდომა იუსტინე მეფის

---

[1] კ ა ვ ა დ ი — ირანის შაჰი 488—531 წწ.

[2] მაზდეანური რელიგიის მიხედვით მიცვალებულის მიწაში დამარხვა არ შეიძლებოდა.

(ბიზანტიის იმპერატორი იუსტინე 518—527 წწ.) მხარეს გადასულიყო და პირობა მიეღო, რომ რომაელები არასოდეს სპარსელების ხელში არ ჩააგდებდნენ იბერებს. იმანაც (ე. ი. იუსტინემ) დიდი სიამოვნებით მისცა ეს დაპირება... მეფემ (იუსტინემ) პეტრე სტრატეგოსი გაგზავნა ლაზიკაში რამდენიმე ჰუნნითურთ, რომ ის დახმარებოდა გურგენს, რამდენადაც შესაძლებელი იყო. ამავე დროს კავადმაც დიდძალი ჯარი გაგზავნა გურგენისა და იბერების წინააღმდეგ... გურგენმა რომ დაინახა, რომ ის სუსტია სპარსელთა იერიშის ატანისათვის, რადგან რომაელების მიერ გამოგზავნილი დამხმარე ძალები საკმაო არ იყო, ლაზიკაში გაიქცა იბერთა დიდებულებითურთ და თან წაიყვანა ცოლი, შვილები და ძმები, რომელთაგან უხუცესი იყო პერანი. ლაზიკის საზღვრებში რომ მივიდნენ, აქ გაჩერდნენ და, ძნელგასასვლელი ადგილებით დაცულნი, იგერიებდნენ მტერს. სპარსელები კი დაედევნენ მათ, მაგრამ მაინცდამაინც ვერაფერი დააკლეს".

კითხვები

1. რამ გამოიწვია, ამ დოკუმენტის მიხედვით, ქართლის მეფის აჯანყება ირანელთა წინააღმდეგ? 2. ვის სთხოვა დახმარება გურგენმა და რით დამთავრდა ეს აჯანყება?

2. ეგრისელები ბიზანტიელთა ბატონობის შესახებ ეგრისში (პროკოფი კესარიელის მიხედვით)

„საჭიროა ითქვას ზოგიერთი რამ, რაც ჩაიდინეს ჩვენს წინააღმდეგ წყეულმა რომაელებმა (ბიზანტიელებმა). ჩვენ მეფეს ხომ მეფობის გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება თვითონ მიითვისეს. მეფე მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია.. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიცვან ეს ქვეყანა შემწუხებელთაგან (მოსაზღვრეებიდან სხვა ხომ არავინ გვაწუხებდა ჩვენ, გარდა რომაელებისა), არამედ რათა დავემწყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაპატრონებოდნენ. რაც კი საჭირო საგნებიდან მათთვის ზედმეტი აღმოჩნდებოდა, მის ყიდვას აიძულებდნენ ლაზებს, მათი ნების წინააღმდეგ, ხოლო რაც მათთვის საჭირო საგნებიდან ლაზიკას შეუძლია მისცეს, ისინი ფიქრობდნენ რასაკვირველია, მათ შესყიდვას ჩვენგან მხოლოდ სიტყვით, რადგან ფასი თითოეულ შემთხვევაში წესდება მმართველთა აზრისდა მიხედვით. ამნაირად, საჭირო საგნებთან ერთად ისინი გვართმევდნენ მთელ ოქროსაც და უწოდებენ ამას ვაჭრობის კეთილშობილ სახელს, საქმით კი ისინი გვმძლავრობენ, რაც შეიძლება უფრო მეტად. ჩვენ გვიყენია მთავარი მეწვრილმანე[1], რომელიც ჩვენს სიღარიბეს, ძალაუფლების წყალობით, მოგების საშუალებად ხდის. აი, ასეთია მიზეზი ჩვენი განდგომისა და მისი გამართლება მასშიეა".

---

[1] იგულისხმება ბიზანტიელთა მიერ ეგრისში დანიშნული მოხელე იოანე ციბე.

კითხვა და დავალება

1. რატომ განუდგნენ ეგრისელები ბიზანტიელებს? 2. დაახასიათეთ ბიზანტიელი დამპყრობლების პოლიტიკა ეგრისში.

3. აიეტის სიტყვა სახალხო კრებაზე
(დაცულია ბიზანტიელ ისტორიკოს აგათია სქოლასტიკოსთან)

„რომაელები რომ სიტყვებითა და გეგმებით გვეპყრობოდნენ უსამართლოდ, ჩვენც კარგს ვიზამდით, რომ მუდამ ამგვარივე საშუალებებით დაგვეცვა თავი; მაგრამ ეხლა ნუთუ მისაღებია, რომ ამ დროს როდესაც ისინი ყველაფერში საშინლად გვექცევიან, სამაგიეროს გადახდის შემთხვევას ვკარგავთ იმაზე, რომ ვყოყმანობთ და ვთათბირობთ? ხომ არავის შეუძლია იმის მტკიცება, თითქოს მტერი ბოროტ ქცევაში ჯერ არ იყოს შემჩნეული, და თითქოს მხოლოდ ეჭვები არსებობდეს, რომ ის ამგვარ აზრებსა და ზრახვებს ატარებს: არც საბუთების მოგონებაა საჭირო მისი, ვითომდა დაფარული, ვერაგობის დასამტკიცებლად. საკმარისია გაიხსენოთ სახელოვანი გუბაზი, რომელიც ასე საცოდავად იქმნა მოსპობილი... გაქრა კოლხთა ღირსება და ამიერიდან ველარ ვეღირსებით იმას, რომ სხვებს ვბრძანებლობდეთ: ისიც უნდა ვიკმაროთ, თუ მივაღწევთ იმას, რომ ძალიან არ დაგვჩაგრონ იმათ, ვინც წინათ ჩვენი ქვეშევრდომი იყო. ნუთუ უკიდურეს უგუნურობას არ წარმოადგენს ის, რომ იმათ შესახებ, ვინც ეს ჩაიდინა, ეზიავართ და ვმსჯელობთ, მტრებად ჩავთვალოთ ისინი თუ მეგობრებად? უნდა ვიცოდეთ რომ მათი თავხედობა ამაზე არ შეჩერდება: თუ ჩვენ ამ ბოროტმოქმედებას უყურადღებოდ დავტოვებთ, ისინი არ მოგვეშვებიან და, გულხელდაკრეფილნი რომ ვისხდებით, უფრო შეუპოვრად აგვხდიან ნამუსს...

...მე ვინატროდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირდებოდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს, მაგრამ როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის ან ბედის უკუღმართობის, ან ორივეს წყალობით ისეთს უძლურებაში ჩავვარდით რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილისმსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირეთა მიმართ“.

4. ფარტაძის სიტყვა

„ჩვეულებრივი ამბავი დაგემართათ კოლხებო, რომ მეტად მოხერხებულად და წარმტაცად თქმულმა სიტყვებმა გონება შეგირყიათ. უძლეველი რაღაც არის მჭევრმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუცდია; მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ვერ დავუპირისპირებთ გონიერ მოსაზრებას, რომელიც საქმის ნამდვილ ვითარებას ემყარება...

... წყეული და შეჩვენებული არიან ისინი (ბიზანტიელები) და მე უდიდესი სიამოვნებით ვუყურებდი მათ საშინელ სასჯელს. ვუყურებდი არა მარტო იმათ დაღუპვას, რომელთაც განგმირეს გუბაზი და საკუთარი ხელებით ჩაიდინეს ეს მკვლელობა, არამედ ყველა იმათსაც, რომელთაც შეეძლოთ შეეფერხებინათ ეს მკვლელობა და არ შეაფერხეს, და აგრეთვე იმათაც, რომელთაც ეს მკვლელობა გაეხარდათ და არც თუ ისე აღშფოთდნენ. თუმცა მე ამას ვფიქრობ, მაგრამ სპარსელების მხარეზე გადასვლა მაინც არ იქნება სასარგებლო: არავინ არ მიიჩნევს საჭიროდ მივიღოთ და გავიზიაროთ ის აზრი, თითქოს თუ იმათ (ბიზანტიელებმა) ჩაიდინეს უკანონობა, აუცილებელი იყოს ჩვენც გამოვეთხოვოთ მშობლიურ წესებს (ე. ი. ქრისტიანობას)... რას დაემსგავსება ჩვენი საქციელი, თუ მივემხრობით უზენაესი პირების (ე. ი. ქრისტიანობის) სასტიკ მტერს? თუ ისინი (ირანელები) აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ, ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ?

... მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა რომაელთა მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან".

დავალება და კითხვა

1. შეადარეთ ერთმანეთს აიეტისა და ფარტაძის არგუმენტები. 2. როგორ დონეზე ყოფილა საქართველოში რიტორიკული ხელოვნება?

§ 10. საქართველო VII საუკუნეში. არაბთა ბატონობის დაწყება.

1. ჰერაკლე კეისრისა და ხაზართა ლაშქრობანი საქართველოში. ქართლის მშვიდობიანი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. VII საუკუნის დასაწყისში აქაური ერისმთავარი იძულებული გახდა ირანის შაჰის უზენაესობა ეცნო. ირანელებმა ამჯერად ქვეყნის უშუალო დაპყრობა ვერ შეძლეს, ამიტომ კვლავ ნაცად ხერხს მიმართეს: დაიწყეს ქართლის დიდაზნაურთა თავის მხარეზე გადაბირება და ბიზანტიის საწინააღმდეგო მონოფიზიტური ქრისტიანობისათვის ენერგიულად მხარის დაჭერა. ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილი მაინც დიოფიზიტურ ქრისტიანობას იცავდა, სომხეთში კი მონოფიზიტობა უფრო ძლიერი იყო. ამის ნიადაგზე ამ ორ მოძმე ხალხს შორის სარწმუნოებრივი განხეთქილება მოხდა (608 წ.).

ამასობაში ბიზანტიას სათავეში ჩაუდგა ახალი იმპერატორი ჰერაკლე (610—641 წწ.), რომელმაც დაიწყო ბრძოლა ირანელე-

ბარელიეფები მცხეთის ჯვრის ტაძრის კედლებზე ასომთავრული წარწერებით და ისტორიულ პირთა (დემეტრე ეიპატოსის, სტეფანოზ პატრიკიოსისა და ადარნასე და ქობულ სტეფანოსის) გამოსახულებით.

ბის ამიერკავკასიიდან გასადევნად. იგი დარწმუნდა, რომ ირანელების დასამარცხებლად მარტო თავისი ძალა არ ეყოფოდა. მან ბრძოლაში ჩაბა ადგილობრივი მოსახლეობა, დაუკავშირდა თურქთა დასავლეთის ხაკანატს და ჩრდილო კავკასიაში მომთაბარე ხაზარები ჯიბღუს სარდლობით ხალისით გამოემართნენ ამიერკავკასიისაკენ, რადგან დიდი ნადავლის ხელში ჩაგდების იმედი ჰქონდათ. ამ დროს ერთი სომეხი ისტორიკოსი შემდეგნაირად აღწერს ხაზარების შემოჭრას: „დაიძრა ნიაღვარი მოვარდნილი და მდინარე ადიდებული ქართველთა ქვეყნისაკენ, გარს შემოადგა და ალყა შემოარტყა ნებიერს, მოვაჭრესა და სახელგანთქმულ დიდ ქალაქს ტფილისს“. აქვე 627 წ. შემოდგომაზე მოვიდა ჰერაკლე კეისარიც და მოკავშირეებმა დაიწყეს ბრძოლა თბილისის ასაღებად. ირანელებმა მოასწრეს და თბილისში 1000 რჩეული მეომარი შეიყვანეს. აქვე იყვნენ ირანელთა მომხრე ქართველი აზნაურებიც.

თბილისის დამცველებმა ხაზარებსა და ბიზანტიელებს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ბიზანტიელები ქალაქს საგანგებო ლოდსატყორცნი მანქანებით უზარმაზარ ლოდებს უშენდნენ, მეციხოვნეები კი დაბზარულ და დანგრეულ კედლებს ხელახლა აშენებდნენ და კვლავ განაგრძობდნენ ბრძოლას. მოალყეებმა მტკვარი დააგუბეს და წყალი ქალაქზე მიუშვეს, მაგრამ თბილისის დამცველთა წინააღმდეგობა მაინც ვერ გატეხეს.

მოკავშირეებმა ალყის მოხსნა გადაწყვიტეს. გათამამებულმა ციხის დამცველებმა ბიზანტიელებს და ხაზარებს დაცინვაც კი დაუწ-

ყეს. დიდ გოგრაზე ხაზართა ხაკანის[1] დამახინჯებული სახე გამოსახეს, ციხის გალავანზე შემოსდეს და შუბებით ჩხვლეტა დაუწყეს, თან მოალყეთა გასაგონად ყვიროდნენ: აი, თქვენი მეფე-ხელმწიფე, მობრუნდით, თაყვანი ეცით, ეს ჯიბღუ-ხაკანიაო. მასხარად აიგდეს ჰერაკლე კეისარიც, მაგრამ გაწბილებული იმპერატორი იძულებული იყო თბილისს გასცლოდა. იგი ხაზარებს შეუთანხმდა, რომ ერთი წლის შემდეგ უფრო დიდი ძალით გამოილაშქრებდნენ თბილისის ასაღებად.

მართლაც, 628 წ. ხაზართა ახალი ურიცხვი ლაშქარი თბილისს შემოადგა. ამასობაში ჰერაკლეს ირანელები დაემარცხებინა და ამ უკანასკნელთ თბილისისადმი დახმარების თავი აღარ ჰქონდათ. თბილისელები მაინც მხნედ დაუხვდნენ მტერს და თავდადებით იცავდნენ თავიანთ დედაქალაქს, მაგრამ ხაზართა რიცხობრივმა უპირატესობამ თანდათან გატეხა ისინი. ორი თვის თავგანწირული ბრძოლის შემდეგ თბილისის დამცველები დამარცხდნენ და გამძვინვარებული ხაზარები ქალაქში შეიჭრნენ. მათ ჩვეული სისასტიკით დაარბიეს და გაძარცვეს ქალაქი (იხ. დოკ. 1). მცხოვრებთა დიდი ნაწილი გაჟლიტეს. თბილისიდან გაზიდეს აურაცხელი ძვირფასი ჭურჭელი, თვალმარგალიტით შემკობილი ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, გაირეკეს ტყვეები. ბიზანტიელები განსაკუთრებით მკაცრად მონოფიზიტ ქართველებს გაუსწორდნენ. საქართველოში ბიზანტიის პოლიტიკური გავლენა დამყარდა.



ბარელიეფები მცხეთის ჯვრის ტაძრის სამხრეთის კედელზე.

ბიზანტიელთა გავლენა განსაკუთრებით ძლიერი იყო დასავლეთ საქართველოზე. ეგრისში ბიზანტიის ხელისუფლება თავს უფრო მყარად გრძნობდა, ამიტომ VII ს. მეორე ნახევარში კეისარმა აქ მეფობა გააუქმა. ქართლში, რომელიც ირანთან უფრო ახლო მდებარეობდა და უფრო მჭიდროდ იყო მასთან დაკავშირებული, ბიზანტიელები შედარებით ფრთხილად იქცეოდნენ და ქართლის ერისმთავრისაგან მხოლოდ ერთგულებას და სამხედრო სამსახურს მოითხოვდნენ და ქვეყნის საშინაო საქმეებში არ ერეოდნენ.

ქართლისა და ეგრისის ერთმორწმუნე ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოქცევა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ამ ორი ქართული მხარის შემდგომი დაახლოება-შერწყმისათვის.

2. არაბთა გამოჩენა. VII საუკუნეში მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ სარბიელზე ახალი დიდი ძალა გამოვიდა, რომელმაც საფუძველშივე შეცვალა აქაური ქვეყნების სოციალურ-

---

[1] ხაზართა მეფე.

ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება. ესენი არაბები იყვნენ.

VII საუკუნის დასაწყისში არაბეთის ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბდა არაბთა სახელმწიფო. სახელმწიფოს დამაარსებელი და ახალი რელიგიის მქადაგებელი იყო მ უ ჰ ა მ ე დ ი, ანუ მ ა ჰ მ ა დ ი, რომლის სახელის ძიხედვით ამ სარწმუნოებას მაჰმადიანობა, ხოლო მის მიმდევრებს მაჰმადიანები ეწოდებოდათ. მაჰმადიანობას ი ს ლ ა მ ი ც ეწოდება და მის მიმდევრებს–მუსლიმები, ანუ მუსლიმანები[1]. მუჰამედის გარდაცვალების (632 წ.) შემდეგ არაბთა სახელმწიფოსა და რელიგიის მეთაურებს მუჰამედის მოადგილეები, ანუ არაბულად ხ ა ლ ი ფ ე ბ ი ერქვათ და მათ სახელმწიფოსაც ხ ა ლ ი ფ ა ტ ი, ანუ სახალიფო ეწოდება.

არაბების ასპარეზზე გამოსვლისას ბიზანტიაცა და ირანიც მეტად დასუსტებული იყვნენ ურთიერთშორის ბრძოლებით. ამით სარგებლობდნენ არაბები და როგორც ერთს, ისე მეორესაც ადვილად ამარცხებდნენ. არაბებმა ბიზანტიელებს წაართვეს აღმოსავლეთის პროვინციები: სირია, პალესტინა, ეგვიპტე; მთლიანად დაიპყრეს ირანი.

პირველ ხანებში არაბები შედარებით ლმობიერად ეპყრობოდნენ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობას. ვინც უბრძოლველად დანებდებოდა, დიდ შეღავათებს ანიჭებდნენ. ბიზანტიელთა და ირანელთა ხანგრძლივი ძალმომრეობით სულშეხუთული ხალხები არაბებს ზოგჯერ განმათავისუფლებლადაც კი თვლიდნენ და უბრძოლველად ნებდებოდნენ. ამან დიდად შეუწყო ხელი თავდაპირველად მაჰმადიანთა წარმატებებს.

3. საქართველოს დაპყრობა არაბთა მიერ. ამიერკავკასიის ქვეყნებში არაბთა შემოსევები VII საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო. ეს ჯერ მხოლოდ მარბიელი რაზმების თავდასხმები იყო, რომელთაც მოსახლეობა მედგარ წინააღმდეგობას უწევდა. VII საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება ბრძოლები ამიერკავკასიის დასაპყრობად. თავდაპირველად მათ სომხეთი დაიპყრეს. აქედან არაბთა სარდალმა ქართლის ერისმთავარს მუქარით სავსე წერილი გაძოუგზავნა და დამორჩილება მოსთხოვა. ქართველებმა დაიწყეს მზადება თავდაცვისათვის, მაგრამ ქართლისკენ მომავალ არაბთა უზარმაზარ ლაშქარს მკაცრმა ზამთარმა შეუშალა ხელი. 654 წ. არაბებმა დააძარცხეს ბიზანტიელები სომხეთში. ბიზანტიელთა ჯარის სარდალმა ქართლს შეაფარა თავი. არაბთა ლაშქარი ქართლის საზღვარს მოადგა.

---

[1] ი ს ლ ა მ ი არაბული სიტყვაა და ღვთისადმი მინდობას ნიშნავს, მუსლიმი — მინდობილს.

ქართლის ერისმთავარმა ს ტ ე ფ ა ნ ო ზ მ ა არაბთა სარდალს ჰ ა ბ ი ბ ი ბ ნ - მ ა ს ლ ა მ ა ს ელჩის ხელით საჩუქრები გაუგზავნა და ზავი და მშვიდობა შესთავაზა. ქართლის ერისმთავრის ეს დიპლომატიური სვლა არსებული ვითარების სწორი შეფასების შედეგი იყო. საქართველო მარტო დარჩა არაბების პირისპირ. ბიზანტია დამარცხებული იყო და არაბებისთვის დაეთმო აღმოსავლეთის პროვინციები. სომხეთშიც უკვე არაბები ბატონობდნენ. ამდენად, ძლიერი და მრავალრიცხოვანი არაბების წინააღმდეგ ბრძოლა ამჯერად პატარა ქვეყანას განადგურების მეტს არაფერს მოუტანდა. არაბთა სარდალი ჰაბიბ იბნ-მასლამა დიდად კმაყოფილი დარჩა ქართლის ერისმთავრის წინადადებით. მირთმეული საჩუქრები მომავალი ხარკის ანგარიშში ჩათვალა, მოვიდა თბილისში და ქართლს, როგორც ნებაყოფლობით დამორჩილებულ ქვეყანას, „დაცვის სიგელი“ მისცა, რომელშიც ჩამოთვლილი იყო ქართლის მორჩილების პირობები: მოსახლეობას დაეკისრა ფულადი გადასახადი („ჯიზია“) — თითო დინარი კომლის თავზე. ქართველებს ეკრძალებოდათ კომლთა გაერთიანება გადასახადის შემცირების, ხოლო არაბებს მათი დაყოფა ჯიზიას გაზრდის მიზნით. ქართველებს ევალებოდათ არაბებისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენა. ქართველთაგან, თუ ვინმე ძაძადიანობას ბიიღებდა, თავისუფლდებოდა ჯიზიასაგან და სარგებლობდა მუსლიმანთა საერთო უფლებებით, ხოლო ხელახლა გაქრისტიანების შემთხვევაში ისჯებოდა. არაბები ვალდებულნი იყვნენ ქართლი დაეცვათ მომხდურ მტერთაგან. „დაცვის სიგელის“ პირობების შესრულების ვითარებაში არაბები მოსახლეობას უმიშროებას, ქონებისა და სარწმუნოების ხელშეუხებლობას ჰპირ-

ძველი შუამთის ტაძარი (VII ს.)

მედალიონი საღოლაშენიდან. ქართული ოქრომჭედლობის ნიმუში (VII ს.).

დებოდნენ. თუ არა და ალაჰისა და მისი მოციქულის, მუჰამედის სახელით ომს უცხადებდნენ (იხ. დოკ. 2).

არაბთა ბატონობა ამიერკავკასიაში ამჯერად დიდხანს არ გაგრძელებულა. სახალიფოში დიდი შინაომი ატყდა, რომელიც 661/ წლამდე გაგრძელდა და არაბებს ქართლისთვის არ ეცალათ. ქართლმაც ამით ისარგებლა და თავი გაითავისუფლა. 60-იანი წლებიდან ქართლის ვითარება იმან გაართულა, რომ აქ ერთმანეთს დაუპირისპირდა სამი ძალა: სახალიფო, ბიზანტია და ხაზარები. სახალიფო და ბიზანტია იბრძოდნენ ქართლის კვლავ დაუფლებისათვის. მათ ხარკის გარდა კავკასიონის საუღელტეხილო გზების, დარუბანდისა და დარიალის დაუფლება აინტერესებდათ, ხოლო ხაზარები თავს იცავდნენ არაბებისაგან და დროდადრო ქართლს თავს ესხმოდნენ ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით. ქართველ მოსახლეობას სამი მხრით ხმლის ქნევა უხდებოდა. ეს მათ ძალებს მეტად ასუსტებდა.

VII საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება არაბთა გამუდმებული თავდასხმები. ისინი ქართლის მოსახლეობისაგან „დაცვის სიგელის" პირობების შესრულებას მოითხოვდნენ. არაბები დასავლეთ საქართველოშიც გადავიდნენ. ბიზანტიელთა ბატონობით შეწუხებულმა ეგრისის მმართველმა სერგი ბარნუკის ძემ ძველ ხერხს მიმართა — ბიზანტიელთა წინააღმდეგ არაბთა გამოყენება სცადა. 697 წელს იგი ბიზანტიელებს აუჯანყდა და ქვეყანა არაბებს გადასცა, ისე რომ VIII საუკუნის დასაწყისისათვის არაბებს ზღვისპირა ზოლს გარდა თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო ეკავათ. ციხეგოჯში, ასევე კოდორის ხეობის ციხეებში მათი სამხედრო ნაწილები იდგა.

კითხვები და დავალება

1. რა იყო მიზეზი ქართველებსა და სომხებს შორის სარწმუნოებრივი განხეთქილებისა? 2. ვის წინააღმდეგ უხდებოდათ ბრძოლა ქართველებს VII საუკუნის პირველ ნახევარში? 3. რა უწყობდა ხელს ეგრისისა და ქართლის მოსახლეობის ერთმანეთთან დაახლოებას? 4. შუა საუკუნეების ისტორიიდან გაიხსენეთ რა იცით არაბებისა და არაბთა სახალიფოს შესახებ..

დოკუმენტები

1. VII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მოსე კალანკატუელი ხაზარების მიერ თბილისის აოხრებისა და გაძარცვის შესახებ

„მოვიდა წამხდენელი მხეცი თავის სისხლისმსმელ ლეკვებთან ერთად... იგი ჯერ ქართველთა ქვეყნის ქალაქ თბილისის წინააღმდეგ გაე-

მართა. ძველ მხნე კაცთაგან არავინ იყო თბილისის შიგნით, ამიტომ მან ხელსაყრელად ჩათვალა დრო მათგან მიღებული შეურაცხყოფისათვის ანგარიშის გასასწორებლად. ალყა შემოარტყა და დაუწყო ბრძოლა. შეავიწროვა ქალაქის მცხოვრებლები, რომელნიც მის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ფრიად დაშვრნენ ისინი ორი თვის განმავლობაში, მაშინ დაუღრიალა მათ გამძვინვარებულმა მხეცმა, ბევრი დაიჭირა და დაახრჩობინა თავის ლომის ბოკვერებს. აავსო თავისი ბუნაგი ნანადირევით და თავისი ჯარი ნაძარცვით. მათ იშიშვლეს ხმლები და ყველამ მიიშურა გალავანს, სადაც ერთმანეთზე დახროვდნენ ისეთი სიმრავლით, რომ ზღუდესაც კი ასცილდნენ. მაშინ ბნელი ჩრდილი დაეცა ქალაქის საცოდავ მცხოვრებლებს... დამარცხდნენ... ხოლო მათ შემდეგ უწყალო მკვლელები მოვიდნენ. მათმა ხელებმა დააყენეს სისხლის ნაკადულები, ფეხებით სთელავდნენ გვამებს, ხოლო თვალები ხედავდნენ მკვდრებს დაყრილებს, როგორც სეტყვის ღვარს. როდესაც შეწყდა ხმა ტირილისა და ვაებისა და აღარავინ გადარჩა ცოცხალი, მაშინ მათაც გაიგეს, რომ დაძღნენ მათი მახვილნიც.

მაშინ ხელთ იგდეს ყუთები განძით სავსე, მთელს სიმრავლეს ჯარისას ზურგით მიჰქონდა ისინი და თავიანთი მბრძანებლის წინაშე ახვევებდა ერთმანეთზე. იმდენხანს მიჰქონდათ მის წინაშე, რომ ყურებაც კი მოსწყინდა ოქროსა და ვერცხლის ფულების ურიცხვი სიმრავლისა, ხოლო ვინ მოსთვლის მარგალიტის ქვებით მოოქვილ საეკლესიო სამკაულსა და ჭურჭელს, (აგრეთვე) ჭიქები და სასმელები ვერცხლისა ოქროს ქანდაკებით მოჭედილნი (ხაზარებს) ნადავლად წამოეღო თბილისიდან".

კითხვა და დავალებები

1. რა ცნობებია დაცული ამ თხზულებაში VII საუკუნის თბილისის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ? 2. აღწერეთ ხაზარების ლაშქრობა და მისი შედეგები. 3. განმარტეთ დოკუმენტის შემდეგი ადგილი: „მან ხელსაყრელად ჩათვალა დრო მათგან მიღებული შეურაცხყოფისათვის ანგარიშის გასასწორებლად".

2. ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის" ქართული თარგმანი

„სახელითა ალაჰისა მოწყალისა მწყალობლისათა. ეს არის წიგნი ჰაბიბ იბნ მასლამასაგან თბილისის, არმაზის, მანგლისის (ე. ი. ქართლის) მოსახლეობისადმი მათი პიროვნების, ტაძრების, მონასტრების, ლოცვის და რელიგიის გარანტიის პირობით დამცირებისა და ჯიზიას ცნობისა — კომლის თავზე თითო დინარი. თქვენ არ გაქვთ უფლება რომ გააერთიანოთ კომლები ჯიზიას შემსუბუქების მიზნით და ჩვენ კი არ გვაქვს უფლება დავანაწილოთ ისინი მისი (ჯიზიას) გაზრდის მიზნით. თქვენ ვალდებულნი ხართ, რომ დაგვეხმაროთ ჩვენ რჩევით და შეწევნით ალაჰისა და მისი მოციქულის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში რამდენადაც შეგიძლიათ... გევალებათ ღამის გათევინება გაჭირვე-

ბული მუსლიმანისა და მათი გამასპინძლება დასაშვები საქმელით. თუ ჩამორჩება მუსლიმანი თავისიანებს, ვალდებული ხართ მიიყვანოთ ის მართლმორწმუნეთა (ე. ი. არაბთა) უახლოეს რაზმამდე, თუ ეს თქვენთვის შეუძლებელი არ არის. თუ ისლამზე მოიქცევით და შეასრულებთ ჩვენს ლოცვას, მაშინ გახდებით ჩვენი თანამოძმენი სარწმუნოებაში, თუ არა და ვალდებული ხართ იხადოთ ჯიზია. თუ მუსლიმანები ვერ დაგეხმარებიან თქვენ, ხოლო მტერი დაგიმორჩილებთ, ამისთვის თქვენ არ იქნებით დასჯილნი და ეს არ იქნება დამრღვევი თქვენი აღთქმისა. ესაა თქვენი უფლებები და თქვენი ვალდებულებანი".

კითხვები და დავალება

1. რა ევალებოდათ ქართლის მცხოვრებლებს ამ სიგელის მიხედვით? 2. რატომ დათანხმდნენ არაბი დამპყრობლები მორჩილების ასეთ შედარებით მსუბუქ პირობებს? 3. მოიფიქრეთ, რატომ ათავისუფლებდნენ არაბები გადასახადებისაგან იმათ, ვინც ისლამს მიიღებდა.

§ 11. საქართველო არაბთა ბატონობის უღელქვეშ

1. მურვან-ყრუს შემოსევა. VIII საუკუნის 20-იან წლებში არაბებმა შეძლეს კვლავ აღედგინათ „დაცვის სიგელით" დაწესებული ურთიერთობა. ოღონდ კომლობრივი გადასახადის მაგივრად ქართლის მოსახლეობას დაეკისრა სულადობრივი გადასახადი (გადიდებული „ჯიზია"), აგრეთვე საადგილმამულო გადასახადიც („ხარაჯა"). ეს მძიმე მოვალეობა იყო და ამიტომ საქართველოში აჯანყებები არ ცხრებოდა. ასეთი შეურიგებელი ბრძოლების გამო არაბთა ხალიფამ ქართველ ხალხს სასტიკი სასჯელი გამოუტანა. ქვეყნის მოსათხრელად და საბოლოოდ დასამორჩილებლად აქ გამოიგზავნა თავისი სისასტიკით ცნობილი არაბი სარდალი მ უ რ ვ ა ნ ი ბ ნ-მ უ ჰ ა მ ე დ ი, რომელსაც ქართველებმა „მ უ რ ვ ა ნ ყ რ უ" შეარქვეს. როგორც ქართველი ისტორიკოსი წერს: „ამისთვის ეწოდა მეორედ (ე. ი. ზედსახელად) ყრუ, რომელ არა მიითვლიდა (ე. ი. არ იღებდა მხედველობაში) სიტყვასა განმზრახვთასა".

735 წ. მურვან ყრუ საქართველოში 120 ათასიანი ლაშქრით შემოვიდა. მან აიღო და დაანგრია აღმოსავლეთ საქართველოს უმრავლესი ციხეები და ქალაქები, მოსახლეობა სასტიკად დაარბია ან შეუბრალებლად ამოხოცა. მურვან ყრუ დასავლეთ სა-


ხაზარეთი
ქალაქი
დედაქალაქი
ციხე
კლისურის კედელი
მურვან ყრუს ლაშქრობა 735-737 წწ.
ბიქვინთა
ანაკოფია
ციხეგოჯი
ქუთაისი
ფოთი
(შავი ზღვა)
ბორანი
ბარალეთი
ეფლანდიუ
ბეთანია
ნიკეა
ლაკანგრ
ციხილიცი
ბარბალეი
ბერეთი
ბერეთი
ბერეთ

თბილისში მოჭრილი არაბული მოხეტები (X ს.).

დაატყდა წყალდიდობა, რამაც ძალიან დააზარალა ისინი[1]. მურვან ყრუს დამარბეველი ლაშქრობა საქართველოში სამ წელიწადს გაგრძელდა. მან უდიდესი ზიანი მიაყენა როგორც საქართველოს, ისე მთელ კავკასიას, ისტორიკოსის სიტყვით: ამ ლაშქრობების შედეგად საქართველო ისე განადგურებულა, რომ „არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საქამადი კაცთა და პირუტყვთა“.

2. არაბთა ბატონობის დამძიმება. მურვან-ყრუს ლაშქრობათა შემდეგ არაბებმა ქართლში ფეხი მტკიცედ მოიკიდეს, ქვეყნის მმართველად თავისი მოხელე დააყენეს, რომელსაც ა მ ი რ ა ეწოდებოდა. ქართლის არაბი ამირა თბილისში იჯდა. თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოს რიგ ციხე-ქალაქებში (რუსთავში, დმანისში...) დამპყრობელთა ჯარი იდგა, რომელთა უფროსები ქართლის, ანუ თბილისის ამირას ექვემდებარებოდნენ. არაბებმა თბილისის ამირას დაუმორჩილეს ქართლის ერისმთავარი, რომელსაც საარაბო ხარკის აკრეფა და ადგილობრივი მოსახლეობიდან სამხედრო ნაწილების გამოყვანა ევალებოდა.

VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან არაბთა უღელი საგრძნობლად დამძიმდა, გაიზარდა ხარკი. ამ საუკუნეში მოღვაწე ქართველი მწერალი იოანე საბანისძე წერდა: „ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქვეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა ხარკსა ქუეშე მათსა გვემულნი და ქეჯნილნი“.

ხალხის გულისწყრომა დამპყრობთა მიმართ თანდათან იზრდებოდა. ბრძოლა ხანგრძლივი და მსხვერპლიანი იყო. ქართველი ხალხის ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ის გარემოება, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა, არაბებმა დასავლეთ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდეს, მთიან ზოლზეც ხელი არ მიუწვდებოდათ. მათი ძალაუფლება ძირითადად ქართლის ცენტრალურ თემებზე — ქვემო და შიდა ქართლზე ვრცელდებოდა. ხალხი არაბთა უღლის სიმძიმეს გაურბოდა, დასავლეთ საქართველოში გადადიოდა ან მთას აფარებდა თავს და იქიდან ებრძოდა მტერს. მძიმე მდგომარეობას უქმნიდნენ არაბებს ხაზარებიც, რომელთა წინააღმდეგ მათ ვერაფერი გაახერხეს. მათი ლაშქრობები ხაზარეთში დიდი მსხვერპლითა და მარცხით მთავრდებოდა.

---

[1] გადმოცემით, რომელიც დაცულია „ქართლის ცხოვრებაში“, მდინარეების ნაპირას დაბანაკებულ არაბთა ლაშქარს თავს დაატყდა წყალდიდობა. ერთმა მდინარემ წაღეკა არაბთა ჯარში მყოფი 23 000 აბაში (აბისინიელი), ხოლო მეორე მდინარემ დაახრჩო 35 000 ცხენი. ამის შემდეგ, თითქოს, პირველ მდინარეს ეწოდა აბაშისწყალი, ხოლო მეორე მდინარეს — ცხენისწყალი.

8. ბრძოლა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ. VIII საუკუნის მეორე ნახევარში ამიერკავკასიაში ახალი ძალით ინთება არაბების წინააღმდეგ ბრძოლის ცეცხლი. 70-იან წლებში აჯანყებაა სომხეთში. (ჩანს ქართველები ეხმარებიან მოძმე სომხებს) დამარცხებული სომხები საქართველოში პოულობენ თავშესაფარს. აჯანყებულ სომხებთან კავშირის გამო ქართლის ერისმთავარი ნერსე 772—3 წლებში ხალიფამ ბაღდადში დაიბარა და სამ წელს საპყრობილეში ჰყავდა. მართალია, შემდეგ ნერსე ისევ დააბრუნეს ქართლში მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ხალიფამ კვლავ დაიბარა. ნერსემ კარგად იცოდა რაც ელოდა და აღარ ეახლა ხალიფას. ნერსე ერისმთავარმა ოჯახი დასავლეთ საქართველოში, აფხაზთა მთავარ ლეონთან გაგზავნა, თვითონ კი დიდი ამალით ხაზართა ხაკანთან გაემგზავრა მოსალაპარაკებლად და დახმარების სათხოვნელად. ეტყობა,ხაკანი არ დაეხმარა ქართლის ერისმთავარს და ნერსე თვითონაც დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის მოსახლეობა ამბოხებულია ,არაბთა წინააღმდეგ. მთავრები, დიდი აზნაურები, რომელთაც თავდაპირველად სცადეს არაბებთან საერთო ენის გამონახვა, ახლა ხალხის ბრძოლას უდგებიან სათავეში.

ქართველი ხალხი ხმალთან ერთად იდეოლოგიური საშუალებებითაც ებრძოდა არაბებს. მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე ქართველი პატრიოტი მოღვაწეები ხალხს. არაბთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ, პატრიოტულ სულისკვეთებას უღვიძებდნენ. არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილ და თავდადებულ პირებს წმინდანებად აცხადებდნენ და შარა-

მოწამეთას მონასტერი იმერეთში, სადაც დაკრძალულნი არიან არგვეთის მთავრები დავით და კონსტანტინე.

ვანდედით მოსავდნენ. მათ მოწამებრივ სიკვდილს საგანგებოდ აღწერდნენ და ეკლესიაში შეკრებილ ხალხს უკითხავდნენ, რაც დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდებად გაისმოდა. ასეთი მოწოდების დანიშნულება ჰქონდა დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ არგვეთის მთავრების—დ ა ვ ი თ ი ს ა და კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს წაძების, ერისმთავარ ა რ ჩ ი ლ ი ს მოღვაწეობისა და მოწამებრივი სიკვდილის, განსაკუთრებით ი ო ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს-ძ ი ს მიერ ა ბ ო ტ ფ ი ლ ე ლ ი ს ქრისტიანობისათვის თავდადების ამბის აღწერას.

აბო წარმოშობით არაბი იყო, სჯულით მაჰმადიანი, ნერსე ერისმთავრის მსახური. იგი ნერსეს საქართველოში წამოჰყვა. გაიცნო და შეიყვარა ქრისტიანული სარწმუნოება და მალე გაქრისტიანდა კიდეც. ამ მიზეზით არაბებმა იგი სასტიკად აწამეს. ეს კერძო ხასიათის ამბავი ნიჭიერმა და დახელოვნებულმა მწერალმა იოანე საბანისძემ კარგად გამოიყენა ქართველთა ეროვნული გრძნობების გამოსაღვიძებლად. ისლამისა და ქრისტიანობის სახით აქ ხომ არაბობა და ქართველობა უპირისპირდებოდა ერთმანეთს. საბანისძის მიზანი იყო ამ მაგალითით, როდესაც თვით დამპყრობელი ერის წარმომადგენელი მათ მხარეზე და მათ სარწმუნოებაზე გადმოდიოდა და ამ სარწმუნოებისა და ახალი სამშობლოსათვის თავსაც სწირავდა, გაემხნევებინა სუსტნი და მერყეენი, რომელნიც „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“.

ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ განსაკუთრებით გამწვავდა VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის დასაწყისში. ყველაზე დაუნდობელი ეს ბრძოლა ქართლის ბარის ცენტრალურ თემებში იყო. არაბებმა გააუქმეს ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება და ქართლის ფეოდალური არისტოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილი გაჟლიტეს. დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლამ საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო.

4. ახალი ქართული სამეფო-საერთაშორისოების აღმოცენება. არაბთა ბატონობის ვითარებაში ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება ერთობ შესუსტდა, ხოლო შემდეგ, როგორც დავინახეთ, საერთოდ გაუქმდა კიდეც. უცხო ძალის ასეთი ხელისშემშლელი ზეგავლენის მიუხედავად ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში ვითარდება და უფრო მაღალ საფეხურზეც ადის. არაბთაგან შევიწროებული ქართლის ცენტრალური თემების მოსახლეობა განაპირა, არაბთათვის შედარებით მიუწვდომელ თემებში (დას. საქართველო. მთის რაიონები და სხვ.) სახლდება და იქ თავისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობაც შეაქვს.



ორგუმბათიანი ტაძარი
გურჯაანთან, კახეთში
(VIII ს)

იქმნება პირობები, რომ ამ ნაწილებში ახლებური, უფრო განვითარებული ფეოდალური პოლიტიკური ერთეულები აღმოცენდეს. მართლაც, VIII საუკუნის ბოლოდან საქართველოს განაპირა რაიონებში ზედიზედ ჩამოყალიბდა ახალი ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროები.

ყველაზე ადრე, VIII საუკუნის 80-იან წლებში, მდ. არაგვისა და ივრის ხეობების ზემო წელში ჩამოყალიბდა კ ა ხ ე თ ი ს ს ა მ თ ა ვ რ ო, რომლის ცენტრიც თ ი ა ნ ე თ შ ი იყო. მის სათავეში იდგა მთავარი, რომელიც ქ ო რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ტიტულს ატარებდა. ამ სამთავროს აღმოსავლეთით წარმოიქმნა ჰ ე რ ე თ ი ს ს ა მ ე ფ ო.

VIII საუკუნის დასასრულს შეიქმნა მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი დიდი ქართული სახელმწიფო „ა ფ ხ ა ზ თ ა ს ა მ ე ფ ო“. როგორც დავინახეთ, ეგრისის (ლაზიკის) სამეფო დასუსტდა ბიზანტიასთან ბრძოლებში. ბიზანტიელებმა შეძლეს აქ მეფის ხელისუფლების გაუქმება. არაბების პერიოდულმა შემოსევებმა და დროდადრო ბატონობამ კიდევ უფრო დაასუსტა ადგილობრივი ხელისუფლება. ქვეყნის სოციალურ და კულტურულ განვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შემოაქვს აქ ქართლიდან შემოსახლებულთა მრავალრიცხოვან მასას. ამ საუკუნის მანძილზე თანდათან გაძლიერდა ა ფ ხ ა ზ თ ა ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო, რომელიც არაბთა თავდასხმებისგან შედარებით დაცული იყო და დარჩენილი იყო უკვე დასუსტებული ბიზანტიის ქვეშევრდომობა-

აშოტ კურაპალატის გამოსახულება ოპიზის ტაძარზე (X ს.).

ში. აფხაზთა საერისთავომ VIII საუკუნის პირველ ნახევარში აფშილეთი შეიერთა, ხოლო შემდეგ, საუკუნის მეორე ნახევარში, აფხაზეთი და ეგრისიც გაერთიანდა. აფხაზთა ერისთავმა ლეონ II ისარგებლა ბიზანტიაში გაშლილი შინაბრძოლებით და თავი მეფედ გამოაცხადა (იხ. დოკ. 2). ამ დიდ დასავლურქართულ სახელმწიფოს, რომლის დედაქალაქი ქუთაისი იყო, ეწოდებოდა „აფხაზთა სამეფო“ (ან „ეგრისის სამეფო“).

IX საუკუნის დამდეგს დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო შეიქმნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც. ქართლის უკანასკნელი ერისმთავარი აშოტ ბაგრატიონი გამოექცა არაბებს და თავისი ოჯახითა და მრავალრიცხოვანი ამალით საგვარეულო მამულში, კლარჯეთში დასახლდა. აქედან მან თანდათანობით დაიმორჩილა და დაიქვემდებარა მეზობელი თემები და საკმაოდ ვრცელი სამფლობელო შექმნა. არაბების შეურიგებელ მოწინააღმდეგეს ბიზანტიაც მფარველობდა. იმპერიის ხელისუფლებამ აშოტს კურაპალატის მაღალი ტიტული უბოძა.



ოპიზის ტაძარი (VIII—X სს.).

აშოტმა თავის დედაქალაქად არტანუჯი აქცია. ასე თანდათანობით აქაც ჩამოყალიბდა ახალი სამთავრო, რომელსაც ქართველთა, ანდა ძირითადი პროვინციების მიხედვით, ტაო-კლარჯეთის სამთავრო ეწოდება[1]. IX საუკუნის ბო-

[1] ბაგრატიონთა კურაპალატობის გამო ამ სახელმწიფოს ქართველთა საკურაპალატოც ეწოდება.

ლოს აშოტის შთამომავალმა ადარნასე ბაგრატიონმა „ქართველთა მეფის“ ტიტული მიიღო და ამიერიდან ამ სახელმწიფოს „ქართველთა სამეფო“ ეწოდება. ბაგრატიონთა საგვარეულო წარმოშობით ძველისძველი ქართული პროვინციიდან — ს პ ე რ ი დ ა ნ (დღევანდელი ისპირი, თურქეთშია) იყო.

IX საუკუნის დასაწყისიდან სახალიფოდან გამოყოფას და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებისათვის ბრძოლას იწყებს თ ბ ი ლ ი ს ი ს ს ა ა მ ი რ ო ც, რომლის ფარგლებში შედიოდა თბილისს გარდა შიდა ქართლის ნაწილი და ქვემო ქართლი. მიუხედავად იმისა, რომ თბილისი მაჰმადიანი ამირების ხელთ იყო, ის არ იყო მოწყვეტილი საერთო ქართულ სხეულს. საამიროს ქართული მოსახლეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს სხვა კუთხეების მცხოვრებლებთან. თბილისი მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზაზე მდებარეობდა, მონაწილეობდა საერთაშორისო ვაჭრობაში, რაც ბევრ ქართველსა და არაქართველს იზიდავდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან აქ მრავლად ჩამოდიოდნენ გლეხები და ხელოსნები და თავისი ნაწარმი ჩამოჰქონდათ. თბილისი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ დიდ ქალაქად იქცა, ხოლო თბილისის საამირო თანდათან ფაქტობრივად ქართულ ფეოდალურ სამთავროდ.

კითხვები

1. რა იყო მიზეზი საქართველოში მურვან ყრუს ლაშქრობისა? 2. რა მეთოდებით იბრძოდნენ ქართველები არაბების წინააღმდეგ? 3. რა და რა სამეფო-სამთავროები აღმოცენდა საქართველოში VIII—IX საუკუნეებში?

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

1. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი საქართველოში მურვან ყრუს ლაშქრობათა შესახებ

„... მოიწია ამირა აგარიანი (ე. ი. მაჰმადიანი) ქართლად, რომელსა ერქვა მურვან ყრუ, ძე მომადისა... ამისთვის ეწოდა მეორედ (ე. ი. მეორე სახელად) ყრუ, რომელ არა მიითვალვიდა სიტყვასა განმზრახვთასა. ... მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია, და დაიპყრო კარი დარიელისა და დარუბანდისა, და შემუსრნა[1] ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა...

[1] შ ე მ უ ს რ ნ ა — დაანგრია.

... შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქვეყახისანი. და ციხე იგი სამ-ზღუდე (სამ გალავნიანი), რომელ არს ციხეგოჯი. შემუსრნა. და შეეცლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა.

და ვითარცა შეეცლო ყრუმან კლისურა... შემუსრნა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფისასა... რომელსა შინა იყუნეს მაშინ მეფენი ქართლისანი მირ და არჩილ... ერისთავი ლეონ (აფხაზთა ერისთავი) შესრულ იყო ციხესა სობღისასა. რომელ არს გადასავალსა ოვსეთისასა. და ვერვინ შემძლებელ იყო წყობად ყრუსა. რამეთუ იყვნეს სპანი მისნი უფროს და უმრაველს ჭალაკთა ეგრისთა.

...განვიდეს სასოებით[1] ღმრთისათა წყობად მათდა და ეწყუნეს[2], და მოსცა უფალმან ძლევა მცირეთა ერთა ქრისტიანეთა.

და აღიყარა (მურვანი) მუნით (ანაკოფიიდან) და შემოეცლო გზა გუარიისა და განვლეს სპერისა...

... ხოლო იქმნა მას ჟამსა განრყუნილ[3] ქუეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა და არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი[4] კაცთა და პირუტყვთა ყოველადვე".

კითხვები და დავალება

1. დაასახელეთ ციხეები და ქალაქები, რომლებიც დაუპყრია და დაუნგრევია მურვანს ეგოისში. 2. რა შედეგები მოყვა მურვანის ლაშქრობას ქართლსა და ეგრისში? 3. როგორია ჯუანშერის დამოკიდებულება მურვანის ლაშქრობისადმი? 4. დასაბუთეთ თქვენი აზრი დოკუმენტის მიხედვით.

2. XI ს. ძეგლი „მატიანე ქართლისა" აფხაზთა სამეფოს წარმოქმნის პირობების შესახებ

„ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა (ე. ი. გადაუდგა) ბერძენთა. დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე. სახელ-იდვა მეფე აფხაზთა".

კითხვები და დავალებები

1. შეა საუკუნეების ისტორიიდან გაიხსენეთ თუ რა ვითარებაა ამ პერიოდის ბიზანტიაში. რა იგულისხმება „ბერძენთა მოუძლურებაში"? 2. ვისი ძალა გამოიყენა აფხაზეთის ერისთავმა ლეონმა ბიზანტიისაგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად? . რას ნიშნავს: ლეონისათვის „მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი"? 4. გაიხსენეთ, კიდევ ვინ მოიპოვა ასეთი „განმკვიდრების" უფლება?

---

[1] სასოებით — იმედით. [2] ეწყუნეს — შეებრძოლნენ. [3] განრყუნილი — აოხრებული. [4] საჭამადი — საკმელი.

§ 12. საზოგადოებრივი განვითარება და კულტურა IV — VIII სს. საქართველოში

1. ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცება და გაფართოება. განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საქართველოს საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში. აზნაურები სულ უფრო და უფრო აფართოებდნენ თავიანთ ფეოდალურ უფლებებსა და სამფლობელოებს. ისინი სხვადასხვა გზით ხელთ იგდებდნენ თავისუფალ მეთემეთა მიწებს, ხოლო თვითონ მეთემეებს ყმა-გლეხებად აქცევდნენ. მოსახლეობა თავის მიწას და თავისუფლებას, რა თქმა უნდა, უბრძოლველად არ თმობდა და იარაღით ხელში გააფთრებით იბრძოდა, მაგრამ უპირატესობა უკეთ შეიარაღებული და ორგანიზებული აზნაურების მხარეს იყო.

ფეოდალურ ხანაში სიმდიდრისა და ძალაუფლების მთავარი წყარო მიწა იყო. ძლიერი იყო ის, ვისაც დიდი სამფლობელო ჰქონდა. თავდაპირველად ყველაზე დიდი მიწისმფლობელი მეფე იყო, მაგრამ მეფე იძულებული ხდებოდა სხვადასხვა სამსახურის სანაცვლოდ აზნაურებისთვის გადაეცა თავისი სამფლობელოს დიდი ნაწილი. მიწა ეძლეოდა შეწირულობის სახით ეკლესია-მონასტრებსაც. დიდაზნაურების ხელთ იყო ქვეყნის ცალკეული კუთხეების მმართველობა და სამეფოს უმაღლესი სამოხელეო თანამდებობანი. დიდაზნაურები ესწრაფოდნენ, რომ თავიანთი საგანმგებლო ტერიტორიები და თანამდებობანი სამემკვიდრეო სამფლობელოდ ექციათ. როგორც უკვე დავინახეთ, ამ ნიადაგზე მეფესა და უძლიერეს ფეოდალებს შორის მწვავე კონფლიქტი და ბრძოლა გაჩაღდა, რაც ქართლში მეფის ხელისუფლების გაუქმებით დამთავრდა. დამპყრობლები ხალისით უჭერდნენ მხარს მეფის მოწინააღმდეგე დიდაზნაურებს, რათა ასეთი გზით ქვეყანაში თავიანთი ბატონობა უზრუნველეყოთ. ჯერ ირანელებმა, შემდეგ ბიზანტიელებმა ქართლის დიდაზნაურებს მემკვიდრეობით მფლობელობაში დაუმტკიცეს მათ ხელთ მყოფი საგამგებლო ტერიტორიები (მაგალითად, საერისთავოები). ამით მსხვილი ფეოდალები თავიანთ სამფლობელოებში თითქმის სრულ შ ე უ ვ ა ლ ო ბ ა ს აღწევდნენ ე.ი. თავიანთ მამულებში ისინი იყვნენ სრულუფლებიანი ბატონ-პატრონნი და მოსამართლე-გამკითხავნი.

წვრილი და საშუალო აზნაურები იძულებული გახდნენ ძლიერ ფეოდალთა მფარველობაში შესულიყვნენ. მიწისა და მწარმოებელი საზოგადოების დაუფლებისათვის ბრძოლამ ამ პერიოდში უმაღლეს წერტილს მიაღწია. ქართველი მემატიანე წერს: „იქმნა სიმრავლე მთავართა ქვეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას“. ამ ბრძოლების ვითარებაში შედარებით სუსტი აზნაურები უფრო ძლიერი მთავრების მფარველობას ეძებდ-

ნენ და მათ ყმობაში შედიოდნენ. ზოგჯერ დიდაზნაურები ძალითაც იქვემდებარებდნენ სხვა წვრილ და საშუალო ფეოდალებს. **ასე თანდათანობით წარმოიქმნა მფარველობა-მორჩილებაზე, ანუ პატრონობასა და ყმობაზე დამყარებული მსხვილი საფეოდალოები, რომლებიც დასავლეთ ევროპული სენიორიების მსგავსნი იყვნენ.**

ქართული ფეოდალური საზოგადოების ნორმალურ განვითარებას ერთგვარად აფერხებდა არაბთა ბატონობა, მაგრამ არაბები თვითონ განიცდიდნენ დაპყრობილი ხალხების გავლენას და ფეოდალიზაციის პროცესს, რის შედეგადაც არაბთა სახალიფო თანდათან დაიშალა. ამას გარდა, არაბთა ბატონობა ძირითადად ქართლის ცენტრალურ რაიონებზე ვრცელდებოდა, ამასობაში კი განაპირა რაიონებში აღმოცენდნენ ახალი ქართული სამეფო-სამთავროები, რომლებიც საზოგადოებრივად ფეოდალური ურთიერთობის უფრო მაღალ საფეხურზე იყვნენ.

2. IV — VIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა და მეცნიერება. ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება საქართველოში დაემთხვა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას. ქრისტიანობა კარგად შეეგუა ფეოდალური ურთიერთობის ნორმებს და ამდენად იგი ქართული ფეოდალიზმის იდეოლოგიად იქცა. ქრისტიანული რელიგია ქადაგებდა უსიტყვო მორჩილებას, გაჭირვების უდრტვინველად ატანას, ამის გამო იგი გაბატონებული ფეოდალური კლასის ხელში მძლავრ იარაღად იქცა ყმაგლეხობის დასამორჩილებლად. ქართული კულტურის ყველა სფეროში ქრისტიანული იდეოლოგია განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობდა.

• ადრეფეოდალურმა საქართველომ ანტიკური ხანიდან მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა მიიღო, ამიტომ ამ პერიოდის ქართული კულტურა ემყარებოდა წინა პერიოდის ტრადიციებს. მას აგრეთვე მჭიდრო კავშირი ჰქონდა მეზობელი ქვეყნების და ხალხების — ბიზანტიის, ირანის, არაბების, სომხების — კულტურასთან. ეს ურთიერთობა ამდიდრებდა ქართულ კულტურას და ხელს უწყობდა მის წინსვლას. თავის მხრივ ქართულ კულტურასაც შეჰქონდა თავისი წვლილი მეზობელი ხალხების კულტურულ განვითარებაში.

ქრისტიანულმა რელიგიამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა წარმართულ მსოფლმხედველობასა და წეს-ჩვეულებებს. ამ დროს მოისპო წინაქრისტიანული კულტურის არაერთი ძეგლი. შესაძლებელია, ამ დროს განადგურდა წარმართობის დროინდელი ქართული დამწერლობის ძეგლები. თვითონ ქართულმა დამწერლობამ ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა.

ქრისტიანობა წიგნიერი რელიგია იყო და დამწერლობის ფართოდ გამოყენებას მოითხოვდა. ამასთან დაკავშირებით ქართული ანბანი უფრო დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა, ბერძნულის მიხედვით ყველა ხმოვნისათვის განსაკუთრებული ნიშანი იქნა შემოღებული, ასოთა თანმიმდევრობაც ბერძნულის მიხედვით გაიმართა და თითოეულ ასოს რიცხვითი მნიშვნელობა მიენიჭა. მაგალითად, ა — 1-ს აღნიშნავდა, ბ — 2-ს, გ — 3-ს, ი — 10-ს, რ — 100-ს და ა.შ.

	1	2	3
ა	Ⴀ	Ⴀ	1
ბ	Ⴁ	Ⴁ	2
გ	Ⴂ	Ⴂ	3
დ	Ⴃ	Ⴃ	4
ე	Ⴄ	Ⴄ	5
ვ	Ⴅ	Ⴅ	6
ზ	Ⴆ	Ⴆ	7
ჱ	Ⴇ	Ⴇ	8
თ	Ⴈ	Ⴈ	9
ი	Ⴉ	Ⴉ	10
კ	Ⴊ	Ⴊ	20
ლ	Ⴋ	Ⴋ	30
მ	Ⴌ	Ⴌ	40
ნ	Ⴍ	Ⴍ	50
ჲ	Ⴎ	Ⴎ	60
ო	Ⴏ	Ⴏ	70
პ	Ⴐ	Ⴐ	80
ჟ	Ⴑ	Ⴑ	90
რ	Ⴒ	Ⴒ	100

	1	2	3
ს	Ⴓ	Ⴓ	200
ტ	Ⴔ	Ⴔ	300
ჳ	Ⴕ	Ⴕ	400
უ	Ⴖ	Ⴖ	
ფ	Ⴗ	Ⴗ	500
ქ	Ⴘ	Ⴘ	600
ღ	Ⴙ	Ⴙ	700
ყ	Ⴚ	Ⴚ	800
შ	Ⴛ	Ⴛ	900
ჩ	Ⴜ	Ⴜ	1000
ც	Ⴝ	Ⴝ	2000
ძ	Ⴞ	Ⴞ	3000
წ	Ⴟ	Ⴟ	4000
ჭ	Ⴠ	Ⴠ	5000
ხ	Ⴡ	Ⴡ	6000
ჴ	Ⴢ	Ⴢ	7000
ჯ	Ⴣ	Ⴣ	8000
ჰ	Ⴤ	Ⴤ	9000
ჵ	Ⴥ	Ⴥ	10000

ქართული ასომთავრული ანბანი. პირველ სვეტში V—VI სს. ძეგლების მიხედვით. მეორე სვეტში—VII—VIII სს. ძეგლებში. მესამე სვეტში რიცხვითი მნიშვნელობა.

4 Зак 2473 Н. Асатиани



ქართული დამწერლობის უძველესი ძეგლები ჯერჯერობით მხოლოდ V საუკუნიდანაა მოღწეული. ეს არის პალესტინაში აღმოჩენილი მოზაიკით შესრულებული წარწერა, რომელიც იქ არსებულ ქართული მონასტრის იატაკზეა შემორჩენილი და V საუკუნის 30-იანი წლებით თარიღდება. საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი წარწერა შემორჩენილია ბოლნისის ტაძარზე (473 — 494 წწ). ასევე ძველი წარწერებია შემორჩენილი მცხეთის ჯვრის ტაძარსა და სხვა ძეგლებზე.

უძველესი სახე ქართული დამწერლობისა იყო ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი, ანუ მ რ გ ვ ლ ო ვ ა ნ ი დამწერლობა. V — VIII საუკუნეებში მრგვლოვან დამწერლობას ხმარობდნენ როგორც ეპიგრაფიკულ ძეგლებზე (ე.ი. წარწერებში ეკლესიებზე, ქვის სტელებზე, მოზაიკურ იატაკზე და სხვ.), ისე ძველ წიგნებშიც. წიგნები მაშინ სპეციალურად გამოყვანილი ტყავისაგან (ეტრატისაგან) მზადდებოდა და ძალიან ძვირი ღირდა. ამიტომ ხშირად ძველ ნაწერს ამოშლიდნენ ხოლმე და მასზე ახალი ტექსტი დაჰქონდათ. ასეთ ხელნაწერებს პ ა ლ ი მ ფ ს ე ს ტ ე ბ ი ეწოდება. მეცნიერებმა შეძლეს პალიმფსესტებში ძველი გადაშლილი ნაწერის ამოკითხვა და ბევრი V — VI საუკუნის ქართული ტექსტის აღდგენა. ამ ხანებშივე შეიქმნა ქართული წელთაღრიცხვის სისტემაც.

თავდაპირველად დათარიღება მეფეთა ზეობის მიხედვით ხდებოდა. თუ საქართველოში სპარსელები ბატონობდნენ, თარიღიც ამა თუ იმ შაჰის გამეფებიდან იან-



უძველესი ქართული ასომთავრული წარწერა პალესტინიდან (V ს. I ნახ.), შესრულებული იქ არსებული ქართული მონასტრის მოზაიკურ იატაკზე.

პალიმფსესტური ხელნაწერის ფრაგმენტი (V—VI სს.).

ქართული ასომთავრული წარწერა პალესტინიდან.

გარიშებოდა, თუ ბიზანტიელები — ბიზანტიის იმპერატორის ზეობით. ქრისტიანული დღესასწაულების განსაზღვრის აუცილებლობამ, რომლებიც იანგარიშებოდა ხან მზის, ხან მთვარის მიმოქცევის მიხედვით, მოითხოვა კალენდრის მოწესრიგება და სტაბილურობა. მზისა და მთვარის მიმოქცევაზე ხანგრძლივი ასტრონომიული დაკვირვებით დადგინდა, რომ კვირის დღეებისა და თვეთა რიცხვების თანმიმდევრობა ზუსტად მეორდება მხოლოდ 532 წლის შემდეგ, ამიტომ 532 წლიანი ციკლი აღებულ იქნა ერთ მოქცევად.

ქრისტიანულ ქვეყნებში ჩვეულებრივ წელთაღრიცხვას იწყებდნენ „სამყაროს გაჩენიდან". „სამყაროს გაჩენის" ბიბლიური ლეგენდა ცალკეულ ქვეყნებში სხვადასხვანაირად ესმოდათ. ამიტომ დათარიღებაც „სამყაროს გაჩენისა" სხვადასხვა იყო. საქართველოში მიღებული იყო, რომ სამყარო თითქოს გაჩნდა ჩ.წ.-აღ-მდე 5604 წელს და აქედანვე იწყებდნენ წელთაღრიცხვას. წელთა ეს რაოდენობა დაყოფილი იყო 532 წლიან ციკლებად, რაც მოხახერხებელი იყო საეკლესიო დღესასწაულების გამოსათვლელად. თითოეულ 532 წლიან ციკლს ეწოდებოდა. მაგალითად ახ. წ-აღ-ვით 780 წელს დამთავრდა მე-12 მოქცევა და დაიწყო მე-13, რომელიც თავის მხრივ დამთავრდა 1312 წელს. მოქცევის ყოველ წელს ქრონიკონი ეწოდებოდა. თუ მითითებული იყო, რომ ესა თუ ის ამბავი მოხდა ქრონიკონსა ამას და ამას, თუ ვიცით დაახლოებით რომელი მოქცევის ფარგლებში ჰქონდა მას ადგილი, მაშინ ამ მოქცევის დასაწყისს, ვთქვათ 780 ან 1312 წელს მივუმატებთ ქრონიკონის რიცხვს და მივიღებთ ახალი წელთაღრიცხვით დათარიღებას. „ქრონიკონსა 15" შეესაბამება ახ. წ-აღ-ით 795 (780+15) ან 1327 (1312+15) წელი.

უძველესი საეკლესიო ხელნაწერები, რომლებიც სხვადასხვა ენადან (ბერძნულიდან, სირიულიდან, ებრაულიდან) ქართულად ითარგმნებოდა, იყო „სახარება" და „ბიბლია". მალე ორიგინალური მწერლობაც გაჩნდა. ეს იყო ჰაგიოგრაფიული თხზულებანი, ანუ ისეთი ნაწარმოებები, სადაც აღწერილი იყო ქრისტიანობისთვის თავდადებული პირების ცხოვრება და მოღვაწეობა. ჩვენ ვიცით, რომ V საუკუნეში ი ა ვ ო ბ ხ უ ც ე ს ს ა დაწერა „ძ უ ძ ა ხ ი კ ი ს წ ა მ ე ბ ა". ეს არის ჯერჯერობით ივანეს ცნობილი უძველესი ქართული ლიტერატურული ნაწარმოები. VI საუკუნეში დაიწერა „ევსტათე მცხეთელის წამება", VIII ს-ში — ი ო ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ი ს „ა ბ ო ტ ფ ი ლ ე ლ ი ს წ ა მ ე ბ ა" და სხვ. მათში კარგად აისახა ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და

კულტურული მდგომარეობა, ამიტომ ისინი შესანიშნავი საისტორიო თხზულებებია.

ამ დროის საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკური ფილოსოფია, რიტორიკული ხელოვნება. IV ს. ეგრისელებს არაერთხელ უსახელებიათ თავი მჭევრმეტყველებით ბერძნების სადღესასწაულო კრებებზე. იმავე IV საუკუნის II ნახევარში აღმოსავლეთ რომის იმპერიაში თავისი ჭკუით, განათლებითა და ფილოსოფიის სიყვარულით კარგად ყოფილა ცნობილი ქართველი მეფისწული ბ ა კ ურ ი. ცხადია, რომ ძველ იბერიასა და კოლხეთში გავრცელებული იყო ბერძნული განათლება, ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და პოეზიის ცოდნა. IV საუკუნის კოლხეთში, ქ. ფაზისის (ფოთის) მახლობლად, არსებობდა ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა, სადაც განათლება მიუღიათ ცნობილ ბერძენ რიტორებს ევგენიოსს და მის შვილს თემისტიოსს (იხ. დოკ. 1).

V საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი მეფისწული მ უ რ ვ ა ნ ო ს ი, რომელიც მძევლად იყო წაყვანილი და იზრდებოდა კონსტანტინოპოლში, გახდა მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული ფილოსოფოსი. მურვანოსი პ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი ს სახელითაა ცნობილი. მას არ გაუწყვეტია კავშირი საქართველოსთან და არა ერთი ქართული მონასტერი დააარსა პალესტინაში.

8. ხელოვნება. ადრეფეოდალური ხანა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია ქართული ხელოვნების განვითარებაში. ქრისტიანულმა რელიგიამ ხელოვნებაშიც გარკვეული მოთხოვნების დაცვა მოითხოვა, რაც საერთო უნდა ყოფილიყო ყველა ქრისტიანული ქვეყნისათვის, მაგრამ ჩვენმა ხალხმა ქართულ ხელოვნებას მკაფიოდ გამოხატული ეროვნული სახე მისცა. ეს შეინიშნება როგორც ხუროთმოძღვრებაში, ისე ძეგლების გაფორმებასა და ქვისა და ლითონის ქანდაკებაში.

ქრისტიანულმა რელიგიამ მშენებლობას სრულიად გარკვეული ამოცანა დაუსახა. უნდა აგებულიყო საგანგებო ნაგებობანი — ეკლესიები,[1] სადაც ღვთისმსახურება შესრულდებოდა. თავდაპირველად მცირე ზომის, მარტივი ეკლესიები შენდებოდა. ასეთები შემორჩენილი გვაქვს ნ ე კ რ ე ს ი ს მონასტერთან, ძ ვ ე ლ ი შ უ ა მ თ ი ს მონასტრის კომპლექსში, მ ა ტ ა ნ ი ს ც ხ რ ა კ ა რ ზ ე და სხვ. მაგრამ V საუკუნიდან უკვე გრანდიოზული ნაგებობანი შენდება. ესენია ე.წ. ბაზილიკები—ორფერდა სახურავია-

---

[1] ეკლესია — ბერძნული სიტყვაა და შეკრებას, კრებულს, ჯგრეთვე შესაკრებელ ადგილს აღნიშნავდა. შემდეგში „ეკლესია" დაერქვა იმ შენობასაც, სადაც ქრისტიანების კრებული თავს იყრიდა ლოცვისათვის.



ბოლნისის სიონის გეგმა. 1. აბსიდი — საკურთხეველი. 2. სვეტები. 3. საკათლაკი (ბაბტიტერიუმი). 4. კარიბჭეები (პორტიკები). 5. საძვლე (კრიპტა).

ნი, უმთავრესად სვეტებით ნაწილებად (ნავებად) გაყოფილი ნაგებობანი. ამის ნიმუშს წარმოადგენს ბ ო ლ ნ ი ს ი ს ს ი ო ნ ი ს ტაძარი. ეს არის სამნავიანი ბაზილიკა ხუთი წყვილი სვეტის რიგებით გაყოფილი, საკმაოდ კარგად დაცული პროპორციებით, მკაცრი სისადავით.

გვიანდელი ძეგლებისაგან განსხვავებით, ქვაზე კვეთილი სკულპტურული გამოსახულებანი აქ ძირითადად ტაძრის შიგნითაა თავმოყრილი: ეს არის ცხოველებისა და ჯვრების გამოსახულებანი სვეტის თავებზე, გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტები, ბევრგანაა გამოსახული ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო ჯვარი, რომელიც წრეშია ჩასმული და თავისებური ფორმის გამო „ბოლნური ჯვარის“ სახელითაა ცნობილი. ცხოველების გამოსახულებებს შორის აღსანიშნავია ხარის თავის სკულპტურული გამოსახულება, რომელიც წარმართობის დროიდან მომდინარე ტრადიციის გამოძახილია, მაგრამ ამჯერად მას რქებს შორის ქრისტიანული ჯვარი აქვს ჩადგმული.

ასეთ უძველეს ბაზილიკურ ნაგებობებს განეკუთვნება ურბნისის ტაძარი, ხაშმის სამება, თბილისის ანჩისხატის ტაძარი და სხვ. ბიზილიკური ნაგებობანი, როგორც ჩანს, ვერ აკმაყოფლებდა ქართველი ხალხის გემოვნებას და ქართული საამშენებლო ტრადიციიდანაც განზე იდგა, ამიტომ VI საუკუნისათვის შემუშავდა საეკ-

სვეტისთავი ცხოველების გამოსახულებით ბოლნისის სიონის ტაძრიდან (V ს.).

ლესიო ხუროთმოძღვრების ახალი ტიპი, რომლის ბრწყინვალე გვირგვინს წარმოადგენს მცხეთის ჯვრის ტაძარი. ეს არის გეგმაში ჯვრის ფორმის გუმბათიანი ნაგებობა, რომლის გუმბათიც ეყრდნობა აბსიდათა კედლების შესაყარს.

აბსიდები ტაძრის გეგმაში ჯვრის მკლავებს ქმნიან, რომელთა შორისაც კამარით გადახურული მცირე ოთახებია. ტაძრის კედლები ბარელიეფებითაა მორთული. მათზე გამოსახულნი არიან ტაძრის დამფუძნებელნი: ერისმთავარი სტეფანოზი და მისი ძმები ადარნერსე და დემეტრე. აგრეთვე ადარნერსეს შვილი პატარა ქობული. ყველა რელიეფის ჩარჩოში ამოტვიფრულია შესანიშნავი ასომთავრული წარწერები. ტაძარი არაჩვეულებრივი ჰარმონიითა და პროპორციითაა ნაგები. ეს ურთულესი არქიტექტურული ძეგლი შესანიშნავად ერწყმის გარემო ლანდშაფტს. იგი ფრიალო კლდეზეა აგებული და ბუნებრივად აგვირგვინებს მაღალი მთის სილუეტს. ჯვრის ტიპის ტაძარი ფართოდ გავრცელდა მთელს ამიერკავკასიაში (მარტვილის ტაძარი სამეგრელოში, ატენის სიონი ქართლში, ძველი შუამთის ეკლესია კახეთში და რიგი ძეგლებისა სომხეთში).

ჯვრის ფორმის ტაძრების შემდგომი განვითარებაა წრომის ტაძარი (VII ს.), სადაც გუმბათის ყელი უკვე სვეტებზეა დაყრდნობილი და სხვა არქიტექტურული სიახლენიც შეინიშნება, რომლებიც საფუძვლად დაედო ქართული კლასიკური ხუროთმოძღვრული სტილის ჩამოყალიბებას.

საერო ძეგლებიდან აღსანიშნავია ნაგებობანი, რომელთა ნაშთებიც ამ პერიოდის ნაქალაქარებშია შემორჩენილი. ესენია აღმოსავლეთ საქართველოში — უჯარმა, ჰერემი, დასავლეთ საქართველოში — ნოქალაქევი (ციხეგოჯი) და სხვა.

ჰერემის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრები (V ს.).



ატენის სიონის (VII ს.) ხედი.



ატენის სიონის გეგმა. 1. აბსიდები. 2. სადიაკონე, 3. სამკვეთლო. 4. გუმბათი.

საკურთხეველი

წრომის ტაძრის ხედი
(VII ს.).





წრომის ტაძრის გეგმა.

დოკუმენტი

1. IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსი და რიტორი (მჭევრმეტყველი) თემისტიოსი ფაზისის ფილოსოფიური სკოლის შესახებ

„მეც, ჩემო კარგო ახალგაზრდავ, რიტორიკის ნაყოფი მოვწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ თესალიიდან წამოსულმა დაისადგურა... მართალია თუ არა ის, რასაც ვამბობ, ცხადი გახდება ახლავე, თუ დავძენ შემდეგსაც: იქ ჩავედი მე არა საკუთარი მისწრაფებითა და გადაწყვეტილებით, არამედ მე გამგზავნა იქ ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორიც შეიძლება იყოს მამა და ისეთმა მართებულად მოაზროვნემ, როგორიც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი. იქნებ შენ ის სრულიად დაგმო იმისათვის, რომ მან თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა, ან უფრო მეტად დამგმო მე, რომელიც ფილოსოფიის საიდუმლოებას ბავშვობიდანვე ვარ ზიარებული“.

კითხვა და დავალება

1. გაიხსენეთ, რომელ „არგოზეა“ აქ ლაპარაკი? 2. სად გამოჩნდა ქართველების მაღალი რიტორიკული ხელოვნება?

IV თავი

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის წარმოქმნა IX — XI საუკუნეებში

§ 13. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის

1. სახალიფოს დაშლა. არაბთა მიერ შექმნილი უზარმაზარი სახელმწიფო განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ და განსხვავებულ ზნე-ჩვეულებათა მქონე ხალხთა ნაძალადევ, სამხედრო ძალაზე დამყარებულ გაერთიანებას წარმოადგენდა. მას არ ჰქონდა ერთიანობის მტკიცე საფუძველი. დაპყრობილ ხალხთა მძლავრმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, სახალიფოში მიმდინარე სოციალურმა და კლასობრივმა ბრძოლებმა დაასუსტა თანდათან არაბთა სახელმწიფო და IX საუკუნიდან დაიწყო მისი დაშლა.

არაბთა მიერ დაპყრობილ სხვა ხალხებთან ერთად დამპყრობილთა წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხებიც დაუცხრომლად იბრძოდნენ. 816 — 837 წლებში ალბანეთში დიდი აჯანყება მოხდა არაბთა წინააღმდეგ, რომელსაც სახალხო გმირი ბ ა ბ ე ქ ი მეთაურობდა. ბაბექს სომხები და ქართველებიც ეხმარებოდნენ. ერთ-ერთ ბრძოლაში, რომელიც სოფ. გ ა ვ ა ზ თ ა ნ (ახლა ყვარლის რაიონი) მოხდა, აზერბაიჯანელთა და ქართველთა შეერთებულმა ძალებმა სასტიკად დაამარცხეს არაბები.

ხალიფებს განუდგნენ დაპყრობილი ქვეყნების არაბი მმართველებიც. მათ დამოუკიდებლობისათვის დაიწყეს ბრძოლა. როგორც დავინახეთ, ერთ-ერთი ასეთი მმართველი იყო თბილისის ამირა, რომელიც IX საუკუნის დასაწყისიდან ცდილობდა ხალიფასაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას. თბილისის ამირებს სახალიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი მთავრებიც ეხმარებოდნენ. ხალიფები დიდ ჯარს აგზავნიდნენ თბილისის ურჩი ამირებისა და მათი მოკავშირე ქართველი მთავრების წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის ურჩი მოსახლეობის დასამორჩილებლად და თბილისის ამირების დასასჯელად გამოგზავნილ დამსჯელ ექსპედიციებს შორის ლაშქრის სიმრავლითა და ურჩთა მიმართ სისასტიკით გამოირჩეოდა სარდალ ბ უ ღ ა თ უ რ ქ ი ს მეთაურობით მოწყობილი ლაშქრობა. ბუღა თურქმა სისხლში ჩაახშო არაბების საწინააღმდეგო გამოსვლები სომხეთსა და ალბანეთში, მოადგა საქართველოს და 853 წ. 5 აგვისტოს ცეცხლი წაუკიდა თბილისს, გაჟლიტა ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი, დაამარცხა თბილისის ამირა ს ა ჰ ა კ ი და მისი მოკავშირეები. საჰაკი სიკვდილით დასაჯეს, მისი მოკვეთილი თავი ხალიფას გაუგზავნეს, თვითონ გატენილი ტანი კი, ურჩთა დასაშინებლად, ქალაქის კედელზე გადმოკიდეს. ხალიფასთან გაგზავნილ ტყვეთა შორის იყო ქართლის ერთ-ერთი მთავარი კ ო ს ტ ა ნ ტ ი — კ ა ხ ა. ხალიფას არაერთგზისი მოთხოვნის მიუხედავად მან არ უარჰყო თავისი ეროვნული სარწმუნოება და არ მიიღო დამპყრობთა რელიგია მაჰმადი-

10. ქართული სამეფო-სამთავროები IX-X სს-ში


ხაზარეთი
ქალაქი
ციხე
ეკლესია
სამეფოთა და სამთავროთა ცენტრი
ბრძოლები
ბუღა თურქის ლაშქრობა 853 წ.
აბულ-კასიმის ლაშქრობა 914 წ.
(შავი ზღვა)
ბ ი ზ ა ნ ტ ი ა
ბ ა ბ ა ნ ა
ბ ა ბ ა ნ ა
ბ ა ბ ა ნ

ანობა, რისთვისაც მას თავი მოჰკვეთეს (იხ. დოკ. 1).

მიუხედავად სასტიკი ზომებისა, არაბთა ძალა თანდათან სუსტდებოდა და საქართველო ნელ-ნელა თავისუფლდებოდა არაბთა მფლობელობისაგან. უკანასკნელად საქართველოს დამორჩილება ხალიფებმა სცადეს X საუკუნის დამდეგს. 914 წ. აქ მოვიდა დიდი ჯარით ხალიფას სარდალი ა ბ უ ლ-კ ა ს ი მ ი. მან აიღო ციხეები უჯარმა და ბოჟორმა, მოაოხრა სამცხე და ჯავახეთი. მაგრამ ვერც ამ ლაშქრობით მიაღწიეს მიზანს. არაბთა ბატონობა საქართველოში საბოლოოდ გადავარდა.

2. ცვლილებები ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში IX — X საუკუნეებში. არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლებული საქართველო განუხრელად დაადგა აღმავალი ეკონომიკური და სოციალური განვითარების გზას. IX — X საუკუნეები არის ადრეული ფეოდალიზმიდან განვითარებულ ფეოდალიზმზე გარდამავალი ხანა. ეს პერიოდი საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ძვრებით აღინიშნება. განვითარების მაღალ დონეს აღწევს მემინდვრეობა, მებაღეობა-მებოსტნეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა. მოსახლეობა შესამჩნევად მრავლდება. მასობრივად იწყება საქართველოში მთელი რიგი დაუსახლებელი ადგილების დასახლება, მოშენება. ხალხი სახლდება მამა-პაპათა ნასახლარებზე და აქამდე გამოუყენებელ ადგილებს სამიწათმოქმედოდ იყენებს.

სამიწათმოქმედოდ გამოყენებული ფართობის გაზრდა, დაუმუშავებელი მიწის ათვისება, ტყის გაკაფვა, კორდის გატეხვა, მშვიდობის დამყარებისა და მოსახლეობის რიცხობრივ ზრდასთან ერთად ემყარებოდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების გაუმჯობესებასაც. საქართველოში შეიქმნა სოფლის მეურნეობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი იარაღი, როგორიც იყო გუთანი. ამ იარაღმა საქართველოში განსაკუთრებით სრულყოფილი სახე მიიღო. გაიყვანეს და ააშენეს ახალი, ან აღადგინეს და გააუმჯობესეს მტრის შემოსევებისას დანგრეული და გავერანებული ძველი არხები, წყალსადენები, გზები, ხიდები.

ქვეყნის ეკონომიკურ მოღონიერებასთან ერთად კვლავ გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება. IX — X საუკუნეები ჰეშმარიტად ახალქალაქების ხანაა. დაარსდა არაერთი ახალი ქალაქი, როგორიც იყო მაგალითად: დ მ ა ნ ი ს ი, ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ი (რამდენიმე), თ მ ო გ ვ ი, ო ლ თ ი ს ი, ა ხ ა ლ ც ი ხ ე. განახლდნენ და ახალი სიცოცხლით იწყეს ცხოვრება ძველმა ქალაქებმაც, როგორიც იყო: რ უ ს თ ა ვ ი, ს ა მ შ ვ ი ლ დ ე, ხ უ ნ ა ნ ი, ა რ ტ ა ნ უ ჯ ი. თ ბ ი ლ ი ს ი (იხ. დოკ. 2, 3, 4) და ქ უ თ ა ი ს ი პოლიტიკურთან ერთად მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრებიც გახდა. სა-

ქართველოს ასე მომრავლებულ ქალაქებში ინტენსიურად ვითარდებოდა ხელოსნობა და ვაჭრობა. საქართველოს ქალაქები გაცხოველებულ აღებ-მიცემობას ეწეოდნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ახლო თუ შორეულ სახელმწიფოებთან.

ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარება დღის წესრიგში აყენებს ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროების ერთიან ძლიერ სახელმწიფოდ გაერთიანებას. ეს აუცილებელია იმისათვის, რათა უფრო თავისუფალი და შეუფერხებელი იყოს ურთიერთობა ქვეყნის ცალკეულ კუთხეებს შორის; რომ ქვეყანას შეეძლოს თავიდან აიცილოს დამპყრობთა შემოსევები და მათი ხელახალი გაბატონება. ქვეყანაში ძლიერი და ერთიანი მეფის ხელისუფლების შექმნის მომხრეა მომრავლებულ მოქალაქეებთან ერთად ფეოდალთა კლასის ფართო ფენებიც.

დავით III კურაპალატის ჭერცხლის მონეტა (X ს.).

კლასობრივი ბრძოლა ამ პერიოდში განსაკუთრებით მწვავდება. მიწათმოქმედი მოსახლეობის დიდი ნაწილი უკვე აზნაურთა ყმა-გლეხებადაა გადაქცეული. მხოლოდ მცირე ნაწილია დარჩენილი, რომელიც ნაწილობრივი თავისუფლებით სარგებლობს. ესენი თემებში იყვნენ გაერთიანებულნი, მაგრამ ამ თემების „უფალნიც“ მეფე-მთავრები ან აზნაურები იყვნენ. ფეოდალები ამ ნახევრადთავისუფალი მეთემეების ასევე ყმა-გლეხებად გადაქცევას ცდილობდნენ. ფეოდალური ურთიერთობა ნაკლებად იყო შეჭრილი მთიან ზოლში და მთის მოსახლეობა შედარებით თავისუფლებით სარგებლობდა.

როგორც დავინახეთ, ქვეყნის შემდგომი ფეოდალიზაციის შედეგად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა მსხვილი საფეოდალოები, რომლებიც ფეოდალებს შორის გარკვეულ იერარ-

დავით III კურაპალატის ჯვარი. ქვემოთ ფრაგმენტი წარწერით: „ქრისტე, ადიდე დღეგრძელობითა დავით კურაპალატი, ამინ“.

ქიულ (საფეხურებრივ) ურთიერთობას ემყარებოდნენ. **ამ დროს წარმოქმნილ სამეფო-სამთავროებში მრავლად იყო უფრო მცირე სამთავროები (საფეოდალოები), რომლებიც პატრონ-ყმობის პრინციპით ექვემდებარებოდნენ ამ მეფე-მთავრებს და თავის მხრივ თვითონ ჰყავდათ ყმებად საშუალო და წვრილი აზნაურები. ეს იერარქიული შენობა იმყარებოდა მატერიალური დოვლათის ძირითადი მწარმოებლების, ყმა-გლეხების ფეოდალურ ექსპლოატაციას.** წვრილი და საშუალო აზნაურები ამ ძლიერი მთავრებისაგან მიმძლავრებას განიცდიდნენ, ამიტომ ისინი საქართველოს ერთიანი მეფის ხელისუფლების მომხრენი იყვნენ. ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება მათ დაიცავდა ასეთი თვითნებობა-მიმძლავრებისაგან, თანაც უზრუნველყოფდა მათ ბატონობას ყმა-გლეხებზე, დათრგუნავდა ყმა-გლეხთა კლასობრივ წინააღმდეგობას. ყოველივე ეს, ე.ი. ზემოთ აღნიშნული **ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოთხოვნა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების აუცილებლობა და ფეოდალთა ფართო ფენებისა და ვაჭარ-ხელოსანთა სოციალური ინტერესები საქართველოში ერთიანი ძლიერი ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის საფუძველს ქმნიდა.**

8. ბრძოლა ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის საქართველოში პირველობისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის. გაერთიანებისათვის ბრძოლა ხანგრძლივი და დაუნდობელი იყო. ის ორ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა. ამ ბრძოლებში უცხო ძალაც ერთვოდა. ბიზანტიის იმპერია და არაბთა სახალიფო ყოველნაირად უშლიდნენ ხელს ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნას და გაძლიერებას.

სამეფო-სამთავროებს შორის ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ოპირატორობა ჯერ ჯახელებმა იგდეს ხელთ, შემდეგ თანდათან — დასავლეთ საქართველომ, რომელმაც დაიკავა შიდა ქართლი. შიდა ქართლს აფხაზთა მეფის ირისოვი განაგებდა. ბაგრატ X საუკუნის 70-იანი წლებისათვის მდგომარეობა შეიცვალა. აფხაზთა სამეფო შედარებით დასუსტდა, რითაც კარგად ისარგებლა ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფომ, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა **დ ა ვ ი თ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს**[1] **დროს** (X საუკუნის მეორე ნახევარი).

შორსმჭვრეტელმა და ჭკვიანმა პოლიტიკოსმა, ენერგიულმა მმართველმა დავით III-ემ მთელს მახლობელ აღმოსავლეთში დი-

---

1 **კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი** — ბიზანტიის იმპერატორების კარზე ერთ-ერთი უმაღლესი საკარისკაცო ტიტული იყო, რომელსაც I X საუკუნიდან აძლევდნენ ტაო-კლარჯეთის მთავრებს. ამით იმპერატორები ხაზს უსვამდნენ თავიანთ უზენაესობას საქართველოს ამ ნაწილის მთავრებზე.

დი სახელი მოიპოვა. მას დიდად აფასებდნენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მეზობელ სომხეთსა და ბიზანტიაშიც.

979 წ. ბიზანტიის იმპერიაში სარდალი ბარდა სკლიაროსი აჯანყდა. აჯანყებულებთან ბრძოლა გაძნელდა და საიმპერატორო კარმა დახმარებისათვის დავით დიდს მიმართა, რომელმაც 12 000-იანი ცხენოსანი ლაშქარი გაგზავნა სახელოვანი ქართველი სარდლების თ ო რ ნ ი კ ე ერისთავისა და ჯ ო ჯ ი კ ი ს მეთაურობით. გადამწყვეტ ბრძოლაში ქართველებმა დაამარცხეს სკლიაროსი და მადლიერმა იმპერატორმა დავითს დიდი მიწა-წყალი დაუთმო. ქართველთა სამეფოს საზღვრები საგრძნობლად გაფართოვდა. ეს ამბავი აღწერა აკაკი წერეთელმა თავის ცნობილ პოემაში „თორნიკე ერისთავი“.

ოშკის ტაძრის სამხრეთის კედელი.

ქართული მიწების ერთ სამეფოდ გაერთიანება რეალურ საქმედ ისახებოდა. პროგრესულად მოაზროვნე ფეოდალური არისტოკრატიის მეთაურმა, ქართლის ერისთავმა ი ო ა ნ ე მ ა რ უ შ ი ს ძ ე მ თავის თანამოაზრეებთან ერთად ამ დიდი საქმის მოთავეობა დავით III ძესთავაზა. გადაიდგა შორს გამიზნული ნაბიჯი. გადაწყდა ხელი შეეწყოთ დავითის შვილობილის, ბ ა გ რ ა ტ III გამეფებისათვის. ბაგრატი ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო, მაგრამ იგი სამი ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა: იგი იყო ქართველთა მეფის ტიტულის მქონე ბაგრატ ბაგრატიონის შვილიშ-

ოშკის ტაძარი (X ს.).

ბაგრატის ტაძარი ქუთაისში (X—XI სს. მიჯნა).



ვილი, უშვილო და უსინათლო თეოდოსი აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) მეფის დის შვილი და მემკვიდრე, ამავე დროს თვითონ დავით კურაპალატის შვილობილი და მემკვიდრე.

975 წ. დავითი ჯარით შევიდა შიდა ქართლში და ადგილობრივ დიდგვარიან აზნაურებს ბაგრატის მორჩილება უბრძანა, ხოლო 978 წ. დასავლეთ საქართველოს ფეოდალების ერთი ნაწილის ინიციატივით ბაგრატი ქუთაისში აფხაზთა (ე.ი. დასავლეთ საქართველოს) მეფედ აკურთხეს. 1001 წ. გარდაიცვალა დავით კურაპალატი. ბიზანტიის იმპერატორმა კურაპალატის ტიტული ბაგრატს უწყალობა, ქართველთა მეფის ტიტული კი მან მემკვიდრეობით მიიღო. ბაგრატმა ბრძოლით დაიკავა კახეთი და ჰერეთი (1008-1010 წწ.), ასევე თავის ნათესავებს, კლარჯ ხელმწიფეებს ძალით ჩამოართვა ძათი სამფლობელოები და თვითონ შემოიმტკიცა. ასე თანდათანობით ბაგრატ III-ის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანდა თითქმის მთელი საქართველო. მხოლოდ თბილისი და ქვემო ქართლი ჯერ კიდევ მაჰმადიანი ამირების ხელთ რჩებოდა. **ბაგრატ III იწოდებოდა „მეფედ აფხაზთა[1], ქართველთა[2], რანთა[3] და კახთა“. ერთიანი საქართველოს დედაქალაქი იყო ქუთაისი.**

საქართველოს გაერთიანების პროცესს გააფთრებით ეწინააღმდეგებოდნენ დიდგვაროვანი აზნაურები, რადგან ერთიანი საქართველოს მეფის ხელისუფლების განმტკიცება მათი თვითნებობის და

---

[1] დასავლეთ საქართველოს, [2] ქართლისა და მესხეთის, [3] ჰერეთის.

აგრეთვე თავთავიანთ სამფლობელოებში დამოუკიდებლობისა და შეუვალობის აღკვეთას ნიშნავდა. ბაგრატ მეფეს არაერთი ბრძოლის გადახდა დასჭირდა ამ თავნება ძლიერი ფეოდალების დასამორჩილებლად. ქვეყნის გაერთიანებას ბიზანტიაც ეწინააღმდეგებოდა, ისე რომ წინ კიდევ დიდი ბრძოლები იყო მოსალოდნელი, ვიდრე საქართველო საბოლოოდ ერთიან, ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ გადაიქცეოდა.

კითხვები და დავალება

1. რამ განაპირობა არაბთა სახალიფოს დაშლა? 2. რომელი ფეოდალური სამთავროები შეიქმნა საქართველოში და როდის? 3. რა აპირობებდა საქართველოს გაერთიანებას? 4. ვინ იყო საქართველოს პირველი გამაერთიანებელი მეფე? შუა საუკუნეების ისტორიიდან გაიხსენეთ ევროპის ქვეყნებში არსებული სენიორიები და შეადარეთ საქართველოს ბატონყმურ საფეოდალოებს.

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

1. ატენის ხიონის წარწერა

„თვესა აგუსტოსა ე-სა (ე.ი. 5), დღესა შაბათსა, ქორონიკონსა ოგ-სა (ე.ი. 73)... ქალაქი ტფილისი დაწვა ბუღა (მ) და შეიპყრა ამირაი საჰაკ და მოკლა, და მასსავე თთვესა აგუსტოსსა კ3-სა (ე.ი. 26), დღესა შაბათსავე ზირაქ (ბუღას სარდალმა) შეიპყრა კახაი და ძე მისი თარხუჯი“.



ატენის სიონის წარწერა.

კითხვები და დავალება

1. სად მდებარეობს ატენის სიონი? 2. ვინ არიან წარწერაში მოხსენიებული ბუღა, საჰაკი და კახა? 3. გამოიანგარიშეთ ჩვენი წელთაღრიცხვის რომელ წელს შეესაბამება ქართული ქორონიკონის 73 წელი (იხ. § 12, გვ. 103)

2. ნაწყვეტი X საუკუნის ოშკის ტაძრის წარწერიდან

„ესე იყო გალატოზთა და მოქმედთა (მუშების) მიზდი (ქირა) და აზავერთა მექვიშეთაი (ქვიშის მზიდავი მეტვირთე საქონელი), რომელი წელიწადსა წაეგების დრამა[1] 20 ათასი, ღუინო — ფისოსი[2] 5 000; რკინა ლიტრა[3] 60; ხუარბალი — გრივი[4] 250; გალატოზი და ხუროი და მჭედელი, რომელი მარადის შურებოდა (მუშაობდა) — 70; ხარი რომელ ქვასა კრებდა (ეზიდებოდა) 30, ჯორი და სხუაი აზავერი, რომელი გრიგოლწმიდით სპონდიაკსა[5] კრებდა — 30, სხუაი აზავერი, რომელ კრებდა... 60, და ყოველი ერი და მოქმედი — 80“.

კითხვები და დავალება

1. ოშკის ტაძარი ათი წლის მანძილზე (951 — 961) შენდებოდა; 2. გაიანგარიშეთ რამდენი ათასი დრამა, რამდენი ღვინო, რკინა და ხორბალი დაიხარჯა მის ასაშენებლად? 3. რა და რა დარგის ხელოსნები და მუშები მუშაობდნენ მშენებლობაზე? 4. რა დასკვნის გამოტანა შეგვიძლია ამ დოკუმენტიდან ქართველთა (ტაო-კლარჯეთის) სამეფოს ეკონომიკური შეძლების შესახებ?

3. X საუკუნის არაბი გეოგრაფი და მოგზაური იბნ-ბაუქალი იმდროინდელი თბილისის შესახებ

„თბილისს შემოვლებული აქვს ალიზის (გამოუწვავი აგურის) ორი კედელი, რომელშიც დატანებულია სამი კარი. ეს არის ნაყოფიერი, გამაგრებული, სურსათ-სანოვაგით მდიდარი, ფასების თვალსაზრისით იაფი ქალაქი. თავისი კეთილდღეობით იგი აღემატებოდა სხვა მდიდარ სახელმწიფოებსა და ნაყოფიერ ქვეყნებს. ერთმა კაცმა, რომელსაც იქ თაფლი უყიდია, მიამბო, რომ მან 1 დირჰემად[6] 20 ლიტრი შეიძინა. ეს ქალაქი წარმოადგენს მნიშვნელოვან სასაზღვრო ოლქს, რომელსაც ყოველი მხრიდან უამრავი მტერი ეხვევა. აქ არის აბანოები... მათი წყალი უცეცხლოდ დუღს. ქალაქი მდებარეობს მდინარე მტკვარზე. თბილისში, მცურავი წისქვილებია, რომლებიც ფქვავენ ხორბალს...

თბილისის მცხოვრებლებს შორის უცხოელი უშიშრად გრძნობს თავს და მათი გულუხვობით სარგებლობს. ისინი მეგობრულად არიან განწყობილნი მათ მიმართ, ვინც მათთან შემთხვევით მოხვდება და ვისაც რაიმე თუნდაც მცირე, გულისხმიერება ან ცოდნა აქვს მეცნიერებისა...

აქ (ამიერკავკასიაში) ბარდას (ბარდავს), ბაბსა (დერბენტსა) და თბილისზე უფრო დიდი ქალაქი არ არის“.

---

[1] დ რ ა მ ა — ვერცხლის ფული, უდრის შეძდეგდროინდელ აბაზს. 20 000 ზრამა უდრის დაახლოებით 4 000 მანეთს ვერცხლით.

[2]. ფ ი ს ო ს ი — ღვინის საწყაო.

[3] ლ ი ტ რ ა — წონის ერთეული. 50 ლიტრა დაახლოებით 250 კგ-ია.

[4] გ რ ი ვ ი — ხორბლის საწყაო.

[5] ს პ ო ნ დ ი ა კ ი — მსუბუქი ფოროვანი საამშენებლო ქვა.

[6] დ ი რ ჰ ე მ ი — არაბული ფულის ერთეული, დრამის, ანუ აბაზის შესატყვისი.

4. IX საუკუნის არაბი ისტორიკოსი ტაბარი თბილისის შესახებ

„თბილისს აქვს ხუთი კარი. მოედნის კარი, ყარსის კარი, მცირე კარი, რაბადის კარი და სოღდებილის კარი... დაიწვა ქალაქში (ბუღა თურქის ლაშქრობისას) 50 000 მცხოვრები“.

კითხვები და დავალება

1. რა განსხვავებაა ჰაუკალისა და ტაბარის ცნობებში თბილისის კართა რაოდენობის შესახებ? 2. რით შეიძლება იყოს გამოწვეული ეს განსხვავება? 3. რაზე მიუთითებს IX საუკუნის თბილისში ქალაქის 5 კარის არსებობა? 4. იბნ-ჰაუქალისა და ტაბარის ცნობების მიხედვით აღწერეთ IX — X საუკუნეების თბილისი.

5. ნაწყვეტები ბასილ ზარზმელის ჰაგიოგრაფიული თხზულებიდან „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“

როდესაც ბერებმა სერაპიონის მეთაურობით გადაწყვიტეს ზარზმის მონასტრის აშენება დიდმა მთავარმა გიორგი ჩორჩანელმა „მოუწოდა ვისმე ჭაბუკსა... და ჰრქუა, შვილო საყვარელო, გზა-ჭყევ წმიდათა ამათ უკეთოჲ ვინმე იპოოს დამახრწველი მათდა უცხოებისათვის ყოვლოთადა ხვალე გახთიადითგახ ვიდრე მწუხრამდე (რაოდენი) შემოწერით ეეძოვლონ, მიმიცემიეს მათდა, ვინაითგან ადგილსა ამას წადიერ არიან და ჰე აუწყე, ვითარმედ თავისუფლეაით და ნებისაებრ აშენეიეხ ძონასტერს საბრძანებელსა შინა ჩუენსა...

...და ვითარ ვლეს, მიიწიეს შესაკრებელსა ორთა ბათ წყალთასა. ხოლო იყო მუნ წისქვილი, სახლი რაიმე შესაკრებელსა მას შუა წყალთასა რომელსა საძმო ეწოდებოდა და ამას შინა იყვნეს კაცნი რაიმე უკეთურნი ყოვლად მხეცებრივნი... ხოლო გვიხილნეს რაი კაცთა მის ადგა-წისქვილისათა, იწყეს ყენებად ჩუენდა და ვითარცა ცოფნი წინა რბიოდეს“.

კითხვები და დავალება

1. ვინ უწყალობებს ბერებს მიწას მონასტრისათვის? 2. ვინ უწევს წინააღმდეგობას ბერებს მონასტრისათვის მიწის ნაკვეთის შემოზომვაში და რატომ? 3. როგორ ახასიათებს აგიოგრაფი მთავრის განკარგულების წინააღმდეგ მებრძოლ ხალხს? 4. ამ დოკუმენტის მიხედვით მოგვიყევით მიწისათვის მთავრებისა და ეკლესიის წინააღმდეგ ხალხის ბრძოლის შესახებ.

§ 14. საქართველო XI საუკუნეში

1. ბრძოლა ბიზანტიის შემოტევის წინააღმდეგ. საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება ეწინააღმდეგებოდა ბიზანტიის ინტერესებს. აქამდე ბიზანტიის იმპერია ითმენდა ამიერკავკასიაში ძლიერი ქრისტიანული ქართული და სომხური სახელმწიფოების არსებობას, რათა ისინი მუსლიმანებისათვის დაეპირისპირებინა, მაგრამ ამ დროისათვის არაბთა სახელმწიფო უკვე დაშლილ-დასუსტებული იყო და იმპერია ცდილობდა ამიერკავკასიაში თავისი დაკარგული უფლებები აღედგინა.

ნიკორწმინდის ტაძარი (XI ს.).

XI საუკუნის მანძილზე ქართველმა ხალხმა არაერთი ბრძოლა გადაიტანა ბიზანტიასთან. 1001 წ., როდესაც გარდაიცვალა დავით III კურაპალატი, ბიზანტიის იმპერატორი ბასილი დიდი ლაშქრით მოვიდა და დავითის სამფლობელოს დიდი ნაწილი დაიკავა. ბაგრატ III იძულებული გახდა ამ ამბავს შერიგებოდა. სამაგიეროდ იმპერატორმა ბაგრატ III-ეს კურაპალატობა უბოძა. ბაგრატ III გარდაიცვალა 1014 წ. იგი დაკრძალეს მის მიერვე აგებულ ბედიის ტაძარში (იხ. დოკ. 1).

ბიზანტიის მიერ დაკავებული მიწების უკან დაბრუნება სცადა ბაგრატ მეფის მემკვიდრემ გიორგი I (1014 — 1027 წწ.) მან ისარგებლა იმით, რომ ბასილ იმპერატორი ბულგარელებს ეომებოდა, ტაოში შეიჭრა და ბიზანტიელების მიტაცებული მიწები დაიკავა.

ბასილ იმპერატორმა ბულგარელებთან ომი წარმატებით დაასრულა და საქართველოს მეფეს დაკავებული მიწა-წყლის დატოვება მოსთხოვა. ომი საქართველოს დამარცხებით დამთავრდა და 1023 წლის ზავით იმპერიამ დაიბრუნა სადავო ტერიტორია. გიორგი I-ის მდგომარეობას ართულებდა ის გარემოება, რომ საქართველოს შიგნით არ იყო მტკიცე ერთიანობა. უკვე მისი გამეფების პირველივე წელს ერთიან საქართველოს ჩამოშორდა ჰერეთ-კახეთი, სადაც აღდგა ადგილობრივი მეფის მმართველობა. კიდევ უფრო გაუარესდა მდგომარეობა მისი მცირეწლოვანი მემკვიდრის ბაგრატ IV (1027 — 1072 წწ.) მეფობის პირველ წლებში. ბიზანტიის საიმპერატორო კარი საქართველოს მეფის წინააღმდეგ აქეზებდა დიდგვარიან ფეოდალებს. მეფესა და მის ქვეშევრდომ უძლიერეს ფეოდალებს შორის ისედაც შეურიგებელი წინააღმდეგობა არსებობდა.

როგორც აღნიშნული იყო, ერთიანი საქართველოს მეფის ხელისუფლების განმტკიცება ამ დიდგვარიანთა უფლებების შეკვეცის ხარჯზე ხდებოდა. დიდგვარიანებს ერთმეოდათ მათ მამულებში შეუვალობის უფლება, ფრთები ეკვეცებოდა მათ თავისუ-

ფალ პარპაშს. საქართველოს გაერთიანებით უკმაყოფილო თავნება დიდაზნაურები მრავლად გადავიდნენ ბიზანტიელთა მხარეზე. მაგალითად, მათ მტერს გადასცეს ტაო-კლარჯეთის რამდენიმე ციხე-სიმაგრე და ამით საქართველოს მეფის მდგომარეობა მეტისმეტად გაართულეს. მაგრამ სამშობლოს პატრიოტებმა და პროგრესულად მოაზროვნე პირებმა დიდგვარიანთა ასეთ მოქმედებას სამშობლოსათვის თავგანწირვა დაუპირისპირეს. მათ შორის განსაკუთრებით ისახელა თავი ეპისკოპოსმა ს ა ბ ა მ ტ ბ ე ვ ა რ ა მ ა, რომელმაც ტ ბ ე თ შ ი (შავშეთშია) ციხე ააგო, იქაური მცხოვრებლებისაგან ჯარი შექმნა და მტერს მედგრად დაუხვდა.

ბრძოლები დიდხანს გაგრძელდა. ზავის ჩამოსაგდებად ბიზანტიის დედაქალაქში გაემგზავრა ბაგრატის დედა დ ე დ ო ფ ა ლ ი მ ა რ ი ა მ ი. მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა. ბაგ-

11. საქართველოს გაერთიანება X–XI სს. მიჯნაზე



საძთავისის ტაძრის ორნამეტები (XI ს.)

რატ მეფეს ცოლად შერთეს კეისრის ძმის შვილი ელენე და მებრძოლი ქვეყნები დაზავდნეს. მაგრამ ეს დაზავება არ იყო ძტკიცე. საიმპერატორო კარი აგრძელებდა საქართველოს მეფის მოწინააღმდეგე დიდაზნაურების თავის მხარეზე გადაბირებას და მათ ყოველმხრივ აქეზებდა ურჩობისა და თვითნებობისაკენ.

2. ბრძოლა ბაგრატ მეფესა და ლიპარიტ ერისთავს შორის. საქართველოს დიდგვარიან აზნაურებში თავისი სიძლიერით გამოირჩეოდა ბ ა ღ ვ ა შ თ ა ფეოდალური საგვარეულო, რომელსაც კ ლ დ ე კ ა რ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ო ბ ა ეპყრა და ძლიერი საფეოდალო შეექმნა. მათ დასამორჩილებლად ჯერ კიდევ ბაგრატ III იბრძოდა. ბაგრატ IV-ის მცირეწლოვანობის დროს კლდეკარის ერისთავმა ლ ი პ ა რ ი ტ ბ ა ღ ვ ა შ მ ა სცადა მეფე თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. ლიპარიტს მიზანში ამოეღო თბილისის საამირო და ამირას ხელისუფლების გაუქმებით ძალა საფეოდალოს დიდი ნაწილის ხელში ჩაგდებას აპირებდა. 1032 წ. მან თბილისის აბირა ჯაფარი დაატყვევა, მაგრამ ლიპარიტის მოქიშპე სხვა დიდაზნაურების რჩევით მეფე ბაგრატ IV-ემ ამირა გაანთავისუფლა და კვლავ თბილისში დააბრუნა. ხუთი წლის შემდეგ ბაგრატ IV-ემ ლიპარიტის რჩევით შემოიკრიბა მოკავშირეები და თბილისს ალყა შემოარტყა. თბილისისათვის ბრძოლა ორ წელიწადს გაგრძელდა. თბილისელებს გაუჭირდათ. ამირაც დანებებას აპირებდა. ასე ხანგრძლივად ალყად დგომით ქართველთა ლაშქარიც დაიღალა. ამ დროს ამირას დასახმარებლად მაჰმადიანთა დამხმარე ძალის წამოსვლის ამბავი მოვიდა. ბაგრატ მეფემ ლიპარიტის უკითხავად თბილისს ალყა მოხსნა. ამან მეფესა და ლიპარიტს შორის უკვე აშკარა კონფლიქტი წარმოქმნა, რაც მალე დაუნდობელ ბრძოლაში გადაიზარდა. ეს ბრძოლა დაახლოებით ოც წელიწადს გაგრძელდა. ლიპარიტს ენერგიულად უჭერდა მხარს ბიზანტიის საიმპერატორო კარი. მას იქიდან დამხმარე ლაშქარიც კი მოსდიოდა. ბიზანტიელები მისთვის ფულსაც არ იშურებდნენ. ამ ბრძოლებმა საქართველოს საბოლოო გაერთიანება მკვეთრად დაამუხრუჭა. მაგალითად, ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი კახეთის შემოერთების საქმე, თბილისიც ბაგრატ მეფეს რამდენჯერმე გადასცეს მოქალაქეთა წარმომადგენლებმა, მაგრამ ვერც თბილისი შემოიერთეს.

• ამ დროს თბილისის ამირა გარდაიცვალა და ქალაქის მმართველობა ვაჭარ-ხელოსანთაგან არჩეულ პირებს — ბერებს ეპყრათ. თბილისელმა მოქალაქეებმა ბაგრატ მეფეს თბილისის დაკავება შესთავაზეს. ამაზე ადრე ბაგრატს ძველი სომხური ქალაქის ა ნ ი ს ი ს თავკაცებმაც გადასცეს თავიანთი ქალაქი. მაგრამ როგორც ანი-

სის, ისე თბილისის შემოერთება ლიპარიტთან ბრძოლების გამო ჩაიშალა.

ბოლოს, 1058 წ. ლიპარიტის ასეთი თვითნებობით თავმობეზრებულმა მესხმა აზნაურებმა შეიპყრეს ეს მძლეთა-მძლე ფეოდალი და ბაგრატ მეფეს მიჰგვარეს. მეფემ ლიპარიტი იძულებით ბერად აღკვეცა და საქართველოდან განდევნა. ეს იყო როგორც საქართველოს მეფის ხელისუფლების დიდი გამარჯვება, ისე ბიზანტიის პოლიტიკური მარცხიც. ამის შემდეგ საქართველოს გაერთიანების საქმე სწრაფად უნდა წასულიყო წინ. ბაგრატ მეფემ კახეთიც დაიკავა ჯარით, მაგრამ ქვეყანას ახლა ახალი განსაცდელი დაემუქრა. დაიწყო თურქთა ლაშქრობანი საქართველოში.

სამთავროს ტაძრის ორნამენტები (XI ს.).

8. თურქ-სელჩუკები საქართველოში. XI საუკუნის 30-იანი წლებიდან მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნებს შუა აზიიდან შემოესივნენ თურქი ტომები, რომელთაც სათავეში ს ე ლ ჩ უ კ თ ა საგვარეულო ედგა, ამიტომ ამ თურქებს თურქ-სელჩუკებს უწოდებდნენ. სელჩუკებმა 50-იანი წლებისათვის დაიპყრეს ირანი, შუამდინარეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, 1071 წ. მანასკერტთან ბრძოლაში დაამარცხეს ბიზანტიის იმპერატორი და აიძულეს მათთვის დაეთმო აღმოსავლეთის პროვინციები. ამის შემდეგ ქრისტიანული საქართველო მარტო აღმოჩნდა ძლიერი, მრავალრიცხოვანი, კარგად ორგანიზებული და შეიარაღებული მტრის პირისპირ.

პირველად საქართველოს თურქ-სელჩუკები 1064 წ. შემოესივნენ. მათ სასტიკად მოარბიეს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი პროვინციები. მეორედ სელჩუკები ჰერეთ-კახეთის მხრიდან შემოვიდნენ 1068 წ. და ააოხრეს როგორც აღმოსავლეთი საქართველო, ისე იმერეთიც. თურქთა სულთანი ბაგრატ მეოთხისაგან დიდ ხარკს და უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა, მაგრამ ბაგრატ მეფე ისე გარდაიცვალა (1072 წ.), რომ თურქებისადმი არც მორჩილება იკადრა და არც ხარკი უკისრია. თურქებმა განსაკუთრებით გააძლიერეს შემოტევა ბაგრატის მემკვიდრე გ.ი ო რ გ ი II მეფობის (1072 — 1089 წწ.) დროს.

1080 წლიდან დაიწყო თურქთა დიდი შემოსევები. მომთაბარე თურქები მოდიოდნენ თავიანთი ჯოგებით, ოჯახებით და სახლდებოდნენ დაპყრობილ მიწებზე. ეს იყო, როგორც მაშინდელი ისტორიკოსები ამბობდნენ, „დ ი დ ი თ უ რ ქ ო ბ ა“, რაც მართლაც დიდი უბედურება იყო განვითარებული, ინტენსიური მეურნეობისა და უფრო მაღალი საზოგადოებრივი წყობილების მქონე ქვეყნისთვის. აყვავებულ, კულტურული მეურნეობით დაკავებულ ადგილებზე სახლდებოდნენ მომთაბარე თურქები, რომელთაც მხო-

12. საქართველო XI ს-ში


ქალაქი
სამეფოს, სამთავროს ცენტრი
ციხე
ეკლესია
სხვა მნიშვნელოვანი პუნქტი
საქართველოს საზღვრები ბაგრატ IV დროს
თბილისის საამირო
თურქ-სელჩუკთა ლაშქრობები :
1054 წ-ს
1068 წ-ს
1080 წელს „დიდი თურქობა"
(შაქი ზონა)
ბიჭანი
ბასიანი
ბასიანი
ბასი

კითხვები

1. რატომ იბრძოდნენ დიდგვაროვანი ფეოდალები მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების წინააღმდეგ? 2. როგორი იყო ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობა XI ს. პირველ ნახევარში? 3. ვინ იყვნენ თურქ-სელჩუკები და რას ეწოდება „დიდი თურქობა“?

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

1. მეფე ბაგრატ III-ის დახასიათება XI ს. საისტორიო თხზულებაში „მატიანე ქართლისაი“

„ამანვე დიდმან მეფემან (ბაგრატ III) აღაშენა საყდარი ბედიისა, და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ... შეწირნა სოფელნი მრავალნი... განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი. უკეთუ ვისმე ენების განცდად[1] და გულისხმისყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა, და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა (ე.ი. აღმოსავლეთ საქართველოში) და აფხაზეთისასა (ე.ი. დასავლეთ საქართველოში).

ამანვე აკურთხა ეკლესია ქუთათისა (ქუთაისის) განგებითა დიდითა და მიუწვდომელითა. რამეთუ შემოიკრიბნა მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხუათა ყოველთა სახელმწიფოთანი.

ესე ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე წარემატა[2] ყოველთა ხელმწიფეთა ყოვლითა განგებითა[3]. ამისდა შემპოვნედ და ამისდა მოაჯედ[4] შეიქმნეს ყოველნი ხელმწიფენი, მახლობელნი, და მოთაულნი[5] მამულისა და სამეფოსა მისისანი, მოლაშქრედ ვითარცა თვისნი[6] და მისანდობელნი[7] და დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი და წინააღმდგომნი მისნი. მომადლა დღეთა მისთა მშვიდობა და დიდი დაწყნარება ქუეყანისა“.

დავალება.

წარმოადგინეთ ბაგრატ III-ის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, პორტრეტი ამ დახასიათების მიხედვით.

---

[1] გ ა ნ ც დ ა — ნახვა, შეცნობა. [2] წ ა რ ე მ ა ტ ა — აღემატა. [3] გ ა ნ გ ე ბ ა — მართვა. [4] შ ე მ პ ო ვ ნ ე დ და მ ო ა ჯ ე დ — მთხოვნელად. [5] მ ო თ ა უ ლ ი — მეთაური, უფროსი. [6] თ ვ ი ს ნ ი — ნათესავნი. [7] მ ი ს ა ნ დ ო ბ ე ლ ი — ერთგული.

2. XII ს-ის ქართველი ისტორიკოსი „დიდი თურქობის“ და მისი შედეგების შესახებ

თურქ-სელჩუკები „მეზობლობით მოეახლნენ საზღვართა ჩუენთა, განმრავლდა შიში და ჰირი მათგან ჩუენ ზედა. რამეთუ იწყეს მიერითგან რბევად, ტყუენვად და მოოხრებად, წუად, სრვად და ტყუეობად ჩუენ ქრისტიანთა...

...მოეფინეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი.[1]

და დღესა ივანობისასა (ივნისი) ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი. და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსვლამდე თოვლისა, მოჭამეს ქუეყანა და მოსწყვიტეს, თუ სადღა ვინ დარჩომილი იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ხურელთა ქუეყანისათა. და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა., რამეთუ ქორონიკონი იყო სამასი. ხოლო თუ ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადამე ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა.

და განგრძელდა ესევითარი ჰირი ქრისტიანეთა ზედა, რამეთუ არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათვე პირველთა საქმეთაებრ იქმოდიან, და ზამთარს წარვიდიან და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა. და იყო ჰირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვიდრთა ქუეყანისთა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესვე ყოფილთა სმენილთა და გარდასრულთა ოხრებათასა. რამეთუ წმინდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა[2] თვისთა, ხოლო საკურთხეველნი ღმრთისანი ადგილად არაწმინდებისა მათისა. და მღდელნი... შეწირულ იქნეს და სისხლნი მათი აღირივნეს მეუფისათა თანა. და რომელნიმე მწარესა ტყეობასა მოცემულ იქმნეს, მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩვილნი მიმოტაცებული. ცეცხლი უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიწუა შენებული ყოველი, მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა მრწყველნი ქუეყანისანი“.

დავალებები

1. დაახასიათეთ ამ დოკუმენტის მიხედვით „დიდი თურქობა“ და მისი შედეგები 2. გამოიანგარიშეთ, რომელ წელს უდრის „ქორონიკონი 300“.

---

[1] მ კ ა ლ ნ ი — კალიები.

[2] ჰ უ ნ ე — ცხენი.

§ 15. კულტურული ვითარება IX—XI საუკუნეებში

მათე მახარებელი. მინიატურა სახარების დასაწყის გვერდზე. ალავერდის ოთხთავი. 1054 წ.

1. ქართული მწერლობა. IX — XI საუკუნეებში საქართველოს ისტორიული განვითარება ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების ნიშნით მიმდინარეობდა, რაც თავის მხრივ ცხოველმყოფელ გავლენას ახდენდა კულტურულ შემოქმედებაზე. ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებასთან ერთად დასრულდა ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი. განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ქართულმა ენამ, რომელიც IX საუკუნისათვის ქართლში, კახეთში, ჰერეთში, ტაოსა და კლარჯეთში, ეგრისსა და აფხაზეთში, ისტორიული საქართველოს ყველა კუთხეში მწერლობის, სამოქალაქო ურთიერთობის, საეკლესიო მღვდელმსახურების ერთადერთი ენა იყო. ქართული ენა ჩრდილო კავკასიაში, ჩერქეზეთსა და ალან-ოსებშიც იწყებს გავრცელებას, სადაც ქრისტიანობა საქართველოდან შედიოდა. საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას ქართული სამყაროს საეკლესიო-კულტურული გაერთიანება უსწრებდა წინ. ყოველივე ამან განაპირობა მშობლიური ენის დიდი მნიშვნელობის შეგნების შემუშავება. X საუკუნეში დაიწერა კიდეც ქართული ენის საგალობელი ი ო ა ნ ე ზ ო ს ი მ ე ს მიერ — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომელშიც ავტორი ქართულ ენას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მსოფლიო ენათა შორის.

IX — X საუკუნეებში ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლები შეიქმნა, დაიწერა ისტორიულ-ბიოგრაფიული თხზულებები: ბ ა ს ი ლ ი ზ ა რ ზ მ ე ლ ი ს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე ს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. გარეშე მტრის, სახელდობრ, მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამშობლოს დამცველთა, ეროვნული სარწმუნოებისათვის, ეროვნული თვითმყოფობისათვის მებრძოლთა და დაღუპულთა მოღვაწეობის აღწერას. ასეთი თხზულებები იყო, მაგალითად, უცნობი ავტორის „კოსტანტი-კახას მარტვილობა“, ს ტ ე ფ ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი ს „მიქელ-გობრონის მარტვილობა“ და სხვა. ეს ჰაგიოგრაფიული თხზულებები მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროებიცაა. ისინი მდიდარ მასალას გვაწვდიან იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრების, საზოგადოებრივი ცხოვრების, კულტურის, გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.



ქრისტე წერს ეპისტოლეს. მინიატურა იმავე ოთხთავიდან.

ქართული ორიგინალური მწერლობის ცალკე დარგს წარმოადგენს სასულიერო პოეზია, ანუ ჰიმნოგრაფია, ლექსად დაწერილი ჰიმნები, რომელთაც ეკლესიებში სიმღერით ასრულებდნენ. იმდ-

როინდელი ქართული ჰიმნოგრაფიის ცნობილი წარმომადგენლები არიან მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, იოანე ზოსიმე და სხვები. X საუკუნის ჰიმნოგრაფმა მიქაელ მოდრეკილმა შეადგინა ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელშიც შეიტანა თავისი და სხვა ქართველი, აგრეთვე ბიზანტიელი ჰიმნოგრაფების თხზულებები. ამ ჰიმნებს საგანგებო სამუსიკო ნიშნები აქვთ, რომელნიც უთითებენ საგალობლის შესრულების დროს ხმის აწევასა და დაწევაზე, შესრულების რიტმზე.

ამ ხანებში ჩვენში საერო მხატვრული ლიტერატურაც არსებობდა, როგორც ნათარგმნი, ასევე ორიგინალური, რომლის მხოლოდ მცირე ნაწყვეტებმა მოაღწიეს ჩვენამდე.

2. მეცნიერება. იმდროინდელ საქართველოში განათლებული კაცისათვის სავალდებულო იყო ფილოსოფიის ცოდნა, რაც ქმნიდა საფუძველს ფილოსოფიური მეცნიერების განვითარებისათვის. სწორედ ამ ეპოქაში შეიქმნა ქართული ფილოსოფიური აზროვნების შესანიშნავი ნიმუში, ქართველი მწერლის მიერ დამუშავებული აღმოსავლური თქმულება ბუდას[1] შესახებ „სიბრძნე ბალავარისა“, რომელიც XI საუკუნეში გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და მეცნიერმა ექვთიმე ათონელმა ქართულიდან თარგმნა ბერძნულად, ხოლო ბერძნულიდან იმავე XI საუკუნეში ითარგმნა ლათინურად და მთელს ევროპაში გავრცელდა.

IX — XI საუკუნეებში განსაკუთრებით დაწინაურდა ქართული საისტორიო მწერლობა. IX საუკუნეში რედაქცია გაუკეთდა და შეივსო საისტორიო თხზულება — „მოქცევაი ქართლისაი“, რომელიც გადმოგვცემს ჩვენი ქვეყნის ისტორიას უძველესი დროიდან IX საუკუნემდე. ამ თხზულებას დართული აქვს წმინდა ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანების ისტორია. დიდ აყვავებას განიცდის ქართული ისტორიოგრაფია XI საუკუნეში. ამ დროს დაიწერა უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისაი“, სუმბატ დავითისძის „ბაგრატიონთა გვარის ისტორია“, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“, ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ისტორია“ და სხვ. XI საუკუნის ეს ისტორიკოსები თავისი წინამორბედი ავტორების თხზულებებით სარგებლობდნენ. ამ თხზულებებში ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიასთან ერთად მსჯელობაა ქართველთა წარმომავლობის, კავკასიის ხალხთა ნათესა-

---

[1] ბუდა — ძველი ინდოელების მთავარი ღვთაება, რომელიც თქმულების მიხედვით ჯერ ჩვეულებრივი ადამიანი იყო და შემდეგ გალმერთდა.

ობა-ურთიერთობის, ქართული დამწერლობის წარმოშობის, კულ-ტურის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე. მხიძვნელოვანი ცვლილებები განიცადა ქართულმა დამწერლობამ. წიგნებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ და სწრაფი წერის პრაქტიკამ გამოიწვია ქართული მ რ გ ვ ლ ო ვ ა ნ ი ანბანის შეცვლა ნ უ ს ხ უ რ ი თ. ნუსხური ანბანის ცალკეული ნიმუშები ადრევე ჩნდება, მაგრამ საბოლოოდ IX საუკუნიდან მკვიდრდება. ამ სახის ანბანი იმავე მრგვლოვანიდან მომდინარეობს, მხოლოდ ასოები აქ უფრო მცირე ზომისა და კუთხოვანი მოყვანილობისაა, რაც დასაწერი ადგილის ეკონომიითაა გამოწვეული. ნუსხურიდან განვითარდა უფრო სწრაფი წერისათვის მოხერხებული მ ხ ე დ რ უ ლ ი დამწერლობაც. მისი ასოები ნუსხური ასოების მომრგვალებით და გადაბმულად წერისათვის მოსახერხებელი ფორმებით ჩამოყალიბდა. ნუსხური მაინც ტრადი-

ქართული ანბანის განვითარება: 1. V ს. მრგვლოვანი (ასომთავრული). 2. VII ს. მრგვლოვანი (ასომთავრული). 3. X ს. ნუსხური. 4. XII ს. ნუსხური. 5. XI ს. მხედრული. 6. XIII ს. მხედრული. 7. XV ს. მხედრული. 8. XVII ს. მხედრული. 9. თანამედროვე მხედრული.

ციულად იხმარებოდა საეკლესიო წიგნებში. ასევე შემორჩა მრგვლოვანიც, რომელსაც იყენებდნენ ძირითადად სათაურებისათვის და წინადადების დასაწყისი ასოებისათვის (აქედან მისი მეორე სახელი — ასომთავრული). ამ ორ ანბანს, მრგვლოვანს (ასომთავრულს) და ნუსხურს ხუცურიც ეწოდება, ხოლო მესამე სახის ანბანს, რომელსაც ძირითადად სამოქალაქო დოკუმენტებისა და საერო ნაწარმოებების დაწერისათვის იყენებდნენ — მ ხ ე დ რ უ ლ ი უწოდეს.



XI ს. ქართული მხედრული დამწერლობის ნიმუში. ბაგრატ IV სიგელის ფრაგმენტი.

8. კულტურისა და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრები. ქართული ეროვნული კულტურის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, ქრისტიანული კულტურის მოწინავე ქვეყნებში არსებულ განათლებისა და კულტურის ცენტრებს, ქართულ ეკლესია-მონასტრებს. ასეთი ეკლესია-მონასტრები ქრიტიანობის პირველივე საუკუნეებში დაარსდა. იქ მხოლოდ წირვა-ლოცვა როდი სრულდებოდა. ეს მონასტრები იმთავითვე სწავლა-აღზრდისა და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებს წარმოადგენდნენ. ამ მონასტრებში ხდებოდა ხელნაწერთა გადაწერა-გამრავლება, მოხატვა-შემკობა, ლიტერატურის თარგმნა სირიულიდან, არაბულიდან, ბერძნულიდან. აქ ზრდიდნენ მომავალ თაობას და რაც მთავარია, აქ იქმნებოდა ორიგინალური ქართული მწერლობა. უცხოეთში არსებულ ქართული კულტურის ცენტრებში ითარგმნებოდა საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური, საბუნებისმეტყველო თხზულებანი, რომელთაც საქართველოში გზავნიდნენ.

უცხოეთის ქართულ სავანეებს შორის ყველაზე დიდი დამსახურება ა თ ო ნ ი ს (მდებარეობდა საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულზე) მონასტერს ჰქონდა. ათონის მონასტერი X საუკუნის დასასრულს დააარსა ცნობილმა მოღვაწემ ი ო ა ნ ე მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ მ ა. მონასტრის დააარსებლად დიდი თანხა შესწირა



პეტრიწონის მონასტრის საძველე (XI ს.).

თ ო რ ნ ი კ ე ე რ ი ს თ ა ვ მ ა, რომელმაც ბიზანტიის საიმპერატორო კარისაგან მიიღო ეს თანხა იმ დახმარებისათვის, რომელიც ქართველებმა აღმოუჩინეს იმპერატორს ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობის დროს. ამ მონასტერში დიდი სამწერლო მოღვაწეობა წარმოებდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია იოანეს შვილის, ე ქ ვ თ ი მ ე ს მოღვაწეობა, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი წიგნი თარგმნა ბერძნულიდან ქართულად. აგრეთვე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის ქართულიდან ბერძნულადაც თარგმნიდა. ათონზე ორიგინალური ქართული თხზულებებიც იწერებოდა. მაგალითად, გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ მ ა აღწერა მონასტრის დამაარსებლის იოანეს და მისი შვილის ექვთიმეს მოღვაწეობა, ხოლო თვით გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა მისმა მოწაფემ გიორგი ხუცესმონაზონმა. ამ თხზულებებში უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობებია, როგორც ათონის მონასტერში მიმდინარე ეროვნულ-კულტურული საქმიანობის, ასევე ქართული კულტურის, ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობისა და სხვა საკითხებზე.

XI საუკუნის დასასრულს დღევანდელი ბულგარეთის ტერიტორიაზე, რომელიც მაშინ ბიზანტიის შემადგენლობაში შედიოდა, სოფ. პ ე ტ რ ი წ ო ნ თ ა ნ ბიზანტიის საიმპერატორო კარის დიდმა მოხელემ, ქართველმა დიდაზნაურმა გ რ ი გ ო ლ ბ ა კ ურ ი ა ნ ი ს ძ ე მ დააარსა ქართული მონასტერი და მონასტერს თავისი წესდება (ტიპიკონი) შეუდგინა. პეტრიწონის მონასტერთან ქართველი ახალგაზრდებისათვის სემინარია არსებობდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ სამწერლობო მოღვაწეობას, რომელიც პალესტინაში საბაწმინდას ლავრაში, სინას მთაზე და სხვა კერებში მიმდინარეობდა.

განათლების საქმე იმდროინდელ საქართველოში მაღალ დონეზე იდგა. მთავარი ყურადღება ექცეოდა ქრისტიანული სარწმუნოების მოძღვრებისა და წესების შესწავლას, მაგრამ ასწავლიდნენ მათემატიკასაც, ისტორიას, მუსიკას (გალობას) და სხვა საგნებს. იმაზე, თუ რას ასწავლიდნენ იმ დროს, საინტერესო ცნობებს გვაწვდის X საუკუნეში შედგენილი ერთი კრებული, რომელსაც „შ ა ტ ბ ე რ დ ი ს კ რ ე ბ უ ლ ი“ ეწოდება, რადგან ის შატბერდის მონასტერშია (მდებარეობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში) გადაწერილი და სამართლიანად უწოდებენ „სასწავლო წიგნს“. ამ წიგნში თავმოყრილია ის ძირითადი ლიტერატურა, რომელიც იმდროინდელ განათლებულ ქართველს უნდა სცოდნოდა. საღვთისმეტყველო, საბუნებისმეტყველო, ფილოსოფიურ თხზულებებთან ერთად ამ წიგნში არის შეტანილი მსოფლიო ისტორია, აგრეთვე საქართველოს ისტორია („მოქცევაი ქართლისაი“).

4. ხელოვნება. IX — XI საუკუნეები ქართული ხელოვნების ისტორიაში ახალი შემოქმედებითი ძიებების, ახალი ამოცანების, ახალი პრობლემების ეპოქაა. ამ დროს ისახება გზები, რომელმაც ქართული ხელოვნება, ახალ ისტორიულ პირობებში, განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა.

არასოდეს, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, საქართველოს შემოქმედებითი ცხოვრება არ ყოფილა ასე ყოვლისმომცველად ამაღლებული და აყვავებული, როგორც X—XII საუკუნეებში. ამ ეპოქის სრულიად განსაკუთრებული, მაღალი მხატვრული დონე და შემოქმედებითი შესაძლებლობები ერთნაირი ძალით აღინიშნა ქართული ხელოვნების ყველა დარგში — ხუროთმოძღვრებაში, კედლის მხატვრობაში, ქვის თუ ხის რელიეფებში, ოქრომქანდაკებლობაში, ხელნაწერი წიგნის დეკორში, საოჯახო ყოფის ნივთებშიც კი — კერამიკისა თუ ლითონის ჭურჭელში. ყველაზე ადრე ეს მიღწევები ხუროთმოძღვრებაში გამოვლინდა. X საუკუნის მიწურულს და XI საუკუნის პირველ მესამედშია აგებული საქართველოს ყველაზე დიდი კათედრალები — ბ ა გ რ ა ტ ი ს



სვეტიცხოველი. მცხეთა (XI ს.).





ალავერდის ტაძარი კახეთში (XI ს.) და მისი გეგმა: 1. აღმოსავლეთის აბსიდი (საკურთხეველი). 1ᵃ, 1ᵇ გვერდითი აბსიდები. 2 სადიაკვნე. 3. სამკვეთლო. 4. სვეტები. 5. გუმბათი.

ტ ა ძ ა რ ი (ქუთაისში), ს ვ ე ტ ი ც ხ ო ვ ე ლ ი (მცხეთაში), ა ლ ა ვ ე რ დ ი (კახეთში). ეს სამი ნაგებობა (ერთი დასავლეთ საქართველოშია აღმართული, მეორე — შუაგულ ქართლში და მესამე — კახეთში) ზოგადეროვნული მნიშვნელობის ძეგლებია, უკვე გაერთიანებული ქვეყნის თავისებური სიმბოლური გამოხატულებაა. სამივე ეს ძეგლი განვითარებული შუა საუკუნეების არქიტექტურული სტილის საბოლოოდ დამამკვიდრებელი ნაწარმოებებია. სამივე ეს ძეგლი, თავისი დინამიკური და ჰარმონიული ფორმებით, უზადო, დახვეწილი პროპორციებით, მდიდრული და მრავალფეროვანი მორთულობით, ხუროთმოძღვრული ხელოვნების ნამდვილი შედევრია. გარდა ამ ფუძემდებლური ძეგლებისა, XI საუკუნის პირველი ხახევარი სავსეა სხვა პირველხარისხოვანი ნაგებობებით: ს ა მ თ ა ვ რ ო, ს ა მ თ ა ვ ი ს ი, მ ა ნ გ ლ ი ს ი ტაძარი, ნ ი კ ო რ წ მ ი ნ დ ა, ხ ც ი ს ი, ს ა ვ ა ნ ე და ბევრი სხვა. ყველა ეს ძეგლი თავისი დროის ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია. ყოველი მათგანი გამოირჩევა თავისებური ხუროთმოძღვრული ფორმებით, ვირტუოზული ბრწყინვალებით შესრულებული ჩუქურთმებით.

სამთავისის ტაძრის (XI ს.) აღმოსავლეთის ფასადის ფრაგმენტი.

IX — XI საუკუნეების ქართული ხელოვნების ზოგად სურათს მნიშვნელოვნად ამდიდრებს მონუმენტური მხატვრობისა და ქანდაკების ნიმუშები, რომლებიც მრავლად შემორჩა ჩვენი ეკლესიების კედლებს. აქვე უნდა დავასახელოთ ქანდაკებათა სხვა სახეობის ნიმუშებიც — ეკლესიათა ქვის კანკელები და ხის კარე-

სამთავისის ტაძარი (XI ს.) ხედი აღმოსავლეთიდან.



ბი, ოქრო-ვერცხლისაგან ნაჭედი საეკლესიო ნივთები (ხატები, ჯვრები, თასები და სხვ.), ანდა ამავე IX — XI საუკუნეების სხვა დარგთა ნაწარმოებები — ხელნაწერი წიგნის დიდი გემოვნებით შესრულებული მინიატურები, ნატიფი მინანქრები, ფაქიზად ნაქარგი ქსოვილები.

ყველაფერი ეს ერთად ქმნის მთელი ამ ეპოქის ქართული ხელოვნების დიდებულ სურათს, რომელიც თავისუფლად შეიძლე-

ქართული ყედლის მხატვრობის ნიმუში. გაბრიელ მთავარანგელოზის გამოსახულება ატენის ფრესკაზე (XI ს.).

ბა გავუტოლოთ მსოფლიოს სხვა ხალხთა ხელოვნების უმაღლეს მიღწევებს.

კითხვები და დავალება

1. რა მნიშვნელობა მოიპოვა ამ პერიოდისათვის ქართულმა ენამ? 2. რომელი ავტორისა და რა სათაურის თხზულება ეძღვნა ქართულ ენას? 3. მწერლობის რომელი დარგებია ამ დროს განვითარებული? 4. რა მიუთითებს ისტორიული მეცნიერების განვითარებასა და ისტორიისადმი დიდ ინტერესზე? 5. ქართული დამწერლობის რა და რა სახეები იცით? 6. ხელოვნების რომელი დარგები აღწევენ განვითარების მაღალ საფეხურს? 7. დასახელეთ ხუროთმოძღვრების რამდენიმე ძეგლი.



დავით გარეჯის კლდეში ნაკვეთი მონასტერი.



ქართული ოქროქანდაკებლობის ნიმუში. ჰედური ხატი საღოლაშენიდან (X—XI სს.).

ქართული მინიატურული მხატვრობის ნიმუში. ხარების სცენა. ექვთიმე მთაწმინდელის სვინაქსარი (1030 წ.).

V თ ა ვ ი

საქართველო თვითმპყრობელური მონარქიის განმტკიცების პერიოდში (XI ს. ბოლო — XIII ს. დასაწყისი).

§ 16. საქართველოს გაერთიანების დამთავრება. დავით აღმაშენებელი

1. რეფორმები და ღონისძიებანი ფეოდალური მონარქიის გასაძლიერებლად. 1089 წ. საქართველოს სამეფო კარზე პოლიტიკური გადატრიალება მოხდა. ქვეყნის მომავლით დაინტერესებულმა პირებმა აიძულეს მეფე გიორგი II გადამდგარიყო და მეფობა თავისი 16 წლის ვაჟის დ ა ვ ი თ ი ს თ ვ ი ს დაეთმო. დ ა ვ ი თ IV მართლაც თავი გამოიჩინა, როგორც შესანიშნავმა მოღვაწემ. მან თავის ერთგულ თანამოღვაწეებთან ერთად შეძლო ქვეყანა ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოეყვანა და საქართველო მთელს წინა აზიაში უძლიერეს სახელმწიფოდ ექცია. მადლიერმა შთამომავლობამ მას ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი უწოდა. ახალგაზრდა მეფეს მხარში ედგა პროგრესულ მოღვაწეთა მთელი დასი, რომელსაც მისი აღმზრდელი გ ი ო რ გ ი მ წ ი გ ნ ობ ა რ თ უ ხ უ ცე ს ი მეთაურობდა. თვითონაც დავითი ძლიერი პიროვნება, ნიჭიერი პოლიტიკოსი და დიდი მხედართმთავარი იყო.

ქვეყნის წინაშე გადაუდებელ ამოცანად იდგა უძლიერეს ფეოდალთა თვითნებობის დათრგუნვა და თურქი დამპყრობლების განდევნა. მეფე პირველ რიგში ლაშქრის ორგანიზაციას შეუდგა. მრავალრიცხოვან დამარცხებათა შედეგად ლაშქარი დეზორგანიზებული და მორალურად გატეხილი იყო. დავითმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა წვრილი და საშუალო აზნაურები, რომელთაგანაც ჩამოაყალიბა მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად გაწვრთნილი სამხედრო რაზმები. ამ ერთგულთა რაზმებით ის თავს ესხმოდა და ავიწროებდა ქართლში ჩამოსახლებულ თურქებს, ქართველ მოსახლეობას მამა-პაპათა ნასახლარებზე დაბრუნების საშუალებას აძლევდა. „სოფლებთაც იწყეს შთამოსვლად და დასხდომად“-ო მოგვითხრობს ისტორიკოსი. დავითი ასევე მტკიცე ხელით შეუდგა რეაქცი-

დავით აღმაშენებელი. გელათის კედლის მხატვრობა.

ონერ ფეოდალთა ნახევრად დამოუკიდებელი საფეოდალოების გაუქმებას და დიდგვაროვანი აზნაურების ურჩობის ალაგმვას. ამათ შორის კვლავ გამოირჩეოდა კლდეკარის ერისთავი ლ ი პ ა რ ი ტ ი[1]. მან იგი შეიპყრო და საქართველოდან გააძევა, მისი სამფლობელო კი სახელმწიფო საკუთრებად აქცია. ასევე დაუნდობლად გაუსწორდა ის მეამბოხე ძ ა გ ა ნ ა ბ უ ლ ე თ ი ს ძ ე ს. ამ უძლიე-

[1] ბაგრატ IV დროინდელი ლიპარიტის შვილიშვილი

რეს ფეოდალთა დამარცხებით მეფემ დასძლია დიდგვაროვან ფეოდალთა წინააღმდეგობა.

დავითმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა მეფის ხელისუფლების გასაძლიერებლად. მან მაღალი თანამდებობიდან გადააყენა მეფის ორგული მოხელეები, რომელთაც ეს თანამდებობები პირადი ღირსებით კი არ ჰქონდათ მიღებული, არამედ შთამომძავლობით და გვარიშვილობით. მათ ადგილას ახალგაზრდა მეფემ თაკისი ერთგული აზნაურები დააწინაურა. ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკლესიის პოზიციას.

ეკლესია უძლიერესი და უმდიდრესი ფეოდალური ორგანიზაცია იყო შუა საუკუნეების საქართველოში. მეფის მოწინააღმდეგენი ეკლესიაშიც იყვნენ მოკალათებულნი მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე. დავითმა გააძლიერა ეკლესიაში თავის მომხრეთა დასი და შემდეგ 1103 წელს მოიწვია საეკლესიო კრება. კრება შიდა ქართლის საეპისკოპოსოების — რ უ ი ს ი ს ა და უ რ ბ ნ ი ს ი ს მიდამოებში გაიმართა. რ უ ი ს - უ რ ბ ნ ი ს ი ს ს ა ე კ ლ ე ს ი ო კ რ ე ბ ა ზ ე დიდი ბრძოლა გაიმართა მეფის მომხრეებსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის. გაიმარჯვეს მეფის მომხრეებმა და მოწინააღმდეგე დაჯგუფებების ეპისკოპოსები და სხვა მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირები განდევნეს. ეკლესია მეფეს დამორჩილდა. ამ მორჩილების განსამტკიცებლად მან ორი დიდი თანამდებობა, სამეფოს უმაღლესი ძოხელის — მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ი ს და საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი საეპისკოპოსოს მეთაურის, ჭ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი ს ა, ერთი პირის ხელში გააერთიანა. ამიერიდან საეკლესიო საქმეები სამეფო კარზე მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს-ჭ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ს ეკითხებოდა.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს დაუქვემდებარა მეფემ აგ-





რუისისა და ურბნისის საეპისკოპოსო კათედრალური ტაძრები.

რეთვე უმაღლესი სასამართლო დაწესებულება — „ს ა ა ჯ ო კ ა - რ ი“, რომელსაც უნდა გაერჩია იმ პირთა „აჯა“ — მოხსენებები (თხოვნა, საჩივარი), რომელთაც დაბალ სასამართლო ორგანოებში სამართალი ვერ ეპოვათ. მეფე პირადად ადევნებდა თვალყურს საჯო კარის საქმიანობას და ეს უმაღლესი სასამართლო დაწესებულება მისი ხელისუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა.

დავითმა შექმნა მტკიცე საპოლიციო აპარატი „მ ს ტ ო ვ რ ე - ბ ი ს ა“, რომელნიც თვალყურს ადევნებდნენ ქვეყნის შიგნით ფეოდალთა საქმიანობას და თურქ-სელჩუკთა ურდოების მოძრაობას. დავითმა გაატარა სამონეტო საქმის რეფორმა.

დავითის ღონისძიებანი ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერებას, მეფის ერთპიროვნული ხელისუფლების განმტკიცებას, გარეშე მტრებისაგან ქვეყნის გაწმენდას და შიგნით კლასობრივი წინააღმდეგობის დათრგუნვას ისახავდა მიზნად.

2. ბრძოლა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ. სამხედრო რეფორმა. XI საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისათვის მახლობელ აღმოსავლეთში საერთაშორისო მდგომარეობა საქართველოს სასარგებლოდ შეიცვალა. დაიწყო თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დასუსტებისა და დაშლის პროცესი. ამავე დროს დასავლეთ ევროპის ქრისტიანულმა ქვეყნებმა დაიწყეს ჯვაროსნული ომები თურქ-მაჰმადიანთა წინააღმდეგ. საქართველოს სამეფო კარი კარგად იყო ინფორმირებული იმ მოვლენების შესახებ, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. მეფე დავითმა 1097 წელს სელჩუკებს ხარკის გადახდა შეუწყვიტა და გადავიდა შეტევაზე. სამეფოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა კახეთ-ჰერეთი და თბილისის საამირო. დავითმა კახეთიდან დაიწყო და **1101-1103 წლებში კახეთი და ჰერეთი საქართველოს სამეფოს შემოუერთა.** ამის საპასუხოდ თურქებმა საქართველოს წინააღმდეგ დიდი ჯარი გაგზავნეს, მაგრამ დავითმა ისინი სასტიკად დაამარცხა 1105 წელს (იხ. დოკ. № 2). თბილისი კვლავ საქართველოს გარეთ რჩებოდა. თბილისისათვის ბრძოლა დავითმა ღრმა შემოვლის ტაქტიკით განახორციელა, 1110—1118 წლებში ქართველთა ლაშქარმა ზედიზედ გაათავისუფლა თბილისის სამხრეთით მდებარე ციხე-ქალაქები — ს ა მ შ ვ ი - ლ დ ე, რ უ ს თ ა ვ ი, ლ ო რ ე და სხვა., რომელნიც ამაგრებდნენ თბილისის მიდამოებს და მას თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოსთან აკავშირებდნენ.

გამუდმებული მოლაშქრეობა მწარმოებელ მოსახლეობას სწყვეტდა მის ძირითად საქმიანობას, რაც აბრკოლებდა ქვეყნის ნორმალურ სამეურნეო განვითარებას. შესამჩნევი იყო, რომ საქართველოს მეფის განკარგულებაში მყოფი ფეოდალური ლაშ-

13. საქართველო XI–XII ს.-თა მიჯნაზე



ქარი და მისი პირადი გვარდია არ იყო საკმარისი. საჭირო იყო თურქთაგან განთავისუფლებულ ციხეებში მეციხოვნეების ჩაყენება, გამუდმებული ბრძოლა საშინაო თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ. ეს რთული საკითხი დავითმა მოხერხებულად გადაწყვიტა.

საქართველოს სამეფო კარმა ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში ჩამოასახლა ყივჩაღთა დიდი ურდო (დაახლ. 40000 ოჯახი). ყივჩაღები კარგ მეომრებად იყვნენ ცნობილნი. დავითს ამ ურდოს მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასული ჰყავდა ცოლად. როგორც ჩანს, ამ ქორწინებასაც პოლიტიკური მიზანი ჰქონდა. ყივჩაღები ამ დროს დიდად იყვნენ შევიწროებულნი კიევის სამთავროს მიერ და მათთვის ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო საქართველოსთან დაკავშირება. გადმოსახლებულ ყივჩაღებს მიწები დაურიგეს და სცადეს მათი ბინადარ ცხოვრებაზე გადაყვანა (ცხენებისათვის საძოვრებიც მიუჩინეს). ყოველ ოჯახს ერთი შეიარაღებული მხედარი უნდა მიეცა მეფისათვის. **შეიქმნა 40 ათასიანი კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული, მთლიანად მეფე-**

ზე დამოკიდებული მუდმივი ცხენოსანი ლაშქარი, რაც მეფის ხელში დიდ ძალას წარმოადგენდა.

ასეთი სამზადისის შემდეგ დავით მეფე ერთიანი ფრონტით შეტევაზე გადაკიდა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ. შეირყა მაჰმადიანთა პოზიციები. ამიერკავკასიის შეშფოთებულმა მაჰმადიანმა მფლობელებმა სელჩუკ სულთანთან ელჩები გაგზავნეს და საქართველოს მეფის წინააღმდეგ დახმარება სთხოვეს.

სულთანმა მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანური ქვეყნებიდან ერთობლივი ლაშქარი შეკრიბა, რომლის სათავეში ჯვაროსნებთან ბრძოლებში სახელმოხვეჭილი სარდალი, ბაღდადის გამგებელი, ი ლ - ღ ა ზ ი ჩააყენა.

3. დიდგორის ბრძოლა. თურქ-სელჩუკთა უზარმაზარი ლაშქარი ქართლში მანგლის-თრიალეთის გზით შემოვიდა და 1121 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში მანგლისსა და დიდგორში დაბანაკდა, აქედან მტერი თბილისისაკენ აპირებდა წასვლას.

საქართველოს მეფე მტერს კარგად მომზადებული დახვდა. დავითი 56 ათასიანი ლაშქრით ნიჩბისის ხევით მიუახლოვდა დიდ-



გელათის სამონასტრო კომპლექსი.

გორს და ძეობრებს, რომელნიც საკუთარ სახლ-კარს, ცოლ-შვილს, სამშობლოს იცავდნენ კარსმომდგარი მტრისაგან, სიტყვით მიმართა, რათა აღთქმა დაედოთ: „ახ გავიმარჯვებთ, ახ ბრძოლის ველზე დავიხოცებითო“.

დავით აღმაშენებლის მონეტა წარწერით: „დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა რანთა, კახთა და სომეხთა“.

გადამწყვეტი ბრძოლა 12 აგვისტოს მოხდა. დავითმა ხერხს მიმართა, ბრძოლის დაწყებამდე ქართველთა ლაშქარს 200 გულადი მეომარი გამოეყო და მტრის ლაშქრისაკენ გაემართა. სელჩუკებს ისინი მოღალატენი ეგონათ და დაუბრკოლებლად შეუშვეს თავის განლაგებაში. აქ კი ამ მამაცმა მეომრებმა უეცრად ბრძოლის ყიჟინა დასცეს და მტრის ხოცვა დაიწყეს, რამაც თურქთა ლაშქარში დიდი არევ-დარევა გამოიწვია. ამ ნიშანზე ქართველთა ლაშქარმა დავითისა და უფლისწულ დემეტრეს მეთაურობით მტერს ორი მხრიდან შეუტია. სისხლისმღვრელი ბრძოლა რამდენიმე საათში ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. უწესრიგოდ უკანდახეულ მტერს ქართველებმა ფეხდაფეხ მისდიეს და საქართველოს საზღვრებიდან გარეკეს. დაჭრილი მთავარსარდალი ილ-ღაზი ძლივს გადაურჩა დატყვევებას და ერთგულთა მცირე გუნდით გაქცევით უშველა თავს.

დიდგორის გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, გაიხსნა გზა თბილისისაკენ. გამარჯვებამ აშკარა გახადა ქართველთა უპირატესობა მახლობელ აღმოსავლეთში თურქთა წინაშე. თურქების უღელქვეშ მყოფ კავკასიის ქრისტიან ხალხებს განთავისუფლების იმედი მიეცათ. თურქ-სელჩუკებზე ასეთ დიდ გამარჯვებას იმ დროს, როდესაც ევროპელი ჯვაროსნები მათთან ბრძოლაში მარცხდებოდნენ, დიდი გამოხმაურება ჰქონდა. ამ გამარჯვებაზე წერდნენ ევროპელი, არაბი, სომეხი ისტორიკოსები. ევროპელები საქართველოს ქრისტიანობის ბურჯს უწოდებდნენ აღმოსავლეთში. ამ დიდი გამარჯვების ორგანიზატორ მეფე დავითზე ლეგენდები შეიქმნა და გავრცელდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში.

საქართველოს დედაქალაქი თბილისი კვლავ თურქთა ხელთ იყო. თურქებს აქ დიდი სამხედრო ძალა ჰყავდათ. ქალაქში მდიდარ მოქალაქეთა წარმომადგენლების თვითმმართველობა არსებობდა „ქალაქის ბერების“ სახით.

დიდგორის ბრძოლის შემდეგ თბილისი საქართველოს სამეფოს რაკლში მოექცა. 1122 წელს დავითმა იერიში მიიტანა თბილისზე. მართალია, ქალაქის სამხედრო გარნიზონმა და მაჰმადიანურმა მოსახლეობამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია საქართველოს მეფეს, მაგრამ „აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუმკვიდრეს შვილთა მისთა“, მოგვითხრობს ქართველი ისტორიკოსი. დავითმა გააუქმა ქალაქის თვითმმართველობა, ქალაქის გამგებლობა თა-

ვის მოხელეებს ჩააბარა და **საქართველოს სამეფოს დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა.**

მეფემ თბილისელ მაჰმადიანებს, ებრაელებს, სომხებს ქალაქში უვნებლად ცხოვრების, მათი სარწმუნოების ხელუხლებლობის პირობა და მთელი რიგი შეღავათები მისცა, რათა მათ თავისუფლად განეგრძოთ ქალაქში მშვიდობიანი სავაჭრო საქმიანობა.

ერთი წლის შემდეგ დავითმა თითქმის უბრძოლველად აიღო ქალაქი **დმანისი** — მაჰმადიანთა უკანასკნელი საყრდენი პუნქტი საქართველოში.

4. ბრძოლა სომხეთისა და შარვანისათვის. სანამ ამიერკავკასიის მისადგომებზე თურქები ბატონობდნენ, საქართველოს მშვიდობიანობა უზრუნველყოფილი არ იყო. დავით აღმაშენებელი მეზობელი მოძმე ქვეყნების — სომხეთისა და შარვანის თურქთა უღლისაგან გასათავისუფლებლად იწყებს ბრძოლას. სომხეთისა და შარვანის მოსახლეობა საქართველოს ლაშქრის მხარდამხარ იბრძოდა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებდა დავით მეფის წარმატებებს. შარვანისათვის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლა 1124 წელს ქართველთა გამარჯვებით დასრულდა. შარვანის ციხეებში დავითმა თავისი მეციხოვნეები ჩააყენა, ხოლო „გამგებლად და ზედამხედველად" თავისი მოხელე დანიშნა, შარვანი უშუალოდ საქართველოს შემოუერთდა.

1124 წ. დავითთან მოვიდნენ სომხეთის დედაქალაქის ა ნ ი - ს ი ს წარმომადგენლები და ქალაქის თურქთაგან განთავისუფლება სთხოვეს. სამი დღის ბრძოლის შემდეგ ქართველ-სომეხთა შეერთებულმა ლაშქარმა დაამარცხა და შეიპყრო ანისის მაჰმადიანი ამირა. მეფემ ქალაქში თავისი მეციხოვნეები და მმართველები დააყენა და ანისი მისი შემოგარენითურთ საქართველოს სამეფოს შემოუერთა. მაჰმადიანთაგან ანისის განთავისუფლების გამო ერთი სომეხი ისტორიკოსი წერდა: „გაათავისუფლა დავით ქართველთა მეფემ, სომეხი ერის მფარველმა და მეგობარმა, 60 წლის მონობისაგან სატახტო ქალაქი სომხეთისა ანისი და მისი დიდებული, მეჩეთად ქცეული ტაძარი. დავითმა დიდი ზეიმით კვლავ აკურთხებინა ტაძარი და სიხარული გამეფდა სომეხთა მთელ სახლში".

დავით IV დიდი და ძლიერი სახელმწიფოს მეფე გახდა, რომლის საზღვრები გადაჭიმული იყო „ნიკოფსიიდან (თანამედროვე ტუაფსესთან) დარუბანდის (დერბენტი) საზღვრამდე და ოვსეთიდან (იგულისხმება ჩრდილო ოსეთი) არაგაწამდე (სომხეთში)".

დავითის ისტორიკოსი გვამცნობს, რომ მეფეს დიდი გეგმები ჰქონდა, მაგრამ **1125 წლის 24 იანვარს მეფე დავითი გარდაიცვალა.** გადმოცემით, ცნობილ ქართველ მოღვაწეს, **არსენ**



დავითი აღმაშენებლის საფლავის ქვა გელათიდან. „ქ. ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისადმე, (რამეთუ მთნავს ესე) ამას დავემკუიდრო მე".

იყალთოელს, დავითის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაუწერია:

„ვინ ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარეთ გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხეს,
აწე ამათსა მოქმედსა გულზედა ხელნი დამესხნეს.“

ეს ლექსი ხალხში ფართოდ გავრცელდა და თაობიდან თაობას გადაეცა.

დავით აღმაშენებლის დროს დასრულდა ქართული მიწა-წყლის გაერთიანების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი და შეიქმნა საქართველოს ერთიანი, ძლიერი ფეოდალური მონარქია.

კითხვები და დავალება

1. რა რეფორმები ჩატარდა დავით აღმაშენებლის დროს და რა მიზანს ემსახურებოდა ისინი? 2. რა საფრთხე შეუქმნა „დიდმა თურქობამ“ საქართველოს? 3. გაიხსენეთ რას ეწოდება ჯვაროსნული ომები, როდის მიმდინარეობდა ეს ომები? 4. როდის დაიწყო დავით აღმაშენებელმა ბრძოლა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ და საქართველოს რომელი მხარეები და ციხეები გათავისუფლა მათგან. 5. რატომ მიანიჭა დავით აღმაშენებელმა თბილისელ მაჰმადიანებს და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს შეღავათები?

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

ნაწყვეტი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან — „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“

1). „მეფე იქმნა რა დავით, მოოხრებულ იყო ქართლი და თვინიერ[1] ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა. და მათ ჟამსა შინა ჰქონდეს თრიალეთი და კლდე-კარნი და მიმდგომნი მისი ქუეყანა ლიპარიტს, და მეფესა დავიოს წინაშე იყო რეცა[2] ერთგულად, ეგრეთვე ნიანია კახაბერის ძეცა და სხუანიცა აზნაურნი.

მცირედ-მცირედ შემოკრბიან დაშთომილნი სადამე და სოფლებადცა იწყეს შთამოსვლად და დასხდომად.

და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა.“

დავალება

დაახასიათეთ ქვეყნის მდგომარეობა ამ დოკუმენტის მიხედვით

---

[1] თ ვ ი ნ ი ერ — გარდა. [2] რ ე ც ა — თითქოს.

Ე). „აღიხუნა[1] მეფემან ჰერეთი და კახეთი, და ერწუხს[2] ქმნნა წყობანი[3] დიდნი და ხმა-განსმენილი იგი დიდი ძლევა[4], რომელ მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერითა დახოცნა სულტანისა იგი ურიცხუნი სპანი...

ხოლო თვით მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვისთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თვით წინა უვიდოდა, და ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა; და თვით გოლიათებრ მიმართებდა და მკლავთა მტკიცითა დაამხობდა ახოვანთა, სრვიდა[5] და დასცემდა წინა დამთხვეულთა ყოველთა... და მას დღესა სამნი ცხენი გამოუკლნეს[6] და მეოთხესაღა ზედა მჯდომმან სრულ ყო[7] მის დღისა ომი.“

დავალება

აღწერეთ ერწუხის ბრძოლა. ამ დოკუმენტის მიხედვით დაახასიათეთ დავით აღმაშენებელი, როგორც სარდალი.

Ზ). „სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყას ძესა, და მოსცა ძე თვისი მალიქი და ყოველი ძალი მისი; და აჩინა[8] სპასალარად ელღაზი, ძე არდუხისი, კაცი მრავალღონე. და უბრძანა თურქმანობასა, სადაცა ვინ იყო, დამასკოთ და ჰალაბითგან ამოღმართ, ყოველსა მხედრობად შემძლებელსა ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და სომხითისა ამირათა. ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაერთი.

შეკრბეს ესე ყოველნი, შეითქუნეს, შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ქუეყანა, და აგვისტოს თორმეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს დიდგორთა, რომელ თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა. ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა, თუ ვითარ წინა განაწყო სპა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო, რაბამ რამე წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით, და ყოვლად ბრძნად განაგო, და ვითარ თვისნი სპანი დაიცვნა უვნებლად, — ამათ ყოველთათვის არა ჩუენი, არამედ ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მითხრობად ზედამიწევნით ყოველსავე.

რამეთუ პირველსავე ომსა იოტა[9] ბანაკი მათი და ივლტოდა... და ვითარ ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი, და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯვით და განკრძალულად სდევნნა და მოსრნა, რომელთა აღივსნეს ველნი, მოანი და ღელენი მძორებითა“.

---

[1] ა ღ ი ხ უ ნ ა — აიღო. [2] ე რ წ უ ხ ი — მდებარეობდა კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში. [3] წ ყ ო ბ ა — ბრძოლა. [4] ძ ლ ე ვ ა — გამარჯვება. [5] ს რ ვ ი დ ა — ხოცავდა. [6] გ ა მ ო უ კ ლ ნ ე ს — მოუკლეს. [7] ს რ უ ლ ყ ო — დაასრულა. [8] ა ჩ ი ნ ა — დანიშნა. [9] ი ო ტ ა — გააქცია.

1. აღწერეთ დიდგორის ბრძოლა ამ დოკუმენტების მიხედვით. 2. გამოიანგარიშეთ, რომელი წელია „ქრონიკონი 341.“

4. XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაეცი დავითის შესახებ

ა). „ხოლო ესე მეფე დავით იყო მამაცი და ძლიერი სპარსეთის წინააღმდეგ (მიმართულ) ომებში. მან მრავალჯერ სძლია უცხოელთა ჯარები და დაამხო მთელი მათი ძლიერება. მრავალი და სახელოვანი მხარენი აიღო სპარსთაგან მახვილითა და ძალითა. აიღო თბილისი და დმანისი, აიღო შარვანი, შაქი და შამქორი, აიღო აგრეთვე სხვა მრავალი მხარეც.

იყო მეფე დავით წმინდა და სათნო, ყოვლად შემკული ღვთის მოსავობით და კეთილი სამართლიანობით. ის აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა. მის გარშემო შეიკრიბა სომეხთა გადარჩენილი ლაშქარი. მან ააშენა სომეხთა ქალაქი ქართველთა ქვეყანაში, განამტკიცა ეკლესიები და მონასტრები მრავლად, ხოლო ქალაქს სახელად უწოდა გორა (გორი). დიდის სიხარულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი. .....(1 124 წ. დავითმა) მონობისაგან გაანთავისუფლა (სომეხთა) სატახტო ქალაქი ანი, რომელიც 60 წელს იმყოფებოდა ტყვეობაში... იყო სიხარული ყოველი სომხის სახლში.“

კითხვა

1. როგორ აფასებს სომეხი ისტორიკოსი ქართველთა მეფის საქმიანობას და დამოკიდებულებას მეზობელი სომხეთისადმი?

ბ). (დავით მეფე დიდგორის ველზე) „წავიდა საბრძოლველად თურქთა ჯარის წინააღმდეგ 40 000 ძლიერი და მამაცი ვაჟკაცით და ომში ნაცადი მეომრით. ჰყავდა აგრეთვე სხვა ლაშქარიც, ხაფჩახთა (ყიფჩაღთა) მეფისაგან — 15 000 მამაცი და რჩეული კაცი, ალანთა ტომისაგან — 500 კაცი, ხოლო ფრანგი (ჯვაროსანი) — 100“.

დავალება

ამ დოკუმენტის მიხედვით დაახასიათეთ საქართველოს ლაშქრის შემადგენლობა დიდგორის ბრძოლაში.

§ 17. საქართველოს ფეოდალური მონარქიის გაძლიერება (XII ს. — XIII ს. დასაწყისი)

1. საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარება დავითის მემკვიდრეების დროს. ძლიერი პიროვნებისა და თვითმპყრობელი მეფის დავითის გარდაცვალება ხელსაყრელ დროდ მიიჩნიეს საქართველოს საგარეო თუ საშინაო მტრებმა.

დაშლილ თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენებული მაჰმადიანური სახელმწიფოები თანდათან გაძლიერდნენ. მართალია, მათ ურთიერთშორის ქიშპი და მტრობა ჰქონდათ, მაგრამ ქრისტიანული საქართველოს წინააღმდეგ ისინი, როგორც წესი, ერთიანდებოდნენ და ერთად იბრძოდნენ.

დავით IV მემკვიდრის დ ე მ ე ტ რ ე ს (1125 — 1156 წწ.) გამეფებისთანავე კვლავ დაიწყო ბრძოლა სომხეთისა და შარვანისათვის. დემეტრეს გაურთულდა საშინაო ვითარებაც, ამიტომ იძულებული შეიქნა ანისი მაჰმადიანი მფლობელებისათვის დაეთმო, ოღონდ საქართველოს ყმადნაფიცობის პირობით. ასევე აღდგენილ იქნა შარვანშაჰის ხელისუფლებაც, ესეც საქართველოს ყმადნაფიცობის პირობით. საქართველოს სამეფო კარი საბოლოოდ მაინც ვერ თმობდა ანისსა და შარვანს. როგორც კი დრო მოიხელთა დემეტრემ, ქ. გ ა ნ ძ ი ს[1] დაუფლება სცადა. 1138 წ. მან განძა აიღო, გამარჯვების ნიშნად ქალაქის რკინის კარი ჩამოხსნა, საქართველოში ჩამოიტანა და გელათის მონასტერს შესწირა (ეს კარი დღესაც ინახება გელათში). მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი წარმატება იყო. განძა ისევ რჩებოდა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საყრდენად ამიერკავკასიაში.

გიორგი III პორტრეტული გამოსახულება ვარძიის ტაძრიდან.

დემეტრეს დროინდელი თავდაცვითი პოლიტიკა მისი შვილის გ ი ო რ გ ი III (1156 — 1184 წწ.) დროს ისევ აქტიური შეტევის პოლიტიკით შეიცვალა. განსაკუთრებით მწვავე იყო ბრძოლა ანისისათვის. ბრძოლა ცვალებადი შედეგებით მიმდინარეობდა. ანისი და მისი ოლქი საბოლოოდ შემოუერთდა საქართველოს უკვე თამარის მეფობაში, XII საუკუნის ბოლოს. გიორგი III ენერგიულად იბრძოდა საქართველოს გაძლიერებისათვის, ქვეყნის შიგნით მეფის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის. იგი დიდგვარიან ფეოდალებს გასაქანს არ აძლევდა. ამიტომ სამეფო კარზე დიდებულთა შორის თანდათან იზრდებოდა უკმაყოფილება. მეფის მტკიცე პოლიტიკით უკმაყოფილო პირებმა იწყეს თავმოყრა დ ე მ ნ ა ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს გარშემო. დემნა (იგივე დემეტრე) გიორგის უფროსი ძმის შვილი იყო და თავს საქართველოს მეფის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ თვლიდა. მის გამეფებას

---

[1] გ ა ნ ძ ა, იგივე განჯა, 1935 წლიდან კიროვაბადი (აზერბაიჯანის სსრ).



გიორგი III და თამარი ბეთანიის ტაძრის კედლის მხატვრობიდან.

ესერგიულად უჭერდა მხარს მისი სიმამრი, საქართველოს ამირსპასალარი[1] ი ო ა ნ ე ო რ ბ ე ლ ი. მისი მეთაურობით მომზადდა ამბოხება, რომელიც მიზნად ისახავდა გიორგის დამხობას და დემნა ბატონიშვილის გამეფებას.

აჯანყება 1177 წ. დაიწყო და რამდენიმე თვეს გაგრძელდა. მასში მონაწილეობდა უმაღლესი თანამდებობების მქონე დიდგვაროვან აზნაურთა დიდი ნაწილი. მეფემ შეძლო აჯანყებულთა დაძარცხება. მეამბოხეთა რიგები შეირყა. ისინი მეფის ძხარეზე გადმოდიოდნენ და პატიებას თხოულობდნენ. საბოლოოდ ლ ო რ ე ს ციხეში გამომწყვდეული ამბოხების მეთაურებიც დამორჩილდნენ გიორგის.

გიორგიმ დამნაშავეები გაასამართლა და მკაცრად დასაჯა. ორბელთა გვარი დაემხო, დემნა უფლისწული სასჯელ! გადაყვა. მეფემ ისარგებლა ამ გამარჯვებით და გაბედული პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა: აჯანყების მონაწილე და თანამგრძნობი დიდ-

[1] ა მ ი რ ს პ ა ს ა ლ ა რ ი — სამხედრო საქმეთა გამგებელი, სამხედრო მინისტრი.

გვაროვანები გადააყენა მაღალი თანამდებობიდან და მათ მაგიერ მეფის ერთგული პირები აღაზევა შედარებით დაბალი ფენებიდან, საშუალო და მცირე აზნაურობიდან.

2. თამარის გამეფება. საშინაო პოლიტიკური მოძრაობანი. გიორგი მეფეს ვაჟი არ ჰყავდა და ტახტის მემკვიდრე მისი უფროსი ასული თ ა მ ა რ ი იყო. გიორგი შიშობდა, რომ დამარცხებულ-ძიჩუმებული დიდგვაროვანები მისი გარდაცვალებისთანავე თავს წამოჰყოფდნენ და მისი ასულის გამეფებას წინ აღუდგებოდნენ. ამიტომ მან 1178 წ. თვითონვე აკურთხა თამარი მეფედ. 1178-1184 წლებში მამა-შვილი ერთად მართავდნენ ქვეყანას. 1184 წ. გიორგი III გარდაიცვალა და თამარი ერთპიროვნული მმართველი გახდა.

გიორგის გარდაცვალება დიდგვაროვანმა აზნაურებმა შესაფერ მომენტად მიიჩნიეს იმისათვის, რომ აღედგინათ თავიანთი დაკარგული უფლებები და მდგომარეობა. მათ ახალგაზრდა მეფე-ქალს გიორგის დროს დაწინაურებული მეფის ერთგული ვაზირების გადაყენება მოსთხოვეს. პოლიტიკური მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ თამარი იძულებული შეიქმნა დაეკმაყოფილებინა დიდგვაროვანთა ეს მოთხოვნა.

ამის შემდეგ სამეფოს მ ე ჯ უ რ ჯ ლ ე თ უ ხ უ ც ე ს მ ა[1] ყ უ თ ლ უ-ა რ ს ლ ა ნ მ ა და მისმა პოლიტიკურმა დასმა მეფის უფლებების შეზღუდვა და საკანონმდებლო უფლებებით აღჭურვილი საგანგებო საკრებულოს „კ ა რ ა ვ ი ს“ დაარსება მოითხოვა. შეთქმულთა პროგრამით სახელმწიფოს მმართველობის ძირითადი საკითხები ამ საკრებულოს უნდა გაერჩია, მასვე უნდა გადაცემოდა უმაღლესი სასამართლო ხელისუფლება. მეფეს მხოლოდ მოახსენებდნენ მიღებულ გადაწყვეტილებას და მას უნდა „სრულეყო“, ე.ი. აღესრულებინა.

ყუთლუ-არსლახის დასი დიდგვაროვანი ფეოდალებისა და მოქალაქეთა ზედაფენის ინტერესებს გამოხატავდა. მეფემ ჯერ შეუტია შეთქმულებს და მათი მეთაური დააპატიმრა, მაგრამ, როდესაც დარწმუნდა, რომ რეპრესიებით არაფერი გამოვიდოდა, დიდი დიპლომატიური ტაქტი გამოიჩინა. მოლაპარაკებით, დათმობებით, შეთქმულთა შორის უთანხმოების ჩამოგდებით, თანდათან დააშოშმინა მეამბოხეები. მართალია, ამ დროს ვერ მოხერხდა „კარავისელთა“ პროგრამის მთლიანად განხორციელება, მაგრამ გაფართოვდა დარბაზის, სამეფო საბჭოს უფლებები, შეიზღუდა მეფის ხელისუფლება.

---

[1] მ ე ჯ უ რ ჯ ლ ე თ უ ხ უ ც ე ს ი — სახელმწიფოს საფინანსო საქმეების გამგებელი. მინისტრი.

საქართველოს სახელმწიფო წყობილებაში მომხდარი ეს დიდად მნიშვნელოვანი ცვლილება ქვეყნის პროგრესული განვითარების შედეგი იყო. ეს იმ ცვლილების წინამორბედსა და მსგავს მოვლენას წარმოადგენდა, რომელიც XIII საუკუნის დამდეგს ინგლისში მოხდა, როდესაც „თავისუფლებათა დიდი ქარტიით" შეიზღუდა ინგლისის მეფის ხელისუფლება.

თამარ მეფე. ვარძიის ტაძრის ფრესკიდან.

დიდგვაროვანი ფეოდალების მცდელობა, გაეძლიერებინათ თავისი გავლენა მეფეზე, არც ამის შემდეგ შეწყვეტილა. ქალის მეფობის ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თუ ვინ იქნებოდა მისი ქმარი. მეფე-ქმრის შერჩევის საკითხი პოლიტიკური ბრძოლის საბაბად იქცა. საბოლოოდ არჩევანი ვლადიმერ-სუზდალის დიდი მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის ვაუზე, იურიზე შეჩერდა. იური, ანუ როგორც მას საქართველოში უწოდებდნენ — გიორგი რუსი, მამის სიკვდილის შემდეგ ბიძის, ვსევოლოდის მიერ დევნილი, ყივჩაღებთან იყო შეხიზნული. თვით თამარი ამ ქორწინების მომხრე არ იყო და დიდებულებს აჩქარებისაგან თავის შეკავებას სთხოვდა. მაგრამ მას ანგარიში არ გაუწიეს და 1185 წელს თამარისაგან ნებადაურთავი „განამზადეს ქორწილი". თამარსა და გიორგი რუსს შორის თავიდანვე უთანხმოება იყო. გიორგის ბევრი პიროვნული ნაკლიც აღმოაჩნდა და ორი წლის შემდეგ, როდესაც თამარმა უკვე განიმტკიცა ტახტზე მდგომარეობა და გაიმრავლა მომხრეები, მას გაშორდა და საქართველოდან გააძევა.

მალე თამარი დაქორწინდა ოს უფლისწულზე, ბაგრატიონთა შთამომავალ დავით სოსლანზე, რომელიც საქართველოს სამეფო კარზე იყო აღზრდილი თამარის მამიდის რუსუდანის მიერ.

თამარის ქმარყოფილმა გიორგი რუსმა ორჯერ სცადა საქართველოში დაბრუნება და გამეფება. პირველად, 1191 წ., როდესაც ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვაროვანმა ფეოდალებმა დიდი აჯანყება მოაწყვეს და გიორგი საქართველოში შემოიყვანეს, მაგრამ თამარის ერთგულმა ჯარებმა აჯანყებულთა მთავარი ძალები გაანადგურეს. მეორედ, გიორგის ადგილობრივ ფეოდალთაგან არავინ დაუჭირა მხარი და ის ადვილად დაამარცხეს.

8. შამქორის ბრძოლა. XII საუკუნის 90-იანი წლებისათვის შინაგანი პოლიტიკური ბრძოლა მეფის ცენტრალური ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდა და საქართველოს სამეფო კარმა მთავარი ყურადღება საგარეო საქმეებზე გადაიტანა. ქართველებმა შეძლეს ინიციატივის ხელში აღება და თურქთა წინააღმ-

გიორგი III მონეტები.

თამარ მეფის მონეტები.

14. საქართველო და მოსაზღვრე ქვეყნები XIII ს


ქალაქი
+ ეკლესია
დედაქალაქი
▲ განათლებისა და მნიგნობრობის ცენტრი
ციხე
ბრძოლის ადგილი
საქართველოს ყმადნაფიცი და მოხარკე ქვეყნები
საქართველოს გავლენის სფერო
ქართველთა ლაშქრობების მიმართულება
მთიელთა აჯანყების ტერიტორია
1024
ხინოა
ბაბინი
ეროვნული
(ბაბინ ბოლა)
ბაბინი
ბოლნისი
ბოლნისი
ბოლნის


1195
1202

დეგ საერთო შეტევაზე გადავიდნენ. საქართველო წარმატებით უტევდა თურქებს შარვანიდან და რანიდან მოყოლებული ბასიანსა და სპერამდე. შევიწროებულმა თურქებმა საერთო ძალით გამოლაშქრება გადაწყვიტეს და მაჰმადიანთა სულიერ მეთაურს, ბაღდადის ხალიფას მიმართეს. ხალიფამ დიდი თანხა გაიღო, აგრეთვე ყველა მაჰმადიან სახელმწიფოს მიმართა მოწოდებით, გამოსულიყვნენ საქართველოს წინააღმდეგ სალაშქროდ. ადარბადაგანში (ირანის აზერბაიჯანი) ურიცხვი ლაშქარი შეიკრიბა და ათაბაგ ა ბ უ ბ ე ქ რ ი ს სარდლობით საქართველოს წინააღმდეგ დაიძრა. მათ წინ ხალიფას მიერ გამარჯვების საწინდრად გამოგზავნილი დროშა მიუძღოდა.

აბუბექრმა ჯერ საქართველოს ყმადნაფიც შარვან შაჰ აღსართანს შეუტია, რომელმაც ვერ გაუწია წინააღმდეგობა და დახმარებისათვის პატრონს, საქართველოს მეფეს მიმართა. თამარმა სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი და დავით სოსლანის წინამძღოლობით მტერს შეაგება. ბრძოლა შ ა მ ქ ო რ ი ს მიდამოებში მოხდა **1195 წელს**. ბრძოლაში დიდად გამოიჩინეს თავი სარდლებმა შ ა ლ ვ ა და ი ვ ა ნ ე ა ხ ა ლ ც ი ხ ე ლ ე ბ მ ა. შალვამ ხალიფას მიერ გამარჯვების საწინდრად გამოგზავნილი დროშა ჩაიგდო ხელთ. შამქორიდან ქართველებმა გ ა ნ ძ ა ს ილაშქრეს, ქალაქი აიღეს და გამარჯვების აღსანიშნავად სულთნის სასახლეში დიდი ნადიმი მოაწყვეს.

შამქორის გამარჯვებამ შარვანი დაიცვა აგრესორებისაგან და დაადასტურა ქართველთა სამხედრო უპირატესობა ახლო აღმოსავლეთში.

4. ბასიანის ბრძოლა და მისი შედეგები. ბიზანტიის იმპერიის დასუსტების ვითარებაში საქართველოს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროების საკითხი დადგა. ეს ტერიტორია უძველესი დროიდან ქართველური ტომებით — ლაზებით იყო დასახლებული და კოლხეთის სამეფოში შედიოდა, შემდეგ კი დიდი ხნით ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა. საქართველოს მისწრაფებას ამ მიმართულებით წინ ეღობებოდა როგორც ბიზანტია, ისე რუმის სასულთნო, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არსებული თურქულ-სელჩუკური სახელმწიფო, რომლის სათავეში ამ დროს მდგომმა სულთანმა რ უ ქ ნ ა დ - დ ი ნ მ ა საქართველოს წინააღმდეგ დიდძალი ლაშქარი შეყარა და თამარ მეფეს საგანგებო ელჩით შეურაცხმყოფელი და თავხედური მუქარით სავსე წერილი გამოუგზავნა.

სასწრაფოდ შეკრებილი ლაშქარი ვ ა რ ძ ი ა მ დ ე თვით თამარმა გააცილა და დალოცა დიდ ბრძოლაში მიმავალი ქართველო-



კლდეში ნაკვეთი ქალაქი—მონასტერი ვარძია.

ბა. მოწინავე რაზმი ზ ა ქ ა რ ი ა მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი ს სარდლობით პირდაპირ შეტევაზე გადავიდა ბ ა ს ი ა ნ ს დაბანაკებულ თურქებზე. მართალია, თურქთა სიმრავლემ შეარყია შემტევთა რიგები, მაგრამ ძირითადმა ნაწილმა დ ა ვ ი თ ს ო ს ლ ა ნ ი ს წინამძღოლობით გვერდიდან დაარტყა თურქებს და მტერი გააქცია. **1202 წელს ბასიანს ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს თურქთა მრავალრიცხოვან ლაშქარზე.** ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ძვირფასი კარვები, იარაღ-საჭურველი, საბრძოლო დროშები. ტყვეთა შორის სულტნები, სარდლები და სხვა წარჩინებულნი იყვნენ და მათგან ერთი, „სახელოვანი კაცი და დიდებული განყიდა ნალად ცხენთა“ და ეს, დასძენს თამარის ისტორიკოსი, „ყო თამარ პატივად სახლისა თვისისა დიდებად.“

შამქორისა და ბასიანის გამარჯვებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. საქართველომ წარმატება მოიპოვა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თურქთა ორ კოალიციურ ლაშქარზე, რომელთა სათავეში დიდი სასულტნოები იდგა. ამაზე დიდი ძალა თურქებს არ გააჩნდათ. საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფო იყო.

ბასიანის ბრძოლაში გამარჯვებამ და ბიზანტიის იმპერიის დასუსტებამ საქართველოს გზა გაუხსნა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსაკენ. თამარის ბრძანებით დასავლეთ საქართველოდან საგანგებო ჯარი გაიგზავნა, რომელმაც დაიკავა ლ ა ზ ე თ ი, ზღვისპირა ქალაქები — ტ რ ა პ ი ზ ო ნ ი, ს ა მ ს უ ნ ი, ს ი ნ ო პ ი,

კერასუნტი, კოტიორა, ჰერაკლეა. ამ ტერიტორიაზე საქართველოს სამეფო კარმა საქართველოზე დამოკიდებული სახელმწიფო შექმნა, რომელსაც ხმამაღალი სახელი „ტრაპიზონის იმპერია“ ეწოდა. ამ სახელმწიფოს სათავეში თამარმა თავისი ნათესავი, საქართველოში გაზრდილი ბიზანტიის საიმპერატორო ტახტიდან გადაგდებული კომნენოსთა სახლის წარმომადგენელი, ალექსი კომნენი დასვა.

ტრაპიზონის სამეფოს დაარსება ჯვაროსანთა წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებაც იყო და სელჩუკთაგან საზღვრის უზრუნველყოფასაც ისახავდა მიზნად.

შამქორისა და ბასიანის გამარჯვებას, ტრაპიზონის სამეფოს დაარსებას დიდი გამოძახილი ჰქონდა. პალესტინაში თურქთა მიერ შევიწროებული ქრისტიანები დახმარებას საქართველოდან ელოდნენ. ასეთ დიდ ასპარეზზე გასვლამ სამეფოს წინაშე ახალი მიზნები დასახა.

თურქ დამპყრობთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენი ამიერკავკასიაში ციხე-ქალაქი კარი (ყარსი) იყო. კარი ამასთანავე მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე მდებარეობდა და მისი დაუფლება ხელს შეუწყობდა საქართველოს შემდგომ სამეურნეო დაწინაურებას. კარი დიდი ბრძოლების შემდეგ იქნა აღებული 1204 წ. კარელ მოქალაქეთა მოთხოვნით თამარმა ის სამეფო ქალაქად ჩარიცხა. შევიწროებული თურქი მბრძანებლები საქართველოს სამეფოს ქვეშევრდომები და ყმადნაფიცები ხდებოდნენ. ქართველთა ლაშქარი სამხრეთისაკენ მიიწევდა. **1210 წელს ქართველებმა ზაქარია და ივანე მხარგრძელების სარდლობით ჩრდილო ირანი დალაშქრეს, აიღეს ქალაქები: მარანდი, თავრიზი, ზენჯარი, უაზვინი და დიდი ნადავლით დატვირთულნი დაბრუნდნენ.**

ამასთანავე, საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენა ვრცელდებოდა ჩრდილო კავკასიელ მონათესავე და მე-

გეგუთის სასახლის ნანგრევები ქუთაისთან.

ზობელ ხალხებზე. XII საუკუნის დასასრულისათვის საქართველოს მოსაზღვრე იმიერკავკასიელი მთიელები საქართველოს ყმადნაფიცნი იყვნენ და პოლიტიკურ გავლენასთან ერთად ფეოდალური საქართველოს დიდ კულტურულ გავლენასაც განიცდიდნენ.

დამპყრობელ თურქებთან მძიმე ბრძოლა საქართველოს გამარჯვებით დამთავრდა. საქართველო, მის გარშემო შემოკრებილი კავკასიის ქრისტიანი ხალხებითურთ, მშვიდობიანი განვითარების პირობებში სამეურნეო-კულტურული აღმავლობის გზით მიდიოდა.

კითხვები და დავალებები

1. რა ცვლილებები მოხდა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსში XII ს. მეორე მეოთხედში? 2. დაახასიათეთ გიორგი III საშინაო და საგარეო პოლიტიკა. გვიამბეთ დიდგვარიანთა აჯანყების შესახებ გიორგი III დროს. რა სურდათ აჯანყებულებს? 3. როგორი იყო „კარავისელთა" პოლიტიკური პროგრამა? 4. რა მნიშვნელობა ჰქონდა შამქორისა და ბასიანის ბრძოლებს, „ტრაპიზონის იმპერიის" დაარსებას?

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

1. თამარის პირველი ისტორიკოსი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი) ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნის შესახებ

„ყუთლუ არსლან (საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესმა) ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა[1] და სანახებსა საღოდებლისასა[2] და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მიღებისა,[3] წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი."

ესე ვიეთ საწყენებ იყო — დასასრულისა ხელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელი — ესრეთ იწყინა და გაიკვირვა და გაიგონა[4] უკლებელმან გონებითა და საუნჯემან სიბრძნისამან. და მოიღონა ხელთ გდება თავისა[5] მის მოქმედთასა და თანამზრახველ მყოფელმან ერთგულთა და საკუთართა მისთამან, შეიპყრა ყუთლუ-არსლან, მეჭურჭლეთუხუცესი."

კითხვები და დავალება

1. რას მოითხოვდნენ ყუთლუ-არსლანი და მისი დასის წევრები? 2. როგორ შეაფასა თამარმა მათი მოთხოვნა? 3. რა ზომა მიიღო თამარ მეფემ? შუა საუკუნეების ისტორიიდან გაიხსენეთ ინგლისის პარლამენტის შექმნის ისტორია და შეადარეთ ყუთლუ-არსლანის მიერ „კარავის" დაარსების მოთხოვნას.

---

[1] ი ს ა ნ ი — დღევანდელი ავლაბარი.

[2] ს ა ღ ო დ ებ ე ლ ი — ისნის ერთ-ერთი უბანი, დღევანდელი მეტეხის მიდამოებში.

[3] მ ი ც ე მ ა დ ა მ ი ღ ე ბ ა — იგულისხმება წყალობის და სასჯელის, აგრეთვე მაღალი თანამდებობის გაცემა და ჩამორთმევა.

[4] გ ა ი გ ო ნ ა — განსაჯა. [5] თ ა ვ ი ს ა — ე. ი. მეთაურისა.

2. ბასილი ეზოსმოძღვარი („ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი"), შამქორის ომის სამზადისის შესახებ

„შეიწრდეს ყოვლით-კერძონი სპარსნი და უღონობამან მოიცუნა და მხოლოდ ერთიღა სასოება[1] ცხოვრებისა მოიპოვეს, ესე იგი არს სიკუდილითა ხსნა თავისა, ამისათვისცა შეკრბეს ყოვლით კერძო შეთქმულებითა, შეიღებნეს სამოსელნი და პირნი, და მივიდეს წინაშე ხალიფასსა, აუწყეს თავისი ჭირი და აწუევდეს, რათა უბრძანოს ყოველსა სპარსეთსა შეწევნათ მათდა. რომელი ესე იყო ხალიფა: განახუნა ძველნი საგანძურნი და იდუმალ წარავლინა კაცი ყოველსა შინა სპარსეთსა, მისცა ოქრო აურაცხელი, რათა შეკრიბონ ყოვლით კერძო ლაშქარი ურიცხვი და მისცა ბრძანება, რათა რომლისაცა სამთავროსაგან სპარსთასა არა წამოვიდენ, ვით მათ ზედა მისვლითა იავარ ყვნენ[2]... შეკრბა ესეოდენი, ვიდრემდის არცა რიცხვი და ვერცა ერთსა თემსა დაეტეოდეს...

ესმა ესე ყოველი თამარს და მოუწოდა ყოველთა ვაზირთა თავისთა და შეიქმნა გამორჩევა, უბრძანა ჭყონდიდელსა: „ისწრაფედ დაწერად და მიმოდადევით[3] ბრძანება, რათა მსწრაფლ შემოკრბეს მხედრობა...

ესე უბრძანა და ბრძანება საქმე იყო. და ათსა შინა დღესა, ვითარცა გროი შავარდენთა, მოფრინდა ყოველი მხედარი, ყოვლით-კერძო..."

დავალება და კითხვა

1. აღწერეთ მაჰმადიანთა და ქართველთა საომარი სამზადისი. 2. რამდენ დღეში შეიკრიბა ქართველთა ლაშქარი?

§ 18. საქართველოს ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარება XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში

21

1. სოფლის მეურნეობა. XII—XIII სს. საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე და კულტურული აღმავლობა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ აღმავლობასა და სიძლიერეს ემყარებოდა.

საქართველოს გაერთიანებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა სხვადასხვა კუთხეთა სამეურნეო დაკავშირებისა და შემდგომი ეკონომიკური განვითარებისათვის. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და განსაკუთრებით მეურნეობის ინტენსიური დარგების ფართოდ გავრცელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა

---

[1] ს ა ს ო ე ბ ა — იმედი. [2] ი ა ვ ა რ ყ ვ ნ ე ნ — დაარბიონ. [3] მ ი მ ო დ ა დ ე ვ ი თ — დაგზავნეთ.

ჰქონდა მიწისმფლობელობის კერძომესაკუთრულ-ინდივიდუალური (სამამულო) სისტემის საბოლოო გაბატონებას.

სახნავ-სათესი ფართობის გაფართოების ერთ-ერთი საშუალება რთული სარწყავი სისტემის აგება იყო, რაზეც ზრუნავდა სამეფო ხელისუფლება. თამარის დროს გაყვანილი სამგორის სარწყავი არხი 20 კმ სიგრძისა იყო, ალაზნის 119 კმ სიგრძის სარწყავი სისტემა 53 000 ჰექტარ ფართობს რწყავდა. დიდი არხები და სარწყავი სისტემები სახელმწიფო ხელისუფლების, მსხვილი ფეოდალების, ეკლესია-მონასტრების ინიციატივით იქმნებოდა, მაგრამ საქართველოს დიდი და მცირე მდინარეებით უხვი ბუნება, ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების პირობები, მხოლოდ თოხითა და ბარით შეიარაღებულ გლეხსაც აძლევდა რუებისა და რუსხმულების გაყვანის და მოსავლის გაზრდის საშუალებას.

მორწყვასთან ერთად მიწას ანოყიერებდნენ, საჭიროების შემთხვევაში (ჭაობიან, დატბორილ დაბლობებზე) საგანგებო არხებით წყალს წრეტდნენ, ასვენებდნენ მიწის ნაკვეთებს.

მემინდვრეობასთან ერთად ფართოდ იყო გავრცელებული მეევნახეობა-მებაღეობა, ამას გარდა მოჰყავდათ ბრინჯი, სელი, ბამბა, განვითარებული იყო მეაბრეშუმეობაც.

სოფლის მეურნეობის მეორე მნიშვნელოვანი დარგი იყო მესაქონლეობა. საოჯახო მეურნეობაში ჰყავდათ ცხენი, ძროხა, ხარ-კამეჩი, ცხვარი, თხა, ღორი და სხვ. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეურნეობაში მეთევზეობას, მეფუტკრეობას. სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა ნადირობასაც.

სასოფლო-სამეურნეო საშუშაოების სცენები ქართული ხელნაწერის მინიატურიდან (XII—XIII სს.).



ქართული დიდი გუთანი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი).



ქართული სახვნელი (ერქვანი) და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი).

როგორც ცნობილია, ფეოდალიზმის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ჩამორჩენილობა, დაბალი დონე, განვითარების უაღრესად ნელი ტემპი. ამ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო იარაღი დიდ ცვლილებებს არ განიცდის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, განვითარებული ფეოდალიზმის საწყისი საფეხურისათვის ძირითადი ქართული სახვნელი იარაღის „ერქვანის" მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ხდება და იქმნება „დ ი დ ი ქ ა რ თ უ ლ ი გ უ თ ა ნ ი". ერქვანთან შედარებით დიდი გუთანი მიწის უფრო ღრმა მოხვნისა და ძნელად დასამუშავებელი ფართობის ათვისების საშუალებას იძლევა, რაც ზრდის შრომის ნაყოფიერებას. ქართული დიდი გუთნის მაღალი თვისებების შედეგია ის, რომ დიდი გუთანი ჩვენში XIX საუკუნეშიც იყო ხმარებაში და აგრეთვე ისიც, რომ ქართული „გუთანი" ფართოდ გავრცელდა ჩვენს მეზობლებში (ოსეთში, სომხეთში, ჩეჩნეთ-ინგუშეთში). დიდი გუთანი უმთავრესად ქართლის ბარში იხმარებოდა, მაღალმთიან ზოლში სახვნელის სხვა სახეები იყო გავრცელებული (აჩაჩა გუთანი).

2. ქალაქები, ხელოსნობა, ვაჭრობა, ფინანსები. XI — XII საუკუნეები საქალაქო ცხოვრების აღმავლობა-განვითარების ხანაა. სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის განვითარება ხელს უწყობდა ახალი ქალაქების დაარსებას, ქალაქებში მოსახლეობის გამრავლებას, ქალაქთა მნიშვნელობის ზრდას. ამ დროს მნიშვნელოვანი ქალაქები იყო თ ბ ი ლ ი ს ი, ქ უ თ ა ი ს ი, რ უ ს თ ა ვ ი, გ ო რ ი,

დმანისი, თელავი, ცხუმი, ყინვალი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე, სამშვილდე, ხუნანი და სხვ.

სამეფო ხელისუფლება დიდად ზრუნავდა ქალაქებზე, მათ კეთილდღეობაზე, ზრუნავდა ვაჭრობის განვითარებისათვის, რაც სახელმწიფოს დიდ შემოსავალს აძლევდა. საქართველოს მეფეები, განსაკუთრებით დავით აღმაშენებელი და თამარი, ზრუნავდნენ გზების შეკეთებაზე, ახალი გზების გაყვანაზე; გზებზე ხიდებსა და სასტუმრო-ფუნდუკებს, ქარვასლებს აგებდნენ.

სამეფო ხელისუფლება აგრეთვე საგანგებო ღონისძიებას ატარებდა მძარცველთაგან ვაჭრების დასაცავად.

ქალაქი შედგებოდა დედაციხისა და საკუთრივ ქალაქისაგან. ციხე ქალაქის მთავარი დამცველი იყო, სადაც მფლობელის (ძეფის, დიდებულის) სასახლე, კარის ეკლესია, თავდაცვითი ნაგებობანი, მეციხოვნეთა და მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლები იყო აგებული. ქალაქის შიდა ციხეს თავისი თავდასაცავი კედელი ჰქონდა. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი (ვაჭრები, ხელოსნები...) შიდა ციხის კედლებს გარეთ ცხოვრობდა. საკუთრივ ქალაქს, რომელსაც თავისი კედელი ჰქონდა, ქალაქის სიდიდის, სავაჭრო მნიშვნელობის, მასზე გამავალი გზების შესაბამისი რაოდენობის კარები ჰქონდა. მაგ., თბილისი გარე სამყაროს ხუთი კარით უკავშირდებოდა.

ჩუქურთმები ქვაზე დმანისის ეკლესიიდან.

დიდ ქალაქებში იყო საეპისკოპოსო საყდრები, ფეოდალთა და



დმანისის ნაქალაქარი. ქალაქის ციხის ნაშთი და ეკლესია.

დახდალოს ხიდი (XI—XII სს.) მდ. აჭარის-წყალზე. ქედის რაიონი, აჭარის ასსრ.

ეპისკოპოსთა სასახლეები, დედაქალაქში ამასთანავე იყო საგანგებო დანიშნულების დაწესებულებები: სასამართლო, საჭურჭლე (სიმდიდრის შესანახი), ხაზინა, ზარაფხანა (ფულის მოსაჭრელი).

ქალაქის ტერიტორიის დიდი ნაწილი ეკავა მოედნებს, ბაზრებს, სახელოსნო რიგებს დუქნებითურთ, სასტუმროებსა და ქარვასლებს.

ქალაქებში მდინარეებზე (მაგ., თბილისში მტკვარზე) იყო წისქვილები, წყლის საქაჩავები, საზოგადო დანიშნულების აბანოები. თბილისში რამდენიმე ათეული გოგირდოვანი თბილი წყლების აბანო იყო (იხ. დოკ. 1).

ქალაქის მოსახლეობის ზედაფენას ფეოდალური არისტოკრატია შეადგენდა, რომელსაც ქალაქებში სასახლეები, ხოლო ქალაქის შემოგარენში საზაფხულო სახლები ჰქონდათ.

თამარ მეფის სპილენძის მონეტა.

მოსახლეობის ძირითად ნაწილს ვაჭრები და ხელოსნები შეადგენდნენ, რომელთა შორის იყვნენ თავისუფალნიც და ყმებიც. ვაჭართა ზედაფენა დიდვაჭრებისაგან შედგებოდა, რომელთაც თავისი მეთაური, ვაჭართუხუცესი ჰყავდათ. საქართველოდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ასევე ხელოსნობის ნაწარმი: ღვინო, კაკალი, ცვილი, თაფლი, თიხის ნაწარმი, ადგილობრივი აბრეშუმის, ბამბის, შალის ქსოვილი, ხალიჩები, ცხენები, იარაღ-საჭურველი და სხვ.

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, ირანთან, ეგვიპტესა და რუსეთთან. XI — XIII საუკუნეების საქართველოში მიმოქცევაში იყო ქართულ მონეტასთან ერთად უცხოურიც. ამ დროს ქართული ფული იჭრებოდა თბილისში, ქუთაისში, დმანისსა და ახალციხეში.

სახელმწიფოს შემოსავლის უმთავრესი წყარო მოსახლეობა-

ზე დაკისრებული გადასახადები იყო, რომელიც იკრიფებოდა სურსათით და ფულად. დიდი შემოსავალი ჰქონდა სახელმწიფოს ქალაქებიდან, ადგილობრივი ვაჭრებისაგან, ხელოსნებისა და უცხოელი ვაჭრებისაგან, რომლებიც გასატან და შემოსატან საქონელზე ბაჟს იხდიდნენ.

მოჭიქული ჭურჭლის მხატვრული გაფორმების ნიმუშები.

დიდი შემოსავალი შემოდიოდა დაპყრობილი ქვეყნებიდან, რომელნიც სახელმწიფოს ხარკს უხდიდნენ. შემოსავლის ეს წყარო განსაკუთრებით გაიზარდა დავით აღმაშენებლის მიერ დაწყებული დაპყრობითი ომების შედეგად. მნიშვნელოვანი სიმდიდრის წყარო დაპყრობითი ომები და სამხედრო ნადავლი იყო.

სახელმწიფო ხაზინა, როგორც წესი, დედაქალაქში — თბილისში იყო. ყოველწლიურად წარმოებდა შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

XII — XIII საუკუნეების საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 5 000 000 შეადგენდა, თბილისში 100 000-მდე, ხოლო რუსთავში 20 000-მდე მცხოვრები ცხოვრობდა. მჭიდროდ დასახლებული ქალაქები იყო: ქუთაისი, გორი, სამშვილდე, და სხვა. თუ გავითვალისწინებთ, რომ შუასაუკუნეებში საერთოდ მჭიდრო მოსახლეობა არ არსებობდა, საქართველო და მისი დიდი ქალაქები მჭიდროდ დასახლებულად უნდა მივიჩნიოთ.

8. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა. აღნიშნული დროისათვის მიწა, მასზე მცხოვრები მიწის მუშებით (გლეხებით), მებატონეთა (მეფე, ეკლესია, აზნაურები) საკუთრებას შეადგენდა. მართალია, გლეხთა მცირე ნაწილს ჯერ კიდევ შერჩენოდა ბატონისაგან წასვლის უფლება. მაგრამ მებატონეები თანდათან ყველას ართმევდნენ ამ უფლებას, ამ საქმეში მათ ეხმარებოდა ძლიერი სამეფო ხელისუფლება. ასეთ მიწაზე მიმაგრებულ მიწის მუშას ყმაგლეხი ეწოდებოდა. გლეხთა ნაწილი მეფეს ეკუთვნოდა, ესენი სამეფო ან სახელმწიფო გლეხები იყვნენ. იყვნენ აგრეთვე კერძო ფეოდალების, აზნაურების საკუთრებაში მყოფი და საეკლესიო გლეხები. გლეხები იხდიდნენ სამეფო, საეკლესიო და საბატონო გადასახადებს.

ძირითადი სამეურნეო ერთეული, რომელზედაც გლეხი ცხოვრობდა და მეურნეობას მისდევდა, იყო „ს ა გ ლ ე ხ ო ფ უ ძ ე“. მართალია, მიწა ბატონს ეკუთვნოდა და გლეხს მისი გაყიდვა არ შეეძლო, მაგრამ „ფუძეს“ მემკვიდრეობით ფლობდა და ამუშავებდა, რის საფასურადაც ის ბატონს გადასახადს უხდიდა და შრომით ემსახურებოდა. საცხოვრებელი სახლი, სამეურნეო ნაგებობანი, პირუტყვი, მუშა საქონელი, ფრინველი, სამუშაო იარაღები გლეხის ოჯახის საკუთრება იყო. გლეხი ბატონს გადასა-

ნადს უხდიდა სურსათით (ხორბლეული, ღვინო, ხორცი, ფრინველი, ხილი, რძე, რძის პროდუქტები და სხვ.) და კვირის გარკვეულ დღეებში საკუთარი გამწევი ძალით და სამუშაო იარაღით ბატონის მამულში მუშაობდა ან ოჯახში ემსახურებოდა, აგრეთვე უნდა ემუშავათ გლეხებს სასახლეების, ხიდების მშენებლობაზე, გზების გაყვანასა და მოვლაზე და სხვ. გადასახადის ნაწილს ამ დროს ფულადაც იხდიდნენ. საგლეხო ვალდებულებათა ოდენობა (როგორც სასურსათო გადასახადი, ასევე მომსახურება) კანონით განსაზღვრული და დადგენილი იყო, მაგრამ მებატონეები, როგორც წესი, ამას ანგარიშს არ უწევდნენ და გლეხებისაგან ყველაფერს საკუთარი სურვილით მოითხოვდნენ.

ჩვეულებრივ საგლეხო ფუძე შედგებოდა სახნავ-სათესის, ვენახის, ბაღ-ბოსტნისა და ეზო-კარმიდამოსაგან. ფუძის მფლობელ გლეხს უფლება ჰქონდა ესარგებლა საერთო-სასოფლო მფლობელობაში არსებული საძოვრებით, ტყით, ყულით. ეოთი საგლეხო ფუძე ერთი ოჯახის უხდა ყოფილიყო, მაგრამ ამ დროისათვის, მოსახლეობის გამრავლების შესაბამისად, ფუძე ნაწილდებოდა ოჯახებს შორის და ერთ ფუძეზე ორი, სამი და ზოგჯერ რამდენიმე ოჯახიც ცხოვრობდა. ფუძის ოჯახებს შორის დანაწილება დიდად აუარესებდა გლეხების მდგომარეობას.

იმდროინდელი გლეხის საცხოვრებელი სახლი (აღმოსავლეთ საქართველოში) უმთავრესად ერთსართულიანი ქვის ნაგებობა იყო, ბანიანი გადახურვით. სახლი რამდენიმე ოთახისაგან შედგებოდა. დიდი ოთახი, დარბაზი დაკავშირებული იყო სამზარეულოსა და საკუჭნაოსთან, დარბაზი დედაბოძით მთელი ოჯახის შესაკრებელი ადგილი იყო. საქონლისათვის საგანგებო შენობა ჰქონდათ ან საცხოვრებელ სახლში სათავსი იყო გამოყოფილი. საცხოვრებელი სახლის კომპლექსში შედიოდა თონე, მარანი, სახლს. როგორც წესი, წინ ღია აივანი, ხოლო გასათბობად ზოგიერთ კუთხეში საგანგებო თიხის ღუმელი ჰქონდა.

საჭმელ-სასმელს გლეხის ოჯახი თვითონ იმარაგებდა. მარტივ სამუშაო იარაღს, საოჯახო ნივთებს, ტანისამოსს, ფეხსაცმელს, ავეჯს, ჭურჭელსაც უმთავრესად შინ ამზადებდნენ, თუმცა ზოგ რამეს ბაზარზეც ყიდულობდნენ.

იკვებებოდნენ გლეხები ძირითადად ბოსტნეულით, რძის ნაწარმით, ხორცით, სადილად და ვახშმად, როგორც წესი, ოჯახის უფროსი წევრები თითო-ოროლა ჭიქა ღვინოს სვამდნენ. გლეხის ოჯახის საჭმელ-სასმელის რაოდენობა და ხარისხი მათ შეძლებაზე იყო დამოკიდებული.

გლეხთა კლასის ჩამოყალიბების პარალელურად მიმდინარეობ-

და ფეოდალთა ერთიანი კლასის შექმნის პროცესიც, რომლის საერთო სახელი აზნაური იყო. X საუკუნისათვის საქართველოში ქრება გაბატონებულ საზოგადოებაში მრავალგვარობა და ყველა ფეოდალი უკვე აზნაურთა კლასში ერთიანდება. მართალია, არიან მდიდარი და შედარებით ღარიბი აზნაურები, მათ შორის არიან დიდებული, ე.ი. დიდების, მეფის კარზე მაღალი თანამდებობის მქონე აზნაურები, მაგრამ ესენი ერთად ყველანი მაინც აზნაურები არიან. მათი საერთო ნიშანია სოციალური თავისუფლება, მამულის მესაკუთრეობა.

აზნაურს აუცილებლად უნდა ჰქონოდა სასახლე. დიდებულ ფეოდალებს, როგორც წესი, რამდენიმე სასახლე ჰქონდათ: საზამთრო სამყოფელი, საზაფხულო სასახლე, სასახლე და სახლი ქალაქში, საგანგებო სანადირო სახლები. ფეოდალები შეძლებისდამიხედვით იყენენ „ციხიანნი", რომელთაც მამულში ციხესიმაგრე ჰქონდათ და „უციხონი". მათ საკუთარი ეკლესიები ჰქონდათ, სადაც სავალდებულო წირვა-ლოცვა წარმოებდა. თუ აზნაურს ეკლესიის აგება არ შეეძლო, სასახლეში გამოყოფდა საგანგებო ოთახს, შეამკობდა ხატებითა და ჯვრებით და ამ ოთახში საეკლესიო სამსახური სრულდებოდა. ფეოდალებს საგვარეულო სასაფლაოები და აკლდამები ჰქონდათ.

თავისებური, ბარისგან განსხვავებული მდგომარეობა იყო საქართველოს მაღალმთიან ზოლში, სადაც ფეოდალური ურთიერთობა ნელა აღწევდა. ამიტომ მთიელებმა საქართველოში შედარებით დიდი ხნით შეინარჩუნეს თავისი სოციალური უპირატესობანი. მაგრამ XI — XII საუკუნეებში მთიანი საქართველოს მოსახლეობა სოციალურად დამოკიდებული გახდა. საქართველოს მთიანეთის დიდი ნაწილი მეფის საკუთრებად იქცა.

გლეხობა სხვადასხვა საშუალებით იბრძოდა მებატონეთა წინააღმდეგ. ზოგი გარბოდა და „უკეთეს" მებატონეს ეკედლებოდა, ან თავს იხსნიდა, ნაწილი ჯანყდებოდა. თამარის მეფობის ბოლო წლებში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ნაწილი აჯანყდა ფეოდალთა შევიწროებისაგან თავდაცვის მიზნით. სამეფო ხელისუფლება დიდი სისასტიკით გაუსწორდა აჯანყებულებს და აიძულა ისინი ეხადათ გადასახადი და შეესრულებინათ მათზე დაკისრებული მოვალეობანი (იხ. დოკ. 4).

დავალებები

1. დაახასიათეთ საქართველოს სამეურნეო მდგომარეობა XI — XII საუკუნეებში. 2. დაახასიათეთ ყმა გლეხთა მდგომარეობა. 3. ჩამოთვალეთ გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ფორმები.

დოკუმენტები

1. XIII საუკუნის დამდეგის თბილისი სპარსული გეოგრაფიული თხზულების მიხედვით

„თბილისი — ეს დიდი, გამაგრებული ქალაქია, რომელიც ძნელად მისადგომ ხევშია გაშენებული. მდინარეზე, რომელიც ქალაქს შუაზე ჰყოფს, გადებულია ერთმალიანი დიდი ხიდი (ამ ხიდის ქვეშ გემები გადიან). ხიდის მახლობლად მოწყობილია მრავალი საბაზრო ადგილი. ქალაქის პირდაპირ არის კარგად ნაგები ციხე. ციხეში აუშენებიათ მეფეთა სასახლეები, მრავალი საყარაულო კოშკი. მდინარე ისე ახლოს ჩაუდის ციხეს, რომ რასაც კი მცირე კარიდან გადაყრიან და გადააგდებენ, პირდაპირ მდინარეში ცვივა.

აუშენებიათ მრავალი წისქვილი, რომელთაც ჯაჭვით ამაგრებენ და ასე იჭერენ მდინარეში. ბევრია დოლაბები (წყალამწევი ბორბლები) და დოვლათით სავსე ბაღები. მასში (თბილისში) 65 აბანოა. წყალი ყველა აბანოში უცეცხლოდ ცხელია... აქ აბანოზე ქირას არ იხდიან. თბილისში ქალები ატარებენ ქუდებს, სხედან დუქნების წინ და მუსლიმანების გარდა პირისახეს არ იფარავენ.

იქაური (თბილისური) საქონელია: სპილოს ძვლით ინკრუსტირებული უნაგირები, აღვირები, კაპარჭები — საისრე ყუთები, თაფლი, მრავალგვარი ტკბილეული, ცვილი, უამრავი ბროწეული, თახვი, წავი, მონები, მონა-მხევლები, შუშა, ფიალები, ბროლის კარგი ნაწარმი ".

კითხვა და დავალება

1.სხვა რომელი უცხოელი ასახელებს თბილისის „მცირე კარს?" 2. დაახასიათეთ თბილისის ეკონომიკური მდგომარეობა და გარეგანი სახე ამ დოკუმენტის მიხედვით.

2. XIII — XIV სს. ქართული სამართალი (ბექა აღბუღას კანონები) მებატონისაგან გაქცეული ყმების ძებნისა და უკან დაბრუნების ვადების შესახებ

თუ ბატონისაგან გაქცეული და სხვასთან შეკედლებული ყმა გლეხი „მისითა გულითა წავიდეს მისსა პატრონისა (ე. ი. საკუთარი სურვილით დაბრუნდეს ძველ ბატონთან), რითაც მოსულიყოს (ახალ ბატონთან) მითვე საქონლით გაუშვას (ახალმა ბატონმა). და თუ ცოლნი და შვილნი ესხნეს, გაიტანნეს (წაიყვანოს) იგინიცა, დაჭირვას არავინ ემართლების.

და თუ კაცსა არა სწადდეს, აოაძედ პატრონი სთხოვდეს, თუ მიცემა ძებნილ იყოს და არა ეთხოვნოს, არცა ესარჩოოს, თხოვნას აღარას ემართლების, და არცა ბჭობასა, შვიდსა წელიწადსა უკანით (ე.ი. თუ ბატონმა შვიდი წლის განმავლობაში არ მოიკითხა გაქცეული ყმა, მერე უფლება აღარა აქვს მასზე).

და თუ შორს მათგან გარეთ ყოფილიყოს და მიწდომით ძნელი ყოფილიყოს ან არა სცოდნოდეს (ე.ი. ეძება მაგრამ ვერ მიაკვლია), პირველადვე (ე.ი. ადრევე) დაწესებული ოცდაათი წელი არის შეკვეთილი".

კითხვები

1. რა იწვევდა გლეხის გაქცევას და სხვა მებატონესთან შეკედლებას? 2. ჰქონდა თუ არა ახალ ბატონს უფლება ძალით დაეკავებინა მასთან შეკედლებული ყმა, თუ კი ის თვითონ ისურვებდა ძველ ბატონთან დაბრუნებას? 3. რამდენი წლის შემდეგ კარგავდა მებატონე ყმის უკან დაბრუნების უფლებას? 4. რა დროიდან ჩანს დაწესებული 30 წლიანი ვადა გაქცეული ყმის საძებნელად?

8. ნაწყვეტი თამარ მეფის სიგელიდან შიო-მღვიმის მონასტრისათვის ყმა-გლეხების ბოძების შესახებ

„თამარისაგან ბაგრატიონისა, ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა (ე.ი. ჰერთა), კახთა და სომეხთა მეფისა, დედოფალთ-დედოფლისა, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელისა.

მოვიდა ჩუენ წინაშე ვაზირი ჩუენი ანტონ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მწიგნობართუხუცესი... დაგუეაჯა[1] და მოგუახსენა, რათამცა... რომელი მღუიმეს მონასტერსა სამლოცველისა ჩუენსა წყალი მოიყვანეს სხალტბისაით და წყლისა მის სათავესა ზედა გლეხი ჯდა სასეფო ქოსაის ძენი მის წყლისა მკაზმავად[2], იგი გლეხი სამკვიდროდ შესაწირავად მღუიმისად... მას მიუბოძეთ.

ვისმინეთ ჰაჯაი[3] და მოხსენებაი მისი, ვაზირისა ჩუენისა ანტონ ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსისა, მწიგნობართუხუცესისა... და რომელ სხალტბას მის წყლისა მისგან მოღებულისა სათავესა ზედა გლეხი ზის, მიწად (ე.ი. ფუძედ) ერთი და კუამლად ორი, ქოსაისძენი საუკუნოდ მის წყლისა მკაზმავად, მღუიმისა მონასტრისა შესაწირავად მისდა მიგუითავისუფლებია.

ჰქონდეს იგი წყალი და გლეხნი ქოსაისძენი, მიწად ერთი და კუამლად ორი, სვიმონ და გიორგი და იაბერი და შვილნი და შვილისშვილნი მათნი სასოსა და მფარველსა ჩუენსა წმიდასა მამასა შიოს და სამლოცველოსა ჩუენსა მონასტერსა მღუიმესა.

არას ჟამსა შეეცვალოს; და არცა რაი მას წყალსა და გლეხსა ზედა ხელისუფალთა ჩუენთა ხელი შეუვიდოდეს; ყოვლითურთ შეუვალი და თავისუფალი არს; რაიცა ანტონ ჭყონდიდელმან განუჩინოს სამსახური მის წყლისაი, მას ჰმსახურობდეს.

და არავინ გუიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ბრძანებულისა ამის ჩუენისა“.

კითხვები

1. ვის ეკუთვნოდნენ აქ დასახელებული გლეხები, სახამ მათ შიო-მღვიმის მონასტერს შესწირავდნენ? 2. რა მოვალეობა დაეკისრათ შეწირულ გლეხებს? 3. ვინ გაათავისუფლა ისინი სხვა ვალდებულებათაგან? 4. რას ნიშნავს მიწად (ფუძედ) ერთი და კუამლად ორი?

---

[1] დ ა გ უ ე ა ჯ ა — გვთხოვა. [2] მ კ ა ზ მ ა ვ ა დ — მომვლელად. [3] ჰ ა ჯ ა ი — თხოვნა.

4. თამარ მეფის ისტორიკოსი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი") საქართველოს მთის მოსახლეობის ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

„...იწყეს მთეულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა. ამათ იწყეს რბევად და ხოცვად და ტყუეობად, ცხადად და ღამით.

მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოხეველთა, ხადელთა, ცხავატელთა, ჭართალელთა, ერწოთიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა. წარდგა მთასა ფხოველთასა და დიდოთასა... ერთ-კერძო დაურჩა დურძუკეთი და ერთ-კერძო დიდოეთი და ფხოეთი.

ცნეს რა მისვლა ათაბაგისა, მოვიდეს ძღუეხითა მეფენი დურძუკთანი, მოსცეს ღაშქარნი და დაუდგეს გუერდსა. და იწყეს ზეიდაღმან ბრძოლად, და რბევად, და კვლად, და ტყუეობად და დაწუად; მოსწყვიდეს ურიცხვი კაცი დიდოელი და ფხოვი, და დაყენეს სამნი თვენი: ივნისი, იელისი და აგვისტოსი. მაშინ შეიწრებულთა ათაბაგისათა მოსცეს მძევლები, ქმნეს ზავნი. და ესრეთ გამარჯვებითა მოვიდა ივანე მეფის წინაშე და რქუა: „ძლიერო მეფეო! იქმნა ბრძანება შენი, მოვაოხრენ ურჩნი შენნი დიდოეთი და ფხოეთი" ხოლო მეფემან დიდად დაიმადლა და უაღრესსა პატივსა აღიყვანა."

კითხვები და დავალება

1. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რომელი ტომები აჯანყდნენ? რატომ აჯანყდნენ? 2. როგორ დაიმორჩილა ისინი საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ? 3. რა ვალდებულებები დაეკისრათ დამორჩილებულ დიდოელებსა და ფხოველებს? 4. ნახეთ რუკაზე დიდოეთი და ფხოეთი.

§ 10. საქართველოს სახელმწიფო წყობილება და კულტურა XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში

1. სახელმწიფო მმართველობა. საქართველოს ფეოდალური მონარქიის სათავეში ბაგრატიონთა სამეფო დინასტია იდგა. მეფის ხელისუფლება მეძკვიდრეობით გადადიოდა მამიდან უფროს შვილზე და თვითმპყრობელურ ხასიათს ატარებდა. ერთიანი საქართველოს მეფეები ავიწროებდნენ დიდ ფეოდალებს, მთავრებს და შეუვალობას (იმუნიტეტს) ართმევდნენ მათ. მეფის გაძლიერებული ხელისუფლება, რომელიც უსიტყვო ძორჩილებას აიძულებდა ქვეშევრდომებს,იდეოლოგიურ დასაბუთებას მოითხოვდა. ამ მიზნით საგანგებო საისტორიო თხზულება დაიწერა XI საუკუნეში — სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება ბაგრატიონთა". რომელიც ბაგრატიონებს ღმერთის ჩამომავლებად და მათ ხელი-

სუფლებას ღვთის მიერ დადგენილად აცხადებდა. ეს თეორია ბაგრატიონთა გვარის კლასობრივი ბატონობის დასაბუთებასთან ერთად საერთაშორისო ავტორიტეტის გაზრდასაც ისახავდა მიზნად.

პოლიტიკურად გაძლიერებული და დაწინაურებული საქართველო ტოლს არ უდებდა ბიზანტიის იმპერიას და მას პირველობაში ეცილებოდა. ადრე საქართველოს მეფეები ატარებდნენ ბიზანტიის საიმპერატორო კარის სხვადასხვა უმაღლეს ტიტულებს (მაგ., კურაპალატი,, სევასტოსი, ნოველისიმოსი და სხვ.). ეს მათ ერთგვარად, ფორმალურად მაინც, ბიზანტიისადმი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აყენებდა, მაგრამ დავით აღმაშენებელმა უარი თქვა ყველა ბიზანტიურ ტიტულზე. იგი იწოდებოდა „მეფე აფხაზთა (ე.ი. დას. საქართველოს). ქართველთა (ქართლისა და მესხეთის), ჰერთა და კახთა და სომეხთა (ლორე-ტაშირის სამეფო), შაჰან-შა (ანისის მეფეების ტიტული) და შარვან-შად" (შარვანის მფლობელთა ტიტული). ეს ტიტულატურა ასახავდა საქართველოს გაერთიანებისა და სამეფოს ტერიტორიის თანდათანობითი ზრდის ისტორიულ პროცესს.

ამდროინდელ საქართველოში მეფის გვერდით არსებობდა უმაღლესი საერო და სასულიერო ფეოდალთა წარმომადგენლობითი ორგანო — დ ა რ ბ ა ზ ი, რომელიც პერიოდულად იკრიბებოდა ხოლმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაწყვეტად. დარბაზის უფლებები საგრძნობლად გაფართოვდა ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შემდეგ.

სახელმწიფოს მეფე მართავდა „ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს კ ა რ ი ს" (ცენტრალური დაწესებულების) უმაღლეს მოხელეთა, უხუცესვაზირთა და „ს ა ქ ვ ე ყ ნ ო დ გ ა მ რ ი გ ე" (პროვინციების მმართველი) მოხელეების (ერისთავების) მეშვეობით.

მთავრობის მეთაური მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს - ჭ ყ ო ნ - დ ი დ ე ლ ი ხელმწიფის კარის პირველი ვაზირი იყო. ვაზირი არაბულად მეფის მრჩეველს ნიშნავს. ვაზირის თანამდებობა არაბთა სახალიფოში და შემდეგ თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში არსებობდა. ჩვენში ვაზირობა პირველად დავით აღმაშენებელმა მიანიჭა მწიგნობართუხუცესს, რომელიც მეფის შემდეგ პირველი პირი გახდა სამეფოში. მას ექვემდებარებოდა სახელმწიფოს ყველა დაწესებულება და უმაღლესი სასამართლოს მეთაურიც ის იყო. შემდეგ თანდათან ვაზირებად (მინისტრებად) ხდებიან მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი — შინაგან საქმეთა უფროსი, ა მ ი რ ს პ ა ს ა ლ ა რ ი — სამხედრო საქმის გამგებელი, მ ე ჯ უ რ ჭ ლ ე თ უ ხ უ ც ე ს ი — საფინანსო საქმეთა გამგებელი, მ ს ა ხ ურ თ უ ხ უ ც ე ს ი — მეფისა და მისი ოჯახის მეურნეობის გამგებელი. თამარის

დროიდან სამეფო კარის მოხელე იყო ა თ ა ბ ა გ ი, რომელიც ტახტის მემკვიდრის აღმზრდელად ითვლებოდა. ათაბაგობა ჩვენში თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოდან შემოვიდა, სადაც ის უფლისწულის აღმზრდელი იყო, შემდეგ დიდი მთავარიც. ვაზირები ქმნიდნენ ვაზირთა საბჭოს—„ს ა ვ ა ზ ი რ ო ს", რომლის უფროსი, „ვაზირთა ყოველთა უპირველესი" მწიგნობართუხუცესი იყო.

მთელი საქართველო, მეფის და სამეფო ოჯახის წევრთა მამულებს გარდა, დიდ ადმინისტრაციულ ერთეულებად—ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო ე ბ ა დ იყო დაყოფილი და მეფისაგან სამმართველოდ ჰქონდათ გადაცემული ერისთავებსა და ერისთავთერისთავებს. ჩვეულებრივ საერისთავოთა გვერდით, საქართველოს სამხრეთ საზღვარზე, არსებობდა საგანგებო ს ა ნ ა პ ი რ ო ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო ე ბ ი. „მონაპირეებს" სამეფოს საზღვრების დაცვა ევალებოდათ.

საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა და მისგან დამოკიდებული გახდა არაქართული მიწა-წყალიც და სამეფო კარმა მათი სახელმწიფოებრივი მოწყობის ორგვარი წესი შეიმუშავა: უშუალოდ სამეფოს შემადგენლობაში შემოყვანა და მეფის კარისადმი დამორჩილება ყმადნაფიცობის (ვასალობის) პირობით. უშუალო შემადგენლობაში შემოვიდა ბაგრატუნების სომხეთის ყოფილი მიწა-წყალი (ანისის სამეფო), შირვანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის სამთავროები, მაგ., ოსეთი, აზერბაიჯანის და საქართველოს სამხრეთით მდებარე მაჰმადიანური სახელმწიფოები, ყ მ ა დ ნ ა ფ ი ც ე ბ ი იყვნენ.

სომხეთი (ანისის ბაგრატუნთა სამეფო) საქართველომ მაჰმადიან დამპყრობთაგან გაათავისუფლა. იმდროინდელი სომხეთის მებატონენი, მაჰმადიანი შედადიანები, არ იყვნენ ანისის სამეფოს კანონიერი მფლობელები, ისინი დამპყრობელნი იყვნენ. ამიტომ სომხეთის უშუალოდ სამეფო კარისადმი დამორჩილება, ისევე როგორც შარვანის დასავლეთ ნაწილის, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდა, გამართლებული იყო. უშუალოდ შემოერთებული ქვეყნების გამგებლად ადგილობრივ მოსახლეობასთან ახლოს მდგომ ფეოდალებს ნიშნავდნენ.

სამეფო ხელისუფლება, თავისი რთული სამოხელეო აპარატით, ლაშქრით და იძულების ყველა ორგანოთი, გაბატონებული ფეოდალური კლასის ინტერესების სადარაჯოზე იდგა.

2. კულტურა. XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში ქართულმა ფეოდალურმა კულტურამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. იმდროინდელი ქართული კულტურის დონე ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობას შეესაბამებოდა და წინამორბედი ხანის კულტურული განვითარების კანონზომიერი შედეგი იყო.

ა). სწავლა-განათლებისა და კულტურის ცენტრები. ისევე როგორც წინამორბედ ხანაში, ამ პერიოდშიც სასწავლო-საგანმანათლებლო და მწიგნობრული მოღვაწეობა უმთავრესად ეკლესია-მონასტრებში მიმდინარეობდა.

გელათის აკადემიის შესასვლელი.

დავით აღმაშენებლის დროს კულტურის ახალი ცენტრები შეიქმნა, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გ ე ლ ა თ ს (ქუთაისთან). გელათის მონასტერთან მეფის ბრძანებით დაარსდა უმაღლესი სასწავლებელი, ა კ ა დ ე მ ი ა, სადაც სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას ცნობილი მეცნიერი ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი ხელმძღვანელობდა. **გელათის აკადემიამ უდიდესი როლი შეასრულა ქართული შუასაუკუნოვანი კულტურის ისტორიაში.**

გელათს გარდა აკადემია იყო ი ყ ა ლ თ ო შ ი (თელავთან), რომელიც დააარსა და რომელსაც ხელმძღვანელობდა ა რ ს ე ნ ი ყ ა ლ თ ო ე ლ ი. კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო შ ი ო - მ ღ ვ ი მ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ შ ი, რომელსაც მფარველობდა მეფე დავით აღმაშენებელი. ცხოვრების ბოლო წლებში აქ მოღვაწეობდა არსენ იყალთოელი. წინანდებურად ახლაც დიდ როლს ასრულებდნენ კულტურულ ცხოვრებაში ქართული კულტურის საზღვარგარეთული ცენტრები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ა თ ო ნ ი ს ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ ო ნ ა ს ტ ე რ ი, პ ე ტ - რ ი წ ო ნ ი ს ძ ო ნ ა ს ტ ე რ ი, ს ი ნ ა ს მ თ ი ს და სხვ.

უმაღლესი ტიპის სასწავლებლებთან ერთად ძონასტრებთან იყო დაწყებითი სკოლებიც.

მეფე და მსხვილი ფეოდალები თავიანთ შვილებს სასახლეებში, საკუთარ, კერძო სკოლებში ზრდიდნენ. ასწავლიდნენ ძ ძ ო ბ ლ ი ე ო ე ბ ა ს, ქართულ ძ წ ი გ ნ ო ბ რ ო ბ ა ს, გ რ ა ძ ა ტ ი კ ა ს, ო ი ტ ო - რ ი კ ა ს, ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა ს, ა რ ი თ მ ე ტ ი კ ა ს, გ ე ო მ ე ტ რ ი ა ს, მ უ ს ი კ ა ს, ა ს ტ რ ო - ნ ო მ ი ა ს (ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ თ მ რ ი ცხ ვ ე ლ ო ბ ა ს), მ ე დ ი ც ი ნ ა ს, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა და მ ე ზ ო ბ ე ლ ი ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ა ს, ო ბ ი (უ მ თ ა ვ რ ი ს ა ი ბ ერ ძ ნ ულ) ენ ა ს.

ნ ი ჭ ი ე რ ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ს გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს მ ი ს ა ღ ე ბ ა დ ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე - თ ა ც, უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ ბ ი ზ ა ნ ტ ი ა შ ი ა გ ზ ა ვ ნ ი დ ნ ე ნ.

სწავლა-განათლების, სამეცნიერო მოღვაწეობის საერთო ხელმძღვანელს მოძღვართ-მოძღვარი ეწოდებოდა, რომელიც ამავე დროს გელათის აკადემიის რექტორი იყო. მასწავლებელს მოძღვარი ეწოდებოდა. მოძღვრები და მოძღვართმოძღვრები დიდი პატივით სარგებლობდნენ იმდროინდელ საქართველოში.

ბ). ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა. ორიგინალურ სამწერლობო მოღვაწეობასთან ერთად ადგილობრივ და საზღვარგარეთული კულტურის ქართულ ცენტრებში მიმდინარეობდა გეგმაზომიერი მთარგმნელო-

შოთა რუსთაველის პორტრეტები პალესტინის ჯვრის მონასტრიდან და ვეფხისტყაოსნის თეკლესეული ხელნაწერიდან (XVII ს.).

ბითი საქმიანობა. თარგმნიდნენ საღვთისმეტყველო, ფილოსოფიურ, მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს, რათა იმდროინდელი კულტურული სამყაროს მიღწევები ხელმისაწვდომი ყოფილიყო ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის. ეს საქმიანობა მიზნად ისახავდა კულტურულად ბიზანტიასთან გათანაბრებას. დიდად განვითარდა საერო მხატვრული ლიტერატურა. საერო მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლია მ ო ს ე ხ ო ნ ე ლ ი ს საგმირო-სარაინდო რომანი „ა მ ი რ ა ნ-დ ა რ ე ჯ ა ნ ი ა ნ ი“, რომელიც ხოტბას ასხამს ვაჟკაცობას, მამაცობას. შეიქმნა მაღალმხატვრული პოემები. თუ ადრინდელი ხანიდან ჩვენამდე მხოლოდ ნათარგმნი და ორიგინალური პოეტური თხზულებების ფრაგმენტებმა მოაღწია, ამ დროს დაიწერა დიდი ღირსების მქონე მხატვრული ნაწარმოებები: „თ ა მ ა რ ი ა ნ ი“, „ა ბ დ უ ლ მ ე ს ი ა“. თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავით სოსლანისადმი მიძღვნილი ის თხზულებები ქებას ასხამენ მეფეს და ძლიერი ფეოდალური მონარქიის განდიდების იდეას განასახიერებენ. პირველის ავტორია ჩახრუხაძე, მეორისა — იოანე შავთელი.

ჩახრუხაძე. მოქანდაკე ი. ნიკოლაძე.

ეპოქის კულტურული ძეგლების გვირგვინია გენიალური შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს „ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი“. რუსთაველის ქმნილებას სამართლიანად უკავია საპატიო ადგილი მსოფლიო ლიტერატურის გენიალურ ქმნილებათა შორის. რუსთაველი უმღერის სამშობლოს, სიყვარულს, რაინდობას, მეგობრობას, ხალხთა შორის ძმობას, ქალის თაყვანისცემას. რუსთაველის პოემამ როგორც ფორმით, ასევე შინაარსით და იდეურად დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო ხანის ქართული კულტურის,

განსაკუთრებით ლიტერატურის განვითარებაზე.

ეს პოემა საქართველოში ბევრმა ზეპირად იცოდა, მას როგორც ერის ძვირფას საგანძურს, ქალებს მზითვად ატანდნენ.

გ). მეცნიერება. განვითარების მაღალ დონეზე იდგა მეცნიერების მრავალი დარგი: ფილოსოფია, ისტორიოგრაფია, სამართალმცოდნეობა, მედიცინა... ამ დროს მოღვაწეობდნენ განთქმული ფილოსოფოსები: ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, რომელნიც აზროვნების და მეცნიერული კვლევა-ძიების თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. განსაკუთრებით განვითარდა საისტორიო მწერლობა. ამ პერიოდშია შექმნილი დავით აღმაშენებლის ისტორია, თამარის ორი ისტორიკოსის ისტორია, ლაშა გიორგის ეპოქის უცნობი ისტორიკოსის თხზულება და სხვა საისტორიო ნაწარმოებები. ამ თხზულებებში მეფეთა, დიდ მხედართმთავართა ბიოგრაფიებსა და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან ერთად წარმოჩენილია ქვეყნის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრება.

შოთა რუსთაველის ქანდაკება თბილისში. მოქანდაკე კ. მერაბიშვილი.

იმდროინდელი ისტორიული აზროვნების მაღალი დონის მანიშნებელია „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენა. თავდაპირველად კრებულში შეიტანეს საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის ამსახველი თხზულებები: „მეფეთა ცხოვრება“, ვახტანგ გორგასლის ისტორია, კრებული თანდათან ივსებოდა, მას დაემატა VIII — XI საუკუნეების ისტორია, შემდეგ დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ისტორია და ა. შ.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული თხზულებები საკუთრივ საქართველოს ისტორიასთან ერთად ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ჩვენი მეზობელი ხალხების ისტორიიდან, რამაც გახაპირობა უკვე XII საუკუნეში მისი სომხურად თარგმნა.

„ქართლის ცხოვრება“ მეფის უმაღლესი ხელისუფლების განკარგულებითა და თვალყურის დევნებით შეიქმნა, რამაც განსაზღვრა მისი აშკარად გამოხატული კლასობრივი ხასიათი.

XI — XII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭებოდა უცხო დამპყრობთაგან ქვეყნის განთავისუფლებას, ქართული მიწების გაერთიანებას, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების შექმნას. ეპოქის ისტორიკოსთა ყურადღებაც ძირითადად ამ საკითხებისადმია მიმართული. ისტორიკოსები აშკარად გამოხატავენ თავის უარყოფით დამოკიდებულებას მეფის ძლიერი ერთპიროვნული ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვაროვანთადმი. მათი თხზულებები ღრმა პატიოიოტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული. ამასთანავე, ისტორიკოსები ცდილობენ მიჩქმალონ კლასობრივი ბრძოლის ფაქტები. ეპოქის ისტორიოგრაფია მეფისა და გაბატონებული ფეოდა-

ბეთანიის ტაძარი (XII—XIII სს.).

ლური კლასის ინტერესების სადარაჯოზე დგას.

დ). ხელოვნება. განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ხელოვნების სხვადასხვა დარგმა.

XII საუკუნეშია აგებული გელათი, იკორთა (შიდა ქართლში), ბეთანია, ყინწვისი და სხვა. კლდეში ნაკვეთი ვარძიის სამონასტრო კომპლექსი (აგებული გიორგი III-ისა და თამარის მეფობაში), შესანიშნავად მოხატული ეკლესიით, მრავალრიცხოვანი სიხატითა და სათავსოებით, ქართული სამშენებლო ხელოვნების მაღალი დონის უდავო მოწმეა.

ეკლესია-მონასტრებმა შემოგვინახა მოხატულობის (ფრესკები, მოზაიკა) ბრწყინვალე ნიმუშები (გელათი, ბეთანია, ყინწვისი, ბერთუბანი და სხვ.).

განვითარების მაღალ დონეზე იდგა ხელოვნების მრავალი სხვა დარგი: წიგნების მოხატვა, ოქრომჭედლობა, მინანქარი და სხვა. ამდროინდელ საქართველოში სამი სხვადასხვა ოქრომჭედლუ-

იკორთის ტაძარი, აგებული 1172 წ.

რი სკოლა არსებობდა. სახელოვანი ქართველი ოქრომჭედლების ბ ე ქ ა და ბ ე შ ქ ე ნ ო პ ი ზ ა რ თ ა შემოქმედება მსოფლიო ხელოვნების საგანძურშია შესული.

XII საუკუნის ქართული ხელოვნების ისტორიული ძნიშვნელობა მხოლოდ საქართველოთი არ შემოიფარგლება. მან საპატიო წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის განვითარებაში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოქრომჭედლობასა და მინანქრის ხელოვნებას. ხახულის ხატი მსოფლიოში უნიკალურ ქმნილებად ითვლება.

ამ დროს ქართულმა ფეოდალურმა კულტურამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. მას ახასიათებს მრავალი ისეთი თვისება, რაც შემდეგ ევროპულ რენესანსს დაედო საფუძვლად.

ქართული ოქრომჭედლობის ნიმუში. ბექა ოპიზარის ნამუშევარი (XII ს.).



წყაროსთაეის ოთხთავის ყდა, მოქედილი ბექა ოპიზარის მიერ (XII ს.). მინანქრის ხატი (XII ს.).

ხახულის ღვთისმშობლის ხატი (X — XII სს.).

კითხვები და დავალებები

1. ჩამოთვალეთ ვაზირები და დაახასიათეთ მათი ფუნქციები; რას ეწოდება საეაზირო? 2. როგორია ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურა? 3. დაახასიათეთ XI — XII საუკუნეების სწავლა-განათლებისა და კულტურის ცენტრები და მხატვრული ლიტერატურა. 4. „ვეფხისტყაოსნის“ რა და რა აფორიზმები იცით? 5. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ იმდროინდელი ისტორიული ნაშრომები. 6. რას ეწოდება „ქართლის ცხოვრება“? 7. აღნიშნეთ კონტურულ რუკაზე XI — XII საუკუნეების ხუროთმოძღვრების ძირითადი ძეგლები. 8. მოაწყვეთ ექსკურსია თქვენი რაიონის ხელოვნების ძეგლების დასათვალიერებლად.

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

1. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათის მონასტრის დაარსებისა და იქ სწავლულთა მოწვევის შესახებ

დავითმა „მოიგონა[1] აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა... ადგილსა ყოელად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაი გარდაართხა[2] ტაძარი... აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა, რომელი ზეშთა ჰმატს შუენიერებასა ყოველთასა, სიერცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა...

და მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქვეყანასა კიდეთად სადათცა ესმა ვიეთმე[3] სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა[4] და კეთილად გამოიძინა[5], მოიყვანა და დაამკვიდრნა მას შინა.

...არს ყოვლისა აღმოსავალისა[6] მეორედ იერუსალემად, სასწაულოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად“.

2. დავითის ისტორიკოსი გელათში ქსენონის (საავადმყოფოს) დაარსების შესახებ

„კუალად სხუა მოიგონა საქმე, შემსგავსებული მოწყალისა და ტკბილისა ღმრთისა სახისა, კაცთმოყვარებისა თვისისა: აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი (მონასტრის ბერები) თვითო სახითა სენითა განცდილნი და მოუმზადა ყოველი სახმარი მათი, უნაკლულოდ და უხუებით, და განუჩინნა შესავალნი[7] და საღუაწნი[8] მათნი ყოვლადვე. თვით მივიდის და მოიხილის, მოიკითხნის და ამბორს უყვის თვითოეულსა, აფუფუნებდის მამებრ, წყალობდის და ნატრიდის, განამხნობდის მოთმინებისა მიმართ, მონახის თვისთა ხელითა ცხედრები[9], სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი[10] და ყოველი სახმარი მათი, მისცის თითოეულსა ოქრო საყოფნი, და განაკრძალნის[11] ზედამდგომელნი მათნი, და განაგის ყოველი საქმე მათი დიდად შუენიერად“.

---

[1] მ ო ი გ ო ნ ა — განიზრახა. [2] გ ა რ დ ა ა რ თ ხ ა — ააგო. [3] ვ ი ე თ მ ე — ვინმეს. [4] ი ძ ი ნ ა — მოიძია. [5] გ ა მ ო ი ძ ი ნ ა — გამოიძია. [6] ა ღ მ ო ს ა ვ ა ლ ი — აღმოსავლეთი. [7] შ ე ს ა ვ ა ლ ნ ი — შემოსავალი თანხა. [8] ს ა ღ ვ ა წ ნ ი — სანოვაგე. [9] ც ხ ე დ ა რ ი — საწოლი. [10] პ ი ნ ა კ ი — ჯამი. [11] გ ა ნ ა კ რ ძ ა ლ ნ ი ს — აფრთხილებდა.

3. XII საუკუნის ქართველი პოეტი იოანე შავთელი გელათის შესახებ

„ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა.
ენატრი ელადსა, თვით ძას გელათსა“...

კითხვები და დავალება

1. ვინ მოიწვია დავით მეფემ გელათში? 2. რატომ უწოდებს ისტორიკოსი გელათს მეორე იერუსალიმს, ახალ ათინას? 3. რატომ ადარებს შავთელი გელათს რომს, ელადას? 4. აღწერეთ საავადმყოფო ამ დოკუმენტის მიხედვით.

4. წყაროსთავის XII საუკუნის მოოქრული ვერცხლით მოჭედილი წიგნის — სახარების მინაწერები

„დაიწერა და გასრულდა ხელითა ორთა მწერალთაითა იოვანეს ფუკარალისძისა მნათისაითა და გიორგი სეთაისძისაითა. აწ ვინცა იმსახურებდეთ (გამოიყენებდეთ ამ წიგნს) ნუ დაგუწყევთ ღმრთისთვის (ნუ დაგვწყევლით, ღვთის გულისათვის), არამედ თქვით-უფალო შეუნდვენ ცოდვანი მათნი, ამინ. ქორონიკონსა 415“.

„ამას ოთხთავსა (სახარებასა) ზედა არს (დაიხარჯა) ორასი დრამისა ვერცხლი და ოცისა დრამისა ოქროი თვლები და მარგალიტი და ოქრომჭედლისა ხელფასი კგ (23 დრამა) და ვინც ცუარი ან ღილოკილო დააკლოს და შეუცვალოს რაი ამან ნაჭედსა კრულმცა არს მკვდარი და ცოცხალი გაუხსნელად (ერთად)“.

„ქრისტე, შეიწყალე ოქრომჭედელი ბექა ოპიზარი“.

კითხვები და დავალება

1. როგორ ამრავლებდნენ წიგნებს XII საუკუნის საქართველოში? 2. რამდენ გადამწერს გადაუწერია დასახელებული სახარება? 3. ვის მოუჭედია მისი ყდა? 4. რამდენი დრამა დახარჯულა ამ ერთი წიგნის ყდის მოსაჭედად? 5. გამოიანგარიშეთ, რომელ წელს გადაუწერიათ წყაროსთავის სახარება.

VI თავი

საქართველო XIII — XV საუკუნეებში

§ 20. ფეოდალური საქართველოს აღმავალი განვითარების ფეფერხება XIII საუკუნეში. მონღოლთა ბატონობის დამყარება.

1. ლაშა-გიორგის მეფობა. თამარის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტი დაიკავა მისმა ჰაბუკმა ვაჟიშვილმა ლ ა შ ა - გ ი ო რ გ ი მ (გ ი ო რ გ ი I V, 1213 — 1222 წწ.), რომელიც ჯერ კიდევ 1206 წლიდან თავისი დედის თანამოსაყდრედ იყო გამოცხადებული. ლაშას მეფობისას თავი იჩინა მთელმა რიგმა საშინაო და საგარეო გართულებამ.

როგორც გახსოვთ, დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის მეფობის დროს გატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელიც მიზნად ისახავდა უძლიერეს ფეოდალთა თვითნებობის შეზღუდვასა და მეფის ცენტრალური (თვითმპყრობელური) ხელისუფლების განმტკიცებას. უმაღლეს სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე დაწინაურებული იყვნენ მეფის ერთგული, უმთავრესად დაბალი წარმოშობის პირები. ქვეყნის პროგრესული განვითარების ინტერესები მოითხოვდა სწორედ ამ რიგის ცვლილებებს სახელმწიფოებრივ მმართველობაში, მაგრამ თამარის მეფობის დასაწყისში საქართველოს სამეფო კარი იძულებული იყო დაეთმო დიდგვაროვანი აზნაურებისათვის და უმაღლეს სამოხელეო თანამდებობებზე დაბალი წარმოშობის პირების მაგივრად ისევ უძლიერესი ფეოდალები დაებრუნებინა. ამრიგად, სამეფო კარზე შესამჩნევად გაძლიერდა დიდგვაროვან აზნაურთა გავლენა, რასაც ისინი თავიანთი პირადი ინტერესებისათვის იყენებდნენ.

ლაშამ სცადა კვლავ აღედგინა დავით აღმაშენებლისა და გიორგი მესამის მტკიცე კურსი, მაგრამ მარცხი განიცადა. დიდგვაროვნები თავიანთ პოზიციებს სახელმწიფოს მმართველობასა თუ ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში ადვილად არ თმობდნენ და ყველა საშუალებით ებრძოდნენ ახალგაზრდა მეფეს. ისინი მეფეს დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას არ აძლევდნენ და თვით

ლაშა-გიორგის პორტრეტი. ბეთანიის ტაძრის ფრესკიდან.

მის პირად ცხოვრებაშიც კი ერეოდნენ. მაგალითად, მათ ნება არ დართეს ლაშა-გიორგის დაქორწინებულიყო დაბალი წარმოშობის ქალზე, რომელიც მას თავდავიწყებით უყვარდა. მასთან ლაშა-გიორგის ვაჟიშვილიც კი შეეძინა, რომელსაც დ ა ვ ი თ ი დაარქვეს, მაგრამ დიდგვაროვანებმა იგი მეფის კანონიერ მემკვიდრედ არ სცნეს. ლაშა ერთგული დარჩა თავისი სიყვარულისა და სხვა ქალი აღარ შეურთავს.

ლაშა-გიორგის ასეთი სწრაფვა პიროვნული, ადამიანური თავისუფლებისაკენ, მისი ბრძოლა ამქვეყნიური ბედნიერებისათვის შემთხვევითი არ იყო. საქართველოში ამ დროს ასეთი შეხედულებები საყოველთაოდ ვრცელდებოდა და რეაქციული კლერიკალური[1] წრეების შეხედულებებს უპირისპირდებოდა. ლაშას თანამოაზრეებიც ბევრი ჰყავდა, მაგრამ ამ იდეების საბოლოო გამარჯვებისათვის მაშინდელ საქართველოში ჯერ კიდევ ნიადაგი სათანადოდ მომზადებული არ იყო[2].

ასეთ დაძაბულ საშინაო ვითარებას საგარეო გართულებაც დაერთო. ლაშა-გიორგის მეფობის დასაწყისში განდგომა იწყეს საქართველოს ყმადნაფიცმა ქვეყნებმა, მაგრამ ახალგაზრდა მეფემ გადამწყვეტი მოქმედებით ისინი კვლავ დაიმორჩილა. საქართველოს სიძლიერის სახელი ჯერ კიდევ შორს იყო გავარდნილი მაშინდელს მსოფლიოში (იხ. დოკ. 1). მას იმედის თვალით უყურებდნენ და დახმარებას თხოვდნენ თურქ-მაჰმადიანთა წინააღმდეგ მებრძოლი ევროპელი ჯვაროსნები და თვით რომის პაპიც. ლაშა-გიორგი, მართლაც, აპირებდა შორეული ლაშქრობის მოწყობას ქრისტიანთა წმინდა ქალაქის იერუსალიმის თურქთაგან გასათავისუფლებლად, მაგრამ საქართველოს საზღვრებთან გამოჩენილმა მონღოლებმა მისი გეგმები ჩაშალეს (იხ. დოკ. 2).

2. მონღოლთა პირველი გამოჩენა. 1220 წელს საქართველოში შემოიჭრა მონღოლთა მოთარეშე რაზმი, რომელიც გამოგზავნილი იყო ჩ ი ნ გ ი ზ - ყ ა ე ნ ი ს მიერ წინა აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დასაზვერავად. ქართველთა სამხედრო ძალამ მათთან ბრძოლაში რამდენიმე მარცხი განიცადა, მაგრამ მონღოლებს მაშინ საქართველოს დაპყრობა არ უცდიათ. მათ მოითარეშეს საქართველოს აღმოსავლეთი საზღვრისპირა მხარეები, შარვანი, დარუბანდი, გადავიდნენ იმიერ-კავკასიაში. იქ მათ დაამარცხეს რუსთა და ყივჩაყთა გაერთიანებული ლაშქარი

[1] კ ლ ე რ ი კ ა ლ უ რ ი — საეკლესიო (ლათინური სიტყვიდან clericalis).
[2] უფრო გვიან, დაახლოებით XV საუკუნიდან, ასეთი მოძრაობა ფართოდ გავრცელდა დასავლეთ ევროპაში ჰუმანიზმის სახელწოდებით (humanus ლათინურად ადამიანური).

(1223 წ. ბრძოლა მდ. კალკაზე) და კასპიის ზღვის ჩრდილოეთიდან შემოვლით დაბრუნდნენ შუა აზიაში თავიანთ მბრძანებელთან.

ლაშა-გიორგის სპილენძის მონეტა (XIII ს.).

თათარ-მონღოლებს ამ დროისათვის უკვე დიდი სამხედრო წარმატებები ჰქონდათ მოპოვებული. მათ მტკიცედ დისციპლინირებული დიდი ლაშქარი ჰყავდათ. თავიანთი ველური სიმკაცრით ისინი მთელ ხალხებს შიშის ზარს სცემდნენ. მომთაბარეთა ცხოვრების მკაცრ პირობებს შეჩვეული მონღოლი მოლაშქრეები ადვილად იტანდნენ ყოველგვარ გაჭირვებასა და სიძნელეს. ისინი შესანიშნავი მხედრები და მოისარნი იყვნენ და ბრძოლის ველზეც უმაგალითო თავდადებით იბრძოდნენ. ამიტომ იყო, რომ უფრო განვითარებული და მაღალკულტურული ქვეყნებიც კი ვერაფერს ახერხებდნენ მათ წინააღმდეგ. ფუფუნებას შეჩვეული, განებივრებული და ურთიერთმოქიშპე ფეოდალები ბრძოლის ველზე სისტემატურად მარცხდებოდნენ მონღოლებთან. თათარ-მონღოლებმა გაანადგურეს მაშინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო ჩინეთის იმპერია, დაიპყრეს ხორეზმის სამეფო შუა აზიაში და დაგეგმეს უფრო დასავლეთით მდებარე ქვეყნების, მათ შორის საქართველოს დაპყრობაც.

3. ჯალალ ედ-დინის ლაშქრობანი საქართველოში. ხორეზმშაჰის მემკვიდრე ჯალალ ედ-დინი მონღოლებს გამოექცა ირანში და აქ შეუდგა მონღოლთა წინააღმდეგ ძალების შეგროვებას. მაგრამ მან წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა, როდესაც მიზნად დაისახა პირველ რიგში საქართველოს დაპყრობა და მის წინააღმდეგ მაჰმადიანი მბრძანებლების დარაზმვას შეუდგა.

1222 წლიდან საქართველოში უკვე ლაშა-გიორგის დარუსუდანი მეფობდა (1222-1245 წწ.). მის დროს კიდევ უფრო გაიზარდა დიდგვაროვანთა გავლენა საქართველოს სამეფო კარზე და მეტისმეტად შესუსტდა მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლება. ამ ამბის უარყოფითმა შედეგებმა აშკარად იჩინა თავი როგორც ჯალალ ედ-დინთან, ისე მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯალალ ედ-დინმა ისარგებლა საქართველოს დიდგვაროვანთა შორის არსებული წინააღმდეგობებით, რაც სარდლობის შეუთანხმებელ მოქმედებაშიც თვალნათლივ გამოჩნდა და 1225 წლის ნოემბერში ქართველთა ჯარი დაამარცხა გარნისთან (სომხეთშია), ხოლო შემდეგ წელს ღალატით თბილისიც აიღო.

ჯალალ ედ-დინის ბრბოებმა წარმოუდგენელი სისასტიკე გამოიჩინეს საქართველოს ქრისტიანი მოსახლეობის მიმართ, ათიათასობით ადამიანი ამოხოცეს, გაძარცვეს, გაანადგურეს ქალაქები და სოფლები, დაანგრიეს კულტურის შესანიშნავი

ძეგლები (იხ. დოკ. 3). დამპყრობელთა თარეში საქართველოში 5 წელზე მეტხანს გაგრძელდა. მართალია, ჯალალ ედ-დინმა საქართველო საბოლოოდ ვერ დაიმორჩილა, მაგრამ ჩვენი ქვეყანა სასტიკად დააზიანა და ფაქტობრივად მონღოლებს საქართველოსა და მთელი წინა აზიის დაპყრობა გაუადვილა.

4. საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ. ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ ვერ მოეშუშებინა ჯალალ ედ-დინის მიერ მიყენებული ჭრილობები, რომ 1235 წ. მის საზღვრებთან უკვე ქვეყნის დასაპყრობად დაძრული მონღოლთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი გამოჩნდა. საქართველოს ხელმძღვანელობაში კვლავ დაბნეულობა და შეუთანხმებლობა იგრძნობოდა. მეფე რუსუდანი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალები მონღოლებთან შეთანხმებისა და უბრძოლველად დამორჩილების გზას დაადგნენ. მტერს მხოლოდ სამცხის მთავარი ივანე-ყვარყვარე ჯაყელ-ციხის-ჯვარელი არ დაემორჩილა და ბოლომდე იბრძოდა.

15. ჯალალ ედ-დინის შემოსევები და საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ


ქალაქი
დედაქალაქი
ციხე
დუმანთა საზღვრები
ბრძოლა
საქართველოს სამხრეთ საზღვარი XIII ს-ის 50-იან წლებში
მონღოლთა ლაშქრობა 1220-1221 წ.
ჯალალ-ედ-დინის ლაშქრობა
მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობა 1235-1242 წ.
ბალეთი
ბოლოკანი
ბოლოქანი
ბოლოქანი
ბოლოქ

ჩინგიზ-ყაენი. ჩინური გრავიურა ხეზე.

მონღოლთა მიერ ციხე-ქალაქის აღება. ძველი სპარსული მინიატურა.

მონღოლებს მაინც გაუჭირდათ საქართველოს დაპყრობა, რადგან ქართველი ხალხი, მშრომელი მოსახლეობა თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდა და უბრძოლველად არ ანებებდა მშობლიურ მიწა-წყალს. დიდგვაროვანთა გამცემლობის მიუხედავად მონღოლებს 7 წელიწადი დასჭირდათ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს დასაპყრობად. მათ დასავლეთ საქართველოში ფეხი ვერ შედგეს და ბოლოს იძულებულნი გახდნენ საქართველოს სამეფო კართან მშვიდობიან მორიგებაზე დათანხმებულიყვნენ. დაზავების პირობის მიხედვით მონღოლები საქართველოში მეფობასა და ადგილობრივ მმართველობას არ გააუქმებდნენ. ისინი საქართველოს მხოლოდ ხარკს (50 000 პერპერა[1]) და ჯარის გამოყვანას ავალებდნენ. ამავე დროს სამეფო ტახტზე ყოველი ახლადასული მეფეც მათ უნდა დაემტკიცებინათ.

5. მონღოლთა ბატონობის I პერიოდი საქართველოში. ცოტნე დადიანის გმირობა. რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ

---

[1] პ ე რ პ ე რ ა ოქროს ფულია.



 კოტტასთავის ციხე. რეკონსტრუქცია.

(1245 წ.), ვიდრე ახალ მეფეს დაამტკიცებდნენ, მონღოლებმა საქართველო თავიანთი წესის მიხედვით საგამგებლო ერთეულებად — დ უ მ ნ ე ბ ა დ[1] დაყვეს. მართალია, ამ დუმნების სათავეში ქართველი ფეოდალები ჩააყენეს, მაგრამ მაინც აშკარა იყო, რომ ამით ქართულ სახელმწიფოებრიობას და ქართულ ფეოდალურ წყობილებას გადაშენების საფრთხე ემუქრებოდა. ამას თვით მონღოლთა სამსახურში ჩამდგარი ქართველი დიდგვაროვნებიც მალე მიხვდნენ და აჯანყებისათვის სამზადისს შეუდგნენ.

ქართველი დიდგვაროვანი თავკაცები ჯავახეთში შეიკრიბნენ, კ ო ტ ტ ა ს თ ა ვ ს (ასპინძასთან) და დაიწყეს ბჭობა მონღოლთა წინააღმდეგ ერთიანი გამოსვლის მოსაწყობად. შეთქმულება მოღალატემ გასცა. მონღოლები შეთქმულებს მოულოდნელად თავს დაესხნენ და დააპატიმრეს. გადარჩა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ორი დიდებული — ც ო ტ ნ ე დ ა დ ი ა ნ ი და კ ა ხ ა ბ ე რ კ ა ხ ა ბ ე რ ი ს ძ ე, რომლებიც ადრევე წასულიყნენ თავიანთ საგამგებლო ქვეყნებში ჯარის შესაგროვებლად.

შეპყრობილი ქართველი თავკაცები ანისში მიჰგვარეს მონღოლთა სარდლებს და იქ დაკითხვა და წამება დაუწყეს. ქართველი დიდებულები ერთპირად იდგნენ და თავიანთი შეკრების ნამდვილ მიზეზს არ აცხადებდნენ. მონღოლთა სარდლის ბრძანებით შეთქმულები გამოტეხის მიზნით გააშიშვლეს და მხრებშეკრულები უპატიოდ დაყარეს მცხუნვარე მზის ქვეშ. ასე გრძელდებოდა მრავალი დღის განმავლობაში. მათ არაადამიანური წამებით სიკვდილი მოელოდათ. როდესაც ეს ამბავი ც ო ტ ნ ე დ ა დ ი ა ნ მ ა გაიგო, მან თავისი თანამემამულეების გადარჩენა გადაწყვიტა. იგი 2 მსახურის ამარა გამოცხადდა მონღოლთა სარდლებთან, უბრძანა მხლებლებს მისთვისაც მხრები შეეკრათ და წამებული ამხანაგების გვერდით დაჯდა. გაკვირვებულმა მონღოლებმა როდესაც ჰკითხეს ამ საქციელის მიზეზი, ცოტნემ უპასუხა, რომ რადგან თქვენ „უბრალოდ“ შეურაცხყოფთ და სჯით ჩემს ამხანაგებს, რომლებსაც „თვინიერ ჩემსა არა რა უქმნიეს, მეცა მათ თანა მოვკვდე. უკეთუ ცხოვნდნენ, მეც მათ თანა ვიყოო“. მონღოლები გაოცებულან ცოტნეს თავდადებით, მათ დაიჯერეს ქართველი თავკაცების უდანაშაულობა და ყველანი გაანთავისუფლეს.

ცოტნეს თავდადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მის თანამედროვეებზე. იმდროინდელი ჟამთააღმწერლის სიტყვით,

---

[1] დ უ მ ა ნ ი მონღოლური სიტყვაა და 10 000-ს ნიშნავს.

დადიანის მოქმედება იყო „სათნოება მაღალი და განსათქმელი, საქმე საკვირველი და ყოველისა ქებისა ღირსი“. ქართველ საზოგადოებას ჯერ კიდევ თვალწინ ჰქონდა არაერთი მაგალითი საქართველოს დიდებულთა მიერ ქვეყნის ღალატისა და თავის გადარჩენის მიზნით დამპყრობელთა მხარეზე გადასვლისა. ეს თითქოს ფეოდალისათვის არც თუ ისე საძრახისი გახდა, მაგრამ **ცოტნეს თავდადებით და ამ ფაქტის წარმოჩენით ქართველი პატრიოტები მოუწოდებდნენ ყველას მონღოლთა წინააღმდეგ და სამშობლოს განთავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლისაკენ.**

კითხვები

1. როგორი იყო ლაშა-გიორგის საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება? მისი დამოკიდებულება დიდგვაროვან ფეოდალებთან? 2. შუა საუუნეების ისტორიიდან გაიხსენეთ როდის წარმოიშვა დასავლეთ ევროპაში ჰუმანისტური მოძრაობა და რა მნიშვნელობა ჰქონდა მას კაცობრიობის განვითარებაში? 3. რა შედეგები მოჰყვა ჯალალ ედ-დინის ლაშქრობებს? 4. რა იყო მონღოლთა გამარჯვებების ძირითადი მიზეზები? 5. შეადარეთ შშრომელი მოსახლეობის მოქმედება დიდგვაროვანთა დიდი ნაწილის მოქმედებასთან მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის დროს. 6. რა პირობებით დაექვემდებარა საქართველო მონღოლებს? 7. რა მნიშვნელობა ჰქონდა ცოტნე დადიანის თავდადებას?

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

1. ნაწყვეტი ფრანგი ჯვაროსანი რაინდის დე-ბუას მიერ აღმოსავლეთიდან საფრანგეთში, ბეზანსონის არქიეპისკოპოსისათვის გაგზავნილი წერილიდან

„ეხლა მოისმინეთ გასაოცარი და მნიშვნელოვანი ახალი ცნობები... იბერიელი ქრისტიანების, რომელნიც გეორგენებად[1] იწოდებიან, დიდძალმა ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა, ღვთის შემწეობით აღფრთოვანებულმა და ძალზე კარგად შეიარაღებულმა, გამოილაშქრა ურწმუნო წარმართების წინააღმდეგ, სწრაფად დაჰკრა მათ და უკვე აიღო 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, რომელთაგან ძლიერნი დაიპყრო, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქცია... ზემოაღნიშნული ჯარი მოეშურება, რათა გაათავისუფლოს იერუსალიმის წმინდა მიწა-წყალი და დაიპყროს წარმართთა მთელი სამყარო. მათი წარჩინებული მეფე 16 წლის ჭაბუკია. იგი ალექსანდრე მაკედონელს ჰგავს ვაჟკაცობითა და სათნოებით, მაგრამ არა სარწმუნოებით. ამ ჭაბუკს თან მოაქვს ძვლები თავისი დედისა, უძლიერესი მეფის თამარისა, რომელსაც თავის დროზე იერუსალიმს წამოსვლის აღთქმა დაუდვია და უთხოვნია შვილისათვის, თუ აღთქმის

---

[1] ამ დროიდან ევროპელები ქართველებს „გეორგენებს“ უწოდებენ (ახალი ფრანგულით გამოითქმის „ჟორჟიენ“, ინგლისურით „ჯორჯიენ“, გერმანულით „გეორგიენ“), რაც „გეორგე“ ძირიდან მომდინარეობს. ეს ძირი ქართველების სპარსულ-არაბული სახელწოდებიდან (გურგ. გურჯ) არის მიღებული.

ასრულება არ დამცალდეს, ჩემი ძვლები ქრისტეს საფლავზე წაიღეო. შვილს არ დავიწყებია დედის თხოვნა და... გადაუწყვეტია წმინდა ქალაქში გადმოიტანოს დედის ნეშტი, მიუხედავად იმისა, მოისურვებენ ამას წარმართები თუ არა".

კითხვა

როგორი წარმოდგენა ჰქონიათ დასავლეთ ევროპაში ლაშა-გიორგის დროინდელ საქართველოზე და რამდენად შეესაბამებოდა იგი სინამდვილეს?

2. ნაწყვეტი რუსუდან მეფის წერილიდან, რომელიც მან გაუგზავნა რომის პაპს ჰონორიუს მესამეს 1223 წელს

„ვაუწყებთ თქვენს სიწმინდეს, რომ ძმა ჩემი ქართველთა მეფე (ლაშა-გიორგი) მიიცვალა და მისი სამეფო მე მერგო... დამიეტში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომ ჩემი ძმა წასულიყო ქრისტიანების შესაწევნელად. ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდეს ჩვენს ქვეყანაში. ეს იქნება თქვენც შეიტყეთ, დიდი უბედურება მიაყენეს ჩვენს ერსა და დაგვიხოცეს ექვსი ათასი კაცი. ჩვენ მათ არ ვუფრთხოდით, რადგან ქრისტიანები გვეგონა, მაგრამ როდესაც ვსცანით, რომ კარგი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინ შევკრიბეთ ყოველი ჩვენი ძალა და წინ აღვუდექით..."

კითხვები და დავალება

1. შუა საუკუნეების ისტორიიდან გაიხსენეთ ჯვაროსნების ლაშქრობათა ისტორია. 2. ვის დასახმარებლად აპირებდა ლაშა-გიორგი გალაშქრებას? 3. როგორ ხსნის მეფე რუსუდანი მონღოლებთან ქართველთა დამარცხების მიზეზს?

3. ქართველი მემატიანე ჯალალ ედ-დინის ბრბოების მიერ თბილისში დატრიალებული უბედურების შესახებ

„ესეოდენ მძვინვარედ იწყეს მოსრვად, ვითარ ჩჩვილნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან, და რომელსამე თუალნი წარსცვივდიან და რომელსამე ტვინი დაეთხიის და უკანის დედანი მოიკვლოდიან, ბერნი[1] უწყალოდ ფოლოცთა[2] შინა ცხენთა მიერ დაითრგუნვოდეს[3], ჰაბუკნი დაეკუეთებოდეს, სისხლისა მდინარენი დიოდეს... (ჯალალ ედ-დინმა) იწყო რღუევად[4] ეკლესიათა, ვიდრე საფუძველადმდე აღფხურა[5], რომლისათვის იკადრა და ხელ-ყო სიონისა გუმბადსა შემუსრვად[6] და ზედა ბილწისა საჯდომისა მისისა აღშენებად... და ესეცა შესძინა, რამეთუ ხატი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ყოვლად წმინდისა ღმრთისმშობლისა, რომელი სიონს მკვიდრ იყო, ბრძანა მოყვანებად და ხიდისა შესავალსა დადებად პირაღმართ და ბრძანა ყოველთა მათ პყრობილთა[7] ქრისტიანეთა იძულებით დათრგუნვა[8] პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა, უკეთუ არა ჰყონ, წარკუ-

---

[1] მოხუცნი. [2] ფ ო ლ ო ც ი — ქვაფენილი. [3] გაითელებოდნენ. [4] დაშლა-დანგრევა. [5] მოსპობა. [6] აქ — მონგრევა. [7] დატყვევებულთა. [8] გათელვა.

ეთა თავთა. და ვითარ აღასრულებდეს ბრძანებულსა ამას, მოჰყვანდეს მამაკაცნი დედათა თანა და აიძულებდეს ესრეთ ყოფად. მრავალთა უკუე ბრწყინვალე ძლევა აჩვენეს არა თავს-დებად შეურაცხებად წმიდათა ხატთა და დატეევებად სჯულისა. ხოლო მრავალი სიმრავლე მამათა და დედათა იპოვა ახოვნად[1], რომელთა მიიღეს გვირგვინი წამებისა, რომლისა აღრაცხვა შეუძლებელ არს სიმრავლისათვის, რამეთუ ვჰგონებ, ვითარმედ ათ ბევრ[2] აღიწია რიცხვი მოკლულთა".

კითხვები და დავალება

1. რამდენი მცხოვრები ამოხოცა ჯალალ ედ-დინმა თბილისში? 2. როგორი ქალაქი ყოფილა თბილისი? 3. აღწერეთ ჯალალ ედ-დინის მიერ თბილისში ჩადენილი სისასტიკე.

§ 21. ქართველი ხალხის ბრძოლა თათარ-მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ.

1. ორმეფობა საქართველოში. თათარ-მონღოლთა ბატონობა ყოველწლიურად სულ უფრო მძიმე და აუტანელი ხდებოდა. თავიანთი ბატონობის უზრუნველსაყოფად მონღოლები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ქვეყნის შიგნით ფეოდალური გათიშულობა და ქართველ დიდგვაროვანთა შორის არსებული წინააღმდეგობა.

მონეტა დავით ულუსა და დავით ნარინის გამოსახულებით.

რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტზე ორი მემკვიდრე აცხადებდა პრეტენზიას. ესენი იყვნენ — დ ა ვ ი თ რ უ ს უ დ ა ნ ი ს ძ ე და ლაშა გიორგის უკანონო შვილი, რომელსაც ასევე დ ა ვ ი თ ი ერქვა. ამათ ირგვლივ დაჯგუფდნენ ქართველი დიდგვაროვანები. მონღოლებმა ორივე პრეტენდენტი დაამტკიცეს საქართველოს მეფედ. დ ა ვ ი თ გ ი ო რ გ ი ს ძ ე ს უფროსი, ანუ უ ლ უ უწოდეს, ხოლო დ ა ვ ი თ რ უ ს უ დ ა ნ ი ს ძ ე ს — უმცროსი, ანუ ნ ა რ ი ნ ი (იხ. დოკ. 1.). ამით დამპყრობლებმა იმის პირობა შექმნეს, რომ ყოველთვის ყოფილიყო ქართველთა შორის შინაგანი უთანხმოების საფუძველი. ამავე დროს წამოტივტივდნენ მონღოლთა სამსახურში ჩამდგარი სხვადასხვა მედროვენი, რომლებიც კარგად შეეგუენ უცხო ძალას და გამდიდრება და პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურება იწყეს. მონღოლები დაპყრობილი ქვეყნების მართვა-გამგეობის საქმეში ძირითადად ასეთ მედროვეებს ეყრდნობოდნენ, რადგან თვითონ სათანადო გამოცდილება და ცოდნა არ ჰქონდათ.

---

[1] ა ხ ო ვ ნ ა დ — მამაცურად, მტკიცედ. [2] ბ ე ვ რ ი — 10 000.

2. საქართველოს აღწერა მონღოლთა მიერ და მონღოლური ხაგადახახადო ხიხტემა. 1254 — 1256 წლებში მონღოლებმა მთელი საყაენო აღწერეს. ამ აღწერის მიზანი იყო გაერკვიათ, თუ რა რაოდენობით ჯარის გამოყვანა შეეძლოთ ამა თუ იმ ქვეყნიდან და განესაზღვრათ გადასახადების რაოდენობა. აღწერილ იქნა საქართველოც. ჩვენს ქვეყანას დაეკისრა 90 000 მოლაშქრის გამოყვანა, 9 სრულფუძიან გლეხზე ერთი მეომრის გამოყვანის ანგარიშით. ამავე დროს დაბეგრეს მეურნეობის ყველა დარგი, რაც კი რაიმე შემოსავალს იძლეოდა. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის (მ ა ლ ი ს) რაოდენობა მოსავლის მიხედვით განისაზღვრებოდა. გლეხი იხდიდა პირუტყვის ყოლისათვის საბალახე გადასახადს (ყ ა ფ ჩ ე რ ი). მასვე ევალებოდა სალაშქროდ მიმავალი მეომრის მომარაგება (ყ ა ლ ა ნ ი), გზების გაყვანა, მოვლა და სპეციალური სადგურების, იამების, ცხენებით მომარაგება (ს ა ი ა მ ე ბ ე გ ა რ ა), აგრეთვე ადგილებზე ჩაყენებული მონღოლი მოლაშქრეებისა და მოხელეების ულუფით უზრუნველყოფა და მრავალი სხვა. მონღოლებმა დააწესეს სავაჭრო გადასახადიც (დ ა მ ღ ა). ისედაც მძიმე გადასახადები გლეხებისათვის კიდევ უფრო აუტანელი ხდებოდა მათი აკრეფის სრული მოუწესრიგებლობის გამო. წერა-კითხვის და ანგარიშის უცოდინარი მონღოლები გადასახადების აკრეფას მედროვეებს ანდობდნენ, რომლებიც ამით სარგებლობდნენ და განუკითხავად ძარცვავდნენ მშრომელ მოსახლეობას. რა თქმა უნდა, ხელუხლებელი რჩებოდა ადგილობრივი ფეოდალური გადასახადები, ზოგი უფრო დამძიმდა კიდეც. მებატონეები თავიანთი შემცირებული შემოსავლის ანაზღაურებას გადასახადების გაზრდით ცდილობდნენ (იხ. დოკ. 2).

ამრიგად, ორმაგი ექსპლოატაცია გლეხის მდგომარეობას აუტანელს ხდიდა. მისთვის მეურნეობის წარმოება აზრს კარგავდა, ამიტომ იგი გარბოდა, ტოვებდა მამა-პაპეულ საცხოვრებელს და შედარებით მიუვალ ადგილებში აფარებდა თავს. ამით მწარმოებელი გლეხი ინტენსიურ მეურნეობას წყდებოდა, რაც ქვეყნის ეკონომიკას სრული განადგურებით ემუქრებოდა. გლეხებისაგან დაცლილი მამულები ფეოდალებსაც მძიმე ტვირთად აწვებოდა, რადგან მათ სამფლობელოზე დაწესებული გადასახადისათვის პასუხისმგებელნი მონღოლების წინაშე ისინი იყვნენ. ქართველმა აზნაურებმა მასობრივად იწყეს თავიანთი მამულების გაყიდვა, რომელიც ხელში უვარდებოდათ მედროვეებს. ფეოდალები იმითაც იყვნენ უკმაყოფილონი, რომ მათ გამუდმებით უხდებოდათ მონღოლთა შორეულ ლაშქრობებში მონაწილეობა, რაც აგრეთვე დიდ ხარჯსა და მსხვერპლს მოითხოვდა.

3. დავით ნარინისა და დავით ულუს აჯანყებანი მონღოლთა წინააღმდეგ. მონღოლთა ერთიანი იმპერია ჩინგიზ-ყაენის გარდაცვალების შემდეგ თანდათან დაიშალა მთელ რიგ საყაენოებად. საქართველოს სამხრეთით, ირანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ი ლ ხ ა ნ თ ა[1] მონღოლური სახელმწიფო, რომლის პირველი ყაენი იყო ჩინგიზის შვილიშვილი ჰ უ ლ ა გ უ. საქართველო უშუალოდ ამ საყაენოს ემორჩილებოდა. ჰულაგუ ყაენი განაგრძობდა დაპყრობით ბრძოლებს და ქართველებიც ძალაუნებურად ამ ბრძოლებში იღებდნენ მონაწილეობას. რა თქმა უნდა, ეს დიდ მსხვერპლს და მატერიალურ ზარალს იწვევდა. ჰულაგუმ ახალი გადასახადებით დაბეგრა დაპყრობილი ქვეყნები. ამით მის წინააღმდეგ უკმაყოფილება კიდევ უფრო გაიზარდა.



დავით ნარინის პორტრეტი. გელათის ტაძრის ფრესკიდან.

1259 წ. საქართველოში იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც დავით ნარინი ხელმძღვანელობდა. ჰულაგუ ყაენმა დიდი ჯარი გამოგზავნა, მაგრამ აჯანყებულმა ქართველებმა ისინი დაამარცხეს. ამის შემდეგ ყაენმა საქართველოს წინააღმდეგ უფრო დიდი ჯარი დასძრა. დავით ნარინი მათთან შებრძოლებას მოერიდა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მონღოლებმა იმერეთში გადასვლა ვერ გაბედეს.

ამასობაში საქართველოში ახალი აჯანყება დაიწყო. ამ გამოსვლას საქართველოს მეორე მეფე დავით ულუ მეთაურობდა. დავით ულუს ქართველ დიდებულთა დიდმა ნაწილმა არ დაუჭირა მხარი. მის ბანაკში მხოლოდ სამცხის მთავარი ს ა რ გ ი ს ჯ ა ყ ე ლ ი დარჩა. პირველი ბრძოლა მონღოლებსა და დავით ულუს შორის გორის მიდამოებში მოხდა 1260 წლის დეკემბერში. მონღოლების მხარეზე ზოგიერთი ქართველი დიდგვაროვანიც კი იბრძოდა. როგორც ვხედავთ, მონღოლების მიერ ქართველი ფეოდალების დაქსაქსვის პოლიტიკამ თავისი შედეგი გამოიღო და ქართველი ხალხის ერთიანი გამოსვლა ამჯერად ვერ მოხერხდა. ამან განაპირობა ქართველების მარცხი. მონღოლებმა გაიმარჯვეს. დავით ულუმ და სარგის ჯაყელმა სამცხეში დაიხიეს. მონღოლებმა შემდეგ წელს ახალი ჯარი გამოგზავნეს, რომელიც სამცხეში შეიჭრა და საქართველოს ამ თემის უმოწყალო აოხრება იწყო. დავით ულუ იძულებული გახდა იმერეთში გადასულიყო.

ქართველთა აჯანყების დამარცხების მიუხედავად მონღოლები მაინც შეეცადნენ დავით ულუს შემორიგებას. ეს მოწმობს იმას, რომ ასეთი განადგურების მიუხედავად საქართველოს მაინც დიდი ძალა გააჩნდა და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონღოლებისათვის.

---

[1] ი ლ ხ ა ნ ი — ასე ეწოდებოდათ ამ მონღოლური სახელმწიფოს სათავეში მდგომ ყაენებს. ი ლ-ე ლ ი — მომთაბარე, მეჯოგე ტომი. ხ ა ნ ი — ყაენი.

მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც გაჩაღდა ბრძოლები ჩრდილოეთის მონღოლური სახელმწიფოს — ოქროს ურდოსა და ილხანების საყაენოს შორის.

1264 წლიდან ოქროს ურდოს ყაენებმა დაიწყეს შემოტევა ილხანების წინააღმდეგ, ძირითადად დარუბანდის გზით. საქართველო ამ გზის ახლოს მდებარეობდა, ამიტომ იმას, თუ ვის მხარეს დადგებოდა იგი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველო ამ ბრძოლების ასპარეზად იქცა. მაგალითად, 1265 წელს ოქროს ურდოს მონღოლთა ჯარებმა საშინლად გაანადგურეს იორსა და მტკვარს შორის მდებარე ტერიტორია. ეს ადგილები ამის შემდეგ უდაბნოდ იქცა. არაერთი ქართველი შეეწირა მონღოლებს შორის ატეხილ ბრძოლებს. ქართველებს ევალებოდათ სპეციალური გამაგრებული სანგრების (ს ი ბ ა) დაცვა. ბანაკად მდგარ მონღოლებში ხშირად იფეთქებდა ხოლმე ეპიდემიები, რაც ქართველებსაც არანაკლებად ანადგურებდა. ასეთი მოარული სენით გარდაიცვალა დავით ულუც 1270 წელს.

4. დემეტრე მეორე თავდადებული. მონღოლებმა საქართველოს მეფედ დავით ულუს 11 წლის ვაჟიშვილი დ ე მ ე ტ რ ე მ ე ო რ ე (1270 — 1289 წწ.) დაამტკიცეს და მას მეურვედ ყაენის ნდობით აღჭურვილი პირი ს ა დ უ ნ მ ა ნ კ ა ბ ე რ დ ე ლ ი დაუნიშნეს.

სადუნი ტიპური მედროვე იყო. მან გაიძვერობითა და მონღოლთა წინაშე მლიქვნელობით მხარგრძელთა ყმა-აზნაურობიდან საქართველოს ათაბაგობამდე მიაღწია. დემეტრეს მცირეწლოვნობის დროს ეს მედროვე ფაქტობრივად განაგებდა მთელ ქვეყანას და პირად სიმდიდრესაც განუზომლად ზრდიდა. მისი ასეთი აღზევება და უმსგავსო მოქმედება ქართველთა მოწინავე წრეებში დიდ აღშფოთებას იწვევდა, ამიტომ იყო, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ დემეტრემ ათაბაგობა მის შვილს ყუთლუ-ბუღას აღარ მისცა და ამით სადუნის მემკვიდრე საბოლოოდ გადაიმტერა.

მეტეხის ტაძარი თბილისში. აგებულია დემეტრე II დროს.

დემეტრე II სამფლობელო მხოლოდ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს მოიცავდა, დასავლეთ საქართველოში დავით ნარინი მეფობდა და მონღოლებს აღარ ემორჩილებოდა. სამცხე კი მონღოლებმა 1266 წლიდან ცალკე გამოყვეს და უშუალოდ ყაენს დაუქვემდებარეს. ამრიგად, დემეტრეს მხოლოდ ქართლ-კახეთი და სომხეთის ნაწილი ექვემდებარებოდა.

ახალგაზრდა მეფე ცდილობდა როგორმე გამოესწორებინა ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და შეემსუბუქებინა მონღოლთა მიერ ქართველი ხალხის ჩაგვრა. ამ საერთო გაჭირვების დროს მან მაინც შეძლო აეშენებინა მ ე ტ ე ხ ი ს შესანიშნავი ტაძარი, რომელიც დღესაც ამაყად გადმოჰყურებს ძველი თბილისის უბნებს მტკვრის მარცხენა მაღალი სანაპიროდან.

ქვეყნისათვის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით დემეტრე ყაენის კართან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა. მეფე ქართველთა ლაშქრით მონაწილეობდა მონღოლთა გაუთავებელ ლაშქრობებში, რომლებიც სულ უფრო ხშირად მარცხით მთავრდებოდა და ათასობით ქართველთა სიცოცხლეს იწირავდა.

XIII საუკუნის 80-იანი წლებიდან ილხანთა სახელმწიფო მუდმივმა შინაომებმა მოიცვა და საქართველოც ძალაუნებურად ამ ომებში იქნა ჩათრეული. ყაენების წინააღმდეგ არაერთი შეთქმულება მოეწყო, რასაც რეპრესიები და ურთიერთ ხოცვა-ჟლეტა მოსდევდა. დემეტრეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ა რ ღ უ ნ ყ ა ე ნ ი ს პირველ ვაზირთან — ბ უ ღ ა ს თ ა ნ, მაგრამ 1288 წ. ბუღას ყაენის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა დაბრალდა და სიკვდილით იქნა დასჯილი. დემეტრე მეფეც ყაენის კარზე დაიბარეს. იქ მის წინააღმდეგ ინტრიგის ქსელს ხლართავდა მასზე განაწყენებული გულბოროტი სადუნის ნაშიერი ჟულთუ-ბუღა. ამდენად, ყაენის კარზე დემეტრეს სიკვდილით დასჯა მოელოდა. თუ არ გამოცხადდებოდა, მონღოლები საქართველოს ერთიანად ააოხ-

16. საქართველო მონღოლთა მფლობელობის პერიოდში


ქალაქი
დედაქალაქი
ციხე
სხვა მნიშვნელოვანი პუნქტი
ლაშქრობა
სიბა
ბერქა ყაენის
(შაკი ზღვა)
ტრაპიზონი
ტრაპიზონის იმპერია
ბაღდადი
ალეფი
ალეფი
ალეფ

რებდნენ და აი, დემეტრემ გადაწყვიტა თავი გაეწირა და სამშობლოსთვის აეცილებინა მოსალოდნელი უბედურება. როგორც ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, დემეტრესთვის დარბაზს ერთხმად ურჩევია მთიულეთისათვის შეეფარებინა თავი, მაგრამ საქართველოს მეფე ამაზე არ დათანხმდა და თავისი ნებით გამოცხადდა მონღოლთა ყაენთან. **მონღოლებმა დემეტრე II 1289 წლის 12 მარტს სიკვდილით დასაჯეს, მადლიერმა შთამომავლობამ კი ქვეყნისათვის თავგანწირულ მეფეს თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი უწოდა და მისი სახელი დიდი სიყვარულით შემოსა** (იხ. დოკ. 3).

5. სახალხო აჯანყება მონღოლთა წინააღმდეგ XIII საუკუნის ბოლოს. XIII საუკუნის ბოლოსათვის სამხედრო ძალადობაზე დამყარებული მონღოლთა სახელმწიფო დაცემას იწყებს. მონღოლებმა რეფორმების გატარებით და გადასახადების მოწესრიგებით სცადეს მდგომარეობის გამოსწორება. მათ სარწმუნოებაც კი შეიცვალეს და სახელმწიფო რელიგიად ისლამი გამოაცხადეს. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, მათი სახელმწიფო დაშლა-დაქვეითების გზით მიექანებოდა. ასეთ ვითარებაში მონღოლებს აღარ დაემორჩილა და აჯანყდა საქართველოს მეფე დავით VIII დემეტრეს ძე. აჯანყება მრავალ წელს გრძელდებოდა. დავით VIII-ის დასამორჩილებლად ყაენი სხვადასხვა გზას მიმართავდა. ხან მოლაპარაკებას აწარმოებდა მეფესთან და მშვიდობას ჰპირდებოდა, ხან აჯანყებულის საპირისპიროდ საქართველოს მეფეებად მის ძმებს სვამდა და ძლიერი ფეოდალების გადაბირებას ცდილობდა. მაგრამ მონღოლებმა მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს, რადგან მეფეს ერთგულად უჭერდა მხარს უბრალო ხალხი. მართალია,ამჯერად მონღოლთა ბატონობისაგან ქვეყნის საბოლოო განთავისუფლება ვერ მოხერხდა, მაგრამ აჯანყებულთა თავდადებულმა ბრძოლებმა მნიშვნელოვნად შეარყია უცხო ძალის ბატონობა საქართველოში.

კითხვები და დავალება

1. როგორ წარმოიქმნა ორმეფობა საქართველოში? რატომ იყვნენ მონღოლები დაინტერესებულნი, რომ საქართველოს შიგნით განხეთქილება ყოფილიყო? 2. რა მიზანს ისახავდა მონღოლთა მიერ ჩატარებული აღწერა? 3. გამოიანგარიშეთ რამდენი მცხოვრები ყოფილა მონღოლთა გაბატონების პერიოდისათვის საქართველოში, თუ თითო კომლზე დაახლოებით 5 სულს ვიგულისხმებთ? 4. რა გადასახადები შემოიღეს მონღოლებმა საქართველოს აღწერის შემდეგ და როგორი იყო ამ გადასახადების აკრეფის წესი? 5. რატომ დამარცხდა საქართველოს მეფეთა აჯანყებანი მონღოლთა წინააღმდეგ და რა შედეგები მოჰყვა ამ აჯანყებებს? 6. როგორ აფასებდნენ მეფე დემეტრე II თავდადებას მისი თანა-

მედროვენი და როგორ აფასებს მას შთამომავლობა? 7. რა მნიშვნელობა ჰქონდა მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის გაძლიერებას XIII საუკუნის ბოლოს?

დოკუმენტები

1. რომის პაპის ელჩი პლანო კარპინი, რომელიც 1246 წ. ჩავიდა მონღოლთა საყაენოში, გადმოგვცემს

„ჩვენ ყაენის კარზე ვნახეთ რუსეთის დიდი მთავარი, კეთილშობილი იაროსლავი[1], აგრეთვე გეორგიის (ე.ი. საქართველოს) მეფის და დედოფლის ვაჟები... ერთი მათგანი (დავით მეფე ანუ) მელიქი[2] (რუსუდან დედოფლის) კანონიერი (ძე) იყო. ხოლო მეორე (ლაშა გიორგის ძე) დავითი გაჩნდა როგორც მრუშობის ნაყოფი. ამ უკანონო ვაჟს მამამისმა თავისი სამფლობელოს დიდი ნაწილი დაუტოვა. მეორე (ე.ი. დავით რუსუდანის ძე), რომელიც უფრო ახალგაზრდა იყო, ითხოვდა, რომ მისთვის დაებრუნებინათ მამის მიერ დავითისათვის (ლაშა გიორგის ძისთვის) დატოვებული მამული, ვინაიდან, მისი სიტყვით, ის უკანონო შვილი იყო და არ შეეძლო მისი ფლობა. დავითი კი უპასუხებდა: თუმცა მე ხასის შვილი ვარ, მაგრამ სამართალს ვთხოულობ თათრების კანონის მიხედვით, რომელიც არავითარ განსხვავებას არ ხედავს კანონიერი ცოლისა და მხევლის მიერ დაბადებულ ვაჟებს შორისო. ამიტომ ეს საქმე კანონიერი ვაჟის (დავით რუსუდანის ძის) წინააღმდეგ გადაწყდა: ის დავითს (ლაშა გიორგის ძეს) დაუმორჩილეს, როგორც უფროსს“.

კითხვა და დავალება

1. რას მოგვითხრობს პლანო კარპინი რუსი მთავრის და ქართველი უფლისწულების ყაენის კარზე ყოფნის შესახებ? 2. შეადარეთ საქართველოს მდგომარეობა მონღოლთა ბატონობის ვითარებაში რუსეთის სამთავროების მდგომარეობას.

2. XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკელი მონღოლების მიერ ჩატარებული აღწერისა და გადასახადების გაწერის შესახებ

„ისინი (ე.ი. მოსახლეობის აღმწერი მოხელეები), მიიღეს რა ეს ბრძანება (აღწერის ჩატარების შესახებ), გავიდნენ მთელს ქვეყანაში ამის აღსასრულებლად. მიაღწიეს აგრეთვე სომეხთა, ქართველთა და ალვანთა ქვეყნებში და აგრეთვე მათ ირგვლივ მდებარე მხარეებს და, ათი წლის ასაკიდან დაწყებული ყველა შეიტანეს აღრიცხვის წიგნებში, გარდა ქალებისა. ყველასაგან მოითხოვდნენ უმძიმეს ხარკს, რაც აღემატებოდა ადამიანთა ძალას, იწყეს გაღატაკება. ავიწროებდნენ წარმოუდგენელი წამებით, ტანჯვითა და მარწუხებით. ვინც იმალებოდა, იქერდნენ და ჰკლავდ-

---

[1] იაროსლავ ვსევოლოდის ძე (მამა ალექსანდრე ნეველისა), ვლადიმირის დიდი მთავარი იყო 1238 წლიდან. 1246 წ. იგი მონღოლებმა ყაენის კარზე მიიწვიეს და იქ მოწამლეს.

[2] მელიქი არაბულად მეფეს ნიშნავს.

ნენ, ვინც ვერ გადაიხდიდა თავის ხარკს, მას ბავშვებს ართმევდნეხ ვალში...

მთავრებიც, მხარეთა მფლობელები, მათი თანამონაწილე შეიქმნენ შევიწროებასა და (ხარკის) მოთხოვნაში, თავიანთი ინტერესებისათვის. ეს არ იკმარეს, არამედ ყველა ხელოსანს, ქალაქად და სოფლად, ხარკი დაადვეს. ასევე მეთევზეებს ზღვებსა და ტბებზე, მაღაროებს, მჭედლებსა და, რა საჭიროა დაწვრილებით ოქმა, ყველა კარი შემოსავლისა დახშეს ადამიანთათვის და მხოლოდ თვითონ სარგებლობდნენ. მარილის ყველა საბადოს შემოსავალი წაიღეს. ვაჭრებისაგანაც მრავალი ქონება წაიღეს, დააგროვეს [illegible]ძალი განძი ოქროსი. ვერცხლისა და პატიოსან თვალთა. ყველა შეიავიწროეს, ვაითა და ტყვეებით აავსეს ქვეყანა. დაუტოვეს ბოროტი ოსტიკანები' ქვეყნებს, რათა მოეთხოვათ ყოველწლიურად ხარკი იმავე ოდენობითა და წიგნით.

ხოლო ეკლესიის მსახურთაგან არ იღებდნენ არავითარ ხარკს, რადგან არ ჰქონდათ ბრძანება ყაენისა".

დავალებები

1. აღწერეთ საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობა მონღოლთა მიერ ქვეყნის აღწერისა და ახალი გადასახადების შემოღების შემდეგ. 2. დაახასიათეთ რა შედეგები მოუტანა საქართველოს მონღოლთა ასეთმა საგადასახადო სისტემამ.

3. XIV ს. ქართველი ისტორიკოსი ყამთააღმწერელი დემეტრე თავდადებულის ყაენის კარზე ხმობის შესახებ

„წარმოავლინა[2] ელჩი მეფისად მხმობელმან[3] ყაენმან, და აწვია[4] ურდოსა[5] მეფე. ხოლო ვითარ ცნა[6] სიკუდილი ბუღასი მეფემან, დაუმძიმდა[7] დიდად. და მოუწოდა[8] მეფემან კათალიკოსსა აბრაჰამს და ეპისკოპოსთა... და ყოველთა მთავართა სამეფოსა მისისათა. შემოკრბეს[9] მის წინაშე, დაჯდა ტახტსა ზედა დასხდეს ყოველნი დიდებულნი თვისთვისად, და აღაღო მეფემან პირი თვისი და ბრძანა: „...აწ განრისხებულ არს ყაენი, და ყოველი მთავარი მისი მოუწყუედიან[10], და აწ მე მიწოდს[11] წინაშე მისსა. ვგონებ ბოროტისა ყოფასა ჩემთვის, თუ არ წავიდე ურდოსა და წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა, და დავიცვა თავი ჩემი, და აჰა ყოველი სამეფო ჩემი წინაშე მათსა ძეს, იხილეთ რავდენი სული ქრისტიანე სიკუდილსა მიეცემის და ტყუე იქმნების, და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოხრდებიან, ხატნი და ჯუარნი დაიმუსვრიან. და უკეთუ წარვიდე ყაენის წინაშე, დასტურობით[12] უწყი[13] მომკლავს... მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა, და არ დავიშლი ურდოს წასვლას".

---

[1] ოსტაკინები — ხარკის ამკრეფი მოხელეები. [2] გამოგზავნა. [3] დამძახებელმა, მიმხმობმა. [4] მიიწვია. [5] ყაენის კარზე. [6] გაიგო. [7] ეწყინა. [8] მიიხმო. [9] შემოიკრიბნენ. [10] ამოუწყვეტია. [11] მიხმობს, [12] დანამდვილებით. [13] ვიცი.

კითხვა და დავალება

1. რა მნიშვნელობა ჰქონდა დემეტრე მეფის თავდადების მაგალითს ქართველი საზოგადოებისათვის? 2. ძველი ქართველი ისტორიკოსის ყამთააღმწერელის მონათხრობის მიხედვით უფრო სრულად აღწერეთ (გადმოეცით) დემეტრე თავდადებულის ქვეყნისთვის თავგანწირვის ამბავი.

§ 22. საქართველოს განთავისუფლება მონღოლთა ბატონობისაგან. გიორგი ბრწყინვალე

1. მონღოლთა ბატონობის შედეგები. მონღოლთა მრავალწლიანმა ბატონობამ მეტად მძიმე შედეგები მოუტანა ჩვენს ქვეყანას. როგორც დავინახეთ, მონღოლთა ბატონობის პერიოდში თითქმის არ შეწყვეტილა ქართველი ხალხის ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ, რასაც რეპრესიები, ქვეყნის რბევა-აოხრება და მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოსდევდა. დიდი მსხვერპლი გაიღო ქართველმა მოსახლეობამ მონღოლთა გამუდმებულ ლაშქრობებში ძალდატანებითი მონაწილეობისას, ქვეყანა ნადგურდებოდა ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის ბრძოლის დროსაც, ათასობით საქართველოს მკვიდრი შეეწირა მონღოლთა მიერ შემოტახილ სხვადასხვა ეპიდემიას. ისე რომ, მონღოლთა ბატონობის ბოლოსათვის საქართველოს მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა. გავერანდა სოფლები და ქალაქები, მოიშალა რთული სარწყავი ნაგებობანი, განადგურდა კულტურულ-სამეურნეო ცენტრები. მონღოლთა საგადასახადო სისტემამ ძირს დასცა ფეოდალური ქვეყნის ეკონომიკა, უზომო გადასახადებით წელგაწყვეტილი გლეხობა მასობრივად გარბოდა თავისი მამა-პაპეული ადგილებიდან და ინტენსიურ მეურნეობას წყდებოდა. ფეოდალთა დიდმა ნაწილმა დაკარგა თავისი ძლიერების ეკონომიკური საფუძველი—მიწა-ძამული, რომელიც ძედროვეებს და გადაძთიელებს უვაოდებოდათ ხელთ.

უკიდურესად შესუსტდა საქართველოს მეფის პოლიტიკური ხელისუფლება. მონღოლები ნებას არ აძლევდნენ მეფეს, რომ დაესაჯა ან გადაეყენებინა ურჩი ერისთავები თუ სხვა დიდმოხელენი. ამით დიდგვაროვნულმა რეაქციამ ფართოდ გაშალა ფრთები. მოიძალა ქართული სახელმწიფოებრივი წყობილება. ბზარი გაუჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთიანობას. დასავლეთ საქართველო დავით ნარინის აჯანყების შემდეგ დამოუკიდებელ სამეფოდ გამოეყო. ცალკე ერთეულად გამოეყო სამცხეც, რომელიც უშუალოდ ყაენმა დაიქვემდებარა, ხოლო XIII საუკუნის ბოლოს აჯანყებული დავით VIII-ის საპირისპიროდ მონღოლებმა საქართ-

ველოს ტახტზე მისი უმცროსი ძმები — ვახტანგი და გიორგი დასავლეთ მეფეებად. ამგვარად, ერთსა და იმავე დროს მარტო აღმოსავლეთ საქართველოში სამი მეფე აღმოჩნდა სამეფო ტახტზე. ცალკე მეფე იყო დასავლეთ საქართველოში და ცალკე მმართველი სამცხეში.

გამწვავდა მთისა და ბარის ურთიერთობა. ამიერ და იმიერ კავკასიის მთის მოსახლეობამ, რომელიც ადრე საქართველოს ძლიერი მეფის ხელისუფლების მორჩილების ქვეშ იყო მოქცეული, მონღოლთა წაქეზებით ურჩობა იწყო. მთიელებმა ამოხოცეს ან გამოაძევეს მეფის მოხელეები და ეკლესიის მსახურნი. ბოლოს ბეტეგაზეც გადმოვიდნენ. ქვეყნის ძირძველ ადგილმამულებით ისარგებლეს იმიერკავკასიაში მცხოვრებმა ალან-ოსებმა და დაიწყეს გამუდმებული თავდასხმები შიდა ქართლზე. ისინი გამუდმებით არბევდნენ ქართლის მშვიდობიან სოფლებს. მათ თვით ქალაქი გორიც კი დაიკავეს.

[დიდად დაქვეითდა ქართული კულტურაც. ფაქტობრივად შეწყდა ქართული მეცნიერებისა და მწიგნობრობის განვითარება. ქართველებშიც უკულტურო მონღოლების წესებმა გაიდგა ფესვები. ამგვარად, მონღოლთა ბატონობის შედეგად მკვეთრად შეფერხდა ფეოდალური საქართველოს ნორმალური განვითარება საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში.]

2. გიორგი V-ის ურთიერთობა მონღოლებთან და ქვეყნის გაერთიანება. XIV საუკუნის დასაწყისში მონღოლთა საყაენოს დაქვეითება-დასუსტების მიუხედავად ჯერ კიდევ შესწევდა საკმაო ძალა, რომ საქართველო იძულებით მორჩილებაში ჰყოლოდა.

ქართველმა პოლიტიკოსებმა შეცვალეს მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები და ქვეყნის განთავისუფლების ახალი გეგმა შეიმუშავეს. ამ მხრივ აღსანიშნავია მეფე გ ი ო რ გ ი V დ ი მ ი ტ რ ი ს ძ ი ს (1314 — 1346 წწ.) მოღვაწეობა. პირველ რიგში, საჭირო იყო ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა. საამისოდ გიორგი მეფემ თვით მონღოლების გამოყენება სცადა და თავისი მოღვაწეობა მათდამი ერთგული სამსახურით დაიწყო. ქართლის აჯანყებებით თავმობეზრებული თათრები გიორგის ერთგულებას დიდად აფასებდნენ. საილხანოს შიგნით გაშლილი ბრძოლების დროს საქართველოს სამხედრო ძალას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყაენის კარისათვის, ამიტომ ისინი ძალაუნებურად საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერების წინააღმდეგნი აღარ იყვნენ. გიორგი V-ემ ურდოში დაიმეგობრა თათარი დიდკაცები, განსაკუთრებით პირველი ემირი ჩ ო ბ ა ნ ნ ო ი ნ ი, რომელიც ყაენის მცირეწლოვანების დროს საყაენოს ფაქტობრივი გან-

მგებელი იყო. ამის მეოხებით საქართველოს მეფემ მნიშვნელოვანი შეღავათები მოუპოვა თავის ქვეყანას. საქართველოში ხარკის აკრეფის საქმეს ამიერიდან თვითონ მეფე განაგებდა, და არა ურდოს ბასკაკი ან მოიჯარადრე მოხელე. ამავე დროს ყაენის კარისგან გიორგი მეფემ საქართველოს სხვადასხვა ნაწილის ერთ სამეფოდ გაერთიანების თანხმობა მიიღო. ხერხიანი მოქმედებით ადვილად შემოიერთა დასავლეთ საქართველო, კვლავ დაიქვემდებარა სამცხეც, სადაც დედის ხაზით მისი პაპა-ბიძები მთავრობდნენ, მტკიცე ხელით დაიმორჩილა სხვა გამდგარი მთავრები თუ ერისთავები და მკაცრი ზომებით აღკვეთა მათი თვითნებობა. ყოველივე ამის გამო მეფე გიოგის **„ბრწყინვალე“** ეწოდა.

გიორგი ბრწყინვალემ სცადა საქართველოს მთიანეთში ფეოდალური წესრიგის გახძტკიცება და ძოთარეძე გადაძთიელების გახდევნა. მან დიდი ბრძოლების შემდეგ აიღო ქ. გორი და მტკიცე ხელით აღკვეთა ოს მეკობრეთა თავაშვებულობა. ამავე დროს გიორგი V-ემ საქართველოს მთის მოსახლეობისათვის სპეციალური სამართლის წიგნი — „ძ ე გ ლ ი ს დ ე ბ ა“ შიადგინა (იხ. დოკ. 1).

17. საქართველოს ერთიანობის აღდგენა და მონღოლთა ბატონობისგან განთავისუფლება


ქალაქი
დედაქალაქი
ციხე
ეკლესია
სამთავროთა და საერისთაოთა საზღვრები
სხვა მნიშვნელოვანი პუნქტი
საქართველოს სამეფოს საზღვრები XIV ს-ის 50-იან წლებში
ოქროს ურდო
ბიზანტია
ტრაპიზონი
ბაღდადი
ერევანი
ბერძენთა ბოსფორი
(შავი ზღვა)
ბ ა ბ ი ლ ო ნ ი ა
ბ ა ბ ი ლ ო ნ ი ა
ბ ა ბ ი ლ ო ნ ი ა

გერგეტის სამების ტაძარი დაბა ყაზბეგთან (XIV ს. I ნახ.).

ქვეყნის გაერთიანებისა და განმტკიცების შემდეგ გიორგი ბრწყინვალე ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური წყობილების რესტავრაციას შეუდგა. აღადგინა მონღოლთა ბატონობამდელი მმართველობის სისტემა. ჩვენამდე მოღწეულია მის დროს შედგენილი „ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს კ ა რ ი ს გ ა რ ი გ ე ბ ა“, რომელშიც განსაზღვრულია მეფის კარის მოხელეების უფლება-მოვალეობანი და სხვადასხვა ცერემონიალის ჩატარების წესები. ამავე პერიოდში შეიქმნა და, როგორც ჩანს, მთელს საქართველოში მოქმედებდა სამართლის წიგნი: „წ ი გ ნ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს ა კ ა ცთ ა შ ე ც ო დ ე ბ ი ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ვ ე“, რომელიც შედგენილი იყო სამცხის მთავრის ბ ე ქ ა ს მიერ. უფრო გვიან ეს სამართლის წიგნი შეავსო ბექას შვილიშვილმა ა ღ ბ უ ღ ა მ, ამიტომ იგი ცნობილია **ბექა-აღბუღას სამართლის სახელწოდებით.**

მეფის ხელისუფლება ენერგიულ ღონისძიებებს ახორციელებს ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისათვის, ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის, ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას, აწესრიგებს საქალაქო ცხოვრებას.

8. საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა XIV საუკუნეში. გიორგი ბრწყინვალის მეფობის პერიოდში საქართველოში მონღოლთა ბატონობა თანდათანობით შესუსტდა, XIV საუკუ-

ნის 30-იანი წლებიდან კი ფაქტობრივად გადავარდა კიდეც. როდესაც ყაენმა ჩობან ნოინი მოაკვლევინა, საილხანოში შიდაფეოდალური ომები ატყდა. ამით ისარგებლა გიორგი მეფემ და გააძევა საქართველოში მდგარი მონღოლთა 10 000-იანი ლაშქარი.

დიდი წარმატებები მოიპოვა გიორგი ბრწყინვალემ საგარეოპოლიტიკურ ასპარეზზე. მან ურთიერთობა დაამყარა ილხანების მოწინააღმდეგე სახელმწიფოებთან — ოქროს ურდოსა და ეგვიპტის სასულთნოსთან. ეს სახელმწიფოებიც თავის მხრივ დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოსთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებით (იხ. დოკ. 2). ამიტომ იყო, რომ ეგვიპტის სულთანმა მთელი რიგი შეღავათები მიანიჭა იქ ჩასულ ქართველ ვაჭრებს თუ მლოცველ-მოგზაურებს, საქართველოს დაუბრუნა მაჰმადიანების მიერ მიტაცებული ეკლესია-მონასტრები. გიორგი ბრწყინვალემ კვლავ აღადგინა საქართველოს გავლენა ტრაპიზონის იმპერიაზე და ბიზანტიის მიმართაც აქტიური პოზიცია დაიკავა. საქართველოს ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა აქვს დამყარებული იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან: ვენეციასა და გენუასთან. ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას მოწმობს ის ფაქტიც, რომ კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსო ცენტრი ქალაქ სმირნადან თბილისში იქნა გადმოტანილი.

4. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა. მონღოლთა ბატონობის შესუსტება-გადავარდნამ ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე. მოსახლეობა განთავისუფლდა მონღოლთა ძალმომრეობის, მძიმე ხარკ-გადასახადებისა და სხვადასხვა იძულებითი შრომითი თუ სამხედრო ბეგარა-ვალდებულებისგან. ამან ხელი შეუწყო განადგურებული მეურნეობის აღდგენას, ინტენსიური დარგების (მებაღეობა-მეევნახეობის, სარწყავი მიწათმოქმედების და სხვ.) განვითარებას, გამოცოცხლდა ვაჭრობა-ხელოსნობა. არაერთი ქალაქი კვლავ აღდგა. განსაკუთრებით აყვავდა თბილისი, რომელიც ამ დროის ევროპულ წყაროებში დასახელებულია „მეტად შესანიშნავ, ხალხმრავალ, მარჯვე და მდიდარ ქალაქად". ამ დროის საქართველოში რამდენიმე ზარაფხანაა[1] დადასტურებული. თვითონ გიორგი მეხუთემ მონღოლური ფული თავისი საკუთარი მოჭრილი ვერცხლის ფულით შეცვალა, რომელსაც წყაროებში „გიორგაული თეთრი" ეწოდება. ქვეყნის ეკონომიკური მოღონიერება მეფის კარის გარეგნულ ბრწყინვალებასა და კომფორტშიც გამოჩნდა.

სოციალურ განვითარებაში ამ დროს მნიშვნელოვან ძვრებს აქვს

---

1 ზ ა რ ა ფ ხ ა ნ ა — ლითონის ფულის მოსაჭრელი დაწესებულება.



საფარისა და ზარზმის ტაძრები (სამცხე. XIII ს.).

ადგილი. გიორგი მეფემ დიდგვაროვან ფეოდალთა თვითნებობას შეაკვეცა ფრთები, მაგრამ ქვეყნის გადაყვანა განვითარების ძველ გზაზე, რომელსაც ქართული ფეოდალური საზოგადოება წინაბურჟუაზიული გარდაქმნებისკენ მიჰყავდა, უკვე შეუძლებელი იყო. დიდად დაკნინებული იყო ის პროგრესული ძალები (მოქალაქენი, მსახურეული აზნაურობა, თავისუფალი მიწისმოქმედი მოსახლეობა), რომლებსაც ამ მსვლელობაში წამყვანი როლი უნდა შეესრულებინათ. აზნაურთა ფეოდალური კლასი უკვე წოდებრივ ფენებად არის მკვეთრად გამიჯნული. მათ შორის უძლიერესნი — დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი თავიანთი საგამგებლო-სამფლობელოების ნახევრად დამოუკიდებელ საფეოდალოებად (სამთავროებად, სათავადოებად) გარდაქმნისკენ მიისწრაფვიან და სამეფო აზნაურების და გლეხების კვლავ დაუფლება-დაყმევებას ეშურებიან. გლეხობაც ერთიანად ბატონყმობის მძიმე უღელქვეშაა მოქცეული. ისინი,მართალია,განთავისუფლდნენ მონოოლოა სასარგებლოდ განწესებული გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან, მაგრამ ფეოდალები ამ გადასახადების ნაწილს, ამჯერად უკვე თავის სასარგებლოდ, მაინც ახდევინებდნენ. ქვეყანა თავის ძველ კეთილდღეობას, რომ დაბრუნებოდა, საჭირო იყო ხანგრძლივი ძვიდობიანი განვითარება. მაგრამ, სამწუხაროდ, მშვიდობა მაინც არ იყო მტკიცე. მონღოლთა ცალკეული ძარძანებლები ჩვენს ქვეყანას კვლავ თავს ესხმოდნენ, ხოლო XIV საუკუნის ბოლოს საქართველოს ახალი საშინელი მტერი შემოესია, რომელმაც მისი განვითარების ჩარხი უკუღმა დაატრიალა.

ამ მცირე ხნით შესვენებისას გამოცოცხლდა საქართველოს კულტურული ცხოვრებაც. ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი კვლავ თბილისი გახდა, სადაც თავს იყრიდნენ როგორც



სამცხის მთავრები: სარგის I (საბა), ბექა I მანდატურთუხუცესი და სარგის II სამცხის სპასალარი. საფარის წმ. საბას ეკლესიის ფრესკა (XIV ს.).

ქართველი, ისე მოძმე-მეზობელი ხალხების კულტურის მოღვაწენი, მწერლები და მეცნიერები, რომლებიც ერთმანეთს აცნობდნენ და უზიარებდნენ თავიანთ მიღწევებსა და შემოქმედებას. მეცნიერების დარგებიდან უნდა დავასახელოთ საისტორიო მწერლობა. გიორგი ბრწყინვალის დროს მოღვაწეობდა ისტორიკოსი, რომელსაც პირობითად ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს უწოდებენ და რომელმაც აღწერა ლაშა-გიორგის მეფობა და მონღოლთა ბატონობის ხანა. ამ საუკუნის ბოლოს შეიქმნა ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე „ძ ე გ ლ ი ე რ ი ს თ ა ვ თ ა“, რომლის ავტორი იყო ნიჭიერი მწიგნობარი, კალიგრაფი და მხატვარი ა ვ გ ა რ ო ზ ბ ა ნ დ ა ი ს ძ ე. იგი მოღვაწეობდა ლ ა რ გ ვ ი ს ი ს მონასტერში (ქსნის ხეობა).

ქართული სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრებად ყველავ მონასტრები რჩებოდა როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. მართალია, მონღოლთა ბატონობამ

„საიდუმლო სერობა". უბისის ტაძრის მოხატულობა (XIV ს.).

ანჩისხატის კარედის შიდა მოვედილობა. „ქრისტეს ჯვარცმა". „აღდგომა„ (XIV ს.).



მნიშვნელოვნად დააქვეითა სწავლა-განათლების საქმე, მაგრამ იგი სავსებით მაინც არ ჩამკვდარა. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ XIV საუკუნის დასაწყისში მარტო აღმ.საავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში 7 სკოლა იყო, სადაც ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას, საქართველოს ისტორიას და სხვა საგნებს ასწავლიდნენ.

აღსანიშნავია, რომ ქართული განათლება და კულტურა, ქრისტიანობასთან ერთად, ჯერ კიდევ მძლავრ ნაკადად იჭრებოდა იმიერკავკასიის მთიელთა ცხოვრებაში. დაღისტნის ტერიტორიაზე მიკვლეულია ამ პერიოდის ქართულწარწერიანი ეკლესიები.

ქართული საზღვარგარეთული სამეცნიერო ცენტრებიდან XIV საუკუნეში კვლავ მოქმედებდა პალესტინაში ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი ს ჯ ვ რ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი, სადაც შეიქმნა ქართული ორიგინალური თხზულებანი: ლ უ კ ა ი ე რ უ ს ა ლ ი მ ე ლ ი ს და ნ ი კ ო ლ ო ზ დ ვ ა ლ ი ს მ ა რ ტ ვ ი ლ ო ბ ა ნ ი; ასევე, მოქმედებდა პ ე ტ რ ი წ ო ნ ი ს ქართული მონასტერი, სადაც მოღვაწეობდნენ ტაოელი ძმები ა თ ა ნ ა ს ი და ო ქ რ ო პ ი რ ე გ ნ ა ტ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი და სხვ.

შექმნილი მძიმე პირობების მიუხედავად ქართული ხელოვნება მაინც არ ჩამკვდარა. ამ პერიოდის ხუროთმოძღვრული ძეგლების დიდი ნაწილი სამცხეშია აგებული (ს ა ფ ა რ ა, ზ ა რ ზ მ ა, ჰ უ ლ ე), რომლებიც ცნობილი ფრესკებითაა მოხატული. ამ დროსვეა აგებული მ ე ტ ე ხ ი ს ტ ა ძ ა რ ი თბილისში და გ ე რ-

გ ე ტ ი ს ს ა მ ე ბ ა დაბა ყაზბეგთან. ფრესკული ძეგლებიდან აღსანიშნავია უ ბ ი ს ა ს მხატვრობა, ხოლო ოქრომჭედლობის ხელოვნებიდან ა ნ ჩ ი ს ხ ა ტ ი ს კარედის შიდა პირის მოჭედილობა. მაგრამ ეს შედარებით მცირერიცხოვანი ძეგლები, წინა პერიოდის ბრწყინვალე ქართულ ძეგლებს მხატვრული დონით შესამჩნევად ჩამორჩება.

კითხვები და დავალებები

1. როგორი იყო საქართველოს მდგომარეობა მონღოლთა ბატონობის უკანასკნელი ხანისათვის? 2. დაახასიათეთ გიორგი ბრწყინვალის პოლიტიკა მონღოლების მიმართ. 3. დაასაბუთეთ რამდენად წინდახედული მოღვაწე იყო გიორგი V. 4. რატომ უწოდეს მას თანამედროვეებმა „ბრწყინვალე". 5. შეადარეთ იგი დავით VIII-ს. 6. გაიხსენეთ რუსეთის ისტორიიდან ამ პერიოდის მოსკოვის რომელი მთავრის მოღვაწეობა მოგაგონებთ გიორგი ბრწყინვალის მოღვაწეობას? 7. რა ცვლილებები მოხდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში XIII — XIV საუკუნეების განმავლობაში? 8. როგორი იყო საქართველოს კულტურული მდგომარეობა XIV საუკუნის ბოლოსათვის?

ანჩისხატის კარედის შიდა მოჭედილობა. „ქრისტეს შობა". „ნათლისღება" (XIV ს.).

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

1. ნაწყვეტი გიორგი ბრწყინვალის მიერ საქართველოს მთის მოსახლეობისათვის შედგენილი სამართლის წიგნიდან „ძეგლის დება"

„ჩუენ, მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულის მეფეთ-მეფის დიმიტრისამან, დავდეევით ძეგლი[1] — განაჩენი[2] ესე მას ჟამსა, ოდეს[3] შეევედით მთიულთა შიგან მოსავლელად ღმრთის მოწყალებითა ყოველგნით უცილებლად ქონებასა შინა სამეფოს ჩოენისასა და უცილებლად პყრობასა ტახტისა და სკიპტრისასა.[4]

წარვედით ტახტის ჩუენით ქალაქით[5] და შევედით სასახლესა ჩუენსს ჟინვანსა[6] და მუნით[7] მივედით ხადა-ცხაოტს[8] და მოვასხენით[9] ყოველნი მუნებურნი[10] ხევისბერნი და ჰეროვანნი[11] და გავიგონეთ მათნი საქმენი. დავსხედით მათსა სასაქმოსა. და მივედით დარიელამდის... მოწყალებითა ღმრთისათა დარიელით მობრუნვებულთა ვილოცეთ ლომისის[12]

---

[1] კანონთა კრებული. [2] დადგენილი, მიღებული. [3] მაშინ როდესაც. [4] ს კ ი პ ტ რ ა — სამეფო ნიშანი. [5] „ტ ა ხ ტ ი თ ჩ უ ე ნ ი თ ქ ა ლ ა ქ ი თ" — ჩვენი სატახტო ქალაქიდან. [6] ჟინვანი — ქალაქი არაგვის ხეობაში. [7] იქიდან. [8] ხადისა და ცხაოტის ხეობანი მდებარეობენ მდ. არაგვის აუზის ზემო ნაწილში. [9] შ ე ე კ რ ი ბ ე თ. [10]. იქაურნი. [11] ჰ ე რ ო ვ ა ნ ი — მთის თავისუფალი მოსახლეობის (ერის) წარმომადგენლები. [12] ლომისის მთა არაგვისა და ქსნის ხეობებს შორის მდებარეობს. აქ არის გადასასვლელი ერთი ხეობიდან მეორეში. აქვეა ძველი ეკლესია, რომელსაც დიდ პატივს სცემდნენ ძველად არაგვისა და ქსნის ხევების მთიელები.

მთავარმოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმის ხევი[1] და მოვიკულიეთ[2] მუნებური სასაქმო.

მოვედით მუხრანს, საზამთროსა ჩუენსა, დავდეგით, და შემოვედით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემის ერისთავნი და ხევისთავნი და ხევისბერნი და ჰეროვანნი.

დავსხედით და დავსვით წმინდა მეუფე და ქართლისა კათალიკოზი ევთვიმე, დავსხით ვეზირნი და ებისკოპოზნი და მოურავნი და გავიგონეთ, რომელ დიდი უსამართლო და მძლავრებული ქმნილიყო ერთმანეთსა ზედა, და სისხლის[3] მსუბუქობისათვის ადვილ უჩნდა ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცევა[4] ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა[5] და უბრალოდ[6] დაგდება[7] და მრავალფერნი ულუსობანი[8] და ყოლ სამართალი აღარ იყო ღა".

კითხვები და დავალება

1. როგორ შეადგინა გიორგი V-მ საქართველოს სამართლის წიგნი? 2. რით იყო გამოწვეული სამართლის წიგნის შექმნის აუცილებლობა? 3. „ძეგლის დების" მოტანილი ადგილის მიხედვით ჩამოთვალეთ საქართველოს მეფის მიერ განწესებული მთის განმგებელი მოხელენი და ადგილობრივი ხელისუფალნი.

2. მაჰმადიანი მბრძანებლები შემდეგნაირად მიმართავდნენ საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალეს (თარგმნილი არაბულიდან)

„დიდებულმა ალაჰმა დღეგრძელ ჰყოს ბრწყინვალება მისი უდიდებულესობისა, სახელოვნისა, რაინდისა, მამაცისა, ლომისა, კეთილშობილისა, დაუცხრომელი მებრძოლისა, ლომგულისა, ტახტის მპყრობელისა, გვირგვინოსნისა, თავის სარწმუნოებაში განსწავლულისა, თავის სამწყსოს მიმართ სამართლიანისა საბერძნეთის მეფეთა შორის რჩეულისა, ქართველთა სულტნისა, ზღვათა და სრუტეების სამფლობელოთა განძისა, რაინდთა სამწყსოს დამცველისა, წინაპართ ტახტ-გვირგვინის მემკვიდრისა, რუმისა და ირანის ქვეყნების ზღუდისა, ქრისტიანობის განმტკიცებლისა, იესოს სარწმუნოების შემწისა, საქრისტიანოს გმირთა მკურთხველისა, თავისი განზრახვით იერუსალიმის განმადიდებლისა, ნათლისღებულთა ბოძისა, რომის პაპის შემწისა, მუსლიმთა ერთგული მეგობრისა, ახლობელ მეგობართაგან ყველაზე გულწრფელისა, მეფეთა და სულტანთა მეგობრისა..."

კითხვა

რით იყო გამოწვეული მაჰმადიან მბრძანებელთა ასეთი მაღალფარდოვანი მიმართვა გიორგი ბრწყინვალისადმი?

---

[1] მდებარეობს ქსნის ხეობის ზემო წელზე. [2] გამოვიკელიეთ. [3] საზღაური დანაშაულისათვის. [4] დანგრევა, შემუსვრა. [5] წართმევა, მიტაცება. [6] უმიზეზოდ. [7] მიტოვება, გაშორება. [8] თათართა მიერ შემოტანილი უწესობანი.

§ 23. თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში და მისი შედეგები. ქვეყნის დაშლა სამეფო-სამთავროებად

1. თემურ-ლენგის პირველი ლაშქრობა საქართველოში. XIV საუკუნის ბოლოს ჩვენს ქვეყანას თავს დაატყდა უდიდესი უბედურება. დაიწყო მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი და უსასტიკესი დამპყრობლის თ ე მ უ რ - ლ ე ნ გ ი ს შემოსევები. შუააზიელ მონღოლთა შთამომავალმა თემურმა კვლავ გააერთიანა მონღოლთა მომთაბარე ურდოები, შექმნა უძლიერესი არმია და მიზნად დაისახა აღედგინა ჩინგიზ-ყაენის გადაშენებული იმპერია. იგი მკაცრად უსწორდებოდა თავის მოწინააღმდეგეებს. მას არაფრად მიაჩნდა მთელი ხალხების ფიზიკური განადგურება, აყვავებული ქალაქებისა და სოფლების მიწასთან გასწორება. ხშირად მისი ბრძანებით ადამიანთა მოკვეთილი თავებისაგან ათეულობით კოშკს აგებდნენ, ათასობით ადამიანს მიწაში ცოცხლად მარხავდნენ ანდა კედლებში ატანდნენ დუღაბთან ერთად. ასეთი სისასტიკით აპირებდა იგი მორჩილებაში და შიშში ჰყოლოდა დაპყრობილი ხალხები. როგორც მაშინ ამბობდნენ, სადაც კი თემურის ჯარი გაივლის, იქ მხოლოდ უკაცური უდაბნო და აკვამლებული ნასახლარები რჩება, აღარ გაისმის არც ძაღლის ყეფა, არც მამლის ყივილი და ჩვილ ბავშვთა ტირილი.

თემურ-ლენგის პორტრეტი. აღდგენილი თავის ქალის მიხედვით აკად. გერასიმოვის მიერ.

აი, ასეთი მტარვალი დამპყრობელი საქართველოს რვაჯერ შემოესია და ველურის ენერგიით ცდილობდა ჩვენი ქვეყნის საბოლოო დამორჩილებას ან მოსპობას.

პირველად თემურ-ლენგი[1] საქართველოში 1386 წ. შემოიჭრა. იგი ოქროს ურდოს მბრძანებელს თ ო ხ თ ა მ ი შ - ხ ა ნ ს ებრძოდა, რომელიც მას აზერბაიჯანს ეცილებოდა. საქართველოს მეფე ბ ა გ რ ა ტ V (1360 — 1393 წწ.) თავდაპირველად თოხთამიშს უჭერდა მხარს. ამიტომ იყო, რომ თემური აზერბაიჯანის დალაშქვრის შემდეგ მთელი თავისი ძალით საქართველოს წინააღმდეგ წამოვიდა და თბილისს შემოადგა. თბილისი კარგად გამაგრებული ქალაქი იყო. თემური თვითონ ჩაუდგა სათავეში მოიერიშე ჯარს და სასტიკი ბრძოლების შემდეგ საქართველოს დედაქალაქი აიღო. აქ მან ტყვედ ჩაიგდო თვითონ ბაგრატ მეფე და მისი ოჯახი. გამარჯვებული თემური ქალაქის გაძარცვის შემდეგ (იხ. დოკ. 1) საქართველოს გაეცალა და თან მეფე ბაგრატიც წაიყვანა

---

[1] „ლ ე ნ გ ი" სპარსულად კოშკს ნიშნავს, თემური თავდაპირველად ყაჩაღთა ბრბოს მეთაური იყო. ერთ-ერთი თავდასხმის დროს იგი ფეხში დაიჭრა და სამუდამოდ დაკოჭლდა, ამიტომ შეარქვეს მას „ლენგი" (კოჭლი). მაგრამ აქ მარტო მისი ფიზიკური ნაკლი კი არ იგულისხმებოდა, არამედ, პირველ რიგში, სულიერი სიმახინჯე.

ყარაბაღში[1] დაბანაკებულმა თემურ-ლენგმა აიძულა ბაგრატი მაჰმადიანობა მიეღო და საქართველოს გამაჰმადიანებასაც შეჰპირებოდა. საამისოდ უკან გამობრუნებულ საქართველოს მეფეს დამპყრობელმა თან 12 000-იანი მონღოლთა ლაშქარი გამოატანა. მაგრამ მეფე ბაგრატი ასე იოლად არ აპირებდა თავისი ეროვნული სარწმუნოებისა და დამოუკიდებლობის დათმობას. იგი ფარულად შეუთანხმდა თავის შვილებს და საქართველოში შემოსულმა მონღოლთა ლაშქარი მთლიანად გაანადგურებიხა. ეს თემურის წინააღმდეგ აჯანყებას ნიშნავდა. განრისხებული თემური, მიუხედავად იმისა, რომ უკვე სხვა მიმართულებით აპირებდა გალაშქრებას, კვლავ საქართველოს წინააღმდეგ წამოვიდა. ქართველები მომზადებულნი დახვდნენ: მოსახლეობა მთებში დახიზნეს, გაამაგრეს ციხეები და ჯარიც გაამზადეს. ქართველებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს 1387 წლის გაზაფხულზე ხელმეორედ შემოჭრილ მტერს და დიდი ვნებაც მიაყენეს მას. მართალია, ბრძოლის ველზე ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ მტერმა ამჯერად საქართველოს დაპყრობა ვერ შეძლო, თანაც თემურს აცნობეს, რომ აზერბაიჯანში თოხთამიშ-ხანი შემოჭრილიყო. დიდად დაზარალებული თემურ-ლენგი იძულებული გახდა საქართველოს გასცლოდა.

2. თემურ-ლენგის შემდგომი ლაშქრობანი. 1394 წლამდე თემურ-ლენგი დაკავებული იყო ირანსა და აზერბაიჯანში ბრძოლებით, გართულებული ჰქონდა საქმე შუა აზიაშიც, კვლავ გრძელდებოდა ბრძოლები თოხთამიშ-ხანის წინააღმდეგ. თემურმა ყველა თავისი მოწინააღმდეგე დაამარცხა და კვლავ საქართველოს წინააღმდეგ დაიძრა. იგი ამჯერად საქართველოში სამცხის მხრიდან შემოიჭრა, აქედან არაგვის ხეობაში გადავიდა და სასტიკი ბრძოლები გააჩაღა დარიალის გზის ხელში ჩასაგდებად. მედგარ წინააღმდეგობას უწევდა საქართველოს მეფე გიორგი VII (1393 — 1407 წწ.). მტერს ძალიან უჭირდა არაგვის ვიწრო ხეობაში მოქმედება, ამას გარდა მოსახლეობა მიუვალ ციხეებსა და მაღალ მთებში გამაგრებულიყო. ცალკეული წარმატებების მიუხედავად თემურმა დარიალის ჯადასასვლელის ხელში ჩაგდება ვერ შეძლო.

ამასობაში თოხთამიშ-ხანი დარუბანდის გადმოსასვლელით გადმოვიდა ამიერკავკასიაში. თემურმაც არაგვის ხეობას თავი მიანება და მის წინააღმდეგ გაემართა. 1395 წელს თემური დაედევნა უკან გაბრუნებულ მტერს და თერგის პირას სასტიკად დაამარცხა. გამარჯვებული თემურ-ლენგი შუა აზიაში დაბრუნდა და მოემზადა ინდოეთში სალაშქროდ. გიორგი მეფე კი შეტე-

---

[1] ქვეყანა მდ. მტკვარსა და არაქსს შორის.

ვაზე გადავიდა და თემურის მიერ ჩაყენებული ჯარები საქართველოსა თუ აზერბაიჯანში დაამარცხა და გაიძევა.

ინდოეთიდან მობრუნებული თემური მთელი თავისი ძალით საქართველოს წინააღმდეგ წამოვიდა. 1399 — 1403 წლებში მან ხუთჯერ დალაშქრა საქართველო და ბრძოლის ველური ხერხებით ცდილობდა ქვეყნის საბოლოო დამორჩილებას ან ერთიანად განადგურებას. მისმა ბრბოებმა სასტიკად ააოხრეს საქართველოს თითქმის ყველა კუთხე: ჰერეთ-კახეთი, თრიალეთი, ქვემო და შიდა ქართლი, იმერეთი. ისინი ყველგან უმოწყალოდ ხოცავდნენ ან ამაჰმადიანებდნენ და ტყვედ მიერეკებოდნენ საქართველოს მოსახლეობას. ქვათახევის მონასტერში მათ შეამწყვდიეს „მუნ მყოფნი კაცნი, მამანი და დედანი, მღვდელნი და დიაკონნი და მონაზონნი“ და ცეცხლში დაწვეს. ისინი ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, სასახლეებს, მთელ სოფლებსა და ქალაქებს, ანადგურებდნენ სარწყავ არხებს, ჩეხავდნენ ბაღ-ვენახებს, იტაცებდნენ დოვლათს, რაც კი საქართველოში გადარჩენილიყო (იხ. დოკ. 1 და 2). გადამთიელმა ხეიბარმა თავის მიზანს მაინც ვერ მიაღწია, მან ვერც ქართველი

18. თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში


ქალაქი
დედაქალაქი
ციხე + ეკლესია
ბრძოლა
სამთავრო საზღვრები
I ლაშქრობა 1386
II ლაშქრობა 1387
III ლაშქრობა 1394
ლაშქრობა ჩრდილო კავკასიაში
1399-1403 წ. წ. ლაშქრ.
ბერდაანდი
ბები
ლეკეთი
ბაკური
ბაკი
ბაბარი
ბაბაი
ბაბაიფ
ბაბასა
ბარდაკი
ბაკერ
ბალაქანი
ბაზალეთი
ბარბალეთ
ბარბალეთ
ბარბალეთ

ქვათახევის მონასტრის ხედი, სადაც თემურ-ლენგმა გამოსწვა ბერმონაზონები.

ხალხის წინააღმდეგობა გატეხა და ვერც გიორგი მეფე დაიმორჩილა, თემური ქვეყანა სასტიკად დაეზიანა. 1403 წლის თემურ-ლენგმა ზავი დადო გიორგი VII-სთან და დიდი ზეიმით აღნიშნა საქართველოში ბრძოლების დამთავრება. ბაგრამ ეს იყო მისი უკანასკნელი წარმატება. 1405 წლის დასაწყისში იგი გარდაიცვალა და ამდენი სისხლითა და მსხვერპლით შეკოწიწებული მისი იმპერია მაშინვე დაიშალა.

ამიერკავკასიის ხალხებმა დაუყოვნებლივ გადაიგდეს ქედიდან დამპყრობთა მორჩილების უღელი და განმათავისუფლებელი ბრძოლების ცეცხლი გააჩაღეს. ამ ბრძოლების მედროშე საქართველოს მეფე გიორგი VII იყო.

3. თემურ-ლენგის ლაშქრობათა შედეგები. მონღოლთა ამ უკანასკნელი ნაშიერის მრავალწლიან სისხლიან თარეშს უაღრესად მძიმე შედეგები მოჰყვა. კატასტროფულად შემცირდა მოსახლეობა, დანგრეული და გავერანებული იყო ქალაქები და სოფლები, ციხე-სასახლეები და ეკლესია-მონასტრები, ძოძილი იყო საოჭყავი არხები და სხვა საძეურხეო ნაგებობანი, მიწასთან იყო გასწორებული ერთ დროს აყვავებული ზვარ-ხოდაბუნები. საქართველოს გაუმეზობლდნენ სხვადასხვა მომთაბარე თურქმანი ტომები, რომლებიც დაცემულ-დასუსტებულ ქვეყანას განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ. მათთან ბრძოლაში დაიღუპა საქართველოს ორი მეფე — გიორგი VII (1407 წ.) და კონსტანტინე I (1411 წ.).

მეფე ალექსანდრე I-მა კონსტანტინეს ძემ (1412 — 1442 წწ.) სცადა მდგომარეობის გამოსწორება (იხ. დოკ. 3), შეთხელებული მოსახლეობის მომრავლება მეზობელი ქვეყნებიდან მოსახლეობის გადმოსახლების გზით, თურქმახთა შემოსევების აღკვეთა და მათ მიერ დაკავებული ტერიტორიების (ლორე, სევნიეთი) კვლავ შემოერთება, დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენა. ასეთი ენერგიული მოღვაწეობისათვის მას შთამომავლობამ „დიდი" უწოდა, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება მაინც შეუძლებელი შეიქნა. საჭირო იყო ხანგრძლივი მშვიდობა და განვითარების ნორმალური პირობები. ასეთი პირობების შექმნა კი ხანგრძლივად ვერ ხერხდებოდა ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც გარეთ.

ქვეყნის ეკონომიკურმა განადგურებამ მოშალა ის საფუძველი, რასაც ძირითადად ემყარებოდა საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ერთიანობა. გავერანებული ქალაქებისა და სოფლების მთლიანად აღდგენა ვეღარ ხერხდებოდა. შესუსტდა მეფის ხელისუფლება და გაძლიერდა ცალკეული ფეოდალების თვითნე-

ბობა. ისედაც შეთხელებული ყმა-გლეხობა კიდევ უფრო სასტიკი ექსპლოატაციის ქვეშაა მოქცეული. მათ დასამორჩილებლად ფეოდალები აძლიერებენ თავიანთ საფეოდალოებს და ნაკლებად ემორჩილებიან ერთიანი საქართველოს მეფეს. ასეთი საფეოდალოები ნახევრად დამოუკიდებელ ერთეულებად იქცა (იხ. დოკ. 4) კვლავ აღორძინდა უკვე დრომოჭმული საფეოდალო-სენიორიების სისტემა. ჩამოყალიბდნენ ნახევრად დამოუკიდებელი ს ა მ თ ა ვ რ ო ე ბ ი და ს ა თ ა ვ ა დ ო ე ბ ი. მათ სათავეში მდგომი უძლიერესი ფეოდალები — მ თ ა ვ რ ე ბ ი და თ ა ვ ა დ ე ბ ი თანდათანობით იმორჩილებენ და თავის ყმობაში აქცევენ ყოფილ სახელმწიფო და სამეფო აზნაურებსა და ყმა-გლეხებს. ეს მთავრები და თავადები მეფის ძლიერი ხელისუფლების წინააღმდეგნი არიან, ამიტომ ხალისით უჭერენ მხარს ერთიანი საქართველოს მეფის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნის ცალკეულ კუთხეებში დამკვიდრებულ „მცირე მეფეებს“ თუ „დიდ მთავრებს“. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ერთიანი საქართველოს დაშლას სამეფო-სამთავროებად.

4. საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად. ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე იყო ალექსანდრე დიდის ვაჟიშვილი გ ი ო რ გ ი V I I I (1446 — 1466 წწ.). გიორგი VIII-ს თავდაპირველად აუჯანყდა სამცხის მთავარი ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე, შემდეგ განუდგა იმერეთის ერისთავი ბ ა გ რ ა ტ ი, რომელმაც იგი დაამარცხა ჩ ი ხ ო რ თ ა ნ ბრძოლაში (1463 წ.). მეფეს ყველაზე დიდი მარცხი მოუვიდა ფ ა რ ა ვ ნ ი ს ტ ბ ა ს თ ა ნ, 1465 წელს, სადაც გამარჯვებულმა სამცხის მთავარმა ყვარყვარემ თვითონ მეფეც კი დაატყვევა. ამის შემდეგ ს ა მ ც ხ ე საბოლოოდ გამოეყო ერთიან საქართველოს და დამოუკიდებელ სამთავროდ იქცა. საქართველოს დანარჩენ ნაწილში კი თანდათან ჩამოყალიბდა ქ ა რ თ ლ ი ს, კ ა ხ ე თ ი ს ა და ი მ ე რ ე თ ი ს სამეფოები. ასევე დას. საქართველოს ტერიტორიაზე გაძლიერდნენ ს ა მ ე გ რ ე ლ ო-ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა და გ უ რ ი ი ს სამთავროები, რომლებიც იმერეთის მეფეს ნაკლებადღა ემორჩილებოდნენ.

ფარავნის ბრძოლის შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: გიორგი VIII-ის დატყვევებით ისარგებლა იმერეთის ერისთავთ-ერისთავმა ბაგრატ გიორგის ძემ (იგი ალექსანდრე დიდის ძმის შვილი იყო), ქართლი დაიკავა და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა. ამის შემდეგ ყვარყვარემ გაანთავისუფლა გიორგი მეფე, მაგრამ ქართლის თავადებმა მას მხარი არ დაუჭირეს და ისიც იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო. კახეთი კი ამასობაში ცალკე სამთავროდ გამოყოფილიყო და იქ ადგილობრივი წარჩინებულები და ერისთავები თვითნებობდნენ. გიორგი მეფემ კახეთის წვრილ ფეოდალებზე დაყრდნობით ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ შეძლო აქაური ძლიერი ფეოდალების დამარცხება და იქ გამეფება. ამრიგად, საბო-

ლოოდ ერთიანი საქართველოს ყოფილ მეფეს მხოლოდ კახეთიღა შერჩა სამეფოდ.

ქართლსა და იმერეთში ჯერ ბაგრატი მეფობდა, ხოლო 1478 წლიდან, როდესაც ივი გარდაიცვალა, ქართლში გამეფდა კონსტანტინე დიმიტრის ძე, ალექსანდრე დიდის შვილიშვილი, რომელმაც სათავე დაუდო ქართლის ცალკე სამეფო დინასტიას. ცოტა უფრო გვიან ‹მერეთის სამეფო ტახტი დაიკავა ალექსანდრე ბაგრატის ძემ, ასევე იმერეთის სამეფო დინასტიის ფუძემდებელმა. სამცხის სამთავროს სათავეში ჯაყელთა საგვარეულო იდგა.

ამრიგად, მე-15 საუკუნის ბოლოსათვის ერთიანი საქართველოს მაგივრად სამი სამეფო — ქართლის, იმერეთისა და კახეთის და სამცხის დამოუკიდებელი სამთავრო წარმოიქმნა. საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს დაშლა სამეფო-სამთავროებად გამოწვეული იყო ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლების მოშლით, სათავადოთა სისტემის აღმოცენებით, მეფის ხელისუფლების პოლიტიკური ძალაუფლების შესუსტებით. შექმნილი ის-

19. საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად


ქალაქი
დედაქალაქი
ციხე
ბრძოლა
სამეფო-სამთავროთა საზღვრები
სადროშოთა საზღვრები
I II III IV ქართლისა და კახეთის სადროშოები
ოსეთი
ალანეთი
ბალკარეთი
ოსეთის სამთავრო
ბალკარეთის სამთავრო
ანაკოფია
ცხენი
„პირველ მეგრელი"
ეგრისი
ფოთი
ბაბანი
ბაზალეთი
ბაზალეთი
ბაზალეთ-საათაბაგო
ბაზალეთ-ბაბანი
ბაზალეთ-ბაბანი
ბაბანი
ბაბანი

ტორიული პირობების გამო საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა ის სოციალური ძალა, რომელსაც ერთიანი ქვეყნის მეფის ხელისუფლება მყარად დაეყრდნობოდა და რომელიც ქვეყანას პროგრესული განვითარების გზით წაიყვანდა.

კითხვები და დავალებები

1. როგორი მეთოდებით ცდილობდა თემურ-ლენგი დაპყრობილი ხალხების დამორჩილებას? 2. რუსეთის ისტორიიდან გაიხსენეთ რუსი ხალხის გმირული ბრძოლა კულიკოვოს ველზე და შემდეგ თოხთამიშ-ხანის თავდასხმა მოსკოვზე. 3. ქრონოლოგიურად დაუკავშირეთ ერთმანეთს რუსეთში და საქართველოში განვითარებული მოვლენები. 4. დაახასიათეთ საქართველოს წინააღმდეგ თემურ-ლენგის ბრძოლების მეთოდები და მისი შედეგები. 5. რა იყო სამეფო-სამთავროებად საქართველოს დაშლის მიზეზები?

დოკუმენტები

1. „ქართლის ცხოვრება" თემურ-ლენგის მიერ შიდა ქართლის განადგურების შესახებ

„ხოლო უსჯულოთა მათ მოვლეს გარემონი მათ ადგილთანი, და წარტყუენნეს[1] ყოველნივე. და ამისსა შემდგომად წარვიდეს და მიიწივნნეს[2] რუისს[3] და დაიბანაკეს მუნ. მოიცვეს სრულიად შიდა ქართლი, დაწვეს და ააოხრეს, და მოვლნეს ყოველნი არენი და სანახებნი შიდა ქართლისანი, და აღიღეს ციხენი, გოდოლნი[4] და სიმაგრენი ყოველნივე თვინიერ[5] მთისა კავკასიისა. მაშინ ძირითურთ აღმოფხვრეს[6] დიდი ეკლესია იგი რუისისა, რომელ არს საყდარი ღვთაებისა, ვიდრე საფუძვლითურთ დაარღვიეს და არა-სადა დაშთა[7] დაბანი და შენობანი მათ მიერ წარუტყუენველად".

წარწერა რუისის ტაძრის კარიბჭის თავზე მეფე ალექსანდრე I-ის მიერ ამ ტაძრის აღდგენის შესახებ

„ზე ადიდენ ღმერთმან მეფეთა-მეფობა დიდისა ალექსანდრესი, რომლისა მიერ კვალად[8] აღეშენა საყდარი ესე. ადიდე ღმერთმან და სული მათი კურთხეულ ყავნ".

2. 1400 წელს სომეხი მწერლის, გრიგოლის მიერ გადაწერილი წიგნის მინაწერი თემურ-ლენგის საქართველოში ამ წლის ლაშქრობის შესახებ:

„და მოვიდა (თემურ-ლენგი) ქართველთა ქვეყანაში და იმყოფებოდა იქ შემოდგომიდან ვიდრე ზაფხულამდე, 7 თვე, მეტი და არა ნაკლები. დაიპყრა მრავალი ციხე-სიმაგრე; ბევრი მათგანი (ქართველთაგან) ამოწყვიტა, თითქმის ყველა მამაკაცი ამოჟლიტა, ხოლო მათი ცოლები და ვაჟები ურიცხვი და უთვალავი რაოდენობით ტყვედ წაასხა... არც ქალებს იბრალებდნენ და არც ყრმებს ინდობდნენ. არც სნეულთ ეპყრობოდნენ

---

1 გაანადგურეს. 2 მივიდნენ. 3 სოფ. რუისი მდებარეობს ქ. გორის დასავლეთით. აქ არის X — XI სს. აგებული ტაძარი, რომელიც საეპისკოპოსო კათედრალს წარმოადგენდა. იგი დაანგრია თემურ-ლენგმა და შემდეგ აღადგინა მეფე ალექსანდრე დიდმა. 4 კოშკნი. 5 გარდა. 6 დაანგრიეს. 7 დარჩა. 8 კვლავ, ხელახლა.

გულმოწყალედ. არც გაჭირვებას უყურებდნენ. არც ჭაღარას სცემდნენ ბატივს. ჩვილ ბავშვებსაც კი არ იბრალებდნენ. არამედ უმოწყალოდ ქვეითად მიერეკებოდნენ შიშველ-ტიტვლებს, ფეხშიშველებს და თავშიშველებს. ხოლო რომელთაც არ შეეძლოთ სვლა, ქვებით ხოცავდნენ, თვით კი მიდიოდნენ. ამ გულსაკლავი ამბების მომსწრენი მთებს ეუბნებოდნენ - დაგვეცენით თავს, ბორცვებს კი — დაგვფარეთ ჩვენო".

3. ნაწყვეტი მეფე ალექსანდრე დიდის სიგელიდან

„ქორონიკონსა: **რა:** მეფედ დავჯედ, იყო მაშინ ყოველი საქართველო უსჯულოსა თემურისაგან აოხრებულ და ქართლი უნუგეშიხისცემოდ განსრული დაგვიხუდა, ესრეთ რომელ უსჯულო იგი შემოვიდა საქართველოს... ტფილისით ციხითა მეფე ბაგრატ და დედოფალი ანნა გამოასხნეს[1]; დაატყუევეს და მრავალი სული მოესრა[2], და თავად დედაქალაქი მცხეთა და რაოდენნი საქართველოსა საყდარნი და ეკლესიანი და ციხენი იყუნეს, ყოველნი დაეკცივნეს და სრულიად საქართველო ტყუე ექმნეს და ჩუენის მეფობისა დაჭირვადმდე მუდამი ტყვევნა და რბევა იყო საქართველოსა. და მოოხრდა და იავარ იქმნა და ყოვლადვე ძალი და ნუგეშინისცემა არსით ჰქონდა... (მე, მეფემან ალექსანდრე) ვიწყე ბრძოლად უსჯულოთა და განვასხენ[3] მზღუართაგან ჩუენთა და ქრისტიანენი ფრიადსა მშვიდობასა და მყუდროებასა მიეცნეს. და ვითარ ჩუენგან სათანადო იყო, ეგრეთ ვინებე და ვიგულისმოდგინე ყოველთავე საქართველოისა ციხეთა და საყდართა აღშენებად... რაოდენნი საქართველოსა ციხენი, საყდარნი და მონასტერნი არიან ყოველნივე სრულიად ახლად აღვაშენენ და შევამკუენ".

დავალება

პირველწყაროებში მოტანილი ცნობების მიხედვით უფრო სრულად გადმოეცით თემურ-ლენგის მიერ საქართველოს განადგურების სურათი.

4. „ქართლის ცხოვრების" გაგრძელება XV ს. საქართველოს საშინაო ვითარების შესახებ

„აქა არღარა იცვალებოდა[4] ერისთავნი და არცა თავადნი. ყოველნივე ხევსა და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკვიდრ ქმნილიყუნენ[5], და, ვისცა მამულს მისცემდა, მკვიდრად[6] მიეცემოდა. და ყოველნივე ძლიერ იყუნეს: მთავარნი, ერისთავნი და თავადნი".

კითხვა და დავალება

1. „ქართლის ცხოვრებისა" და კვინკლოსური მინაწერის ცნობა, როგორ ასახავს დიდებულ ფეოდალთა გაძლიერებას და საქართველოს მეფის ხელისუფლების შესუსტებას? 2. გამოიახგარიშეთ, ჩვენი წელთაღრიცხვის რომელ წელს უდრის სიგელში მოტანილი ქორონიკონული დათარიღება? (ქართული ქორონიკონის განმარტება იხ. § 14-ში).

---

[1] გამოიყვანეს. [2] დაეხოცა. [3] გავდევნე. [4] შეიცვლებოდა. [5] მემკვიდრეობითი მფლობელნი გამხდარიყუნენ. [6] მემკვიდრეობით სამფლობელოდ, საშვილიშვილოდ.

VII თავი

საქართველო XVI — XVIII საუკუნის I ნახევარში

§ 24. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის პირველ ნახევარში

1. ცვლილებები საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობაში. XV საუკუნის ბოლოს სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო მეტად მძიმე საგარეო-პოლიტიკურ პირობებში მოექცა. დასავლეთიდან მას გაუმეზობლდა თურქ-ოსმალთა უძლიერესი აგრესიული სახელმწიფო. ოსმალებმა ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ დაიპყრეს საქართველოს უძველესი მეზობელი ქრისტიანული ქვეყანა — ბიზანტიის იმპერია. 1453 წ. მათ აიღეს მისი დედაქალაქი კონსტანტინოპოლი და გადაკეტეს დასავლეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელი საზღვაო გზა. მათ თანდათან დაიკავეს სამხრეთი და ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთი და საქართველოს საზღვრებს ორივე მხრიდან მიუახლოვდნენ. საქართველო საბოლოოდ მოწყდა დასავლეთ ევროპას და ოსმალთა ბარბაროსული სახელმწიფოს მარწუხებში მოექცა.

არც სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო უკეთესი ვითარება. თემურლენგის იმპერიის გადაშენების შემდეგ ირანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რამდენიმე თურქმანული სახელმწიფო (შ ა ვ ბ ა ტ კ ნ ი ა ნ თ ა, თ ე თ რ ბ ა ტ კ ნ ი ა ნ თ ა[1], უფრო გვიან — ყ ი ზ ი ლ ბ ა შ თ ა[2]). ესენი საქართველოს დასარბევად და დასაპყრობად უყურებდნენ. XV საუკუნის ბოლოს გაძლიერდა თეთრბატკნიანთა თურქმანული სახელმწიფო, რომელმაც თითქმის მთელი ირანი მოიცვა და საქართველოს წინააღმდეგაც დაიწყო აგრესიული შემოტევა. მისი მბრძანებლები: უ ზ უ ნ - ჰ ა ს ა ნ ი, ი ა ყ უ ბ - ყ ა ე ნ ი არაერთხელ შემოიჭრნენ საქართველოში და სასტიკად დაარბიეს მშვიდობიანი სოფლები და ქალაქები. სამეფო-სამთავ-

---

[1] თურქულად „ყარაყოინლუ", „აღყოინლუ" — ასე უწოდებდნენ თურქმანი მომთაბარე-მესაქონლე ტომები თავიანთ თავს.

[2] განმარტება იხილეთ ქვემოთ.

როებად დაშლილ საქართველოს, რა თქმა უნდა, უფრო მეტად უჭირდა ამ უძლიერესი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლა.

2. კახეთის სამეფო XV საუკუნის ბოლოს და ურთიერთობა რუსეთთან. კახეთის პირველი მეფე იყო ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გ ი ო რ გ ი V I I I. კახეთის დასაკავებლად მას დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა ადგილობრივ დიდებულ აზნაურებთან. მათი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ იგი აქ თავისი ხელისუფლების განმტკიცებას შეუდგა და მთელი რიგი სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი გაატარა: გააუქმა საერისთავოები და მათ მაგივრად ქვეყანა (სამმართველოდ) უფრო წვრილ ერთეულებად — სამოურაოებად დაყო. სამხედრო თვალსაზრისით კახეთი ოთხ სადროშოდ დანაწილდა, თითოეული სადროშოს სათავეშიც გიორგი მეფემ საერო ფეოდალები კი არ ჩააყენა, როგორც ქართლსა და იმერეთში იყო, არამედ საეკლესიო ხელისუფალნი — ეპისკოპოსები. ეპისკოპოსები მეფეს უფრო მორჩილებდნენ, ვიდრე ძლიერი საერო ფეოდალები — თავადები; ამავე დროს ეპისკოპოსობა, როგორც წესი, მემკვიდრეობით არ გადადიოდა და მეფეს შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ დაენიშნა ან გადაეყენებინა ესა თუ ის პირი. ამ ღონისძიებებმა კახეთში მეფის ხელისუფლება შესამჩნევად გააძლიერა და ხელი შეუშალა აქ ნახევრად დამოუკიდებელი, ძლიერი საფეოდალოების — სათავადოების ჩამოყალიბებას (იხ. დოკ. 1).

საგარეო პოლიტიკაშიც გიორგი მეფე და მისი მემკვიდრეები ქართლისაგან განსხვავებულ გზას დაადგნენ. ისინი ცდილობდნენ მოხერხებული დიპლომატიით, ფორმალური ყმობით, ხარკ-მისართმევლებით და სხვა საშუალებებით თავიდან აეცილებინათ დამპყრობლების შემოსევა. ამავე დროს, **კახეთი პირველი ქართული ქვეყანა იყო, რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა რუსეთის სახელმწიფოსთან.**

მოსკოვის დიდი მთავარი ივანე III.

XV საუკუნის ბოლოს რუსეთი საბოლოოდ განთავისუფლდა თათარ-მონღოლთა ბატონობისაგან და განუხრელად დაადგა აღმავალი განვითარების გზას. მისი დიპლომატები თუ ვაჭრები უკვე საქართველოს მეზობელ შარვანშიც გამოჩნდნენ. 1483 წელს კახეთის მეფე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე გ ი ო რ გ ი ს ძ ე მ (1476 — 1511 წწ.) რუსეთში თავისი პირველი ელჩობა მიავლინა, რომელმაც მოსკოვის დიდ მთავარ ი ვ ა ნ ე მ ე ს ა მ ე ს საგანგებო წერილი გადასცა (იხ. დოკ. 2). მალე მოსკოვში კახეთის მეორე ელჩობაც ჩავიდა (1491 წ.). ამით საფუძველი ჩაეყარა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობას, რომელიც განსაკუთრებით ნაყოფიერად განვითარდა შემდგომ საუკუნეებში.

3. ქართლის სამეფო XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისში. ქართლის სამეფო კარი ერთხანს კიდევ ცდილობდა საქართველოს გაერთიანებას, მაგრამ მეფე კონსტანტინე დიმიტრისძე (1479 — 1505 წწ.) საბოლოოდ დარწმუნდა ამ საქმის შეუძლებლობაში. მის მემკვიდრეს დავით X-ეს (1505 — 1525 წწ.) ერთგვარი ხელსაყრელი პირობებიც კი შეექმნა კახეთის შემოსაერთებლად, როდესაც მან დაატყვევა კახეთის მეფე ავ-გიორგი, მაგრამ ვერც მის დროს განხორციელდა ქართლ-კახეთის კვლავ ერთ სამეფოდ გაერთიანება. ამის მიზეზი იყო, ერთი მხრით, ქართლის თავადების წინააღმდეგობა-ღალატი და,მეორე მხრით, საგარეო გართულებანი. თავადები, როგორც ვიცით, არ იყვნენ დაინტერესებულნი, რომ კვლავ გაძლიერებულიყო საქართველოს მეფის ხელისუფლება, ამიტომ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ სამეფო კარის პროგრესულ ღონისძიებებს, პირველ რიგში, საქართველოს კვლავ გაერთიანების საქმეს. საქართველოს მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნებიც სარგებლობდნენ ქვეყნის ასეთი შინაგანი გათიშულობით და აძლიერებდნენ აგრესიას განცალკევებული ქართული სამეფო-სამთავროების საბოლოოდ დასაპყრობად.

XVI საუკუნის დასაწყისში ირანის ტერიტორიაზე, თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს ნანგრევებზე ახალი, კიდევ უფრო ძლიერი და აგრესიული — ყიზილბაშთა[1] სახელმწიფო ჩამოყალიბდა. ამ სახელმწიფოს სათავეში სეფიანთა დინასტია იდგა, რომელიც ყიზილბაშთა თურქმანული ტომების სამხედრო ძალას ემყარებოდა. პირველი სეფიანი შაჰ ისმაილი იყო, რომელმაც არაერთხელ ილაშქრა ქართლის წინააღმდეგ. განსაკუთრებით გააძლიერეს სეფიანებმა შემოტევა შაჰ-თამაზ I-ის დროს, როდესაც ქართლში დავითის მემკვიდრე ლუარსაბი (1527 — 1556 წწ.) მეფობდა.

4. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ლუარსაბ I-ის მეთაურობით. ლუარსაბ I დიდი პატრიოტი იყო. იგი თითქმის 30 წლის განმავლობაში სათავეში ედგა ქართველი ხალხის თავდადებულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის უძლიერესი დამპყრობლების წინააღმდეგ. მის დროს შაჰ-თამაზმა პირადად ოთხჯერ ილაშქრა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოახერეინა ქედი და ვერც სულიერად გატეხა ეს გმირი მეფე. ლუარსაბ I მეზობელ სამეფო-სამთავროებსაც ეხმარებოდა და თავისი შეურიგებელი ბრძო-

---

[1] ყიზილბაში თურქულად წითელთავას ნიშნავს. ამ ტომების წარმომადგენლები ატარებდნენ წითელსარქველიან თავსაბურავს, რის გამოც მათ ასეთი სახელი შეარქვეს. ყიზილბაშები მომთაბარე მესაქონლეობას მისდევდნენ და ძლიერი მეომრები იყვნენ.



„კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი". ქართული ხალხური ლექსის ეს შესანიშნავი სტრიქონები უწოდა თავის სკულპტურულ კომპოზიციას მოქანდაკე მეორაბ ბერძენიშვილმა, რომელიც აღმართულია ალგეთის ხეობაში დღეკანდელ დაბა მარნეულთან. აქ წარმოებდა ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლები თურქმენი მოძალადეების წინააღმდეგ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ლით მტერს არ აძლევდა საშუალებას საქართველოს ამა თუ იმ ნაწილში ფეხი მოეკიდებინა. აი, როგორ აფასებდა მის დამსახურებას ძველი ქართველი ისტორიკოსი: **„უკეთუმცა (ე.ი. თუკი) მეფესა ლუარსაბს ესოდენი ბრძოლა არ ექმნა, ახლამცა საქართველო ქმნილიყო სრულ სარკინოზ[1] და რაოდენიცა დღეს სახელნი არიან საქართველოსანი, ყოველნივე ხმლისაგან მისისაგან არიან".** ქართლის ასეთ თავდადებულ და შეურიგებელ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ქართლის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის. ამიტომ იყო, რომ ქართველმა ხალხმა დიდი სიყვარულით შეინახა ქვეყნისათვის თავდადებული მეფის სახელი (იხ. დოკ. 3).

ლუარსაბ მეფე მოხერხებულად სარგებლობდა ირანსა და ოსმალეთს შორის ატეხილი ომით და არც ერთ მათგანს თავის ქვეყანაში ფეხის მოკიდების საშუალებას არ აძლევდა. 1555 წ. დაიდო ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის. ირანმა აღმოსავლეთ საქართველო თავისთვის ირგუნა და უფრო მეტის დაკინებით დაიწყო ბრძოლა ქართლის საბოლოოდ დასამორჩილებლად. 1556 წ. მან ყარაბაღის ბეგლარბეგი დიდი ჯარით გამოგზავნა საქართველოში. ქართველთა ჯარი მას ქვემო ქართლში სოფ. გ ა რ ი ს თ ა ნ დახვდა. ლუარსაბ მეფე ამ დროს უკვე ხანდაზმული იყო და ამიტომ სარდლობა თავის ვაჟიშვილს ს ი მ ო ნ ს ჩააბარა, თვითონ კი სხვა მოხუც დარბაისლებთან და მღვდელმთავრებთან ერთად ერთ-ერთ გორაკზე დაბანაკდა და ბრძოლის მსვლელობას ადევნებდა თვალყურს. სიმონის მეთაურობით ქართველმა მხედრებმა თავდადებით შეუტიეს მტერს და სასტიკად დაამარცხეს. უკუქცეული ყიზილბაშების ერთ-ერთი ცხენოსანი რაზმი ტყეს შეეფარა და აქედან გაქცევას აპირებდა, რომ შემთხვევით გადააწყდა გორაკზე დაბანაკებულ მეფე ლუარსაბს და მის ამალას. მოხუცები არ შედრკნენ და მტრის ამ რაზმთან ბრძოლაში გულადად ჩაებნენ. გმირობის მაგალითს თვითონ მეფე ლუარსაბი იძლეოდა. მას იარაღი სულ მთლად შემოემტვრა, მაგრამ ბრძოლის ველი მაინც არ დატოვა და თავისი ცხენი ყიზილბაშთა რაზმის მეთაურის ცხენს დაატაკა და გადათელა. მოულოდნელად მის ცხენსაც ფეხი ორმოში ჩაუვარდა და წაიქცა. ცხენწაქცეული მეფე ყიზილბაშებმა სასიკვდილოდ დაჭრეს. ამასობაში სიმონ ბატონიშვილიც გამოჩნდა ქართველთა ჯარით და ყიზილბაშთა ეს რაზმი მთლიანად გაანადგურა, მაგრამ გამარჯვების სიხარულს გმირი მეფის ტრაგიკული დაღუპვა ანელებდა. როგორც გადმოგვცემენ, ლუარსაბ

[1] ს ა რ კ ი ნ ო ზ ი — მაჰმადიანი.

მეფეს სიკედილის წინ უთქვამს: ჩემს გლოვას დაეხსენით და ქვეყნის შენახვას გაუფრთხილდითო. მეფე ლუარსაბი დიდი პატივით მცხეთაში დაკრძალეს.

5. იმერეთის სამეფო და სამცხე-საათაბაგო XVI საუკუნის პირველ ნახევარში. თურქ-ოსმალთაგან დაპყრობის საფრთხე პირველ რიგში სამცხესა და დასავლეთ საქართველოს დაემუქრა. სამცხის მთავრების წინდაუხედავი მოქმედების გამო ისინი საქართველოს წინააღმდეგ მტრის აგრესიის იარაღად იქცნენ. უკვე ყვარყვარე ათაბაგის მემკვიდრე მ ზ ე ჭ ა ბ უ კ ი ს დროს, 1510 წ. ოსმალები სამცხის გზით იმერეთს თავს დაესხნენ. საძცხის მთავარმა მათ დაუბრკოლებლად მისცა გზა თავის სამთავროზე. რა თქმა უნდა, ასეთი პოლიტიკა არა მარტო იმერეთს, არამედ თვით სამცხესაც საფრთხეს უქმნიდა. ოსმალები იმერეთს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდანაც უახლოვდებოდნენ. აქ მათი გავლენის ქვეშ მოექცა ჯ ი ქ თ ა აფხაზური ტომი. ყოველივე ამას კარგად ითვალისწინებდა იმერეთის ახალგაზრდა მეფე ბ ა გ რ ა ტ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ძე (1510 — 1565 წწ.) და ოსმალთათვის ორივე მხრიდან გზის გადაკეტვას შეეცადა. მისი თაოსნობით ჯიქეთზე ილაშქრეს სამეგრელოს და გურიის მთავრებმა, მაგრამ ეს ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. ამის შემდეგ იმერეთის მეფემ სამცხეს მიაპყრო ყურადღება. 1535 წელს მან სამცხე დალაშქრა, სამცხის მთავარი ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე II დაატყვევა და სამთავრო თავის სამფლობელოს უშუალოდ შემოუერთა.



გელათის ტაძრის ფრესკაზე. რომელიც შესრულებულია XVI საუკუნეში. წარმოდგენილნი არიან (მარჯვნიდან მარცხნივ) იმერეთის მეფე ბაგრატ ალექსანდრეს ძე. დედოფალი ელენე. მეფე გიორგი. დედოფალი რუსუდან და მათი ძე ბაგრატი.

სამცხის მოღალატე თავადებმა, ოთარ შალიკაშვილის მეთაურობით, ოსმალეთს მიმართეს დახმარების თხოვნით. ოსმალთა სულთანმა, როგორც კი მოიცალა, გამოგზავნა ჯარი იმერეთის წინააღმდეგ, მაგრამ ბაგრატ მეფემ ეს ჯარი მთლიანად გაანადგურა.

1545 წ. ოსმალეთის სულთნის ბრძანებით არზრუმისა და დიარბექირის ფაშები დიდი ჯარით დაიძრნენ საქართველოს წინააღმდეგ. ბაგრატის დასახმარებლად გამოემართა ლუარსაბ მეფეც. სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა ამ საერთო საქმეს უღალატა და იმერეთის მეფეს დახმარებაზე უარი შემოუთვალა. ამას დაემატა მესხი აზნაურების ღალატიც. ასე რომ, შინაურმა ღალატმა და მტრის რიცხობრივმა უპირატესობამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტა. სოხოისტას[1] ველზე გამართულ ბრძოლაში საქართველოს თავადებული მეფეები — ბაგრატი და ლუარსაბი დამარცხდნენ. სამცხის დიდი ნაწილი ოსმალებმა დაიკავეს.

სამცხეში განცდილი მარცხის შემდეგ მეფე ბაგრატმა გადაწყვიტა მტკიცე ხელით დაემორჩილებინა დასავლეთ საქართველოს მთავრები, რომლებიც მის უზენაესობას მხოლოდ ფორმალურად ცნობდნენ. განსაკუთრებით ურჩობდა ოდიშის, ანუ სამეგრელოს მთავარი ლევან I დადიანი.

ოდიშის სამთავრო ამ დროს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. საკუთრივ სამეგრელოს გარდა მასში აფხაზეთიც შედიოდა. ბაგრატ მეფემ დარბაზობაზე მოიწვია ლევან დადიანი და დააპატიმრებინა. ასევე სცადა გურიის მთავრის შეპყრობაც, მაგრამ გურიელი მიუხვდა და თავი მოარიდა. მალე იმერეთის თავადებმა შეპყრობილი ლევან დადიანიც გააპარეს და სამცხეში გადაიყვანეს. ამის შემდეგ გურიისა და ოდიშის მთავრები ფაქტობრივად გამოვიდნენ იმერეთის მეფის მორჩილებიდან.

დასავლეთ საქართველოს ფეოდალურმა დაქუცმაცებამ ოსმალეთს კიდევ უფრო გაუადვილა საქართველოზე შემოტევა. ოსმალების გავლენა განსაკუთრებით საქართველოს სამხრეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე გავრცელდა. ძათ თანდათანობით მიიტაცეს ჭანეთი, აჭარისა და სამცხის დასავლეთი ნაწილები, ასევე იწყეს შემოღწევა აფხაზეთში. აქ ძლიერდება, ერთი მხრით, მთის მოსახლეობის ჩამოწოლა და, მეორე მხრით, მაჰმადიანური სარწმუნოების გავრცელება. ამიტომ იყო, რომ ბაგრატ მეფემ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი,

---

[1] სოხოისტა ადგილია ბასიანში, ისტორიული საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

კათალიკოსთა რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადაიტანა.

ოსმალთა წაქეზებით დასავლეთ საქართველოში ძლიერდება ტ ყ ვ ი ს ყ ი დ ვ ა — ადგილობრივი მცხოვრებლების უცხოეთის ბაზარზე, უმთავრესად ოსმალეთში, მონებად გაყიდვა. ტყვეებს იტაცებდნენ და ოსმალო ვაჭრებზე ჰყიდდნენ როგორც იმიერკავკასიელი მთიელები, ისე ადგილობრივი ფეოდალებიც. მთავრებისა და თავადების ურთიერთ მიხტომა და მოსახლეობის ტყვედ წაყვანა მთავრდებოდა ათასობით ქართველის უცხოეთში გაყიდვით. ამ საშინელ სენს მეფე ბაგრატი შეებრძოლა. მან მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც სასტიკად აკრძალა ტყვის ყიდვა. ყველა შენიშნული პირი მკაცრად უნდა დასჯილიყო. მაგრამ ეს დადგენილება მხოლოდ მის სიცოცხლეში თუ სრულდებოდა. მისი სიკვდილის შემდეგ იმერეთი ანარქიამ მოიცვა და იქ წესრიგის დაცვის არავითარი საშუალება აღარ იყო.

კითხვები

1. როგორი იყო საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XV ს. მეორე ნახევარში? რომელი აგრესიული სახელმწიფოები წარმოიქმნა საქართველოს საზღვრების ახლოს? 2. რა ხასიათის სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი განხორციელდა კახეთში XV საუკუნის ბოლოს? რა მნიშვნელობა ჰქონდა მათ? 3. როდის გაგზავნეს კახეთიდან პირველი ელჩობა მოსკოვში და რა ვიცით მის შესახებ? 4. რატომ ვუწოდებთ ამ პერიოდის ირანის სახელმწიფოს ყიზილბაშურს? 5. რა მნიშვნელობა ჰქონდა ლუარსაბ I-ის ბრძოლას ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ. 6. რა იცით ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოსა და სამცხის სამთავროს შესახებ?

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

1. ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი XV საუკუნის ბოლოს კახეთში გატარებული სახელმწიფოებრივი ღონისძიების შესახებ

გიორგი მეფემ „მაშინ მოსპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირეთა ადგილთა, ვითარცა არიან დღემდე. მოურავი ქისიყისა, წუქეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჭიაურისა, შილდაყვარელისა, მარტყოფისა, გრემისა, პანკისისა და სხუანიცა. და განჰყო ოთხ სადროშოდ, და მისცა დროშანი ეპისკოპოსთა, რათა არა განიმკვიდრონ მთავართა და დაიპყრან შეუცვალებლად, და ამით ერთგულ ყვნა მრავალნი.

კვალად ჰყო ალავერდელი ეპისკოპოსად, რამეთუ იყო აქამომდე ამბა[1] და მონასტერი და მისცა სამწყსო და ხარისხი თავ კახთა ეპისკოპოს-

[1] მონასტრის წინამძღვარი.

თა. კუალად ჰყო გრემი ქალაქი და ტახტი ჰერ-კახთა და შენობა დიდი... არა მისცა მთავართა ძალი, არამედ თვით დაიპყრა".

დავალებები და კითხვა

სსრ კავშირის ისტორიიდან გაიხსენეთ რუსეთის მდგომარეობა XV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისათვის. ძველი ისტორიკოსის თხზულებიდან ძოტანილი ადგილის მიხედვით უფრო სრულად გადმოეცით გიორგი მეფის მიერ კახეთში გატარებული რეფორმები და შეუდარეთ კახეთის საშინაო მდგომარეობა საქართველოს სხვა ნაწილების საშინაო ვითარებას. რა მნიშვნელოვანი მოვლენები უსწრებდა წინ კახეთიდან რუსეთში ელჩობის გაგზავნას?

2. კახეთის მეფის ალექსანდრე გიორგის ძის წერილი მოსკოვის დიდი მთავრის ივანე III-სადმი გაგზავნილი 1483 წ. თარგმანი ძველი რუსულიდან

„დიდ მეფეს და ბატონს, დიდ მთავარს მდაბალი თაყვანისცემა. უწყებულ იყავ, რომ შორეული ქვეყნიდან, მაგრამ აზრით ახლო მყოფი მდაბალი ყმა შენი ალექსანდრე სალამს მოგიძღვნი, ბრმათათვის სინათლეე, ლაჟვარდოვან ცის ვარსკვლავო, ქრისტიანების იმედო, ჩვენი სარწმუნოების ბურჯო, ყოვლად ბრწყინვალე ხელმწიფეე. ყველა ხელმწიფეთა თავშესაფარო, ყველა ხელმწიფეთათვის კანონო, ღატაკთა დასაყრდენო და მუსლიმანთათვისაც კი იმედო, კუთვნილ ქვეყნის მრისხანე ხელმწიფეე, ყოველ მთავართა მართლმსაჯულო, ყველა მთავართა უზენაესო მთავარო, ქვეყნის მყუდროებავ, წმ. ნიკოლოზისთვის აღთქმის მიმცემო. კეთილშობილ ხელმწიფეთა ლოცვითა და ბედნიერებით ჩვენ აქ ოვერთა ქვეყანაში ჯანსაღად ვართ, თქვენს ჯანსაღად ყოფნასაც რომ გავიგონებდეთ ღვთის მადლით. და კიდევ გეუწყოს — მრავალი თაყვანისცემით თქვენს კარზე წარმომივლენია ნარიმანი, დამიანე და მათთან ერთად ხოზე მარუმი მაქელი, თქვენი ჯანმრთელობის გასაგებად. ღმერთმა ბედნიერი ჰყოს ჩვენი ელჩობა. ღმერთმა ქნას მუდამ ბედნიერად ყოფილიყო. თქვენი ყმობის უღირსი ალექსანდრე. ხოლო დაიწერა ოთხმოცდათერთმეტსა წელსა[1], იანვარში".

[1] 91 წელი არის შემოკლებით გადმოცემული 6991 წელი. ძველ რუსეთში (პეტრე I-ის რეფორმებამდე) მიღებული იყო წელთაღრიცხვა ე. წ. ქვეყნიერების გაჩენიდან, რაც მათი წარმოდგენით ქრისტეს დაბადებამდე (ე. ი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) 5508 წლიდან იწყებოდა. ამიტომ ჩვენს წელთაღრიცხვაზე გადმოსაყვანად რუსული წყაროების დათარიღებას უნდა გამოაკლდეს 5508 წ. ჩვენს შემთხვევაში 6991—5508=1483 წ.

3. ნაწყვეტი XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებიდან

„საქართველო თავად ცოტა[1] იყო და მერმე მრაველად გაყოფილი და ერთმანეთის ურჩნი და ქიშპნი მტერნი, ერთმანეთის მარბენი და მაწყინარნი... ამისთვის იქით ურუმნი[2] არბევდნენ და აქეთ ყიზილბაშნი და ამისათვის ორს დიდ ხელმწიფებს შუაში ბევრს ეცადნეს. აქეთ იქნიეს ხმალი და იქით და მრავალი ნავნებიც[3] ქნეს. მაგრამ არ იქნა და ვერცა თავს გაუვიდნენ. ხონთქარმა[4] და ყაენმა[5] საქართველო შუა გაიყვეს. სამცხე და ქართლი და კახეთი — ყაენსა, იმერეთი, ოდიში და აფხაზეთი გურია და ლაზის ქვეყანა — ხონთქარსა. ამ გაყოფას სრულ საქართველოს ბატონები დასჯერდეს, მაგრამ მეფე ლუარსაბ არ სჯერიყო და კიდეც თაკილობდა...

ლუარსაბ მეფე მამაცობაზე ნაქებია ყოველს საქართველოს მეფეთა და თავადთ ზედან, ძველით ასლ,ამდისინ, თავად კარგი სარდალი იყო და მერე გულოვანი, უხვი და უშურველი, მსმეველ-მჭმეველი, სამართლიანი ყმა მორჩილი, ცხენოსან-ცეროსანი, ომში კოხტა და უშიშარი, მაგარი ქრისტიანი. ურუმთა და ყიზილბაშთა ნამეტნავად მისგან ეშინოდათ. მეზობელნი ვითაც ყმანი ემსახურებოდნენ და თვითონ სხვათა ყმობის თქმა არ იკადრა".

დავალება და კითხვები

1. დაახასიათეთ ლუარსაბ პირველის პიროვნება. 2. რა ვითარებაში უხდებოდა მოღვაწეობა? 3. რით დაიმსახურა ესოდენ დიდი პატივისცემა და სიყვარული მის თანამედროვე და მომდევნო ხანის ქართულ საზოგადოებაში.

§ 26. საქართველო XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის დასაწყისში

1. სიმონ პირველი. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველი ხალხის ბრძოლებს ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ სათავეში უდგას ქართლის მეფე სიმონ პირველი (1556—1600 წწ.). სიმონი ცდილობდა დაკავშირებოდა ქართველ მეფე-მთავრებს და ერთობლივი ძალით დაპირისპირებოდა მოძალადე ყიზილბაშებს.

1569 წ. ერთ-ერთი ბრძოლის დროს მოღალატე ყორღანაშვილის დახმარებით ყიზილბაშებმა დაატყვევეს მეფე სიმონი და ირანში წაიყვანეს. იქ ბევრს ეცადა შაჰ-თამაზი სიმონის გამაჰმადიანებას და თავის მხარეზე გადაყვანას, მაგრამ ვერაფერს გახდა. ამით განრისხებულმა ირანის შაჰმა ქედმოუხრე-

[1] მცირე. [2] ოსმალები. [3] ზიანი მიაყენეს. [4] თურქეთის სულთანმა. [5] ირანის შაჰმა.

ლი მეფე ალამუტის ციხეში გამოჰკეტა. ქართლი სამმართველოდ მის გამაჰმადიანებულ ძმას, დაუდ-ხანს მისცა. ქართლი არ ემორჩილებოდა ამ გადაგვარებულ მოღალატე ბატონიშვილს და ახალი ბრძოლებისათვის ხმალს ლესავდა. ხალხი წმინდად ინახავდა სამშობლოსთვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას და მძულვარების ცეცხლს მიაგებდა იმ მოღალატეებს, რომლებიც მტრის სამსახურში ჩამდგარიყვნენ. მოწინავე დროშის სარდალმა საჩინო ბარათაშვილმა შეიპყრო გამცემი ყორღანაშვილი და გელიყარის ციცაბო კლდიდან გადმოაგდო. ხალხმა ამის შესახებ ლექსიც კი გამოთქვა: „ყორღანას ძე ქარაფინდა, ხელი ჰკრეს და გადაფრინდა“. შეიქმნა გადმოცემაც, რომ თითქოს მოღალატის ლეშს თვით მშიერმა მგლებმაც კი პირი არ დააკარესო.

1578 წ. ოსმალეთმა დაარღვია ზავი ირანთან და უზარმაზარი ჯარი დაძრა ამიერკავკასიის დასაკავებლად. შაჰ-თამაზის სიკვდი-

20.საქართველო XVI ს-ში


ქალაქი
ბრძოლა
დედაქალაქი
ციხე
სხვა მნიშვნელოვანი პუნქტი
სამეფო-სამთავროთა საზღვრები XVI ს-ის I ნახევარში
1555 წლისათვის ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორია
სამცხე-საათაბაგო 1555-1578 წ-ში
მუსტაფა-ლალა ფაშას ლაშქრობა 1578 წ
ოსმალეთი
ირანი
ოსეთი
ალბანეთი
ბერძენთა ზღვა
(შაკი ზღვა)
ბოსფორი
ბიზანტია
ბერეთი
ბერეთის
ბერეთი
ბერეთი
ბერეთი

ლის შემდეგ ირანში არეულობა დაიწყო. ამის გამო ოსმალეთის შემოტევის შეჩერება ყიზილბაშებმა ვერ შეძლეს. ასეთ ვითარებაში შაჰის კარმა გადაწყვიტა ტყვეობიდან გაეთავისუფლებინა მეფე სიმონი და გამოეგზავნა საქართველოში ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქართლის მოსახლეობა სიმონ მეფეს აღტაცებით შეხვდა. ოსმალებს სამცხისა და ქართლის ციხე-ქალაქებში თავისი გარნიზონები ჩაეყენებინათ და ქართველ მოსახლეობას სასტიკად ავიწროებდნენ. სიმონ მეფემ დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმა ხალხი. მან ბრძოლით გაათავისუფლა გ ო რ ი ს და ლ ო რ ე ს ციხეები და თ ბ ი ლ ი ს ს ა ც ასაღებად შემოადგა. თბილისის გარნიზონის დასახმარებლად ოსმალთა დიდი ჯარი გამოიგზავნა. მეგზურობა დავალებული ჰქონდა სამცხის გამაჰმადიანებულ მთავარს მ ა ნ უ ჩ ა რ ს. იძულებითი გამაჰმადიანების მიუხედავად მანუჩარი მაინც თავისი ქვეყნის პატრიოტად დარჩენილიყო. იგი ფარულად დაუკავშირდა სიმონ მეფეს და მოხერხებული მოქმედებით ქართველებმა გაანადგურეს მ უ ხ რ ა ნ თ ა ნ დაბანაკებული მტრის ლაშქარი. ოსმალთა სარდლებმა მანუჩარზე ეჭვი აიღეს და მისი შეპყრობა სცადეს, მაგრამ მანუჩარმა ხმლით გაიკაფა გზა და სიმონ მეფეს შეუერთდა. სამცხეშიაც აჯანყება დაიწყო. სულთნის კარი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და სიმონი ქართლის მეფედ ქრისტიანობით ეცნო. მას მხოლოდ ყოველწლიურად ხარკის გადახდა დაევალა. ეს იმას ნიშნავდა, რომ **ოსმალეთი ამჯერად ხელს იღებდა ქვეყნის სრულ დაპყრობაზე და ქართლის ვასალური დამოკიდებულებით კმაყოფილდებოდა. ეს „ქართველობისათვის" მებრძოლთა დიდი გამარჯვება იყო.**

2. კახეთის სამეფო XVI საუკუნეში. კახეთის სამეფო განსხვავებით ქართლისაგან მთელი XVI საუკუნის განმავლობაში მშვიდობიანად ვითარდებოდა. კახეთის მმართველი წრეები მოხერხებული დიპლომატიით, მცირე ხარკის გაღებით, ფორმალური ყმობის აღიარებით იმას ახერხებდნენ, რომ დამპყრობლებს ქვეყნის შიგნით არ უშვებდნენ. ასეთი პოლიტიკით მათ თავიდან აიცილეს როგორც ყიზილბაშური ირანის, ისე თურქ-ოსმალეთის მხრივ უშუალო დაპყრობა. დამპყრობთა მხრიდან კახეთისადმი ასეთი დათმობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ ირანელი და ოსმალო აგრესორების წინააღმდეგ შეურიგებლად იბრძოდა ქართლი. იმის შიშით, რომ მებრძოლ ქართლს კახეთიც არ შეერთებოდა დამპყრობლები თანხმდებოდნენ მის ფორმალურ მორჩილებას. ამდენად, ქართლის გმირული ბრძოლა კახეთის ინტერესებსაც ემსახურებოდა.

მაგრამ კახეთის ასეთი მდგომარეობა არ იყო მყარი. ირანელი და ოსმალო დამპყრობლების წაქეზებით კახეთზე გაანშირეს თავდასხმები დაღესტნელმა მთიელებმა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ როგორც კი დამპყრობლები მებრძოლ ქართლს დაიმორჩილებდნენ. ისინი კახეთსაც მოუბრუნდებოდნენ და მის ასეთ ფორმალურ ყმობას აღარ დასჯერდებოდნენ. კახეთის მეფე ლ ე ვ ა ნ ი (1518 – 1574 წწ.) შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა.

ამ დროს იმიერკავკასიაში გააქტიურდა რუსეთის სახელმწიფო. ი ვ ა ნ ე მ ე ო თ ხ ე მ მდ. თერგზე და სუნჯაზე ციხეები ჩადგა და თავისი მოკავშირე ჩერქეზთა მთავრის დასახმარებლად

21. კახეთის სამეფო XVI - XVII ს-ის I ნახევარში


ქალაქი
სხვა მნიშვნელოვანი პუნქტი
ციხე
დედაქალაქი
ეკლესია-მონასტერი
საეპისკოპოსო
სადროშოს საზღვარი
სამურაოს საზღვარი
სათავადოს საზღვარი
ბრძოლა
I,II,III,IV სადროშოები
ოსეთი
ეგრისი
ეგრისი
ეგრის

ჯარიც გამოგზავნა. ამ ჯარის ნაწილები მეფე ლევანმა თავის სანაპირო ციხეებში ჩააყენა დაღესტნელი მთიელების თავდასხმებისაგან ქვეყნის დასაცავად. მოსკოვში ჩადიან კახეთის მეფის ელჩები. 1564 წელს მეფე ივანე IV-ემ მეფე ლევანთან წერილი გამოატანა კახეთის ელჩს ი ა კ ო ბ ს. რუსეთის ასეთმა ენერგიულმა ამოქმედებამ კავკასიაში მეტისმეტად შეაშფოთა როგორც ოსმალეთი, ისე ირანი. მათი მოთხოვნით რუსეთმა მოშალა ციხეები და ჯარიც გაიყვანა კავკასიიდან.

კახეთის მეფე ლევანი ფრესკა გრემის მთავარანგელოზის ეკლესიიდან.

ლევანის მემკვიდრე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ე ო რ ი ს (1574 — 1605 წწ.) დროს, როდესაც კავკასიის დიდი ნაწილი თურქ-ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი, რუსეთმა ისევ აღადგინა ურთიერთობა კახეთთან. **1587 წ. 28 სექტემბერს რუსეთსა და კახეთს შორის გაფორმდა პირველი ხელშეკრულება („ფიცის წიგნი"), რომლის ძალითაც კახეთი რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა (იხ. დოკ. 1).** კახეთის მეფემ საზეიმოდ დადო ფიცი, რომ რუსეთის მტრები მისი მტრებიც იქნებოდნენ, ხოლო რუსეთი დაიცავდა კახეთს ყველა მტრისაგან. რუსეთს უნდა ჩაედგა ციხეები თერგზე და კახეთისკენ გზა გაეხსნა. ამით კახელი პოლიტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ საბოლოოდ ალაგმავდნენ დაღესტნელი მთიელების თავდასხმებს და საჭირო შემთხვევაში დახმარებასაც მიიღებდნენ რუსეთისაგან. 1589 წ. რუსეთის მეფემ კახეთის მეფეს გამოუგზავნა „წ ყ ა ლ ო ბ ი ს ს ი გ ე ლ ი", რომელშიც დადასტურებული იყო „ფ ი ც ი ს წ ი გ ნ ი თ" გათვალისწინებული პირობები. ამით ეს ხელშეკრულება ორივე მხრიდან იქნა დამტკიცებული.

კახეთის მეფე ალექსანდრე II და ოსმალთა სარდალ მუსტაფა ლალაფაშას შეხვედრა სარიჭალასთან. 1578 წ. ძველი სპარსული მინიატურა.

3. ქართველი ხალხის ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ XVI საუკუნის ბოლოს. 1590 წ. დაიდო ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის. ირანის ახალი შაჰი ა ბ ა ს I (1587 — 1629 წწ.) იძულებული იყო ოსმალეთისათვის დაეთმო მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია და ირანის აზერბაიჯანი. ოსმალეთი დაპყრობილ ქვეყნებში თავისი ბატონობის განმტკიცებას შეუდგა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ს ა მ ც ხ ე და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი — ა ჭ ა რ ა და ჭ ა ნ ე თ ი. აქ შემოღებულ იქნა ოსმალური ძართვა-გამგებლობა და ძიწისმფლობელობა. აღწერილ იქნა 1160 ქართული სოფელი, რომელიც გ უ რ ჯ ი ს ტ ა ნ ი ს ვ ი ლ ა ი ე თ შ ი, ანუ ა ხ ა ლ ც ი ხ ი ს ს ა ფ ა შ ო ძ ი გააერთიანეს. ქართველ მოსახლეობას მძიმე გადასახადები დააკისრეს. ამას ემატებოდა რელიგიური და ეროვნული ჩაგვრა და განუკითხაობა. მასობრივად დაიწყეს ქართველი ფე-

ოდალებისათვის მიწების ჩამორთმევა. მიწას მხოლოდ მას უტოვებდნენ, ისიც დროებით სამფლობელოდ, ვინც მაჰმადიანობას მიიღებდა და დამპყრობლების სამსახურში შევიდოდა. ამრიგად, **საქართველოს მოსწყდა მისი უძველესი სისხლხორცეული ნაწილები — სამცხე, აჭარა, ჭანეთი, რომლებიც ამის შემდეგ თითქმის 300 წლის განმავლობაში ოსმალო დამპყრობლების უღელქვეშ გმინავდნენ.**

მეფე სიმონი სწორად ითვალისწინებდა, რომ იგივე ბედი მოელოდა მის სამეფოსაც. ამიტომ ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებისათვის იწყო მზადება. ოსმალებს ძლიერი გარნიზონები ჰყავდათ ჩაყენებული გორის, ლორეს, თბილისის და სხვა ციხეებში.

22. ქართლი და იმერეთი XVII ს-ში



გორის ციხის ხედი.

ქართლის მეფემ ბრძოლა გ ო რ ი ს ციხიდან დაიწყო. 9 თვის ალყის შემდეგ 1599 წლის გაზაფხულზე გორის ციხე აღებულ იქნა, ქართველებმა ახლა თ ბ ი ლ ი ს ი ს ასაღებად იწყეს მზადება. სიმონ მეფის ამ წარმატებამ იმედის ნაპერწკალი გაუღვივა ოსმალთა მონობაში ჩავარდნილ აჭარა-სამცხის მცხოვრებლებს. მათაც იარაღს მოჰკიდეს ხელი. აჯანყებულთა წარმატებით შეშინებულმა სულთანმა დიდძალი ჯარი გამოგზავნა საქართველოში. ალგეთზე მისული მტერი სოფ. ნ ა ხ ი დ უ რ თ ა ნ დაბანაკდა და თბილისისაკენ წამოსასვლელად ემზადებოდა. სიმონმა ლაშქრის თავმოყრა ვერ მოასწრო და გადაწყვიტა მის ხელთ მყოფი მცირე ძალებით შებმოდა მტერს..

მემატიანე გადმოგვცემს, რომ ბრძოლის წინ ქართველები ერთმანეთს გამოეთხოვნენ, ზიარება მიიღეს და სასიკვდილოდ განწირულებმა თავდადებით შეუტიეს მტერს. უთანასწორო ბრძოლა 5 საათს გაგრძელდა. ქართველებმა უკან დახევა იწყეს. სოფ. ფ ა რ ცხ ი ს ი ს ახლოს, ვიწრო გზაზე მოულოდნელად მეფე სიმონის ცხენი ტალახის ღრმა საფლობში ჩავარდა და მისი ამოყვანა გაძნელდა. ამასობაში ოსმალებიც წამოეწივნენ. მეფე ბოლომდე მხნედ იბრძოდა და მტერს არ ნებდებოდა. ოსმალთა სარდალმა ჯ ა ფ ა რ - ფ ა შ ა მ მეფის ცოცხლად შეპყრობა ბრძანა. დატყვევებული სიმონი სტამბოლს გაგზავნეს.

სულთანმა მეფე სიმონის დატყვევება დიდი ზეიმით აღნიშნა. ქართლის გმირი მეფე სტამბოლში 1600 წლის 21 ივნისს ჩაიყვანეს და ი ე დ ი ყ უ ლ ე ს ციხეში გამოკეტეს, სადაც ხანგრძლივი ტყვეობის შემდეგ იგი გარდაიცვალა. ქართველებმა დიდი სა-



მთავარანგელოზის ეკლესიის ხედი გრემის ნაქალაქარიდან (XVI ს.).

ფასურით დაიხსნეს სამშობლოსათვის თავდადებული მეფის ნეშტი, დიდი პატივით ჩამოასვენეს ქართლში და მისი გმირი მამის, მეფე ლუარსაბის გვერდით დაკრძალეს მცხეთაში.

4. კახეთი XVII საუკუნის დასაწყისში. ქართლის ამ გმირული ბრძოლების დროს კახეთი ისევ განზე იდგა. მეფე ალექსანდრე მეორე არ უხვევდა წინაპრების ნაცად გზას და ხან ოსმალებისადმი ფორმალური მორჩილებით და ხან ირანისადმი თავის დაკვრით, ქვეყნისათვის მშვიდობის შენარჩუნებას ცდილობდა. მისი უფროსი ვაჟიშვილი ოსმალეთის სამსახურში იყო ჩამდგარი, უმცროსი — კონსტანტინე კი შაჰს ჰყავდა მძევლად წაყვანილი. კახელი პოლიტიკოსების იმედი ამ რთულ ვითარებაში რუსეთი იყო, რომლისგანაც ხელშეკრულებით აღთქმული დახმარების მიღებას ვარაუდობდნენ.

რუსეთის ახალმა მეფემ ბორის გოდუნოვმა თავისი ხელდებული მოკავშირისადმი ენერგიული დახმარება სცადა. კახეთის მთავარი შემაწუხებელი დაღესტნელი მთიელები იყვნენ, რომლებიც ოსმალთა წაქეზებით გამუდმებით ესხმოდნენ კახეთის მშვიდობიან სოფლებს და იტაცებდნენ ყველას და ყველაფერს, რის წაყვანაც და წაღებაც შეიძლებოდა. კახეთიდან გაჰყავდათ ათასობით ტყვე, რომლებსაც ოსმალეთის ბაზარზე ყიდდნენ. კახეთის სამეფო კარი მარტო თავისი ძალებით ამ უბედურების წინააღმდეგ ვერაფერს ახერხებდა, ამიტომ ალექსანდრე მეფე თავის მოკავშირე-მფარველი რუსეთისგან პირველ რიგში საშამხლოს დაკავებას და კახეთ-თერგის გზის გახსნას მოითხოვდა. ამ მიზნით ბო-

ქულბაქების (სავაჭრო ადგილების) ნაშთები გრემიდან (XVI ს.).

რის გოდუნოვმა ჯარი გამოგზავნა საშამხლოში, მაგრამ მარცხი განიცადა.

ამასობაში აქტიურად ამოქმედდა შაჰ-აბას I. მან კარგად ისარგებლა ოსმალეთთან მშვიდობის ჩამოგდებით და ირანში დიდი გარდაქმნები განახორციელა. მან ახლებურად შეცვალა თავისი სამხედრო ძალა და ოსმალთა წინააღმდეგ ომისათვის მოემზადა. ირანის შაჰი ამ ომში რუსეთის ჩაბმასაც ვარაუდობდა, ამიტომ თავდაპირველად ალექსანდრეს რუსეთთან დაკავშირებას წინააღმდეგობა არ გაუწია.

1603 წელს შაჰ-აბასმა ოსმალეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო და თავისთან დაიბარა ქართლის და კახეთის მეფეები. ალექსანდრე შაჰთან მხოლოდ კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ გამოცხადდა, რამაც ირანის მბრძანებელი მეტად განარისხა. იგი კარგად ხედავდა, რომ კახეთის მეფე რუსეთს კავკასიისკენ მოუწოდებდა, ეს კი ირანის აქედან საბოლოო გაძევებას გამოიწვევდა. ირანმა ოსმალეთი რუსეთის დახმარების გარეშე დაამარცხა, ამიტომ მან მკვეთრად შეიცვალა რუსეთის ერთგული ალექსანდრე მეფისადმი დამოკიდებულება. უკან დაბრუნებულ ალექსანდრეს თან მის კარზე გაზრდილი, გასპარსელებულ-გამაჰმადიანებული კონსტანტინე ბატონიშვილი გამოატანა ყიზილბაშთა ჯარით. ამ ჯარს თითქოს შარვანში მდგომი ოსმალები უნდა განედევნა, სინამდვილეში კი დავალებული ჰქონდა კახეთის დაკავება და აქ კონსტანტინე ხანის გამეფება.

1605 წლის 12 მარტს ძეგამში თათბირის დროს კონსტანტინე ხანის ბრძანებით ყიზილბაშებმა მისი მამა მეფე ალექსანდრე, ძმა გიორგი და სხვა კახელი დიდებულები ამოხოცეს, მაგრამ ხალხმა მამის მკვლელი კონსტანტინე მეფედ არ ისურვა და მის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. აჯანყებას სათავეში ალექსანდრეს რძალი ქ ე თ ე ვ ა ნ დ ე დ ო ფ ა ლ ი ჩაუდგა. აჯანყებულებმა ერთ-ერთ ბრძოლაში კონსტანტინე ხანი მოკლეს და ყიზილბაშების ჯარი კახეთიდან გააძევეს. მოვლენების ასეთმა განვითარებამ შაჰ-აბასი მეტისმეტად შეაშფოთა, მაგრამ იძულებული გახდა ხალხის ნებას დაჰყოლოდა და კახელთა მეფედ ქეთევანის ვაჟი, ახალგაზრდა თ ე ი მ ურ ა ზ ი დაემტკიცებინა. კახეთისათვის ანგარიშის გასწორება მან მომავლისთვის გადადო.

1613 წელს, როდესაც ოსმალეთთან დროებით ზავი ჰქონდა დადებული, შაჰ-აბასი მთელი თავისი ძალით კახეთის წინააღმდეგ წამოვიდა. 1614 — 1617 წლებში მან კახეთზე პირადად ოთხჯერ ილაშქრა (იხ. დოკ. 2). ამ ლაშქრობების შედეგად საქართველოს ეს აყვავებული მხარე მიწასთან იქნა გასწორებული, დაინგრა სოფლები და ქალაქები. მოსახლეობის დიდი ნაწილი მტერს შეაკვ-

და უთანასწორო ბრძოლებში, 200 ათასამდე კახელი ტყვედ გაირეკეს და ირანში გადაასახლეს. ამათი შთამომავლები არიან დღესაც ირანის პროვინცია ფ ე რ ე ი დ ა ნ შ ი მცხოვრები ქართველები.

კითხვები

1. რატომ დააბრუნეს საქართველოში ირანში ტყვედ მყოფი სიმონ I? 2. რა იყო XVI საუკუნის მანძილზე კახეთის სამეფოს მშვიდობიანად გადარჩენის მიზეზები? როგორ განვითარდა კახეთის ეკონომიკა მშვიდობიანობის პირობებში? 3 როგორი იყო სამცხე-საათაბაგოს მდგომარეობა XVI საუკუნის ბოლოს? რა ღონისძიებები განახორციელეს ოსმალებმა ამ ქართული ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად? 4. გადმოეცით XVI საუკუნის მანძილზე რუსეთთან კახეთის სამეფოს ურთიერთობის ძირითადი ფაქტები. 5. რატომ აღუდგა წინ კახეთის რუსეთთან დაკავშირებას ირანის ძლევამოსილი შაჰი აბას I? როგორ ჩაშალა მან ეს ურთიერთობა და რა ღონისძიებები განახორციელა კახეთის წინააღმდეგ?

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

1. 1587 წ. ალექსანდრე კახთა მეფის მიერ რუსეთის მეფე თევდორე ივანეს ძისათვის მიცემული „ფიცის წიგნის“ შინაარსი

ალექსანდრე კახთა მეფე ძვილებით და უახლოესი დარბაისლებით ფიცით აცხადებდა, რომ:

მან რუსეთის ხელმწიფე თევდორე ივანეს ძესთან თავისი ელჩები იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ხურშიტა ჩერქეზი გაგზავნა თხოვნით, რათა რუსეთის ხელმწიფეს შეეწყალებინა ის და კახეთი თავის ხელქვეშ დაეჭირა, კახეთისთვის თავისი ხელი დაედვა და ალექსანდრე მეფის და მისი ქვეყნის ყველა მტრისაგან დაცვა ებრძანებინა;

რუსეთის ხელმწიფემ შეიწყალა ის და მფარველობის ხელი დასდო მას და მის ქვეყანას და მტრებისაგან დაცვა უბრძანა თავის სარდლებს;

ამიერიდან ის (ალექსანდრე მეფე) თავისი შვილებით და მთელი ქვეყნით მკვიდრად და წაუვალად იქნება თევდორე მეფისა და მისი შვილების ხელქვეშ;

ალექსანდრე მეფე თავისი შვილებით და მთელი ქვეყნით რუსეთის ხელმწიფისა და მისი შვილების ავსა და საზიანოს არაფერს ისურვებს და არც იმოქმედებს, არავის ხელმწიფის მტერს არ მიუდგება;

რუსეთის ხელმწიფის მეგობარს ისიც თავის მეგობრად მიიჩნევს, ხოლო მტერს თავის მტრად დაიგულებს და მტრადვე აღუდგება მას.

კითხვები და დავალება

1. რა პირობებს ითვალისწინებდა 1587 წლის ხელშეკრულება (ფიცის წიგნი) როგორც რუსეთის, ისე კახეთის მხრიდან? 2. ვინ გააგზავნა ელჩებად ალექ-

სანდრე მეფემ მოსკოვში? 3. ფიცის წიგნის შინაარსის მიხედვით უფრო ფართოდ მოგვითხრეთ კახეთისა და რუსეთის ურთიერთობა XVI საუკუნის 80-იან წლებში

2. XVII საუკუნის სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში შაჰ-აბასის მიერ 1616 წ. კახეთის აოხრების შესახებ

„(შაჰ-აბასის მიერ) გადაწყვეტილი იყო კახეთის დანგრევა, იქაურ ურწმუნოთა (ე.ი. ქრისტიან ქართველთა) გაწყვეტა... იმ ურჯულოთა (ქართველთა) ასი ათასზე მეტი ქალისა და ბავშვის გამოყვანა, ბედკრულმა თეიმურაზმა... გაბედა ყიზილბაშთა ბედნიერ ლაშქართან შებრძოლება. როცა ამ ამბავმა მიაღწია მაზანდარანში[1] შაჰის უწმინდეს გონებას, ხელმწიფის კეთილშობილური აღტკინების ალი და მისი მძვინვარების ცეცხლი ისეთი ავარდა, რომ ყოველი მისი ნაპერწკალი ქვეყნიერების დამწველი მეხი იყო. ამიტომ (შაჰმა) მტკიცედ გადასწყვიტა საქართველოზე გალაშქრება და იქაურ ურჯულოთა დაქცევა, რომელთაც გაბედეს მუსულმანების დახოცვა...

მისმა უდიდებულესობამ ძლევამოსილი ლაშქარი რამდენიმე ჯგუფად გაჰყო. ყოველი ჯგუფი ცალკე მხარეს გაგზავნეს თითო სახელოვანი ამირას მეთაურობით... (ებრძანათ) ქართველების სამყოფელს ოთხივ მხრიდან შემორტყმოდნენ, ნადირივით შუაში მოექციათ და ვისაც კი მისწვდებოდნენ, ისლამის ხალხთან მეომარი მათი ურჯულო მამაკაცები საღვთო ომის ელვარე მახვილით დაეხოცათ. იმ ურჯულოთაგან არც ერთი ცოცხალი არ გაეშვათ, ქალები და ბავშვები ტყვედ წამოეყვანათ, ხოლო საქონელი და ქონება, რაც ხელში ჩაუვარდებოდათ, მუსლიმანთა და ღაზიების[2] დავლა იქნებოდა.

(კახეთის მოსახლეობა გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა)

...იუსუფ-ხანი და შირვანელი ამირები საქართველოს აღმოსავლეთით ძეგამის მხრიდან მოდიოდნენ, რომ ძეგამელი ქრისტიანები, რომლებიც ღირსეულ ხალხად არიან ცნობილნი, მრავალრიცხოვან ლაშქრად შეგროვილნი შირვანის ჯართან საბრძოლველად დაძრულიყვნენ. დიდი ბრძოლა გაიმართა. ისლამის ხალხს ღვთის დახმარება მოეელინა, ის ხალხი (ძეგამის მცხოვრებთა ლაშქარი) დამარცხდა... ღაზიებმა მათი საცხოვრებლები დააქციეს და ქალაქ ძეგამში კვალიც კი არ დატოვეს მოსახლეობისა. ასე მოხდა მთელ კახეთში. რაც ხოცვა და რბევა, ძარცვა, ტყვევნა და ნგრევა ქვეყნისა და გავერანება სახლებისა და საცხოვრებლებისა კახეთის ქრისტიანებს თავს დაატყდათ, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დროიდან აქამომდე, რომ ასეთი რამ ისლამის ქვეყნების რომელიმე ხელმწიფისაგან მოსვლოდეთ მათ და მათი მამული ასე აოხრებულიყო. მოკლულთა რიცხვი სამოც-სამოცდაათ ათასს სჭარბობდა, ლამაზი ქალწულები, უწვერული მშვენიერი ვაჟები და სხვანი და ბავშვები, რომლებიც გატარებულ იქნენ მისი უავგუსტოესობის[3] წინაშე, ასი ათასზე მეტი იქნა აღწერილი. მაგრამ ამ სტრიქონების დამწერის აზრით, ოცდაა-

---

[1] მ ა ზ ა ნ დ ა რ ა ნ ი — პროვინცია ირანში. [2] ღ ა ზ ი — მუსლიმანი მებრძოლი. [3] ე. ი. შაჰ-აბასის.

თიათასი კიდევ სხვა კუთხესა და კიდეში იქნა ტყვედ დაჭერილი, რომლებიც არ ყოფილან აღრიცხული".

დავალება და კითხვა

წარმოდგენილი ნაწყვეტის მიხედვით გადმოეცით შაჰ-აბასის მიერ კახეთის განადგურების სურათი. რამდენი ტყვე გაუყვანიათ კახეთიდან სპარსელი ისტორიკოსის ისკანდერ მუნშის ამ მონაცემების მიხედვით?

§ 26. ქართველი ხალხის ბრძოლა ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ XVII საუკუნეში

1. თევდორეს გმირობა. ირან-ოსმალეთის ომის მსვლელობაში ოსმალები კვლავ ცდილობდნენ ქართლის დაპყრობას. 1609 წ. მათ დიდი ჯარი გამოგზავნეს მეფე ლუარსაბ II-ის (1606—1614 წწ.) შესაპყრობად და ქართლის დასაკავებლად. ეს ჯარი თრიალეთთან მოვიდა და აქედან მოულოდნელად შიდა ქართლში გადასვლა სცადა. მათ იცოდნენ, რომ ლ უ ა რ ს ა ბ მეფე ც ხ ი რ ე თ ი ს[1] ციხეში იდგა მცირე ამალით. სოფელ კ ვ ე ლ თ ა ს თ ა ნ (მანგლისის მახლობლად) მათ ერთი ადგილობრივი გლეხი, თ ე ვ დ ო რ ე ხ უ ც ე ს ი შეიპყრეს და მეგზურობა უბრძანეს. მაგრამ თევდორემ სულ სხვა გზით წაიყვანა მომხდურები და ცხირეთის ციხეს ძალიან დააშორა. როცა ოსმალები მიუხვდნენ, უკვე დაგვიანებული იყო: ქართველებს მტრის შემოსვლა და მოძრაობა შეეტყოთ და სათანადოდაც მომზადებულიყვნენ. ოსმალებმა სასტიკად აწამეს თევდორე. იგი ხმლებით აკუწეს. მაგრამ გმირმა გლეხმა ასეთი თავგანწირვით ქვეყანა დიდ უბედურებას გადაარჩინა. ოსმალთა ჯარი ქართველებმა მთლიანად გაანადგურეს ქვიშხეთის ბოლოს, ტ ა შ ი ს კ ა რ თ ა ნ. ამ ბრძოლაში ქართველთა ლაშქარს სარდლობდა გ ი ო რ გ ი ს ა ა კ ა ძ ე.

2. გიორგი საკაძე. გიორგი საკაძე წარმოშობით აზნაური იყო. მან თავისი ნიჭითა და უნარით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ლუარსაბ მეფის თვალში და საკმაოდ დაწინაურდა. საკაძეს თბილისისა და დვალეთის მოურაობა მისცეს, ხალხმა კი დიდი დამსახურების გამო მას „დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი" უწოდა. გიორგი საკაძე ცდილობდა თავისი მდგომარეობა გამოეყენებინა და ქართ-

[1] ცხირეთის ციხე მდებარეობდა თრიალეთის ჩრდილოეთ ფერდობზე, სოფ. ნოსტეს მახლობლად.

ლში პროგრესული ღონისძიებები განხორციელებინა. კერძოდ, აელაგმა დიდგვაროვან თავადთა თვითნებობა, განემტკიცებინა მეფის ხელისუფლება, დაქუცმაცებული საქართველო კვლავ გაეერთიანებინა. ყოველივე ეს მიუღებელი იყო ქართლის რეაქციონერი თავადებისათვის, ამიტომ მათ ყველაფერი გააკეთეს სააკაძის მოსაშორებლად. ათასი ხრიკებითა და ჰორებით ქართლის თავადებმა დაარწმუნეს ლუარსაბ მეფე გიორგი სააკაძის ღალატში და მისი დასჯის გადაწყვეტილება მიიღებინეს. გიორგი სააკაძე იძულებული გახდა ირანში გადახვეწილიყო. შაჰ-აბასმა დიდი პატივით მიიღო საქართველოდან გამოდევნილი მოურავი და მისი გამოყენება სცადა საქართველოს მიმართ თავისი გეგმების განსახორციელებლად.

გიორგი სააკაძის პორტრეტი. შესრულებული XVII საუკუნეში საქართველოში ნამყოფი იტალიელი მისიონერის დონ ქრისტეფორო დე კასტელის მიერ.

კახეთის განადგურების შემდეგ შაჰ-აბასმა ქართლის ამოგდებაც მიზნად დაისახა. მან ცბიერებით დაატყვევა ლუარსაბ მეფე და მის მაგივრად, ქართლი სამმართველოდ მის გამაჰმადიანებულ ნათესავს ბ ა გ რ ა ტ - ხ ა ნ ს ჩააბარა, რომელსაც მრჩევლად გიორგი სააკაძე დაუნიშნა. შაჰი სასტიკად შეცდა, როდესაც გიორგი სააკაძე საქართველოს ჯალათად დაიგულა. დიდი მოურავის მიზნები ამ შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდა შაჰის გეგმებს. გიორგი სააკაძეს ირანის ძალის გამოყენება სურდა თავისი მოწინააღმდეგე თავადების დასათრგუნავად, მაგრამ ირანის მბრძანებელს ქართლის შინაგანი წინააღმდეგობანი და თავადური რეაქცია უფრო აწყობდა, ვიდრე გიორგის გეგმით აღდგენილი და გაძლიერებული საქართველო. გიორგი სააკაძემ სათანადოდ შეაფასა ვითარება, მან დაივიწყა პირადი წყენა და ქართლის თავადებთან შერიგება სცადა, რაც აუცილებელი იყო ირანის აგრესიის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ძალების გასაერთიანებლად.



შაჰ-აბასი შევარდნით. XVII ს. სპარსული მინიატურა.

3. ქეთევან დედოფლის წამება. ირანის ძლევამოსილი შაჰი აბას I გულდაგულ ემზადებოდა ჩვენი ქვეყნის საბოლოოდ ამოსაგდებად და ყიზილბაშურ სახანოდ გადასაქცევად. შაჰმა ჯერ ქართველების სულიერი გატეხვა გადაწყვიტა და მასთან ტყვედ მყოფ ქეთევან დედოფალს გამაჰმადიანება მოსთხოვა. კახეთის აჯანყების მეთაურს ქეთევან დედოფალს ქართველთა შორის დიდი სახელი ჰქონდა, ამიტომ მის მაგალითზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ქეთევანმა დიდი სიმტკიცე გამოიჩინა და სასტიკი მუქარის მიუხედავად განუხრელად დაიცვა თავისი ეროვნული სარწმუნოება. **შაჰ-აბასის ბრძანებით ქეთევან დედოფალი საშინლად აწამეს 1624 წლის 12 სექტემბერს.** მას რკინის მაშებით ხორცი დაგლიჯეს და გახურებული შანთებით დადაღული ცეცხლში დაწვეს. დედოფლის გაუტეხელობამ და თავდადებამ ქართველობაზე

ქეთევან დედოფლის წამების სცენა, შესრულებული პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონის „ა გრასას“ მონასტრის მთავარი დარბაზის კედელზე.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქეთევანის სახელი მთელს მაშინდელ მსოფლიოს მოედო.

4. მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები. 1625 წლის ადრიან გაზაფხულზე შაჰ-აბასმა საქართველოში გამოგზავნა 60000-იანი არმია თავისი ცნობილი სარდლის ყ ა რ ჩ ი ხ ა - ხ ა ნ ი ს მეთაურობით. ეს ჯარი თითქოს ოსმალეთში სალაშქროდ იგზავნებოდა. სინამდვილეში კი ქართლ-კახეთის ერთიანად ამოგდება ევალებოდა. შაჰმა მრჩევლად ყარჩიხა-ხანს გიორგი სააკაძე დაუნიშნა. ცბიერი შაჰი დიდ მოურავს ბოლომდე მაინც არ ენდობოდა და მძევლად სააკაძის უმცროსი ვაჟი პ ა ა ტ ა დაიტოვა. გიორგი სააკაძე კარგად ხედავდა, რომ საქართველოს ყოფნა-არყოფნის დღე იდგა. საჭირო იყო წინდახედული და გადამწყვეტი მოქმედება. დიდმა მოურავმა თავდადება, დიდი ნიჭი და მოსაზრებულობა გამოიჩინა. იგი დაუკავშირდა ქართლის თავადებს და შაჰის ნამდვილი განზრახვა შეატყობინა, თან აჯანყებისკენ მოუწოდა.

ყიზილბაშთა ჯარის ძირითადი ნაწილი მარტყოფის ველზე დაბანაკდა. გიორგი სააკაძე ჯერ კიდევ ყიზილბაშთა ბანაკში იმყოფებოდა და მათ სამსახურში თითქოს თავს არ იზოგავდა. 2 5 მ ა რ ტ ი თენდებოდა, როდესაც შეთანხმებისამებრ მარტყოფის ველს ქართველთა მხედრობა მოუახლოვდა. გიორგი სააკაძე ოთხი მხლებლითურთ, რომელთა შორის მისი უფროსი ვაჟი ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი ც იყო, ყარჩიხა-ხანის კარავთან გამოცხადდა. ის იყო მთავარსარდალი ცხენზე შეჯდომას აპირებდა, რომ სააკაძემ ყიზილბაშთა ჯარის თვალწინ იგი შუბით განგმირული ძირს დასცა. ვიდრე მტერი გონს მოვიდოდა მან და მისმა თანამებრძოლებმა ერთიანად

ამოხოცეს ყველა სარდალი. უმეთაუროდ დარჩენილი მტრის ლაშქარი ცხვრის ფარასავით აირია. ამასობაში ქართველთა ჯარიც შემოუტია და მომხდურნი სასტიკად დაამარცხეს. მტრის 30000 მოლაშქრიდან მხოლოდ მეათედმა უშველა თავს გაქცევით (იხ. დოკ. 1). ქართველებმა მტერს ყველა მიმართულებით შეუტიეს. აიღეს თბილისი, მტრისაგან გაწმინდეს კახეთი, დალაშქრეს განჯა-ყარაბაღი და ახალციხე. გამარჯვებულმა ქართველებმა ქართლ-კახეთის მეფედ იმერეთში გადახვეწილი თეიმურაზი მოიწვიეს.

გიორგი სააკაძის სკულპტურა. მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი.

თავზარდაცემული შაჰ-აბასი სიბრაზით ცოფებს ყრიდა. მას ასეთი მარცხი ჯერ არსად განეცადა. მისი ბრძანებით თავი მოჰკვეთეს პაატას და მის მამას გამოუგზავნეს. სასწრაფოდ გაამზადეს ახალი რჩეული ლაშქარი და მისი სიძის ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით საქართველოსკენ დაძრეს. ქართველები მტერს სათანადოდ მომზადებული დახვდნენ.

ბრძოლა მოხდა მარაბდის ველზე, იმავე 1625 წლის 1 ივლისს. შეიარაღებით ყიზილბაშები ბევრად სჯობნიდნენ ქართველებს. მათ ძლიერი არტილერია და დიდძალი ცეცხლმსროლელი იარაღი ჰქონდათ. რიცხობრივადაც ქართველებს სჭარბობდნენ. ამის მიუხედავად ქართველმა მხედრებმა მხნედ შეუტიეს მტერს, არტილერია და სანგრებში გამაგრებული მეთოფეები გადაქელეს, ყიზილბაშთა რამდენიმე რაზმი ბრძოლის ველიდან გააქციეს კიდეც, მაგრამ საბოლოოდ მტრის უპირატესობამ მაინც თავისი გაიტანა. გამოჩნდა თავადური ჯარის არაორგანიზებულობაც, ასევე, არაერთსულოვნება სარდლობაში. მაშინ, როდესაც დიდ სიცხეში ბრძოლით დამაშვრალი ქართველთა ლაშქარი უკვე გამარჯვებას ზეიმობდა, მტერს ახალი დამხმარე ძალა მოუვიდა. ყველაფერმა ამან საბოლოოდ ქართველთა დამარცხება გამოიწვია. მაგრამ მტერმაც დიდი ზარალი ნახა. **მარაბდის ველზე 14 000 ყიზილბაში და 9 000 ქართველი დაიღუპა.**

ძეგლი-მემორიალი მარაბდის ბრძოლის გმირთა უკვდავსაყოფად.

გმირულად დაღუპულთა შორის იყო ცხრა ძმა ხერხეულიძე, რომელთაც ბრძოლის ველზე თავიანთი დედაც გამოჰყოლოდა შვილების გასამხნევებლად. გმირის სიკვდილით დაეცნენ დავით ჯანდიერი, აღათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი და მრავალი სხვა თავდადებული ქართველი, რომელთა სახელებიც, სამწუხაროდ, მატიანეებმა ვერ შემოგვინახეს.

უკანდახეული ქართველთა ლაშქარი კოჯორ-ტაბახმელას ვიწრობებში გამაგრდა და აქ 10 დღის განმავლობაში აკავებდა მოზღვავებულ მტერს. ამასობაში მოსახლეობამ გახიზვნა მოასწრო. ქართ-

ველებმა პარტიზანული ბრძოლა გააჩაღეს. მტრის არაერთი რაზმი გაანადგურეს. მაგალითად, ქსნის ხეობაში ერთიანად მოსპეს 12 000 ყიზილბაში. ისე რომ, საქართველოში მტრის ზარალმა სულ 60 000 კაცს მიაღწია, რაც ირანის მთელი შეიარაღებული ძალის თითქმის ნახევარი იყო. ეს ფაქტობრივად შაჰ-აბასის დამარცხებას ნიშნავდა. მან თავის მიზანს ვერ მიაღწია, ამიტომ დათმობაზე წავიდა და თეიმურაზ მეფესთან მოლაპარაკება გამართა. ცბიერმა შაჰმა ის მაინც შეძლო, რომ მტრობა ჩამოეგდო მეფესა და გიორგი სააკაძეს შორის. აბ მტრობას, რა თქმა უნდა, ქართლის თავადები კიდევ უფრო გააღვივებდნენ და მართლაც, ბოლოს ბ ა ზ ა ლ ე თ ი ს ტ ბ ა ს თ ა ნ, 1626 წლის გვიან შემოდგომაზე ბრძოლა მოხდა თეიმურაზსა და გიორგი სააკაძის მომხრეებს შორის. დიდი მოურავი დამარცხდა და საბოლოოდ ოსმალეთში გადაიხვეწა, სადაც 1629 წელს დაიღუპა სულტნის დიდვეზირის ვერაგობის გამო. იმავე წელს გარდაიცვალა შაჰ-აბასიც.

5. თეიმურაზ I და როსტომ ხანი. შაჰ-აბასის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზ I ნაკლებად ემორჩილება ირანის ახალ შაჰს სეფი პირველს. უფრო მეტიც, იგი შეტევაზე გადავიდა მის წინააღმდეგ და მეზობელი მაჰმადიანური პროვინციები მოარბია. ამ დროს ირანში არაერთი გამაჰმადიანებული ქართველი მოღვაწეობდა, რომლებსაც საკმაოდ მაღალი თანამდებობანი ეკავათ. ერთ-ერთი მათგანი სიმონ I-ის ძმის შვილი ხ ო ს რ ო - მ ი რ ზ ა, შაჰის გვარდიის მეთაური (ყულარაღასი) იყო. შაჰ-სეფიმ თეიმურაზის მაგივრად ხოსრო-მირზა დანიშნა ქართლ-კახეთის განმგებლად, რ ო ს - ტ ო მ[1] ხ ა ნ ი უწოდა და 1632 წ. საქართველოსკენ დიდი ჯარით გამოგზავნა. ქართლის თავადებმა ამჯერად თეიმურაზ პირველს მხარი არ დაუჭირეს და ისიც იძულებული გახდა იმერეთში გადასულიყო. ქართლი კი როსტომ ხანმა დაიკავა.

თეიმურაზ I და მისი მეუღლე ხორეშან დედოფალი. კასტელის ნახატი.

როსტომ ხანმა ქართლში ზედაპირული ხასიათის ადმინისტრაციული ცვლილებები მოახდინა. მან რამდენიმე სამოხელეო თანამდებობა სპარსულ ყაიდაზე გარდაქმნა, ზოგიერთს მხოლოდ სახელი შეუცვალა, სხვა მხრივ უცვლელად დატოვა ქართული სოციალურ-პოლიტიკური წყობა. ამიტომ ქართლის თავადები როსტომს მალე შეეგუენ და მის სამსახურში ჩადგნენ. სამაგიეროდ ქვეყანა ნანატრ მშვიდობას ეწია. შეწყდა ყიზილბაშთა თარეში, შენელდა თავადებს შორის ურთიერთ შუღლიც. ქვეყანაში წესრიგის დამყარებამ გამოიწვია ის, რომ გახიზნული ხალხი დაუბრუნდა თავის მამა-პაპეულ ადგილ-მამულს, დაცარიელებულმა

[1] რ ო ს ტ ო მ ი — ირანული ეპოსის „შაჰნამეს“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, რომლის სახელიც სპარსეთში გმირობისა და მამაცობის სიმბოლო იყო.



ხიდი მდ. ხრამზე (ე. წ. წითელი, ანუ გატეხილი ხიდი), აგებული როსტომ ხანის მიერ (XVII ს.)

სოფლებმა მოშენება იწყო. აღდგნენ ქალაქებიც, გამოცოცხლდა ვაჭრობა-ხელოსნობა, რასაც როსტომ ხანი ენერგიულად უწყობდა ხელს. მაგალითად, მას გაჰყავდა გზები, აშენებდა ხიდებს და ქარვასლებს, აწესრიგებდა ბაჟებსა და გადასახადებს, ხელმძღვანელობდა ძველი ქალაქების აღდგენასა და ახალი ქალაქების მშენებლობას (იხ. დოკ. 2). მის დროს, მართალია, ქრისტიანობა არ იდევნებოდა, მაგრამ მაჰმადიანობა მაინც ძლიერდებოდა, რაც ქართველთა ეროვნული გადაგვარების საფრთხეს ჰქმნიდა. ირანის შაჰის ბრძანებით როსტომ ხანმა კახეთში კვლავ გამეფებული თეიმურაზ I დაამარცხა და კახეთიდან საბოლოოდ გააძევა (1648 წ.). ყველაფრიდან ჩანდა, რომ შაჰის კარი ქართლ-კახეთს თანდათანობით ყიზილბაშურ სახანოდ გადაქცევას უპირებდა.

თეიმურზ I ამ მძიმე პირობებში იმედის თვალს რუსეთს მიაპყრობდა. მან ჯერ კიდევ კახეთში ყოფნისას, 1639 წ. განაახლა რუსეთის ერთგულების „ფიცის წიგნი". იმერეთში გადახვეწის შემდეგ არაერთი ელჩობა მიავლინა რუსეთში. მისი ინიციატივით რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა იმერეთის მეფე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ა ც, ხოლო 1653 წ. მოსკოვში თავისი შვილიშვილი ე რ ე კ ლ ე ბატონიშვილი გაგზავნა

6. ბახტრიონის გმირული ეპოპეა. 1656 წ. კახეთი როსტომს ჩამოართვეს და სამმართველოდ განჯის ხანს გადასცეს. შაჰის ბრძანებით კახეთში მომთაბარე თურქმანი ტომების ჩამოსახლება იწყეს (იხ. დოკ. 3). ააგეს ციხეები, რომლებშიც ყიზილბაში მეციხოვნეები ჩააყენეს, განსაკუთრებით გულდაგულ გაამაგრეს ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ი ს ციხე. ასევე ციხედ აქციეს ალავერდის ცნობილი ტაძრის გალავანი. თანდათანობით ივრისა და ალაზნის ნაყოფიერი ველები გადამთიელებმა დაიკავეს. ეს დიდი უბედურება იყო ქვეყნისთვის. აყვავებული ბაღ-ვენახების ადგილს მესაქონლე თურქმანთა საძოვრები იკავებდა. ეს სურათი კარგად არის ასახული ცნო-

23. საქართველო XVII ს-ში


ქალაქი
ციხე
ბრძოლა
დედაქალაქი
მთა
სხვა მნიშვნელოვანი პუნქტი
საქართველოს ტერიტორია რომელიც 1639 წლის ზავით ოსმალეთის იმპერიაში შევიდა
ქართლისა და კახეთის ტერიტორიები, რომელიც 1605 წელს შაპაბას I-მა ჩამოაშორა საქართველოს
ოსეთი
ინგუშეთი
ჩეჩნეთი
ყაბარდო
ბალყარეთი
ოსმალეთი
ირანი
ალაზანი
ბაზალეთი
ბელაქანი
ბაკურიანი
ბანაჯა
ბაიაზეთი
ბოსფორი
ბოსფორის სამეფო
ბოსფორის სასანო
ბანჯის სასანო
ბანჯის ტბა
ბახტრიონი
ბრეგი
ბაზარი
ბელაქანი
ბელოკანი
ბალეთი
ბორჯომი
ბოლოსი
ბოლოსი
ბოლოს

ლონეთთან და შვედებთან ომში და საქართველოს დახმარებას ვერ გაუწევდა.

კახეთში აჯანყებამ 1660 წ. იფეთქა. ქართლიდან კახეთის დასახმარებლად მოვიდნენ შ ა ლ ვ ა და ე ლ ი ზ ბ ა რ ქ ს ნ ი ს ე რ ი ს-თ ა ვ ე ბ ი. კახეთის მოსახლეობა მტრის წინააღმდეგ დარაზმა ბ ი ძ ი ნ ა ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ მ ა. აჯანყების მომზადებას ხელმძღვანელობდა ზ ა ა ლ ა რ ა გ ვ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი, ხოლო უშუალო ბრძოლებს—მისი ვაჟი ზ უ რ ა ბ ი. თუშ-ფშავ-ხევსურები ზ ე ზ ვ ა გ ა ფ რ ი ნ დ ა უ ლ ი ს, ნ ა დ ი რ ა ხ ო შ ა რ ა უ ლ ი ს ა და გ ო გ ო ლ ა უ რ ი ს მეთაურობით ნაქერალას მთაზე შეგროვდნენ და იქიდან ზვავივით დაეშვნენ მტრის წასალეკავად. აჯანყებულებმა ერთდროულად შეუტიეს ბახტრიონისა და ალავერდის ციხეებს. განსაკუთრებით გააფრთებული ბრძოლები ბახტრიონის ციხესთან გაიმართა. ეს ბრძოლები ასახულია არაერთ ხალხურ ლექსში, რომლებშიც შექებულია სამშობლოსთვის თავდადებული სახალხო გმირები:

„ზეზვაი მაშინ გენახათ, ბახტრიონს ბრუნაედ ცხენითა,
დიდი ალვანის მინდორი აავსო თათრის ძელებითა..."

ფშაველ გოგოლაურს ხალხი შემდეგს ათქმევინებს:

„ბიჭი ვარ გოგოლაური, რას მყურობ ტალავარზედა.
წინ-წინ მე გადავფრინდები ბახტრიონს გალავანზედა.
ხმლითა ვსცემ თათრის ბელადსა ზედ მივალ ფალავანზედა."

აჯანყებულთა გადამწყვეტი მოქმედებით მტერი სასტიკად დამარცხდა. თავზარდაცემული თურქმანები კახეთიდან გადაიხვეწნენ. ქვეყანა ერთიანად გაიწმინდა შემოსახლებული მომთაბარეებისაგან. ეს იყო ქართველი ხალხის კიდევ ერთი დიდი გამარჯვება. მართალია, სპარსეთის საბოლოო უკუგდება ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა, მაგრამ უძლიერესი დამპყრობელი იძულებული გახდა ამჯერადაც ხელი აეღო საქართველოს გაყიზილბაშების გეგმაზე. კახეთი სამმართველოდ კვლავ ქართლის ახალ მეფეს, ვ ა ხ ტ ა ნ გ V-ე ს, ანუ შ ა ჰ ნ ა ვ ა ზ ს (1658 — 1675 წწ.) გადაეცა. სპარსელთა გულისწყრომა ოდნავ მაინც რომ დაეცხროთ და ქვეყნისთვის თავიდან აეცილებინათ ირანის შაჰის მთელი ძალით შემოსევა, **აჯანყების ხელმძღვანელები — ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, თავიანთი ნებით გამოცხადდნენ შაჰის კარზე და თავი გასწირეს სამშობლოს გადარჩენისა და მომავლისათვის.** ყიზილბაშებმა აჯანყების გმირი მეთაურები სასტიკად აწამეს. ქართველმა ხალხმა თავდადებულების ხსოვნა ბოლომდე შემოინახა და უკვდავების შარავანდედით შემოსა მათი სახელები.

ბახტრიოხის ამ გმირულ ეპოპეას უძღვნა თავისი შესანიშ-ნავი პოემა ვაჟა-ფშაველამ, ხოლო აკაკი წერეთელ-მა ეს ამბები აღწერა თავის მოთხრობაში „ბაში-აჩუკი“.

კითხვები

1. რუსეთის ისტორიიდან გაიხსენეთ ამ პერიოდში ვინ ჩაიდინა თეოდორეს თავდადების მსგავსი გმირობა? 2. რატომ ებრძოდნენ ქართლის თავადები გიორგი საკაძეს? 3. რა მნიშვნელობა ჰქონდა ქეთევან დედოფლის თავდადებას? 4. რა იყო მარაბდის ბრძოლაში ქართველთა დამარცხების მიზეზები? 5. რატომ ვერ შეძლო შაჰ-აბასმა საქართველოს მიმართ თავისი მიზნის განხორციელება? 6. როგორი იყო როსტომ ხანის პოლიტიკა? 7. რაში მდგომარეობდა კახეთის სახალხო აჯანყების მნიშვნელობა?

დოკუმენტები

1. „ქართლის ცხოვრება“ მარტყოფის ბრძოლის შესახებ

ყიზილბაშთა ლაშქარი მარტყოფის ველზე იყო დაბანაკებული და ემზადებოდა ქართლის გასანადგურებლად. მათ ბანაკში ჯერ კიდევ იმყოფებოდა გიორგი საკაძე, რომელიც ზურაბ არაგვის ერისთავთან ერთად ფარულად ხელმძღვანელობდა აჯანყების მომზადებას. „მაშინ შეიყარნენ ქართველნი და ზურაბ ერისთავი, აცნობეს დიდ მოურავსა და მოვიდნენ გათენების ხანსა, დაესხნენ ყიზილბაშთა. ხოლო მოურავი დიდად სახელოვნად იყო მას ღამესა: მივიდა მოურავი და მოკლა თვით შუბითა ყარჩიხა-ხან, და შვილმან მისმან ავთანდილ მოკლა ყორჩიბაშის შვილი. და დაუშინეს, ამოწყვიტეს ქართველთა სრულიად ყიზილბაშნი. ესრეთ მისცა ძლევა ღმერთმან ქართველთა ოა გაემარჯვათ: ამოსწყვიტეს, გააქციეს და იქმნა გამარჯვება დიდი“.

იგივე ბრძოლახ აგვიწერს თურქი ისტორიკოსი (XVII ს.) მუსტაფა ნაიმა: ყიზილბაშთა ბანაკში „ყველა თავის ნებაზე იყო: ზოგს ეძინა და ისვენებდა, ზოგი კიდევ პურსა სჭამდა. სწორედ ამ დროს მთებში გამოჩნდა ქართველთა ლაშქარი. ამ დროს მოურავი ყარჩიღა-ხანთან მივარდა და უთხრა: „რას გაჩერებულხარ, ხანო, ჯარიც გაფრთხილდეს, ამხედრდეს და მზად იყოსო“. თვით ხანი ცხენზე რომ ჯდებოდა, მოურავმა უთხრა: „აბა, ნახე, თუ როგორ იქნება ქართველების გაწყვეტა, შე წყეულო ყიზილბაშო“. ეს უთხრა და თავისი შუბი ყარჩიხა-ხანს იღლიის ქვეშ დააძგერა ისე, რომ შუბი მეორე მხარეს გამოვიდა. „ჰე, გიაურო, არამი იყოს შენზე შაჰის პური!“ — წამოიძახა ყარჩიხა-ხანმა და ცხენიდან ჩამოვარდა. ყარჩიხა-ხანის შვილმა ეს რომ დაინახა, „ჰეი, ეს რა ჰქენი, შე შაჰის მტეროო“ — შესძახა და მოურავს ეძგერა. მოურავმა ხმალი მოუქნია და მასაც თავი და ცალი მკლავი გააგდებინა. ყიზილბაშთა ლაშქარი აირია. სხვა ხანებმაც არ იცოდნენ, თუ რა დაემართათ და გაოგნებულნი რომ იყვნენ, ქართველთა ბეგები მისცვივდნენ და იმდენი დახოცეს; რომ ოცდაათი ათასი ყიზილბაშიდან სამი ათასმა ყიზილბაშმა ძლივს უშველა თავს:.. ბრძოლა განთიადიდან საღამომდე განუწყვეტლივ გრძელდებოდა“.

დავალება

ქართული და თურქული წყაროების მონაცემების მიხედვით უფრო სრულად აღწერეთ მარტყოფის ბრძოლა.

2. როსტომ მეფის წარწერა ქართლში მდ. თეძამზე ქალაქის აშენების შესახებ

„მას ჟამსა ოდეს იჯდა ერან-თურანსა ბედნიერი ყაენი ხელმწიფე შაჰ-სეფი..., ქ. სახელითა ღვთისათა ჩუენ საქართველოს ხელმწიფის შვილმან მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ ხელჰყავით აღშენებად თეძამის პირსა ზედა ქალაქი და სახელი უწოდეთ მეფის ქალაქი და აღვაშენეთ საყდარნი და მონასტერი... ქალაქისა ამის მკვიდრობისათვის მეფისქალაქელთა სომეხთა ჩვენთა სახასოთა[1] ვაჭართა, ქორონიკონს: ტ....[2], თთუესა აპრილის კდ“.

დავალება

როსტომ მეფის მოტანილ წარწერას დამათარიღებელი ნაწილი დაზიანებული აქვს. სცადეთ მიახლოებით დაათარიღოთ, თუ ვიცით, რომ როსტომმა მარიამ დედოფალი ცოლად შეირთო 1633 წლის გვიან შემოდგომით, აგრეთვე ვიცით, რომ შაჰ-სეფი მეფობდა 1629 — 1642 წლებში.

3. „ქართლის ცხოვრება“ კახეთში თურქმან მომთაბარეთა ჩამოსახლების შესახებ

„ხოლო თათართა ეპყრათ მონასტერი ალავერდი ციხედ და იყუნენ შიგა და სხვაცა მრავალი ადგილი კახეთისა დაეპყრათ, ბახტრიონი ციხედ ჰქონდათ. და მრავალი ელი ცოლშვილით ჩამოსახლდნენ კახეთშია და მრავალსა ბოროტსა უყოფდნენ მკვიდრთა კახეთისათა, რამეთუ ენებათ სრულიად კახეთი გასათათრებლად და ელის დასახლება...

ხოლო რა ესმა საქმე ესე ზაალ ერისთავსა, დიდად მწუხარე იქმნა. მაშინ შემოიფიცა ქსნის ერისთავი შალვა და ელიზბარ და კახი სუფრაჯი[3] ბიძინა ჩოლოყაშვილი და შემოიფიცეს მთის კაცნი თუშნი. ამათ გაატანა თანა ზურაბ, ძე თვისი, და წარვიდნენ ღამესა ერთსა დაესხნენ თავსა ბახტრიანს და ამოწყვიტეს და მოსრეს ბახტრიანის ციხეში მდგომნი ელნი... სადაცა კახეთს თათარი და ელი ესახლა, ყოველივე ამოსწყვიტეს და არა სადა დაშთა, რომ ყოველივე არ მოკლეს. და რომელნიმე ივლტოდეს[4], წარვიდეს და განაძეს: კახეთში თათარნი აღარსად იპოებოდნენ“.

კითხვები

1. რატომ ვერ ეგუებოდნენ ქართველები მომთაბარე თურქმანების ჩამოსახლებას კახეთში? 2. ვინ და ვინ ხელმძღვანელობდა აჯანყების მომზადებას? 3. რატომ მოვიდნენ ქართლიდან ქსნის ერისთავები კახეთის დასახმარებლად?

---

[1] სახასო — მეფის საკუთრება. [2] ქორონიკონის აღმნიშვნელი დანარჩენი ასოები დაზიანებულია. [3] სუფრაჯი — მოხელე კახეთის სამეფოში, მეფის სუფრის მომარაგების გამგებელი. [4] გაიქცნენ.

§ 27. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება XVI — XVII საუკუნეებში

1. ქართული სამეფო-სამთავროების სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა XVI — XVII საუკუნეებში. XVI საუკუნის განმავლობაში კახეთის სამეფოში მშვიდობა სუფევდა. ამიტომ აქ სწრაფად განვითარდა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა-ხელოსნობა. მოსახლეობაც შესამჩნევად მომრავლდა.

აღმოცენდა ახალი ქალაქები (გ რ ე მ ი , ძ ე გ ა მ ი), დაწინაურდა საგარეო ვაჭრობა: უცხოეთში გაჰქონდათ აბრეშუმი, კაკალი, ენდრო, ცხენები, ღვინო. ფართოდ გაიშალა საამშენებლო მუშაობა. შენდებოდა სასახლეები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები, აღადგენდნენ ძველ ნაგებობებს, გაჰყავდათ გზები, არხები და სხვა. მაგრამ XVII საუკუნის დასაწყისიდან, შაჰ-აბასის გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ კახეთში სოფლის მეურნეობა უკიდურესად დაეცა, ჩაკვდა ვაჭრობა-ხელოსნობა, გაქრა ერთ დროს აყვავებული ქალაქები, მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა (იხ. დოკ. 1, ა).

ქართლში კი პირიქით. მთელი XVI საუკუნის მანძილზე და XVII საუკუნის დასაწყისში განუწყვეტელი ბრძოლები იყო ყიზილბაში და ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. აღვირახსნილ შინაფეოდალურ ანარქიას ქვეყნის განადგურება, ეკონომიკის მოშლა, მოსახლეობის შემცირება მოჰყვა. ვაჭრობა-ხელოსნობისა და საქალაქო ცხოვრების ნორმალური განვითარების პირობები არ იყო, მაგრამ XVII საუკუნის 30 — 40-იანი წლებიდან შედარებით მშვიდობა ჩამოვარდა და შედეგმაც არ დააყოვნა. ქართლი შესამჩნევად მოშენდა, აღდგა გაპარტახებული რაიონები, სწრაფად წინ წავიდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, დაწინაურდა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა-ხელოსნობა, გაცხოველდა საგარეო ვაჭრობა ირანთან და სხვა ქვეყნებთან. ქართლის სამეფო კარი საგანგებო ღონისძიებებს ახორციელებდა დაქვეითებული მეურნეობის აღსადგენად და გამოსაცოცხლებლად.

ყურძნის წურვა დას. საქართველოში. კასტელის ალბომიდან.

განსაკუთრებული აღმავლობა დაეტყო თ ბ ი ლ ი ს ს. XVII საუკუნეში მისი მოსახლეობა უკვე 20 000 შეადგენდა. დაწინაურდნენ ქართლის სხვა ქალაქებიც: გ ო რ ი, ს უ რ ა მ ი, ა ლ ი, ც ხ ი ნ ვ ა ლ ი და სხვა. გატარდა ღონისძიებანი ბაჟების ნიხრის, სავაჭრო კანონმდებლობის მოსაწესრიგებლად.



XVII ს. 70-იანი წლების თბილისის ხედი. ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის წიგნიდან.

XVI — XVII საუკუნეებში განსაკუთრებით მძიმე პირობებში იმყოფებოდა სამცხე-საათაბაგო და დას. საქართველო. სამცხესა და აჭარაში ოსმალების გაბატონებამ საფუძვლებშივე შეარყია აქ ქართული ფეოდალური წყობილება და ეკონომიკა. მშრომელი მოსახლეობა დამპყრობლების სასტიკი ექსპლოატაციის ქვეშ მოექცა.

ფეოდალური მეურნეობის წარმოებისთვის დას. საქართველოში ბუნებრივი პირობები გაცილებით არახელსაყრელი იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში, ამიტომ განვითარების ნორმალური პირობების შეფერხებამ განსაკუთრებით მძიმე შედეგები გამოიღო. მთელი XVI — XVII საუკუნეების განმავლობაში დას. საქართველოში ფეოდალური ეკონომიკა დაღმავალი გზით მიექანება. აქ ერთიანად გაქრა ერთ დროს აყვავებული ქალაქები, მეურნეობამ უკიდურესად კარჩაკეტილი, ნატურალური ხასიათი მიიღო (იხ. დოკ. 1,ბ).

2. ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროების სოციალური აგებულება და კლასობრივი ბრძოლა XVI — XVII საუკუნეებში

XV საუკუნიდან დიდ ცვლილებებს აქვს ადგილი ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში. როგორც დავინახეთ, ფეოდალთა კლასს ამ დროიდან გამოეყო უმაღ-

ბაზრობა ილორის წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში. ჯასტელის ალბომიდან.



ლესი და უძლიერესი ფენა მთავრებისა და თავადების სახით, რომლებსაც გამრავლებულ მეფეთა საგვარეულოებთან ერთად ხელთ ეპყრათ პოლიტიკური ძალაუფლება. ფეოდალური კლასის უმაღლეს ფენას შეადგენდნენ მაღალი საეკლესიო ხელისუფალნიც: კათალიკოსები, ეპისკოპოსები, დიდი მონასტრების წინამძღვარნი, რომელთაც ძირითადად მსხვილი ფეოდალური საგვარეულოებიდან ნიშნავდნენ.

ამ პერიოდის საქართველოს დიდ ნაწილში კვლავ აღმოცენდნენ და ნახევრად დამოუკიდებელ საფეოდალოებად გადაიქცნენ ს ა თ ა ვ ა დ ო ე ბ ი. სათავადოების სათავეში თავადები იდგნენ. ასეთი სათავადოები იყო ქართლში: არაგვის საერისთავო, ქსნის საერისთავო, საამილახვრო, სამუხრანბატონო, საციციანო, საბარა-

თიანო და სხვა; იმერეთში — რაჭის საერისთავო, აბაშიძეთა, ჩხეიძეთა, ლორთქიფანიძეთა და სხვა სათავადოები. ასეთივე სათავადოები იყო ცალკეულ სამთავროებშიც. სათავადოები გარკვეული იერარქიით ხასიათდებოდა. ამ საფეოდალოს მეთაურს — თ ა ვ ა დ ს ემორჩილებოდნენ მისი სახლიკაცები, სათავადო საგვარეულოს უმცროსი, გვერდითი შტოს წარმომადგენლები, რომლებიც თ ა ვ ა დ ი შ ვ ი ლ ე ბ ა დ იწოდებოდნენ. სათავადოს ტერიტორია ძირითადად ერთიანი იყო, თავისი ციხესიმაგრეებით, ეკლესია-მონასტრებით. თავადიშვილთა ოჯახები სათავადოს ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებში ცხოვრობდნენ. მათ ყმებად ჰყავდათ უფრო წვრილი ფეოდალები — ა ზ ნ ა უ რ ე ბ ი, თვითონ თავადები კი მეფეების ან მთავრების ყმებად ითვლებოდნენ. **მთელი ეს იერარქიული შენობა ყმა-გლეხთა სასტიკ ექსპლოატაციას ემყარებოდა.**

იმერეთის მეფისა და სამეგრელოს მთავრის მოლაპარაკება. კასტელის ალბომიდან.

ყმა-გლეხობა ორ ძირითად ფენად იყოფოდა — მ ს ა ხ უ რ ე ბ ა დ და მ ე ბ ე გ რ ე, ანუ მ ო ყ ა ლ ნ ე გლეხებად. მსახურებს ბატონის ხლება-მოლაშქრეობა და სხვა შედარებით საპატიო სამსახური ევალებოდათ. მებეგრე გლეხებს ეკისრებოდათ ძირითადი საბატონო გამოსაღების — ბ ე გ ა რ ი ს გადახდა. ბეგარაში მრავალი გადასახადი იგულისხმებოდა. ცალკეულ საფეოდალოში და ხშირად სოფელშიც სხვადასხვა სახის ბეგარა იყო. მათ შორის მთავარი იყო: ღალა (მარცვლეულით გადასახადი), კულუხი (გადასახადი ღვინით), საბალახე და პირისთავი (გადასახადი საქონლის ყოლისათვის), ძღვენი, სამასპინძლო და მრავალი სხვა. მებატონეები გადასახადს სისტემატურად ზრდიდნენ. ამას გარდა გლეხები იხდიდნენ სამეფო და საეკლესიო გადასახადებსაც, გადასახადებს უცხოელ დამპყრობთა სასარგებლოდ.

ბატონყმური ექსპლოატაციის ზრდა მეტისმეტად ამწვავებდა გლეხთა კლასობრივ ბრძოლას. გლეხები მებატონეთა მიერ მათ ჩაგვრასა და ძარცვაზე მეფესთან ჩიოდნენ, მაგრამ სამეფო კარი

ტყვე ბავშვების გაყიდვის სცენა. კასტელის ალბომიდან.

ქართველების ლხინი. კასტელის ალბომიდან.

ან ვერ ახერხებდა სათავადოების საშინაო საქმეებში ჩარევას, ან უფრო ხშირად ფეოდალთა მხარეს იჭერდა. აუტანელ გაჭირვებაში ჩავარდნილი გლეხები იძულებულნი ხდებოდნენ აყრილიყვნენ, გაქცეულიყვნენ და სხვაგან ეძებნათ ბედი. ხ ი ზ ნ ო ბ ა-ბ ო-გ ა ნ ო ო ბ ა ამ დროს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. გლეხები ხშირად გარბოდნენ ისეთ ადგილებში, სადაც ბატონყმობა შედარებით განუვითარებელი ფორმებით იყო წარმოდგენილი, სადაც ჯერ კიდევ ძლიერი იყო თემურ-გვაროვნული წყობილების ტრადიციები და გვაროვნული თავისუფლების გადმონაშთები. ასეთი ადგილები იყო, მაგალითად, აღმოსავლეთ კახეთი, სადაც, როგორც დავინახეთ, მასობრივად ჩამოსახლდნენ იმიერკავკასიელი მთიელები და თან ჩამოიტანეს თემურ-გვაროვნული წყობილების ტრადიციები, სამეგრელოდან გლეხობა მასობრივად გარბოდა აფხაზეთში.

ა ფ ხ ა ზ ე თ შ ი ადგილობრივი გლეხების დიდ ნაწილს ა ნ ხ ა-ი უ ს კატეგორიის გლეხები შეადგენდნენ. ანხაიუ აფხაზურად თავი-

სუფალ მცხოვრებს, მიწათმოქმედს, თავისუფალ მეთემეს ნიშნავდა, შემდეგ საერთოდ გლეხს, გლეხკაცს. XVI — XVII საუკუნეებში გლეხების დიდი ნაწილი აფხაზეთში პირადი თავისუფლებით სარგებლობდა, მაგრამ მათ გვერდით იყვნენ ფეოდალურად დამოკიდებული ყმა-გლეხებიც (ა მ ა ც უ რ ა ზ კ უ. ა ხ ო ი უ) და სრულიად უუფლებონი (ა ხ ა შ ვ ა ლ ა), რომლებიც თვით მონის მდგომარეობამდეც იყვნენ დაყვანილნი. მკაცრ ბატონყმურ ექსპლოატაციას გამოქცეული გლეხები სამეგრელოდან და გურიიდან აქ თემურ თავისუფლებას ეძებდნენ.

კლასობრივი ბრძოლის აქტიური ფორმები იყო „ა ბ რ ა გ ო - ბ ა“ — „ყ ა ზ ა ხ ო ბ ა“, როდესაც ცალკეული გლეხები იარაღს ჰკიდებდნენ ხელს და ებრძოდნენ თავიანთ კლასობრივ მჩაგვრელებს. ადგილი ჰქონდა გლეხთა მასობრივ გამოსვლებსაც — „ჯ ა ნ ღ ს“. მაგალითად, XVII საუკუნის 60-იან წლებში აჯანყდნენ არაგვის ხეობის სოფ. ქ ა ი ს ხ ე ვ ი ს გლეხები, ამავე საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში აჯანყდნენ სოფ. ბ ო დ - ბ ი ს და ბ ო დ ბ ი ს ხ ე ვ ი ს გლეხები და თავიანთ მებატონეს, ბოდბელ ეპისკოპოსს მოსთხოვეს ისინი დამატებითი გადასახადებისაგან გაეთავისუფლებინა. ამათ წინააღმდეგ მეფის ხელისუფლებას განსაკუთრებული ღონისძიებების გატარება დასჭირდა (იხ. დოკ. 2).

მწვავე კლასობრივ ბრძოლას ჰქონდა ადგილი საქართველოს ქალაქებშიც, სადაც წვრილი ვაჭარ-ხელოსნური მოსახლეობა და მოქალაქეთა სხვა დაბალი ფენები ებრძოდნენ როგორც მეპატრონე ფეოდალებს, ისე მდიდარ ვაჭრებსა და დიდმოხელეებს.

გლეხკაცების სადილი სამეშაოს შემდეგ მისიონერების არგვეთის რეზიდენციაში. კასტელის ალბომიდან.



მამუკა თავაქარაშვილის მიერ შესრულებული ავტოპორტრეტი და „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციის (XVII ს.) ნიმუში.

3. ქართული კულტურა XVI — XVII საუკუნეებში. მონღოლთა ბატონობის გადავარდნის შემდეგ გამოცოცხლებული ქართული კულტურა XV საუკუნიდან ისევ დაცემისა და დაქვეითების გზით მიექანება. დიდი გავლენა იქონია იმ ამბავმაც, რომ საქართველო მოსწყდა დასავლეთ ევროპის კულტურულ სამყაროს და უკულტურო ოსმალებისა და ყიზილბაშების გარემოცვაში მოექცა. ძაგრამ ამ მძიმე და არახელსაყრელი პირობების მიუხედავად **ქართული ფეოდალური კულტურა მაინც იჩენდა მძლავრ სიცოცხლისუნარიანობას. ამის მიზეზი იყო ქართული კულტურის მტკიცე ეროვნულ-ხალხური საფუძველი.**

XVI — XVII საუკუნეების საქართველოში უკვე აღარ არსებობდნენ უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრები. წერა-კითხვას ასწავლიდნენ უმთავრესად ოჯახებში და ეკლესია-მონასტრებში. XVII — XVIII საუკუნეებში დას. ევროპიდან საქართველოში ჩამოდიან კათოლიკე მისიონერები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში აარსებენ სკოლებს, სადაც კათოლიკურ-ქრისტიანულ მოძღვრებასთან ერთად ასწავლიდნენ იტალიურსა და ლათინურ ენებს, ზოგიერთ პრაქტიკულ მეცნიერებასაც.

ქართველი საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენდა სამოქალაქო მეცნიერებებისადმი, როგორიც იყო, მაგალითად, გეოგრაფია ასტრონომია, მედიცინა, ისტორია, ფილოლოგია. შესამჩნევი გამოცოცხლება დაეტყო ქართულ ლიტერატურას. შეიქმნა „ვ ე -

ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს“ გაგრძელებათა მთელი ციკლი. „ვ ე ფ ხ ი ს - ტ ყ ა ო ს ა ნ ი“ ყოველთვის რჩებოდა ქართველი ხალხის უსაყვარ-ლეს წიგნად. მისი იდეები და ზოგადსაკაცობრიო იდეალები, ასე ახლო მდგომი ქართველი კაცის ზნეობასა და ბუნებასთან, შესა-ნიშნავი ლექსთწყობა და ქართული სიტყვის დიდებული მუსიკა, თვით უდიდესი გაჭირვების დროსაც კი აღაფრთოვანებდა ჩვენს წინაპრებს ქართული ენისა და სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლა-ში. ამ პერიოდში „ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს“ დიდ პოპულარობას მოწმობს ის ფაქტი, რომ XVI — XVII საუკუნეების არაერთმა პო-ეტმა სცადა თავისი გემოვნებით შეევსო ან გაეგრძელებინა რუსთა-ველის ეს გენიალური ნაწარმოები.

პოეზიას ქართულ მწერლობაში და საერთოდ ქართველი კა-ცის ცხოვრებაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა. თ ე ი მ უ რ ა ზ I იყო შესანიშნავი პოეტი, რომელმაც შექმნა არაერთი მაღალმხატვრული ნაწარმოები. მართალია, იგი სპარსუ-ლი პოეზიის დიდ გავლენას განიცდიდა, მაგრამ ამავე დროს პირველი იყო, ვინც ეროვნულ-ისტორიული მოტივი შემოიტანა ქართულ პოეზიაში. მის კალამს ეკუთვნის პოემა „წ ა მ ე ბ ა ქ ე-თ ე ვ ა ნ დ ე დ ო ფ ლ ი ს ა“, რომელშიც აღწერილია მისი დე-დის, ქეთევან დედოფლის საშინელი წამება და გმირული თავდა-დება სამშობლოსა და ეროვნული სარწმუნოებისათვის. ეროვნულ-ისტორიული მოტივი განსაკუთრებით გაძლიერდა შემდგომი თაო-ბის პოეტთა და საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებაში. ი ო ს ე ბ თ ბ ი ლ ე ლ მ ა პოეტურად ასახა გიორგი საakაძის მოღვაწეო-ბა და ტრაგიკული ბედი, ა რ ჩ ი ლ მ ე ფ ე მ თავის პოემაში „გ ა ბ ა ა ს ე ბ ა თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს ა და რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს ა“ გადმოგვცა თეიმურაზის თავგადასავალი XVII საუკუნის ისტორი-ული მოვლენების ფონზე. მანვე დააყენა ქართული საზოგადოე-ბისათვის მნიშვნელოვანი არაერთი საჭირბოროტო საკითხი. მაგა-ლითად, ზნეობრივი აღზრდის, ქართული ბატონყმობის რიგის დაცვის, მშრომელი გლეხებისადმი დამოკიდებულების საკითხი და სხვა. ამავე პერიოდში იქმნებოდა, მართალია პოეტურად მდარე, მაგრამ ისტორიული სინამდვილის ამსახველი პოემები. მაგალითად, ფ ე შ ა ნ გ ი ხ ი თ ა რ ი შ ვ ი ლ ი ს „შ ა ჰ ნ ა ვ ა ზ ი ა ნ ი“ და სხვ.

არჩილი.

ორიგინალურ პოეზიასთან ერთად ამ დროს იქმნებოდა გალექ-სილი და პროზაული თარგმანები, ძირითადად სპარსულიდან. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართველ ხალხში „შ ა ჰ-ნ ა მ ე ს“ გალექსილი თარგმანები, დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის მოთხრობების ციკლები („ქ ი ლ ი ლ ა და დ ა მ ნ ა“ და სხვ.).

ანანური. არაგვის ერისთავთა რეზიდენცია (XVII ს.)



XV — XVII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება მკვეთრად ჩამოუვარდებოდა კლასიკური ხანის (XI — XIII სს) ბრწყინვალე ქართულ საამშენებლო ხელოვნებას. იგი მისი კანონზომიერი გაგრძელება ვერ იყო, მაგრამ ამ ეპოქაში მაინც იქმნება დროის შესაფერისი ძეგლები: გ რ ე მ ი ს საქალაქო ანსამბლი ეკლესიებითა და სასახლეებით, შ უ ა მ თ ი ს ა ხ ა ლ ი მ ო ნ ა ს ტ ე რ ი და ნ ი ნ ო წ მ ი ნ დ ი ს ს ა მ რ ე კ ლ ო (კახეთში), რ ო ს ტ ო მ ი ს ს ა ს ა ხ ლ ე და ა ნ ჩ ი ხ ა ტ ი ს ს ა მ რ ე კ ლ ო (თბილისში), მ ჭ ა დ ი ჯ ვ რ ი ს ეკლესია, ა ნ ა ნ უ რ ი ს ანსამბლი (ქართლში) და სხვ.

ნინოწმინდის სამრეკლო (კახეთი, XVI ს.).

შედარებით დაბალი დონისაა ამ პერიოდის ქართული კედლის მხატვრობა. ბევრ ხელნაწერს ამკობდნენ მინიატურები. სამეგრელოს მთავრის ლ ე ვ ა ნ მ ე ო რ ე დ ა დ ი ა ნ ი ს დაკვეთით გადაწერეს „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მ ა მ უ კ ა თ ა ვ ა ქ ა რ ა შ ვ ი ლ მ ა მოხატა. ლევან მეორე დადიანის კარზევე იყო შექმნილი საოქრომჭედლო სახელოსნო, სადაც არაერთი ათეული ჭედური ხელოვნების ნიმუში შეიქმნა (იხ. დოკ. 3).

კითხვები და დავალება

1. რა იყო XVI — XVII საუკუნეებში საქართველოს ცალკეული მხარის სამეურნეო აღმავლობის ან დაცემა-დაქვეითების მიზეზები? 2. რა ცვლილებები განიცადა ფეოდალურმა კლასმა? დაახასიათეთ ამ პერიოდის საქართველოში გავრცე-

ლებული (აღმოცენებული) მსხვილი საფეოდალოები — სათავადოები. 3. ჩამოთვალეთ გლეხთა კატეგორიები და მათი საგადასახადო ვალდებულებანი. რა საშუალებებით ებრძოდნენ ყმა-გლეხები ბატონყმურ ექსპლოატაციას? 4. რამ გამოიწვია ქართული კულტურის დაცემა განხილულ პერიოდში? 5. რა იყო ქართული კულტურის სიცოცხლისუნარიანობის მიზეზები?



ახალი შუამთის ტაძარი (კახეთი. XVI ს.).

დოკუმენტები

1. ა) ნაწყვეტი რუსი ელჩების აღწერილობიდან XVII ს. 40-იან წლებში კახეთის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ

„ქალაქები ქართველების ქვეყანაში (კახეთში) აღარ არის. ის მცირე ქალაქები, რომლებიც წინათ იყო, შაჰმა საქართველოში ლაშქრობისას დაანგრია საფუძვლითურთ და გაანადგურა... ქვეყნის დიდი ნაწილი მოსახლეობის სიმცირის გამო ტყითაა დაფარული. მარცვლეულიდან თესავენ ხორბალს, ქერს, ოსპს, ცერცვს, მიწას ხნავენ ხარებშებმული გუთნით. პურეული მოდის საშუალოდ. რა ფასად რას ყიდულობენ, ეს არ ვიცით, რადგან ამ ქვეყანაში (კახეთში) ბაზრები და დროდადრო თავშესაყარი ბაზრობები არსად არ არის და არც არაფერს ყიდიან... აქ მოდის ხილეული: ვაშლი, მსხალი, ზეთისხილი, ყურძენი საქიშმიშე და საღვინე, კაკალი, ალუბალი, შინდი, ქლიავი, გარგარი, მაყვალი, თხილი, წაბლი... ბალჩეული და ბოსტნეული — ნესვი, საზამთრო, კიტრი, სტაფილო, ჭარხალი, კომბოსტო, ხახვი, ნიორი. ქართველთა ქვეყანაში თვითონ ადამიანები კეთილნი არიან“.

ბ) XVII საუკუნის 60-იან წლებში დასავლეთ საქართველოში მყოფი ანტიოქელი პატრიარქი მაკარიოსი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ

„ქართველებმა ხელი აიღეს ისეთ საქმიანობაზე, როგორიც არის მეაბრეშუმეობა, რომელიც შეიძლებოდა კარგად დაწინაურებულიყო მათში, რაკი მათი ქვეყანა ძალიან ნაყოფიერია და მდიდარია თუთის ხეებით. მართალია, ზოგიერთი მათგანი ეწევა ამ საქმიანობას და დიდ შემოსავალსაც იღებს, მაგრამ დიდ უმეტესობას არ სურს ხელი მოჰკიდოს მეაბრეშუმეობას...

ისინი (ქართველები) ვაჭრობასაც კი არ მისდევენ და ამათთან მიღებულიც კი არ არის, რომ, მაგალითად, მეგრელი წავიდეს იმერეთში სავაჭროდ ან კიდევ გურული — თბილისში. საერთოდ თვითონ ქართველთა შორის არ არიან ვაჭრები და ქვეყნის მთელი ვაჭრობა მათი ქვეშევრდომების ხელშია.“

კითხვები და დავალება

1. რა იყო მიზეზი კახეთის მოსახლეობის შემცირებისა და ქვეყნის სამეურნეო დაცემისა? 2. მეურნეობის რა დარგებს მისდევდა მიწადმოქმედი მოსახლეობა? რატომ დაეცა ვაჭრობა საქართველოს ცალკეულ კუთხეებს შორის? მოტა-

ნილი დოკუმენტების მიხედვით დაახასიათეთ საქართველოს ცალკეული კუთხის სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა და სცადეთ ახსნათ არსებული მდგომარეობის მიზეზები.

2. ნაწყვეტი XVIII საუკუნის დასაწყისის გუჯარიდან, რომელიც თეიმურაზ ბატონიშვილს (შემდეგში თეიმურაზ II) მიუცია ბოდბელი ეპისკოპოსისათვის, რომელშიც აღწერილია საბოდბელოს გლეხთა აჯანყება

„ბოდბელის ყმამ იჯანღა[1], მოხელეები დაარბივა — რიგის ძროხა[2] არ გეაძევსო... უწინაც ექნათ რიგის ძროხაზე ჯანღი. წიგნებიც[3] მიეცა ბოდბელს, მაგრამ ბატონს მამაჩვენს (ე.ი. ერეკლე I)[4] არ ეპატივებინა, ჯანღის თავები[5] დაეჭირა, ჯარიმაც ბარი წაერთმივა...“

დავალება

მოტანილი ფრაგმენტის მიხედვით მოგვითხრეთ ბოდბელი ეპისკოპოსის საყმოს აჯანყების შესახებ.

3. ნაწყვეტი XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერილობიდან“, რომელშიც მოთხრობილია სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის (1610-1657 წწ.) საამშენებლო-კულტურულ ღონისძიებათა შესახებ

„რომელიც დანგრეული ეკლესია იყო, (ლევან დადიანმა) ხელახლა ააშენა; რომელსაც სახურავი არ ჰქონდა, იმას სახურავი გაუკეთა; რომელსაც ორნამენტები შემოსცლოდა, ისევ გაამშვენიერა და შეამკო. ამასთან ყველა ეკლესიას ფრიად შეუმატა შემოსავალი. უთვალავი ოქროვერცხლის ხატი გააკეთებინა თვალმარგალიტებით შემკობილი. ათი წლის განმავლობაში ოცზე მეტი ოქრომჭედელი ჰყავდა, რომელნიც განუწყვეტლივ აკეთებდნენ საეკლესიო ჭურჭელს“.

დავალებები

1. დაახასიათეთ ლევან დადიანის კულტურული ღონისძიებანი. 2. შეადარეთ ამ პერიოდში შექმნილი კულტურის ძეგლები XI — XII საუკუნეების ქართული კულტურის ძეგლებს.

---

[1] აჯანყდა. [2] ბეგარის ზევით დამატებითი გადასახადი, საქონლით. [3] წერილობითი საბუთი. [4] ერეკლე I ქართლის მეფედ იყო 1688—1703 წწ., მასვე ექვემდებარებოდა კახეთის ნაწილი. [5] აჯანყების მეთაურები.

§ 28. ქართული სამეფო-სამთავროები XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლისა და კახეთის სათავეში მაჰმადიანი მმართველები იდგნენ, რომლებიც ხელისუფლებას ირანის შაჰებისაგან იღებდნენ. ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში შესამჩნევად გაძლიერდა სპარსულ-ყიზილბაშური გავლენა. შაჰის კარი ცდილობდა ასე თანდათანობით, ქართველი ფეოდალების თავის მხარეზე გადაბირებით და მათი გამაჰმადიანებით, ქართლი და კახეთი საბოლოოდ გარდაექმნა მორჩილ ყიზილბაშურ სახანოებად. დამპყრობლები იყენებენ ქართველ ფეოდალებს შორის გაჩაღებულ შინა ბრძოლებს, ბრძოლას ქართლისა და კახეთის ტახტის ცალკეულ პრეტენდენტებს შორის და ამით აღმოსავლეთ საქართველოს კიდევ უფრო მეტად აქცევენ თავიანთი გავლენის ქვეშ. ქართველი მოსახლეობის მდგომარეობას განსაკუთრებით აუტანელს ხდიდა დაღისტნელ ფეოდალთა მიერ მოწყობილი ყაჩაღური თავდასხმები, რომლის დროსაც მთიელი მეკობრეები იტაცებდნენ ადამიანებს, საქონელს, დოვლათს, საერთოდ ყველაფერს, რის წაყვანა და წაღება შეიძლებოდა.

უმაგალითო ფეოდალური ანარქია მძვინვარებდა დასავლეთ საქართველოში. სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მთავრები დაუცხრომლად ებრძოდნენ ერთმანეთსაც და იმერეთის მეფესაც. ამით სარგებლობდა ოსმალეთი და კიდევ უფრო ზრდიდა თავის გავლენას დასავლეთ საქართველოზე. ამ შინაფეოდალური ბრძოლების ვითარებაში და ოსმალების ყოველმხრივ ხელშეწყო-



მეჯლისი ქართლის მეფის თბილისის სასახლეში 1672 წ. ფრანგი მოგზაურის ჟ. შარდენის წიგნიდან.

ვახტანგ VI-ის პორტრეტი. 1709 წ. თბილისში დაბეჭდილი სახარებიდან.

ბით სულ უფრო ფართოდ ვრცელდებოდა ტ ყ ვ ი ს ს ყ ი დ ვ ა. მოსახლეობა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში კატასტროფულად მცირდებოდა. მოსახლეობისაგან დაცლილ და გავერანებულ ადგილებს საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, მაგალითად, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, შიდა ქართლში და აღმოსავლეთ კახეთში, თანდათანობით იკავებენ იმიერკავკასიიდან ჩამოსახლებული მთიელები.

ამ საერთო ძნელბედობის დროს ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი იმედს მაინც არ კარგავდა, ქვეყნის „აღდგომისა“ და „გამოხსნისათვის“ ირაზმებოდა და ძალებს იკრებდა. ამ ბრძოლის სათავეში ჩადგა ვ ა ხ ტ ა ნ გ V I.

ქართლი XVIII საუკუნის I მეოთხედში. ვახტანგ VI ქართლის მმართველად (ჯანიშინად) დაინიშნა 1703 წელს. იგი პირველ რიგში ქვეყნის შიგნით წესრიგის აღდგენას შეუდგა და ენერგიული ზომებით ალაგმა თავადების თვითნებობა. ეკლესიას დაუბრუნა თავადების მიერ მიტაცებული მიწები. მისი ხელმძღვანელობით შედგენილ იქნა „ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ ი“, რომელიც მალე მთელს საქართველოში მოქმედ კოდექსად იქცა.

ვახტანგმა დიდი ყურადღება მიაქცია ქვეყნის მეურნეობის აღდგენას. ხელახლა დაასახლა ქართლის გაუკაცრიელებული ადგილები. გაიყვანეს და განაახლეს დიდი ხნის წინათ მოშლილი სარწყავი არხები. მოაწესრიგეს გზები, ააგეს ხიდები და ქარვასლები, გააუმჯობესეს ფულის მოჭრის საქმე. აღნიშნული ღონისძიებანი ქართლს შესამჩნევად დაეტყო. გამოცოცხლდა ვაჭრობა-ხელოსნობა, საქალაქო ცხოვრება. კვლავ თავის კეთილდღეობას დაუბრუნდა თბილისი.

ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი. მინიატურა „ქილილა და დამანას“ ხელნაწერი წიგნიდან.

1709 წელს ვახტანგ VI-ემ თბილისში დააარსა პირველი ქართული სტამბა. ამ სტამბის მოწყობაში მას დაეხმარა ვლახეთში (რუმინეთში) მოღვაწე ქართველი ანთიმოზ ივერიელი. ანთიმოზ ივერიელი ბავშვობაში საქართველოდან ტყვედ წაუყვანიათ და შემდეგ იერუსალიმის პატრიარქის კარზე იზრდებოდა. დიდად განათლებულმა ანთიმოზმა შემდეგ ვლახეთში დაიწყო მოღვაწეობა. მან თავი გამოიჩინა, როგორც თავისი ახალი სამშობლოს დიდმა პატრიოტმა. მან ვლახეთში რამდენიმე სტამბა დააარსა. ვახტანგ VI-ის თხოვნით ანთიმოზმა საქართველოში სტამბის მოსაწყობად გამოგზავნა თავისი მოწაფე მიხეილ იშტვანოვიჩი. **თბილისში დაარსებულ სტამბაში უკვე 1712 წელს დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი" ვახტანგის რედაქციითა და კომენტარებით. ეს რუსთაველის უკვდავი თხზულების პირველი მეცნიერული გამოცემა იყო. ამ ფაქტს დიდი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.**

ამ პერიოდის ქართლში ვახტანგის თაოსნობით თანდათან ჩამოყალიბდა კულტურულ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი, რომელმაც დამპყრობელთა ბატონობის წინააღმდეგ ენერგიული იდეური ბრძოლა წამოიწყო. ამ დასში შედიოდნენ პოეტი-ლიტერატორები, მეცნიერ-ისტორიკოსები, მთელი რიგი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები. მათ მიზნად დაისახეს ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება და ქვეყნის მომზადება ახალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. ამ საქმიანობაში ვახტანგს გვერდით ედგა მისი აღმზრდელი და თანამებრძოლი, დიდი ქართველი მწერალი და მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანი.

ს. ორბელიანი მრავალი მეცნიერული და ლიტერატურულ-ფილოსოფიური ნაშრომის ავტორი იყო. მან შექმნა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი — „სიტყვის კონა", რომელსაც თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე დიდაქტიკურ-ზნეობრივი ხასიათის თხზულებები, როგორიც არის, მაგალითად, „სიბრძნე სიცრუისა", „სწავლანი" და სხვ.

ვახტანგის თაოსნობით შეიქმნა მეცნიერკაცთა კომისია, რომელსაც დაევალა „ქართლის ცხოვრების" (საქართველოს ისტორიის) გადამუშავება და ბოლო საუკუნეების (XIV — XVII სს.) ისტორიის დაწერა. ამ კომისიამ დიდი მუშაობა გასწია. შეიქმნა ე.წ. „ახალი ქართლის ცხოვრება".

ვახტანგის ისტორიულ-მეცნიერული სკოლის წარმომადგენელია მისი ვაჟიშვილი ვახუშტი ბაგრატიონი, რომელმაც საქართველოს ისტორიას ვრცელი და საფუძვლიანი გამოკვლევა უძღვნა. ვახუშტის ფუნდამენტური ნაშრომი მისი დროის მოწი-

1712 წ. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ თავფურცელი.

ვეფხის ტყაოსანი:
ანუ ახალი ლბეჭდული ქართულის ენასა ზედა ქაშა ამა
ღლებულისა საქართველოს მპყრობელისა
უფლისა უფლისა ვახტანგისსა:
შრომითა წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა.
გაამარა ველითა ველოშწიფის კარის დეკანოზის შვი
ლის მიქელისათა. ქალაქსა ტფილისისასა
ქრისტეს აქეთ
ათს შვიდას ლ თორმეტსა ლსაბამითგან ვიდრე
აქამ ოცდე შვიდიათას ოთხას ოცსა:

ნავე ევროპული მეცნიერების დონეზე იდგა. მეცნიერმა ბატონიშვილმა მოგვცა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა, შეადგინა საქართველოს ყველა კუთხის რუკა და ისტორიულ მეცნიერებაში შემოიტანა კვლევის დარგობრივად და კომპლექსურად წარმოების მეთოდები.

ვახტანგ VI-ის დროს დიდი ყურადღება მიაქციეს სწავლა-განათლების საქმეს. შექმნეს და თარგმნეს არაერთი სასწავლო და სამეცნიერო ნაშრომი გეოგრაფიაში, ქიმიაში, მათემატიკაში, ასტრონომიასა და სხვა მეცნიერებაში. აღსანიშნავია, რომ ამ საქმიანობაში უშუალოდ მონაწილეობდა თვითონ ვახტანგ VI (იხ. დოკ. 1).

1712 წ. ვახტანგ VI შაჰის კარზე გამოიძახეს. ამ დროს აჯანყებულ ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა ქართლის მეფე, ვახ-

ტანგის უფროსი ძმა ქ ა ი ხ ო ს რ ო. ვახტანგს ქართლის მეფედ დასამტკიცებლად გამაჰმადიანება მოსთხოვეს. ქართველმა მოღვაწეებმა ბევრი იბრძოლეს, რომ ვახტანგი ქრისტიანობით დაებრუნებინათ ქართლში. მისი გამზრდელი სულხან-საბა ორბელიანი დასავლეთ ევროპაშიც კი გაემგზავრა და სცადა შემწეობა მიეღო რომის პაპისა და საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ისაგან, მაგრამ მისი ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა. ევროპას არ სურდა საქართველოს მიზეზით გაეფუჭებინა ურთიერთობა ირანთან ან ოსმალეთთან. ამასობაში კი ქართლს განაგებდა ვახტანგის გამაჰმადიანებული ძმა ი ე ს ე, რომელიც სასტიკად ავიწროებდა ვახტანგის მომხრეებს. ვახტანგი იძულებული შეიქნა ფორმალურად მიეღო მაჰმადიანობა, რათა საშუალება მისცემოდა ქართლში დაბრუნებულიყო და გაეგრძელებინა მეტად მნიშვნელოვანი ეროვნული მოღვაწეობა. იგი ქართლში მხოლოდ 1719 წ. დააბრუნეს.

2. ვახტანგ VI-ის ურთიერთობა რუსეთთან. XVIII ს. 20-იან წლებში კავკასია კვლავ მოექცა რუსეთის ინტერესების არეში. ირანში ამ დროს სეფიანთა დინასტია დაცემის გზას ადგა, აჯანყებულიყვნენ ავღანელი და ირანში მცხოვრები სხვა ტომები, ოსმალეთი ირანის დასალაშქრავად ემზადებოდა. რუსეთმა კარგად დაზვერა ირანში შექმნილი ვითარება. პ ე ტ რ ე I-ის ელჩმა კავშირი დაამყარა ჯერ კიდევ ირანში მყოფ ვახტანგ VI-თან. ქართლის მეფე კმაყოფილი შეხვდა კავკასიის ასპარეზზე რუსეთის კვლავ გამოჩენას. ისახებოდა იმედი, რომ რუსეთის გაძლიერებული სახელმწიფოს დახმარებით და მხარდაჭერით საქართველო განთავისუფლდებოდა ყიზილბაშთა და ოსმალთა ბატონობისაგან. 1720 წ. პეტრე I-მა და ვახტანგ VI-ემ სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დაამყარეს ურთიერთშორის. მათ გადაწყვიტეს ერთად გაელაშქრათ ირანის წინააღმდეგ. შეთანხმების მიხედვით რუსეთის არმია უნდა შესულიყო აზერბაიჯანში, სადაც მას შეუერთდებოდა ქართველთა და სომეხთა ლაშქარი ვახტანგ VI-ის მეთაურობით და შემდეგ ერთობლივად იმოქმედებდნენ ირანის წინააღმდეგ.


რუსეთის იმპერატორი პეტრე I.

1722 წ. ივლისში პეტრე I-მა დაიწყო ლაშქრობა კავკასიის მიმართულებით და ხელთ იგდო კასპიის ზღვის დაღისტნის სანაპირო, აიღო დ ა რ უ ბ ა ნ დ ი ც, მაგრამ ლაშქრობა ვეღარ გააგრძელა. ჯარში გაჩნდა ავადმყოფობა, ვერ მარაგდებოდნენ სურსათითა და ფურაჟით, რის გამოც პეტრე I იძულებული გახდა ლაშქრობა შეეწყვიტა და ასტრახანში გაბრუნებულიყო. ამასობაში კი ვახტანგ VI შეთანხმებისამებრ ქართველთა და სომეხთა 40 000-იანი ჯარით გ ა ნ ჯ ა ს თ ა ნ იდგა და ელოდებოდა რუსეთის სამხედრო ძალის გამოჩენას. 3 თვის ამაო ლოდინის



თბილისი 1700-იან წლებში. იმდროინდელი ფრანგი მხატვრის ნახატი (ტურნეფორის წიგნიდან).

შემდეგ აცნობეს მას რუსეთის ლაშქრობის გადადების ამბავი. ამან კი მეფე ვახტანგი მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. განრისხებულმა შაჰმა ქართლი გამაჰმადიანებულ კონსტანტინე კახთა მეფეს გადასცა, რომელმაც 1723 წ. ლეკთა დაქირავებული ჯარით თბილისი აიღო. ამ ბრძოლებში საქართველოს დედაქალაქი საშინლად ააოხრეს. დასავლეთიდან თურქებმა დაიწყეს შემოტევა და მალე მთელი ქართლი დაიკავეს. ვახტანგ VI-ეს საქართველოში აღარ ედგომებოდა, ამიტომ იგი 1200 კაციანი ამალით, რაჭის გზით, რუსეთს გაემგზავრა. მეფე იმედოვნებდა, რომ მალე რუსეთის დამხმარე ჯარით დაბრუნდებოდა, მაგრამ მას საქართველოში დაბრუნება აღარ ეწერა.

ვახტანგს თან გაჰყვა მის თანამებრძოლთა და თანამოღვაწეთა დიდი დასი, მათ შორის იყო სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბატონიშვილი, მისი ვაჟი ბაქარი და მრავალი სხვა, რომლებიც ასე ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ საქართველოში. მათ თავიანთი შრომა გააგრძელეს რუსეთში. მოსკოვთან, სოფელ ვსეხსვიატსკოეში, ასევე, მდ. პრესნაზე და დონის მონასტერთან შეიქმნა ქართველთა დასახლებანი[1], სადაც გაჩაღდა დიდი კულ-

[1] ეს ადგილები დღეს მოსკოვის ფარგლებშია. ქუჩები აქ დღესაც ატარებენ იმდროინდელ სახელებს: ბოლშაია გრუზინსკაია, მალაია გრუზინსკაია, გრუზინსკი ვალ და ა. შ. ბაქარ ბატონიშვილის ყოფილ სახლში მოწყობილია მემორიალი — მუზეუმი.

ტურული მუშაობა: თარგმნიდნენ რუსულიდან სამეცნიერო და სასწავლო წიგნებს, აღადგინეს ქართული სტამბა და ბეჭდავდნენ ქართულ წიგნებს, განაგრძობდნენ საქართველოში დაწყებულ სამეცნიერო მუშაობას. აქვე ჩამოვიდა ლეკების ტყვეობიდან გამოქცეული პოეტი დავით გურამიშვილი. მათ მუშაობას ქართული კულტურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მოსკოვის ქართული კოლონია იქცა ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის მძლავრ კერად.

3. „ოსმალობა"-„ყიზილბაშობა" XVIII საუკუნის საქართველოში. საქართველოში კი ამ დროს მძიმე წლები იდგა. 1723 წ. დაიწყო და 12 წელს გაგრძელდა ოსმალთა ბატონობა („ო ს მ ა ლ ო ბ ა"). მათ წინააღმდეგ ქართლ-კახეთში გამათავისუფლებელი ბრძოლების მძლავრი ცეცხლი გიზგიზებდა. ოსმალებთან ბრძოლას შეეწირა კახეთის მეფე კონსტანტინე. ქართველი ხალხის ამ შეურიგებელი ბრძოლებით ისარგებლა ირანის სარდალმა ნ ა დ ი რ - ხ ა ნ მ ა და ოსმალები ქართლიდან გააძევა.

1735 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოში „ოსმალობის" მაგივრად ყიზილბაშთა ბატონობა („ყ ი ზ ი ლ ბ ა შ ო ბ ა") დამყარდა. ქართლ-კახეთში ამჯერად უკვე ყიზილბაშების წინააღმდეგ გაიშალა სახალხო ბრძოლები. ამ ბრძოლებს ხელმძღვანელობდა კონსტანტინეს უმცროსი ძმა თ ე ი მ უ რ ა ზ I I. იგი მეტად წინდახედულად მოქმედებდა და ცდილობდა ნადირთან, რომელიც 1736 წლიდან ირანის შაჰი გახდა, საერთო ენა გამოენახა. ნადირ-შაჰი მას ეჭვის თვალით უყურებდა და რამდენჯერმე დააპატიმრებინა კიდეც. 1737 წელს შაჰის მოთხოვნით თეიმურაზმა თავისი ვაჟი ე რ ე კ ლ ე მასთან გაგზავნა. ნადირ-შაჰმა 17 წლის ერეკლე ინდოეთში სალაშქროდ წაიყვანა.

ერეკლე ბატონიშვილს, მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, უკვე ცხოვრების მკაცრი სკოლა ჰქონდა გავლილი. 15 წლის ასაკში მან პირველად უხელმძღვანელა გლეხების რაზმს მომხდური ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში და აქ „პატარა კახმა" (ეს სახელი მას სიყვარულით ხალხმა შეარქვა) გასაოცარი სიმამაცე და მოხერხებულობა გამოიჩინა. ამის შემდეგ მას ღრმა მოხუცებულობამდე ხმალი ხელიდან არ გაუგდია...

ნადირ-შაჰთან ყოფნის დროს ერეკლემ შესანიშნავი სამხედრო წრთობა გაიარა და შემდეგში იგი არაერთხელ წარმატებით გამოიყენა.

ერეკლე საქართველოში დაბრუნდა 1739 წელს. ქართლში ამ დროს გააფთრებულ ბრძოლებს ჰქონდა ადგილი. ქვეყანაში აჯანყებების ცეცხლი ენთო. ნადირ-შაჰი იძულებული გახდა მთელ



თეიმურაზ II.

რიგ დათმობებზე წასულიყო. მან კახეთი და ქართლი მძიმე გადასახადებისაგან გაათავისუფლა და ბოლოს ნება დართო თეიმურაზ II-ეს ქართლის მეფედ ქრისტიანული წესით კურთხეულიყო, ხოლო მის შვილს ერეკლეს კახეთის მეფობა მისცა.

1745 წლის 1 ოქტომბერს თეიმურაზ II დიდი ზეიმით, ძველი ქართული წესით, სვეტიცხოვლის ტაძარში მეფედ აკურთხეს. ეს დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. უკვე საუკუნეზე მეტი გასულიყო, რაც ქართლ-კახეთის ტახტზე ქართველი მეფე ქრისტიანობით აღარ დამჯდარიყო. **შაჰების მიერ ასე დაყინებით და გულდაგულ გატარებულმა ქართლ-კახეთის გაყიზილბაშების პოლიტიკამ სრული მარცხი განიცადა და ირანის მხრივ ამ ფაქტის აღიარება „ქართველობის“ დიდი გამარჯვება იყო.**

კითხვები

1. როგორი იყო ქართული სამეფო-სამთავროების მდგომარეობა XVII საუკუნის ბოლოს? 2. რა მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგ VI-ისა და მისი დასის კულტურულ მოღვაწეობას? 3. როგორი იყო ვახტანგ VI-ის საგარეო ორიენტაცია? 4. რითი დამთავრდა ქართველი ხალხის შეურიგებელი ბრძოლები ოსმალო და ყიზილბაში დამპყრობლების წინააღმდეგ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში?

დოკუმენტები

1. 1715 — 1718 წწ. ირანში მყოფი რუსეთის ელჩი არტემი ვოლინსკი ქართველთა სამხედრო ძალის საბრძოლო თვისებების შესახებ (თარგმანი რუსულიდან)

„მთელ ირანში საუკეთესო სამხედრო ძალად ქართველთა ჯარი მიმაჩნია. ქართველები ნამდვილი მეომრები არიან. მე გამიგია, რომ საქართველოში ლაშქრის შეკრება 15 — 20 ათასამდე შეიძლება. ირანში, როგორც წესი, სპასალარებად ქართველი ბატონიშვილები ინიშნებიან. ასევე მეტწილად ქართველებს ნიშნავენ ირანის ჯარში სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე. ადრე, ჯერ კიდევ დიდი შაჰ-აბასის დროს და აგრეთვე ახლანდელი შაჰის სხვა წინაპრების დროსაც, ირანელებს თურქებთან, ინდოელებთან და სხვა ხალხებთან ომებში ყველა გამარჯვება ძირითადად ქართველთა მეშვეობით აქვთ მოპოვებული... თუ ქართველი ბატონიშვილები და მათი დიდებულები და აზნაურები ერთმანეთში შეთანხმებას მიაღწევენ, ჰეშმარიტად შეძლებენ არა მარტო სპარსეთის უღლისაგან განთავისუფლებას, არამედ თვით სპარსეთის ტერიტორიის დაკავებასაც.

ირანელების კავალერია ქართველებს ვერასოდეს გაუმკლავდება, სამჯერაც რომ სჭარბობდეს რიცხობრივად, ხოლო თუ ჩვენ ქართველთა ჯარს 20 რეგულარულ ესკადრონს მივუმატებთ, ქართველებთან ერთად მთელს სპარსეთსაც ადვილად დავლაშქრავთ“.

კითხვები

1. რა იყო ქართველთა ჯარის ასეთი მაღალი საბრძოლო თვისებების მიზეზები? 2. რატომ ვერ ახერხებდნენ ქართველი ფეოდალები ურთიერთშორის შეთანხმებას? 3. გაიხსენეთ რომელ ბრძოლებში დაამარცხეს ქართველებმა მათზე ძლიერი ირანელი და ოსმალო დამპყრობლები?

2. ვახტანგ VI-ის გარდაცვალებისას (1737 წ.) მისმა მდივან-მწიგნობარმა გივი თუმანიშვილმა დაწერა ეპიტაფია[1] ლექსად, რომელშიც იგი თვითონ მეფეს ალაპარაკებს მისი მოღვაწეობის შესახებ

„მე უმცირესმან ძმათაგან. ვახტანგ-ყე სახელდებული,
ოთხ წელ ვქმენ მცხეთა, ურბნისი, სადგრის კამარა გებული,
ტფილისს სიონი ხელახლად შევძერწე ქანდაკებული,
ჩემთვისაც სახლი სარკისა[2], შიგ ლხინი მოწონებული.
სტამბა მოვიღე ვლახეთით, ვამრავლე წიგნთა მელანი,
ქციის რუ ხუნანს წავიღე, გაღმითად მოერწყე ველანი,
მაშავერის რუ ტბას შევრთე, შიგ ჩავსხი თევზნი ყველანი,
ესე მთა მოვინადირე. ვხოცე ირემნი ძველანი,
სამართლის წიგნი დავწერე, მსაჯულს არ უნდა ცილობა,
ვეფხისტყაოსნის თარგმნობა, სხვა წერილთ არ ვსთქვა ცილობა,
ჩემთანა მყოფთა ჭაბუკთა უქმნია კარგი ზრდილობა,
ბოლოდ მიმიღო სოფელმან სიმდიდრე, მეფედ შვილობა“.

დავალება

გაკვეთილის ტექსტის და მოტანილი ეპიტაფიის მიხედვით უფრო სრულად გადმოეცით ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა.

3. XVIII ს. ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი ნადირ-შაჰის მიერ ქართლ-კახეთის აღწერისა და შემოღებული გადასახადების შესახებ

„ესრეთ იყო აღწერა, რაც ძველი ნასოფლარი სადმე იყო, ყველგან ზომეს მიწები საბლით, ხრეკ[3] დასდვეს. აგრეთვე ამ სახით შენობა თუ სადმე იყო, დიდი ხრეკი დასდვეს. ვითაც ერანის ქვეყნებში მომცემი მიწა არის და ბევრი გამოსავალი აქვს, ისე ამ ქვეყანას განუწესეს... შემდგომი ამისი ათს წლამდის ხარჯი დასწერეს. ყმაწვილზე, პირუტყვზე ყოველს ზედა განაწესეს, ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველს ფერს შენობას ანუ ოხერს ადგილს ასეთი ხარჯი დასდვეს, რომ ყოვლის კაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო. ოდეს ურუმთა[4] მცირეთა ხანთა ეს ქვეყანა ეჭირათ, მაშინ იმათაც დაწერეს და დასდვეს მირი, რომელ არს ხარკი... ამა ამბავთა შინა მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი უმეტესად აოხრდა. მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებსა თვისის ხელით კაფიდის და აოხრებდის“...

დავალება

მოტანილი ნაწყვეტის მიხედვით აღწერეთ საქართველოში ყიზილბაშთა და ოსმალთა ბატონობა, მისი შედეგები.

---

[1] წარწერა, რომელსაც ათავსებდნენ საფლავის ქვაზე. აქ ამ ლექსს ეპიტაფია პირობითად ეწოდება. [2] იგულისხმება თბილისში აგებული სასახლე, რომელიც სარკეებით იყო შემკობილი. [3] ხარკი. [4] ოსმალთა.

Გ. გვიანდელი ფეოდალიზმი

VIII თავი

საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

§ 29. შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება XVIII საუკუნის 50 — 70-იან წლებში

1. გვიანდელი ფეოდალიზმის დასაწყისი. როგორც ვნახეთ, ფეოდალურმა ურთიერთობამ ჩვენს ქვეყანაში განვითარების უმაღლეს დონეს XII — XIII საუკუნეებში მიაღწია. ამის შემდეგ საზოგადოებრივი ურთიერთობა ფეოდალიზმის რღვევისა და ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების გზით უნდა. წარმართულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა — ფეოდალური ურთიერთობის არსებობა რამდენიმე საუკუნით გახანგრძლივდა.

ამის მთავარი მიზეზი საქართველოს წინააღმდეგ დამპყრობელთა განუწყვეტელი ომები იყო. მრავალრიცხოვანი დამპყრობლების შემოსევებმა, რაც არ წყდებოდა საუკუნეების განმავლობაში, გამოიწვია განვითარების შეჩერება და გარკვეული უკანდახევაც. ეკონომიკურ დაცემა-დაქვეითებას მოჰყვა ნატურალური მეურნეობის ზრდა, ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს შორის სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის მოშლა, მეფის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება და მსხვილი ფეოდალების განკერძოებისაკენ მისწრაფება. ამის შედეგად ერთიანი ფეოდალური მონარქია დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად დაიშალა. ქვეყნის დაშლა-განცალკევების გაღრმავებას ხელს უწყობდნენ დამპყრობლებიც — მათთვის ერთიანი ქვეყანა უფრო საშიში იყო, დაშლილ-დაქუცმაცებული კი — ადვილად დასაპყრობი. მოიშალა ქალაქები, დაეცა საქალაქო ცხოვრება და ვაჭრობა-ხელოსნობა. ქალაქები უკვე აღარ წარმოადგენდნენ ისეთ ძალას, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ფეოდალური ურთიერთობის რღვევა.

აი, ის მიზეზები, რომლებმაც შეაფერხა საზოგადოებრივი ურთიერთობის შემდგომი აუცილებელი განვითარება და რამდენიმე საუკუნით გაახანგრძლივა განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდი საქართველოში.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მდგომარეობა შეიცვალა. ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გაერთიანდა და ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახდა. ქვეყანა ეკონომიკური აღმავლობის გზას დაადგა, გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება ვაჭრობა-ხელოსნობა, გაჩნდა ახალი საწარმოები, სადაც დაქირავებულ შრომასაც იყენებდნენ. გახშირდა ყმობიდან გლეხობის თავდახსნა. გლეხთა ერთი ნაწილი ღატაკდებოდა და საშოვარზე მიდიოდა, მეორე ნაწილი მდიდრდებოდა, ყიდულობდა მიწას და, ზოგჯერ, გლეხებსაც კი, და ექსპლოატაციას უწევდა თავის ყოფილ კლასობრივ თანამოძმეს. ვითარდებოდა ფულადი სასაქონლო მეურნეობა, რომელიც ძირს უთხრიდა ნატურალური მეურნეობის ბატონობას და ხელს უწყობდა ქვეყნის ნაწილებს შორის ეკონომიკური კავშირის გაფართოება-განმტკიცებას. სამეფო კარზე ბატონყმობის გაუქმების პროექტებიც კი მზადდებოდა. ყველაფერი ეს იმას ნიშნავდა, რომ ფეოდალიზმი განვითარების ახალ, გვიანდელ პერიოდში შედიოდა, ე.ი. იწყებოდა ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევის პროცესი. მაგრამ XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან დამპყრობელთა შემოსევებმა კვლავ შეაფერხეს განვითარება ამიტომ მხოლოდ XIX საუკუნის 30 — 40-იანი წლებიდან გახდა კვლავ საგრძნობი ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და მის წიაღში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესი.

2. ბრძოლა ამიერკავკასიაში პირველობისათვის. XVIII საუკუნის შუა წლებიდან ირანისა და აღმოსავლეთ საქართველოს ურთიერთობაში ახალი ხანა დაიწყო. ყიზილბაშების ორასწლიანი შეუწყვეტელი ბრძოლა, რაც საქართველოს სახანოებად გადაქცევისკენ იყო მიმართული, მარცხით დამთავრდა.

აღმოსავლეთ საქართველოს საგარეო მდგომარეობაც თანდათან გაუმჯობესდა. ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ მთელი ირანი ცალკე სახანოებად დაიშალა. საქართველოს აღმოსავლეთით და სამხრეთით თანამედროვე აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა გ ა ნ ჯ ი ს, ე რ ე ვ ნ ი ს, ნ ა ხ ი ჩ ე ვ ა ნ ი ს და სხვა სახანოები, რომლებიც განუწყვეტლივ ეომებოდნენ ერთმანეთს ამიერკავკასიაში პირველობის მოსაპოვებლად. ქართლ-კახეთის მეფეებმა თეიმურაზმა და ერეკლემ ამ ომებში ზედიზედ გაიმარჯვეს და XVIII საუკუნის 50-იან წლებში

ერევნის, განჯისა და ნახიჩევანის სახანოები ქართლ-კახეთის მოხარკედ აქციეს.

1751 — 1752 წლებში ქართველებმა დაამარცხეს თ ა ვ რ ი - ზ ი ს მფლობელი ა ზ ა ტ - ხ ა ნ ი, რომელიც მთელი ირანის დაპყრობასა და შაჰად დაჯდომას ლამობდა. დამარცხდა შ ა ქ ი - შ ა რ ვ ა ნ ი ს ხანი ა ჯ ი - ჩ ა ლ ა ბ ი ც, რომელმაც მაჰმადიანი ხანებისა და დაღესტნელი ფეოდალების შეერთებული ლაშქრობა მოაწყო ქართლ-კახეთის წინააღმდეგ.

ამრიგად, რამდენიმე წლის გმირული ბრძოლის შედეგად აღიკვეთა საგარეო ძალის მხრივ საქართველოს დაპყრობის ცდები და ქართლ-კახეთის სამეფომ მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პოლიტიკური უპირატესობა მოიპოვა.

ქვეყნისათვის სერიოზულ საფრთხედ მაინც რჩებოდა ე.წ. ლ ე კ ი ა ნ ო ბ ა.

3. ბრძოლა დაღესტნელ ფეოდალთა თავდასხმების წინააღმდეგ. დაღესტნელ ფეოდალთა თავდასხმები, რომლებსაც საქართველოში ლეკიანობას უწოდებდნენ, განსაკუთრებით XVIII საუკუნის 50-იან წლებში გაძლიერდა.

ძარცვის მიზნით მოწყობილი ეს თავდასხმები, რომლებიც ხშირად თურქეთის შემწეობით და წაქეზებით ეწყობოდა, წვრილ-წვრილი თარეშის ხასიათს ატარებდა. დაღესტნელი ფეოდალების მიერ შედგენილი ყაჩაღური რაზმები ქურდულად თავს ესხმოდნენ ქართლ-კახეთის მშვიდობიან სოფლებს და იტაცებდნენ ადამიანებს, შინაურ საქონელს, საოჯახო ქონებას, სამუშაო იარაღებსა და სხვ. აქედან წამოყვანილ ტყვეებს ოსმალეთში ყიდდნენ.

წვრილი თარეშის გარდა, ზოგჯერ მსხვილი ლაშქრობებიც ეწყობოდა. მათ შორის ყველაზე დიდი იყო ხუნძახის (ავარიის) მფლობელის ნ უ რ ს ა ლ - ბ ე გ ი ს ორგზისი ლაშქრობა.

პირველად ნურსალ-ბეგი 1754 წელს შემოიჭრა ქართლ-კახეთში. კახეთის სოფლების გაძარცვისა და დარბევის შემდეგ იგი ქართლში გადავიდა და დიდძალი ჯარით ალყა შემოარტყა ქ. დუშეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მ ჭ ა დ ი ჯ - ვ რ ი ს ციხე-სიმაგრეს, სადაც დიდძალი ხალხი იყო შეხიზნული. ერეკლე II მცირერიცხოვანი ლაშქრით ეკვეთა მტერს. ქართველთა სიმხნევემ და ერეკლეს სამხედრო ნიჭმა გაიმარჯვა. დამარცხებული ხუნძახის ბატონი გაიქცა.

მეორეჯერ, 1755 წელს, ნურსალ-ბეგმა უფრო დიდი ლაშქარი შეჰყარა და ალყა შემოარტყა ყ ვ ა რ ლ ი ს ც ი ხ ე ს. ციხის მცველებს ტყვია-წამალი შემოაკლდათ. ერეკლემ გადაწყ-

ყვარლის გალავნის ნაშთი.

ვიტა ციხეში დამხმარე რაზმი შეეგზავნა. ამისათვის კი საჭირო იყო მტრის ალყის გარედან გარღვევა. მეფემ მოხალისეებს, ვინც ალყის გარღვევაში მონაწილეობას მიიღებდა, თავადსა და აზნაურს დიდი თანამდებობა, გლეხებს კი ბატონყმობისაგან განთავსუფლება ჟღუთქვა. მეფის მოწოდებაზე 206 კაცი გამოვიდა. მოხალისეთა შორის 9 თავად-აზნაური იყო, დანარჩენი — გლეხი. მამაცთა რაზმი ღამით წავიდა ქიზიყიდან, ალაზანს გავიდა; უხმაუროდ მიეპარა მტრის გუშაგებს, ამოწყვიტა ისინი და დიდძალი ტყვია-წამლით ციხეში შევიდა. ამასთან ერეკლემ მოალყე მტრის ჯარში განხეთქილება შეიტანა; მან ნურსალ-ბეგის მოკავშირე — ჭარელების სოფლებს ქართველთა რაზმები შეუსია, რის გამოც მათ ყვარლის ციხე მიატოვეს და თავიანთ სახლებს მიაშურეს. ამ ნიადაგზე ნურსალ-ბეგსა და მის მოკავშირეებს შორის მტრობა ჩამოვარდა და ხუნძახის ბატონი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

მუჰადიჯვართან და ყვარელთან მოპოვებულმა გამარჯვებამ ქართლ-კახეთი სერიოზული საფრთხისაგან იხსნა. დაღესტნელ ფეოდალთა ცდა მარცხით დამთავრდა. მიუხედავად ამისა, კვლავ გრძელდებოდა წვრილ-წვრილი თარეში, რაც მოსახლეობას მშვიდობიანი შრომის საშუალებას არ აძლევდა.

4. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება. ბრძოლა თავადებთან. მეფეებს — თეიმურაზსა და ერეკლეს შეგნებული ჰქონდათ, რომ მარტო საკუთარი ძალებით შეუძლებელი იქნებოდა სრული და საბოლოო გამარჯვების მიღწევა. ამიტომ ისინი რუსეთის სახელმწიფოსთან დაკავშირებას და მისგან დახმარების მიღე-

ერეკლე II.

ბას ცდილობდნენ. ამ მიზნით 1760 წელს თვითონ თეიმურაზ II გაემგზავრა პეტერბურგში. მაგრამ მაშინ რუსეთი პრუსიის ძლიერ სახელმწიფოს ეომებოდა და საქართველოსათვის რეალური დახმარების აღმოჩენა არ შეეძლო. დახმარების მოლოდინში თეიმურაზ II 1762 წ. იქვე, პეტერბურგში, გარდაიცვალა. მისმა ამალამ თეიმურაზის ცხედარი წამოასვენა და ასტრახანის მიძინების ტაძარში დაასაფლავა, სადაც განისვენებდა ვახტანგ VI.

თეიმურაზის გარდაცვალების ცნობის მიღებისთანავე ერეკლე II-ემ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველო ერთ სამეფოდ გაერთიანდა. ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

სამეფოს გაძლიერებისათვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ერეკლე II-ის მიერ წარმატებით გატარებულ ღონისძიებებს რეაქციონერი თავადების წინააღმდეგ. მეფემ ენერგიულად შეუ-

ტია გამდგარ თავადებს და განცალკევებულ სათავადოებს (თეიმურაზმა და ერეკლემ, ჯერ კიდევ თავიანთი მეფობის დასაწყისში, გააუქმეს დიდი სათავადო — არაგვის საერისთავო და დაიმორჩილეს ქსნის ერისთავიც).

იმერეთის მეფე სოლომონ I.

1765 წელს რეაქციონერმა თავადებმა შეთქმულება მოაწყვეს მეფის წინააღმდეგ. შეთქმულთა მიზანი იყო მეფისა და მისი სახლობის ამოწყვეტა და სამეფო ტახტზე მათთვის სასურველი პირის დასმა, მაგრამ ერეკლემ დროზე შეიტყო შეთქმულების ამბავი და მკაცრად დასჯა მასში მონაწილე მსხვილი ფეოდალები. შეთქმულების დამარცხებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ერეკლე მეფის ხელისუფლების განმტკიცებას.

5. დასავლეთ საქართველო. ამ დროს სამეფო ხელისუფლების გაძლიერებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია იმერეთის სამეფომაც. 1752 წლიდან იმერეთის მეფე ნიჭიერი და ენერგიული ს ო ლ ო მ ო ნ I იყო. მან შემოირიგა გურრიისა და სამეგრელოს ძლიერი მთავრები, დაამარცხა რეაქციონერი თავადები და ამოცანად დაისახა ქვეყნის განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან. უპირველეს ყოვლისა, მეფემ ოსმალებთან ტყვეებით ვაჭრობა აკრძალა.

იმერეთის სამეფოს ასე გაძლიერება მოსვენებას არ აძლევდა ოსმალეთს. ახალციხის ფაშამ სოლომონს მოსთხოვა, ისევ დაერთო ტყვეებით ვაჭრობის ნება. მაგრამ რაკი სოლომონ I-მა ეს მოთხოვნა არ შეასრულა, ოსმალეთის ხონთქარმა 1757 წელს იმერეთს დიდი ჯარი შეუსია; ქართველთა ლაშქარმა სოლომონის მეთაურობით ხ რ ე ს ი ლ თ ა ნ (ახლანდელი ტყიბულის რაიონი) სასტიკად დაამარცხა შემოსეული მტერი.

1758 წელს ერეკლე II-მ და სოლომონ I-მა შეკრეს სამხედრო კავშირი, რომლითაც ორივე სამეფო ერთმანეთს უნდა დახმარებოდა მტრის შემოსევის შემთხვევაში

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის თავგანწირულმა წინააღმდეგობამ ოსმალეთი აიძულა, ქვეყნის საბოლოო დამორჩილებისათვის ბრძოლაზე ხელი აეღო და საზავო მოლაპარაკება დაეწყო. სოლომონმა კარგად იცოდა, რომ საბოლოო გამარჯვებას ვერ მიაღწევდა, რომ მარტო საკუთარი ძალები საამისოდ საკმარისი არ იყო. იგი რუსეთთან კავშირს ეძებდა. ამ მიზნით 1768 წელს სოლომონმა ელჩი გაგზავნა რუსეთში და მფარველობა ითხოვა. ეს ის დრო იყო, როცა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი უნდა დაწყებულიყო.

6. რუსეთ-ოსმალეთის ომი და საქართველო. XVIII საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის სახელმწიფოს როლი საერთაშორისო ასპარეზზე კიდევ უფრო გაიზარდა. რუსეთის გაძლიერება

შეშფოთებას იწვევდა ოსმალეთსა და ევროპის ქვეყნებში. საფრანგეთისა და ავსტრიის წაქეზებით თურქეთმა 1768 წლის შემოდგომაზე ომი დაიწყო რუსეთის წინააღმდეგ. ამ დროს რუსეთის არმიის დიდი ნაწილი პოლონეთის ამბებით იყო დაკავებული და თურქეთი იმედოვნებდა, რომ ომში გაიმარჯვებდა. მას უნდოდა რუსეთისათვის წაერთმია უკრაინა და მტკიცედ გაბატონებულიყო კავკასიაშიც.

რუსეთის მთავრობამ მოწოდებით მიმართა თურქთა მიერ დაჩაგრულ ქრისტიან ხალხებს, მონაწილეობა მიეღოთ თურქეთის წინააღმდეგ ომში.

ერეკლე და სოლომონი მზად იყვნენ დაეწყოთ ომი თურქეთის წინააღმდეგ იმ პირობით, თუ რუსეთი ჯარითა და ფულით დაეხმარებოდა. მათი მიზანი ქვეყნის განთავისუფლება და ოსმალთა მიერ მიტაცებული მიწა-წყლის უკან დაბრუნება იყო. რუსეთი კი მიზნად ისახავდა დაებანდებინა თურქეთის ძალა კავკასიის ფრონტზე, რომ ამით საშუალება მისცემოდა ადვილად გაემარჯვა ამ ომის მთავარ ფრონტზე — ბალკანეთში.

7. ასპინძის ბრძოლა. 1769 წლის ზაფხულის დასასრულს რუსთა მცირერიცხოვანი ჯარი, რომელსაც სათავეში გენერალი ტოტლებენი ედგა, საქართველოში შემოვიდა. მომდევნო წლის აპრილში ერეკლე და ტოტლებენი ქართველ-რუსთა ჯარით ახალციხისაკენ დაიძრნენ და ალყა შემოარტყეს აწყურის ციხეს, სადაც თურქთა გარნიზონი იდგა. ბრძოლის დაწყებისთანავე ტოტლებენმა მოულოდნელად მიატოვა ქართველები და უკან გაბრუნდა. ერეკლე იძულებული შეიქნა, ბრძოლით გაეკაფა გზა ასპინძის, წალკისა და მანგლისის მიმართულებით. თურქებმა გადაწყვიტეს ქართველებისათვის გზა გადაეჭრათ ასპინძასთან. ამ მიზნით მათ სასწრაფოდ გამოიყვანეს ახალქალაქისა და ხერთვისის (ასპინძის რაიონი) ციხეებიდან 1500 ჯარისკაცი. ერეკლე



აწყურის ციხე.

II-მ მძლავრი შეტევით გაფანტა ისინი. ეს შეტაკება დამთავრებული არ იყო, რომ ასპინძის ხიდს მტრის 8 000-იანი ჯარი მოადგა და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადასვლა იწყო. ერეკლემ მტერს ხიდზე გადასვლა ადროვა, დაღამებამდე თურქებმა ჯარის ნახევრის გადაყვანა მოასწრეს. ღამით ერეკლემ ასპინძის ხიდთან გაგზავნა მამაცთა რაზმი, რომლებმაც მცველები გაწყვიტა და ხიდის ფიცრები აყარა. 1770 წ. 20 აპრილს, გარიყრაეზე, ქართველებმა ერთსულოვნად შეუტიეს თურქებს, მტერი შედრკა, უკუიქცა და ხიდს მიადგა, მაგრამ ხიდი აყრილი დახვდა. მოლაშქრეებს ქართველები დაერივნენ და ერთიანად ამოხოცეს, ვინც ხმალს გადაურჩა, ადიდებულმა მტკვარმა შთანთქა. მხოლოდ რამდენიმე ათეული კაცი გადარჩა ცოცხალი. ქართველთა ზარალი კი უმნიშვნელო იყო.

ხერთვისის ციხე

24. საქართველო XVIII ს-ის II ნახევარში



ასპინძის ბრძოლაში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების გამოყენება. საბოლოო მიზნის განხორციელებისათვის ერეკლე II-მ ვერ შეძლო. ამის მიზეზი ტოტლებენის ღალატი იყო. პატივმოყვარე და ავანტიურისტმა ტოტლებენმა კავშირი გააბა მეფის მოწინააღმდეგე თავადებთან და აწყურიდან წამოსვლის შემდეგ ქართლის ციხე-სიმაგრეების დაჭერა განიზრახა. ამავე დროს იგი ხალხს ძალით ადებინებდა ფიცს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. ყოველივე ამით მას სურდა ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება. მაგრამ ასპინძის ბრძოლიდან დაბრუნებული ერეკლეს ენერგიული მოქმედების შედეგად ავანტიურისტი გერმანელი გენერალი იძულებული გახდა თავის განზრახვაზე ხელი აეღო. მალე რუსეთის მთავრობამაც აღიარა, რომ ტოტლებენი თავისი მოქმედებით მას სახელს უტეხდა და იგი საქართველოდან გაიწვია.

1774 წლის ივლისში რუსეთსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო (გაიხსენეთ, რა სახელწოდებითაა ცნობილი ეს ზავი). ამ ზავის ერთ-ერთი მუხლით რუსეთი დასავლეთ საქართველოს ოსმალეთის მფლობელობაში ცნობდა იმ პირობით, თუ ეს უკანასკნელი იმერეთისაგან ხარკის აღებაზე უარს იტყოდა.

ტოტლებენის მოქმედებით გამოწვეული ერთგვარი მარცხის შემდეგ ერეკლე II მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, 1774 წელს მეფის ინიციატივით შეიქმნა ე. წ. მ ო რ ი გ ე ჯ ა რ ი; ამ ახალი ჯარის დებულების მიხედვით ლაშქრობის შემძლე ყოველი მამაკაცი ვალდებული იყო თავისი ხარჯითა და იარაღით წელიწადში ერთი თვით მორიგე ჯარში გამოსულიყო. ამ წესით მუდმივ მზადყოფნაში იყო ჯარის გარკვეული რაოდენობა. თუმცა რეაქციონერმა თავადებმა მორიგე ჯარი თანდათანობით მოშალეს, შედეგი მაინც დიდი იყო; ერთხანს ლეკთა თარეში შეწყდა და მოსახლეობა მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა.

ამრიგად, XVIII საუკუნის 50 — 70-იან წლებში საქართველო გაძლიერების გზას დაადგა, მაგრამ მშვიდობიანი განვითარებისა და აღორძინებისათვის ხელსაყრელი პირობები ხანგრძლივი არ ყოფილა.

კითხვები და დავალებები

1. როგორი ურთიერთობა დამყარდა აღმოსავლეთ საქართველოსა და ირანს შორის XVIII საუკუნის შუა წლებიდან? 2. როგორ მოიპოვა საქართველომ პირველობა ამიერკავკასიაში? 3. როგორ და როდის მოხდა ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება? 4. გვიამბეთ, როგორ ებრძოდა მეფის ხელისუფლება რეაქციონერ თავადებსა და სათავადოებს. 5. რა იცით რუსეთ-ოსმალეთის 1768 — 1774 წლების ომისა და მასში საქართველოს მონაწილეობის შესახებ? გვიამბეთ ასპინძის ბრძოლაზე

დოკუმენტები

1. ნაწყვეტი ერეკლე II-ის ბრძანებიდან „მორიგე ლაშქრის“ შესახებ

„1774 წლის იანვრის 4. ღვთით ეს მორიგეობის ლაშქრობის განაჩენი დაიწერა ჩვენ მეორე ერეკლე მეფისაგან, თან დასწრებითა ძისა ჩვენისა უფლის წულის გიორგისათა და ყოვლად სამღვდელოთა საქართველოსთა ეპისკოპოსთა და ბრწყინვალეთა თავადთა და ეგრეთვე ყოველთა კარისა ჩვენისა მოხელეთაგან და შემდგომთა დარბაზის ერთა და ყოველთა სამღვდელოთა დასთაგან და ეგრეთვე ყოველთა ჩინებულთაგან.

რადგანაც საქართველოს ქვეყანა ლეკთაგან ამდენ ხანს ამისთანას მოუსვენებელს მტერობით შეიწრდა და მოუთმენელს ჭირს მიეცა, ჩვენც მრავალგზის ბევრ რიგის გარჯილობით ვეცადენით, მაგრამ არ იქნა, რომ ასეთი წამალი და საქმე გვეპოვნა, რომ ჩვენი ქვეყნისათვის გვერგო რამე და ამხანად ღვთით ყველასაგან უმჯობესად და უკეთესად ეს გამოვარჩიეთ და საერთოდ ყველამ ვამჯობინეთ, რომელიც ამათს ქვემოთ დაგვიწერია.

პირველი ეს არის... ეს გაგვირიგებია, რომ რაც თავადნი ან მოხელე, ან არ მოხელე, ან აზნაური მოხელე ან არ მოხელე; გლეხი მოხელენი, თუ მსახურნი თუ მოყალნენი, თუ ხიზანნი რამდენიცა იყო იყვნენ ერთს სახლსა და ოჯახში თვითოს თვის მორიგეობაში ჩაგვიგდია... ყოველი კაცი თორმეტს თვეზედ გაგვიყრია... რომელ თვესაცა კაციცა სახელდობრ ჰწერია იმ თვის პირველის დღის წინა დღეს მოვიდეს, სადაც ჩვენგან დაბარებული იქნება...“

კითხვები

1. რამ გამოიწვია „მორიგე ჯარის“ შექმნის აუცილებლობა? 2. ვინ მიიღო მონაწილეობა ამ „განაჩენის“ შედგენაში? რაში მდგომარეობდა „მორიგე ჯარის“ ძირითადი ამოცანები და პრინციპები?

2. დასავლეთ საქართველოს მთავართა და თავადთა „პირობის წიგნი“ მიცემული 1759 წ. იმერეთის მეფე სოლომონ I-ისადმი, ტყვეთა სყიდვაზე ხელის აღების შესახებ.

„ესე მტკიცე, შეუცვალებელი... ხელით წერილი მოგართვით თქვენ მეფეს სოლომონს მე დადიანმა კაციამ, მე გურიელმა მამიამ... ერისთავმან როსტომ, წულუკიძემ, ერთობით წერეთელმან, ერთობით მიქელაძემ, ერთობით აბაშიძემ, ერთობით ნიჟარაძემ, იასშვილმან. ლორთქიფანიძემ... და ერთობით იმერმან დიდმან და მცირემან ოდიშარ-ლეჩხუმთა... ერთობით ოდიშარმან, დიდმან და მცირემან... გურულმან, დიდმან და მცირემან... ასე რომ ახალციხის ფაშამ ასეთი საშინელი და საზარელი სიტყვა შემოგვითვალა... ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო... ახლა ამაზე ასე ერთ-პირობით დაგვიმტკიცებია... რომ სანამდის სული გვიდგას, ეს საქმე ჩუენგან არ იქნეს... და ამ საქმეშიდ ჩვენს ხელმწიფეს მეფე სოლომონ არ გისუსტოთ და არც ამისთანა საშინელი ცოდვა ჩუენგან იქნეს. ასე პირობა და სიტყვა მოგვირთმევია ღვთისა და კაცისათვის“...

კითხვები

1. რას ასახელებდნენ იმერეთის თავადები ტყვეთა სყიდვის გავრცელების უმთავრეს მიზეზად? 2. რა მნიშვნელობა ჰქონდა „პირობის წიგნს“? 3. ვისი ინიციატივითაა იგი შედგენილი?

§ 30. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

1. ეკონომიკური მდგომარეობა. „ოსმალობისა“ და „ყიზილ-ბაშობის“ გადაშენებისა და ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების შემდეგ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მეურნეობის შედარებით მშვიდობიანი წარმართვისა და ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისათვის. დაღესტნელ ფეოდალთა თარეშის შეწყვეტამ, „ტყვეთა სყიდვის“ აკრძალვამ, გაუკაცრიელებული ადგილების ხელახლა დასახლებამ და სხვა ღონისძიებებმა, რომლებსაც ატარებდა მეფის ხელისუფლება, გააძლიერა ყმა გლეხების ინტერესი მეურნეობის აღდგენა-გაუმჯობესებისადმი. ყმა გლეხებს ახლა მეტი მოსავალი მოჰყავდათ. მთავარი ყურადღება ექცეოდა მევენახეობა-მებაღეობის განვითარებას და მებამბეობა-მეაბრეშუმეობას. სოფლის მეურნეობის პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოჰქონდათ საქართველოს ქალაქთა ბაზრებზე. აქ იყიდებოდა: ფქვილი, ქერი, ფეტვი, ღვინო, ხილი, ბოსტნეული, ენდრო, ზეთი, ბამბა, ბრინჯი, თამბაქო და სხვ.

ერეკლე II სპილენძის მონეტა, 1765 წ.

XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება საქალაქო ცხოვრების აღორძინება. მთელ საქართველოში ამ დროს ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ქალაქი ისევ თ ბ ი ლ ი ს ი იყო. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებიდან აღსანიშნავია აგრეთვე გ ო რ ი, თ ე ლ ა ვ ი, ც ხ ი ნ ვ ა ლ ი, ა ხ ა ლ გ ო რ ი, ს უ რ ა მ ი და სხვ. ამავე დროს წარმოიშვა ახალი ქალაქები — ა ნ ა ნ უ რ ი, დ უ შ ე თ ი და ს ი ღ ნ ა ღ ი. დასავლეთ საქართველოში აღმოსავლეთთან შედარებით, საქალაქო ცხოვრება ჩამორჩა. აქ ერთადერთი მნიშვნელოვანი ქალაქი ქ უ თ ა ი ს ი იყო.

საქართველოს მაშინდელი ქალაქები უმთავრესად წვრილი სასაქონლო წარმოების, ხელოსნობის ცენტრები იყო. ხელოსნობა განსაკუთრებით დაწინაურდა თბილისში. აქ ხელოსნობის 60-მდე სხვადასხვა დარგი განვითარდა.

წვრილი ხელოსნური წარმოების გვერდით ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან შედარებით მსხვილი სარეწაოებიც გაჩნდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონ-

სიღნაღი. ქალაქის ძველი ნაწილის ხედი (XVIII ს.).

და სამთამადნო წარმოებას ახტალასა და ალავერდში, სადაც ვერცხლისა და სპილენძის ამოღება-გამოდნობა გაჩაღდა. სახელმწიფო ამ წარმოებიდან დიდ შემოსავალს იღებდა. თბილისის იმდროინდელ მსხვილ საწარმოებს შორის აღსანიშნავი იყო თოფ-ზარბაზნის ქარხანა, სამეფო ზარაფხანა, სტამბა, მინის სარეწაო, მარილსახდელი, საპნის ქარხანა, სამღებროები, თოფის წამლის ქარხანა და სხვ. ამ საწარმოებში დაქირავებულ შრომასაც იყენებდნენ. ეს საწარმოები მანუფაქტურული ტიპისა იყო. მანუფაქტურა კი, შრომის განაწილებით, ხელს უწყობდა წარმოების ნაყოფიერების ზრდას. მანუფაქტურების გაჩენა ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის რღვევასა და ახალი კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვას მოასწავებდა, მაგრამ მაშინ მანუფაქტურული წარმოება ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული, ვიდრე წვრილი ხელოსნური წარმოება.

გაცხოველდა ვაჭრობაც. ვაჭრობა წარმოებდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მეზობელ და შორეულ ქვეყნებთანაც. XVIII საუკუნის 50-იან წლებში ხელახლა გაიხსნა დარიალის გზა, რომლითაც ქართველი ვაჭრები კიდევ უფრო მარჯვედ დაუკავშირდნენ ასტრახანს, მოზდოკს, ყიზლარს, ნიჟნი ნოვგოროდსა და მოსკოვს. ამ გზით რუსეთიდან დიდძალი ნაწარმი შემოდიოდა თბილისში. მაგრამ საქართველო მაშინ ვაჭრობას უმთავრესად ისევ აღმოსავლეთის ქვეყნებთან ეწეოდა. თბილისში ყოველდღე მოდიოდნენ ვაჭართა ქარავნები განჯიდან, შემახიიდან, ერევნიდან, თავრიზიდან, არზრუმიდან და სხვა ქალაქებიდან. ამ ქალაქებში თბილისიდან ყოველთვიურად 150 — 200 სხვადასხვა სახის საქონლით დატვირთული ურემი მიდიოდა.

25. საქართველოს ეკონომიკური განვითარება XVIII ს. მეორე ნახევარში


ახალი ქალაქები
ზარაფხანა
სვანეთი
ბარი
ბორჩალეთი
ახალციხის საფაშო
ბანჯის სახანო
ერევნის სახანო
ყარაბაღის სახანო
ბაკურიანი
ბორჯომი
ბაზალეთი
ბოლნისი
ბაზალეთი
ბანჯარა
ბანჯარა
ბანჯარა

ნებიდან მოეწვია განათლებული პირები, სხვადასხვა დარგის ოსტატები და ფაბრიკა-ქარხნების მომწყობი კაპიტალისტები. სათანადო განათლების მისაღებად ერეკლე II რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ქალაქებში გზავნიდა ქართველ ახალგაზრდებს.

2. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა. ფეოდალიზმის რღვევის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი იყო ყმა-გლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერება. გლეხი გადასახადს უხდიდა თავის ბატონს, სახელმწიფოს, მის მოხელეებსა და ეკლესიას. უმთავრესი საბატონო გამოსაღები, რომელსაც გლეხი იხდიდა, ღ ა ლ ა და კ უ ლ უ ხ ი იყო. ღალა მარცვლეულზე დაწესებული გადასახადი, მოსავლის 1/4 — 1/3 უდრიდა, კულუხი კი ვენახზე დაწესებულ გამოსაღებს ეწოდებოდა და მოსავლის 1/6 — 1/3 შეადგენდა. გადასახადებს, რომელთაც გლეხი იხდიდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელზე, ს ა ბ ა ლ ა ხ ე დ ა პ ი რ ი ს თ ა ვ ი ერქვა. გარდა ამისა, გლეხი ვალდებული იყო ბატონის მოთხოვნილების მიხედვით შეესრულებინა მრავალი სხვადასხვა სამსახური — ნ ა დ ო ბ ა, ტ ვ ი რ თ ი ს ზ ი დ ვ ა, შ რ ო მ ი თ ი ბ ე გ ა რ ა. იგი მოვალე იყო, ბატონისათვის მიერთმია ს ა შ ო ბ ა ო, ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო, ს ა ა ღ დ გ ო მ ო, ს ა ყ ვ ე ლ ი ე რ ო და სხვა ძღვენი (ცხვარი, ქათამი, ძროხა, კვერცხი, ერბო, ყველი და სხვ.). ქვრივის შერთვის ან გათხოვების შემთხვევაში გლეხი იხდიდა ე.წ. ს ა ქ ვ რ ი ვ ო ს, ქალიშვილის გათხოვებისას კი — ს ა ჩ ე ქ მ ე ს. ბატონს გლეხი ფულად გადასახადსაც უხდიდა. ყმა ვალდებული იყო, ბატონის მეურნეობაში მოეხნა, დაეთესა, მოემკა, გაელეწა და საერთოდ ყოველგვარი სახის სამუშაო შეესრულებინა.

ძირითად სახელმწიფო გადასახადს კ ო დ ი ს პ უ რ ი და კ უ ლ უ ხ ი ეწოდებოდა. ყოველ კომლს 4 კოდი პური ჰქონდა შეწე-



დიდი გუთნით ხვნა.

რილი. სახელმწიფო გადასახადი იყო აგრეთვე წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელზე. გლეხი იხდიდა აგრეთვე ფულად გადასახადს უცხოელ დამპყრობელთა სასარგებლოდ. გლეხები ვალდებული იყვნენ, შეესრულებინათ მთელი რიგი სამუშაოები სახელმწიფოს სასარგებლოდ. მნიშვნელოვანი სახელმწიფო ბეგარა იყო ლაშქარ-ნადირობა, ე.ი. მეფის ლაშქარსა და ნადირობაში სავალდებულო მონაწილეობა. საბატონო და სახელმწიფო გადასახადებს გარდა, გლეხი იხდიდა საეკლესიო და მოხელეთა (თანამდებობის პირთა) სასარგებლოდ დაწესებულ გადასახადებსაც.

გადასახადების გასტუმრების შემდეგ გლეხს თავისი მოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი რჩებოდა და ხშირად შიმშილობდა. მიწა, რომლითაც გლეხი სარგებლობდა, მემამულეს ეკუთვნოდა, გლეხი ამ მიწის მხოლოდ მემკვიდრეობითი მფლობელი იყო. მემამულეს შეეძლო გლეხის გაყიდვა, გაჩუქება, ანდერძით გადაცემა. კანონი გლეხის უმიწოდ გასხვისებას კრძალავდა, მაგრამ მებატონენი ხშირად გლეხს უმიწოდაც ყიდდნენ. ზოგჯერ ბატონი გლეხის ოჯახის წევრებს ცალ-ცალკე ყიდდა და ამით ოჯახს ანგრევდა.

ბატონყმური სახელმწიფო მებატონეთა ინტერესებს იცავდა. ბატონს ყმის „სულს გარდა, ყველაფერზე ხელი მიუწვდებაო" და „ყმისა ყველა ბატონისა არისო" — აცხადებდა ვახტანგ VI-ის მიერ გამოცემული კანონი.

გლეხობის ექსპლოატაცია განსაკუთრებით გაძლიერდა XVIII



გლეხური დარბაზი დედაბოძით.

თელავი. სამეფო სასახლის გალავანი. წინ ერეკლე II ძეგლი. მოქანდაკე მ. მერაბიშვილი.

საუკუნის მეორე ნახევარში. ევროპასა და რუსეთთან კავშირის გაცხოველებისა და სასაქონლო მეურნეობის ზრდის შედეგად გაიზარდა ბატონის მოთხოვნილება ფულზე. გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ბატონი გლეხთა გადასახადების გადიდების ხარჯზე ახდენდა. გლეხთა მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა შინაფეოდალური ომები.

გლეხობა ვერ ურიგდებოდა ჩაგვრას და სხვადასხვა საშუალებით იბრძოდა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ბრძოლის ფორმები სხვადასხვა იყო: გლეხები მებატონეთა და მოხელეთა თვითნებობაზე სასამართლოში მეფესთან ჩიოდნენ, უარს ამბობდნენ ბატონყმურ მორჩილებაზე და გარბოდნენ სხვაგან; ზოგჯერ თავს ესხმოდნენ მემამულეებს, ცეცხლს უკიდებდნენ მათს სახლ-კარს. უარს ამბობდნენ გადასახადების გადახდაზე და საქმე აშკარა აჯანყებამდეც კი მიდიოდა.

კლასობრივი ბრძოლა გაბატონებულ და ჩაგრულ კლასებს შორის, ფეოდალებსა და ყმებს შორის, ფეოდალური საზოგადოების არსებობის მანძილზე განუწყვეტელი იყო და ფეოდალური წყობილების ძირითად არსს წარმოადგენდა.

კითხვები და დავალებები

1. დაახასიათეთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. 2. რა სახის ახალი საწარმოები გაჩნდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთში? რა ღონისძიებებს ატარებდა ერეკლე II ქვეყნის სამეურნეო და კულტურული აღორძინებისათვის? 3. რა შედეგები ჰქონ-

და ამ ღონისძიებებს? 4. როგორი იყო გლეხთა საბატონო და სახელმწიფო გადასახად-ვალდებულებანი? 5. გვიამბეთ გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ფორმებისა და ამ ბრძოლების შედეგების შესახებ.

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

1. ნაწყვეტი მაქსიმე ქუთათელის აღწერილობიდან იმერეთის სამეფოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ XVIII საუკუნის 70-იან წლებში

„ამ შვიდ ციხეს (ბათომი, ფოთი, სოხუმი, ქუთაისი, ბაღდადი, შორაფანი, ცუცხვათი) გარდა, იმერეთში მომცრო ქალაქები და ციხეები მრავალია... აბრეშუმი, ბამბა და დიახ წმინდა სელი არის იმდენი, რომ ვაჭრებს სხვა ქვეყანაშიც მიაქვთ, დიახ იაფად ჰყიდიან.

ქუთაისის ქალაქიდამ ვაჭრები დადიან ნავითა იმ სამს ციხეში — ბათომს, ფოთს და სოხუმს, გასასყიდად დააქვთ წმინდა სანთელი, აბრეშუმი, ბამბა, ბეწვი მელისა, კვერნისა და ვეფხვისა და საჭმლის ხორაგი. იქიდამაც წყლით მოაქვთ ოსმალოს სავაჭრო: სხვადასხვა ფერის ფარჩა, მაუდი, შაქარი, ყავა და სხვაცა (სტამბოლიდამ რვას დღეზედ და ყირიმიდან ხუთ დღეზედ ხომალდები ამ ციხეში მოდიან). ოსმალონი იმერეთს მოდიან ხმელეთით ახალციხიდამ, არზრუმიდამ და ტრაპიზონიდამ...

ზოგიერთს ალაგს იმერეთში ოქროსი და ვერცხლის და სხვების ქანი არის, მაგრამ ესენი იმერეთს არასოდეს არ მოუხმარია, ერთი რკინის მეტი... (იმერლები) თოფსა, ხმალსა და ტყვიას შოულობენ ოსმალოს ქვეყნიდამ, ყიზილბაშიდამ და ტფილისის ქალაქიდამ. თოფის წამალს თუმცა იმერეთშიც აკეთებენ, მაგრამ უფროს ერთი ამ ზემოწერილის ქალაქებიდან შოულობენ“.

კითხვები

1. რომელ ქვეყნებთან ვაჭრობდა იმერეთი? 2. რა საქონელი გაქონდათ აქედან? რა შემოქონდათ? 3. როგორი იყო იმერეთის ბუნებრივი სიმდიდრენი და როგორ იყენებდნენ მას იმ დროს?

2. რუსი მოხელე, კაპიტანი იაზიკოვი XVIII საუკუნის 70-იანი წლების თბილისის შესახებ

„ქალაქი (თბილისი) მთლიანად გარშემორტყმულია ქვის, მაგრამ არცთუ ისე მაგარი კედლით. აქ, მათივე სიტყვით, ცხოვრობს ხუთი ათასი კომლი... ბევრია მდიდარი ვაჭარი... (თბილისი) საკმაოდ ხალხმრავალი ქალაქია... ჰყიდიან აზიურ საქონელს: ფარჩას, თავთას[1], ჩითს და სხვას; აგრეთვე რუსეთიდან შემოზიდულ საქონელს: ჩაის, შაქარს, პატარა სარკეებს, მაკრატლებს და სხვას. ბევრია ყოველგვარი ხელოსანი და ყოველი სახის ხელოსნობას აქ აქვს თავისი ცალკე რიგი (უბანი).

აბანოები ქვისგან არის ნაკეთები... აბაზანები თლილი ქვებისაგან... ქუჩები ისე ვიწროა, რომ ძლივს შეიძლება იქ ცხენით გავლაც კი?“

---

[1] თ ა ვ თ ა — აბრეშუმის თხელი ქსოვილი.

კითხვები

1. რამდენი იყო თბილისის მოსახლეობა 1770 წლისათვის, თუკი თითო კომლში საშუალოდ ხუთ სულს ვივარაუდებთ? 2. რა საქონლით ვაჭრობდა თბილისი და რომელ ქვეყნებთან ქონდა მას სავაჭრო ურთიერთობა?

3. ყმა გლეხის თამაზა ქურციძის თხოვნა ერეკლე II-ისადმი

„ღმერთმა ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მისცეს ფრცველს დავითის შვილს ზაალის ყმას ქურციძე თამაზას. შინდიშს თავყელიშვილის კედლად ხიზნად გახლავარ, რაც შეძლება მაქვს ბატონს ჩემსაც ვემსახურები და თავყელიშვილსაცა. ახლა თავყელიშვილი სახლში შემომესია. გამლახა, ერთი ხარი და ერთი ხბოიანი ფური წამართო, არ ვიცი რა დანაშაული მაქვს. ვგონებ ეს განიზრახა: ეს ხომ თავის ალაგას ფრცას წავაო და მე აღარას მემსახურებაო და იმისათვის ამიკლო. სხუა დანაშაული არ გამაჩნია რა. სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის იბ (12), ქრონიკონს უიზ (467)“.

ერეკლე მეფის ბრძანება მიწერილია ამავე თხოვნის ზემო აშიაზე

„ჩვენი ბრძანება არის, იასაულო ხერხეულიძე ავთანდილ, მერე რაც თავყელისშვილს ამ კაცისათვის წაურთმევია, ახლავე გამოურთვი, მოეცეთ სიტყვა აქვს რამე, სამართალში ალაპარაკე, იანვრის იე (15), ქრონიკონს უიზ. ერეკლე“.

კითხვები და დავალება

1. გაარჩიეთ დოკუმენტი და გაარკვიეთ, ვისი და სადაური ყმა ყოფილა თამაზა ქურციძე. ვის შეკედლებია ის ხიზნად? 2. რამდენ ბატონს ემსახურებოდა ეს ყმა? 3. რა ძალადობა უხმარია ამ ახალ ბატონს? 4. რა ღონისძიებას მიმართა ყმა გლეხმა თავის დასაცავად? 5. რა ბრძანება გასცა ერეკლე II-მ?

4. ნაწყვეტები ერეკლე II-ის ბრძანებებიდან მებატონეებისადმი

„ამილახვარო რევაზ! ან თქვენ და ან რომელმაც ამილახორის შვილმა ამ საღალუღში მდგომელს კაცს (ყმას) ძალა და უსამართლო და ჯიბრი უყო რამე, და ის კაცნი იქიდამ აიყარნენ და გადაიკარგნენ, ან ჩვენი სახასო (სამეფო) კაცნი ან თქვენი კაცნი, იცოდეთ დიდად მოვიკითხავ, ამ საღალუღსაც წავართმევთ და ვისაც საბაბითა და უსამართლოს ქნით იქიდამ კაცი აიყრება, იმასაც დიდად მოვიკითხამთ, გადავახდეინებთ იცოდეთ“ (1772 წ.).

„რომელიც ამათი (ჯავახიშვილის ყმების) დებულება არის და არა სდებიათ, იმის გარდა თუ მეტი რამ მოინდომეთ, ჩვენგან მოსაკითხი იქნება, ამათ სამართლიანი საქმით მოექეცით, თორემ თუ კიდევ ამათ გიჩივლესთ, იცოდეთ რომ გიწყენთ“ (1774 წ.).

კითხვები

1. რა აიძულებდა მეფეს, ასეთი ბრძანებები გაეცა? 2. რას მოითხოვდა მეფე მებატონეებისაგან? 3. რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამ დოკუმენტიდან XVIII ს. მეორე ნახევარში ყმებისა და მათი ბატონების ურთიერთობის შესახებ?

1. 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი. XVIII საუკუნის 70-იანი წლების დამლევს და 80-იანი წლების დამდეგს ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო მდგომარეობა გაუარესდა. შირვანის ხანი, რომელიც ირანის ყაენობისაკენ მიისწრაფოდა, ჯერ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობას ცდილობდა. მისი წაქეზებით ქართლ-კახეთის სამეფოს განუდგნენ განჯისა და ერევნის სახანოები. ამავე დროს ქართლში რეაქციონერი თავადები შეთქმულებას ამზადებდნენ მეფის წინააღმდეგ. მართალია, ერეკლე II-მ ამჯერად შეძლო როგორც შინაური, ისე გარეშე მტრების წინააღმდეგობის დაძლევა, მაგრამ მარტო შინაგანი ძალებით საქართველო ირან-ოსმალეთის მხრივ დაპყრობის საფრთხეს ვერ აიცილებდა და დამოუკიდებლობას ვერ შეინარჩუნებდა.

ამავე დროს გამწვავდა წინააღმდეგობა რუსეთს, ირანსა და თურქეთს შორის ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისათვის. ამ ბრძოლაში უპირატესობა რუსეთის მხარეზე იყო. მისი საზღვრები XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის კავკასიონის ქედამდე აღწევდა. შემდგომი წარმატებისათვის რუსეთს ამიერკავკასიაში ფეხის მომაგრება სჭირდებოდა.

რუსეთის სახელმწიფო მოხელეები ერეკლე II-ს ურჩევდნენ, ეთხოვა იმპერატორის მფარველობა. ერეკლე სამი დიდი მეტოქიდან ერთ-ერთის მხარეზე უნდა დამდგარიყო. საქართველოს დაუძინებელ ისტორიულ მტრებთან ირანთან და ოსმალეთთან კავშირი ქვეყანას განადგურებას და გადაგვარებას მოუტანდა. ერეკლემ სწორად შეაფასა არსებული მდგომარეობა და რუსეთს მფარველობა სთხოვა. მოლაპარაკება რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლებს შორის წარმატებით დაგვირგვინდა და 1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის რუსულ ციხესიმაგრე — გ ე ო რ გ ი ე ვ ს კ შ ი დაიდო **ხელშეკრულება** (ტ რ ა ქ ტ ა ტ ი) რუსეთსა და საქართველოს შორის.

ამ ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შედიოდა (იხ. დოკ. 1.).

სამეფოს სათავეში რჩებოდა მეფე ერეკლე და მისი შთამომავლობა. ქართლ-კახეთის მეფეს ამტკიცებდა რუსეთის იმპერატორი, რომელიც უგზავნიდა მას სამეფო ნიშნებს. ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის მეფეს იმპერატორის ნებართვის გარეშე არ ჰქონდა უფლება ურთიერთობა დაემყარებინა სხვა სახელმწიფოებთან. ქართლ-კახეთის მეფე ვალდებული იყო საჭიროების დროს დახმარებოდა რუსეთს. ქვეყნის საშინაო მართვა-გამგებლობაში საქართველოს მეფე სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა და



გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიცირებული ტექსტი ერეკლე II ხელმოწერით.

რუსეთი საქართველოს საშინაო საქმეებში არ ერეოდა.

ქართლ-კახეთის მშვიდობიანობის დასაცავად რუსეთს საქართველოში მუდმივად უნდა ჰყოლოდა 2 ბატალიონი ჯარი 4 ზარბაზნით. ომის შემთხვევაში კი რუსეთი კისრულობდა საჭირო სამხედრო დახმარებას. იმპერატორი აღთქმას დებდა აგრეთვე, რომ იზრუნებდა, რათა საქართველოს დაბრუნებოდა მტერთაგან მიტაცებული მიწები.

ამრიგად, 1783 წლის ტრაქტატით თითქმის ხორციელდებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს პროგრესულ მოღვაწეთა დიდი ხნის სურვილი: ძლიერი, ერთმორწმუნე რუსეთი აგრესორთა გარემოცვაში მყოფი საქართველოს მფარველი და მოკავშირე გამოდიოდა.

2. საგარეო ურთიერთობა და საშინაო მდგომარეობა ტრაქტატის შემდეგ. 1783 წლის ტრაქტატმა და რუსთა ჯარის საქართველოში შემოსვლამ აგრესიულ სახელმწიფოთა აღშფოთება გამოიწვია. ოსმალეთმა, რომლის ზურგს უკან საფრანგეთი და ინგლისი იდგა, ერეკლე II-ის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხანები და დაღესტნელი ფეოდალები აამხედრა. საქართველოზე თავდასხმის გაძლიერებით ოსმალეთი ცდილობდა, დაემცირებინა რუსეთის პრესტიჟი, აეძულებინა ქართლ-კახეთი კავშირი გაეწყვიტა რუსეთთან და თვითონ გაბატონებულიყო საქართველოში.

1785 წელს ხუნძახის ბატონი ო მ ა რ - ხ ა ნ ი 20 000-იანი ლაშქრით საქართველოს შემოესია. ერეკლე II-მ ვერ შეძლო საჭირო რაოდენობის ჯარის შეკრება, რადგან ამ დროს ახალციხის მხრი-

გეორგიევსკის ტრაქტატის დადებასთან დაკავშირებით 1783 წ. ჭოჭრილი მედალიონი.

დან მოსალოდნელი იყო ლეკ-ოსმალთა შემოსევაც. რუსთა 2 ბატალიონით და ქართველთა მცირერიცხოვანი ჯარით ომარ-ხანთან პირისპირ შებმა შეუძლებელი იყო. ომარ-ხანმა გადალახა ალაზანი და იორი, შემდეგ, მტკვარი, ისე რომ წინააღმდეგობა თითქმის არ შეხვედრია, აჰყვა დებედას ხეობას, აიორო ბორჩალოს ციხე, გაძარცვა და გაანადგურა ახტალის მადნები, ააოხრა ლორე და ახალციხეში გადავიდა. აქედან იგი იმერეთს შეესია, მრავალი სოფელი ააოხრა, გაძარცვა და ტყვეებითა და ნადავლით დატვირთული დაბრუნდა ახალციხეში. რამდენიმე თვის განმავლობაში ომარ-ხანი თავისუფლად დათარეშობდა და მხოლოდ მას შემდეგ გაეცალა საქართველოს, როცა ერეკლე მეორე იძულებული გახდა, მისთვის ყოველწლიური „ჯამაგირი" — 5 000 მანეთი დაენიშნა და გარდა ამისა 10 000 მანეთი მიეცა ლეკთა ბელადებისათვის დასარიგებლად.

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოს მძიმე დღეები დაუდგა. მოსახლეობა გადასახადებს ვერ აუდიოდა, იხიზნებოდა. მეურნეობა მოიშალა, შემცირდა და იკლო სახელმწიფო შემოსავალმა.

გართულდა საქართველოს საგარეო მდგომარეობაც. ამ დროს (1787-1791 წწ) ომი მიმდინარეობდა რუსეთსა და თურქეთს შორის. რუსეთს ომი ჰქონდა აგრეთვე შვედებთან, მღელვარება დაიწყო პოლონეთშიც. ამავე დროს მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილი იყო 1789 წ. საფრანგეთში დაწყებული ბურჟუაზიული რევოლუციისაკენ. ირანში შინაარეულობა დასასრულს უახლოვდებოდა. ასეთ პირობებში რუსეთს არ შეეძლო, რეალური დახმარება გაეწია საქართველოსთვის. მისი ინტერესი საქართველოსადმი შესუსტდა.

ამ დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში ქართლ-კახეთის სამეფოში კვლავ მწვავედ დაისვა საგარეო მოკავშირის ძიების საკითხი. ერეკლე II და სხვა პროგრესული მოღვაწეები ისევ რუსეთთან კავშირის განმტკიცების გზას ადგნენ. საქართველოს პროგრესულმა მოღვაწეებმა ამ დროს სცადეს იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანება. ეს განზრახვა ვერ განხორციელდა, მაგრამ 1790 წელს ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოებს და სამეგრელო-გურიის სამთავროებს შორის დაიდო სამხედრო კავშირი, რომლითაც ისინი საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიან მოქმედებას კისრულობდნენ (იხ. დოკ. 2).

ალა-მაჰმად-ხანი.

8. კრწანისის ბრძოლა. ამასობაში ირანში დამთავრდა მრავალწლიანი შინაფეოდალური ომი. გამარჯვება ყაჯართა საგვარეულოს წარმომადგენელს, მრისხანე და შეუბრალებელ ალა-მაჰმად-ხანს დარჩა.

1795 წელს აღა-მაჰმად-ხანი 35-ათასიანი ლაშქრით საქართველოს დედაქალაქისაკენ გამოემართა. ერეკლე II-მ მტერს მხოლოდ 5 000 მეომარი დაუპირისპირა. რეაქციონერი თავადები მეფეს ხელს უშლიდნენ ქვეყნის თავდაცვის მოწყობაში. ჯარის სიმცირის მიუხედავად, ერეკლე II-მ გადაწყვიტა მტრისათვის გადამწყვეტი ბრძოლა თბილისთან, კრწანისის ველზე გაემართა. 10 სექტემბერს ქართველებმა ენერგიული შეტევით მტრის მეწინავე რაზმები გაანადგურეს. აღა-მაჰმად-ხანი ფრთხილობდა: მრავალ ომში გამოცდილი მხედართმთავრის ერეკლე მეორის წინააღმდეგ ბრძოლა არც ისე ადვილი ჩანდა და თავისი საქმის წარმატება ეეჭვებოდა. მაგრამ ამ დროს მოღალატეებმა მას აცნობეს ქართველთა ჯარის სიმცირე. ამით გამხნევებული მტერი მეორე დღეს, 11 სექტემბერს, დილით შეტევაზე გადავიდა.

ობელისკი თბილისში 300 არაგველისა და კრწანისის ბრძოლის გმირთა უკვდავსაყოფად.

სამშობლოს დამცველები თავდადებით და უმაგალითო გმირობით ეკვეთნენ მტერს. ქართველებისაგან შევიწროვებულ აღა-მაჰმად-ხანს განუცხადებია: „რამდენი ბრძოლა გადამიხდია, მაგრამ არასოდეს არ მახსოვს, რომ მტერს ასე ვაჟკაცურად ებრძოლოსო". 75 წლის მოხუცი მეფე ერეკლე მხნედ, ხმალდახმალ იბრძოდა. ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა სამასი არაგველი. კრწანისის ბრძოლაში დიდი გმირობა გამოიჩინეს დავით და იოანე ბატონიშვილებმა. მრავალრიცხოვანი მტრით გარშემორტყმულმა გიორგი გურამიშვილმა მებრძოლებს ასე მიმართა: „ქართველებო, ძმებო! ცხადად ვხედავთ, აუცილებელი სიკვდილი მოსულა ჩვენზე, მაგრამ ესეც შეგვიძლია — უნამუსოდ დავნებდეთ ყიზილბაშებს. აბა, რომელი გინდათ — სახელით სიკვდილი მამულისათვის, თუ უნამუსოდ სიცოცხლე?" ყველამ ერთხმად უპასუხა: „ჩვენს მამა-პაპას უნამუსობა არ უქნიათ და ჩვენც იმათი შვილები ვართ; სიკვდილი გვირჩევნია უნამუსო სიცოცხლესო". სამშობლოს ღირსეული შვილი გმირი გიორგი ზარბაზნებ-



ქართული ზარბაზნები (XVIII ს.).

ქართველების ცეცხლ-სასროლი იარაღი (დამბაჩები, თოფები, საპირისწამლეები).

თან დაეცა განგმირული... მტრის სიჭარბემ თავისი გაიტანა და საბოლოოდ ქართველები დამარცხდნენ.

კრწანისის გამარჯვების შემდეგ აღა-მაჰმად-ხანი თბილისში შეიჭრა, გაძარცვა და დაანგრია მეფის სასახლე, თოფ-ზარბაზნის ქარხანა, იარაღის საწარმო, სტამბა, აბანოები, გადაწვა ეკლესიები, სახლები და სხვა ნაგებობანი; უმოწყალოდ და შეუბრალებლად ამოჟლიტეს მცხოვრებლები. ჩვილ ბავშვებს დედებს ხელიდან გლეჯდნენ, ცალ ფეხზე ხელს წაავლებდნენ და ხმლის ერთი დაკვრით შუაზე ჩეხდნენ. ერეკლეს მსახურები ერთად შეაგროვეს, ხელები შეუკრეს და მტკვარში გადაყარეს. თბილისიდან ირანის მბრძანებელმა მარბიელი რაზმები ქართლს შეუსია. გაძარცვეს და დაანგრიეს ახტალის ვერცხლისა და სპილენძის ქარხნები, რომლებიც ერეკლემ ომარ-ხანის ლაშქრობის შემდეგ აღადგინა. კაცთმოძულე მტარვალი 9 დღე დარჩა საქართველოში.

ომარ-ხანთან და აღა-მაჰმად-ხანთან დამარცხებამ გამოააშკარავა, რომ საქართველოს მძიმე სოციალურ-ეკონომკური და პოლიტიკური კრიზისიდან საკუთარი ძალებით თავის დაღწევა არ შეეძლო. კრწანისის ბრძოლის შემდეგ ისევ გაძლიერდა დაღესტნელ ფეოდალთა თარეში, გლეხთა აყრა-გაქცევა და რეაქციონერი თავადების თავაშვებული პარპაში. ასეთ პირობებში იყო აღმოსავლეთ საქართველო, როცა 1798 წელს 11 იანვარს, 78 წლის, ერეკლე II გარდაიცვალა.

4. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება. ერეკლე II-ის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ავიდა მისი შვილი გ ი ო რ გ ი XII. მის მეფობაში გამწვავდა ურთიერთობა სამეფო ოჯახის წევრთა შორის. ბატონიშვილებთან ჩამოყალიბდა ცალკეულ ფეოდალთა დაჯგუფებები. ეს პოლიტიკური დაჯგუფებები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ საგარეო ორიენტაციის საკითხში. ერთნი ერეკლეს პოლიტიკის მომხრენი იყვნენ და რუსეთთან კავშირის შენარჩუნებას უჭერდნენ მხარს, მეორენი ყოველგვარი უბედურების წყაროდ 1783 წლის ტრაქტატს მიიჩნევდნენ და რუსეთთან კავშირის გაწყვეტას მოითხოვდნენ. ამ დროს ირანის შაჰმა გიორგი XII-ს მოსთხოვა, ეცნო მისი უზენაესობა, კავშირი გაეწყვიტა რუსეთთან და მისი ქვეშევრდომობა მიეღო; უარის შემთხვევაში შაჰი ომით და ქვეყნის განადგურებით იმუქრებოდა.

ქართლ-კახეთის სამეფო კარი მძიმე არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: ან უნდა გაეწყვიტა რუსეთთან კავშირი და ირანის მორჩილება ეღიარებინა, რასაც ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარება მოჰყვებოდა ან რუსეთთან კავშირი განემტკიცებინა.

გიორგი XII.

გიორგი XII და მისი მომხრეები გამოსავალს ისევ რუსეთის დახმარებაში ხედავდნენ. 1799 წელს განაახლეს 1783 წლის ტრაქტატი. რუსის ჯარის ერთი ლეგიონი ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ ეს საქართველოს გართულებულ მდგომარეობას ვერ შველოდა. ირანის ჯარები საქართველოსაკენ მოიწევდნენ. გიორგი XII-ის პოლიტიკური მოწინააღმდეგენი გააქტიურდნენ. გიორგი იძულებული იყო, რუსეთისათვის ეთხოვა: საქართველო შენს მფლობელობაში მიიღეო. იგი რუსეთს ანდობდა როგორც საგარეო, ისე საშინაო საქმეების გამგებლობას მეფობის შენარჩუნების პირობით. რუსეთის მთავრობას კი ამ დროს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთის გუბერნიად გამოცხადება. ამისთვის მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს უცდიდა. ეს მომენტიც დადგა. 1800 წლის 28 დეკემბერს სნეული მეფე გარდაიცვალა, ხოლო 1801 წლის 18 იანვარს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა გამოსცა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შესახებ, რომელიც საბოლოოდ იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით გაფორმდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხი ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის უღელქვეშ მოექცა, მაინც დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა: **დროთა განმავლობაში გამუდმებული ომები და თავდასხმები შეწყდა, თანდათან მოისპო ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა და საქართველოს ისტორიული მიწა-**

რუსეთის ჯარის შემოსვლა თბილისში 1799 წ. მხატვარი რუბო.

წყალი გაერთიანდა; უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს საზღვრების უშიშროება; ქართველი ხალხი შეუერთდა რუსი და რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვა ხალხების ერთობლივ ბრძოლას თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ; ყოველივე ამან შექმნა ხელსაყრელი პირობები ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრებისა და კულტურის წინსვლისათვის.

კითხვები და დავალებები

1. რა გარემოებაში მოხდა 1783 წლის ტრაქტატის დადება? 2. რა ძირითად პირობებს ითვალისწინებდა 1783 წ. ტრაქტატი და რა მნიშვნელობა ჰქონდა მას ქართლ-კახეთის სამეფოსათვის? 3. დაახასიათეთ ტრაქტატის შემდეგ საქართველოში შექმნილი საშინაო და საგარეო ვითარება. 4. გვიამბეთ კრწანისის ბრძოლის და მისი შედეგების შესახებ. 5. როგორ მოხდა აღმოსავლეთ საქართველოს შეერთება რუსეთთან? 6. რა პროგრესული შედეგი ჰქონდა ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებას?

დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

1. ნაწყვეტი რუსეთის სახელმწიფოსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის 1783 წელს დადებული მფარველობითი ტრაქტატიდან

მ უ ხ ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

„უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა სახელითა, მემკვიდრეთა და მენაცვლეთა თვისითა დღესასწაულობით (საზეიმოდ) უკუთქვამს (უარს ამბობს) ყოველსა ვალობასა (ვასალობაზე) და ყოვლისაგან (ყოველგვარ) მოკიდებულებისა (დამოკიდებულებისაგან) სპარსთა ანუ სხვათა მპყრობელთასა, და ამით ცხადჰყოფს (აცხადებს) წინაშე პირსა ყოვლისა სოფლისასა (მთელი ქვეყნის წინაშე) ვითარმედ არა შეჰრაცხს იგი თვისზედ და მენაცვლეთა თვისთა ზედა სხვასა თვითმპყრობელსა თვინიერ უზენაესისა ხელმწიფებისა და მფარველობისა მისისა იმპერატორობისა... აღმთქმელი ტახტისა მის ერთგულებისა და მზადყოფნისა შეწევნისათვის სარგებელსა სახელმწიფოისა (რუსეთისა) ყოველსა შინა შემთხვევასა და დროსა, სადაც ესე ითხოვებოდეს მისადმი“.

მ უ ხ ლ ი მ ე ო რ ე

„დიდებულება იმპერატორებისა მისისა მიმღებელი უგანათლებულესობისაგან მისისა ესოდენისა უზაკველისა (გულითადი) აღთქმისა, აღუთქვამს თანასწორადვე და იმედეულად ჰყოფს (აიმედებს) იმპერატორებითა სიტყვითა თვისითა... ვითარმედ მოწყალება და მფარველობა თავისი (ე.ი. რუსეთის იმპერატორისა) უგანათლებულესთა მეფეთა ქართლისათა და კახეთისათა არაოდეს მიეღების (მოაკლდება), რომელისაცა დასამტკიცებლად დიდებულება მისი აძლევს იმპერატორებისა თავსმდებობასა მისსა მრთლად და დაუკლებლად დაცვასა ზედა აწინდელთა სამყოფელოთა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისათა“...

კითხვები და დავალებები

1. რა ვალდებულებებს კისრულობდა ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერიის წინაშე 1783 წ. ტრაქტატით? 2. რას აღუთქვამდა იმპერატორი ქართლ-კახეთის სამეფოს? 3. მასწავლებლის დახმარებით გაეცანით ტრაქტატის სხვა მუხლებსაც. შეეცადეთ, მოკლედ გადმოსცეთ მათი ძირითადი შინაარსი და ახსნათ მათი მნიშვნელობა.

2. ნაწყვეტი 1790 წლის საქართველოს მეფე-მთავართა შორის დადებული ხელშეკრულებისა ერთობის შესახებ

„ტრაქტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, ქართლის, კახეთის, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილ სამეფოსა ქალაქსა ტფილისს 1790 წელსა.

ვინაიდგან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა, აქვსთ ერთმორწმუნება, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხელობითაცა სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის.

ამისათვის ჩვენ ზემოხსენებულად ქვეყანათა ივერიისა მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა, სახელით ყოვლად ძლიერისა ღვთისათა აღუსვთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა... მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა, ირაკლი მეორე... გარწმუნებთ ყოვლისა საიმერეთოს მეფესა... სოლომონს და მთავარსა ოდიშისა და სხვათა სამთავროთა დადიანს გრიგოლს და მთავარსა გურიისა სვიმეონს და ერთობით თავადთა, აზნაურთა და ერთა ქვემოისა ივერიისა ესრეთ. შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტრად ჩემდა და ყოვლისა ჩემისა, ვიყო მტერი მტრისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა“.

კითხვები

1. საქართველოს რა ნაწილები ერთიანდებოდა 1790 წლის ხელშეკრულებით? 2. რამ გამოიწვია ასეთი გაერთიანების საჭიროება? 3. რით ასაბუთებდნენ იმდროინდელი მოღვაწენი საქართველოს სამეფო-სამთავროთა ერთობას? 4. რა მნიშვნელობა ჰქონდა ასეთი გაერთიანების ცდას?

§ 92. ქართული კულტურა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

1. საზოგადოებრივი აზრის სიახლენი. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა. რუსეთის მეშვეობით ქართულ საზოგადოებაში ვრცელდებოდა ევროპის განმანათლებელთა იდეები. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს ეტყობოდა სიახლე და ევროპული, ბურჟუაზიული გარდაქმნების საჭიროების შეგნება.

იოანე ბატონიშვილი.

ამ დროს განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს სათავეში უნდა იდგეს განათლებული და გონიერი მეფე, რომელიც დამოკიდებული არ იქნებოდა წოდებებისაგან და იზრუნებდა სწავლა-განათლების, მეცნიერებისა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის.

იმ დროის პროგრესული იდეების გამომხატველია ალექსანდრე ამილახვარის ნაშრომი „ბრძენი აღმოსავლეთისა". ამ ნაშრომის მიხედვით მეფეს თავისი ხელისუფლება ხალხისაგან აქვს მიღებული და არა ღმერთისაგან, რომ ადამიანმა ადამიანი არ უნდა შეურაცხყოს, რომ ქვეყნის სიმდიდრე გლეხის შრომას ემყარება და ამიტომ გლეხს ცუდად არ უნდა ვეპყრობოდეთ და სხვ.

საზოგადოებრივი აზრის ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები პრაქტიკულ ნაბიჯებსაც დგამდნენ, რაც მკაფიოდ აისახა სახელმწიფო რეფორმების იმდროინდელ პროექტში. ამ მხრივ აღსანიშნავია იოანე ბატონიშვილის პროექტი. იგი მოითხოვდა ქვეყნის გაერთიანებას, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას და სწავლა-განთლების გაფართოებას. ახალ სკოლებში უნდა ესწავლათ არა მარტო თავადაზნაურთა, არამედ მოქალაქეთა და გლეხთა შვილებსაც. სკოლები და მასწავლებლები სახელმწიფო ხარჯზე უნდა ყოფილიყვნენ. იოანე მოითხოვდა საერისთავოების და სათავადოების გაუქმებას, ყველა თანამდებობის პირის, მათ შორის მეფისა და დედოფლის, სახელმწიფო ჯამაგირზე გადაყვანას და სხვ.

ერეკლე II-ის დროს შემუშავებული ამ იდეებიდან და გეგმებიდან ბევრი თავისთავად უტოპიური იყო, სხვები გარეშე მტრების გამანადგურებელ შემოსევათა შედეგად განუხორციელებელი დარჩა.

2. სკოლები. სტამბა. კულტურის აღორძინება, სხვა ღონისძიებებთან ერთად, გამოიხატა დაწყებითი და საშუალო სკოლების ქსელის გაფართოებასა და წიგნების ბეჭდვის საქმის გაუმჯობესებაში. 1755 წელს თბილისში, ანჩისხატის ტაძრის ეზოში, დაარსდა სემინარია. მისი პირველი რექტორი იყო ფილიპე უაითმაზაშვილი. 1758 წელს თელავშიც, ერეკლე II-ის სასახლესთან, დაარსდა სკოლა, რომელშიც სრულასაკოვანი პირებიც იღებდნენ სწავლა-განათლებას. ამ სკოლამ დიდხანს ვერ იარსება. მის საფუძველზე 1782 წელს გაიხსნა ახალი სემინარია, რომლის რექტორი იყო ჯერ გაიოზ არქიმანდრიტი და შემდეგ დავით ალექსი-მესხიშვილი. 1778 წელს თბილისში დაარსდა სპეციალური სკოლა რუსული ენის შემსწავლელთათვის.

სკოლების გახსნას თან ახლდა ზრუნვა მეცნიერების სხვადა-

სხვა დარგში სასკოლო სახელმძღვანელოების შესაქმნელად. იმდროინდელი სწავლულები, მაგალითად ა ნ ტ ო ნ I და სხვები, ან თვით წერდნენ ასეთ სახელმძღვანელოებს, ან თარგმნიდნენ, განსაკუთრებით რუსული ენიდან.

სწავლა-განათლებისა და სასკოლო საქმის განვითარება შეუძლებელი იყო სასწაკლო და სამეცნიერო ლიტერატურის გავრცელების გარეშე. ამას ხელს უშლიდა სტამბის უქონლობა. ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებული სტამბა „ოსმალობა"-„ყიზილბაშობის" დროს განადგურდა. ამის შემდეგ ქართული წიგნები მოსკოვსა და პეტერბურგში იბეჭდებოდა. 1749 წელს ერეკლე მეორისა და ანტონის თაოსნობით აღადგინეს თბილისის სტამბა, რომელიც 80-იან წლებში საფუძვლიანად განაახლეს. 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს სტამბა განადგურდა და მისი აღდგენა მოხერხდა მხოლოდ 1800 წელს. ამავე წელს სტამბა გაიხსნა ქუთაისშიც.

3. ისტორიული მწერლობა. XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოს ისტორია აღწერილი აქვთ იმდროინდელ ისტორიკოსებს პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ა და ო მ ა ნ ხ ე რ ხ ე უ ლ ი-ძ ე ს. პაპუნა ორბელიანის ნაშრომი „ა მ ბ ა ვ ნ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა-ნ ი" სეხნია ჩხეიძის ნაშრომის გაგრძელებაა. იგი XVIII საუკუნის 40-იანი წლების ამბებით იწყება და 1758 წლით მთავრდება. ავტორს ვრცლად აქვს აღწერილი საქართველოს ისტორია ამ 20 წლის მანძილზე. თვითონ იგი თავის მიერ აღწერილი მოვლენების მონაწილე იყო. ავტორს შეგნებული აქვს, რომ ისტორია ახალი თაობის პატრიოტული გრძნობით აღზრდის საქმეს უნდა ემსახურებოდეს. პაპუნა ერთიანი და ძლიერი ფეოდალური მონარქიის მომხრეა. ის გულისტკივილით აღნიშნავს საქართველოს წარსულ უბედურებას, იმ ბოროტებასა და ნგრევას, რაც ჩვენს ქვეყანას გარეშე მტრებმა მოუტანეს. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს აღორძინებისა და ძლიერების გზაზე მყოფ საქართველოს იგი დიდი იმედით შეჰყურებს. ავტორი მოუწოდებს მომავალ თაობას, კარგად გაარკვიოს, თუ რა იყო საქართველოს წინანდელი დაკნინება-დაქვეითების მიზეზები და ამის საფუძველზე ქვეყნის კეთილდღეობისა და სიმტკიცისათვის იზრუნოს. პ. ორბელიანის ნაშრომში, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის გარდა, საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ცნობებს ქვეყნის ეკონომიკური და სახელმწიფო წყობილების შესახებ.

ომან ხერხეულიძეს ეკუთვნის ნაშრომი „მ ე ფ ო ბ ა ი რ ა კ-ლ ი მ ე ო რ ი ს ა". მისი მიზანია უჩვენოს, თუ როგორ შეძლო ერეკლე II-მ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანება და მოკლედ გადმოსცეს შემდგომი ხანის მოვლენები. როგორც

დავით გურამიშვილის ძეგლი. მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი.

საისტორიო ნაწარმოები. იგი პაპუნა ორბელიანის თხზულებას ვერ შეედრება, მაგრამ, როგორც საისტორიო წყარო, მაინც მნიშვნელოვანია.

4. ლიტერატურა და ხელოვნება. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ძალიან განვითარდა მხატვრული ლიტერატურა. ამ დროის ლიტერატურულ ძეგლებში ასახულია ეპოქის პროგრესული იდეები. ამ პერიოდის ქართული მწერლობის შესანიშნავი წარმომადგენელია დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი (1705 — 1792 წწ.). მისი ლიტერატურული მოღვაწეობა რუსეთში ემიგრაციაში ყოფნის დროს გაიფურჩქნა. ჭაბუკი პოეტი ტყვედ ჩაუვარდა ლეკებს, დიდი გაჭირვებით გაიქცა ტყვეობიდან და მოსკოვს ჩავიდა. ცნობილ პოემაში „ქ ა რ თ ლ ი ს ჭ ი რ ი“ დავით გურამიშვილმა მხატვრულად და ისტორიული სიზუსტით აღწერა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს სურათი: ვახტანგ VI-ის მეფობა, მისი ურთიერთობა პეტრე I-თან, შინაფეოდალური შფოთი და ქიშპობა ქართლ-კახეთში და სხვ.

დავითი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სწავლა-განათლებას. შესაძლოა, ადამიანმა ყველაფერი დაკარგოს, მაგრამ ცოდნა კი მუდამ მასთანაა ჭირშიც და ლხინშიც:

„სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი;
სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი,
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“.

XVIII საუკუნის II ნახევრის გამოჩენილი პოეტი ბ ე ს ა რ ი ო ნ გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი — ბესიკი (1750 — 1791 წწ.) ღრმად განათლებული პიროვნება იყო, კარგად იცნობდა ძველ ბერძნულ ფილოსოფიასა და მწერლობას, საქართველოს ისტორიასა და კულტურას. მოღვაწეობდა პოლიტიკურ ასპარეზზე: იყო იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ელჩი რუსეთის მეფის კარზე.

ბესიკი. მხატვარი უჩა ჯაფარიძე.

ბესიკის მხატვრული შემოქმედება მრავალფეროვანია როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც. ყველაზე დიდი ადგილი მის პოეზიაში სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებს უჭირავს. პოეტის შემოქმედება სავსეა სევდისა და პესიმიზმის მოტივებით, რაც მისი დროის საქართველოს მძიმე მდგომარეობით იყო გამოწვეული. პოეტის პატრიოტიზმი განსაკუთრებით ჩანს ისტორიულ პოემაში „ასპინძისათვის“ და „რუხის ბრძოლა“, სადაც იგი სიამაყის გრძნობით აღწერს ქართველი ხალხის თავდადებას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ქალაქის ხელოსნური ფენების აზრებისა და სურვილების გა-

თბილისში ყოველწლიურად ტარდება „საიათნოვას დღე".

მომხატველი იყო საიათნოვას პოეზია. ერთა ძმობის დიდი მეხოტბე საიათნოვა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე ერთნაირი სიძლიერის ლექსებს წერდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში დაარსდა ქართული პროფესიული თეატრი, რასაც ხელი შეუწყო რუსეთთან კავშირის განმტკიცებამ. რუსეთის ქალაქებში სწავლა-განათლების მისაღებად ერეკლე II-ის მიერ გაგზავნილი ახალგაზრდები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ადგილობრივ ძალებთან ერთად ქმნიდნენ დასს და აწყობდნენ წარმოდგენებს. თეატრთან ერთად აღორძინდა ქართული დრამატურგიაც. გიორგი ავალიშვილმა რუსულიდან თარგმნა რამდენიმე კომედია, წერდნენ ორიგინალურ პიესებსაც.

განახლებული ქართული თეატრი და მისი დასი განადგურდა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან აღორძინებული ქართული კულტურა სავსებით შეესატყვისებოდა ფეოდალური საზოგადოების იმდროინდელ ახალ პერიოდს და წინა ხანის ადგილობრივი ტრადიციების გაგრძელება-განვითარებასაც წარმოადგენდა.

კითხვები და დავალება

1. რა სიახლენი შეიმჩნეოდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საზოგადოებრივ აზროვნებაში? 2. როგორი იყო განათლებისა და წიგნის ბეჭდვის საქმე XVIII საუკუნის II ნახევარში? 3. დაახასიათეთ ამ პერიოდის მხატვრული და საისტორიო მწერლობა.

დოკუმენტები

1. ნაწყვეტები იოანე გიორგის ძე ბაგრატიონის მიერ 1799 წ. შედგენილი პროექტიდან ქართლ-კახეთის სამეფოში კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა გატარების შესახებ

„სკოლებისა და სასწავლებელთათვის. სამს ადგილს გაიმართოს სკოლა: ტფილისს, გორსა და თელავს შინა. მიეჩინოთ მუნ მცოდნენი კაცნი, რათა ასწავლიდნენ სამეცნიეროსა სწავლასა და სამხედროსაცა, აგრეთვე ენები... ამა სასწავლებლებში მიებარებოდნენ თავადაზნაურნი და პირველნი მოქალაქის შვილები, აგრეთვე იყოს ამაზედ მდაბალი სასწავლებლები, დუქნები ანუ სახლები; ამას შინა ისწავლიდნენ მსახურნი კაცის შვილნი და ვაჭართ შვილები, აგრეთვე გლეხებისაც, ვის როგორ შეეძლოსთ. სასწავლებელსა მას შინა ჰსწავლობდნენ ქართულსა, სომხურსა, თათრულსა, რუსულსა და თუ შეიძლება ბერძნული და ლათინურიც. უკეთესი იქნების ოსტატები ანუ მასწავლებლები იყვნენ მეფის ხარჯითა (ჯამაგირით), ხოლო მოწაფენი თავათ მშობელთ ხარჯითა. ეს სახედვე სასულიერო სასწავლებლები იყოს განწესებით და ამის მეურნეობა აქვნდეს კათალიკოსს და სულიერს მთავარსა“.

„ბიბლიატეკისათვის... აგრეთვე იყოს ბიბლიატეკის სახლი. ყოველი საერო და საეკლესიო წიგნები, რაც შეიძლებოდეს იქ იცვლებოდეს. აგრეთვე სახეები, მაგალითნი, მხატვრობაებისა, შენებულებათა და სხვათა ხელოვნებათა და ვისაც ენებოს მივიდოდნენ და თავისის ხარჯით იქ გარდაიწერდნენ და გარდაიდებდნენ სახეთა, რომ გარე გატანით წიგნი არ დაიკარგოს“.

„სამეფო აფთიაქისათვის და სასნეულოთა. აგრეთვე შეიძლება სამეფო აფთიაქიც ამ სახედ გაკეთდეს და ყოველი წამალი იმოებოდეს გასაყიდლად. აგრეთვე იყოს სასნეულო სახლი გაკეთებული და შეუძლებელი (ავადმყოფი) ვინცა იყოს მიიყვანდნენ და მოუვლიდნენ... ეს სახედვე სამშობიაროები იყოს“...

კითხვები

1. რა ტიპის სკოლების გახსნას ითვალისწინებდა აღნიშნული პროექტი? 2. რაში მდგომარეობდა განათლების წოდებრივი ხასიათი ამ პროექტის მიხედვით? 3. რა ღონისძიებას სახავდა პროექტი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის დონის ამაღლების მიზნით?

2. ნაწყვეტები ქ. ქუთაისის სტამბაში 1800 წ. დაბეჭდილი წიგნის თავფურცლიდან და ბოლოსიტყვაობიდან

„დროსა ყოველად უბრწყინვალესისა... და უმაღლესისა სოლომონ მეორისა, მეფისა ყოელისა საიმერეთოისასა და კეთილმორწმუნისა დედოფალთ-დედუფლისა მარიამ დადიანის ასულისასა... დაიბეჭდა ღვთით

სულიერი წიგნი ესე... სამეფოსა ქალაქსა ქუთაისს, პალატსა სამეფოსა, წელსა... ქრისტეს აქეთ 1800, ნოემბერსა, რიცხვსა 7".

„მებრძანა მათის უმაღლესობის... ჩვენი ხელმწიფის მეორის მეფის არჩილის ძის სოლომონისაგან მე, მისსა მონასა პაიჭაძე გიორგი მესტამბეს... სტამბის გამართვა და გაკეთება და მე მორჩილ ვიქმენ... და წარველ რუსეთად მოსკოვს და რომელნიცა სახმარნი სტამბას ესაჭიროებოდა, ყოველივე სრულიად უნაკლოდ მოვიტანე, საფასითა მისის უმაღლესობისათა და გავაკეთე ქუთაისს ვითა ჯერ იყო, რომელიც არაოდეს ყოფილიყო იმერეთში... (ამ პირველ წიგნს ბევრი ნაკლი აქვს). მაგრამ მიზეზებიცა მქონდა: პირველი, ესე რომ ზამთარი და ყინული იყო და იმქამად დაბეჭდვა და მუშაკობა არ იქმნებოდა, მაგრამ რადგან... იმერთა ერთა ხილვა ჰსურდათ სტამბისა, ამათმა სიყვარულმა აღარ დამაყენა. მეორედ, ვინც მუშაკნი მყვანდნენ, ყოველნივე გამოუცდელნი იყუნენ და მესამედ,... მე თანამემწენი არავინ მყუანდა".

კითხვა და დავალება

1. რა მასალას გვაწვდის მოტანილი ნაწყვეტი ქუთაისში სტამბის დაარსების შესახებ? 2. ამოკრიბეთ ეს მასალები და შეადგინეთ ქუთაისის სტამბის მოკლე ისტორია.



IX თ ა ვ ი

ბრძოლა კოლონიური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ XIX საუკუნის პირველ ნახევარში

§ 88. აღმოსავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ მესამედში

1. ახალი მმართველობის შემოღება აღმოსავლეთ საქართველოში. ქათლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან მისი შეერთების შემდეგ აქ ახალი მართვა-გამგეობა შემოიღეს. აღმოსავლეთ საქართველოს უზენაესი მთავრობის სათავეში დააყენეს მთავარსარდალი, რომლის ხელშიც გაერთიანდა მთელი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება. ქვეყნის უშუალო გამგებლობა მინდობილი ჰქონდა საქართველოს მმართველს, რომელიც მთავარსარდლის, ანუ მთავარმართებლის პირველი თანაშემწე იყო სამოქალაქო დარგში. უზენაესი მთავრობის სამმართველოების (ექსპედიციების) უფროსებად რუსი მოხელეები იყვნენ, წევრებად კი რუსი მოხელეები და ქართველი თავადები.

ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფო დაიყო მაზრებად. მაზრების სათავეში რუსი ოფიცრები ინიშნებოდნენ, რომლებსაც „კაპიტან-ისპრავნიკები“ ეწოდებოდათ.

ყოველგვარი საქმე სასამართლოებსა და მმართველობის ყველა ორგანოში რუსულ ენაზე წარმოებდა. ქართული ენა, კულტურა და ზნე-ჩვეულებები იდევნებოდა. ახალი მმართველობა ცარიზმის რეგულარული ჯარების ძალას ემყარებოდა და სამხედრო-პოლიციურ ხასიათს ატარებდა.

რუსეთის მემამულურ-ბატონყმური სახელმწიფო მშრომელი მასების სასტიკ ექსპლოატაციას ემყარებოდა. ამიტომ ცარიზმი საქართველოშიც ბატონყმობას იცავდა და განამტკიცებდა. ახალი რეჟიმის სიმძიმე ყველაზე მეტად ქართველ გლეხობას აწვებოდა. ის ორმაგი ჩაგვრის ქვეშ მოექცა: წინანდელ ბატონყმურ ექსპლო-

ატაციას. რაც ახლა უფრო მძიმე გახდა, დაემატა ეროვნული ჩაგვრა.

იმ ომების სიმძიმეც, რომელთაც მეფის რუსეთი ათეული წლების განმავლობაში აწარმოებდა კავკასიაში გაბატონებისათვის, უმთავრესად გლეხობას დააწვა. გლეხობა ვალდებული იყო, გაეღო ჯარისათვის საჭირო სურსათი, ეტვირთა ჯარის გადაყვანა და საჭურვლის გადაზიდვა. შეესრულებინა საგზაო ბეგარა და სხვ. ორმაგი ექსპლოატაციის უღელში შებმული გლეხობა ვერ ურიგდებოდა თავის მდგომარეობას, რითაც და როგორც შეეძლო, იბრძოდა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

2. აჯანყება ქართლის მთიანეთში 1804 წელს. თვითმპყრობელური მეფის რუსეთის მმართველობის შემოღების პირველ წლებში ახალი რეჟიმის სიმძიმე განსაკუთრებით ქართლის მთიანეთის გლეხობას დააწვა. მთავრობის მოხელეები გლეხებს აიძულებდნენ, ზამთრის საშინელ სიცივეში ხარ-ურმით გამოსულიყვნენ საქართ-

ხევსურეთის სოფელი შატილი.

ცარიზმის მოხელეები საქართველოში (ი. ჩელიშევის ნახატები).

ფარნაოზ ბატონიშვილი.

ველოს სამხედრო გზის სამუშაოზე. ამ სამუშაოს გლეხები უფასოდ ასრულებდნენ. მეფის მოხელეები გლეხებს უწყალოდ სცემდნენ. მარტო მთიულეთში ცემით 23 კაცი მოკლეს. ერთხელ მთავრობის უსულგულო მოხელეებმა ქალები მარხილში შეაბეს და მათრახით წინ გაირეკეს. მოთმინებიდან გამოსულმა გლეხობამ იარაღს მოჰკიდა ხელი. აჯანყება დაიწყო მთიულეთში 1804 წლის მაისში და მალე მთელ მთიანეთში გავრცელდა. აჯანყებულებს შეუერთდნენ ოსები, მოხევეები, ხევსურები, ფშავლები და თუშები. აჯანყებულთა საერთო რიცხვი 4 000 კაცს აღწევდა. ივლისში აჯანყებულებმა აიღეს ხევის (ყაზბეგის რაიონი) მნიშვნელოვანი პუნქტი სოფელი სტეფანწმინდა, დარიალის ხეობის ჩამკეტი საგუშაგო ლარსი, ასევე ლომისი, რომელიც არაგვის ხეობიდან ქსნის ხეობაში მიმავალ გზას კეტავდა. ამით კავშირი გაწყდა პეტერბურგსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის. აჯანყების წინამძღოლთა შორის გამოირჩეოდნენ ლ. ნაზღაიძე, შ. ბურდული, ტ. ჩქარეული, ნ. ამინიძე, ნ. ბედოიძე და სხვები.

ქართველმა ბატონიშვილებმა გადაწყვიტეს, გლეხთა აჯანყება დაკარგული დამოუკიდებლობისა და თავიანთი ბატონობის აღსადგენად გამოეყენებინათ. ამიტომ იყო, რომ აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ფარნაოზ ბატონიშვილი.

აჯანყებული გლეხობა ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგაც იბრძოდა: ასე მაგალითად, ქსნის ხეობაში აჯანყებულებმა დაარბიეს ერისთავების სახლ-კარი, რამდენიმე თავადი შეიპყრეს და სცემეს.

იმპერატორის ბრძანებით აჯანყებულთა წინააღმდეგ ზარბაზნებით შეიარაღებული დიდძალი ჯარი გაგზავნეს. ოქტომბრის მეორე ნახევრისათვის მთავრობის ჯარებმა აჯანყება დიდი სისასტიკით ჩააქრეს, მრავალი სოფელი გაანადგურეს და გადაწვეს.

აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მას უშედეგოდ არ ჩაუვლია: მთავრობა იძულებული შეიქნა, საგზაო და სატრანსპორტო ბეგარისათვის განსაზღვრული ქირა დაეწესებინა და მიეღო ზომები მოხელეთა თვითნებობის აღსაკვეთად.

ბ. აჯანყება კახეთში (1812-1813 წწ.). კავკასიაში ცარიზმის პოზიციების განმტკიცებას ვერ ითმენდა ირანი და თურქეთი, რომლებმაც ომი გამოუცხადეს რუსეთს. ეს ომები 1804 წლიდან 1813 წლამდე გაგრძელდა.

ამ ომების დროს საქართველოში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. 1810-1811 წლების მოუსავლიანობამ, შიმშილმა, უზომოდ მკაცრმა ზამთარმა და შემდეგ წყალდიდობამ მოსავლის დიდი ნაწილი მოსპო და გაანადგურა. ხალხი ბალახეულით იკვე-

ბებოდა. დამშეულ მოსახლეობას ფრონტზე გაჩენილი შავი ჭირი დაერია. ერთი წლის განმავლობაში შიმშილისა და შავი ჭირისაგან იმერეთში 32 ათასი კაცი დაიღუპა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 6 თვის განმავლობაში — 4 ათასზე მეტი კაცი.

ასეთი საყოველთაო უბედურების დროს მთავრობის მოხელეები სოფლებს სამხედრო რაზმებს უსევდნენ და ძალით ართმევდნენ გლეხებს უკანასკნელ ლუკმას, უანგარიშოდ და უზომოდ ხოცავდნენ გლეხების საქონელს და ფრინველს. გლეხობა იტანჯებოდა სატრანსპორტო ბეგარისგანაც. აი, რას წერდნენ თვით აჯანყებული კახელი გლეხები: „ორი დღით რომ წაგვიყვანდნენ ბეგარაზე, სამ თვეს გვტოვებდნენ. ნებას არ გვაძლევდნენ, საქონელი ურმებიდან გამოგვეშვა საბალახოდ ან ჩვენ წავსულიყავით ხოლმე საჭმლის საშოვნელად, ვიხოცებოდით შიმშილით და, როცა ვითხოვდით — ან პური გვაჭამეთ, ან გაგვიშვით სოფლად საგზლის საშოვნელად-თქო, მიწაზე მიგვითითებდნენ ხოლმე — ჭამეთო... დიდძალი ხარ-კამეჩი იხოცებოდა ბეგარაზე, საქონლის მაგიერ ჩვენ გვაბამდნენ და მათრახის ცემით მიგვერეკებოდნენ“.

საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარისათვის საჭირო პურის ნაწილი სახელმწიფო გადასახადის — „სურსათის“ სახით იკრიბებოდა, ნაწილს კი გლეხებისაგან ყიდულობდნენ. მთავრობა კოდ პურში 1 მან. და 20 კაპ. იძლეოდა, მაშინ როცა ბაზარზე 4 — 5 მანეთი ღირდა. 1811 წლის მოუსავლიანობის გამო ხალხი თვეობით შიმშილობდა. ამის მიუხედავად, მთავრობის მოხელეები პურს იძულებითი წესით — სამხედრო რაზმების მეშვეობით აგროვებდნენ. რაზმები არბევდნენ გლეხთა ოჯახებს, იტაცებდნენ ქონებას, მაგრამ ყველაზე უფრო მძიმე და აუტანელი გლეხის ოჯახის შეურაცხყოფა იყო. მოთმინებიდან გამოსული ხალხი აჯანყდა.

1812 წლის 31 იანვარს, როცა თელავის მაზრის სოფ. ახმეტაში პურის ასაკრეფად მთავრობის სამხედრო რაზმი გამოცხადდა, ხალხმა ზარების რეკვით განგაში ატეხა და რაზმი გარეკა. აჯანყება ელვის სისწრაფით მოედო თელავისა და სიღნაღის მაზრებს. აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს მთიულებმა, ფშავლებმა, ხევსურებმა და ოსებმა. თებერვლის დასაწყისში აჯანყებულებმა აიღეს თ ე ლ ა ვ ი, ს ი ღ ნ ა ღ ი, ბ ო დ ბ ი ს ხ ე ვ ი, ა ნ ა გ ა, დ უ შ ე თ ი, ფ ა ს ა ნ ა უ რ ი და სხვა მრავალი სოფელი. აჯანყებულებმა ჩაკეტეს საქართველოს სამხედრო გზა, შეწყდა კავშირი ჩრდილო კავკასიასთან.

აჯანყება სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. მთავრობის ჯარის ნაწილები ყველგან მარცხდებოდნენ.

მთავრობამ სასწრაფოდ გაგზავნა დიდძალი ჯარი აჯანყებული კახეთის წინააღმდეგ. ჯარს სათავეში მთავარსარდალი გენერალი

პ ა ულ ი ჩ ი ჩაუდგა. მან აჯანყებული რაზმების მეთაურებს წინასწარ შიკრიკები გაუგზავნა და წერილებით დაემუქრა: ვინც იარაღს დაყრის, შევიწყალებ, ვინც წინააღმდეგობას გაბედავს, გავანადგურებო. აჯანყებულთა ერთ-ერთი რაზმის მეთაურმა კ ა ც ო ო ხ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა გლეხების სახელით გენერლის შიკრიკს განუცხადა: „ჩვენ ვეძებდით რუსეთის მეფის მფარველობას. ღმერთმა კიდევაც მოგვცა იგი, მაგრამ მის მსახურთა უსამართლობამ და სისასტიკემ სასოწარკვეთილებამდე მიგვიყვანა... ღმერთია მოწამე, ჩვენ რუსების ღალატი არასოდეს აზრადაც არ მოგვსვლია, აქამდე ძალით მიგვიყვანეს და ჩვენც გადავწყვიტეთ. აქვე დავიხოცოთ. ჩვენ პატიების იმედი არა გვაქვს. ვინ აუხსნის ჩვენს მდგომარეობას ხელმწიფეს? განა ჩვენი უფროსნი, როცა ჩვენ უბედურებაზე შევჩიოდით, არ გვეუბნებოდნენ — „ღმერთი მაღლაა, მეფე კი — შორსო?“

სასოწარკვეთილებამდე მისული ხალხი გმირულად იბრძოდა. აჯანყებულნი ერეკებოდნენ არა მარტო რუს მოხელეებს, არამედ თავიანთ ბატონებსაც, ცეცხლს უკიდებდნენ და ანადგურებდნენ მათს სახლ-კარს. ქართველ ფეოდალთა ის ნაწილი, რომლებსაც ძველი პრივილეგიების აღდგენა უნდოდა, ცდილობდა აჯანყება საკუთარი მიზნისთვის გამოეყენებინა და აქტიურად მონაწილეობდა კიდეც მასში.

1813 წლის დასაწყისში კახეთის აჯანყება საბოლოოდ ჩაქრეს. გამოძიებამ, რომელიც მთავრობამ მოაწყო აჯანყების მიზეზების შესასწავლად, დაადასტურა მეფის მოხელეთა წარმოუდგენელი თვითნებობის ფაქტები. მეფის მთავრობა იძულებული შეიქნა, ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო. ამავე დროს გატარდა ზომები მოხელეთა ბოროტმოქმედების აღსაკვეთად.

4. 1832 წლის შეთქმულება. 1825-27 წლებში პეტერბურგში, მოსკოვსა და თბილისში ქართველ თავადაზნაურთა იმ ნაწილმა, რომელიც უკმაყოფილო იყო ცარიზმის კოლონიური და ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკით, ჩამოაყალიბა ფარული ორგანიზაციები, რომელთა მიზანი იყო საქართველოში ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყების მომზადება. მალე აჯანყების მომზადების ცენტრი თბილისი გახდა. 1832 წ. შინაგამცემლობის წყალობით ფარული ორგანიზაციის არსებობა გამჟღავნდა და აჯანყების მოწყობის გეგმა ჩაიშალა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ეს მოძრაობა „1832 წლის შეთქმულების“ სახელით შევიდა ისტორიაში.

1832 წ. შეთქმულება სხვადასხვა მიმართულების რამდენიმე ჯგუფს აერთიანებდა. შეთქმულთა კონსერვატული მიმართულების ჯგუფი, რომლის სათავეში ძირითადად ქართველი ბატონიშვილე-

ბი იდგნენ, მოითხოვდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის აღდგენას რაიმე მნიშვნელოვანი სიახლის გარეშე. შეთქმულთა პროგრესული მიმართულება სამი ჯგუფით იყო წარმოდგენილი. ერთი მათგანი, რომელსაც სათავეში ედგა გლეხთა წრიდან გამოსული ცნობილი მეცნიერი ს ო ლ ო მ ო ნ დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, დეკაბრისტთა იდეებს იზიარებდა — თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა და რესპუბლიკური წყობილების დამყარებას მოითხოვდა. მეორე ჯგუფი კონსტიტუციური მონარქიის მომხრე იყო. მესამე ჯგუფი მოითხოვდა საქართველოს დარჩენას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე.

სოლომონ დოდაშვილი.

1832 წ. შეთქმულებას კავშირი არ ჰქონდა ხალხთა მასებთან. შეთქმულთა უმრავლესობის მიზანს არ შეადგენდა მშრომელი მასების სოციალური მონობისაგან განთავისუფლება. მიუხედავად ამისა, 1832 წლის შეთქმულებას უკვალოდ არ ჩაუვლია. შეთქმულთა პროგრესული მიმართულების წარმომადგენლებმა სათავე დაუდვეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში, რომელიც გააფართოვეს და გააღრმავეს XIX საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეებმა.

კითხვები და დავალებები

1. დაახასიათეთ თვითმპყრობელური რუსეთის მმართველობის სისტემა საქართველოში. რაში გამოიხატებოდა ცარიზმის ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკა საქართველოში? 2. რა იყო 1804 წ. ქართლის მთიანეთისა და 1812 — 13 წწ. კახეთის აჯანყების მიზეზები? 3. მოიყვანეთ გლეხთა ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლის მაგალითები. 4. რა შედეგები მოჰყვა ამ აჯანყებებს? 5. დაახასიათეთ 1832 წ. შეთქმულების კონსერვატული და პროგრესული მიმართულებანი. 6. რაში მდგომარეობს ამ შეთქმულების ისტორიული მნიშვნელობა?

დ ო კ უ მ ე ნ ტ ი

ნაწყვეტი 1804 წ. აჯანყებულ გლეხთა საჩივრებიდან

„ქაცისაგან თითქმის მოუთმენელს სიცივეში სტეფანწმინდიდან ანანურამდე საშინელი თოვლი გვახვეტინეს და გზა გავსწმინდეთ.

ჩვენგან გაკეთებულ ამავე გზაზედ წვიმისაგან შეიქმნა ტალახი, გვაჭრევინეს ფიჩხი და ტალახში გვაყრევინეს. ამ დაფენილს ფიჩხში ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუვარდა, მოგვდგნენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოკლეს, ერთი გუდამაყრელი ჩოხელი და ერთიც ლაგათხეველი ჯაუნარისძე.

მოვიდა თოვლი და ამოივსო ჩვენგან გაკეთებული გზა. ისეთ დროს

მოგვიყვანეს საკეთებლად, რომ ზვავი მოდიოდა და სიკვდილს არ დაგვრიდეს; წამოვიდა ზვავი და ცოტას მოვრჩით, რომ ქვეშ არ დაგვიტანა. კიდევ ტიმოთემ ხმალისცემით მიგვყარა. წამოვიდა ზვავი და შიშით ერთმანეთს რომ ვეცნით, ტიმოთე და სამი ჩვენი კაცი იქ გაიჭყლიტა.

მოვიდნენ ოთხმოცი სალდათი და თორმეტი ცხენოსანი ყაზახი. ამათ უნდებოდათ დღეში სალდათს ათი საკლავი; ქათამს, ყველსა და ერბოს ვინ იანგარიშებს.

ცხენსა და ხარს ბარგის ზიდვით ტყავი აღარ შერჩათ და არ მოუციათ ქირა... ესეც მოვითმინეთ. ორი დედაკაცი ულელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და სალდათები უკან დედაკაცებს მათრახითა სცემდნენ...

ვისაც თითო კოდი ქერი ჰქონდა და თივა, უფასოდ წაგვართვეს... ბრძანება იყო, რომელიც ყაზახნი ადგილ და ადგილ იდგნენ, ქერი და თივა ფასით უნდა ეყიდათ... უფასოდ გვართმევდნენ...

ჩვენ ამ ზემოთხსენებულის მწუხარებისაგან, რომელნიც ყოვლად მოწყალის ხელმწიფის უძლეველის ჯარის საქართველოში გაძლიერებას ღმერთსა ვსთხოვდით, ახლა ამას ვითხოვთ, რომ მსწრაფლს განსაცდელით ერთობით დავინთქეთ. ჩვენ ძალას არ ვიქადით. რომ რუსთ ვებრძოლოთ. ჩვენ ერთობით ეს აწ ვირჩიეთ, თუ სხვა არა მოგვევლინა რა განსაცდელი ამ მოუთმენლის მწუხარებისაგან. ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოვუკიდოთ, ცოლშვილი შიგ შევყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ და დავიწვნეთ. ამ ტანჯვას, მათრახით სიკვდილს და ჩვენის ცოლებისას უწესო საქმის დანახვას ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ, — მარტო მთიულეთში ცემით ოცდასამი კაცი მომკვდარა სხვას გარდა."

კითხვები და დავალებები

1. გაარჩიეთ დოკუმენტი და გაარკვიეთ: რაში გამოიხატებოდა ცარიზმის მოხელეთა თვითნებობა გლეხების მიერ საგზაო და სატრანსპორტო ბეგარის შესრულების საქმეში. 2. რა მიზნით ჩააყენა მთავრობამ „სალდათები და ცხენიანი ყაზახები" სოფელში? 3. ვის ხარჯზე იკვებებოდნენ ისინი? 4. რა წესით ხდებოდა სურსათის შეგროვება სოფლებში? 5. როგორ ექცეოდნენ ცარიზმის მოხელეები გლეხებს და მათს ოჯახებს?

§ 34. დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს შეერთება რუსეთთან

1. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების შეერთება. აღმოსავლეთ საქართველოს შემომტკიცების შემდეგ ცარიზმის წინაშე დასავლეთ საქართველოს შეერთების ამოცანა დადგა. ამის გარეშე შეუძლებელი იყო შავი ზღვის სანაპიროზე გაბატონება და რუსეთის სამხრეთ საზღვრების გამაგრება.

იმერეთში ამ დროს სოლომონ II მეფობდა. იგი ენერგიულ ზომებს იღებდა ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად და სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროების დასამორჩილებლად. სოლომონის პოლიტიკურ გეგმაში შედიოდა აგრეთვე თურქების განდევნა ბათუმიდან, ფოთიდან და სოხუმიდან. მეფე კარგად ხედავდა, რომ საკუთარი ძალებით ასეთი

გეგმის განხორციელება შეუძლებელი იყო და რუსეთის მფარველობას ეძებდა. მეფის რუსეთს კი საკუთარი გეგმა ჰქონდა, რომელიც ვერ უთავსდებოდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას სოლომონ II-ის მეთაურობით.

1803 წელს სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. ამის შემდეგ რუსეთის მთავრობამ იმერეთის მეფე სოლომონს წინადადება მისცა, მფარველობა ეთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალით დამორჩილებას ემუქრებოდა. სოლომონი იძულებული გახდა, მომავალი „მფარველის“ მიერ ნაკარნახევი პირობებით, 1804 წელს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესულიყო. იმერეთში რუსეთის ჯარი შეიყვანეს. რუსეთის ჯარის ნაწილები სამეგრელოშიც იდგა.

რუსეთ-თურქეთის ომის (1806-1812 წწ.) დროს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა სოლომონ II-მ ფარულად დატოვა ქუთაისი, გადავიდა ვარციხის სასახლეში და მოითხოვა რუსეთის ჯარის გაყვანა იმერეთიდან. რუსეთის მთავრობამ მაშინვე მიიღო გადაწყვეტილება — სოლომონი ტახტიდან ჩამოეგდო, რუსეთში

26. საქართველოს შეერთება რუსეთთან


ქალაქი
დედაქალაქი
1801 შეერთების თარიღი
I სამეფოსაკუთრო
1864
1859
1840
1857
1828
1810
1829
1801
1830
1801
1801
1801

გაესახლებინა და იმერეთის სამეფო გაეუქმებინა. ამ მიზნით იმერეთში რუსთა დამატებითი ჯარი გაგზავნა. მოლაპარაკების დროს, 1810 წელს, იმპერატორის მოხელეებმა სოლომონი მოტყუებით შეიპყრეს და თბილისში ჩაიყვანეს. მალე მან აქედან გაქცევა მოახერხა, იმერეთში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა აჯანყებას.

რუსეთის მთავრობამ დიდძალი ჯარი გადაიყვანა აჯანყების ჩასაქრობად. ოთხი თვის ბრძოლის შემდეგ აჯანყება ჩააქრეს. სოლომონ II ახალციხეში გაიქცა, აქედან ტრაპიზონში ჩავიდა, სადაც 1815 წ. გარდაიცვალა.

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ 1810 წლიდან იმერეთში მეფის რუსეთის მმართველობა დამყარდა. იმავე წელს რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს გურიისა და აფხაზეთის სამთავროებმაც.

1819 — 20 წლებში მმართველობის ახალი რეჟიმით და ცარიზმის პოლიტიკით უკმაყოფილო იმერეთის მოსახლეობა კვლავ აჯანყდა. აჯანყებამ იფეთქა გურიაშიც. მეფის ჯარებმა აჯანყება სასტიკად ჩააქრეს.

2. საქართველოს სამხრეთი ნაწილების შეერთება. რუსეთის ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკის წარმატებები კავკასიაში და მისი მისწრაფება ახლო და შუა აღმოსავლეთში გაბატონებისაკენ წინააღმდეგობას აწყდებოდა თურქეთისა და ირანის მხრივ. ე.წ. „ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ს ა კ ი თ ხ შ ი“ — ახლო და შუა აღმოსავლეთში გაბატონების საკითხში რუსეთის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ინგლისი და ავსტრია, რომლებიც თვითონ ცდილობდნენ აქ გაბატონებას. ინგლისი ფარულად აქეზებდა ირანს რუსეთის წინააღმდეგ.

1826 წ. რუსეთსა და ირანს შორის ომი დაიწყო. 1828 წელს ეს ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. რუსეთის ხელში გადავიდა ერევნისა და ნახიჩევანის სახანოები. აღმოსავლეთ სომხეთი ირანის მძიმე ბატონობისაგან განთავისუფლდა.

ირანთან ომის დამთავრებისთანავე დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. საომარი მოქმედება ერთდროულად ორ ფრონტზე გაიშალა: ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და კავკასიაში. კავკასიის ფრონტზე რუსეთის არმია სამი მიმართულებით უტევდა: ყარსის, ახალქალაქ-ახალციხისა და ციხისძირ-ბათუმის მიმართულებით. 1828 წლის ზაფხულში რუსეთის ჯარის ნაწილებმა იერიშით აიღეს ძლიერი ციხესიმაგრე ყარსი და ახალქალაქი. ამის შემდეგ რუსთა ჯარებისათვის გზა ხსნილი იყო ახალციხისაკენ. რუსეთის ჯარის სარდლობის წინადადებაზე, ჩაებარებინათ ციხესიმაგრე, ახალციხის თურქმა კომენდანტმა უპასუხა: ვიდრე მთვარეს ზეციდან არ ჩამოიღებთ, მანამდე შეუძლებელი იქნება ნახევარმთვარის ჩამოხსნა ახალციხის მეჩეთიდანო. 5 აგვისტოდან სისხლისმღვრელი ბრძო-

ლები გაჩაღდა. რუსთა ჯარი და ქართველთა დამხმარე რაზმები შეუპოვრად იბრძოდნენ, მაგრამ მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ თურქებიც. ბოლოს, 15 აგვისტოს, დაიწყო იერიში. სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ აღებულ იქნა ახალციხე. ახალციხის აღების ამბავს საქართველოს მოსახლეობა ზეიმით შეხვდა. ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თურქთა ხელში მყოფი „ახალციხის საფაშო" თავის სამშობლოს შეუერთდა.

ახალციხის განთავისუფლების შემდეგ დაიკავეს არტაანი, აწყური და სხვა ციხესიმაგრეები. სექტემბერში რუსთა ჯარებმა გენერალ ალექსანდრე ჭავჭავაძის მეთაურობით თურქები განდევნეს ბაიაზეთის საფაშოდანაც.

რუსებთან ერთად თავდადებით იბრძოდნენ ქართველთა რაზმები ქ. ფოთისათვის. 1828 წლის 15 ივლისს იერიშით აიღეს ფოთის ციხესიმაგრე. ამის შემდეგ შეტევა დაიწყო ქობულეთ-ბათუმის მიმართულებით. შეერთებული ძალებით აიღეს კინტრიშის სიმაგრე, მაგრამ ციხისძირისა და ბათუმის აღება იმჯერად ვერ მოხერხდა.

1829 წელს თურქეთსა და რუსეთს შორის ზავი დაიდო ქ. ადრიანოპოლში. ამ ზავით რუსეთის ხელში გადავიდა ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური, ხერთვისი, აბასთუმანი და ყოფილი სამცხის სამთავროს სხვა რაიონები, ანაპა, ფოთი და შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო მდ. ყუბანიდან ჩოლოქის შესართავამდე. თურქეთის ხელში კვლავ რჩებოდა აჭარა ბათუმ-ქობულეთითურთ და ჭანეთი. ამ ზავით რუსეთმა განამტკიცა თავისი ბატონობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

კითხვები

1. როგორ მოხდა იმერეთის სამეფოს შეერთება რუსეთთან? 2. რა იყო რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომების მიზეზები? 3. რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ომებს საქართველოსათვის? 4. როგორ მონაწილეობდა ქართველი ხალხი საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში?

§ 36. საქართველო XIX საუკუნის 30-50-იან წლებში. გლეხთა აჯანყებები

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარება 30-50-იან წლებში. XIX საუკუნის 30-იანი წლებისათვის ძირითადად დასრულდა მეფის რუსეთის ომები ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის. ამ დროისათვის მეფის მთავრობამ საბოლოოდ ჩამოაყალიბა თავისი ეკონომიკური პოლიტიკა ამიერკავკასიის, კერძოდ, საქართველოს მიმართ. ეს პოლიტიკა ითვალისწინებდა საქართველოს გადაქცე-

ვას რუსეთის კ ო ლ ო ნ ი ა დ — ე.ი. საქონლის გასაღების ბაზრად და ნედლეულის წყაროდ. ამიტომ ომების დამთავრების შემდეგ, როცა შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, საქართველოს სოფლის მეურნეობაში ვითარდებოდა განსაკუთრებით ისეთი დარგები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებისათვის საჭირო ნედლეულის მიწოდებას.

1850 წელს დაარსდა ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ი ს ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა, რომელიც ზრუნავდა მარცვლეულის მეურნეობის, მევენახეობის, მეაბრეშუმეობის, მებამბეობისა და სხვა ტექნიკურ კულტურათა განვითარებისათვის. საზოგადოება ხელს უწყობდა მოსახლეობაში აგრონომიული ცოდნის გავრცელებას, უცხოეთიდან იწერდა გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღს, თესლეულს, აწყობდა საცდელ-საჩვენებელ სანერგეებს, ბაღებს, საქონლის ფერმებს, სოფლის მეურნეობის საწარმოთა გამოფენას და სხვ.

სოფლის მეურნეობის ნაწარმთა მნიშვნელოვანი ნაწილი ბაზარზე გადიოდა. როგორც გლეხური, ისე საბატონო მეურნეობა ახლა სულ უფრო და უფრო მეტს აწარმოებდა ბაზრისთვის და ამგვარად, მიწათმოქმედება თანდათან ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო ხასიათს იღებდა.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება კიდევ უფრო აკავშირებდა ქვეყნის ცალკეულ მხარეებს, აფართოებდა შინაგან ბაზარს და შლიდა ნატურალურ მეურნეობას.

ცარიზმის კოლონიურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიუხედავად საქართველოში ვითარდებოდა მრეწველობაც. ხელოსნობა ეცემოდა, რადგან კონკურენციას ვერ უწევდა უცხოეთიდან და რუსეთიდან შემოტანილ საქონელს. ჩნდებოდა კაპიტალისტური მანუფაქტურები. 30-იანი წლების მიწურულს ყველაზე უფრო მსხვილი კაპიტალისტური საწარმო იყო ვაჭარ ზ უ ბ ა ლ ა შ ვ ი-

თბილისი XIX ს. I მესამედში (დიუბუა დე მონპერეს მიხედვით).



ტყავის დასამუშავებელი და აგურის დამამზადებელი საწარმოები XIX ს. თბილისში.

ლ ი ს მიერ ქ. თბილისში დაარსებული შაქრის ქარხანა, რომელსაც მთავრობამ მფარველობა არ გაუწია და მალე დაიხურა.

40 — 50-იან წლებში გამოცოცხლდა სამთამადნო წარმოებაც. წარმოიშვა მექანიკური თუჯსასხმელი საწარმოები, საპნის, ტყავის, თამბაქოს, მაუდის, აგურის, მინის, აბრეშუმის, ძაფსახვევი, სამღებრო, არყის, ლუდისა და სხვა სარეწაოები.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია მოსახლეობის ზრდა. საქალაქო ცხოვრების განვითარება, აგრეთვე საშინაო და საგარეო ბაზრის გაფართოება.

ამრიგად, XIX საუკუნის 30 — 50-იან წლებში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა ირღვეოდა და სასაქონლო-ფულადი მეურნეობა ვითარდებოდა. ფეოდალური ურთიერთობის რღვევა, რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, გრძელდებოდა და XIX საუკუნის 30 — 50-იან წლებში ფეოდალიზმის კრიზისში გადაიზარდა. ყოველივე ეს კიდევ უფრო ზრდიდა მემამულის მოთხოვნილებას ფულზე და აძლიერებდა მშრომელთა ექსპლოატაციას, რაც გლეხთა ახალ-ახალ აჯანყებებს იწვევდა. მათ შორის ყველაზე უფრო დიდი და მნიშვნელოვანი იყო გურიისა და სამეგრელოს გლეხთა აჯანყებები.

2. გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წ. მმართველობის ბიუროკრატიული წესების შემოღებამ, ახალი ფულადი გადასახადის დაწესებამ და მემამულის მიერ ბატონყმური ექსპლოატაციის გაძლიერებამ გამოიწვია სახალხო აჯანყება გურიაში. აჯანყება დაიწყო 1841 წლის მაისში სოფ. აკეთში (ლანჩხუთის რაიონი). გლეხებმა გარეკეს გადასახადების ამკრეფი მოხელეები. მალე აჯანყება მთელ გურიას მოედო და მეზობელ იმერეთის სოფლებშიც გავრცელდა. აჯან-

თბილისის ბაზარი, XIX ს.

ყებულთა საერთო რიცხვი 7000 კაცს აღემატებოდა. აგვისტოში აჯანყებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. 9 აგვისტოს სოფ. გოგორეთთან (მახარაძის რაიონი) გლეხთა რაზმმა ა ბ ე ს ა ბ ო ლ ქ ვ ა-ძ ი ს მეთაურობით სასტიკად დაამარცხა პოლკოვნიკ ბრუსილოვის რაზმი. მალე აჯანყებულებმა დაიკავეს შეკვეთილი, ლიხაური, ნასაკირალის ხეობა, ნაგომარი, ჩოხატაური და ალყა შემოარტყეს ოზურგეთს.

აჯანყებაში თავად-აზნაურობამაც მიიღო მონაწილეობა. როცა გლეხობის ბრძოლამ ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათი მიიღო, მათი ერთი ნაწილი ჩამოშორდა აჯანყებას და მეფის მთავრობას დაეხმარა აჯანყების ჩახშობაში.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ამბებმა მეფის მთავრობა დაარწმუნა, რომ ქვეყნის კოლონიად გადაქცევის პოლიტიკა ქართველი ხალხის მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდა. საშინაო მდგომარეობის შემდგომ გართულებათა და აჯანყებათა თავიდან აცილების მიზნით ცარიზმი უფრო ფრთხილი და მოხერხებული პოლიტიკის გატარების გზას დაადგა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ქართველი თავადაზნაურობისა და ცარიზმის კავშირის განმტკიცებაში გამოიხატა: გლეხები ახლა უფრო მეტად დაუმორჩილეს მებატონეებს. ამან კიდევ ორმაგი ჩაგვრით გაწამებული გლეხობის ახალი, უფრო ორგანიზებული ანტიბატონყმური გამოსვლები გამოიწვია.

8. გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856-1857 წლებში. 1856 წლის დამლევს სამეგრელოში იფეთქა გლეხთა დიდმა აჯანყებამ, რომელიც ბატონყმობის წინააღმდეგ იყო მიმართული. აჯანყების მიზეზი ბატონყმური ექსპლოატაციის გაძლიერება იყო, რაც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) შემდეგ.

ყირიმის ომის ერთ-ერთ ასპარეზად სამეგრელოს სამთავროც იქცა. 1855 წლის შემოდგომაზე თურქეთის მრავალრიცხოვანი არმია აფხაზეთს შეესია და აქედან მდ. ენგურს მოადგა. რუს-ქართველთა შეერთებული ჯარის ენერგიული წინააღმდეგობის მიუხედავად, მტერმა ენგური გადმოლახა და მთელი სამეგრელო დაიკავა. დამპყრობელთა თარეშს და ძარცვა-რბევას ხალხმა პარტიზანული ომის გაჩაღებით უპასუხა და მტერი განდევნა, მაგრამ ქვეყანა ძალიან დაზარალდა. თავადაზნაურობა მიყენებული ზარალის ანაზღაურებას საგლეხო ბეგარა-გადასახადების გაზრდით შეეცადა. თუ წინათ საბატონო სამუშაოზე გასული გლეხის გამოკვება ბატონს ევალებოდა, ახლა მემამულეებმა აიძულეს გლეხები, თავიანთი ხარჯით ემუშავათ. მემამულეები გლეხებს სცემდნენ, ხელ-ფეხს უკრავდნენ, დილეგში აგდებდნენ, მათ შვილებს თურ-

ქებზე ყიდდნენ, განსაკუთრებით ურჩ გლეხებს საშინელი წამებით სიკვდილით სჯიდნენ. ყოველივე ეს საკმაო მიზეზი იყო აჯანყებისათვის.

პირველად 1856 წლის შემოდგომაზე გამოვიდნენ სოფ. თამაკონის (მარტვილის რაიონი) გლეხები. მალე აჯანყების ძლიერ კერად იქცა სოფ. ს ა ლ ხ ი ნ ო. აქ სამეგრელოს მთავრის გლეხები სასახლის მშენელობაზე იყვნენ გამოყვანილი. მთავრის მოხელეებმა ბეგარაზე გამოყვანილ გლეხებს სიმინდის დაფქვისათვის მინდის[1] გადახდა დაუწესეს. ეს აჯანყების უშუალო საბაბი გახდა. აჯანყებულებს სათავეში ჩაუდგა ხელოსანი გლეხი უ ტ უ თ ო დ უ ა, რომელსაც სამართლიანი კაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და ამის გამო ხალხი მეტსახელად „მ ა რ თ ა ლ ი ა ს“ ეძახდა. მალე მეამბოხეთა რიცხვმა 4 000 მიაღწია.

აჯანყების მეორე რაიონი იყო სოფ. ჯ ვ ა რ ი (წალენჯიხის რაიონი). თავდაპირველად აჯანყდნენ ჯვარისა და ლიის გლეხები. აქ აჯანყებულებს სათავეში ჩაუდგა მჭედელი უ ტ უ მ ი ქ ა ვ ა, რომელიც ჯვარიდან წალენჯიხაში შეიჭრა და იქ აჯანყებულთა მეთაურად ლ ე ვ ან კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა დააყენა. აჯანყებულთა მესამე რაიონი მოიცავდა ს ა ჭ ი ლ ა ო-ს უ ჯ უ ნ ი ს მხარეს, სადაც აჯანყებას სათავეში ედგა კ ო ჩ ა თ ო დ უ ა. აჯანყებამ იფეთქა სამთავროს ცენტრში — ზუგდიდშიც. აჯანყების საერთო მეთაური იყო უტუ მიქავა, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სამეგრელოს გლეხებში.

აღსანიშნავია, რომ სამეგრელოს გლეხთა აჯანყება წინასწარ მზადდებოდა და გლეხთა მეთაურებს აჯანყების დაწყებამდე ერთმანეთთან კავშირი ჰქონდათ დამყარებული. მიქავამ აჯანყებულთა ლაშქარს ორგანიზებული სახე მისცა — დაყო ასეულებად, ოცეულებად, მათ სათავეში გამოცდილი მეთაურები დააყენა და საკუთარი დროშები მისცა. გლეხთა ლაშქარს წითელი დროშები ჰქონდა.

სამეგრელოს 1856-1857 წლების გლეხთა აჯანყება ყველაზე უფრო დიდი ანტიბატონყმური აჯანყება იყო. აჯანყებულთა საერთო რიცხვი 20 000 კაცს აღწევდა. აჯანყებულთა დევიზი იყო „კაცის კაცი არ უნდა არსებობდეს, ყველა ადამიანები ძმები არიან და თავადაზნაურთა წოდება უნდა მოისპოსო.“ შეტევაზე გადასული გლეხები ყველგან ერეკებოდნენ მთავრის მოხელეებს, ათავისუფლებდნენ შინაყმებს, წვავდნენ და ანადგურებდნენ საძულველ მებატონეთა სახლ-კარს. მაისში აჯანყებულებმა დაიკავეს მთავრის რეზიდენცია — ზუგდიდი. სამეგრელოს მთავარმა დახმარები-

[1] მ ი ნ დ ი — მარცვლეულის დაფქვის საზღაური მარცვლის ან ფქვილის სახით.



მეფისნაცვლის სასახლე თბილისში (დღეს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე).

სათვის მეფის რუსეთის ჯარს მიმართა. უთანასწორო ბრძოლაში, 1857 წლის ნოემბერში გლეხები დამარცხდნენ.

რუსეთის მთავრობის განკარგულებით აჯანყების ხელმძღვანელები სხვადასხვა ვადით რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს. უტუ მიქავამ 9 წელიწადი არხანგელსკში დაყო.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ძლიერმა ანტიბატონყმურმა გამოსვლამ მნიშვნელოვნად დააჩქარა ბატონყმობის გაუქმება საქართველოში.

4. სამთავროების გაუქმება. ყირიმის ომის შემდეგ ცარიზმი შეუდგა კავკასიის საბოლოო დაპყრობის გეგმის განხორციელებას. 1859 წელს შამილის დატყვევებით დასრულდა აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობა, ხოლო 1864 წელს — დასავლეთ კავკასიისა.

რუსეთის მფლობელობაში შესულ დასავლეთ საქართველოს სამთავროების ავტონომიური მართვა-გამგეობა აბრკოლებდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარებას. ამასთან, სამთავროების დამოუკიდებელი არსებობა ხელს უშლიდა ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას. ამიტომ მათი გაუქმება აუცილებელი იყო. ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომის დროს, 1828 წელს, ცარიზმმა გააუქმა გურიის სამთავრო, 1857 წელს — სამეგრელოს სამთავრო, 1858 წელს — სვანეთის, ხოლო 1864 წელს — აფხაზეთის სამთავრო.

ამრიგად, რუსეთის მფლობელობის ქვეშ საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანება ძირითადად დასრულდა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის, თურქულ-ირანული აგრესიის საფრთხის თავიდან აცილებისათვის.

კითხვები

1. რაში გამოიხატებოდა ბატონყმური საზოგადოებრივი ურთიერთობის რღვევა? 2. რა იყო გლეხთა ესქპლოატაციის გაძლიერების მიზეზი? 3. დაახასიათეთ გურიისა და სამეგრელოს გლეხთა აჯანყებები. 4. რატომ იყო აუცილებელი სამთავროების გაუქმება? 5. რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს გაერთიანებას რუსეთთან?

დოკუმენტები.

1. ქუთაისის გუბერნატორის გენერალ კოლუბიაკინის სიტყვა სამეგრელოს აჯანყებული გლეხების მიმართ (1857)

„თქვენმა დედოფალმა[1] მთხოვა მოვსულიყავ და თქვენთვის ურჩობაზე ხელი ამეღებინებინა. ეს ნახევარი წელიწადია, რაც კანონიერ ხელისუფლებას აღარ ემორჩილებით თურმე. თვით დედოფალმა თურმე ბევრი გირჩიათ, მაგრამ თქვენს მორჯულებას მაინც არაფერი ჰშველებია. თქვენს მებატონეებს არამცთუ გამოქცევიხართ, არამცთუ არ აძლევთ, რაც გმართებთ მაგათი, არამედ იმ ზომამდე გაკადნიერებულხართ, რომ ვინც ხელში ჩაგივარდებათ, დაუსჯელად არ უშვებთ. ნუთუ გგონიათ, რომ სულ ასე შეგრჩებათ? მე მოვედი თქვენს დასასჯელად და აქედან მანამდე არ წავალ, თუნდაც იძულებული ვიქნე ერთიც ცოცხალი არ გაგიშვათ“.

2. უტუ მიქავას პასუხი

„ამ ერთს წელს წინათ, ბატონო, ჩვენს ქვეყანას ოსმალთა ჯარი შემოესია. მტერმა გაანიორწყლა ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა. შველა არსაიდან გვქონდა, რუსის ჯარმა თავი დაგვანება, ხოლო ჩვენი ბატონები, იმის მაგიერ რომ დავეფარნეთ, ბიჭებსა და გოგოებს გვტაცებდნენ და ოსმალებზე ჰყიდდნენ. აუარებელი წაასხეს ოსმალებმა ოსმალეთში. ოსმალები წავიდნენ და ჩვენი ბატონები წინანდელზე უარესად, ოსმალებზე უარესად მოგვდგნენ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი ჩვენი შრომის ნაყოფი იმათ რჩებათ; მათ რომ კაცმა ჰკითხოს, გლეხს არაფერი უნდა ჰქონდეს, და რაც რამ აბადია, ყველაფერს ართმევენ თუ მოხერხებით არა, ძალით მაინც. ჩვენ ამას შევეჩვიეთ. ამას კიდევ თქვენი ჭირი წაუღია, საქმე ის გახლავთ, რომ ამბობენ, ვითომ ჩვენ ადამიანის სულიც არ უნდა გვედგასო. მათის აზრით, რა პირუტყვი გნებავთ, ჩვენ არა გვჯობდეს! ვთქვათ, ბატონს მეზობლის მიმინო მოეწონა, ადგება და ერთ კომლ გლეხს აძლევს მეზობელს, ოღონდ კი იმან მიმინო დაუთმოს: მწევრის ან მეძებრებისათვის რამდენსამე კომლს აძლევს, პირუტყვები უფრო მეტად ფასობენ, ვიდრე ადამიანები... გვე-

---

[1] ამ დროს სამეგრელოს მთავარი იყო დავით დადიანის ქვრივი ეკატერინე ჭავჭავაძე, ცნობილი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული.

ჩივლა? აბა ვისთან გვეჩივლა? დედოფალი აქედან შორს (პეტერბურგში[1]) იყო. ხოლო მის მდივანბეგებს[2] მებატონეების მხარე უჭირავთ, მათგან ძალდატანების მეტი არაფერი გვახსოვს. თვითონ დედოფლის მოურავები ისე გაგულქვავდნენ და ისე უდიერად იქცევიან, რომ მისმა საკუთარმა გლეხებმაც კი გადაწყვიტეს არ დამორჩილებოდნენ და ხატზე დაიფიცეს — დედოფლის ჩამოსვლამდე ერთმანეთს მხარი დაუჭირონ და ერთიმეორეს არ უღალატონ, ჩვენც მათ მაგალითს მივბაძეთ. გვეგონა, ჩქარა დაბრუნდებოდა, მაგრამ გაიარა თვეებმა, ჩვენ იქით-აქეთ დავეხეტებოდით, ჩვენს ბატონებს ვემალებოდით, და როცა დევნა დაგვიწყეს და ძაღლებით ნადირობდნენ ჩვენზე, ერთად შევერთდით და ძალას ძალა დავუპირისპირეთ. ამასობაში დადგა გაზაფხული, ყანები არ დათესილა, მებატონეები არ გვითმობდნენ და აღარც ჩვენ ვუთმობდით. ბოლოს, ზაფხულში, დედოფალი ჩამოვიდა, მაგრამ რა გამოვიდა? არამც თუ მფარველობა გაგვიწია, ყურშიაც არ უნდა შეუშვას ჩვენი გაჭირვება. „როგორ გაბედეთ, — გვიბრძანა დედოფალმა, — და ბატონებს ხელი ახელითო! ჩვენი ხელისხლება კი ის გახლდათ, რომ ჩამოვართვით ხაჯალურები და დადიანურები[3], რომლითაც ისინი ზოგჯერ მთელი წლობით გვტანჯავდნენ, და მათი სახლებიდან გამოვიყვანეთ ჩვენი დები და ქალიშვილები, რომლებსაც მოახლეები ერქვათ და ნამდვილად კი მათი ხასები იყვნენ, და ქრისტიანული წესით გავათხოვეთ...

დედოფალს ყოველივე ეს ესმოდა ჩვენგან და არ მოინდომა ჩვენთვის ეშველნა. იმას თავის დღეში არაფრით დავმუქრებივართ. ჩვენი არაფერი შიში არ უნდა ჰქონებოდა, არც ავაზაკები ვართ და არც მეამბოხენი, სამართალსა ვთხოულობთ მეტს არაფერს...“

კითხვები

1. ვისი ინტერესების დამცველად გამოდიოდა გენერალი კოლუბიაკინი? 2. როგორ უყურებდნენ მებატონე-ფეოდალები გლეხის პიროვნებას? 3. როგორ მზადდებოდა აჯანყება? 4. რას სთხოვდა უტუ მიქავა გენერალ კოლუბიაკინს? 5. რატომ არ შეეძლო ამ უკანასკნელს გლეხების თხოვნის დაკმაყოფილება?

---

[1] ეკატერინე იმყოფებოდა პეტერბურგს რუსეთის მეფე ალექსანდრე II -ის ტახტზე ასვლის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად.

[2] მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი — სასამართლოს უფროსი, მსაჯულთუხუცესი.

[3] ყმების საწამებელი იარაღები.

1. სახალხო განათლება. ცარიზმის პოლიტიკა განათლების დარგში კოლონიურ მიზნებს ემსახურებოდა. ცარიზმი აფერხებდა განათლების გავრცელებას მთელ იმპერიაში და განსაკუთრებით განაპირა მხარეებში. გათვითცნობიერებასა და ეროვნული კულტურის განვითარებაში ის ხედავდა განმათავისუფლებელი იდეების გავრცელების საფრთხეს. 1801 წელს მან გააუქმა თელავის სემინარია, აგრეთვე თბილისის ქართული სკოლები, უარყო ქართლ-კახეთის სამეფო კარზე შემუშავებული და მოწონებული პროექტი თბილისში, თელავსა და გორში უმაღლესი სასწავლებლების დაარსების შესახებ. სამაგიეროდ ცარიზმი ცდილობდა თვითმპყრობელობის ერთგულ მოხელეთა აღსაზრდელად შესაფერი სკოლების გახსნას.

1802 წელს თბილისში დაარსდა პირველი რუსული დაწყებითი სასწავლებელი თავად-აზნაურთა შვილებისათვის. მასწავლებლად რუსები დანიშნეს. მოსწავლეებს მათი არაფერი ესმოდათ და მალე სკოლაში სიარული მიატოვეს. ამის გამო სასწავლებელმა ერთი წელიც ვერ იარსება.

1804 წელს მთავრობამ გახსნა თ ბ ი ლ ი ს ი ს კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ თ ა ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი. 1817 წელს თბილისში დაარსდა სასულიერო სემინარია, რომელმაც 1917 წლამდე იარსება. 1818-1829 წლებში გორში, თელავში, სიღნაღში, ქუთაისში, სამეგრელოსა და გურიაში დაარსდა სასულიერო სამაზრო და სამრევლო სასწავლებლები. 1830 წელს თბილისის კეთილშობილთა სას-



თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, შემდეგში გიმნაზია. დღეს თბილისის I საშუალო სკოლა.





ძველი თბილისის ხედი (XIX ს.).

პირველი ქართული ჟურნალის „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ თავფურცელი.

წავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა. გიმნაზიაში სწავლება რუსულ ენაზე იყო, ქართული ენა კი ისწავლებოდა როგორც ერთ-ერთი საგანი. 1830 წლიდან დაიწყო სამაზრო საერო სკოლების გახსნაც.

ამათ გარდა, ჯერ კიდევ არსებობდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და კერძო პირების საშინაო სკოლები. საშინაო სკოლები თითქმის ყველა მოზრდილ სოფელში იყო, სადაც ქართულ წერა-კითხვას, არითმეტიკას და ხელსაქმეს ასწავლიდნენ.

40-იანი წლებიდან ცარიზმი შეეცადა, ადგილობრივ მკვიდრთა რუსებთან შერწყმის გაადვილების მიზნით, შედარებით უმტკივნეულო პოლიტიკის გზას დასდგომოდა, რათა დამორჩილებულ ხალხს ეგრძნო რუსეთის მონარქიის „კეთილგანწყობილება“ და „ზრუნვა“ მისდამი. ცარიზმმა ამ დროიდან საქართველოში სასკოლო ქსელი შედარებით გააფართოვა. 1840 წელს თბილისში დაარსდა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი. გაიხსნა ახალი გიმნაზიები (თბილისსა და ქუთაისში). 1850 წელს მთელს საქართველოში 140-მდე დაწყებითი და საშუალო სასწავლებელი იყო 5 000-ზე მეტი მოსწავლით.

1819 წელს გამოვიდა პირველი ქართული გაზეთი, რომელიც ჯერ „საქართველოს გაზეთის“, ხოლო შემდეგ „ქართული გაზეთის“ სახელწოდებით 1822 წლამდე გამოდიოდა. 1828 წელს

დაიწყო გამოსვლა ახალმა გაზეთმა, რომელსაც „ტფილისის უწყებანი“ ეწოდებოდა. 1832 წელს ამ გაზეთის დამატების სახით გამოვიდა ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომელსაც სოლომონ დოდაშვილი რედაქტორობდა. ეს ჟურნალი მკაფიოდ გამოხატავდა მოწინავე ინტელიგენციის მისწრაფებას, მაგრამ იგი იმავე წელს დაიხურა. 1852 წლის იანვარში გამოვიდა ქართული ჟურნალის „ცისკრის“ პირველი ნომერი. მისი პირველი რედაქტორი იყო ცნობილი მწერალი გიორგი ერისთავი. შემდეგ კი მას რედაქტორობდა ივანე კერესელიძე (ჟურნალი 1875 წ. დაიხურა). იმდროინდელმა „ცისკარმა“ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარებას.

გიორგი ერისთავი.

მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები ყოველმხრივ ზრუნავდნენ ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. ნიკოლოზ ბარათაშვილის, დიმიტრი ყიფიანის და სხვათა ინიციატივით მოეწყო კერძო საჯახო სამკითხველო, რომლის ბაზაზე 1846 წელს დაარსდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა. იმავე ინტელიგენციამ მოინდომა თბილისში უმაღლესი სასწავლებლების დაარსება, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას თანაგრძნობით ეკიდებოდა რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია. საქართველოში სხვადასხვა დროს იმყოფებოდნენ რუსეთის მთავრობის მიერ გადმოსახლებული დეკაბრისტები—კ. რილეევისა და ვ. კიუხელბეკერის მეგობრები, მწერალი ა. ბესტუჟევ-მარლინსკი, პოეტი ა. ოდოევსკი, დიდი მწერლები — ალექსანდრე გრიბოედოვი, ალექსანდრე პუშკინი, მიხეილ ლერმონტოვი, ლევ ტოლსტოი და სხვები.

ამრიგად, თვითმპყრობელური რუსეთის ბიუროკრატ-მოხელეებთან და ერთგულ მსახურებთან ერთად საქართველო გაეცნო რუსეთის ახალ, მოწინავე საზოგადოებას. ასე ეყრებოდა საფუძველი რუსი და ქართველი ხალხების ერთობლივ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

2. ლიტერატურა. XIX საუკუნის დამდეგს ახალ ქართულ ლიტერატურაში აისახა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვა და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი პოეტი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786 — 1846 წწ.). მას შეგნებული ჰქონდა საქართველოს რუსეთთან შეერთების დადებითი მნიშვნელობა, მაგრამ ვერ ურიგდებოდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას. იგი ილაშქრებდა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგაც. ლექსში „ვაჰ, სოფელსა ამას“ ასახულია წოდებათა შორის უთანასწორო-

ალექსანდრე ჭავჭავაძე.

გრიგოლ ორბელიანი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი.



დანიელ ჭონქაძე.

ბის უსამართლობა და გამოთქმულია მშრომელთა ჩაგვრის მოსპობის შესაძლებლობის იმედი.

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს (1804 — 1883 წწ.) შემოქმედებაში მთავარი ადგილი ეროვნულ საკითხს უჭირავს. მისი პოემის სევდიანი ელფერი განპირობებულია საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით და 1832 წლის შეთქმულების მარცხით, გრ. ორბელიანმა სოციალურ მოტივსაც მიაქცია ყურადღება ლექსში — „მუშა ბოქულაძე". გრ. ორბელიანი ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია.

იმ დროის უნიჭიერესი პოეტი იყო ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი (1817 — 1845 წწ.). იგი ახალი ქართული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელია. მის პოეზიაში მძლავრად გაისმა მოწოდება არსებული უსამართლობის წინააღმდეგ. ნ. ბარათაშვილმა სწორად შეაფასა საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა, დაგმო და ბრძოლა გამოუცხადა ეროვნულ ჩაგვრას. ღრმა პატრიოტიზმი, ბედისადმი დაუმორჩილებლობა და ბრძოლა არსებული უსამართლობის წინააღმდეგ — ეს იყო მისი პოეზიის ძირითადი არსი.

ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება მწერალი გ ი ო რ გ ი ერ ი ს თ ა ვ ი (1811 — 1864 წწ.).მან პირველმა ასახა 30 — 50-იან წლებში ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების, ქართველ თავად-აზნაურთა გადაგვარებისა და ვაჭარ-კაპიტალისტთა გაძლიერების პროცესი.

ამ პროცესს ასახავს ქართული პროზაც, კერძოდ, ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ა რ დ ა ზ ი ა ნ ი ს „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი".

რეალიზმის მეორე დიდმა წარმომადგენელმა დ ა ნ ი ე ლ ჭ ო ნ ქ ა ძ ე მ (1830 — 1860 წწ.) პირველმა გაბედულად გაილაშქრა ბატონყმობის წინააღმდეგ. მისი შესანიშნავი მოთხრობა „სურამის ციხე", რომელიც 1859 წ. გამოქვეყნდა, სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ბატონყმობას.

8. მეცნიერება. არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, აღნიშნულ პერიოდში ქართველმა მოღვაწეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებაში. იმ დროის ცნობილი მეცნიერი იყო ს ო ლ ო მ ო ნ დ ო დ ა შ ვ ი ლ ი (1805 — 1836 წწ.). მან პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა, სადაც გაეცნო მოწინავე რუსულ და მსოფლიო მეცნიერებას. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ფილოსოფიური ნაშრომი.

პეტერბურგში მოღვაწეობდა ქართველი მეცნიერი ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი (1777 — 1830 წწ.). მისი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოებია „კალმასობა". საქართველოს ისტორიული

ვითარების გარდა, ამ ნაშრომში მოცემულია ცნობები მეცნიერების თითქმის ყველა დარგიდან, ამიტომ მას ხშირად უწოდებენ პირველ ქართულ ენციკლოპედიურ ნაშრომს.

თეიმურაზ ბაგრატიონი.

პეტერბურგშივე მოღვაწეობდა იოანეს ძმა **დავით ბაგრატიონი** (1767 — 1819 წწ.). მას ეკუთვნის რამდენიმე ნაშრომი საქართველოს ისტორიის საკითხებზე; იგი ავტორია აგრეთვე ფიზიკის სახელმძღვანელოსი.

იმ დროს ქართველ ისტორიკოსთა შორის განსაკუთრებული სახელი მოიხვეჭა **თეიმურაზ ბაგრატიონმა** (1782 — 1864 წწ.). მის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის აღსანიშნავია „ივერიის ისტორია". თეიმურაზი არჩეული იყო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

მარი ბროსე.

ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებას დიდი ამაგი დასდო ფრანგმა მეცნიერმა **მარი ბროსემ** (1802 — 1880 წწ.). მან საგანგებოდ შეისწავლა ქართული და სხვა აღმოსავლური ენები და საფუძველი ჩაუყარა ევროპაში საქართველოსა და ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერულ შესწავლას. მ. ბროსემ პირველმა საფრანგეთსა და რუსეთში გამოაქვეყნა არაერთი დიდმნიშვნელოვანი ქართული წყარო, მაგალითად, „ქართლის ცხოვრება" როგორც ქართულ, ისე ფრანგულ ენაზე. მან მოიარა მთელი საქართველო, შეკრიბა და გამოაქვეყნა მანამდე უცნობი წარწერები და სხვა სახის წყაროები. მასვე ეკუთვნის არაერთი ორიგინალური გამოკვლევაც საქართველოს ისტორიაში. მ. ბროსეს ხანგრძლივმა და ნაყოფიერმა მოღვაწეობამ ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული საისტორიო მეცნიერება.

დიდი შრომა გასწია საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში **პლატონ იოსელიანმა** (1809 — 1875 წწ.). იგი მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა მხარეში და ბევრი ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლი გადაარჩინა დაღუპვას. პ. იოსელიანს მრავალი ისტორიული გამოკვლევა ეკუთვნის ქართულ და რუსულ ენებზე.

პლატონ იოსელიანი.

4. ხელოვნება. XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართულ ხუროთმოძღვრებაში და ხელოვნების სხვა დარგებში ძლიერდება რუსული ხელოვნების გავლენა, განსაკუთრებით ქალაქებში. ამასთან ერთად განაგრძობდა არსებობას ეროვნული ტრადიციები ახალ სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა პირობებში.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის სახვითი ხელოვნების მოღვაწეთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მხატვარი პორტრეტისტი **გიორგი მაისურაძე** (1817 — 1885 წწ.). იგი ალექსანდრე ჭავჭავაძის ყმა გლეხი იყო. ნიჭიერი ახალგაზრდა ა. ჭავჭავაძემ ყმობისაგან გაათავისუფლა და პეტერბურგს სამხატვრო აკადე-

მიაში გაგზავნა. პეტერბურგში ის ცნობილი რუსი მხატვრის კ. ბრიულოვის ხელმძღვანელობით მუშაობდა.

50-იან წლებში საქართველოში საფუძველი ეყრება რუსულ და ქართულ დრამატულ თეატრს, ოპერასა და ბალეტს. 1850 წლის 2 იანვარს თბილისის გიმნაზიის შენობაში გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით დაიდგა მისივე კომედია „გაყრა". ეს თარიღი ითვლება ქართული მუდმივი თეატრის განახლების დღედ. თეატრის დაარსებამ უდიდესი როლი შეასრულა ხალხის კულტურულ ცხოვრებაში.

XIX საუკუნის მოწინავე ქართული კულტურა მოწინავე რუსულ კულტურასთან მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა. ცარიზმის ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის მიუხედავად, ქართველი და რუსი ხალხების კულტურათა დაახლოებამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მათს მეგობრობას, მათს ერთობლივ ბრძოლას სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან გათავისუფლების საქმეში.

კითხვები

1. როგორი იყო სასკოლო განათლება XIX ს. პირველ ნახევარში? 2. რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართული და რუსული კულტურების დაახლოებას?

დოკუმენტები

1. ნაწყვეტი 1848 წლის დებულებიდან „კავკასიის სასწავლო ოლქისა და მის ქვეშმდებარე სასწავლებელთა შესახებ"

„თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიიღებიან მხოლოდ თავადაზნაურთა, ბეგების, მელიქების, აღალარების, მთისა და მომთაბარე ხალხის მამასახლისთა შვილები და როგორც ადგილობრივი, ისე რუს მოხელეთა შვილები, აგრეთვე მართლმადიდებელი და სომხურ-გრიგორიანული სარწმუნეობის მღვდლებისა და დიაკვნების შვილები, თბილისის კომერციულ გიმნაზიაში მიიღება სავაჭრო წოდებისა და უაზნოთა („რაზნოჩინელების") შვილები, ხოლო ქუთაისის, სტავროპოლისა და ეკატერინოდარის გიმნაზიებში — ყველა თავისუფალი წოდების პირთა შვილები, გარდა სახაზინო, საეკლესიო და მემამულეების გლეხთა შვილებისა".

კითხვა

რატომ იცავდა მეფის მთავრობა განათლების დარგში წოდებრიობის პრინციპს?

2. რუსი მწერალი იაკობ პოლონსკი გიორგი ერისთავის „გაყრის“ პირველი დადგმის შესახებ.

„როცა კომედია „გაყრა“ მე პირველად ვნახე სცენაზე, რომელსაც ასრულებდნენ ქართველი არისტოკრატიული წრიდან გამოსული პირები, თუმცა ქართული ენის არაფერი მესმოდა, მაგრამ პიესის შინაარსი მაინც გავიგე და არ შემეძლო არ გამეცინა უშესანიშნავეს და კეთილშობილ არტისტთა მაღალხარისხოვანი თამაშის გამო. უნებლიეთ გამოვიტანე დასკვნა, რომ კომედია ისე მსუბუქად არის დაწერილი, რომ თავისთავად ითამაშება, მოქმედნი პირნი, სინამდვილესთან ისე სიმართლით დგანან, რომ მათთვის მიბაძვა ერთობ ადვილია, განსაკუთრებით იმ პირთათვის, რომლებიც ამათ მსგავს ტიპებს შორის გაიზარდნენ.

პიესა ყველას მოეწონა და, რაც ყველაზე საინტერესოა მისი წარმატება კი არ განისაზღვრება მხოლოდ სათეატრო დარბაზის კედლებით, რომლებიც ტაშის გრიალით და მსახიობთა სცენაზე გამოძახილით ირყეოდა, არამედ პიესა წარმოდგენის შემდეგ მეორე დღესვე იქცა სახალხოდ. ბაზარში იმეორებდნენ კომედიიდან ამოღებულ მთელ ფრაზებს და მთელ რიგ სახლებში, სადაც შეიძლება არავითარი წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ რა არის თეატრი, თავად ერისთავის სახელი შეიქმნა ცნობილი და კომედია იქცა ვრცელი მსჯელობის საგნად. რომელი მწერალი, რომელი კომიკოსი არ ინატრებს ამას“.

კითხვები

1. რამ განაპირობა კომედია „გაყრის“ დადგმის წარმატება? 2. რა არის დოკუმენტში ნათქვამი კომედიის წარმატების შესახებ?



საქართველოს ისტორიის ძირითადი თარიღები

1 მილიონი წლის წინ.	. პირველყოფილი ადამიანის დასახლება, კავკასიაში.
35 ათასი წლის წინ.	ზედა პალეოლითის დასაწყისი. გვაროვნული წყობილების ჩამოყალიბება.
12 ათასი წლის წინ . . .	. მეზოლითის დასაწყისი
8 — 6 ათასი წლის წინ	ნეოლითის დასაწყისი საქართველოს ტერიტორიაზე.
6 — 7 ათასი წლის წინ	იარაღის მასალად სპილენძის გამოყენება. ნეოლითის (სპილენძ-ქვის ხანის) დასაწყისი.
ჩვ-წ -აღ-მდე IV — III ათასწლეულის მიჯნა	ბრინჯაოს ხანის დასაწყისი.
ჩვ-წ-აღ-მდე III ათასწლ.	მტკვარ-არაქსის კულტურა (ადრე ბრინჯაოს ხანა).
ჩვ-წ-აღ-მდე II ათასწლ. I ნახ. . . .	თრიალეთის კულტურა, ტომთა კავშირების წარმოქმნა (შუა ბრინჯაოს ხანა).
ჩვ-წ-აღ-მდე II ათასწლ. II ნახ. . . .	გვიანბრინჯაოს ხანა.. რკინის მეტალურგიის დასაწყისი. ადრეკლასობრივი ურთიერთობის ჩასახვა ქართველ ტომებში.
ჩვ-წ-აღ-მდე XII ს	დიაოხისა და კოლხას ადრეკლასობრივი სახელმწიფოების წარმოქმნა.
ჩვ. წ-აღ-მდე IX — VIII სს. მიჯნა . .	უტუფურსის მეფობა დიაოხში.
ჩვ-წ -აღ-მდე VIII ს. დასაწყისი . .	დიაუხის დაპყრობა ურარტუსა და კოლხას მიერ.
ჩვ-წ -აღ-მდე VIII ს. 20-იანი წლები	კოლხას განადგურება კიმერიელების მიერ
ჩვ-წ-აღ-მდე VII — VI სს. მიჯნა . . .	ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს წარმოქმნა.
ჩვ-წ-აღ-მდე IV — III სს. მიჯნა . . .	ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა.
ჩვ-წ-აღ-მდე III ს.	ქართლის (იბერიის) სამეფოს ძლიერების ხანა.
ჩვ-წ-აღ-მდე 65 წ.	პომპეუსის ლაშქრობა საქართველოში.
ჩვ-წ-აღ-ვის I ს.	ფარსმან I-ის მეფობა ქართლში.
69 წ.	ანიკეტის აჯანყება.
II ს. 20 — 30-იანი წლები.	ფარსმან II-ის მეფობა ქართლში.
დაახლ. 337 წ.	ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ქართლში.
V ს. მეორე ნახევარი	ვახტანგ გორგასალის მეფობა.
VI ს. დასაწყისი	თბილისის ქართლის დედაქალაქად გამოცხადება.

523 წ.	მეფობის გაუქმება ქართლში.
542 — 562 წწ.	„დიდი ომიანობა“ ეგრისში.
VI ს. 70-იანი წლები	სპარსელების ბატონობის წინააღმდეგ სახალხო აჯანყების დაწყება. ქართლში ერისმთავრობის დაწესება.
591 წ.	ქართლის განთავისუფლება ირანის ბატონობისაგან.
608 წ.	საეკლესიო განხეთქილება ქართველებსა და სომხებს შორის.
627 წ.	ჰერაკლე კეისრისა და ჯიბღე ხაკანის ლაშქრობა ქართლში.
628 წ.	თბილისის აღება ბაზართა მიერ.
VII ს. 40-იანი წლები	არაბთა პირველი შემოსევები ამიერკავკასიაში.
654 წ.	ქართლის დამორჩილება არაბების მიერ
607 წ.	არაბების გადასვლა დას. საქართველოში.
785 — 788 წწ.	მურვან-ყრუს ლაშქრობანი საქართველოში
VIII ს. 80-იანი წწ.	კახეთისა და ჰერეთის სამთავროების წარმოქმნა.
VIII ს. 90-იანი წწ.	„აფხაზთა (ეგრისის) სამეფოს“ წარმოქმნა.
IX ს. დასაწყისი	ტაო-კლარჯეთის სამთავროს ჩამოყალიბება. აშოტ ბაგრატიონის (კურაპალატის) მოღვაწეობა.
IX ს. I ნახევარი	თბილისის საამიროს სახალიფოდან გამოყოფა.
853 წ.	ბუღა თურქის ლაშქრობა.
X ს. ბოლო (დახლ. 888 წ.)	„ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღება ადარნასე ბაგრატიონის მიერ.
914 წ.	არაბთა სარდლის აბულ-კასიმის ლაშქრობა.
X ს. მეორე ნახევარი	დავით III კურაპალატის მეფობა (გარდაიცვალა 1001 წ.).
975 — 1014 წწ.	ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის მეფობა.
1014 — 1027 წწ.	გიორგი I-ის მეფობა.
1021 — 1028 წწ.	საქართველო-ბიზანტიის ომი.
1027 — 1072 წწ.	ბაგრატ IV-ის მეფობა.
1058 წ.	ლიპარიტ ბაღვაშის შეპყრობა და საქართველოდან გაძევება.
1064 წ.	თურქ-სელჩუკების პირველი შემოსევა საქართველოში.
1068 წ.	თურქ-სელჩუკების მეორე შემოსევა.
1072 — 1089 წწ.	გიორგი II-ის მეფობა.
1080 წ.	„დიდი თურქობა“ საქართველოში.
1089 — 1125 წწ.	დავით IV აღმაშენებლის მეფობა.
1108 წ.	რუის-ურბნისის საეკლესიო კრება.

1105 წ.	ერწუხის ბრძოლა.
1121 წ. 12 აგვისტო	დიდგორის ბრძოლა.
1122 წ.	თბილისის აღება.
1124 წ.	შარვანისა და ჩრდ. სომხეთის შემოერთება.
1125 — 1156 წწ.	დემეტრე I-ის მეფობა.
1156 — 1184 წწ.	გიორგი III-ის მეფობა.
1177 წ.	დიდგვაროვანთა ამბოხება ივანე ორბელის მეთაურობით.
1178 წ.	თამარის მეფედ კურთხევა.
1178 — 1184 წწ.	მამა-შვილის (გიორგი III-ისა და თამარის) ერთობლიეი მეფობა.
1184 — 1213 წწ.	თამარის მეფობა.
1195 წ.	შამქორის ბრძოლა
1202 წ.	ბასიანის ბრძოლა.
1204 წ.	ტრაპიზონის იმპერიის შექმნა.
1210 წ.	ქართველთა ლაშქრობა ირანში.
1213 — 1222 წწ.	ლაშა-გიორგის (გიორგი IV-ის) მეფობა.
1220 წ.	მონღოლთა პირველი შემოკრა საქართველოში.
1222 — 1245 წწ.	რუსუდანის მეფობა.
1225 — 1231 წწ.	ჯალალ ედ-დინის ლაშქრობანი.
1226 წ. ნოემბერი	გარნისის ბრძოლა.
1235 — 1242 წწ.	საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ.
1254 — 1256 წწ.	საქართველოს აღწერა მონღოლთა მიერ.
1250 წ.	დავით ნარინის აჯანყება. VII
1260 წ.	დავით ულუს აჯანყება. VII
1265 წ.	ბერქაიაენის ლაშქრობა.
1270 — 1289 წწ.	დემეტრე II თავდადებულის მეფობა.
XIII — XIV სს. მიჯნა	მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ სახალხო აჯანყება საქართველოში დავით VIII-ის მეთაურობით.
1814 — 1846 წწ.	გიორგი V ბრწყინვალის მეფობა.
XIV ს-ის 30-იანი წწ.	საქართველოს განთავისუფლება მონღოლთა ბატონობისაგან.
1360 — 1398 წწ.	ბაგრატ V-ის მეფობა.
1386 — 1403 წწ.	თემურ-ლენგის შემოსევები.
1412 — 1442 წწ.	ალექსანდრე I დიდის მეფობა.
1446 — 1465 წწ.	ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი VIII მეფობა.
1466 — 1476 წწ.	გიორგი VIII-ის მეფობა კახეთში.
XV ს. ბოლო	ფეოდალური საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად.
1476 — 1511 წწ.	ალექსანდრე I-ის მეფობა კახეთში.
1479 — 1505 წწ.	კონსტანტინე დიმიტრის ძის მეფობა ქართლში.

1483 წ.	საქართველოდან პირველი ელჩობა რუსეთში.
1505 — 1525 წწ.	დავით X-ის მეფობა ქართლში.
1510 — 1565 წწ.	ბაგრატ ალექსანდრეს ძის მეფობა იმერეთში.
1520 — 1574 წწ.	ლევანის მეფობა კახეთში.
1527 — 1556 წწ.	ლუარსაბ I მეფობა ქართლში.
1541 — 1553 წწ.	შაქ-თამაზის შემოსევები ქართლში.
1550 წ.	გარისის ბრძოლა.
1556 — 1600 წწ.	სიმონ I-ის მეფობა ქართლში.
1564 წ.	ლევან კახთა მეფის ელჩის იაკობის ჩასვლა მოსკოვში.
1574 — 1605 წწ.	ალექსანდრე II ლევანის ძის მეფობა კახეთში.
1578 — 1600 წწ.	ქართლის განმათავისუფლებელი ბრძოლები ოსმალთა წინააღმდეგ.
1587 — 1589 წწ.	პირველი მფარველობითი ხელშეკრულების გაფორმება კახეთსა და რუსეთს შორის.
XVI ს. ბოლო წლები	სამცხის, აჭარის და ჯანეთის დაპყრობა თურქ-ოსმალთა მიერ.
1600 წ.	ფარცხისის ბრძოლა და სიმონ მეფის დატყვევება ოსმალთა მიერ.
1606 — 1660 წწ.	თეიმურაზ I-ის მეფობა.
1600 წ.	ტაშისკარის ბრძოლა.
1614 — 1617 წწ.	კახეთის აოხრება შაქ-აბასის მიერ.
1624 წ. 12 სექტემბერი	ქეთევან დედოფლის წამება.
1625 წ. 25 მარტი	ყიზილბაშთა გაწყვეტა მარტყოფს.
1625 წ. 1 იაკლისი	მარაბდის ბრძოლა.
1626 წ.	ბაზალეთის ბრძოლა
1633 — 1658 წწ.	როსტომ-ხანის მმართველობა ქართლში.
1660 წ.	სახალხო აჯანყება კახეთში.
1658 — 1675 წწ.	ვახტანგ V-ის (შაჰნავაზის) მეფობა ქართლში.
1703 — 1724 წწ.	ვახტანგ VI-ის მმართველობა ქართლში.
1709 წ.	სტამბის დაარსება თბილისში
1722 წ.	პეტრე I-ის ლაშქრობა კასპიისპირეთში.
1723 — 1735 წწ.	ოსმალთა ბატონობა („ოსმალობა") საქართველოში.
1725 — 1747 წწ.	ყიზილბაშთა ბატონობა („ყიზილბაშობა") აღმოსავლეთ საქართველოში.
1745 წ. 1 ოქტომბერს	თეიმურაზ II-ის მეფედ კურთხევა სვეტიცხოველში.
1744 — 1760 წწ.	თეიმურაზ-ერეკლეს ერთობლივი მეფობა ქართლ-კახეთში.
1751 წ.	აზატ-ხანის დამარცხება
1752 — 1784 წწ.	სოლომონ I-ის მეფობა იმერეთში.

1754 — 1755 წწ. .	ნურსალ-ბეგის შემოსევების უკუგდება (მჭადიჯვრის ბრძოლა, ყვარელის ალყა),
1757 წ. . .	ხრესილის ბრძოლა.
1760 წ.	თეიმურაზ II-ის ელჩობა პეტერბურგს.
1762 — 1798 წწ.	ერეკლე II-ის მეფობა ქართლ-კახეთის სამეფოში.
1770 წ. 20 აპრილი .	ასპინძის ბრძოლა.
1774 წ.	„მორიგე ჯარის“ შექმნა.
1783 წ. 24 ივლისი .	რუსეთ-საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფოს) შორის მეგობრობის ხელშეკრულების („გეორგიევსკის ტრაქტატის“) გაფორმება.
1785 წ. .	ომარ-ხანის შემოსევა.
1790 წ. .	ხელშეკრულება საქართველოს მეფე-მთავრებს შორის საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ.
1795 წ. 10 — 11 სექტემბერი .	კრწანისის ბრძოლა.
1798 წ. 11 იანვარი	ერეკლე II-ის გარდაცვალება.
1798 — 1800 წწ. . . .	გიორგი XII-ის მეფობა.
1801 წ. 12 სექტემბერი	რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების და რუსეთთან შეერთების შესახებ.
1803 წ.	. სამეგრელოს მთავრის შესვლა რუსეთის მფარველობაში.
1804 წ. .	იმერეთის შესვლა რუსეთის მფარველობაში.
1804 წ.	აჯანყება ქართლის მთიანეთში.
1810 წ. . .	იმერეთის შეერთება რუსეთთან.
1812 წ.	აჯანყება კახეთში.
1819 — 1820 წწ. . .	აჯანყება იმერეთსა და გურიაში.
1829 წ. სექტემბერი .	ოსმალეთთან დადებული ზავით საქართველოს დაუბრუნდა ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური, ხერთვისი და სხვა. აგრეთვე ფოთი, ანაპა.
1832 წ. .	შეთქმულება მეფის რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ.
1841 წ.	გლეხთა აჯანყება გურიაში.
1856 — 1857 წწ. .	გლეხთა ანტიბატონყმური აჯანყება სამეგრელოში.
1857 წ. .	სამეგრელოს სამთავროს გაუქმება და შეერთება რუსეთთან.
1858 წ. .	სვანეთის სამთავროს შეერთება რუსეთთან.
1864 წ. .	აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და შეერთება რუსეთთან.

საკითხავი ლიტერატურა

1. დ. გვრიტიშვილი, ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე (აკად. ი. ჯავახიშვილი), თბ., 1960.

2. შ. მესხია, საქართველოს ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი (აკად. ს. ჯანაშია), თბ., 1960.

3. მ. დუმბაძე, ნიკო ბერძენიშვილი, თბ., 1964.

4. რ. მეტრეველი, შ. ბადრიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1962.

5. ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1969.

6. ვ. ზუხბაია, რას მოგვითხრობს საქართველოს მიწა, თბ., 1959.

I თავისათვის. პირველყოფილი თემური წყობილება საქართველოში.

1. გ. ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევი (საქართველოს არქეოლოგიური ნარკვევი), თბ., 1952.

2. გ. ნიორაძე, ქვის ხანის ადამიანები, თბ., 1 ნაკვ. 1946, II ნაკვ., 1948.

3. ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971.

II თავისათვის. უძველესი ადრეკლასობრივი სახელმწიფოები საქართველოში.

1. საქართველოს ისტორია (საკითხავი წიგნი), გ. მელიქიშვილის რედაქციით, თბ., 1980.

2. გ. მელიქიშვილი, როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები, თბ., 1961.

3. გ. მელიქიშვილი, ურარტუ (სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი ქართველი ხალხის წინაპრების ისტორიიდან), თბ., 1951.

4. აპოლონ როდოსელი, არგონავტიკა (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა აკაკი ურუშაძემ), თბ., 1970.

5. შ. ბადრიძე, ქართლის ცხოვრების მოთხრობები, თბ., 1977.

6. ო. ლორთქიფანიძე, რა საიდუმლოს ინახავს ვანი, 1984.

7. ვ. გუჩუა, გადავხედოთ წარსულს, თბ., 1984.

III თავისათვის. ადრეული ფეოდალიზმი.

1. ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე), თბ., 1943 — 1959 წწ. გამოცემები.

2. საქართველოს ისტორია (საკითხავი წიგნი), გ. მელიქიშვილის რედაქციით, თბ., 1980.

3. შ. ბ ა დ რ ი ძ ე, ქართლის ცხოვრების მოთხრობები, თბ., 1977.
4. ვ. ბ უ ჩ უ ა, გადავხედოთ წარსულს, თბ., 1984.
5. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქართლი V საუკუნის II ნახევარში, თბ., 1979.
6. ვ. ჭ ე ლ ი ძ ე, ქართლის ცხოვრების ქრონიკები, I და II წიგნი, თბ., 1981.
IV თ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის წარმოქმნა (IX — XI სს).
1. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIX ს-მდე), თბ., 1943 — 1959 წწ. გამოცემები.
2. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა (საკითხავი წიგნი), გ. მელიქიშვილის რედაქციით, თბ., 1980.
3. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია (XI — XV სს.), თბ., 1949.
4. შ. ბ ა დ რ ი ძ ე, ქართლის ცხოვრების მოთხრობები, თბ., 1977.
V თ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს. საქართველო თვითმპყრობელური მონარქიის განმტკიცების პერიოდში (XI ს. ბოლო — XIII ს. დასაწყისი).
1. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი და სხვ., საქართველოს ისტორია.
2. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა (საკითხავი წიგნი).
3. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია XI — XV სს.), თბ., 1949.
4. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965.
5. შ. მ ე ს ხ ი ა, ძლევაჲ საკვირველი (დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება), თბ., 1972.
6. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, რუსთაველის ეპოქა, თბ., 1966.
7. მ. დ უ მ ბ ა ძ ე, რუსთაველის საქართველო, თბ., 1966.
8. ლ. ს ა ნ ი კ ი ძ ე, უქარქაშო ხმლები, წიგნი I, თბ., 1982.
9. ლ. ს ა ნ ი კ ი ძ ე, დედა ისტორია, ნაკვეთი პირველი, თბ. 1986.
10. შ. ბ ა დ რ ი ძ ე, ქართლის ცხოვრების მოთხრობები
11. ვ. ჭ ე ლ ი ძ ე, ქართლის ცხოვრების ქრონიკები, III და IV წიგნი, თბ., 1987.
VI თ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს. საქართველო XIII — XV საუკუნეებში.
1. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი და სხვ., საქართველოს ისტორია.
2. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა (საკითხავი წიგნი).
3. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია (XI — XV სს.).
4. ლ. ს ა ნ ი კ ი ძ ე, უქარქაშო ხმლები, წიგნი II, თბ., 1977.
5. ი. ც ი ნ ცა ძ ე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები, თბ., 1960.
6. შ. ბ ა დ რ ი ძ ე, ქართლის ცხოვრების მოთხრობები.
7. ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი, გზა გამოხსნა-აღდგომისაკენ, თბ., 1983.
VII თ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს. საქართველო XVI — XVIII ს. I ნახევარში.
1. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი და სხვ., საქართველოს ისტორია.
2. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა (საკითხავი წიგნი).
3. ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი, გზა გამოხსნა-აღდგომისაკენ.
4. გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, გიორგი საკაძე, თბ., 1964.
5. ნ. ნ ა კ ა შ ი ძ ე, წიწამურიდან ბახტრიონამდე, თბ., 1977.
6. გ. პ ა ი ჭ ა ძ ე, ვახტანგ VI, თბ., 1975.
7. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ვახუშტი ბაგრატიონი.
8. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1961.
VIII თ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს. საქართველო XVIII ს. II ნახევარში.
1. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი და სხვ., საქართველოს ისტორია.
2. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა (საკითხავი წიგნი).
3. გ. ქ ი ქ ო ძ ე, ერეკლე მეორე, 1958.

4. გ. პ ა ი ჭ ა ძ ე. გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა თბ., 1980.

5. ი. ც ი ნ ც ა ძ ე. აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795 — წელი), თბ., 1969.

6. ა. ს ურ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს შეერთება რუსეთთან, თბ., 1977.

IX **თ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს.** ბრძოლა კოლონიური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ XIX ს. I ნახევარში.

1. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა (საკითხავი წიგნი).

2. ა. კ ი კ ვ ი ძ ე. საქართველოს ისტორია (XIX ს), თბ., 1976.

3. ა. ს ურ გ უ ლ ა ძ ე. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, თბ., 1968.

4. ლ ე ვ ა ნ ს ა ნ ი კ ი ძ ე. დედა ისტორია. ნაკვეთი მეორე, თბ., 1986.

შინაარსი

შესავალი 3

I თავი. **პირველყოფილი თემური წყობილება საქართველოში** 10

§1. წინაგვარიანული საზოგადოება და გვაროვნული საზოგადოების ადრეული ეტაპი (ქვის ხანა) 10

§2. ქართველი ტომები და ტომთა კავშირები ენეოლითსა და ბრინჯაოს ხანაში . . . . . 1.

II თავი. **ადრეკლასობრივი სახელმწიფოები საქართველოს ტერიტორიაზე** 27

§3. ქართველ ტომთა უძველესი ადრეკლასობრივი სახელმწიფოები . . 27

§4. ეგრისისა და ქართლის სამეფოების წარმოქმნა 37

§5. საქართველო ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე . . 44

§6. რელიგია და კულტურა ადრეკლასობრივი ხანის საქართველოში . 52

ფეოდალური წყობილება

ა. ადრეული ფეოდალიზმი

III თავი. **საქართველო ადრეფეოდალური ურთიერთობის ხანაში** . 58

§7. საქართველო ფეოდალური ურთიერთობის საწყის ეტაპზე 58

§8. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის V ს. მეორე ნახევარში მეფე ვახტანგ გორგასალი 66

§9. საქართველო VI საუკუნეში 74

§10. საქართველო VII საუკუნეში. არაბთა ბატონობის დამყარება . . . 83

§11. საქართველო არაბთა ბატონობის უღელქვეშ 90

§12. საზოგადოებრივი განვითარება და კულტურა IV — VIII სს. საქართველოში 99

ბ. განვითარებული ფეოდალიზმი

IV თავი. **ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის წარმოქმნა IX — XI საუკუნეებში** 110

§13. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის 110

§14. საქართველო XI საუკუნეში 120

§15. კულტურული ვითარება IX —XI საუკუნეებში 127

V თავი. **საქართველო თვითმპყრობელური მონარქიის განვითარების პერიოდში (XI ს. ბოლო — XIII ს. დასაწყისი)** 137

§16. საქართველოს გაერთიანების დამთავრება. დავით აღმაშენებელი . . . 137

§17. საქართველოს ფეოდალური მონარქიის გაძლიერება (XII — XIIIსს. დასაწყისი) 148

§18. საქართველოს ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარება XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში 158

§19. საქართველოს სახელმწიფო წყობილება და კულტურა XII საუკუნესა და XIII საუკუნის (საწყისში 168

VI თ ა ვ ი. **საქართველო XIII — XV საუკუნეებში** 179
§20. ფეოდალური საქართველოს აღმავალი განვითარების შეფერხება XIII საუკუნეში. მონღოლთა ბატონობის დამყარება 179
§21. ქართველი ხალხის ბრძოლა თათარ-მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ . 179
§22. საქართველოს განთავისუფლება მონღოლთა ბატონობისაგან. გიორგი ბრწყინვალე 195
§23. თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში და მისი შედეგები. ქვეყნის დაშლა სამეფო-სამთავროებად 205
VII თ ა ვ ი. **საქართველო XVI — XVIII საუკუნის I ნახევარში** 213
§24. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის პირველ ნახევარში 213
§25. საქართველო XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის დასაწყისში 221
§26. ქართველი ხალხის ბრძოლა ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ XVII საუკუნეში 232
§27. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება XVI — XVII საუკუნეებში 242
§28. ქართული სამეფო-სამთავროები XVII საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის I ნახევარში. 253

გ. გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი ფ ე ო დ ა ლ ი ზ მ ი

VIII თ ა ვ ი. **საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში** 262
§29. შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება XVIII საუკუნის 50 — 70-იან წლებში 262
§30. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა . . 272
§31. აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება . . 280
§32. ქართული კულტურა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში 287
IX თ ა ვ ი. **ბრძოლა კოლონიური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ XIX საუკუნის პირველ ნახევარში** 294
§33. აღმოსავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ მესამედში . . 294
§34. დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს შეერთება რუსეთთან 300
§35. საქართველო XIX საუკუნის 30 — 50-იან წლებში. გლეხთა აჯანყებები 303
§36. ქართული კულტურა XIX საუკუნის პირველ ნახევარში . . . 311